რაფიელ გელანტია

ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი

გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი 2010

ISBN 978-9941-420-04-7

© რაფიელ გელანტია, 2010.

ორაგულები ოდაბადეში დაბრუნდებიან

როდის, სად გაწყდა ძაფი?!

როგორ შეძლო მტერმა გაეხლიჩა, ნაფოტებად ექცია მშობლიური?!

რატომ რჩებიან მარადიულ მოყვრებად, ძმებად და ნათესავებად ერთ წყალ-ჭალაში დაუტევარი ქართველები და აფხაზები საქართველოს გარეთ?!

რა არის ჩვენი უღურუ გაუტეხლობის, ამგვარი, ერთი შეხედვით, უცნაური ურთიერთობის დვრიტა და საფანელი?!

ეს კითხვები და კიდევ სხვა ბევრი კითხვა აწუხებს ამ წიგნის ავტორს, რაფიელ გელანტიას.

მაწუხებს მეც, ამ ტკივილებით სავსე წიგნის რედაქტორს.

ეს კითხვები არ ასვენებს, ალბათ, ხელისუფლებასაც, რომელმაც სასიკეთო ვერაფერი ქნა დღემდე.

და, ბუნებრივია, ხალხსაც.

ქართულ-აფხაზური ტრაგედიისთვის თვალის შევლებაც ძნელია, მასზე წერა, მისი ქაღალდზე გადატანის მცდელობა, მითუმეტეს. ეს უფრო მომავლის საქმეა.

აბა, რა ძალა მოერევა!

რა კალამი და მელანი ეყოფა!

რა წვა და სადაგი დღე!...

მაინც რა მოხდა?

თეთრს შავი რატომ შეერქვა, შავს კიდევ – თეთრი?

კავკასიელების დაუძინებელი მტერი და დამპყრობელი როგორ გახდა აფხაზის მოყვარე?

იგი თავის შეცდომასაც ხვდება და თავისი მარადიული ძმის ზედაობის ნაყოფსაც ენგურს გაღმიდან სევდიანად გამოჰყურებს.

ძმის გაორებას, ორმაგ სახეს ვერ ეგუება.

ხედავს, რომ არც გამოღმაა უკეთ საქმე: ადამიანის უფლებას და თავისუფლებას ფერი და სურნელი რომ წაუვიდა; საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილი რომ ყელყელაობს და კანონიც რომ არ კანონობს რიგიანად.

გულისგული მაინც აქეთ აქვს.

და, ამას გრძნობს ამ წიგნის ავტორი.

ჩვენი ერთობის ისტორიას, ცხოვრების წესსა და ტრადიციას გვახსენებს და გვაიმედებს, რომ ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული.

ამ წიგნის მთავარი სათქმელი ესაა.

ამ წიგნის კიდევ ერთი სათქმელი ეროვნული ინდიფერენტიზმია, – ქართველთა ნაწილის გაუცხოება, კონმფორიზმის და სხვათა მოიმედობის დაუშვებლობა.

ავტორი ცდილობს წარსულიც დაგვისურათხატოს, აწმყოც და ომის ქარცეცხლიანი დღეებიც; შეძრწუნებული სახეები და გაუტეხელი ადამიანების სულის მოძრაობა დაგვანახოს.

ორაგულივით გზას, ოდაბადეში დასაბრუნებელ ბილიკს ეძებს, რომ იქ, მშობლიურ სამანების წიაღში დაყაროს ქვირითი და მერე თავადაც იქვე ჰპოვოს ძვალშესალაგი.

რაფიელ გელანტია ამას შესძლებს, რადგან: სიცრუეს – სიმართლეს, ბოროტებას – სიკეთეს, სიძულვილს – სიყვარულს, სილაჩრეს – ვაჟკაცობას უპირისპირებს.

მისი პიროვნული თვისებების, მისი შეხედულებებისა და სულის ალიკვალია ეს წიგნიც – მიტევების, შერიგების, დანდობის მოსურნე.

ამიტომ ვფიქრობ, ისიც წვალებით, მაგრამ თავისუფლად გაიკვლევს გზას, – აფხაზსაც დააფიქრებს და ქართველსაც, ერთსაც უჭირისუფლებს და მეორესაც.

სინანული ხომ, ადრე თუ გვიან, ზღვასავით დადგება, მზესავით მაღლა აიწევა და აფხაზეთშიც და დანარჩენ საქართველოშიც ერთ მთლიან, მოჭიქულ გუმბათად იქცევა!

სინანული...

იგი ამ წიგნიდან, ამ პატარ-პატარა ჩანახატებიდან, პუბლიცისტური ნარკვევებიდან, ნოველებიდან მოჟონავს, ჩვენსკენ მოისწრაფის, რათა ჩვენს ეზო-ყურეს მოეფოფინოს, ჩვენს გულსა და ყურთასმენას მოსწვდეს, აქეთ, ჩვენსკენ მოიწევს, რომ გვიმკურნალოს, ფეხზე წამოგვაყენოს, ჩვენზე გულგატეხილი, დროებით გაბუტული მანათობელი შემოგვირიგოს.

რაფიელ გელანტიას ოდაბადე დაცლილია, გავერანებულია, გაპარტახებულია. უმეცარ თვალთა სიველურე სპობს იმასაც, რაც გადარჩა. მაინც აფხაზეთის გადარჩენაზე ლოცულობს.

ერთიანი საქართველოს განცდა ყველა მოთხრობას თუ ნარკვევს სტრიქონ-სტრიქონ დაჰყვება.

ამიტომ ვურედაქტორე ამ წიგნს. ამიტომაც ჩავთვალე მისი

გამოცემა აუცილებლად, თვალი მოვუხუჭე ბევრ რამეს, რათა მან ისე იარსებოს, როგორიც დაიბადა, ისე იყოს სტრიქონი და აზრი დალაგებული, როგორც ავტორი ხედავს და განიცდის.

ეს წიგნი ნაღველისა და დარდის, ცრემლისა და ტკივილის ერთი დიდი გორაა. უდაროა მისი სულიერი გმირის დილა-საღამო. წკვარამია მის ირგვლივ, მაგრამ მაინც არ იმუხლება, წელგამართული დგას და თავის სათქმელს გვეუბნება, საშველს, ხსნას ეძებს, წმინდა ადამიანურსაც, საზოგადოებრივსაც და სულიერსაც.

ოდაბადესკენ გზას ეძებს-მეთქი!

ხან გუდავა წყლის ნაკალაპოტარებს მოუყვება, ხან, ოხოჯესა და წარჩე წყალს, ხან მთიანი ოქუმიდან ლაშკიდარამდე გაბმულ ჩანჩქერთა კასკადებისკენ იღებს გეზს, ხან კიდევ ცივ და წყალმარჩხ რუებს წაეთამაშება, მაგრამ გზად თოფიანი კაცები ხვდებიან-რამდენჯერაც არ იცვალოს გზა და მხარი, ყველგან ისინი არიან, არიან სიკვდილად და უბედურებად.

დგანან:

ენგურის ფონებსა და წყალმარჩხებზე;

გაგიდა-განმუხურში, მუხურ-სამელაიოში, დიხაზურგა-საბერიოს გორაკებზე, ზენსა და სამარქვალოზე, ფახულანსა და ჭალეზე, ენგურის ტოტებზე.

დგანან და მას და მისი მოყვასის გამოჩენას ელიან, რათა ერთხელ კიდევ მოითალხოს ისედაც მგლოვიარე, მოწყენილი, უსაშველო ნატვრად ქცეული ოდაბადე.

ეს დღე არ დადგება.

უთუოდ დადგება ჟამი, როცა მოძმეთა სინანული ზღვად იქცევა, ნათელი დაამარცხებს წკვარამს და თოლიების ფრთების შრიალში მოგვიწევს აფხაზეთის ერთად აყვავება, თუმცა ერთი პირობით:

თუ ამ წიგნის ავტორივით ვიფიქრებთ და გვეყვარება ჩვენი დანაფოტებული სამშობლო.

ბადრი ცირამუა

ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი

**მშვენიერი ბუნების მომზერალთ უცებ შეგვეხო
მსახვრალი ხელი სიკვდილისა. ცივმა ძილმა
ორივეს თვალები დაგვიხუჭა.**

ერნესტ რენანი

**ყოველი ქვეყანა, თავის თავის წინააღმდეგ
დაყოფილი, გაუდაბურდება და ყოველი ქალაქი
ან სახლი, რომელიც დაიყოფა თავის თავის
წინააღმდეგ, ვერ გაძლებს.**

მათ. სახარება, 12.25

**ურთიერთ დაპირისპირებულ მხარეებად დაყოფილი
სახლი დაინგრევა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს
სახელმწიფო მუდამ ვერ იქნება ნახევრად
მონათმფლობელური და ნახევრად თავისუფალი.**

აბრაამ ლინკოლნი

დედას რომ ჰკითხო, შვილებიდან უფრო რომელი გიყვარსო, ხელს გამოგიშვერს და გეტყვის, თქვენი თითებიდან რომელი გიყვართ უფრო?

ქართველებსა და აფხაზებს რომ მხოლოდ ერთი მშობელი, ერთი გამჩენი დედა გვყავდა, ამას, სხვას რომ თავი დავანებოთ, დედის სახელიც ადასტურებს: „ნან“ – ქართულად, „ან“ – აფხაზურად. რა არის აქ კიდევ საეჭვო?

რომელი ჩვენთაგანი ბავშობაში ან ახლა არ ამბობს “ნან”ან „ან,“ თუ „დე“-ს?

რა თქმა უნდა, შვილები, თვით ტყუპებიც, როგორც წესი, შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იერით, მაგრამ მსგავსება ყოველთვის უფრო მეტი აქვთ. ეს ბუნების უნივერსალური კანონია.

უცხოელები, რომლებიც აფხაზეთში ჩადიან და სამეგრელოს და იმერეთის გავლით თბილისში ბრუნდებიან, აცხადებენ, რომ მათთვის თითქმის შეუძლებელია ერთიმეორისგან ქართველების და აფხაზების გარჩევა; ხოლო ისინი, რომელთაც აფხაზეთსა და სამეგრელოში თვეობით უწევთ მუშაობა, განსხვავებას ვერ ამჩნევენ ხოლმე.

მაშ, რა დაგვემართა?

დედის მეტისმეტმა სიყვარულმა და ეჭვმა დაგვაბრმავა ორივე,

სხვათა წასისინებამ დაგვრია ხელი, დაგვიბინდა გონი, დაგვიხშო ნათელი და ჩაგვყარა ლამის უპატიებელ ცოდვაში.

ან-ს მინდა მოვეფერო, კარგა ხნის უნახავ ნანას, შენც მინდა მოგეფერო, ჩემი და შენი დედის ღვიძლო შვილო, შენს გულ-ვნობას, სიფიცხეს, ვაჟკაცობას და შეგახსენო, რომ რთულ დროში მოგვიწია ცხოვრებამ და რომ, ჩვენი ლამაზი და უწმინდესი ან-ის სხეულზე ბევრს უჭირავს თვალი.

ცამეტი წლის განშორება ცოტა არ არის, ნანა, მაგრამ შენ ჩემში ისეთად დარჩი, როგორიც იყავი, თუმცა, ომმა უამრავი ნაიარევი გაგიჩინა, დარდის და ტკივილებისგან ჭაღარამ იმძლავრა შენს გიშრის თმაში, ნაოჭებმა დაგისერა შუბლი და ღაწვები.

რჩეულ და უდანაშაულო შვილთა ძაძებმა მოგაბერეს, ნანა. შენ მაინც ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილი ხარ!

განგებამ უხვად დაგაჯილდოვა. სამოთხედ გაშლილხარ კავკასიონის დიადი მთების მყინვარებიდან მშვიდ და ცისფერ ზღვამდე, ზღვა კოცნის და ნაზად ეფერება შენს სულსა და სხეულს, დედა!

მთათა ჯარი, მყინვარებით განათებული, მზის სხივებზე ელვარე სპეტაკი მწვერვალები სამეფო გვირგვინად გადგას; იქიდან წამოსული ცვარი შენი თვალებიდან ნაჟურ ცრემლს უერთდება, გიშრის ნაწნავებს ჩამოჰყვება დაბლა, მრისხანებად იქცევა ტკივილიანი იარების ველებზე და შენი დარდით დაქანცულ ზღვას შეედინება.

საოცრებაა მზე შენი, ცა შენი, ზღვა შენი, ნან!

როგორ და საიდან მოიტანე, როგორ მოახერხე ამდენი ტანად ლარი და სპილომუცელა პალმის, თეთრკანა ევკალიპტების გამოზრდა, ღვთიური წალკოტის შექმნა, ციტრუსოვანთა, ჩაისა და ვენახების, კივისა და ფეიხოს, ხურმისა და დაფნის, ვაშლისა და მსხლის, ტყემლისა და ქლიავის, რეჰანისა და გერანის ასე ხავერდოვანი შერწყმა, დედა!

საიდან ამდენი სილამაზე, რომელმა მზეჭაბუკმა შეგმოსა, ან!

ან როგორ მოახერხე ბიჭვინთის ედემის დღემდე შენახვა, თეთრი და წითელი მაგნოლიების მოვლა-გახარება ყველა ქართველისა და აფხაზის ეზო-მიდამოში.

ძველ დროშიც გიჭირდა უთუოდ, თორემ რად დაგჭირდებოდა მთასა თუ ბარში ნანგრევებად მიმოფანტული ამდენი კოშკი და ციხე-ქალაქი, უფლის სადიდებელი ამდენი ეკლესია და ტაძარი, თანაც შენეული სამოთხის ყველა კიდეზე!

ნეტავი ვინმეს თუ აქვს კიდევ რიწის ტბის, ათონის მღვიმეების, გაგრისა და სოხუმის სანახების, კოდორის სვანეთის, გალის ზღვის, ენგურძალოვანის მსგავსი და დარი რამ.

ნეტა თუ არის კიდევ სადმე შავი ზღვა ასე ლამაზი, თოლიები ასე თეთრი, ნავსაყუდლები ასეთი მყუდრო და თბილი, დედა!

მთიდან ზღვამდე, რამდენი ქალაქი და სოფელი, პარკი და სკვერი გიშენებია, რამდენი წითელქუდიანი, ქათქათა და ვარდისფერი სახლი აგიგია, ნან! რა ლამაზია შენი პირმშოთა სადგომები, რა უხვია მათი ეზო-კარი, რა მშვენიერი მათი შვილები და შვილიშვილები...

როგორ მოახერხე, დედა, გაგეჩინა ამდენი ლომგულა კაცი და თვალხატულა ასული, რომლებიც უხსოვარი დროიდან თავს სწირავდნენ შენთვის და ერთმანეთისთვის, სასიკვდილოდ ერკინებოდნენ მომხდურ ყივჩაღს თუ ხაზარს, რომაელს თუ ბიზანტიელს, არაბს თუ მონღოლს, თურქს თუ სპარსს, თეთრებს თუ წითლებს, მარბიელს თუ ჩასაფრებულს, რომელთაც, ვინ უწყის, რამდენჯერ არ სცადეს საქართველოსა და საკუთრივ აფხაზეთის მიტაცება და გაბახება.

ჰოი, რამდენმა დასდო თავი შენთვის, მამულისთვის ნანა, ამიტომაც გაჟღენთილა აფხაზეთის და საქართველოს ყოველი გოჯი ძმათა სისხლით და ცრემლით, დედა!

ამიტომაც მეტობენ ალბათ, აფხაზეთში წითელი და მეწამული ყვავილები, ამიტომაა, წესი და რიგი მუდამ შეკაზმული ცხენი, მშრალი თოფისწამლი, ბაშლიყი და მათრახ-უნაგირი, თოფი და ხმალ-ხანჯალი ხალათ-ქამარი შენს ყველა კუთხე-კუნჭულში, დოღი და ჯირითი.

აფხაზეთს სულის, სულიერების ქვეყანას ეძახიან ოდითგან; ეს შენი სულია ან! სული კი კეთილშობილება, გონიერება, სიბრძნე, მიხვედრილობა, რეალობის განცდაა, რომლის გამოც ყველა შენი შვილის კარი სტუმართმოყვარეობის უბადლო მადლით იღება, ჭირსა თუ ლხინში ზეობს, ჩვენი არსობის ნაწილად ქცეულა, დედა!

დედამ გვასწავლა ეზო-კარის ერთნაირად მოწყობა. სამზადს – ოდა, სტუმრის მისაღები და მოსასვენი უნდა ამშვენებდეს, ოდას – დიდი, გრძელი და განიერი ეზო ცხენის საჭენებლად, ლხინსა თუ ჭირში უამრავი ხალხის მოსაფერებლად!

დედამ გვასწავლა ერთმანეთის მოსმენა და სიყვარული, უფროსებისადმი მოწიწება, შურისა და მტრობის დაუშვებლობა.

ან-მა აგვიკრძალა ძმებს ერთმანეთის მტრობა, რადგანაც ძმათა მტრობას უთუოდ მოჰყვება ერთიანი სახლის დანგრევა, ოჯახის განადგურება.

დედამ გვასწავლა აფხაზეთელებს მამულის დაცვა, მაგრამ არა ქედმაღლობა, მოყვასის სიცოცხლისა და ღირსების არაფრად ჩაგდება, მისი ქონებისა და სამკვიდროს დაუფლება, სხვის ცოლსა

და ახლობელზე თვალის დაჭერა. ამ ცოდვებისთვის დედამ, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში სასწაულმოქმედი სასწორი დაგვიდგა, რომლის განაჩენს ვერავინ და ვეღარასოდეს გაექცევა.

დედამ ანდერძი დაგვიტოვა – იგი მოკვდება მაშინ, როცა მისი შვილები სამარადჟამო გახდებიან ერთმანეთის მტრები, გაიყრებიან, დედაშვილობასა და ახლობლობაზე იტყვიან უარს.

აფხაზ და ქართველ ძმებს, როგორც მთელი პლანეტის სხვა ხალხში, ადრეც ჰქონიათ გაუგებრობა, მაგრამ წყენას მისივე შვილები და ახლობლები, მორდუები აგვარებდნენ ხოლმე, ამიტომაც გამოიარა ამ ძმობამ და დედაშვილობამ ისტორიის საშინელ ჟამთა ქარტეხილები და დღემდე გადარჩა, გადარჩა უფლის ნებით ხელდასმული საერთო სისხლი, ერთიან კოლხურ სამყაროში დაბადებული ერთსახა წესი და რიგი, რომელსაც დროთა სიავის გამო ბევრი უცხოც შეერია, მაგრამ ჩვენამდე შეურყვნელად მოაღწია.

აფხაზეთი ძმათა საერთო სახლი, დიდი დედის უწმინდესი სახლია, ამიტომაც გვევედრება დედა, რათა შევჩერდეთ, ვიკმაროთ რაც იყო, დასრულდეს გერების ძებნა, ძმობისთვის უკადრებელი დასმენები, უცხო თესლისა და ჯილაგის ხმობა.

დედა გვევედრება არ მოვწყდეთ ძირმაგარ ფესვებს, ქრისტეს დაკეტილ სახლებს ურდულები ავხსნათ. ან-ი გვევედრება არ დავივიწყოთ გარდასულ წინაპართა სულეთის მკვიდრნი: აირგი და აჯვეიპშა-ტყისა და ნადირობის, აიტარი-ბუნების და განახლების, არფი-მრისხანე მოვლენების, აშხვა ინცვახუ-მთის და მდელოს, ძიძლანი-წყლების და მდინარეთა, მცენარეთა და ყოველთა ცოცხალთა, ერიში-ქალთა გამგებელი, შაშ(ვ)ი-მამკაცთა დამრიგებელი და მფარველი სულები და ვილოცოთ, შევთხოვოთ მათ მოწყალება და პატიება, რადგან დედისთვის მიუღებელია გაჩანაგებული და გადამწვარი აფხაზეთი, გაძარცული სოფლები და ქალაქები, ცეცხლში დანთქმული და თვალთა საბუდარივით შავად დარჩენილი ეზო-კარები, მიტოვებული სახლები, ეკალბარდში გახვეული, გავერანებული ველ-მინდვრები და ნასახლარები.

დედა, ან, ნანა!

გევედრებით, შეგვეწიე ყველა აფხაზეთელს, უფრო მაგრად აგვიწიე ყურები, გაგვინათე გონება, გვანახე საკუთარი თავი საკუთარი თვალებით, რათა მივხვდეთ თუ სად და როგორ გაწყდა მშობლიური ძაფები, სადაა გზა და ხსნა ერთმანეთის და უსაშველოდ მონატრებული დედის გადასარჩენად.

30 სექტემბერი, 1994 წ.

ან, ნან, აბ...ააა!

სასამართლო სხდომაზე მომხდარმა ყველა განაცვიფრა. ასე, 7-8 წლის ქართველი ბიჭი რკინის ცხაურას მივარდა, სადაც ჯერ კიდევ ლამაზი, თმაშევერცხლილი, ძაძებით შემოსილი აფხაზი ქალი განსასჯელის სკამზე იჯდა.

ქალს ცრემლი ახრჩობოდა, საუბარი უჭირდა.

ბავშვი გისოსებს მოაშორეს და მამასთან მიიყვანეს. იგი დაწყნარდა და მამის გვერდით გაისუსა.

ეს მოხდა, სასამართლოს სხდომაზე, სადაც აფხაზეთში, ომის დროს, მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი ქალის საქმეს იხილავდნენ.

მოწმის სტატუსით მოწვეული, ახოვანი, 40 წლამდე ასაკის წარმოსადეგი მამაკაცი ბავშვთან ერთად იყო მოსული. ბავშვი მას მამიკოს ეძახდა და ბრალდებულის შემოყვანამდე მის კალთაში იჯდა.

კაცი ცქმუტავდა, აღელვებული ჩანდა.

მოწმის, სანდროს გამოსვლა არეულ-დარეული გამოდგა, სიტყვებს ვერ პოულობდა.

გამოსვლა მოსამართლის უნებართვოდ შეწყვიტა, თავის ადგილს დაუბრუნდა და კობა ისევ კალთაში ჩაისვა.

ცხაურში, მუხლებზე თავდადებული ქალი ქვითინებდა.

თბილისში ცნობილი მხატვარი, კაცთმოყვარე ერუდიტი, კარგი მოსაუბრე, ახლა მხოლოდ მატყუარა მამად გრძნობდა თავს, რომელმაც კობას პატარაობიდანვე შთაუნერგა, რომ აფხაზეთის ომში დედამისი დაიღუპა, ამასთან, მისდა სამარცხვინოდ, ცხედრის გამოყვანა ვერ შეძლო.

და, აი, თბილისში გამოჩნდა ქალი, რომელსაც კობაზე პრეტენზია ჰქონია.

სანდრო ვერ ჰპატიობდა საკუთარ თავს, რომ ახლახან, სასამართლოში მიწვევის მიღების შემდეგაც, კობასთან იცრუა: წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ გავიგოთ რამე დედაშენზე აფხაზი სნაიპერის და მზვერავის პროცესზეო. არა და, ბიჭიც მიწვეული იყო ბრალდებულის დაჟინებული მოთხოვნით.

თავს იწყევლიდა სანდრო თავისი გულუბრყვილო წესიერების გამო; იმის გამოც, რომ თბილისში, 2000 წელს გამოცემული ქართულ-აფხაზური სასაუბრო იყიდა, კობას მიუტანა, რათა მას რადენიმე **აფხაზური სიტყვა ესწავლა. ბიჭმა უამრავი სიტყვა ის**წავლა, მამას აფხაზურად აჯავრებდა.

თავმჯდომარემ სანდრო გააფრთხილა: იცი, რომ ყველა მასალა საქმეშია, მხარეები, ვექილები საქმეს იცნობენ, ბრალდებული დოკუმენტებს გაეცნო, აზრი არა აქვსო შენს დუმილს; თანაც დაამატა, ჩემთვის ადამიანურად გასაგებია შენი მდგომარეობა, მაგრამ კობა უკვე დიდი ბიჭია, საქმე მეტად ჩახლართული, ამიტომ სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვასო. ბრალდებული საიდა, ხმას აუწია მოსამართლემ, საქართველოს მოქალაქეა, იყო ძმათამკვლელი ომი, ომი კი ომია თავისი საშინელებით, სიურპრიზებით, ამასთან ჩვენ დასაბუთებული მტკიცებულების გარეშე არავის ვადანაშაულებთ. საიდა შვილს ეძებდა თბილისში, მაგრამ მოპოვებული მასალებით გახდა ეჭვმიტანილი და ბრალდებული. შეგიძლია ჩათვალო, რომ შენი სიტყვა, შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს მისთვის, შენთვის, კობასთვის.

სანდრო მიკროფონთან ძლივს მივიდა, ფეხები არ ემორჩილებოდა.

კობა ბავშვური შიშით შეჰყურებდა მამას, უცხო ქალს.

– მე მოხალისედ წავედი ქართულ ჯარში გაგრის დაცემის შემდეგ. ვგრძნობდი, რომ რუსეთის სამხრეთიდან, დაძრულ ულევ, კარგად ორგანიზებულ ზურგ გამაგრებულ მოხალისეებთან ჩვენ კონფლიქტს ვერ მოვიგებდით, თუ საყოველთაო მობილიზაცია არ გამოცხადდებოდა, ყველა და ყველაფერი ომის სამსახურში არ ჩადგებოდა. უცხო ძალების ჩარევის შემდეგ, აფხაზეთში უკვე ომი იყო, რისი დაჯერებაც არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას არ სურდა. დღესაც არ უნდათ აღიარონ, რომ ჩრდილოეთ კავკასია, თავისი პრობლემებით, რომლის ჩამოთვლა შორს წამიყვანს, ისეთივე თავის ტკივილია ჩემი ქვეყნისთვის, როგორც მთელი რუსეთისთვის. რუსეთი კი არჩევანს, ღიად თუ ფარულად, თავის სასარგებლოდ აკეთებს. ამით ის ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს. ასე იყო დიდი კავკასიური ომების დროს და შემდეგ, ასეა დღესაც.

უფრო ახლოსო საქმესთან, გააფრთხილა მოსამართლემ სანდრო.

– და მაინც, მე, მხატვარმა, უცოლშვილომ, 30 წლის თავისუფალი პროფესიის ადამიანმა, მამულისთვის ჩემი სიცოცხლის ჩაბარება გადავწყვიტე. ვაჟკაცობას ყოველთვის აქვს დრო და გამართლება. ისტორია უშეცდომოდ აფასებს სამშობლოსთვის გაწეულ პირად მამაცობას, თუმცა აფხაზ ხალხთან ბრძოლა ჩემთვის მიუღებელი იყო. მე ხომ იქ უამრავი კოლეგა, ნათესავი და მეგობარი მყავდა და მყავს ახლაც. მტრობა და სიძულვილი არ მამოძრავებდა, მაგრამ თავმოყვარეობა შელახული მქონდა: არ ეკადრება აფხაზ

კაცს სხვის სამსახურში ყოფნა, უცხო ძალების მოწვევა ქართველთა დასახოცად. ჩემ და მილიონობით ქართველის წარმოდგენაში არსებული მამაცი და სამართლიანი აფხაზი ხალხი აქამდე არ უნდა მისულიყო, თუმცა მათ სხვა სიმართლეში არწმუნებდნენ. მე და მათაც კარგად იციან, რომ აფხაზეთის მოსახლეობაში იყო დიდი პოლიტიკური და ადამიანური გაუგებრობანი, ისევე როგორც მთელ საქართველოში იმჟამად.

ასე მოვხვდი ოჩამჩირეს 24-ე ბრიგადაში, თუმცა გუმისთის სისხლიან ფრონტზე მინდოდა ყოფნა.

ოჩამჩირეს ფრონტი განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდა, თავიდან არც მოწინააღმდეგე გვაწუხებდა მაინცდამაინც, თუმცა ყველა გრძნობდა, რომ ტყვარჩელში შეუსვლელობით ჩვენ შეცდომა დავუშვით. მტერს დავუთმეთ სამხედრო თვალსაზრისით პლაცდარმი, რომელსაც გონიერი და პროფესიონალი მტერი, ერთ მშვენიერ დღეს, შესანიშნავად გამოიყენებდა. ასეც მოხდა.

რა გაქვთ მხედველობაში? დაინტერესდა საიდას ვექილი.

– ის რომ კავკასიის ხალხთა კონფედერაციამ შანსი ხელიდან არ გაუშვა და 93 წლის გაზაფხულში „აღმოსავლეთის ფრონტი“ შექმნა; ამით ტყვარჩელის პლაცდარმის ამოქმედებას ჩაეყარა საფუძველი. მოკლედ, მათ ზუსტად გათვალეს: თანდათან გაენეიტრალებინათ გალის რაიონი, რომელსაც თავისი დიდი ადამიანური რესურსებით, სტრატეგიული განფენილობით, ეკონომიკით ნებისმიერ დროს შეეძლო სასიკვდილო საფრთხე შეექმნა აფხაზთა და ვოლენტერთა ძალებისთვის ქალაქ სოხუმამდე და მის იქითაც; ოჩამჩირეში განლაგებული ჩვენი ძალების დეზორგანიზაცია და დაქსაქსვა მოულოდნელი დარტყმებით და მოულოდნელადვე იქაურობას გაცლით; ეს ხელწერა - ეგრეთწოდებული პარტიზანული ომის ხელწერა, ცნობილი იყო ჩეჩნეთის ომის გამოცდილებიდან.

ვრცელდებოდა ხმა, რომ ბასაევი ოქტომბერში უკვე იმყოფებოდა აფხაზეთში, ორგანიზაციას უკეთებდა აღმოსავლეთის ფრონტს, რუსეთიდან დღე და ღამე შემოდიოდა სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება.

ცხადი გახდა, რომ სოხუმის ასაღებად წარუმატებელი ყოველი ოპერაციის შემდეგ, აღმოსავლეთის ფრონტი აქტიურდებოდა ან სინქრონულად ამოქმედდებოდა, გადაკვეთდა ავტომაგისტრალს, რკინიგზას, ქმნიდა პლაცდარმს ზღვიდან დესანტის გადმოსასხმელად, რითაც სოხუმის დამცველებს ჩამოაშორებდა სამხრეთის

ზურგს, და ბოლოს, შეეცდებოდა „ტომარაში“ მოექცია ოჩამჩირე და მისი შემოგარენი.

ჩემი იქ ყოფნის პერიოდში აღმოსავლეთის ფრონტი ადგილობრივი მოსახლეობის და ჩვენი შეიარაღებული ძალების ტერორს ეწეოდა, თესავდა პანიკას. აღმოსავლეთის ფრონტში ჩართეს უამრავი ქალი, რაც აფხაზი მამაკაცებისთვის უჩვეულო, ტრადიციების შეურაცხმყოფელი და მიუღებელი ბეგარა იყო, მაგრამ გარე ძალებისა და ზოგიერთი ადგილობრივი მოხელისთვის მისაღები.

ამდენად, ოჩამჩირეს რაიონის ბევრი აფხაზური და შერეული ოჯახის წევრები იძულებული გახადეს აეღოთ იარაღი, დაძახებისთანავე გასულიყვნენ ოპერაციაზე.

განსაკუთრებული მონდომებით კარგი ფიზიკური მონაცემების, ქართული და რუსული ენების მცოდნე ახალგაზრდა ქალებს წვრთნიდნენ, ამზადებდნენ მზვერავებად, დივერსანტებად, სნაიპერებად. ისინი გაანაწილეს ქართველების მიერ კონტროლირებად მთელ ტერიტორიაზე, ზოგი ვაჭრად, ზოგი მეძავად, ზოგი სამედიცინო დარგის მუშაკად, ზოგი ჩააბეს საქართველოდან და უცხოეთიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარების განაწილებაში, გაჭირვებულთა შინა დამხმარეებად და ა. შ.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

ქართული სარდლობა, ბუნებრივია, ღებულობდა კონტრაზომებს, მაგრამ ქალაქში, რაიონში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ერთმანეთის ახლობელია, მტრის და მოყვრის გამოცნობა მეტად ძნელია.

მოსამართლემ სანდრო შეაჩერა:

– გაფრთხილებთ, უფრო ახლოს საქმესთან ბატონო სანდრო. თქვენ ადრე იცნობდით საიდას, იმჟამად გვანცა ლოგუას?

– სად, როგორ და როდის გაიცანით ის?

სანდროს ყველაზე მეტად ამ შეკითხვის ეშინოდა. შეყოვნდა, ჭერზე დაკიდებული ნათურა უზარმაზარ ბურთად გადაიქცა, რომელიც ეს-ეს იყო აფეთქდებოდა და სანდროს უბედნიერეს კაცად აქცევდა. მან ბიჭის გარეთ გაყვანა ითხოვა.

თავმჯდომარე დაფიქრდა, საიდას ვექილს შეხედა. ვექილმა ბიჭის დარბაზში დარჩენა მოითხოვა. თავმჯდომარე დათანხმდა.

სანდროს არ შეეძლო გულწრფელი არ ყოფილიყო, ის ასეთი იყო და სხვანაირად არ შეეძლო.

– თავისუფალ დროს ვსეირნობდი სანაპიროზე, უფრო მეტად სამხედრო ფორმის გარეშე, თუმცა ეს რატომღაც აკრძალული იყო. მიყვარს ზღვა, საოცარია შავი ზღვა ქ. ოჩამჩირეში, ყოფილი რაი-

კომის შენობის გვერდით მდებარე პარკთან. იქ, მწვანეში მოვეწყვე და სახატავი მოწყობილობა გადავიტანე. საინტერესო პეიზაჟს გამოვიჭერდი, ესკიზებს მოვნიშნავდი, ღამით საუკეთესოს შევარჩევდი და თავისუფალ დროს, ფანქრით ან ზეთით სურათად ვაქცევდი. ასე იყო, რამდენადაც მახსოვს, მთელი ორი თუ სამი თვე.

ერთ მზიან დღეს ორი მშვენიერი ქალბატონი მომისხდა გვერდით. არ გამკვირვებია, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება მეტად ყურადღებიანი იყო ქართული ჯარის მიმართ, პროდუქტებს გვაწვდიდნენ, ოჯახებში გვიწვევდნენ.

თავი გამაცნეს, ასაკით უმცროსს გვანცა ერქვა. ჩემი სახელი ვუთხარი. შეკითხვებს გვანცას მეგობარი მაძლევდა, მეც ვპასუხობდი. გვანცა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი, ღიმილით მომშტერებოდა თვალებში, რაც უხერხულობაში მაყენებდა. იგივე განმეორდა მეორე კვირას. გასეირნება შემომთავაზეს, მე სამხედრო ფორმაში ვიყავი და თავის არიდება ვცადე, მაგრამ მზის ჩასვლის ნახვის ცდუნებას ვერ გავუძელი.

სამწუხაროდ, სამხედროთა პატრულს გადავეყარე და ადრე წავედი ნაწილში.

მესამედ გვანცა მარტო მოვიდა, ნახატებით დაინტერესდა, პორტრეტის დახატვა მთხოვა, თავის ოჯახზე მელაპარაკა; რაღაცნაირად შემომაპარა, რომ გასათხოვარი იყო, სწავლას გადაჰყვა და ოჯახს არ მოჰკიდა ხელი, თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყავდა მოსკოვში, სადაც ფსიქოლოგის სპეციალობას დაეუფლა, რაიონში სამსახური ვერ მოინახა, თბილისში სამუშაოდ კი მშობლები არ უშვებდნენ...

თავმჯდომარემ თარჯიმანს სთხოვა, საიდას თუ გააგებინეო, რადგანაც, მან თავიდანვე მოითხოვა ყველა დეტალის აფხაზურად თარგმნა.

საიდა სანდროს თვალს არ აშორებდა, ბიჭის რეაქციას აკვირდებოდა.

განაგრძეთო, ბრძანა თავმჯდომარემ.

– შემდგომ რამდენჯერმე შევხვდი საიდას, ასარჩევად მივეცი ნახატები, თავის პორტრეტზე ზედმეტად შემაქო, ლამის გენიოსი მიწოდა. თავის ნახევრად ქართველობა ახსენა და ომს ბოროტება უწოდა, რაც, მისი აზრით, უთავო პოლიტიკოსების ბრალი იყო. მე პასუხის გაცემა დავიწყე, მაგრამ შემაწყვეტინა: არ გვინდა, დრო ისედაც ცოტა გვაქვს, ვინ იცის რომელ ჩვენთაგანს იპოვის ბრმა ან დამიზნებული ტყვიაო. სიტყვა „დამიზნებულმა“ გამომაფხიზლა: ეჭვი კვლავ გამიღრმავდა, რომ გვანცა შეიძლება მოგზავნილი ყოფილიყო.

ტუჩზე ვიკბინე. გულში გადავწყვიტე ომის დამთავრებამდე არ შევხვედროდი, თუმცა მის მიმართ გულგრილი არ ვიყავი, ბევრჯერ დამესიზმრა.

საომარი მდგომარეობა ჩვენთვის დღითიდღე უარესდებოდა, აღმოსავლეთის ფრონტი არ გვასვენებდა, კოჩარაში ტრაგედია დაატრიალეს, **ტამიშში ბიჭები დაგვიხოცეს, ელექტრომატარე-**ბელზე თავდასხმები გაახშირეს, ოჩამჩირე და რაიონის რამდენიმე სოფელი დაბომბა რუსულმა ავიაციამ. ჩვენც დღე და ღამ ფრონ-ტის ხაზზე ვიყავით; გვანცა თითქმის გადამავიწყდა.

მაინც, მოხდა ისე, რომ ერთ წვიმიან საღამოს გვანცას ქუჩა-ში გადავაწყდი, ზურგზე ხელის რბილი შეხებით მიმაბრუნა, მო-მიკითხა. მეც მოვიკითხე. გაცლას ვაპირებდი, მაგრამ ქუჩიდან გადასვლა მთხოვა და ერთი დიდი ხის უკან ორივე ხელით გულში ჩამიკრა, ლოყაზე იმგვარად მაკოცა, რომ აფხაზური ტრადიციების მიმდევარი ქალიშვილისთვის შეუფერებლად მომეჩვენა. ლუღლუ-ღით მთხოვა: მე, ჩემმა მეგრელმა ბებიამ ხათუნა დამარქვა და ასე მომმართე, ხვალ კი ილორში წავიდეთ, რაღაც საიდუმლო უნდა გითხრა, რაც მხოლოდ მე და შენ შეგვეხებაო. მორცხვად დაამატა, სანამ აქ ხარ ცოტა აფხაზურიც ისწავლეო. რაღაცნაირი ირონიით შემომაპარა, თქვენ, რომ ცოტა აფხაზური გესწავლათ, იქნებ აქამდე არც მისულიყო საქმეო.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, თქვა და გაიქცა, განცვიფრე-ბული დამტოვა.

ქალის გაცნობის თაობაზე საღამოს ოცეულის უფროსს მოვახ-სენე. იგი დაფიქრდა და ნახევრად სერიოზულად მითხრა, კარგია, შენ ხომ მეუღლე არ გყავს, აფხაზეთში მასპინძელი გაგვიხდე-ბი, სანათესავო გვეყოლება, ომიც დამთავრდება და ყველაფერი ძველებურად იქნებაო, ამასთანავე მთხოვა შემდგომი შეხვედრე-ბისგან თავის შეკავება.

– შემდგომში ამის დროც არ დამდგარა. სოფელ ლაბრიდან სე-რიოზული დარტყმა მოგვაყენეს, ბიჭები დაგვიხოცეს. სარდლობას ჰქონდა სხვა ინფორმაციაც, ამიტომ დავიწყეთ სამზადისი ლაბრის ასაღებად. გაგვაფრთხილეს, რომ მძიმე ბრძოლები გველოდა, შემ-ტევი ნაწილს გამოცდილი მებრძოლები დაამატეს, რომელთა შო-რის მეც აღმოვჩნდი.

საღამოს, 20 საათისთვის, ლაბრას მივადექით. 200-300 მეტრით ვიყავით შესული სოფელში, როცა სოფლის სიღრმიდან თავს დაგ-ვატეხეს ქვემეხების და ჯავშნიანი მანქანების ცეცხლი. უახლესი რუსული იარაღი ჰქონდათ, ჩემის აზრით, ღამის ხედვის მოწყო-ბილებით.

ჩაგვაწვინეს, თავის აწევა ნაღდი სიკვდილი იყო, სნაიპერებიც მუშაობდნენ, ბევრი დაგვიჭრეს.

ჩვენი სარდლობა მოვიდა მძიმე ტექნიკით. იძულებული გავხდით რამდენიმე ტანკიდან და ჰაუბიციდან დაგვერტყა სოფლისთვის, რასაც, როგორც წესი, არ ვაკეთებდით მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად.

სოფელი ცეცხლის ალში გაეხვია, იწვოდა სახლები, სამეურნეო ნაგებობანი. სიმაღლეებიდან სროლები შენელდა.

წინ წაწევა ვცადეთ. ახლო მანძილიდან გაგვიხსნეს ჯვარედინი ცეცხლი. ვიცოდით, რომ იქვე, ახლოს, ძველი აფხაზური სანგრები იყო. ოჩამჩირელი ბიჭები გაგვიძღვნენ. ცეცხლით ვიცავდით სანგრისკენ მიმავალთ. იქაც მტერი დაგვხვდა, მაგრამ ასეთი ძალით შეტევას არ მოელოდნენ და სანგრის ლაბირინთებში დაიფანტნენ.

დამაეჭვა, ჩვენგან წინ და მარჯვნივ, სიმინდის ნაყანარში, ჩალის შეკვრათა სიმრავლემ, რადგანაც მათ, როგორც მახსოვდა, ჩალა შემოდგომაზე დაკიდეს ხეებზე. ვივარაუდეთ, რომ ეს შენიღბული კოლექტიური და ინდივიდუალური საცეცხლე წერტილები იყო.

ქვემეხის გასროლის ნათებაზე გავარჩიეთ, რომ წინ კიდევ ორი ახლად გათხრილი სანგარი იყო, ამასთან პროფესიონალის მიერ მოხერხებულად შენიღბული და გამაგრებული.

ცეცხლის რკალში მოვხვდით.

მდგომარეობა გართულდა, ჩვენ ამისთვის მზად არ ვიყავით, დილამდე საქმის გადადება არ შეიძლებოდა.

ოცეულის უფროსი „ვაშას“ ძახილით წამოდგა და წინ გაექანა. მოცელილი დაეცა, ჩალის შეკვრები არავის ჰპატიობდნენ თავის აწევას. და მაინც წავედით წინ...

აი, ომის ჟინიც, როცა აღარაფერზე ფიქრობ, სიკვდილი არ არსებობს და თუ არსებობს, თავად მიდიხარ მასთან შესახვედრად. მთელი ომის მანძილზე პირველად გამიელვა თავში, რომ ადამიანის თავმოყვარეობა და ღირსება ყველაზე ძლიერი ინსტინქტია, რომელიც ყველაზე მეტად თავს იჩენს ლამის გამოუვალ სიტუაციაში.

– ბატონო სანდრო, უფრო საქმისკენ, მოითხოვა პროკურორმა.

ყველასთვის მოულოდნელად, აფხაზურ ენაზე, ხმა ამოიღო საიდამ.

– ბატონო თავმჯდომარევ, ნება დართეთ დაასრულოს, თუ შეიძლება. მეც იქ ვიყავი, მაგრამ ოდნავ მოშორებით და ყველაფერი წვრილად მაინტერესებს, ეს ჩემთვის და საქმისთვის მეტად მნიშვნელოვანია!

აუჩქარებლად უთარგმნეს თავმჯდომარეს.

განაგრძოსო, ბრძანა მან.

– შევცვივდით მეორე სანგარში. არ გველოდნენ, საქმე ხიშტებსა და დანებზე მივიდა. მკვდრებით და დაჭრილებით გაივსო სანგარი, სისხლის და ნამწვის სუნი იდგა ირგვლივ. ჩვენი შეჩერება არ შეიძლებოდა, რადგანაც მოწინააღმდეგე ძალებს გადააჯგუფებდა და მესამე სანგარში მოგვიწყობდა რევანშს. ჩვენც ძალზე შევთხელდით, ჩალის ძირებიდან სამი თუ ოთხი ავტომატი და ტყვიამფრქვევი შეუჩერებლად გვიშენდა ცეცხლს.

ჩვენს რიგებში ხმაური ატყდა, ჯაბა მოსულიყო თავისი რჩეული ბიჭებით.

მხედრიონელებს დიდხანს არ უფიქრიათ, უმალ შეაფასეს სიტუაცია, ჩვენი მორალური უპირატესობა და მოწინააღმდეგის ცეცხლის წვიმაში გადაუფრინეს ჩვენს სანგარს და მესამე სანგარში ჩაცვივდნენ.

ხოხვით გავწიეთ წინ, ჩალიდან, ბუჩქებიდან და ხეებიდან ღვარად მომავალი ტყვიებისგან ვიცავდით ერთმანეთს და მოკლე გადარბენებით ვძლევდით აღმართებს.

– და, აი საოცრება! შუაგულ მინდორში, ტყვიების სეტყვაში, სამი თუ ოთხი წლის ბიჭი, მხოლოდ პერანგით შემოსილი, მორბის და სასოწარკვეთილი ხმით ან-ნან-ას უხმობს.

ჩემში რაღაც გადაბრუნდა. მე ახლა სიცოცხლე მჭირდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ბიჭი გადამერჩინა გარდუვალი დაღუპვისგან. წამოვდექი და ბიჭისკენ გავწიე.

ბინდბუნდი ახლოს აფეთქებულმა ნაღმმა გაანათა და დღემდე ვერ გამირკვევია, მომეჩვენა თუ ნამდვილად ვნახე ბავშვისკენ მხოხავი ქალი, რომელიც უკვე ჩემზე ახლოს იყო ბიჭთან, მაგრამ უჭირდა გადაადგილება მუხლამდე ტალახში. მას სამხედრო ფორმა ეცვა, მაგრამ რატომღაც შარვლის გარეშე. ისიც შევნიშნე, რომ ბარძაყი გადახვეული ჰქონდა. ამ მოჩვენებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ბავშვი ხელში ავიყვანე და იმ სანგრისკენ გამოვქანდით, სადაც ნაკლები საფრთხე გველოდა.

მიწაზე დავჯექი, თბილი ქურქი გავიხადე და ბავშვი შევფუთე. ზურგი მთლად სველი მქონდა, ხელი მოვისვი, სისხლი, – დავჭრილვარ.

– ჩემი ბიჭი, ჩემი ედიკი, ჩემი ერთადერთი, ჩემი სიცოცხლე. ეს შენ ხარ, ეს შენ ხარ! აყვირდა საიდა აფხაზურად, ქართულად, რუსულად და იმდენ ხანს იყვირა, სანამ ხმა არ ჩაუწყდა.

– ან, აან! დედაა! აყვირდა კობა, სკამიდან წამოიჭრა და გისოსებს მივარდა, საიდას გამოწვდილ ხელებში მოექცა, ქალთან ჩახუტებას ცდილობდა, გისოსებს ერკინებოდა, თავს ურტყამდა.

რამდენიმე წამში დამსწრე ქალბატონებმა ბავშვი საიდას მოაშორეს, მის დამშვიდებას შეუდგნენ.

დარბაზში ყველა ტიროდა, გარდა სანდროსი, რომელიც ამ საოცარ სანახაობას თითქოსდა გულგრილად, განწირულის თვალებით მიშტერებოდა.

თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა.

საანდრო ცხაურთან მივიდა, ოფიციალური სახელით ცივად მიესალმა საიდას და გაშორდა. მერე შეეცადა ბავშვის ხელში აყვანას, მაგრამ იგი არ დანებდა.

კობა ტიროდა, კოტრიალობდა იატაკს კაწრავდა ფრჩხილებით.

ვითარება ოდნავ დაწყნარდა. სანდრო კობას გვერდით მიუჯდა, დაიხარა და ხმადაბლა უთხრა: „უნდა გავმაგრდეთ, განა კაცები არა ვართ? იქნებ შენ ნამდვილი დედა გყავს, ბავშვებს დედები უფრო სჭირდებათ, მე ხომ ყოველთვის შენთან ვიქნები!“

კობა კიდევ უფრო ხმამაღლა ატირდა.

ვიღაცამ სანდრო ცხაურისკენ მიაბრუნა. გისოსებიდან საიდას გამოწვდილი ხელები სანდროს მუდარით იწვევდნენ თავისთან.

სანდრო ლასლასით მივიდა ცხაურთან, ხელზე ეამბორა ქალს, რომელმაც მისი თავი და ტანი ორივე ხელით თავისკენ მიიზიდა.

საიდა ქართულად და აფხაზურად ლოცავდა მას და ხმამაღლა მოთქვამდა.

თანდათან დაწყნარდა საიდა, თუმცა ჯერ კიდევ შეშლილს ჰგავდა.

ერთ საათში სასამართლომ მუშაობა გააგრძელა.

სანდრო ტრიბუნას დაუბრუნდა. იგი ჩვეულებრივ, ვალმოხდილ სანდროდ, ქართველ მამაკაცად იქცა:

– გათენდა. ჭრილობა დამიმუშავეს, შემიხვიეს.

შეშინებული ბიჭი სხვებს არ დავანებე. ჩვენებს ლაბრა აუღიათ, დიდძალი ტექნიკა და ტყვია-წამალი ჩაუგდიათ ხელში. აფხაზებს 20 კაცი დაუკარგავთ, უმეტესობა ჩამოსული, წვერიანი და თავწაკრული. ჩვენი 13 ჯარისკაცი დაღუპულა, ორმოცდაათზე მეტი დაჭრილი გვყავდა.

ჭრილობა საკმაოდ მძიმე გამოდგა, ფილტვი მქონდა გახვრეტილი. ჩვენი ხალხი წავიდა ბავშვის ვინაობის დასადგენად და მშობლების საპოვნელად. ძებნა უშედეგო გამოდგა.

ბავშვი, რომელიც შიშისაგან ხმას არ იღებდა და თითქმის არ ჭამდა თურმე, თბილისში ჩამომიყვანეს.

ის სახელს არ ამბობდა, ამიტომ კობა დავარქვი და ახლობლებთან გავაგზავნე. მე კიდევ ორი თვე დავრჩი საავადმყოფოში.

კვირის თავზე კობა მომიყვანეს. არ მშორდებოდა, სწრაფად სწავლობდა ქართულს, გათამამდა.

მოგვიანებით ოჩამჩირედან შემატყობინეს, რომ იმ საზარელ ღამეს ბიჭის ორი ბიძა, უცოლშვილო ახალგაზრდები, დაღუპულან. ბავშვი გვარად ლოგუა ყოფილა. ისიც მითხრეს, რომ ომში გამოჩენილი მამაცობისა და ბავშვის გადარჩენისთვის ნაწილის ხელმძღვანელობას ვახტანგ გორგასლის ორდენზე წარვუდგენივარ.

მინდა ისიც ვთქვა, რომ ქალბატონი ხათუნა, მაპატიეთ, საიდა, ისე შეცვლილა, წელში გატეხილა, რომ ქუჩაში ნამდვილად ვერ ვიცნობდი. როცა კობამ მითხრა, დღეს ვიღაც ქალმა ქუჩაში გამაჩერა და გვარი მკითხაო რუსულად, შევშფოთდი. დიდხანს ვეძებდით მე და კობა.

ბავშვის თქმით, საიდან სამი თუ ოთხი თვე ცდილობდა კობასთან დაახლოებას, ყოველდღე ახერხებდა შორიდან მის ნახვას, სკოლასთან ყოფილა ატუზული.

ახლა მძიმე დროა, მოგეხსენებათ, ქვეყანას მრავალი მტერი ჰყავს, მეც მხოლოდ ამ ბიჭით ვცოცხლობ, ამიტომაც მივმართე სათანადო ორგანოებს. მხოლოდ სასამართლოში გამოძახების შემდეგ გავიგე, რომ საიდა ნახევარი წელიწადია ციხეშია, მის საქმეს სწავლობდნენ მისივე აღიარებისა და ოჩამჩირეს რაიონის დევნილი გამგეობის მწირი მონაცემების საფუძველზე.

თავმჯდომარემ რაღაც გადაულაპარაკა პროკურორს და სიტყვა საიდას მისცეს.

საიდა წელში მოხრილი, გაფითრებული მივიდა ტრიბუნასთან.

– სანდრომ რაც აქ თქვა, ყველაფერი სწორია, ჩათვალეთ, რომ ის რაც მე შემეხებოდა, მხოლოდ უნდა გავიმეორო, ამასთან მიჭირს საუბარი ქართულად, თუმცა ძალიან მინდა, მეშინია თარჯიმანმა ზუსტად ვერ გამოხატოს ჩემი სათქმელი. მე დედა ვარ, გამიგეთ. მეშინია ბიჭი არ დავკარგო!

– იქნებ გადავდოთ სხდომა ხვალისთვის, ბრძანა თავმჯდომარემ.

– არა, გთხოვთ დღესვე დამთავრდეს, ვიცოდე ბედისწერის განაჩენი...

– განაგრძეთ, ჩაილაპარაკა მოსამართლემ.

– ობლობაში გავიზარდე. ქართველი და აფხაზი ბებიები მზრდიდნენ. საკმაოდ კარგად ვსწავლობდი. მოსკოვში გამგზავნეს

სასწავლებლად. ფსიქოლოგი ვარ. ოჩამჩირეში ყველა ქართული და აფხაზური ოჯახი ნათესავად ვერგებით ერთმანეთს, ამიტომ უხუცესებმა ილორში დაიფიცეს არ ესროლათ ერთმანეთისთვის, შეენარჩუნებინათ ეგრეთწოდებულ ნეიტრალიტეტი. ასეც იყო მანამ, სანამ უცხოტომელები არ გამოჩნდნენ ჩვენს სოფლებში.

კოჩარა გამორჩეულად დასაჯეს. ეს გაფრთხილება იყო ოჩამჩირელი ქართველების და აფხაზებისთვის. ძალზე გაუჭირდათ აფხაზებს, უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ ადამიანები და ამას ქართველებს აბრალებდნენ. თქვენთვის ძნელია იმისი წარმოდგენაც, თუ რა დღე აყარეს ურჩ აფხაზებს. რა უნდა დაუცველი ადამიანების დაშინებას. მე, როგორც სხვა მრავალი აფხაზი ქალი, მაიძულეს მზვერავი, დივერსანტი, სნაიპერი გავმხდარიყავი. მეუღლემ და მაზლებმა ბავშვთან ერთად აფხაზეთიდან წასვლა შემომთავაზეს, მაგრამ ვერ მოახერხეს, დაგვიანებული იყო.

მე ყველაფერი შემეძლო, გამომდიოდა, მაგრამ როგორც ქართველები და აფხაზთა უმეტესობა, მეც ყველაფერს სანახევროდ ვაკეთებდი, თუმცა ვოლონტერებმა დისციპლინის ყოველ სერიოზულ დარღვევაზე სიკვდილით დასჯა დაგვიდგინეს, რამაც სხვა არჩევანის წინაშე დაგვაყენა. ქალაქში ქართველებზე ვაგროვებდი მონაცემებს, ვსნაიპერობდი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, არავინ მომიკლავს, დაჭრით კი, რამდენიც გნებავთ.

ამ მიზნით წამოვიწყეთ ფლირტი, როგორც შემდგომ გაირკვა, მეტად საინტერესო ადამიანთან მხატვართან. მე ქალი ვარ, აკვანში დანიშვნით გამათხოვეს, მაგრამ მეუღლისთვის არ მიღალატია, თუ ღალატად არ ჩამითვლით, რომ სანდრომ ჩემში ბევრი რამ შეცვალა ადამიანური თვალსაზრისით. ილორში სანდროს გავანდობდი საიდუმლოს და ჩემს მეუღლეს წავუყენებდი ულტიმატუმს, რომ ბავშვთან ერთად რუსეთში გადავსულიყავით. ვიფიქრე თბილისზეც, მაგრამ ასე მეგონა, შემდგომ აფხაზეთში ვერ დავბრუნდებოდით. ბევრი აფხაზი ომს განერიდა და რუსეთში გაიქცა, მაგრამ ვისაც მისწვდნენ უკან დააბრუნეს, ვისაც არა, მათს ნათესავებს შავი დღე აყარეს...

ლაბრის ცივმა ღამემ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. როცა შევიტყვე, რომ ქმარი და მაზლი ქართველთა ხელით დაიღუპნენ, ბავშვი ბებიას დავუტოვე და კაცების დასახმარებლად წავედი. თავი მეზიზღებოდა, სიკვდილი ბედნიერებად მიმაჩნდა. იმ ღამეს მე არავინ დამიზოგავს, შური უნდა მეძია ყველაზე! ენიკის გამოჩენამ შაშხანა დამაგდებინა და საფარიდან გამომიყვანა. მაშინვე დავიჭერი ბარძაყში. ორივე ქვედა კიდური ჩვარივით მეკიდა სხეულზე... მერე ჯარისკაცი გამოჩნდა და ბავშვი გაიყვანა

სასაკლაოდან. მეგონა ვინმე ჩვენიანი იყო, თორემ ქურთუკში პისტოლეტიც მქონდა და ამ კაცს უთუოდ მოვკლავდი. რა ვიცოდი, რომ სანდრო იყო. იმ ხორცსაკეპში რას გაარჩევდი!

ჩემთვის, რუსეთში გაზრდილის და დედაქალაქისგან თითქმის მოწყვეტილი ქალისთვის, თბილისელი ქართველისგან ასეთ კეთილშობილებას, ბავშვისთვის თავგანწირვას, როცა მისი და მისი მეგობრების სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. ასე მხოლოდ უფლის ანგელოზები იქცევიან ალბათ. გგონიათ ამას ბევრი დაიჯერებს აფხაზეთში? ო, რა ადვილია სხვისგან დაუძინებელი მტრების ხატის შექმნა. ასე მოუვა ყველას, ვინც უფროსებს არ დაუჯერებს. აკვიატებად მეჩვენებოდა ბებიების ახირება, რომ ქართველები და აფხაზები ძალზე ახლობლები ვართო, თუმცა შემდგომ ამაზე ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ომმა და შიშმა ამიბნია გზა და კვალი.

ქალი გაშეშდა, ტიროდა.

კობა კვლავ გაექცა მამას, იგი საიდას კაბას ჩაებღაუჭა.

თავმჯდომარემ კვლავ გამოაცხადა შესვენება.

ნახევარ საათში სასამართლომ სხდომა განაახლა.

– მოსკოვში გადამიყვანეს, იქ დიდხანს დავრჩი. ახლობლები მეუბნებოდნენ გადაწეული იყავიო.

მოსკოვიდან ჩამოსულს დედამთილ-მამამთილიც დასაფლავებული დამხვდა, სახლი დამწვარი. მეგრულად და აფხაზურად ვიგლოვე ისინი. ქმრის და ახლობლების საფლავები მოვაწესრიგე და სოჭში გადავედი. მუშაობა დავიწყე. ვის არ მივწერე ბავშვის თაობაზე, მაგრამ ამაოდ. ბოლო იმედი წითელი ჯვარი იყო, მათაც ვერაფერი დაადგინეს. ასე გადიოდა წლები და ფიქრში გათენებული უძილო ღამეები. სიკვდილი მინდოდა, მაგრამ ბიჭზე დარდი მაკავებდა, ვგრძნობდი, რომ ცოცხალი იყო.

მერე სანდრო გამახსენდა. იქნებ მიმეგნო მისთვის, თუმცა მისი გვარი არ ვიცოდი, მაგრამ მხატვარი სანდრო უთვალავი ვერ იქნებოდა. ასე მოვხვდი თბილისში, სანდროს მისამართი დავადგინე, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დადგა, როცა მითხრეს, რომ სანდრომ ბავშვი ჩამოიყვანაო აფხაზეთიდან და იმასაა გადაყოლილიო.

სანდროს მიმართაც გამიჩნდა ეჭვი, ბავშვი უნდა მენახა. იგი თუ ჩემი ენიკი იყო, ყურის ნიჟარას ძირში პატარა შავი წინწკალი უნდა ჰქონოდა. ამიტომ დავდევდი კობას, ვერ მოვიხელთე. შემდეგ ციხეში აღმოვჩნდი...

თავმჯდომარე:

თქვენ აღიარებთ წაყენებულ ბრალდებებს, რაც პროკურორმა ბრძანა და რაც გამოძიებამ დაადასტურა?

–„ვაღიარებ, ვაღიარებ ჩემსას და თქვენსაც, ყველას დანაშაულს, ვინც ქართველები და აფხაზები გადაგვამტერა. ვაღიარებ, რომ ვიყავი სნაიპერი, ვჯაშუშობდი, მაგრამ მე ოჯახის ერთგული ქალი ვარ და ჩემი უქმრო მეგობრებივით „დროის სატარებლად“ ქართველთა სამხედრო ნაწილებში არ შევსულვარ, არავისთან მიმეგობრია, თუმცა ბევრი შეთავაზება მქონდა თქვენებისგან, მათ შორის ოფიცრებისგან; დივერსიული აქტი არ ჩამიდენია, არავინ მომიკლავს, რაც მომდგამს ობლის ბედიდან და არა ჩემი პაციფიზმიდან. რაა ამაში საკვირველი, როცა მთელი ერი, ქვეყანა ომშია, ქალებიც უნდა დაუდგნენ გვერდში მამაკაცებს!

– რა ხდებოდა ლაბრაში, თქვენი აზრით, რამ აიძულა ქართული სარდლობა ღამის ოპერაციის რისკზე ნაჩქარევად წასულიყო? შეეკითხა პროკურორი.

– აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობამ დავალება მიიღო, რომ რამდენიმე დღეში ოჩამჩირესთვის დაერტყა და ზღვაზე გასულიყო. ეს ადვილი არ იქნებოდა, ამიტომაც ძლიერ დაჯგუფებას უყრიდნენ თავს ლაბრის მაღლობებზე, კარგად ნიღბავდნენ. იყო სხვა ჩანაფიქრიც, გალიდან დესანტი შეიგზავნა, მაგრამ, თუ არ ვცდები აჩიგვარაში, გალის მილიციამ ჩვენები ააფეთქა და ოცამდე აფხაზი დაიღუპა.

ვფიქრობ, ქართველები მიხვდნენ ჩვენი სარდლების ჩანაფიქრს, ან ვინმემ გაგვცა, ჩვენებშიც იყვნენ თქვენები!

– თქვენ ახლა „ვისიანი“ ხართ? ნახევრად ხუმრობით შეეკითხა თავმჯდომარე.

– მე არასოდეს არ ვიყავი ვინმესი. ახლა მხოლოდ ჩემი ბიჭისა ვარ, რომელიც ამხელა გაზრდილა. მე ვიცნობ თქვენს კანონმდებლობას: შეგიძლიათ უვადო პატიმრობა მომისაჯოთ ან 15-20 წელიწადი, მეტიც, ნაკლებიც, დარბაზიდანაც გამიშვათ. მე ეს არ მაღელვებს, მე ყველაფრისთვის მზად ვარ, რადგანაც ბიჭი ცოცხალია, ჩემი და ჩემი მეუღლის სისხლი გაგრძელდება, თანაც კობა საიმედო ხელშია. ეს კი მე, სისხლით და ხორცით აფხაზს და ქართველს ერთბაშად, უკვდავების გარანტიას მაძლევს. დაე, ყველამ გაიგოს, რომ ნებისმიერი სკამი, უამრავი ფული და სხვა, რისთვისაც იწყებენ ომებს უმთავრესად, ჩემი და თქვენი შვილების ერთ კურცხლად არ ღირს.

მან ეს ფრაზები მოკლედ გაიმეორა აფხაზურად და რუსულად.

– ომი ჩვენისთანებისთვისაა უბედურება. ბევრი მარტოსული გახდა. არც ქმარი, არც შვილი, არც სახლ-კარი, არც მომავალი, მხოლოდ ძაძები, სანამ პირში სული უდგათ. აი, ეს არის ომი ჩვენთვის, განსაკუთრებით ქალებისთვის, თუმცა იგი საშინელებაა ყველა ნორმალური ადამიანისთვის. ბრძოლებში კაცები იღუპებიან უმთავრესად. იმ ღამეს ათეულობით ვაჟკაცი ჩაწვა, რამდენიმე ათეული ხეიბრად იქცა ორივე მხარეს. მე, ცოტა რამ წამიკითხავს ჩვენი ისტორიიდან და ყოველთვის ვიცოდი, განსხვავებით რუსი, ჩეჩენი, კაზაკი თუ სხვა ჩამოთრეულისგან, რომ ომში თქვენები, როგორც ჩვენები ტოლს არ დაუდებენ არავის თუ საამისოდ ნამდვილი მიზეზი გაუჩნდათ. ლაბრაში იმ ღამეს ვოლონტერებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს, ჩემებმაც!

მაპატიოს სანდრომ, თავიდან იგი თბილისელი დარდიმანდი და დედიკოს ბიჭი მეგონა, რომელიც პეიზაჟებს დაეძებდა აფხაზეთში. მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ იგი ნამდვილი ადამიანი და თავმოყვარე ქართველია...

საიდამ სიტყვა დაასრულა.

შემდეგ ვექილებს და მოწვეულებს, ექსპერტებს მისცეს სიტყვა. საქმესთან დაკავშირებით ვექილებმა აზრთა სრული იდენტურობა გამოხატეს, ექსპერტებმა საიდას ქმედებებში ზოგიერთი მამხილებელი დოკუმენტის სიზუსტე და მოპოვების წყაროები საეჭვოდ მიიჩნიეს.

საბოლოო სიტყვა საიდას და სანდროს მისცეს.

საიდამ ერთი ფრაზი თქვა, იქნება ისე, როგორც უფალს უნდაო!

სანდრო გიჟს ჰგავდა:

– მე ვიცი, რომ შვილი დედას ეკუთვნის, ამიტომაც იგი, სიცოცხლის რისკით ჩამოვიდა თბილისში. მე გამიჭირდება კობას გარეშე, თუმცა იგი ყოველთვის მეყვარება. მეცოდებოდა, თითქმის მარტომ გავზარდე, შემიყვარდა, არც არაფერს ვაკლებდი; მისი მშობლების გამოჩენის იმედი მქონდა მეც ვეძებდი მათ, წითელი ჯვარი ვერაფერს გახდა, თუმცა ცდა არ დაუკლია. ხატვას თითქმის დავანებე თავი, რას დავხატავ მასზე უკეთესს? ისე შემიყვარდა და მიყვარს, რომ დედინაცვალი არ გავუჩინე. ახლა იგი დიდი ბიჭია, დაე, დამშვიდდეს და თვითონ გააკეთოს არჩევანი...

– მოსამართლემ ბრძანა, თუმცა კობას შავი ხალი აქვს, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ცალკე განსჯას მოითხოვსო. ახლა კი იყოსო ისე, როგორც ადრე იყო; დროა მსაჯული და ჩვენი ჩარევა, იქნებ, არც გახდესო საჭირო.

სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა.

კობას ერთ ხელში სანდროს ხელი ეკავა, მეორეში საიდასი გისოსიდან. ან!. . აბა! (დედა, მამა აფხაზურად), ჟღურტულებდა ბიჭი.

სასამართლო დაბრუნდა.

თავმჯდომარემ დაიწყო წესით და რიგით:

„საქართველოს სახელით 1997 წლის, თვის, რიცხვს განვიხილეთ ეს და ეს საქმე, მხედველობაში მივიღეთ ბრალდებულის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, ომის ვითარება, სასამართლო განხილვაზე გამოვლენილი სრულიად ახალი გარემოებანი და გადავწყვიტეთ:

– ბრალდებულს, საქართველოს მოქალაქეს აფხაზეთიდან, საიდა, იგივე გვანცა, იგივე ხათუნა ლოგუას მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან წინასწარი პატიმრობის ჩათვლით გათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან;

– ვინაიდან შეილის, დოკუმენტების მიხედვით დღემდე კობას, იგივე ენიკის მშობლისადმი მიკუთნების საკითხი სასამართლო განხილვაზე არ წამოჭრილა, ღიად იქნას დატოვებული რომელიმე მხარის მიერ სარჩელის შემოტანამდე“.

სასამართლო პროცესი დახურულად გამოცხადდა, მაგრამ თავმჯდომარის ბოლო სიტყვები არავის გაუგონია. დარბაზში, რომელიც ცნობისმოყვარეებით გადაივსო, ყველა ულოცავდა ერთმანეთს.

გვიანი იყო, ძლიერ წვიმდა. სანდრომ ტაქსით გამგზავრება შესთავაზა საიდას თავის ბინაში, ასევე, კობასაც.

კობამ უცნაურად შეხედა მამას.

საიდა შეყოვნდა, მერე სანდროს უზარმაზარი ქოლგა გაშალა და მამა-შვილს ფეხით გასეირნება შესთავაზა, ისე, როგორც ეს მიღებული იყო წვიმიან აფხაზეთში.

იმ ღამეს დედ-მამას კობამ უმასპინძლა.

გავრცელდა ხმა, რომ მათივე თხოვნით სანდრო, საიდა და კობა, ხელისუფლების თანადგომით, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, გადავიდნენ და კარგად მოეწყვნენო.

ამბობენ, რომ მათი ოჯახი უბედნიერესიაო დედამიწის ზურგზე.

იმასაც ამბობენ, რომ ისინი უკვე დაბრუნდნენ თბილისში, სანდრო კვლავ ხატავს, საიდა ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს, კობა დამამთავრებელ კლასში სწავლობსო.

თბილისი, 14 აგვისტო, 1996 წ.

სვირინგიანი ქალი

2003 წლის ბოლოს, საღამოს, ORT-ემ გაავრცელა ვიდეო ინ-ფორმაცია სამხრეთ რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის წევრის, კავკასიური იერის ახალგაზრდა ქალის ლიკვიდაციის შესახებ, რომელსაც სხეულზე აღმოაჩნდა მრავალი ნაიარევი, მუცელი მოხატული ჰქონდა სვირინგებით.

ინფორმაციას თან ახლდა უჩვეულოდ ლამაზი ქალის ვიდეო კადრი.

ოთახში, ბევრნი ვიყავით, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი არავის გამოუჩენია. ამჟამად ვის გააკვირვებ მსგავსი ფაქტებით, მით უფრო დევნილებს, რომელთაც ერთი საზრუნავი აქვთ - სად და როგორ მოიპოვონ ლუკმაპური, არჩინონ ოჯახი.

ქალებმა და ბავშვებმა სატელევიზიო არხი გადართეს. ბრაზი-ლიური თუ არგენტინური ფილმები მათ შვებას ჰგვრის; სამართ-ლიანობა, პატიოსნება, ღატაკთა გამდიდრება, მოძალადეთა და-მარცხება და ათასი სხვა, ისეთი მიმზიდველი რამეა, რომ გინდა და გინდა მსგავსი სასწაულებით დაიმშვიდო თავი, წუთიერად მაინც დაივიწყო გაუსაძლისი ყოფა.

ინფორმაციამ შემძრა, გამაოგნა.

ეს უჩვეულოდ ლამაზი, მეტად ახალგაზრდა, ქალიშვილი თითქოს სადღაც მენახა, მისაუბრია მასთან კიდეც. ვერ გავიხსე-ნე, – ძვირფასი ქურქი, მაკიაჟი, ქერა თმა, თეთრი ყირმიზი სახე, მრგვალი ნიკაპი, ოდნავ გაბუტული, საკმაოდ ბავშვური ტუჩები, მაღალი ყელი, კოპწია ქართული ცხვირი ოდნავ სლავური მინარე-ვით – კადრიდან მიღებული შთაბეჭდილება იყო, მაგრამ, ჩემთვის რატომღაც ძალზე ცოცხალი, ნაცნობი, მშობლიური. უფრო მე-ტიც, თვალის უპეთა ჭრილები, მოხაზულობა, წარბების ფორმა და, წარმოიდგინეთ, უსაშველოდ გრძელი წამწამებიც კი, რატომღაც მეტად მახლობელ და ნაცნობ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ამ სატელევიზიო ინფორმაციაზე ტელეფონით ვესაუბრე ჩემ მეგობარ ნინოს.

ვერ გაიხსენა, ეტყობა, გამორჩა, ან პროფესიულ ეთიკას იცავ-და.

ნინო მრავალისმნახველი და ნიჭიერი იურისტია. როგორც ექსპერტს მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა აფხაზეთში გენოცი-დისა და ეთნიკური წმენდის თაობაზე გამოძიებაში. უპირატესად მას მაშინ იწვევდნენ, როცა სამართალდამცავებს ქალებთან და მოზარდებთან უწევდათ მუშაობა. კარგი მეხსიერების წყალობით ნინოს მრავალი მსხვერპლის სახე, აღნაგობა, სულიერი მდგომა-

რეობა, ყოველი მსხვერპლის ხასიათის თითქმის შეუმჩნეველი თვისებები ახსოვდა. ვიცოდი რა ეს, ვთხოვე, გაეხსენებინა მისთვისაც ამაზრზენი, ნორმალური ადამიანისთვის ძნელად ასახსნელი და წარმოსადგენი მოვლენები, რაც ოჩამჩირეს რაიონის სოფელ ახალდაბაში 1993 წლის ოქტომბერში მოხდა.

ნინოს ამ ფაქტის გახსენება არ უნდოდა, მაგრამ ქალის ნიშნების დეტალურმა აღწერამ დააინტერესა, თუმც დახმარებას უხალისოდ დამპირდა.

მე კი ახალგაზრდა ქალის, ჯერ კიდევ ბავშვის ბედი არ მასვენებდა. თითქოს გავიხსენე, – აფხაზეთის დაცემიდან მეორე თუ მესამე შემოდგომას, მე და ჩემი მეუღლე უზარმაზარი, უქსოვადი ქსოვილისგან შეკერილ ჩანთებს მივათრევდით მეტროს სადგურში. მესამედ ვიცვლიდით ბინას, მთელი სარჩო-საბადებელი და ბავშვების ტანსაცმელი გადაგვქონდა ქალაქის მეორე ბოლოში მდებარე უფანჯრო პაწაწინა ოთახში. თითები, მძიმე ჩანთის წვრილი სახელურით დასისხლიანებული მქონდა, ამიტომ მეტროს დაღმავალ ესკალატორზე შემოვდე ტვირთი და ინსტინქტურად, ძაღლური ლოკვით ვცდილობდი დაჟეჟილი თითებისა და ხელისგულების ჩაწყნარებას.

მეტროს თითქმის ბნელი დარბაზის ამომავალი ესკალატორიდან დავლანდე მოზარდი გოგონების ჯგუფი. პარალელურ ხაზზე, ორი თუ სამი კიბის მოშორებით, სამი გოგონა იდგა, საუბრობდნენ. შევხედე, რადგანაც იერით აფხაზელ ქართველებს ჰგავდნენ, ამასთან ძალზე ლამაზები იყვნენ, განსაკუთრებით შუთანა, რომელზედაც სხვებს ხელკავი ჰქონდათ გაკეთებული. სკოლის ჩანთები არ მატყუებდნენ – ესენი მოსწავლეები იყვნენ. ესკალატორის სასწაულით გადარჩენილ ერთი ლამპიონის შუქზე ელვარებდა მათი თეთრი სახეები, მაყვლისფერი შავი თვალები, შავი თმები. შუანა კიდევ რაღაცით იყო გამორჩეული, იქნებ უჩვეულოდ მაღალი ფეხებით და მოკლე ქვედატანით; ეტყობა ამიტომაც შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

ახალი წლის წინა დღეებში ნინომ დამირეკა, შეხვედრა მთხოვა.

სასტუმრო „ივერიის“ წინ შეხვდით, ტიროდა.

– ის ეკაა, ჩემი ეკატერინე, აფხაზეთში, ახალდაბაში ჯვარცმული ეკა. ნინომ გაიხსენა ერთ-ერთი შეხვედრა აფხაზეთელ უდედმამო – მოზარდებთან, რომლებიც აშშ-ს რომელიღაც სარეაბილიტაციო ცენტრის დახმარებით ჩაურიცხავთ ცეკვისა და სიმღერის რომელიღაც ანსამბლში, სადაც ფიზიკური მონაცემებითა და ნიჭიერებით გამორჩეული ეკა წამყვანი ფიგურა გამხდარა.

ჩემი მეხსიერება ამუშავდა. აღვადგინე გაყინული დარბაზი, აფხაზელი **ბავშვები, ანსამბლი. იქვე იყო ნინო, რომელმაც ბავშვ**ების მიერ ერთ-ერთი ბრწყინვალედ შესრულებული საცეკვაო ნომრის შემდეგ, განზე გამიხმო და გოგონების ჯგუფი გამაცნო: „აი, აფხაზეთის და საქართველოს ყვავილებიო“, თუმცა მათს ტრაგიკულ წარსულზე მაშინ არაფერი უთქვამს.

მე მათ მოვეფერე, ნიჭი და ოსტატობა შევუქე. ეკაც იქ იყო, სიცივისგან მთლად გათოშილი, მაგრამ ნომრის გმირი, რომელშიც ანათებდა ბუნებისაგან უხვად ბოძებული მშვენიერება, შეპარული ქალური სიმწიფე.

ციოდა. ნინო დამპირდა, რომ, დაინტერესდებოდა ეკას ბედით, ნაცნობების და ახლობლების მეშვეობით, რომლებიც მას ჰყავდა რუსეთში, შეეცდებოდა ყველაფრის დადგენას.

ფეხით უნდა გაგვევლო – არც მეტრო, არც ტრამვაი არ მუშაობდა; ვცდილობდი **ახალდაბელი ბავშვების ტრაგედიაზე მასალებ**ის მოპოვებას და ნინოს არ შევეშვი, მინდოდა მისგანაც ცოტა რამ მაინც გამეგო ტყვე ქალთა და ბავშვთა ბანაკზე, გოგონების ბედზე.

ნინო უხალისოდ ჰყვებოდა, შემდეგ გაღიზიანდა, მეც, როგორც მამაკაცი, თითქოს დამნაშავედ ჩამთვალა და მოურიდებლად მომახალა:

– ღირსეული მამაკაცები, რაც არ უნდა მოხდეს, ქალებს და ბავშვებს მტერს არ უგდებენ ხელში. ასე იყო საქართველოში ოდითგან. თქვენ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაგიცნობიერებიათ, რომ გამარჯვებული დამარცხებულს ყველაზე დიდ ტკივილს მათი ქალებისა ბავშვების დაუფლებით აყენებს. ეს ყველაზე სასტიკი სასჯელია თქვენთვის, მამაკაცებო. თქვენი უთავო ომები უმთავრესად ქალების უბედურებაა...

– სამწუხაროდ, აფხაზეთის ისტორიისთვის სამარცხვინოდ და ჩვენდა საუბედუროდ, მხეცებმა უმანკო ბავშვები სკოლის შენობაში შეჰყარეს და გაუგონარი სისასტიკით აწამეს, მესამე კლასელებიდან დაწყებული ყველა ტყვე გოგონას ნამუსი ახადეს, ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენი გარყვნილობით გააუპატიურეს, ფსიქიკურად დაამახინჯეს, მათი სიცოცხლის **საზრისი კაცობრიო**ბისადმი ზიზღად აქციეს;

– ბავშვების, საერთოდ მსხვერპლთა უბედურება ისიცაა, რომ დამნაშავეები ამაზე არ აგებენ პასუხს. აქ იურისპრუდენცია თითქმის უძლურია, რადგანაც ქალები, გოგონები, მათი მშობლები, ახლობლები არავის, მით უფრო მართლმსაჯულებს არ გაუმხელენ სიმართლეს, არავის გაანდობენ დეტალებს, წვრილმანებს;

არც იმას გავიგებთ ოდესმე, თუ რა ხდებოდა იმჟამად აფხაზეთში ქალების, ზოგჯერ კაცების მიმართაც და რაც დღემდე ხდება. მტკიცების მოპოვება სხვა გზითაც შეიძლება, მაგრამ მოწმეც არასოდეს გეტყვის რაც იყო და, ამდენად, თუნდაც შემდგარი საერთაშორისო სასამართლოც (რაც მეტად მეეჭვება!) ვერაფერს გახდება აღიარების გარეშე, მით უფრო მწირი მოწმეებით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უძლურია. ომში მამაკაცთა ყველაზე ულმობელი ძალადობის მსხვერპლი ქალია, მაგრამ ნამდვილი სასჯელი ძალზე იშვიათია, მით უფრო ჩვენი მენტალტეტის ხალხში.

მაშ სადაა გამოსავალი? - მიამიტური კითხვა დავუსვი ნინოს. ნინომ ლამის დამარცვლით მომიგო:

– არ არის საშველი, არც იქნება. ეს ანგელოზები მთელი ცხოვრება სიცოცხლემისჯილები იქნებიან, იარსებებენ ვირტუალურ სამყაროში, სხვა განზომილებაში, მტრობით და ზიზღით კაცთა მოდგმის მიმართ;

– იქნებ ზოგიერთ მათგანს ფორტუნამ უწყალობოს, კარგი კაცი შეხვდეს, შეუყვარდეთ და მიიღონ „პატიება," შვილებიც გააჩინონ, საქმეს მოჰკიდონ ხელი. ვინ იცის, დრო, გარემოა ყველაფრის მკურნალი. იმედს მაძლევს ის, რომ ახლა ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს ამ პრობლემაზე, კარგ საქმეს აკეთებენ, ვნახოთ;

– უეჭველია, რომ მათი უმეტესობა არც საკუთარ თავს და არც მთელ სამყაროს არასოდეს აპატიებს მათ მიმართ ჩადენილი ცოდვის, ბოროტების სიმძიმეს, ზოგიერთი მათგანი შურისძიების გზას დაადგება, მიაღწევს კიდეც ან დაიღუპება;

– ამბობენ, რომ მეცნიერები, ფსიქოლოგები, სამართლის თეორეტიკოსები შურისძიების, სამაგიეროს გადახდის ინსტინქტს ახსნას ვერ უძებნიან, ამიტომაც ამოუცნობ, შეუსწავლელ ადამიანურ ფენომენთა კატეგორიას მიაკუთვნებენ. მსხვერპლისთვის, ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, უპირველესი შურისძიება, უბრალოდ, სამაგიეროს მიგებაა...

მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენი ბავშვების ბედი სულ სხვანაირად წარიმართება, შევაწყვეტინე მე.

* * *

ახალდაბის ქალთა და ბავშვთა კოლონიაზე ზოგი რამ ცნობილია საზოგადოებისთვის, უპირველესად იმათთვის, ვინც ტყვეთა ამ საზარელი ბანაკით თავიდანვე დაინტერესდა.

19-20 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე, ბოევიკებმა სოფელი ახალდაბა ალყაში მოაქციეს. სკოლაში მასწავლებლები, ქალები,

ბავშვები და მოზარდები, დაახლოებით 300 ადამიანი, შეყარეს და ოთახებში გამოკეტეს. იმასაც ამბობენ, მათი ნაწილი, განსაკუთრებით რჩეულები, მეზობელი სოფლის სკოლის შენობაში გადაიყვანეს, ხოლო დანარჩენები დახვრიტესო.

ძნელი დასადგენია **ბოევიკის ეროვნება: მათ შორის იყვნენ აფხ**აზები, რუსები, კაზაკები, ჩეჩნები, ჩერქეზები, ადიღები, სომხები, კიდევ ბევრი სხვა; ისინი იმჟამად ადამიანები არც იყვნენ, იყვნენ თოფიანი, იარაღიანი, **გამარჯვებული ორფეხა არსებები ყოველ**გვარი ზნეობის, ადათის, წეს-ჩვეულების, ტრადიციის, დროის, სივრცის და გონის გარეშე.

სკოლის მეორე სართულზე იმართებოდა უთავბოლო ღრეობა, შეჯიბრება კაცზე მიზანში სროლაში, ორგიები, მთვრალი გასვლები სოფლებში, რათა ყოველი ცოცხალი დაემცირებინათ ან გაენადგურებინათ.

რა თქმა უნდა, ვნების ჟინი ჰქონდათ ქალების, იქვე შეყრილი უმანკო გოგონების, ბავშვების, მათი ახალგაზრდა მასწავლებლების მიმართ.

ჯგუფის უფროსები პირველ სართულზე ჩავიდნენ ქალების მოსანიშნად. პირველ დღეს ათი შეარჩიეს, შემდეგ კიდევ ამდენი, შემდეგ კიდევ მეტი ან ნაკლები.

ცოდვის კალო ტრიალებდა მეორე სართულზე, იყო ბრძანება: ჯერ თითოს თითო, შემდეგ გაცვლები, შემდეგ ჯგუფური, შემდეგ მამაკაცური ფანტაზიის მიხედვით. მოგვიანებით ქცევის ნორმებიც დადგინდა: მხოლოდ ტიტველი, დედიშობილა, რათა გართობასა და სიამოვნებას უფრო რომანტიკული იერი ჰქონოდა.

მოზრდილი ქალები უფრო ადვილად შეეგუვნენ გარდაუვალს. ეკა და მისნაირი 12-13 წლის გოგონები, რაკი არ ესმოდათ რა ხდებოდა და რა უნდა მომხდარიყო, ბრჭყალებით, მუშტებით, კბილებით იბრძოდნენ გონების დაკარგვამდე, ბევრი მათგანი ძლიერი დარტყმით, ხელ-ფეხის შებოჭვით, ძელზე გაკვრით, ყელზე ყულფის მოჭერით მოათვინიერეს. სისხლში ცურავდნენ მშობელთაგან ნაპატივები პატარები. შიშველ სხეულზე წყლის მისხმით ასულიერებდნენ გოგონებს მორიგი აქტისთვის, არაყს ასხამდნენ ნაკბენ მკერდზე, ყელზე, ტუჩებზე, მუშტებს, ბოთლებს ტენიდნენ სხეულში.

ვიღაცას აზრად მოსვლია ჩალის კონების შემოტანა, რათა ფიცრული იატაკი რბილი ყოფილიყო, ნაკლებ ხმაურიანი, თანაც მსხვერპლსაც არ შესცივებოდა. ჩალის ხრაშუნი წივილ-კივილსაც ახშობდა.

აჰყავდათ და ჩამოჰყავდათ გოგონები და ქალები გემოვნების, მოთხოვნილების, ასაკის, სილამაზის, თმის და თვალის ფერის მიხედვით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე ძალადობდნენ კოლექტიურად, ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ერთმანეთის ჩანაცვლებით.

მომდევნო დღეებში მთლად ნორჩებზე გადაიტანეს ყურადღება, მათთან ურთიერთობა უფრო საინტერესო ჩანდა, ბავშვური წინააღმდეგობაც ახალ-ახალ ვნებებს აღვივებდა მათში. ვიღაცამ ინიციატივა წამოიწყო – შეჯიბრება დადგენილ დროში მეტი სქესობრივი აქტის მიღწევაში პირველობის მოსაპოვებლად. დამარცხებულს პურ-მარილი უნდა ეკისრა!

ყველაზე გამორჩეულად, საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ ეკა ჩაუთვლიათ. ამდენად „მის ეკასთან“, კენჭისყრით რჩეული მეომარი ან სამხედრო რაზმის უფროსობის წარმომადგენელი უნდა მოსულიყო და მასთან „პირველობის“ დასტურად მის პრიალა ბავშვურ მუცელზე თავისი გვარი და სახელი უნდა მოესვირინგებინა მელნით შეღებილი ძაფით და ნემსით. ეს რიტუალი ტრადიციად იქცა. ასე გაჩნდა ეკას მუცელზე ორმოცდაორი სვირინგიანი ნაკვალევი ბოქვენიდან მკერდამდე.

არც იმათი ბედი ყოფილა ბევრად უკეთესი, ვინც ნარდის თამაში მოიგო მეტოქემ.

ერთ დღეს ზედა სართულის ბრძანება გაცხადდა – ქალწულად არავინ არ უნდა დარჩენილიყო. გადამალულ საცოდავ ბავშვებში სამი დაც ერია: მესამე კლასელი, მეექვსე კლასელი და ეკას თანაკლასელი, რომელთა მამა წინა დღეს დახვრიტეს სკოლის უკანა ეზოში, რათა ქალიშვილებზე არ „ედარდა.“

ბრძანება მკაცრად სრულდებოდა: უკლებლივ ყველას უნდა მიეღო მონაწილეობა ქალებთან და ბავშვებთან ორგიებში, რათა „ერთგულება და ძმობა“ თანაბრად გაენაწილებინათ, ამასთან არავინ დარჩენილიყო განზე თუ პასუხისგება მოუწვდათ იმისთვის, რასაც ჩადიოდნენ.

მოგვიანებით სხვა რიტუალებიც გაჩნდა-ახლადშემოსულ სექსუალური კინოფილმებსა და პორნოგრაფიულ სურათებში ნანახი პოზები.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ბანაკში მოულოდნელად ოთხი ჭაღარა, დარბაისელი აფხაზი კაცი და ერთი ქალი გამოჩნდა. ორი ფორმიანი ჩინოსანი იყო, ორიც კიდევ სამოქალაქო ტანსაცმელში, ალბათ მასწავლებლები.

ხმა გავრცელდა, რომ ამ მხეცობაზე ყურმოკვრით შეწუხებულმა აფხაზურმა საზოგადოებამ შეშფოთება გამოხატა და მოითხ-

ოვაო ბავშვთა და ქალთა წამების შეწყვეტა, ტყვე ქალთა ბანაკის გაუქმება. იმასაც ამბობენ, დიდი შელაპარაკება მომხდარა, იარაღის ჟღარუნამდე მივიდაო საქმე.

ამბობენ, რომ ძალადობაში მონაწილე ფორმიანი ახალგაზრდა აფხაზი მეომრები თანდათან უჩინარდებოდნენო.

ოქტომბრის ბოლოსთვის ბანაკი დახურულა, ქალები და ბავშვები ცალ-ცალკე გაუყვანიათ, მიმოუფანტავთ აფხაზეთში, ბევრი მათგანისთვის კეთილ ადამიანებს ხელი შეუწყვიათ აფხაზეთიდან გასვლაში.

ბევრი მათგანი კი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

* * *

ნინომ ბევრი რამ დაადგინა. გამანდო, რომ ეკა ადრე დაიახლოვა, მისი მეგობარიც კი გამხდარა, მასზე თითქმის ყველაფერი იცოდა.

ეკაც ენდობოდა თურმე.

– ეკატერინე უმშვენიერესი ქალიშვილი დადგა. ახლობლებმა ახალდაბაში ნაწამები და ცოცხლად დამწვარი დედ-მამის ძაძებიც ლამის ძალით გახადეს, მიყვება ნინო... უმცროსი ძმა, რუსლანი, რუსეთში ადრე გადასულა, მას იქ საკმაო ავტორიტეტი მოუპოვებია „შავების“ და „თეთრების“ აღრეულ სამყაროში.

ეკა არა მარტო ნიჭიერი მოსწავლე იყო, არამედ უზადო ფიზიკური მონაცემების მქონე, საოცარი მოცეკვავე, სცენის მშვენება.

ეკაში უცნაურობასაც ამჩნევდნენ, ზოგჯერ იგი აუტანელი ხდებოდა. მეზობელი ქალიშვილების გადმოცემით, უშუქო და უგაზო თბილისში ძლივძლივობით გამთბარ სააბაზანოში ქალთა ჯგუფთან ერთად არ შედიოდა, საკუთარ თავში ჩაკეტვას, განმარტოებას არჩევდა.

1997 წელს ეკა დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებლის სტუდენტი გახდა. მასზე ყველამ ერთი რამ იცოდა, იგი **აფხაზეთიდან იყო, უაღრესად კეთილი, ღვთის მოშიში, ამასთან**, აუხსნელი თავისთავადობით გამორჩეული; გულითადად მეგობრობდა თანატოლებთან, ძმაკაცობდა ბიჭებთან. უნატიფეს სილამაზესთან ერთად მეტისმეტად ვაჟკაცური და შეუპოვარი იყო.

მეორე კურსზე ეკას სიყვარული ეწვია. სწავლაში წარჩინებულ გოგონას არჩევანი აფხაზეთში ნაომარ, მასზე თითქმის ხუთი წლით უფროს, თბილისელ ზურაბზე შეჩერდა. ზურაბი გამორჩეული, ცნობილი ოჯახის შვილი იყო, ნაკითხი, ზრდილი, თავაზიანი, მეგობრობაში ერთგული, ქართული ტრადიციების პატივისცემით გამორჩეული.

ზურას მშობლებმა ეკა ორ ახლობელ გოგონასთან ერთად ოჯახში მიიწვიეს.

მშობლებმა, ზურას ჯიუტი მოთხოვნით, ერთ კვირაში ეკას ხელი სთხოვეს.

ეკა მინც შეშფოთებული, მეტად შეწუხებული ჩანდა. დრო ითხოვა მოფიქრებისთვის; მანამდე ზურას შესთავაზა მასთან, დევნილთა საცხოვრებელში მისვლა, რათა მის გარემოცვას, დევნილთა ცხოვრებას გასცნობოდა.

ზურაბი ეკას მეგობრებისა და ახლობლების უახლოესი ადამიანი გახდა.

ეკა ყოყმანობდა. ერთ საღამოს, ზურაბის კატეგორიულ მოთხოვნაზე, – დაქორწინებულიყვნენ, ეკამ ქალაქგარეთ სალაპარაკოდ გასვლა სთხოვა.

მცხეთაში, ერთ კაფეში, დიდხანს დარჩნენ. ეკამ მას ახალდაბის ტრაგედიის თაობაზე დანვრილებით უამბო. მხოლოდ ერთი რამის შერცხვა, ვერ გაბედა სვირინგებზე ეთქვა.

ზურამ, თითქოს ყველაფერი იცოდაო, არაფერი გაიკვირვა, მოეფერა, ლოყაზე ეამბორა და საცხოვრებლად აფხაზეთში, ახალდაბაში **დაბრუნება დაჰპირდა – დაე, ყველამ იცოდეს, ვინ ვინაა** და ვინაა ყველაზე დიდი სიყვარულის ღირსი, რა არის ბედნიერება!

ქორწილი შედგა. ეკლესიაში, რესტორანში უამრავი ხალხი იყო.

სტუმრები გვიან დაიშალნენ.

დიდებულ საძინებელ გარნიტურში ნეფე-დედოფალი მარტო დარჩნენ. ზურაბიც საკმაოდ ნასვამი იყო. ეკამ პირველად იგრძნო, რომ ის ნათრევი ბავშვი კი არა, მოწიფული ქალია, უბედნიერესი ადამიანი, აქვს ღირსეული ცხოვრების, ოჯახის შექმნის, შვილების გაჩენის უფლება.

ცისფერი შანდლების შუქზე ზურას შეხებასა და მისი ხელებში მომწყვდევის შემდეგ მას არც არაფერი ახსოვდა, – ნეტარება-ზიარებულს მკვდარივით ეძინა.

დღის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ზურას დედამ საძინებლის კარებში დააკაკუნა და ნეფე-დედოფალს სადილზე გამობრძანება სთხოვა.

ეკამ მიმოიხედა, რაღაც საზარელი წინა გრძნობა აეკვიატა. თვალში ეცა, რომ ზურაბის ლოგინი ცარიელი იყო, საბანი ალაგებული. იგრძნო, რომ კიდევ რაღაც თავზარდამცემი ელოდა.

სამზარეულო ოთახში გავიდა. დედამთილს ჩაეხუტა. ზურა იკითხა, მათ გაკვირვებულებმა შეხედეს, იქნებ ძმა-ბიჭებმა მოგვ-

პარესო, უხერხულობიდან გამოსასვლელად ისევე ზურას დედამ იმარჯვა.

უხალისოდ ისადილეს. ზურაბი არ ჩანდა. ზურაბი არც იმ დღეს, არც შემდეგ არ გამოჩენილა.

დედამ ხმა დაარხია: ზურაბი მივლინებით ამერიკაში გაფრინდა, ორი წელი დარჩა, მალე ეკასაც წაიყვანსო.

ოჯახი საიდუმლოს მტკიცედ ინახავდა. ეკას მუცელში ნაყოფი იზრდებოდა, სიყვარულის ნაყოფი.

ზურაბი არ ჩანდა. ეკას ეჭვი გაუჩნდა, რომ ზურაბი საქართველოში იყო, დედასთან ახერხებდა კავშირს, ეკაც ძველებურად უყვარდა, მაგრამ მასთან დაბრუნება შინაგანად არ შეეძლო.

ეკამ ნაყოფი მოსაკლავად ვერ გაიმეტა, თუმცა ბევრი იფიქრა და დედამთილსაც გაანდო. ახალდაბაში უამრავი სიკვდილის მნახველი ვერ დაუშვებდა ახალ, მით უფრო საკუთარი პირმშოს სიკვდილს, მისი პირველი სიყვარულის გაქრობას. მას, პოეზიაზე შეყვარებულს, შოთა ნიშნიანიძის "ძახილი" არგაბედოს ძახილით აფრთხილებდა.

ბიჭი გაჩნდა, ზურაბი დაარქვეს. პატარა მამის თვალებით და დედის ეშხით იყო დაჯილდოებული.

ეკა შესანიშნავი დედა დადგა, თუმცა მის სახეზე, ზურას გაუჩინარებიდან უნიღბო ღიმილი არავის უნახავს.

პატარა ზურას წლისთავი ზეიმით აღნიშნეს. სუფრასთან 15-20 ახლობელი და მეგობარი მოიწვიეს. თითქოს შემთხვევით, ეკამ უფროსი ზურაბის სკამი თავისუფალი დატოვა, ასე ჯობიაო.

იმ ღამეს ეკას თვალი არ მოუხუჭავს. ინსტინქტი კარნახობდა, რომ ზურამ მიატოვა, ვერ აიტანა ეკას ტრაგედიაში ერთი განსაკუთრებული დეტალი – სვირინგები ინიციალებით. ეკა ზურას არ ამტყუნებდა, მიაჩნდა, რომ მის ადგილზე ისიც ასე მოიქცეოდა.

ეკას უიღბლობის კომპლექსი კვლავ გაუჩნდა. მიაჩნდა, რომ უბედური იყო და ბედნიერება ახალდაბაში წაართვეს.

ბავშვი უკვე დიდი იყო, დედის გარეშე გაიზრდებოდა.

არჩევანი გაკეთდა: ვისი დასჯაც არც ეროვნულ, არც საერთაშორისო კანონს და სამართალს არ შეეძლო, მას უნდა დაესაჯა, თვითონ მოეყვანა აღსრულებაში მის მიერ გამოტანილი და გარდუვალად მიჩნეული განაჩენი.

* * *

ეკას ნინოსთვის დაურეკავს, ბავშვისთვის თვალყურის მიდევნება უთხოვია.

მოსკოვში, ძმასთან გადავიდა საცხოვრებლად. მისი თქმით, რუსლანს მოსკოვში ბიზნესი ჰქონდა და გავლენიან ადამიანებსაც იცნობდა.

გაუჩინარებულ ეკას ზურაბის ოჯახი გლოვობდა, მთელი კვირა მოთქვამდა ქალბატონი მერი.

ბავშვს ვერ აწყნარებდნენ, დედას ეძებდა...

* * *

მომდევნო წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ნინომ დამირეკა, შეხვედრა მთხოვა, თანაც გამაფრთხილა, რომ საუბრის შინაარსი ჩვენს შორის დარჩენილიყო. თუ რამეს დავწერდი, სახელები და ზოგიერთი რამ გამოგონილი უნდა ყოფილიყო, პატარა ზურაბს დედაზე არაფერი სცოდნოდა, ამასთან ეკას ძმის და მისი მეგობრებისთვის პრობლემები არ შემექმნა.

ეჭვი არ შემპარვია, რომ ნინო ეკას შემდგომი ბედის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. არ გამოვრიცხავ, რომ დაღუპვამდე ეკას მასთან საუბრები ჰქონდა.

– რამდენადაც ვიცი, მიყვება ნინო, – ეკამ რუსლანს დედ-მამის ცოცხლად დაწვის დეტალებზე, ახალდაბის მოვლენებზე წვრილად მოუყვა და დახმარება სთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითმკვლელობით დაიმუქრა. ეკას არჩევანის შეცვლა კი არავის შეეძლო.

რუსლანმა მოსკოველ მეგობრებს უხმო, მის ხუთ მეგობარში ერთი აფხაზიც იყო, რუსიც.

სვირინგებზე აღნიშნული გვარებით და ინიციალებით ზოგიერთი მოძალადის ვინაობა დაადგინეს, მათი წვლილი აფხაზეთის ომში.

კენჭი ეყარა და არჩევანიც გაკეთდა.

მოსკოვში, სამხრეთ რუსეთში, იარაღის შეძენა პრობლემა არ ყოფილა თურმე. ყუთი არაყიც საკმარისი აღმოჩნდა ნაომარი ბიჭებისგან ყოველგვარი იარაღის შესაძენად.

თუ კარგად გადაიხდი, არც აფხაზეთში გადასვლა ყოფილა რთული, არც სოხუმში ჩასვლა.

* * *

გაუჩინარებიდან რამდენიმე თვეში ეკას ჯგუფმა ჯერ გუდაუთაში, შემდეგ სოხუმში, საკუთარ სახლებში, თანამდებობის მქონე ორ აფხაზს, ადრე ბოევიკს, აჰყარა იარაღი.

პირველმა იუარა, მაგრამ სვირინგზე საკუთარი ხელწერის დანახვისა და დეტალების შეხსენების შემდეგ, წინააღმდეგობა არ გაუწევია...

მეორე, უფრო ახალგაზრდა, ვაჟკაცური იერის აფხაზმა ეკას ჯგუფს თვითმკვლელობის თხოვნა შესთავაზა, მაგრამ მოგვიანებით გადაიფიქრა – დედა ქრისტიანი ქალია, მეც ასე გამზარდა, ცოდოაო უბედური. ნაღმზე თვით აფეთქება გადაწყვიტა, – იტყვიან უბედური შემთხვევა იყო და მოკვლევას არავინ დაიწყებსო. თქვა და შეასრულა.

აფხაზეთიდან დაბრუნებულმა ეკამ, მოსკოვში ერთ ნაცნობ ექიმს რამდენიმე სვირინგი ამოაჭრევინა, თუმცა ნაიარევი დარჩა, უფრო დაუმახინჯდა ნაზი წელი და მუცელი.

მეტად შეწუხდა ეკა, როცა ადიღელი მოძალადე ისე გაგზავნა საიქიოში, რომ კაბის აწევა და მისთვის სვირინგის წაკითხვა საჭირო არ გახდა. ლაჩარი აღმოჩნდა, გაქცევა სცადა.

ჩეჩენთა ჯგუფმა თავიდან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ეკას: მაგრამ მშვენიერი ქალის ტანზე სვირინგების ამოკითხვამ შემართული იარაღი დააშვებინა ჩეჩნებს – შამილი უმალვე გადასცეს ეკას, თხოვეს, ჩვენს თვალწინ ნუ მოკვლავ, წესი არ არისო ქალისგან კაცის მოკვლა...

საეჭვო ბინაში მიაგნეს კაზაკ ბიზნესმენ ივანეს, ტიტველ ქალებთან ნებივრობდა გალეშილი...

რუსეთის ერთ დიდ ქალაქში ხელი აუკანკალდა ეკას: – ალიოშას, მისი ზურას ტოლი ბავშვი ეკავა ხელში, ბაღში ასეირნებდა. გადაწყვიტა არ მოეკლა, მაგრამ ვერ აპატია სიმხდალე, ტირილი და მცდელობა, ბავშვი აეფარებინა მაყუჩიანი იარაღისათვის.

იმავე ქალაქის ცენტრში ერთ-ერთი ყველაზე რთული ოპერაციის დროს, რომელიც მისთვის გაურკვეველი თანამდებობის სამხედრო პირს შეეხებოდა, ეკა დაფრთხა რატომღაც და ბიჭების ხიფათში ჩაგდებას მოერიდა. თავადაც დაიღალა, საკმარისად მიაჩნდა ამდენი სიკვდილი, სისხლიანი საქმეები, ანტიქრისტეს საქციელი, და მაინც, ერთ, მისი ფიქრით უკანასკნელ ცდუნებას წინ ვერ აღუდგა – ვიტალი უნდა მომკვდარიყო, სწორედ ის ვიტალი, რომელიც თავგამეტებით ცდილობდა მასთან პირველი უკულმართი კავშირის მიღწევას, რაც არ დაანება აფხაზმა ყმაწვილმა, თუმცა, ამ ორომტრიალს ეკას ორი კბილი შეეწირა.

ეკა მაინც ყოყმანობდა. წინა ღამეს რესტორანში რუსლანმა და ბიჭებმა დაბადების დღე გადაუხადეს.

იმ საღამოს ეკა, ციურ ფერიას ჰგავდა და უბრალო მიხვრა-მოხვრით დაიმონა რესტორანის უზარმაზარ დარბაზში მოქეიფე ხალხი.

ჯერ ქართული და რუსული ცეკვები შეასრულა, მერე რუსული რომანსები და „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ იმღერა, „თბილისოთი“ დაასრულა.

ეკა უბადლო იყო, დარბაზი არ ეშვებოდა.

ესპანურ-იბერულ მუსიკაზე ეკამ საცეკვაოდ ჯგუფის ბიჭები გაიწვია. ვერავინ გაუძლო. დარბაზიდანაც იყო თავის გამოჩენის მრავალი მოსურნე, მაგრამ ყველა დაღალა, მაინც მარტო დარჩა.

დარჩა მარტო და ეს იყო სასწაული; ის დაფრინავდა, მისი ტანგო, ესპანური ხალხური, კლასიკა, „ქართული“, „აფხაზური“ შეუდარებელი იყო, მისი პლასტიკა არნახული, გამაოგნებელი, სიტყვით აუწერელი.

ფეხზე ამდგარი დარბაზი და ბენდი ოვაციით აცილებდნენ ახალგაზრდა ქართველ ქალბატონს. რესტორნის მენეჯერის და უცხოელისგან იქვე მიიღო სავიზიტო ბარათი და მიწვევა სამუშაოდ.

ეკამ კარგად იცოდა, რომ ვიტალის ოფისი მეორე სართულზე იყო და ძლიერი პირადი დაცვა ჰყავდა. ეკამ, იმ საღამოს განსაკუთრებით ლამაზმა და მეგობრისგან ნათხოვი უძვირფასესი ქურქითა და ძვირფასი სამკაულებით ბრწყინვალედ შემოსილმა, კარისკაცთა ხელშეწყობით მოახერხა დედათა უზომოდ მოყვარულ ვიტალისთან პაემანის დანიშვნა.

საცთუნებელს ვერ გაუძლო ვიტალიმ – ხაფანგში გაება; გადაწყვიტა თვალი შეევლო ქართველი ლამაზმანისთვის საკუთარ აპარტამენტებში.

თვალისმომჭრელ მუნდირში გახვეულ ვიტალის კარგად ახსოვდა აფხაზეთი, „ომის პატარძლების“ ხიბლი, უჩვეულოდ მორცხვი ქართველი ქალების გემო, ტყვე გოგონების ძლევის სიამოვნება. ამიტომაც გადაწყვიტა იმავე საღამოს შეხვედროდა ეკას.

ეკა ტანის კეკლუცი რხევით შევიდა ვიტალისთან. ვიტალიმ მდიდრულ რესტორანში გადარეკა, შეკვეთა მისცა, დაცვის ბიჭებიც გააფრთხილა თანამგზავრობაზე.

ვიტალის გასაოცრად, ეკამ პისტოლეტი იძრო და ერთი ამოსუნთქვით ახალდაბა შეახსენა. ვიტალიმ აფხაზეთში ყოფნაც კი იუარა. ეკას გაახსენდა ვიტალის მარცხენა ძუძუსთან მრავალჯერ ნანახი, ღრმა, ჯვარედინი ჭრილობა და აიძულა იგი პერანგი გაეხადა.

წინააღმდეგობა არ ყოფილა, ეკამ გაისროლა.

ეს თვითნებობა იყო მისგან, ასეთი დათქმა არ ყოფილა რუსლანთან და მის მეგობრებთან, მან თავი გაიმეტა. ეკას არ შეეძლო

მის გამო ვინმეს სიკვდილის დაშვება. ბიჭებში არავინ არ იყო დამნაშავე, მხოლოდ მას ჰქონდა სისხლიანი ხელი.

სანამ დაცვა შემოცვივდებოდა, ეკა დერეფნიდან კიბეებზე დაეშვა, პისტოლეტს მაყუჩი მოაძრო და რამდენჯერმე ჰაერში გაისროლა.

* * *

ეკას გვამმა სასამართლო ექსპერტიზას და რუსეთის სამართალდამცავებს მრავალი თავსატეხი გაუჩინა. საქმე გაუხსნელი დარჩა. დამნაშავეები ვერ აიყვანეს.

საქმე მარტოხელა, ფსიქიკურად დაავადებული, ეჭვიანი და მეძავი ქალის შურისძიების მუხლით დაიხურა.

გვამი მივარდნილ სასაფლაოზე გადაიტანეს და ცელოფანში შეხვეული დაასაფლავეს.

მოგვიანებით ეკას ნეშტის გადასვენება ჯერ ინგუშეთში მოხერხდა, შემდეგ კი სხვისი სახელითა და გვარით, აფხაზეთში.

მის ტანზე ჯერ კიდევ იყო ბევრი ამოუშლელი სვირინგი დაასრულა ნინომ.

პროფესიონალი სამართალდამცავებიც ტირიან ხანდახან...

თბილისი, სექტემბერი, 2005 წ.

ქურთი თემური

თემური ჩვენი ქუჩის დამლაგებელია. იგი, როგორც ამბობენ, ოცდაათ წელიწადზე მეტია სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს. თემური ახლა ბაბუაა, ხუთი შვილი და ჩვიდმეტი შვილიშვილი ჰყავს. ადრე სვამდა, უფულობას არ უჩიოდა, რადგანაც რამდენიმე ქუჩას უვლიდა ერთდროულად.

ორი წლის წინათ გავიცანი. თოვლში, მსუბუქად ჩაცმული, წვერმოშვებული და მოკუნტული, კუნძზე იჯდა. საცოდავ, ღვთისა და ყველასგან მიტოვებულ არსებად მეჩვენა.

სიგარეტი მთხოვა, ბოლო ღერი „ასტრა“ გავუტეხე; ვებოდიშე, ხელმოკლეობით ვიმართლე თავი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, არ მისმენდა, უფრო ზუსტად, გულში დამცინოდა კიდეც, მერე რაო, უარესიც მინახავსო.

უსიამოვნო გრძნობით დავშორდი.

ერაყში ომის სამზადისის ბოლო ფაზა მიმდინარეობდა. ქუჩაში თემურს შევხვდი. მომიახლოვდა და თითქოს ასი წლის ძმაკაცები ვყოფილიყავით, ერთი ლარი მთხოვა.

ორი მქონდა და ორივე მივეცი. მიმქრალ თვალებში შუქი ჩაუდგა.

ერაყში ომი დაიწყო. თემურიც გაქრა. მე ეს ომი ერაყელი ხალხის წინააღმდეგ უსამართლო ომად, ინტერვენციად მიმაჩნდა, ამიტომ ალ-ჯაზირას ინფორმაციებს ვუსმენდი.

დაახლოებით **ხუთ-ექვს თვეში თემური, თავისი გრძელტარია-**ნი ბზის ცოცხით კვლავ გამოჩნდა ჩვენს ქუჩაზე. დაღლილი, ერთ-ბაშად დაბერებული, მაგრამ ბედნიერი მეჩვენა. გამიკვირდა რომ მომეხვია, მაკოცა, კაფეში შესვლა შემომთავაზა. ვიფიქრე, რამ გადარია, როგორ გადაიხდის-მეთქი.

ცნობისმოყვარეობამ დამძლია, კაფე „საოჯახოში“ შევყევი. ისეთ რამეები შეუკვეთა ოფიციანტს, რომ უმალ კაფეს მეპატრონე გამოჩნდა. ჩემი პიჯაკის და ჰალსტუხის მოერიდათ ალბათ, და შეკვეთილი კერძები „სარაჯიშვილის“ დიდ ბოთლთან ერთად მოგვართვეს.

თემურმა ორლარიანი გამომიწოდა, ძველი ვალი, რომელიც არც მახსოვდა. ვიუკადრისე, არ გამოვართვი. ახლა ის გაბრაზდა – ქურთი კი ვარ, მაგრამ მათხოვარი არაო. ვიჭიდავეთ, მაინც არ დავუთმე. დამემუქრა, სამაგიეროს მალე გადაგიხდიო.

ნახევარი ბოთლი კონიაკი დავლიეთ. თემური გაიხსნა: იქ ჩასულებს კარგად გვიხდიდნენ, თუმცა მე თავად წავედი და არავისგან არაფერი არ მომითხოვიაო. ბედნიერი კაცი ვარ, ამჟამად ერაყის ქურთისტანი თავისუფალი ქვეყანაა და მალე დიდი ქურთისტანიც აღდგებაო.

კიდევ თითო ჭიქა დავცალეთ. თემურს ხმარებისაგან გაცრეცილი საბჭოთა იარლიყიანი ჯემპერი ეცვა, წელიდან ყელამდე ზეასწია. გავოცდი, ტანს, გულ-მკერდს და მუცლს ჯერ კიდევ შეუხორცებელი განივი ჭრილობა უსერავდა. ოცდაათამდე ნაკერი დავთვალე. ამიტომაც ჩამოვედი ადრე, თუმცა დარჩენას არც ვაპირებდიო, თითქოს დაიმორცხვა თემურმა. აქაც არ იყო სამოთხე, ბევრი წყენა და დამცირება მახსოვს, მაგრამ იმდენი სითბო უბრალო ადამიანებისგან, რომ თბილისს არასოდეს გავცვლიო სხვა ქალაქზე...

– მე ვალი მოვიხადე ჩემი ხალხის და შვილიშვილების წინაშე, ისინი კი რა გზას დაადგებიან, ეს მათი საქმეა, ამაყად წარმოთქვა;

– მე იქ ვიღაც არაბის დიდი სახლი მომცეს, ერთი თვე ვიკოტრიალე შეიხის აბაზანაში, მაგრამ თბილისში ჩემი ჭუჭყიანი, ცივი, ბნელი ბინა სიზმარშიც არ მასვენებდა.

თემურს ისიც სცოდნია, თუ როგორ გვიძახა მეზობლად სონიამ აფხაზეთიდან ჩამოთრეულები და როგორი დიდსულოვნად ვაპატიეთ ამ ქალბატონს ჩვენი შეურაცხყოფა.

კიდევ გადავკარით. თემურმა ხარჯი გადაიხადა, ამასთან კიდევ იმდენი ჰქონდა, რომ ნორჩ, მოკლეკაბიან და სქელთეძოიან ოფიციანტს თვალი ზედ შერჩა.

ბოთლის ბოლო წვეთები ჭიქებში ჩავწურეთ. თემურმა თვალების დახუჭვა მთხოვა. შარვლის ჯიბეში მისი უხეში თითები და დოლარების ტკაცუნი ვიგრძენი: – შენ გიჭირს, შენს ოჯახს უჭირს, არ გამაწბილო, გამომართვიო. გავძალიანდი, არ გამოვართვი, მადლობა ვუთხარი და ვთხოვე ეს ფული რუსთაველის გამზირის მათხოვრებისთვის დაგვერიგებინა.

განრისხდა, ადგა და მიმატოვა.

სარდაფიდან გასულმა მომაძახა, – აფხაზეთს ლანგრით არავინ მოგართმევთ, გამოდით ძილქუშიდან, თავი და ხელები გაანძრიეთო!

შეურაცხყოფამ გამომაფხიზლა, თუმცა მალევე დავმშვიდდი. ცამდე მართალი იყო ეს ძონძებში გახვეული, აბურძგნილ წვერიანი დამლაგებელი, რომელმაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და მამაპაპური ვალი მოიხადა თავისი ხალხის და მისი ოდესღაც ძალით დაშლილი ქვეყნის წინაშე.

მომდევნო სამი დღე თემური და მე თბილისის მათხოვრებისთვის ათლარიანების დარიგების სიამოვნებით ვტკბებოდით.

ამას წინათ ისევ შევხვდი. მეეზოვის ადგილი შეუკვეცავთ. დაბერდი, ქუჩას და ცოცხს ახალგაზრდული ენერგია სჭირდებაო და გაუნთავისუფლებიათ. ბინა გაუყიდია და გარეუბანში გადასულა საცხოვრებლად, დის ოჯახთან ახლოს.

ყოველ დილით ამოდის მთაწმინდაზე, მეტროს პირველ მატარებელს მოჰყვება.

დიდი გასტრონომის წინ ჩამოჯდება, გაზეთს აიღებს, აბრუნებს აქეთ-იქეთ და ნაცნობი გოგონებისგან მირთმეულ ყავას მადიანად შეექცევა.

თბილისი, დეკემბერი, 2005 წ.

მშობლიური ხიბლი

სამწუხაროდ, ომებს ყოველთვის აჩაღებენ ხალხის სახელით და ხალხის კეთილდღეობის ლოზუნგით. ადამიანთა უმეტესობა, რატომღაც, ყოველთვის იჯერებს ამ ზღაპარს, იცვამს ჯარისკა-

ცის ფარაჯას და მონაწილეობს ხორცსაკეპში, საიდანაც, როგორც წესი, არ ბრუნდებიან. ასე იყო ძველად, ასეა ახლაც.

ვიღაც-ვიღაცეებს დასჭირდათ და ქართველებმა და აფხაზებმა ბრიყვულად დავღვარეთ ერთმანეთის სისხლი.

და მაინც, ცალკერძ აფხაზს და ცალკერძ ქართველს ერთმანეთთან გასაყოფი რომ არაფერი აქვთ, ეს დრომ დაადასტურა.

ამის ცოცხალი მაგალითია საქართველოს გარეთ სამი ჩვეულებრივი შეხვედრა, რომლებიც, თუ არა ომი, არც კი შემორჩებოდა ჩემს მეხსიერებას.

რა მოგენატრა აფხაზეთიდან?

ომის ბოლო დღეებში ახლომახლო ჭურვი აფეთქდა და ორი ფერადი სვეტი გამიჩნდა მარცხენა თვალის არეში, მაგრამ ამისათვის მაშინ ვის ეცალა. შემდეგ ზუგდიდში ძმათამკვლელმა დაპირისპირებამ ჩამკეტა ორი თვე და მხოლოდ იანვრის პირველ ნახევარში შევძელი თბილისში ჩამოსვლა.

თვალის ბადურის ჩამოცილება დაუყოვნებლივ ოპერაციას მოითხოვდა, მაგრამ საამისოდ ფული იყო საჭირო. იმ მძიმე დროშიც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სხვისი ტკივილი საკუთარი ტკივილისგან არ ჰქონიათ გამორჩეული: ზურაბ ერქვანიამ, ლონდერ ცაავამ, ბაკურ გულუამ, გოდერძი ბუკიამ, მერაბ დვალმა, ვახტანგ ყოლბაიამ, ელგუჯა ბერიამ, დალილა ხორავამ, ზურაბ გეგეჭკორმა, ავთანდილ მარგიანმა თავისი ზნეობრივი ვალი მოიხადეს ჩემი, ანუ ერთ-ერთი რიგითი აფხაზელის წინაშე.

თბილისში, რუსეთის სამხედრო ჰოსპიტალში პირველი ოპერაცია უშედეგო გამოდგა. მოსკოვისკენ გზა ადვილი არ იყო, მაგრამ ამ კეთილი ადამიანების თანადგომით მოხერხდა, თუმცა მოგვიანებით.

ერთ საღამოს მორიგე ექთანი გოგონა წვრილად მეკითხება აფხაზეთსა და ჩემზე. გამიკვირდა, მაგრამ გულახდილად დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა. მერე დაამატა, სამედიცინო ისტორიაში გიწერია, მაგრამ დეტალები ერთ ჩვენს პაციენტს აინტერესებს, რომელსაც, თუ ნებას დართავ, შენს სანახავად უნდაო მოსვლა. ექთანს ავუხსენი, სტუმრის მისაღებად არ ვვარგივარ, მაგრამ სტუმარი ღვთისაა და შევხვდები-მეთქი.

როცა „მკვდარი საათი“ გამოცხადდა და უკვე ყველას ეძინა, მორიგემ დააკაკუნა, სტუმარი მოგიყვანეო. ვიგრძენი, რომ სტუმარი ფეხაკრეფით შემოვიდა, მოკრძალებით მომესალმა, მომიკითხა

რუსულად და რაღაცები დააწყო მაგიდაზე. მერე სკამი გამოსწია, წვეთოვანი გაასწორა და დაჯდა.

– მე აფხაზი ვარ, მეომარი. ოჯახს გვიან მოვეკიდე, ამიტომაც ერთადერთი ვაჟიშვილის ნაცვლად ავიღე იარაღი ხელში.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– გალელებმა, როგორც წესი, რუსული ცუდად იცით, ქართულად ან მეგრულად ხომ არ ვილაპარაკოთ?

შეკითხვა მოულოდნელი, მაგრამ მეტად კეთილშობილი იყო.

აფხაზურად მივესალმე, (სამწუხაროდ, მხოლოდ მისალმება და რამდენიმე თბილი სიტყვა ვიცი), შემდეგ დავამატე, როგორც უფრო მოსახერხებელი იყოს თქვენთვის-მეთქი.

მალე სამოცის გავხდები, გუდაუთაში ვცხოვრობ, ვსწავლობდი თბილისში, განაწილებით ვმუშაობდი ჭიათურაში, ტყვარჩელში, ოჩამჩირეში მეფრინველეობის კომბინატის მშენებლობაზე. შენ კარგად იცი, რომ თუ ქართული არ იცი, იქ მაინც ისწავლი.

– ცუდი ამბავი მოგვივიდა, სამარცხვინო, ვინ იფიქრებდა, რომ აქამდე მივიდოდა საქმე. თქვენ მეცოდებით, აფხაზები მეცოდება, არ მინდა შვილს არეული ქვეყანა დავუტოვო.

– მინდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, ვინ იცის რა იქნება ხვალ, მთებიც ხვდებიან, მინდა მეგობრები გავხდეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. გვიან იმიტომ შემოვედი, რომ აქ მარტო არა ვარ, ვინ იცის კიდევ ვინ რას ფიქრობს, რა უდევს გულში. როცა თვალბანდს მოიხსნი, საღამოობით შევხვდეთ სასეირნო მოედანზე. თუ ყველაფერი კარგად მოგვარდა, გუდაუთაში ჩემი სტუმარი იქნები, არც მე გამიჭირდება გალში ჩასვლა.

მესამე **დღეს შევხვდით, სასეირნო მოედნამდე ექთანმა მიმ**იყვანა. ღამის ორ საათზე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. ხელში ჩურჩხელა შემაჩეჩა, სახვევს რომ მოგიხსნიან, სხვა რამეც ნახე მაგიდაზეო.

ერთი კვირა ვხვდებოდით ერთმანეთს, როგორც წესი, რუსულად ან მეგრულად ვსაუბრობდით.

ორშაბათს გაწერეს. წინა კვირას შემოვიდა ბოთლი არაყით და წვრილი თხილით ხელში.

ალკოჰოლის მიღებისთვის საავადმყოფოდან აძევებდნენ პაციენტებს, ამიტომ კარები ჩაკეტა, ორ ჭიქაში ცოტაოდენი აფხაზური ჭაჭა ჩაასხა, ერთი მე გამომიწოდა.

– ამით ჩვენს აფხაზეთს გაუმარჯოს. თქვა და დალია. მეც იგივე გავაკეთე.

– ამით ჩვენს შვილებს და ოჯახებს გაუმარჯოს, რისთვის და ვისთვის გვინდა აფხაზეთი თუ დავხოცეთ ერთმანეთი?

მეც გავიმეორე და დავლიე.

– ამით უაზრო ომში დაღუპულთა ხსოვნა იყოს, დაჭრილებს გამოჯანმრთელება ვუსურვოთ, ჩვენც ხომ მათს რიგებში ვართ! მშობლებს გამაგრება ვუსურვოთ, შენ იცი, ისინი სანამ ცოცხლები არიან, შავებში ივლიან. ვავა ჩქიმი ცოდა!

ტელეფონის ნომერი მომცა, შემატყობინეო შენი ამბავი.

მთხოვა არ გამეცილებინა, მის წასაყვანად სამხედრო ფორმიანი ბიჭები მოვიდნენ.

მე-14 სართულიდან დიდხანს ვაყოლებდი თვალს აფხაზეთში მიმავალს.

მისი წასვლით რაღაც ჩამწყდა გულში, რა თბილი და მშობლიური იყო. ასე მეგონა, თვალის გარდა კიდევ რაღაც ამომაჭრეს ექიმებმა. წავიდა, მაგრამ მშობლიური სურნელი დატოვა.

დამიტოვე ტელეფონის ნომერი

ლიმიტის მოსაპოვებლად მაიკომ თბილისის კონკურსში გაიმარჯვა და სექტემბრის დასაწყისში მოსკოვის ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის ასპირანტურაში ამოყო თავი.

ამ სასწავლებელს უფრო ქალაქი – ქალაქში შეეფერება სახელად. აქ თუ რუქა არ გაქვს, ლაბირინთში უნდა წარმოიდგინო თავი.

ამ სასწავლებელში ლამის ნახევარი მსოფლიოს ახალგაზრდებს შეხვდებით.

მაიკოს ოთახი გამოუნახეს კიდევ ორ სტუდენტთან ერთად.

საჭირო საბუთების შეკრება ქალაქში გასვლას, მრავალი წინააღმდეგობის დაძლევას მოითხოვდა, რაც პირველად ამხელა ქალაქში მყოფი ახალგაზრდასთვის ადვილი არ იყო.

საღამოს 9 საათისათვის კარებზე დააკაკუნეს. მაიკო მარტო იყო, შეეშინდა. კარებში ორი კავკასიური გარეგნობის მერცხალივით მოქნილი ქალიშვილი იდგა.

– ჩვენ ქართველ გოგონას ვეძებთ, რომელიც ამ დღეებში ჩამოსულა კავკასიიდან, იკითხეს გოგონებმა.

– ქართველი მე ვარ, იქნებ თქვენ სხვა ვინმეს ეძებთ, გულუბრყვილოდ უპასუხა მაიკომ.

– მაიკომ თავისი გვარი და სახელი უთხრა, თავი გააცნო.

გოგონები სკამებზე ჩამოსხდნენ.

– ჩვენ ერთმანეთის გაცნობას მერეც მოვასწრებთ, ახლა მოვედით, რათა შენი მობილური ტელეფონის ნომერი ჩავიწეროთ,

ჩვენსაც დაგიტოვებთ, რათა თუ ქალაქში გზა დაგებნა, ან რაღაც გაგიჭირდა, უმალვე შენთან გავჩნდეთ. გვენდე, ჩვენც იქიდან ვართ, ომამდე შენი პატარა თანატოლები და მეგობრები. ახლა წავედით, არ დაგვივიწყო!

მაიკომ მადლობა უთხრა. გოგონებმა თავიანთი სახელები დატოვეს და ტელეფონის ნომრები, აგრეთვე საოცრად თბილი ღიმილი.

მაიკო გათენებამდე ფიქრობდა სოხუმსა და აფხაზეთზე, იმაზე რაც იქ მოხდა.

– ვერ წარმოიდგენთ რა საყვარლები და მშობლიურები არიან სოხუმელი და ტყვარჩელელი მზეთუნახავები, იმ წუთებში მეც თავი მშობლიურ სახლში მეგონა, თქვა მაიკომ სევდანარევი ხმით.

ერთი საღამო სანკტ-პეტერბურგში

1996 წლის ნოემბერში სანკტ-პეტერბურგში მომიწია ჩასვლამ. მეგობრებს გადავურეკე, თამაზ გახარიას შევხვდი, მერე ქართველთა საზოგადოების ოფისში მივედი, საუბრით ვიჯერე გული.

ქუჩაში გავედით, ციოდა, დაშლას ვაპირებდით.

თამაზმა, როგორც ყოველთვის, თავი გამოიდო, ამაღამ ჩემი სტუმრები ხართო.

ქალაქის ცენტრში საკმაოდ კარგ რესტორანში ამოვყავით თავი. „ნემეცკი შჩოტიო“, თქვა ვიღაცამ. უმეტესობა დავეთანხმეთ.

რესტორანი ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ ჩვენთვის ადგილი მალე მოინახა.

გადავწყვიტეთ არ დავმთვრალიყავით, ამიტომ მხოლოდ ორი ბოთლი არაყი შევუკვეთეთ ხუთ კაცზე.

შემდეგ კიდევ ორი გახდა საჭირო.

ქუხდა მუსიკა.

დარბაზის მეორე კუთხიდან ვიღაცას „თბილისო“ შეუკვეთავს. ოფიციანტმა, რომელიც ასევე კავკასიური წარმომავლობის ჩანდა, ლამის ჩურჩულით თქვა: აფხაზებმა სიმღერა შეუკვეთეს და ეს გამოგიგზავნესო. „ეს“ ხუთი ბოთლი შამპანური იყო, ჯერ კიდევ საბჭოური გაფორმებით. როგორც კი მუსიკა მიწყდა, წამოვდექით და დარბაზის მეორე ბოლოში მყოფებს აფხაზური სუფრა დავულოცეთ, ყურადღებისთვის მადლობა ვუთხარით.

ორკესტრმა ცნობილი რუსული სიმღერა დაუკრა, სმენა არ იყო. ჩვენ თითებით ვანიშნეთ ერთმანეთს 10 ბოთლის „მობილიზაცია“, სოხუმზე ცნობილი აფხაზური სიმღერის შეკვეთა.

70-ანი წლების მოდური მელოდია დაირხა. აფხაზები ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს. ოფიციანტმაც თავისი საქმე გააკეთა. თავი სოხუმში მეგონა, თითქოს ზაფხული იყო, არაყიც თავის საქმეს აკეთებდა, პიჯაკები გავიძვრეთ, პერანგების და ჰალსტუხების ამარა დავრჩით.

ისევ აჟღერდა ქართული სიმღერის ჰანგები, ახლა „სულიკო“. დარბაზის სხვადასხვა კუთხეში თბილისელები და ზუგდიდელები ქეიფობდნენ თურმე. ოფიციანტმა თბილისელებისგან ხუთი ბოთლი „შემოგვაპარა“, მათ იმდენივე აფხაზებისთვის გაუგზავნიათ.

ისევ აჟღერდა აფხაზური მელოდია, ახლა **ზუგდიდელები გვ-**მასპინძლობდნენ თურმე.

მშვენიერმა ქერათმიანმა ქალბატონებმა ცეკვით აიკლეს იქაურობა. თბილისელები **და ზუგდიდელები ჯიბრობდნენ ერთმანეთ-**ში.

აფხაზეთელი აფხაზები და ქართველები თავს ვიკავებდით, ჩვენ ხომ ომის შემდეგ ასე ახლოს პირველად აღმოვჩნდით ერთმანეთთან.

კალენდარული დღე მიილია, ახლა უკვე მორიგი დღის ორის ნახევარი იყო.

დარბაზი დაცარიელებულა. ქართველი ბიჭები მეგობარ ქალიშვილებთან ერთად ჯერ აფხაზებთან მივიდნენ, მერე ჩვენთან. სადღეგრძელოები და მისამართები გავცვალეთ.

ორკესტრმა აფხაზური საცეკვაო დაუკრა. ცაში აფრინდნენ ბიჭები. ჩვენგან წამოხტა ტანწერწეტა ზურიკო და აფხაზთა რიგები გაარღვია ცეკვით. ეს არაჩვეულებრივი იყო.

აფხაზებიდან რომელიღაცამ ორკესტრს ანიშნა ქართულ საცეკვაოზე გადასულიყო. ეს უკვე ჩვენი გამოწვევა იყო. ვიცეკვეთ რამდენი და როგორც შეგვეძლო უკვე კარგა ხნის მთვრალებს.

აფხაზებმა ვალი არ დაიდეს და ორ-ორი ბოთლით ხელში შემოუერთდნენ ჩვენს სუფრას.

ვიმღერეთ, ვიტირეთ, ისევ ვიმღერეთ. ვმღეროდით და ვტიროდით არა ჩვენ, არამედ ჩვენი წინაპრები, რომლებმაც ეს სიმღერები და ცეკვები შექმნეს ერთად, ერთმანეთის სადიდებლად, გულის გასახარად.

თენდებოდა როცა დავიშალეთ. კავკასიელ ოფიციანტს გაგზავნილი **და გამოგზავნილი შამპანურის გაუხსნელი ბოთლები დაუთვ-**ლია და ფულის დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა ვისთვის მიეცა. ჩვენც გადახდაზე გამოვიდეთ თავი და იმდენი ვიდავეთ ოფიციანტთან, რომ პოლიციელის ყურადღება მივიქციეთ.

აფხაზებთან, როგორც სოხუმში, მეორე დღის შეხვედრაზე მოვილაპარაკეთ.

მეორე დღეს აფხაზი ბიჭები არ მოვიდნენ.

დამწვარი და დანგრეული აფხაზეთი, პეტრეს ქალაქიდან ისე შორს იყო, როგორც ჩვენ და ისინი ომისშემდგომი სამწუხარო რეალობიდან.

სანკტ-პატერბურგი-თბილისი, ივნისი, 2004 წ.

ცხენისწყლის მზე

„რარიგ ტკბილია სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი“
გალაკტიონი

საოცარია იმერეთი, ენით აუწერელი, ყალმით დაუხატავი. ალბათ სხვაგან არსად არსებობენ ამდაგვარი თავისთავადობით, ასეთი ღირსებით, სულიერი სითბოთი და სინაზით, ფიზიკური სილამაზით შემკობილი ადამიანები.

წლევანდელ უჩვეულოდ ცხელ ზაფხულში ერთი კვირა დავყავი იმერეთის ხუნჯულაურში, ცხენისწყლის ნაპირებზე.

შემეცოდა ცხენისწყალი, ეს ლაღი, მოუსვენარი მდინარე. წელს იგი მილეული ვიხილე, ადუღებამდე გახურებული და განდევნილი, სადღაც კუთხეში მიყუჟული, მეფე ლირივით გაძარცული თავისი უკიდეგანო ჭალებიდან, შვილივით ნალოლიავები ჭორომებისა და მის სხეულზე მარგალიტებად მიმობნეული გუბურებისგან; სანაცვლოდ მის ტანზე აფეთქებული, მის მიერ შორეული მთებიდან მონაგარი ათასგვარი ხე ბუჩქი გახარებული და გალაღებული, ნიშნის მოგებით გადაჰყურებდა იქაურობას.

ჰოდა, ახლა ვწევარ ამ ბუჩქების ქვეშ სასიამოვნო გრილში, ხან ფხიზელი ვარ, ხან ფიქრთა მორევში, ხან ძილ-ბურანში, ხანაც სიზმრების ზღვა მომაწვება და ახლად ამოსული ფრთებით დავფრინავ ძველი და ახალი საქართველოს, სოხუმ-ქალაქის და აფხაზეთის თავზე; ხანაც ყურში ჩამესმის ქართველ მხედართა ცხენების თქარათქური, მტრის მოლაშქრეთა გაუგებარი ენა, ხანაც დიდი სოლომონ მეფის მეფური დრტვინვა უბედო ბედსა და და დროის სიმუხთლეზე, ხანაც თვალწინ მიდგას პატარა კახის დიად საქმეებზე ხელახლა დასაწერი ისტორიის ფურცლები.

დროდადრო, ცაზე გამოჩენილი ღრუბლების საფარველში ვცდილობ გუბურათა თევზების შეცდომაში შეყვანას, ანუ ცდუნებას, თუმცა ძალიან ეშმაკები არიან, თითქოს იმერული სილაღე და იუმორი მათაც მომადლებიათ, ისე გაგიტაცებენ ანცობით, რომ დროის შეგრძნებას კარგავ, ათასში ერთხელ თუ დაგნებდებიან.

იქ ბუჩქებს ქვეშა საჩრდილობელში ერთი კანონზომიერება აღმოვაჩინე ჩემთვის: როცა გარემოს ტემპერატურა ცელსიუსის 40-ს გადააცილებს, ცოცხალი და არაცოცხალი სულ სხვა ხდება, იცვლის ნირს და ცხოვრების წესს.

ალბათ, ასეა ადამიანებშიც.

მხოლოდ საღამოს, უკვე გაუჩინარებული მზის ფერებში, მეც ვუბრუნდებოდი საკუთარ თავს.

ვატი

ჩრდილში მინავებულს ახალგაზრდა კაცი დამადგა თავზე. საკმაოდ მაღალი, ლამაზი, მხარბეჭიანი, დაკუნთული, წელზემოთ ტიტველი, დიდმუცელა, მზეზე გარუჯული.

– გამარჯობათ, რას აკეთებთ ჩემს ტერიტორიაზე?

თქვა ფრიად სერიოზულად.

– ვერთობი, ვთევზაობ, განა უკვე იყიდეთ ეს ტერიტორია? – ვპასუხობ მე;

– ვიყიდე, გავყიდე არ ვიცი მე, მაი მიწა ჩემია და სოფლის, ვინც არ უნდა იყიდოს მაინც ასეა, მასე იყო ოდითგან და მასე იქნება ყოველთვის, ბრაზი შეეპარა ხმაში;

ჩამოჯდა.

– აქაური ვარ, ხუნჯულაურიდან, განაგრძო მან, მიყვარს სტუმრები, ახლა ბევრია სოფელში, ქალაქელებს ძველებურად ფული არა აქვთ ზღვაზე სანებივროდ და ამ სიცხეში სოფელმა დაიფასა თავი!

–ისე, კაცმა რომ თქვას, მეგრელები გაღმა უნდა იყოთ, აი, ხედავ, მაღალ ხეებს, იქ სოფელი მარანია, უკვე სამეგრელო, დაამატა, ერთი შეხედვით სავსებით სერიოზულად;

– არაა კარგი ხალხი მეგრელები, არ დაგვიტოვეს კვატია და ქათამი, შუადღეზეც გადმოდიან, გაუმართლათ ამ პაპანაქებაში, სიცხისგან არც ჩვენი ქათმები იღებენ ხმას, კვატიებმა მთლად დაკარგეს ტვინი, დედა გამზრდელივით მიჰყვებიან მამაძაღლებს უხმოდ, სახლში კი ძილს არ გაცლიან, ჩაიცინა მან;

– თუ ასეა, რატომ არ მიმართავთ, კანონს, პოლიციას?

ბრაზნარევად ვეკითხები მე.

– კანონს? – გაიკვირვა მან.

მისთანა შუამავლებს გამოგიგზავნიან ეგენი, კიდევ ხუთი კვატია უნდა დააკლა ზედ, ინდაურიც უნდა მიაყოლო და გოჭიც; ახლა ღვინოსაც არ იკითხავ? თავს მოგჭრიან დუნიაზე, ეს რა მჟავე ღვინო დაგვაძალესო, თითქოს ჩვენ ვიყოთ ქურდები და არა ისინი;

– მერე რატომ აკეთებთ ამას?

თითქმის გულუბრყვილოდ ვკითხე მე.

– ჩვენ, **იმერლები ვართ, სტუმარი მოვა სახლში და მაგას კვატიას** დავამადლი?

მივხვდი ვისთანაც მქონდა საქმე. ის იმერელი იყო, თავისი ხალხის შვილი, იუმორით და ღირსებით აღსავსე, მსახიობობდა უბრალოდ.

– მეც ქართველი ვარ კოლხადან, პროტო ქართველური და წიგნიერი ენით, ნამდვილი ქართველი, თითქოს ვიწყინე მთელი ხალხის ქურდად გამოცხადება და გაბრაზებულის სიფათი მივიღე;

– რა თქმა უნდა გეწყინება, როცა, ცხენის ქურდობაში გმირი ხალხი, ახლა მხოლოდ კვატიებს იპარავთ!

თქვა და ახარხარდა.

– სადღაა ცხენი, ნამეტნავად დეიფასა თავი, ახლა ის „მერსედესია“ სოფელში!

ასე დავმეგობრდით მე და ვატი, ვასილ წულაია, სოფლის ერთ-ერთი კოლორიტი.

* * *

მეორე თუ მესამე დღეს მასპინძლებმა მეოთხე კლასელი ნიკა გამომაყოლეს: ნიჭიერი, მოაზროვნე, ნაკითხი ბავშვია, რომელმაც ისიც კარგად იცოდა თუ სად და რა თევზი ბინადრობს.

შუადღეზე ვატი წამოგვადგა თავზე.

– რა ხდება?

ვეკითხები მე.

– გული მიგრძნობს, რომ მარნიდან უნდა გადმოვიდნენ, ფაქტზე მინდა დავიჭირო. კაი დედმამის შვილები იქნებიან, თუ იქით არ წაგვიყვანენ და ხუთ ვარიას თუ არ დაკლავენ. ჩემი მეგობრები უკვე გამზადებულია საქეიფოდ. თხილს აგროვებენ თავიანთ ეზოებში, დავუსტვენ და აქვე გაჩნდებიან.

ვატი მიხვდა, რომ ამ თემაზე საუბარი ჩემთვის მიმზიდველი არ იყო და შეეცადა თემა შეეცვალა.

– აი ბაღანა რატომ წამეიყვანე?

მკითხა მეტად სერიოზულად.

– მეგზურია ჩემი, ვუპასუხე ასევე სერიოზულად.

– აგაშენა ღმერთმა, ბებიამისი, სულიკო, ისე აჭმევს ინდაურის ჭუკივით პირში ჩატენით, რომ ორ საათში ფოთოლს არ დატოვებს ამ ხეებზე და ხელი მაყვლის ბუჩქებისკენ გაიშვირა;

მერე განაგრძო:

– აი, ამირან ბიძია თბილისში აპირებს წასვლას, ბუში უნდა ჩამევიყვანო სოფელშიო.

– ამერიკის პრეზიდენტი შარშან იყო თბილისში.

– ჰო, და სწორედ ეს აწუხებს, იმერეთის უნახავად და პრასის გაუსინჯავად რა წარმოდგენა დარჩებოდა საქართველოზეო.

მე სიცილისაგან ვიგუდებოდი, თვითონ კი დინჯად იყურებოდა წყალგაღმა.

* * *

ჩამძინებოდა. ვატიმ გამაღვიძა.

– შეხედე რამხელა უხსენებელი გითვალთვალებს და უზარმაზარი ჭრელმუცელა გველი დამანახა, რომელიც სამშენებლო კოჭს შემოხვეოდა.

– არ იკბინება, შხამიანი არ არის, ვთქვი მე.

– ჰო, ჰო, გული დაიმშვიდე შენ. აქ ისეთი გველები ყოფილან, რომ ცხენებს ყლაპავდნენ **მხედრიანად, ლეგენდები მაინც არ გა-**გიგონია ცხენისწყალსა და აბაშაზე?

– ტყვილია ყოლიფერი ეს. შეხედე რამდენი ცხენი ბალახობს ცხენისწყლის ჭალებში, თანაც ცხენის ქურდობა აქ გამორიცხულია. თუ წმინდა სისხლის არ არის, ასე იყო ათაბაბადან. აქ კარგი საბალახო ადგილებია, მთელი საქართველო აქ დაეძებდა დაკარგულ ცხენებს, ამიტომ შეარქვა ხალხმა ცხენისწყალი, ლეგენდის თავისი ვერსია წარმოადგინა ვატიმ.

– გაზვიადებულია, თავი გავაქნიე მე.

– თუ ჩემი არ გჯერა ამირან ნინუას კითხე, რომელსაც ასი წელიწადია ტყუილი არ უთქვამს. ეს არის, რომ კომუნისტებს ატყუებდა ბევრ რამეში, ისინიც უჯერებდნენ და ასე გახდა ჩვენი სოფელი ერთ-ერთი უმდიდრესი და სახელოვანი მთელ იმერეთში, ამირანი კი საბჭოს მდივანი!

– ცხენისწყალზე მომიყევი კიდევ რამე თუ კაცი ხარ, ვთხოვე ვატის.

– მეზარება საუბარი, ხალხი ხომ იცი რანაირია: იტყვი მართალს და ტყუილი ჰგონია, იტყვი ტყუილს და ბედნიერია. ჰო და, არ მიყვარს ტყუილები. რადგან მთხოვე და ჩემი გჯერა, შენ მაინც გეტყვი სიმართლეს.

– სიამოვნებით მოგისმენ, დავუდასტურე მე.

„ამას წინათ გადეირია ცხენისწყალი, ლამის ხუნჯულაურის ცენტრამდე ამევიდა. მღვრიე ურჩხულივით მოედო აქაურობას, მიჰქონდა და მოჰქონდა ხალხის და თავისი საკუთრება. ეს დრო ლოქოებზე ნადირობის დროა და მეც გავმართე რამდენიმე ანკესი, რა სათქმელია, ფოლადის ჯაჭვები დავჭიმე ანკესზე, ზედ ამირანის გატიტვლებული ინდაურები დავამაგრე სპილენძის მავთულით და აი, იმ ასწლიან ჭადარზე დავაბი ღამით. დილით, ადრე გამოვედი და რას ვხედავ, ჭადარი ნახევრად წაქცევაზეა!

გამევწიე და გამევწიე, კიდევ გამევწიე და გამევწიე. გამომყვა სანამ სიფათში არ შემხედა! მეც შევხედე და რკინის ლომი ვდრუზე თავში. წითლად შეიღება მღვრიე ცხენისწყალი. უშველებელი იყო დალოცვილი, ძლივს ავათრიეთ ამირანის ორთვალაზე. მთელი სოფელი მე შემომნატროდა. ასეთი ბედნიერება და სახელი არავის რგებია. იმხელა თავი ჰქონდა, რომ ძლივს გეეტია სახლის კარებში.

დედაჩემს შეეშინდა, მაგრამ შევეხვეწე, მუცლის მოშორებაში დახმარება ვთხოვე. ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, დედაჩემმა ატეხა ერთი ალიაქოთი. ლოქოს მუცელში მთელი საწყობი იყო; ახალთახალი კალოშები და ბათინკები, ტუფლები, ვინ იცის კიდევ რა, ბოლოს კატა, რომელიც თითქმის ცოცხალი იყო.

კატის დანახვაზე დედას გული ლამის წაუვიდა და მიმატოვა.

ოჯახში არავინ დააკარა პირი ჩემს ნადავლს. კატა უმალ მოვაშორე იქაურობას, ფეხსაცმლებს კი არაფერი დაეწუნებოდა. ერთი წყვილი ტუფლი ჩემთვის გადავმალე, ორი წყვილი კალოში ამირანს გადავეცი ინდაურების სანაცვლოდ, რომლებიც მეგრელების მოპარული ეგონა და ქურდები ილორის ხატს გადასცა, დანარჩენი, უფრო პატარები, სკოლის ბავშვებს გავუგზავნე; ახლაც აცვიათ წვიმაში.

– არ გჯერა ჩემი?

მიდი, ნახე! ამირანი ცხენიდან ახლა ველოსიპედზე გადაჯდა და დააკვირდი, ის კალოშები თუ არ აცვია. თვითონაც გეტყვის, მაგრამ ინდაურზე არაფერი უთხრა, ასაკშია უკვე, ეწყინება ჩემგან!

გარეგნულად არაფერი შევიმჩნიე, მაგრამ თვალმოჭუტულმა შევუქე ვაჟკაცობა და ქველმოქმედება, თუმცა ახარხარებისგან ძლივს ვიკავებდი თავს, სუნთქვა მეკვროდა. ვატი კი, თითქოს არაფერიაო, ოცნებებში გართული, მარნის მაღალი ხეების კორომს არ აშორებდა თვალს.

– ბატონო ვასილ, ეტყობა, იმერლებსაც დაგცდებათ ხელი ფრინველებზე ზოგჯერ, ვუკბინე ვატის.

– ოო, გაჩერდი ახლა. შენ, ეტყობა გეწყინა მეგრელებზე ჩემი ნათქვამი. ეს გართობაა, საბაბია ქეიფისთვის, როცა მოგვენატრება ერთმანეთი. ქურდობა იმას ჰქვია, რაც ძველი ხელისუფლების დროს ხდებოდა. სხვისი მაგალითი რად მინდა, განა ჩვენი სოფლის არ არის საკმარისი? გაიხედე უკან. იცი რა ფერმები იყო აქ, რა მექანიზაცია, რამდენი ძროხა და კამეჩი. ახლა მხოლოდ ნანგრევებია. რაღაც-რაღაცები გადავარჩინეთ, თოფებით ვიცავდით იქაურობას, მაგრამ რად გინდა, მერე იმან გაიტანა თურქეთში ჯართად, ვინც შეისყიდა. ვართ ახლა უმუშევრები და ვეძებთ გასართობს. მე, მგონი, თურქეთში გავიპარები, მრცხვენია უსაქმურად ყოფნის;

– ბიზნესს, კომერციას, სოფლის სიმდიდრის ათვისებას დიდი ფული სჭირდება, ფული კი საიდან? ყველა თბილისში წავიდა, სოფელი ქალებსა და მოხუცებს შერჩათ. მეც მინდოდა წასვლა, სპეციალობით მშენებელი ვარ, მაგრამ ავადმყოფი დედა ვერ მივატოვე. რომ არ მოგატყუო, სოფელი ვერ მივატოვე, ცხენისწყალი, მეზობლები ვერ მივატოვე. მე ეს არ შემიძლია. არ ვიქნებით ყოველთვის დაწყევლილები, გამოჩნდება ვინმე ჩვენი მხსნელი, ან ჩვენ თვითონ მოვიფიქრებთ რამეს.

ვატის შევუქე კაიკაცობა, მშობლიური სოფლის ერთგულება და მოახლოებული არჩევნებზე ჩამოვაგდე სიტყვა.

დიდი მოთმინებით მისმენდა, ცქმუტავდა, მერე ადგა, ღმერთმა გისმინოსო, მანუგეშა. მერე გაღიზიანებული ტონით მითხრა:

– ნიკოლოზის დროსაც ყოფილა არჩევნები, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მისი პატიოსნად ჩატარება; შენ ალბათ იცი, საჩხერეში, აკაკის სოფელში, ამ გენიოსის ნაცვლად მისი მეზობელი ვაჭრუკანა აურჩევია ხალხსო, მომაჩეჩა საფიქრალი და წავიდა.

* * *

ჩვენი წამოსვლის წინაღამეს ახვლედიანების ოჯახში სუფრა გაშალეს. ვატი არ ჩანდა.

კარგად შექეიფიანებული ვიყავით, როცა ვატიმ დაიძახა: კარები გააღეთ და და ჯაბახანა ავტობუსი გასწიეთო. ოჯახის უფროსი, ბატონი ვალერიანი, კარებთან მივიდა. მოგვიანებით, ხმამაღალი სიცილი წასკდა და ექოდ გაიფრქვა ცხენისწყლის უშველებელ ჭალებში, რომელსაც იმჟამად ჭიაყელასავით დაწვრილებული მიუყვებოდა ღონემიხდილი ცხენისწყალი.

ავტობუსი აროხროხდა, კალიების მშვენიერი გალობა დააფრთხო და განზე გადგა. ეზოში შავი ცელოფნით გადახურული ორთვალა შემოათრია ამირანის ცხენმა და ლამის ზედ სუფრაზე მოაგდო.

– აი, საჩუქარი აბაშელი მეგრელებისგან, ჩემი ფეშქაშია სტუმრებისადმი. ამირანის სახელს გეფიცებით, არ მომიპარავს. დეიდაჩემმა იმდენი მამუშავა „პოსლეზე“ მის მოყვანაში, რომ ვერ დაველოდე გაყიდვას; უნებართვოდ შევაგროვე. სულ ეს არის. სული მოითქვა და განაგრძო:

– იქ პოლიციის ახალი უფროსი ჰყავთ, გამკაცრებულია შემოწმება, ამიტომ ცელოფანი გადავხსენი და ვიძახე, – ვის გინდათ ნესვი, კარგი ნესვი იაფად. არავინ გაგვკარებია, არც პოლიციელი, რომელსაც ნაქურდლის წილში შევიყვანდი. დალევა არ დამაძალოთ, ნასვამი ვარ, ხვალ აბაშელები, ამოვლენ, რაც დედაჩემს სამი ქათამი და ერთი კვატია დაუჯდება, მე კი ფორმაში უნდა ვიყო, რათა სირცხვილი არ ვჭამოთ იმერლებმა აწ უკვე „დაზარალებული“ დეიდაჩემის ხალხის წინაშე. კარგი ღვინოც მაქვს საშოვნი.

რადგან ვატი მოვიდა, ამირანი სუფრიდან ადგა, აქ მე უკვე არაფერი მესაქმებაო.

სუფრა სხვა ეშხით და პეწით გახურდა.

ამირანი

ამირანი შარშანწინ გავიცანი. 80 წლის ვარო, წელსაც ოთხმოცისაა, თუმცა თანასოფლელები ჩურჩულით ამბობენ, დიდი ხანია ასს გადააცილა, მაგრამ ქალები უყვარს და ასაკს იკლებსო.

მხნედ გამოიყურება, ველოსიპედით დანავარდობს.

ერთ საღამოს ორთვალა ეტლით მომადგა. სოფლები დავათვალიეროთ, მაგრამ პოლიტიკაზე არ ვისაუბროთ, რადგანაც მეუღლე მყავს აჭარაში გაგზავნილი სამკურნალოდო.

– აი, ილორი. აფხაზეთის ილორის ორეულია. მე-17 საუკუნის ბოლოს აფხაზეთიდან ლტოლვილებმა ილორის ხატი თან წამოიღეს და ეკლესია ააშენეს, რომელიც შემდეგ კომუნისტებმა დაანგრიესო. ახლა ხის ეკლესია ააშენა ხალხმა. გაიმერელდნენ, მაგრამ ახსოვთ, რომ აფხაზეთიდან არიან. სამტრედიაში ბევრი ასეთი სოფელია. ადრე მეტი იყო, მაგრამ ბევრი დაბრუნდა აფხაზეთში, მშობლიური კერია მეტად თბილია თურმე, წლებზე გამძლე. ნეტავი სოხუმის უფროსობასთან მალაპარაკა, თითებზე დათვლით დავუმტკიცებდი რამდენი ყოფილან და რამდენი დაბრუნებულა უკან;

– ამბობენ ქართველებმა დაგვიპყრესო. რატომ არ პასუხობს ვინმე, რომ ხალხი მათ გაყარეს მაშინ და ახლაც. ხალხი დაბრუნდა მაშინ, ახლაც დაბრუნდება. ნაწილი დარჩა, აქაც ჰქონდა სახლი და იქაც.

ცრემლი მოადგა. ერთხანს ჩუმად იყო.

– გიხაროდეს თუ უნდა გწყინდეს, არ ვიცი, მომიბრუნდა მე, მაგრამ შენს ირგვლივ ძველი აფხაზეთია, იმერეთის პატარა აფხაზეთი!

– ახლა ნაბაკევში შევდივართ, ეს ჩემი წინაპრების სოფელია, სანინუოც არსებობს, ისევე როგორც აფხაზეთში. ხმა ჩაუწყდა. ცხენს უმიზეზოდ გადაჰკრა მათრახი. სულ კოლხურ-აფხაზური გვარებია. თუ თქვენ მალე ვერ დაბრუნდით, ვინ იცის როდის აღორძინდება აფხაზეთში ქართველობა.

– აი, ტონიების სახლი. უგანათლებულესი ხალხია, საოცარი არქივი აქვთ, ბევრი რამ იქედან ჩამოტანილია მოგვიანებით. უარს არ გეტყვის, დაჯექი და იკითხე.

– ცოლი მედავება, ხუნჯულაურიც იქაური სახელია, „ხუნჯი“ მელიის დასაჭერი ხაფანგიაო მეგრულად, აფხაზეთში, გალში არისო სოფელი **მახუნჯია. ის ფილოლოგია და ამტკიცებს, მე ვერ ვე**დავები, რას გააწყობ მასთან, ძველი კერკეტია.

აი, ჩვენი საკრებულო, მიმითითა სოფელში ყველაზე გაპარტახებულ სახლზე; თავიდან რაღაცას ცდილობდნენ, ახლა კულაშში სხედან, თუ გინდა გავიაროთ, თუმცა მათი დაჭერა არც ისე ადვილია.

ვიყუჩე.

– კარგი, სხვა დროს იყოს, მიმიხვდა ამირანი. პოლიტიკაში არ ვერევი-მეთქი, რომ გინდოდეს, გაგაკარებს ვინმე? განაწყენებულივით დაამატა ამირანმა.

– სოფელს პატრონი სჭირდება. რამდენი რამეა ადგილზე. სააგურე მიწები გვაქვს. ვიღაცა მოვიდა, მომყიდეთო, ჩემს ხალხს დავასაქმებო. ჩვენ კი გვინდა აგურის გამოსაწვავი აქ აშენდეს და თანასოფლელები დასაქმდნენ. აგური ჩვენც გვჭირდება, ნახე რამდენი რამეა დანგრეული და განადგურებული.

იმ დღეს ექვსი თუ შვიდი სოფელი შემომატარა, მერე სახლში ძალით შემიყვანა.

მეზობლებს დაუძახა და დიდებულად გვითამადა.

ლევანი

ლევანი მერვე კლასშია, არასრულ სკოლაში სწავლობს. დღეში ათჯერ მაინც ჩადის ცხენისწყალში საბანაოდ და სათევზაოდ. იმ დღეს მე მმეგზურობდა, როგორც სოფლის წარმომადგენელი.

სათევზაო გუბურა შემირჩია – აქ კარასებია, სხვა თევზებიც, იქნებ დიდი ქარიყლაპიებიცო.

მერე სადღაც გაქრა.

გუბურას დადაბლებული წყალი მთლად მოფენილი იყო წყალმცენარეებით. ლევანმა ნამგალი წამოაცვა ბამბუკის გრძელ ჯოხს და რამდენიმე ადგილას სათევზაო ადგილები შექმნა. ქარასელები, ალბათ გრძნობდნენ ბუნების ჭირვეულობას და გადარჩენისთვის ემზადებოდნენ თურმე – რამდენჯერაც ვისროლეთ ანკესი, ოქროსფერი ქარასელები ამოვიყვანეთ, დიდები და პატარები.

მომეჩვენა, რომ ლევანი, როგორც ყველა იმერელი, რაღაც სენსაციას აწყობდა სტუმრის გასაკვირად.

დიდ ქვებზე ვისხედით, რკინიგზის ვაკისზე. ლევანი რაღაცას ჩხიკინობდა უზარმაზარ ქვებს შორის.

მეტად დიდი ქარასელა ამოვიყვანე, რომელიც თავისი სიმძიმით დაასკდა ლოდებს და არ განძრეულა. ლევანი გაოცებული მიყურებდა, ამხელა ქარასელა იქაც იშვიათობა იყო თურმე. სინანული შევამჩნიე სახეზე, გამიკვირდა, რომ არ წამოდგა თევზის ასაღებად და ბადეში ჩასაგდებად.

მე მშვიდად მოვარგე ახალი ჭიაყელა ანკესს და წყალში ვაპირებდი გადაგდებას, რომ ლევანის ხარხარი მომესმა: ჩემი ქარასელა უზარმაზარ გველს გაედო პირში და წყლისკენ მიეტრევა...

ლევანი სიცილით იხრჩობოდა!

ლევან, რა მოგივიდა?

ვკითხე ოდნავ შეცბუნებულმა: მაკეა, არ შეხედე? აქ ბუდე აქვს, კვერცხებია, მისი წილი წაიღო, შეარგოს გამჩენმა!

ლევან, შენ ეს იცოდი, რომ გველებზე ვსხედვართ და არაფერი მითხარი?

– ახლა მათ ძალიან უჭირთ, კარგი დახმარება გაუწიე, არასოდეს დაგივიწყებენ, მშვიდად მიპასუხა.

ფერმის შენობებს ჩავუარეთ. ლევანი წუხდა, რომ ასე მოხდა, მისი და დედამისის გაზრდილი ბოჩოლები გაუჩინარდნენ ერთ ღამეს. მერე სოფელმა მორიგეობა დააწესა, მაგრამ, უკვე გვიან იყო, შენობათა ნაწილის კედლების და რკინიგზის ლიანდაგების გადარჩენა შეძლეს მხოლოდ!

– რა გვეშველება?

მეკითხება ლევანი.

– გვეშველება, ახალი, ახალგაზრდა მთავრობა გვყავს, ხალხზე ზრუნავს.

ძალიან მაინტერესებდა ლევანის რეაქცია, მაგრამ ხმა არ ამოუღია, სიბნელეში კი მის სახეს ვერ ვხედავდი.

– როგორ მინდა კომპიუტერი ვიცოდე, ერთი მაინც რომ გვქონდეს სკოლაში, რა ბედნიერები ვიქნებოდით.

გექნებათ.

– ცდილობდა ნინო მასწავლებელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა!

გამოუვა, უფრო უნდა მოინდომოს.

–იცით, მე თბილისში გადავიდოდი სასწავლებლად, მაგრამ მასწავლებლები მეცოდებიან, განსაკუთრებით ნინო მასწავლებელი, კარგი პედაგოგია და შესანიშნავი ადამიანი. ვატის დაა. ისედაც ცოტაა ბავშვები, სკოლა დაიკეტება!

უკვე სახლში ვიყავით.

ლევანი გამომემშვიდობა და ათასი საფიქრალი დამიტოვა...

ქარასელები

ყვავების გუნდი თავს დასტრიალებდა დამშრალ გუბურებს. და ჩვენც წამოვყარეთ ყვავების გუნდი ერთი დამშრალი გუბურადან.

ფრთხილად მივაბიჯებ ოდესღაც ღრმა მორევის ფსკერზე.

ფსკერის ზედაპირი წმინდად დაუსუფთავებიათ ყვავებს, ახლა ლამში ღრმად ჩასულ ქარასელებს ეძებდნენ. პატარებმა შესძლეს კარგად შენიღბვა, მაგრამ დიდებს გასჭირვებიათ დიდრონი ტანის დამალვა, კუდები და ქვედატანი დარჩენოდათ გარეთ.

აუარებელი დიდრონი ქარასელა ამოვიყვანეთ შლამიდან. უკვე მკვდარი გვეგონა, მაგრამ, როგორც კი წყალაში ჩავსვით, უმალვე გამოცოცხლდნენ და გასრიალდნენ.

საოცარია ამ თევზის სიცოცხლის ძალა: გაფატრავ, გულ-მუცელს ამოაცლი, ქერცლისგან გაასუფთავებ და მაინც ლაღად დაცურავს ჭურჭელში. რაა ის რაც მას ასეთ სიცოცხლისუნარიანს ხდის. შესწავლილია კი ამ თევზის გამძლეობის **მექანიზმი და მასთან** დაკავშირებული ყველა საიდუმლო?ქარასელა ხომ ნამდვილად უკვდავია.

შავწყალა

შავწყალა ცხენისწყალს ერთვის, მაგრამ წყაროდან იღებს სათავეს და ბუნების კაპრიზები მასზე თითქმის არ მოქმედებს. ეს არის რომ ძალზე ცივია, იშვიათად აქვს მორევები. ერთადერთი გამონაკლისია რკინიგზის ლიანდაგის ხიდი, სადაც შავწყალა მეტად ღრმაა.

ამ ადგილს ადგილობრივები „ქალთა სავანეს“ ეძახიან.

ამირანის რჩევით და მისი ეტლით რკინიგზის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოვჩნდით.

მაცდუნა ამირანმა, აქ სოფლის ქალები ბანაობენ თურმე შეღამებისას.

შორიდან ვუყურებდი ამ საოცრებას; ალბათ ასე იყო კოლხი მედეას დროსაც: არავითარი საცურაო კოსტიუმი, კვართები – ტანზე მკაცრად გამოყვანილი გრძელი თეთრი პერანგები...

ცივ წყალში ერთბაშად ჩაცვივდნენ ყელმოღერებული გედები და თითქმის ერთბაშად ამოვიდნენ. თეთრი ქანდაკებები ქალური მოხდენილობით ჩაკეცილები, მწკრივად დალაგდნენ ნაპირზე. არასოდეს მეხილა მსგავსი სილამაზე ზღვაზე გაზრდილ კაცს.

კიდევ რამდენი საუკუნე უნდა დასჭირდეს კაცობრიობას, რომ ნამდვილად ჩაწვდეს ქალის ფენომენს და მშვენიერებას.

სული მძვრებოდა ფირზე დამეფიქსირებინა ეს წარუვალი სილამაზე, მაგრამ მათი ნებართვის გარეშე ამას ვერ ვიზამდი. ეს საოცრება იყო, რომლის ხელახლა ხილვაზე მხოლოდ უნდა ილოცო!

გამიბრაზდა ამირანი. მე ისედაც შემიძლია თავი დავანახო, ქოქოლას დამაყრიან და ტკრციალით გედეეშვებიან წყალში, ვიღაც სიბერეს შემახსენებს კიდეც, მაგრამ რა მოხდებოდა ერთი-ორი პოზა რომ გადაგეღო? გავამჟღავნებდი და თითო ვარიად ვაყიდვინებდი ყველას. რა არის ამაში ცუდი, მიუღებელი?

ნებართვა არ აგვიღია! – დავიბუზღუნე მე.

წერილობით უნდა გეთხოვა **ქართიდან და აქ ჩაგიმწკრივებდ-**ნენ სარაფნებით, მიკბინა ამირანმა და ცხენი რკინიგზის ხიდზე შეაგდო.

ეტლის ხმაურზე, რომელზედაც მეც შემნიშნეს, ქალიშვილები წივილ-კივილით ჩაცვივდნენ წყალში და მაისის ციცინათელებივით გაანათეს ბნელი მორევი.

–შენ კარგი, ბაბუად მიაჩნიხართ, მე კი უცხო ვარ მათთვის, სირცხვილი არ არის?

ამირანი ახითხითდა: რომელი მათგანი არ გიცნობს? ყველა უკვე იყო თქვენთან, **რაღაც-რაღაცები შეუტანეს სულიკოს ურიცხ-**ვი სტუმრისთვის, აგათვალ-ჩაგათვალიერეს, შენს ლამაზ ბიჭს შეხედეს, იქნებ გულშიც ჩაუვარდათ კიდეც. იმერელ გოგონებს ეშმაკობაში შეედრება ვინმე? მაგრამ ოჯახის ერთგულები არიან მთელი სიცოცხლე. თითო-ოროლა ფეხმსუბუქი სად არ არის ახლა, თქვა ნიშნის მოგებით და თვალი ჩამიპაჭუნა.

– დააკვირდი, კარგი გოგონები არიან, იქნებ რძლადაც გამოჰკრა ხელი, დამარიგა ამირანმა.

შავი მდინარის ფონზე გადასვლისას ხიდისაკენ გავიხედე: თეთრი მტრედები, ერთმანეთზე მიტყუპებულები კვლავ ერთ მწკრივად ჩაცუცქულიყვნენ ხიდის ქვეშ, ნაპირზე.

– ირმაც იქ არის?

ამირანისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ეს შეკითხვა.

– საიდან იცნობ? მართლაც ულამაზესია სამტრედიაში, გემოვნებას ვერ დაგიწუნებს კაცი, თანაც მეტად განათლებული და ადამიანურია, შეაქო ამირანმა და ეშმაკურად გაიღიმა.

ხუნჯულაური, სამტრედია, თბილისი.

სამურზაყანოს ორაგულები

შავი ზღვის ორაგულის გენეტიკაში ჩადებულია კოდი, რომ მხოლოდ მშობლიურ ადგილებში დაბრუნებულს შეუძლია გააჩინოს ჯანსაღი შთამომავლობა.

ორაგულები თავს არ ზოგავენ შინ დასაბრუნებლად. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ბრუნდება ცოცხალი დედო სახლში, რათა გადაიხადონ ქორწილი, დაყარონ ქვირითი, საკუთარი ხორცით გამოზარდონ ლიფსიტები და ვალმოხდილნი გაუჩინარდნენ უსასრულობაში.

ორაგულებს ჰგვანან აფხაზეთის ქართველები, რომლებიც ცოცხლები თუ გარდაცვლილები საბოლოოდ უსათუოდ ბრუნდებიან აფხაზეთში.

* * *

აფხაზეთის ორაგულები შავი ზღვის ორაგულთა ოჯახის წევრები არიან, თუმცა მათთვის უცხო არ არის ხმელთაშუა ზღვის და ატლანტის ოკეანის უკიდეგანო სივრცეების გაჭრაც.

ჩვენი ორაგულები შავი ზღვის სხვა ორაგულებს ჰგვანან და არ ჰგვანან კიდეც, რადგან ისინი აქაურები, ჩვენებურები არიან, ამ მიწის და ამ წყლის ნაწილი, ზურმუხტის და ლილისფერი სამყაროს შვილები. ისინი აქ იბადებიან, იზრდებიან, მიდიან, მოდიან, მაგრამ უთუოდ შინ ბრუნდებიან.

გალელი ორაგულების უშველებელი ქარავნები აპრილ-მაისში შავის ზღვის აფხაზეთის ნაპირებზე მარაოსავით გაიშლებიან და თავიანთ ოდაბადეს ეძებენ.

ორაგულების დიდი ქარავანი, ანაკლიასთან, წინაპრის ამოუცნობი ინსტინქტით, ენგურის ვიწრო შესართავებს გადალახავს და მდინარის ძველ, თითქმის უწყლო, ნადინარებში ეშვება იმ

იმედით, რომ იქნებ უკვე აღარ არის ჯვარის მაღლივი კაშხალი, რომელიც ენგურის სათავის, სვანეთის მყინვარებისკენ მიმავალ გზაზე ზღუდედ ჩადგა.

ორაგულები ახლა განარჯიას მუხურის, მეორე ოტობაიის, ზარწუფა-ხურჩას, ოტაბაია-შამგონის, თაგილონ-ჭუბურხინჯის წყალმარჩხ ღარებს მიაპობენ. ერთხანს სცილდებიან ერთმანეთს, მდინარის ტოტებში იფანტებიან, შენაკადებს, ხაიებს აფარებენ თავს.

აქ მეტად საშიშია, ყველგან მონადირეა ჩასაფრებული. ახლა ისინი ორაგულებისთვის უჩვეულო ენაზე ლაპარაკობენ.

ენგურის გადასასვლელებზე ხალხმრავლობაა, ძირითადად ქალები არიან, მათ ორაგულებისთვის არ სცალიათ. ნაღვლიანი და ჩამოძონძილები მძიმე ტვირთებს მიათრევენ.

დიხაზურგა-ზენი-სამქვარიც არ არის უხიფათო, აქ ბადეებია დაგებული. თხილის წკნელებისგან დაწნული ფაცრები და კუნოები ვიწრო ნაკადებში მიმოუფანტავთ. თუმცა, ამ ყველაფერს გვერდს უქცევენ და გზას აგრძელებენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა, მხოლოდ ღამით გამოჩნდებიან ჩონჩხად ქცეული მამაკაცების ლანდები, რომლებიც მათსავით ფრთხილად მიემართებიან სადღაც.

ორაგულები საბერიოს „პერებროსკაზე“ შენიშნეს ფორმიანმა და თოფიანმა მონადირეებმა. აქ ისინი განსაცდელში სხვა მხრივაც არიან: წინ ბეტონის ზღუდეა. ახტომაა საჭირო, კუდის და ფარფლების ძლიერი მოქნევა.

ფახულან-ჭალეს უბანზე გადასვლა ახლაც ჯოჯოხეთია, თუმცა მაინც მოახერხა უმეტესობამ.

და აი, ჯვრის წყალსაცავის მაღლივი, მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალის უსაშველო ურჩხული გამოჩნდა. აქ არაფერი შეცვლილა, გზა დასრულდა. რა ძლიერია და რა უგუნური ადამიანი, განა ძნელი იყო აქ გასავლელის დატოვება, – სწუხან ორაგულები თავის ენაზე და უკან ბრუნდებიან...

ორაგულთა გადარჩენილი ქარავანი მეორე გუდავას მიადგა. რა დიდებულად ერთვის აქ ოქუმწყალი და გუდაწყალი შავ ზღვას. ირგვლივ პატარა, ქვიშიანი კალაპოტები და ნაკალაპოტარები გაფანტულა, ისლით და შვიტებით დაფარული დაჭაობებული წყლები, ცათამბჯენ ხეებად ქცეული მურყნები, რომელთა ჩრდილში გაზაფხულის მწველი მზის სხივებიც ძლივს ატანენ. მეწამულ წყალში ლოქოები და ქარიყლაპიები მბრძანებლობენ, დასისინებენ ჭრელი და წითელი გველები, ნაპირზე ზურგებს ითბობენ კოლ-

ხეთის მკვიდრი კუები. აქაც მკვდარი სიჩუმეა, ადამიანი არსად ჩანს.

წინ მდინარე ოქუმია. სამანქანო ხიდთან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და შეიარაღებული ადამიანები დგანან და ისინიც გაუგებარ ენაზე ყვირიან.

უმალ ძლიერ იქუხა, ათამდე შადრევანი ავარდა წყალში, წითლად შეიღება მორევი.

შეყოვნდნენ ორაგულები, მოცდა დაღამებამდე არჩიეს.

ფუწყურთან კვლავ ააფეთქეს ლაღუმები მკვდარი ორაგულებით გაივსო მდინარეთა შესართავი.

ორაგულების ერთმა ნაწილმა ოხოჯესკენ გაუტია, მეორემ წარჩეწყალს შეაფარა თავი, მესამე, ყველაზე დიდი ქარავანი მთიანი ოქუმის დალაშქვრას შეუდგა. . .

ჯოჯოხეთური გზაც დასრულდა. ხელის გაწვდენაზეა ოჭაკეს, ოხაჩქუეს, ჟეპიშხას მთები, იმათ იქით თოვლი და მყინვარებია. კირქვის ძაბრის მაგვარი კედლებიდან მოწანწკარებენ პატარ-პატარა ნაკადულები და ორაგულების სანუკვარ აკვანს-წყალმარჩხ ქარაფებს ქმნიან. ნაგვემ-ნაცემი, დაღლილ-დაქანცული, მაგრამ ბედნიერი ორაგულები წითლად, მეწამულად, ლილისფრად იმოსებიან, ზეიმი აქვთ და ქორწილებს მართავენ, მერე ორმოებს თხრიან და შიგ ქვირითს ყრიან, რომელსაც მამალი ორაგული უმალ მოასხამს „მოლოკს.“ ქვირითიან ორმოებს ფრთხილად მოაყრიან შლამს და ერთხანს დარაჯობენ, რადგან ქვირითს უამრავი მტერი ჰყავს.

ზეიმსაც აქვს დასასრული და კვდებიან ვალმოხდილი მდედრი და მამრი ორაგულები.

დახოცილი ორაგულებს მდინარე დაბლა მიატივტივებს და ახალგამოჩეკილი ლიფსიტები თავიანთ მშობლების სხეულს წიწკნიან და სწრაფად იზრდებიან. . .

ღვთიური წესია, ორაგული საკუთარი სიცოცხლის ფასად მრავლდება, ოღონდ და უთუოდ ამისთვის მშობლიურ ადგილებში დაბრუნებაა აუცილებელი.

* * *

თითქმის ათი წელიწადია აფხაზეთის ქართველები, გალის რაიონის მოსახლეობა, ორაგულებივით მტკიცედ და ზუსტად ასრულებენ უფლისაგან დადგენილ წესს და გონისთვის აუხსნელ ნებას. ბევრი მათგანი ტანჯვით და წამებით, გოლგოთის გზით დაბრუნდა და ცხოვრობს აფხაზეთში.

ენგურს გამოღმა მიმოფანტული გალელები, როგორც წესი, უბრუნდებიან სამურზაყანოს.

შემზარავი სანახავია ქართველთა დაბრუნება აფხაზეთში, მაგრამ მათ სხვანაირად არ შეუძლიათ.

ანაკლია-ზუგდიდი, ივნისი, 2004 წ.

ცხენისწყლის ლოქო

ლაშამ მდინარის თევზების მოტყუება და ნაპირზე ამოყვანა აფხაზეთში ისწავლა. მაშინ ის ხუთი წლისაც არ იყო, მაგრამ თევზაობაში ისე გაიწაფა, რომ, თანატოლები ამბობდნენ, იღბლიანია, გაუჩენელს გააჩენსო.

თევზაობიდან ის ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა, ზოგჯერ იმდენს დაიჭერდა, რომ სახლში მიტანა უჭირდა.

ეს იყო მშვიდობიან აფხაზეთში, გალის ზღვისპირა სოფლების მდინარეებში, ბაბუას და მამიდების სახლებთან ახლოს.

რამდენიმე დღით, ოჯახთან ერთად, სამტრედიის რაიონში ჩავედი.

მთებში წვიმდა. ცხენისწყალი კალაპოტში არ ეტეოდა და აბობოქრებული მიმდებარე ტერიტორიებს მოსდებოდა.

ლაშა გვიანობამდე რჩებოდა ამღვრეული მდინარის ჭალებში.

საღამოთი მასპინძელთან, ბატონ ვალერიანთან ერთად ვარკვევდი თუ რატომ ერქვა ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის რიგ სოფლებს აფხაზეთის სოფლების სახელები და საიდან ჰქონდათ ამ სოფლების მცხოვრებთა უმეტესობას მხოლოდ **აფხაზეთში გავრცელებული** გვარ-სახელები.

ვალერიანმა მრავალ ნაცნობთან მიმიყვანა. მეტად იყო საინტერესო სოფელ ილორში ას წელიწადს მიღწეული ადგილობრივი მკვიდრის ნაამბობი. მისი თქმით, იგი აფხაზეთში **ილორის ეკლესიის** წინამძღოლის შორეული მემკვიდრე ყოფილა და კარგად ახსოვდა მისი დიდი პაპის არაერთი მონაყოლი.

მართალია, სათანადო საბუთები ამ ადამიანებს არ ჰქონდათ და არც ველოდი რაიმე ქაღალდის ასე ზერელედ მოძიებას, მაგრამ ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლოდ მიმაჩნდა დასკვნის გაკეთება, რომ მე-17 საუკუნის დასასრულისთვის, სამეგრელოს მთავრის ლევან **II დადიანის უეცარი გარდაცვალებით** გათამამებულ აფხაზ დიდგვაროვნებს, მთიელთა დახმარებით (რომელთაც აქეზებდა ოსმანთა იმპერია), აუწიოკებიათ მთელი სამეგრელო და ცხენისწყალზე გამოსულან. მაშინ ქართველებისგან პირველად გაუწმენდიათ აფხაზეთი.

ასე გაგრძელებულა რამდენიმე ათეული წელიწადი.

იმერეთის მეფის ბრძანებით დევნილები დაუსახლებიათ ამ ტერიტორიებზე, რომელიც მაშინ გაუვალი ტყე და ჭაობი ყოფილა, მაგრამ საკმაოდ დაცული გარე თუ შინაური მტრებისგან.

როგორც კი ოდნავ მისცემია ამოსუნთქვის საშუალება, იმერთა მეფეს, შეუქმნია ლაშქარი აფხაზეთიდან და სამეგრელოდან გამოძევებულებისგან. წინამძღოლად ჩაუყენებია თავისი გვარდია და მტრებისგან გაუთავისუფლებია სამეგრელო. ჯარს თან ხლებია იმერთა ეპისკოპოსი და ჭყონდიდელი.

დაქუცმაცებული საქართველოს ხელისუფლებას იმჟამად მეტი ვერ მოუხერხებია და მდინარე ენგურიდან გამობრუნებულა.

მეგრელები დაბრუნებულან გათავისუფლებულ სამეგრელოში, აფხაზელებს კი აფხაზეთიდან ჩამოტანილი ხატების სახელი დაურქმევიათ ახალი დასახლებებისთვის და იქ ჯერ ხის, შემდგომ ქვიტკირის ეკლესიები აუშენებიათ.

ისინი გადარჩენილან ფიზიკურად, მაგრამ, როგორც მენიშნა, მათში დღემდე არ გამქრალა სინანული განცდილი მარცხის და ნოსტალგია აფხაზეთის დაკარგვისთვის...

სამტრედიიდან თბილისამდე მიკრო-ავტობუსით ვიმგზავრე. არ მშორდებოდა ფიქრი იმ ქართველებზე, რომელთაც სახლებს უწვავდნენ, სისხლით და ძალადობით ერეკებოდნენ მშობლიური ადგილებიდან, იმ გოგო-ბიჭებზე, რომლებიც ხელფეხშეკრულები გაყიდეს აღმოსავლეთის ბაზრებზე.

ულმობელია დრო, კვლავ გამეორდა აფხაზეთის ტრაგედია.

იმერთა მეფისგან განსხვავებით ქვეყნის წინა ხელისუფლებამ ათი წელიწადი გვატყუა: დღეს თუ არა, ხვალ აფხაზეთში დაგაბრუნებთო, თუმცა ერთი რამ კი გააკეთა, როგორც შეეძლო: თითქმის არც ერთი დევნილის ოჯახი არ დატოვა თავშესაფრის და მცირედი ყოველთვიური დახმარების გარეშე.

გზა აფხაზეთისაკენ დღემდე ვერც ახალმა ხელისუფლებამ მონახა. ჩვენდა გასაკვირად უცხოელებზე იყიდება აფხაზეთელებით ჩასახლებული კორპუსები და თავშესაფრებს მეორედ ეძებენ დევნილები.

აგვისტოს ბოლოსთვის ოჯახის წევრებიც ჩამოვიდნენ სამტრედიიდან. ლაშამ თბილისში თევზები და საკმაოდ დიდი ლოქო ჩამოიყვანა. ვერ შეელია ბიჭი თევზებს, მეზობელმა აქვარიუმი ათხოვა.

ბუნება თავის საქმეს აკეთებს-ლოქო იზრდებოდა და იზრდებოდა, ამასთან არ იშლიდა მტაცებლის ინსტინქტს; აქვარიუმში მოკეცილი იწვა და პატარა თევზებს მიირთმევდა.

* * *

ივლისის ერთ ცხელ დღეს, გამთენიისას გაგვაღვიძა „ჯიპის“ ძრავის ღრიალმა და ჩვენი კორპუსის კედელზე დაჯახების ხმამ.

მე და მეუღლე ქუჩაში გავედით, მოგვიანებით რამდენიმე მეზობელი შემოგვიერთდა იტალიური ეზოდან.

უკანა კარები უფრო ადვილად გაიღო, საიდანაც ქალი და კაცი გამოვიყვანეთ. ქალი კვნესოდა, კაცი იგინებოდა.

წინა კარები არ იღებოდა, საჭესთან მჯდარი ქალი კიოდა, დახმარებას გვთხოვდა.

ძალაყინი ვიხმარეთ და წინა სავარძლიდან კაცი გამოვიყვანეთ, უზომოდ მთვრალი იყო, კაცი, სისხლს აფურთხებდა.

ქალის ტერფი ჩაჭედილი იყო სიჩქარის გადამრთველის კოლოფთან. ბევრი ვიწვალეთ, გავანთავისუფლეთ, დგომა არ შეეძლო.

ქალები სახლში შევიყვანეთ. სასწრაფო დახმარებაში დარეკვა შევთავაზე. მძღოლმა ქალმა მედიდურად წამოსწია თავი, თვალი გაახილა და წაისისინა, არ გაბედო!

მეწყინა. ზევით, კაცებთან ავედი.

გამიკვირდა, კაცი წინა სალონიდან მობილური ტელეფონით ვიღაცას ბრძანებას აძლევდა: სასწრაფოდ, ოთხი კაცი, ფიზიკურად ძლიერები, ორი თუ სამი **წინახიდის ოსტატი, წამოიღონ რაც დასჭირდებათ**, ფული პრობლემა არ არის!

მამაკაცებიც სახლში შემოვიყვანე. ისინი საკმაოდ ასაკოვანები ჩანდნენ.

დავწყნარდით, სერიოზულად არავინ დაშავებულა, გარდა ავტომანქანის და ჩემი კედლისა.

მეუღლე შეეცადა ყავის ადუღებას, წესი, წესია. ჩქარობდნენ, მაგრამ ფეხდაზიანებულ ქალს ჯერ კიდევ არ უნდოდა წამოდგომა. მანქანის გამოტანაც გაჭიანურდა. კაცებმა დამიჯერეს, მაგიდას მიუსხდნენ. ვუთხარი, აფხაზეთელი ვარ-მეთქი. არანაირი ემოცია არ გამოუხატავთ, მოგვიანებით ერთს შევეცოდე, **ოო, რა დრო მიტარებია** გაგრაში, რამდენი ქალი იყო, საწყენია!

მერე ფეხდაზიანებული ქალის მოშიშვლებულ ბარძაყზე დადო ხელი, გაუღიმა.

ჩქარობდნენ, მაგრამ მანქანა ძნელად კეთდებოდა. მანქანა ქალს ეკუთვნოდა თურმე, ქმარს ვერ აუხსნიდა ასე გვიან რას აკეთებდა ქალაქში.

დრო მქონდა და უსიამოვნო უხერხულობის გასაფანტავად ლოქოზე, მის სიხარბეზე წამოვიწყე საუბარი.

– მიშა, აი ის, რასაც ვეძებდი, ჯერ ჩემს აკვარიუმში უნდა ჩავსვა, მერე მის ოქროს ასლს გამიკეთებ, მოდაშია ახლა, ხომ გახსოვს რა სიტყვა მომეცი, ხმა ამოიღო ქალმა.

მიშამ შეხედა, უხერხულიაო, ანიშნა.

– თუ ასეა, ხომ იცი... არ მიყვარს უხერხემლო კაცები, ლამაზი კბილებიდან გამოსცრა ქალმა და მიშას ხელები თავის ქათქათა ბარძაყს მოაშორა.

მერე მე მომიბრუნდა, უნდა მომცე, გადაგიხდიო.

– არ ვყიდი, ბიჭისაა, გაზარდა, თუმცა საზიზღარია, მაინც უყვარს, აფხაზეთს აგონებს, ვუპასუხე თავჩაქინდრულმა.

– ნან, გეყოფა, ეს კაცების საქმეა, ხმას აუწია მიშამ.

მერე პიჯაკის კიდე გადასწია, ქამარზე გარჭობილი იარაღი გაისწორა და დოლარების შეკვრა მაგიდაზე დააგდო.

– 1000 დოლარი!

– არა.

– 2000!

– არა.

– 3000!

არა, გავჯიუტდი მე.

– აა... უკან მოვიხედე.

– აჩუქე მამა, რა პრობლემაა, ჰუმანიტარული საბნიდან თავი გამოჰყო ლაშამ.

– კარგით, წაიყვანეთ, ფულს მაინც არ გამოგართმევთ, დავთანხმდი მე.

ბიჭმა ცელოფანის პარკში წყალი ჩაასხა და ორად გადაკეცილი ლოქო გადაიყვანა.

შემეცოდა ლოქო, ბიჭი უფრო.

მეუღლე საწოლის კუთხეში იჯდა, ხმა არ ამოუღია.

მანქანა დაქოქეს.

საჭესთან ისევ ქალი დაჯდა.

– ჩემთან მივდივართ, მიშას აგარაკი შორსაა, თენდება უკვე, გიორგის თვითმფრინავი ათზეა, რა დრო დავკარგეთ, სულელი კაცები, თქვა და მანქანა დაძრა.

* * *

ჩვენს გაჭვარტლულ ბინაში დავბრუნდით. ჩემი თავი და ბავშვები შემეცოდა.

–არა, ეს არ არის თბილისი, თბილისი სხვა რამეა. თვალწინ ასათიანების, მესხელების, გულუების, ანთიების, თუზბაიების ოჯახი და ბავშვები დამიდგა, რომლებთანაც დევნილობის სამ-სამი თვე გავატარეთ, სანამ თავშესაფარს ვიშოვიდით.

– არა, არც ეს ხალხია ურიგო, ეს არის ბევრი დალიეს, დაიღალნენ, ვთქვი ხმამაღლა და მეუღლეს შევხედე...

თბილისი, სექტემბერი, 1995 წ.

უმანკოების ფასი

ორი რამ ავსებს ჩემს სულს საკვირველებით:
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ
და ზნეობრივი წესრიგი ჩემში.
ემანუელ კანტი

აგვისტოს დასაწყისში ბორჯომში ნანავარდებმა ბიჭებმა, სამი დღე-ღამე თბილისში გამოიძინეს და შავი ზღვის ერთ-ერთ კურორტზე დასვენების გაგრძელება გადაწყვიტეს.

ორი ცისფერი „მერსედესით“ საღამოს უკვე ზღვისპირა ქალაქში იყვნენ. საბარგული პირთამდე სავსე იყო ძვირად ღირებული კონიაკებით, შამპანურებით, მოდური სუნამოებით, უკანასკნელი მოდელის ვიდეო კამერით, მაგნიტოფონით, „სანსეტის“ სასაჩუქრო ბარათებით, პორნოგრაფიული და მძაფრსექსუალური ვიდეო ფილმებით, სხვა მრავალი წვრილმანით.

სასტუმროში აპირებდნენ დაბინავებას, როცა ნიკას ყურადღება, ასე 14-15 წლის, მშვენიერმა გოგონამ მიიპყრო. გოგონას თხელი, გამჭვირვალე მოკლე კაბა ეცვა, შავი დალალები ზურგსა და მზე უნახავ ქათქათა მკლავზე ეყარა, მაღალი, სწორი, მუხლს ზემოთ საკმაოდ სქელი თეთრი ფეხები ბაბთიან თურქულ ფოსტლებში გაეყარა, ხელში პური და რაღაც პროდუქტი ეჭირა; ეტყობოდა, რომ ახლომახლო ცხოვრობდა.

ნიკა გოგონას მანქანით მიუახლოვდა. გოგონა გაჩერდა და მძღოლს ცნობისმოყვარეობით მიანათა გადამწიფებული მაყვალივით შავი თვალები. ლოყაზე ალმურმა დაუარა: თითქოს პირველად იგრძნო უჩვეულოდ ლამაზი ბიჭის აგრერიგად ელვარე თვალები, რომლებიც მის წვრილ წელს, განიერ თეძოს, წვივებს მონუსხულივით მიშტერებოდა.

ნანა დაიბნა, გაწითლდა, სხვა გზა არ ჰქონდა: მანქანიდან ჩამოსულმა ნიკამ ხელზე აკოცა, მერე რაღაც მორცხვად ჩაილაპარაკა, თავი გააცნო, შორიდან ბიჭებიც ანახა. ნიკამ თავი დახარა და საუკეთესო სასტუმროს ადგილმდებარეობა იკითხა.

ნანა ჩაფიქრდა, მერე სასტუმროც დაუსახელა, ისიც დაამატა, უფრო იაფად ისეთი კერძო სახლებიც ქირავდება, რომ არაფრით ჩამოუვარდებიან სასტუმროს, ამასთან საჭმელსაც მოგიმზადებენო შეთანხმებით.

ნიკას მამაკაცური ინსტინქტი აზვირთდა, როგორ შეიძლებოდა ნანასთანა ანგელოზის ხელიდან გაშვება: ჯერ კიდევ ყმაწვილმა იმდენი რამ ნახა, რომ მისთვის მიუწვდომელი დედაკაცი წარმოუდგენელი იყო.

ნიკამ ნანას სახლის მისამართი სერიოზული იერით ჰკითხა, დამსვენებლების მიღების შესაძლებლობაზეც დაამატა. ნანა ჩაფიქრდა, ბებიას უნდა ვკითხოო და სახლის ტელეფონი ჩააწერინა. მისი მდგმურები ახლად წასულები იყვნენ.

ნანას მამა არ ახსოვდა. იგი ძალიან პატარა იყო, როცა მამამისი, ლამის მთელ ქალაქში ცნობილი და საყვარელი კაცი, მამაცი მეზღვაური, შორეულ ნაოსნობაში უბედური შემთხვევის დროს ოკეანემ შთანთქა.

ორ-სამ წელიწადში ბებია, ასევე ქალაქში ცნობილი მასწავლებელი, ლოგინად ჩავარდა; თითქმის ვერ დგებოდა, გონებაც ღალატობდა.

გაუჭირდა ოჯახს, მამის საფლავის მოწყობა ძვირი დაჯდა, ბებიას წამლებს ფული ჭირდებოდა, მოგვიანებით დედამაც დაკარგა სამუშაო და ოჯახის სარჩენად თურქეთში გადაიხვეწა.

ოჯახს, ზღვის ნაპირზე მდგარი სახლის პირველი სართულის კომფორტული ოთახების გაქირავებით სეზონიდან სეზონამდე გაჭირვებით გაჰქონდა თავი.

დედა, როგორც წესი, კვირაში ერთხელ დარეკავდა, ნანას და ბებიას მოიკითხავდა, ხანდახან ფულსაც გამოაგზავნიდა.

ნანას ადრე რცხვენოდა დედის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი ქალის თურქეთში ყოფნა, მერე შეეგუა, რადგანაც მისი უამრავი მეზობელი და ახლობელი თურქეთიდან არჩენდა ოჯახს.

ნანამ ბებიასგან დამსვენებელთა მიღებაზე თანხმობა მიიღო, სიფრთხილისთვის მათი პასპორტები მოითხოვა და დამშვიდდა კიდეც, როცა გაიგო, რომ ბიჭები ქვეყანაში ცნობილი ადამიანების შვილები იყვნენ, სწავლობდნენ და ერთ-ერთი მათგანი შორეულ ნათესავადაც ეკუთვნოდა.

ბიჭებმა ნანა ქირაზე არც ალაპარაკეს. ნიკამ ათასი დოლარი დააგდო მაგიდაზე. ნანა გაოცებული დარჩა, მაგრამ მალევე დამშვიდდა, რადგანაც მასაც გაგონილი ჰქონდა ახალ დროში ბევრი ადამიანის მდიდრული ცხოვრების წესი და ხელგაშლილობა.

ბიჭები კარგად მოეწყვნენ.

ნანამ მზარეულობა იკისრა.

ნიკამ თავისთვის სამზარეულოსთან ახლომდებარე, იზოლირებული ოთახი აირჩია.

მანქანები ეზოში დააყენეს.

საღამოს ბიჭები ზღვაზე წავიდნენ. გვიან დაბრუნდნენ, ნასვამები იყვნენ.

ნანამ ყავა მოუდუღა, ისაუბრეს.

ნანასთვის ცნობილი გახდა, რომ ნიკას მეგობრები ერთმანეთში წმინდა ჯვრით და ქართული ფიცით სამარადჟამოდ შეკრული ძმაკაცები და საქმიან ადამიანთა დიდ საძმოში მიღებული ახალგაზრდები ყოფილან. ნიკას მეგობრები: გიორგი, ზურაბი, ვახტანგი და ჩვიდმეტი წლის პირველკურსელი მიშა, ნაკითხი და მომხიბვლელი ბიჭები ჩანდნენ.

გამთენიისას ნანა პირველ სართულზე ჩადიოდა და მდგმურებს საუზმეს უმზადებდა. იგი ოდნავ შეცბუნდა, როცა მისმა სტუმრებმა საინფორმაციო პროგრამა გადართეს და რომელიღაც ქვეყნის, მისი აზრით, საკმაოდ უხამსი ვიდეო ფილმი გაუშვეს.

ნანას მზერას არ გამორჩენია, რომ ნიკა თვალებით ჭამდა მის ლამაზ ტან-ფეხს, კარგად წამოზრდილ მკერდს, ძუძუებზე მოთამაშე კულულებს. ამას ის ღვინოს აბრალებდა და რატომღაც გამართლებასაც ეძებდა, თუმცა ამას არ აპატიებდა მასზე უიმედოდ შეყვარებულ უამრავ თანაქალაქელს.

ნანა გრძნობდა, რომ მისი ნორჩი გული პირველად გაიბზარა. ნიკა მისი ოცნების რაინდი გახდა.

ნანას ბიჭების დატოვება უჭირდა, მათთან გვიანობამდე რჩებოდა. საინტერესო იყო მათთან ყოფნა: ბიჭები, მოდურ მუსიკას უსმენდნენ, სექსუალურ ფილმებს უყურებდნენ, ცეკვავდნენ. ნანაც ნიკასთან ცეკვავდა ხანდახან. და ეს გრძელდებოდა იქამდე, სანამ გონზე მოსული ბებია მესამედ არ უხმობდა თავისთან.

ნანას ღამეები არ ეძინა. ოცნებათა კოშკის ბინადარი გახდა. ეჩვენებოდა, რომ ნიკას თვალები, იდუმალი მზერა, სიმდიდრე, კარგი ოჯახი, მეგობრები, დედაქალაქი მას ნეტარი ბედნიერებისკენ მიაქანებდა.

ნანამ, თავის ყურებში ნიკას მორიდებული ჩურჩულის წყალობით, სხვანაირად იხილა თავისი ახლად აკოკრილი მკერდი, თეძოები, ფეხები, ტუჩები, თუმცა ეგონა, რომ ნიკა უკეთესის ღირსი იყო და ბავშვურად ინატრა მასაც ისეთივე ჰქონოდა ყოველივე, როგორც ნიკას მიერ გაღმერთებულ რომელიღაც ჰოლივუდელს.

ნანა სარკის ფარული და ხშირი სტუმარი გახდა.

მოსწონებოდა ნიკას, ახლა მისი სასიცოცხლო მიზანი გახდა. მართლაც, რატომ არ იყო შესაძლებელი გამხდარიყო ნიკას ცხოვრების თანამგზავრი, მის შვილების დედა, დამტკბარიყო ახალი ქართველების ბედნიერი ცხოვრებით, გაქცეოდა გაჭირვებას, ყოველდღიურ საზრუნავს, ჰყოლოდა მოახლე, საკუთარი ავტომანქანა, მოევლო მსოფლიო, გაეჩინა მასავით და ნიკასავით ლამაზი ბავშვები.

ნანა ამ ოცნებამაც შეაშინა; სად ნიკა და სად ის თავისი გალანძღული დედით, ავადმყოფი ბებიათი, ბინის გამქირავებლის დამამცირებელი სახელით.

თუმცა კვირადღე იყო, ნანა ადრე ადგა, ბიჭებისთვის საუზმე უნდა მოემზადებინა. ნიკა სასაუზმეში დახვდა. ცხელი ხელი ჩამოართვა, ლოყაზე აკოცა. მერე ტუჩები ყურთან მიუტანა და დინჯად წამოიწყო:

– მთელი ღამე არ მეძინა, შენზე ვფიქრობდი, რა ლამაზი ხარ ნანა, ნეტავი სკოლა გქონდეს დამთავრებული. თუ შენი სიყვარულის ღირსს გამხდიდი, მალე წაგიყვანდი თბილისში, საოცარ ქორწილს გადავიხდიდით. . .

ნანამ ლამის გონება დაკარგა, ნიკას ცხელი ტუჩები მის ლოყებს ეხებოდნენ. სასიამოვნო ალმურმა დაუარა სხეულში, რაღაც აუხსნელი რამ დაემართა, ცივმა ოფლმა გადაასხა, ყურები უხურდა. არ მოელოდა ასეთ თამამ, როგორც მას მოეჩვენა, გულწრფელ აღიარებას იმ ბიჭისგან, რომელიც ნანამ დედამიწაზე ლამის ყველაზე სათნო და ლამაზ ადამიანად წარმოსახა. იგი ბედნიერებისგან კანკალებდა, თუმცა ცდილობდა ეს ნიკას არ შეემჩნია.

ნანა ჩამოჯდა, ნიკას მუდარით სთხოვა ასე არ მითხრაო, მე ტყუილები არ მიყვარსო. მერე ინანა ნათქვამი, იგი პირველ დათმობაზე უკვე წავიდა, რაც ნიკას არ გამოჰპარვია.

მალე ბიჭებიც გამოვიდნენ, წაიხემსეს, ყავა დალიეს, ნახელავი მოუწონეს ნანას.

ნანა ცაში დაფრინავდა.

მესამე დღეს ბიჭებმა ნანა ზღვაზე დაპატიჟეს. იუარა, სახეს და კანს ვუფრთხილდებიო, ბებიაც მოიმიზეზა.

ბებიამ უკვე გააფრთხილა ნანა, რომ ბიჭებისგან შორს დაეჭირა თავი.

ძველი მასწავლებელი ბიჭების ხელგაშლილობამ, ძვირფასმა მანქანებმა შეაშფოთა.

ბიჭებმა იწყინეს, მაგრამ საღამოს ადრე დაბრუნდნენ, შემწვარ კიბორჩხალებს ჰგავდნენ.

ნიკა სამზარეულოში დარჩა, ბიჭებმა ხმაურით დაიბანეს, ტანსაცმელი გამოიცვალეს და ქალაქში წავიდნენ.

ნიკამ ნანას გაანდო, რომ ბიჭებს დამსვენებელი გოგონები გაუცნიათ და ღამის რესტორანში მიუწვევიათ. ნიკას თქმით, მას ყველა ქალი ეზიზღებოდა, ნანას გარდა. ნანას არ გამოპარვია, რომ ნიკა ყოყმანობდა, ფეხს ითრევდა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

უკვე გვიან იყო, როცა ნიკამ ათასი ბოდიშის მოხდით, ნანას რესტორანში მასთან ერთად წასვლა შესთავაზა, ამასთან იმ რესტორანში, რომელიც ნანას სახლიდან ასიოდე მეტრში მდებარეობდა, რათა ბებიასთვის ყოველ ნახევარ საათში მიეკითხათ. ნიკამ მონანიებით ჩაილაპარაკა, რომ ნანასთან შეუთანხმებლად რესტორანში უკვე მისცა შეკვეთა და ფულიც გადაიხადა.

ნანამ თავიდან იუარა, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო და დათანხმდა, თანაც სულ ერთი საათით და იმ პირობით, რომ ბებიას დაძინების შემდეგ გავიდოდნენ სახლიდან.

თორმეტის გადაცილებული იყო, როცა ნანა და ნიკა რესტორანში მივიდნენ.

დარბაზი ბობოქრობდა. ნიკას მეგობრები ნახევრად შიშველ გოგონებთან ჩახვეულები ცეკვავდნენ. ნანას ტაშით შეხვდნენ, რასაც მთვრალი დარბაზი აჰყვა.

ნიკამ ნანა სუფრასთან მიიწვია, ნანას არჩევანით ოფიციანტს ახალი კერძები შეუკვეთა.

ნიკა ნანას კერძებს სთავაზობდა, გადატანაში ეხმარებოდა, პრინცესას ეძახდა. ნიკამ, აქაო და ბიჭებს დავეწევიო და სამი დიდი თასი კონიაკი გამოსცალა. სამივე სადღეგრძელო ლექსად მიუძღვნა ნანას.

ნანა აღტაცებული იყო ნიკას განათლებით, თავაზიანობით და ყურადღებით.

ნიკამ მოიწყინა.

ნანამ მიზეზი ჰკითხა, პასუხმაც არ დააყოვნა – ნანასთან ცეკვა სურდა, მაგრამ ერიდებოდა. ნანა დათანხმდა. ნელი მუსიკა შეუკვეთა ნიკამ; ნიკას თვალები უცნაურად ელავდნენ, მოძრაობა შენელებული ჰქონდა, მაგრამ ეს ზედმეტ კონიაკს დააბრალა.

ნანასაც უხურდა თავი ცოტაოდენი კონიაკის და შამპანურისგან, რომელიც ნიკამ დააძალა. ნიკამ კიდევ დალია, მაგრამ ფხიზელ გონებაზე იყო; დამატებით შემოატანინა კერძები, ნანას აარჩევინა რეპერტუარი თავისი საყვარელი სიმღერებიდან და უამრავი ფული გადაიხადა.

ნანა ნელ-ნელა უფრო და უფრო ეხუტებოდა ნიკას, ლამის ერთ სხეულად იქცნენ. სხვა მოცეკვავეებისგან განსხვავებით, ნიკა ისე ნაზად და ფრთხილად ეპყრობოდა ნანას, რომ იგი აღაფრთოვანა ნიკას თავაზიანობამ, სითბომ, თავდაჭერილობამ. ნანა სავსებით მიენდო პარტნიორს.

ნანას ფეხები არ ემორჩილებოდა, ტანში საოცარი სითბო ეღვრებოდა, ნიკას კაცური სურნელი ათრობდა, ლამის გრძნობას კარგავდა. მერე ნიკამ მაგიდამდე მიაცილა, კონიაკი პატარა ჭიქაში დაუსხა და ნანას მამის ხსოვნისა შესთავაზა. ნანამ ძლივს დალია. მთვრალი იყო უკვე.

ნანას სასიამოვნოდ ეჩვენა სასმელი, კიდევ მოითხოვა. გათამამდა, ბავშვური სიმორცხვეც გაუჩინარდა. ბებიაც შორეული გახდა, თითქოს აქ და მთელ სამყაროში არავინ არსებობდა მისი და ნიკას გარდა.

„პირველი და უკანასკნელი სიყვარულის“ სიმღერის მელოდიაზე ნანა კვლავ გავიდა ნიკასთან საცეკვაოდ. მისი ხელები წელზე ეხებოდნენ, ვაჟის ძლიერი მკერდი სუნთქვას უკავებდა, ბიჭის წვივები მის თეძოს, წვივებს არ შორდებოდნენ და არც უცდია მოშორება. ნანა უცნაურ სამყაროში გადაბარგდა, საიდანაც თვითონაც არ უნდოდა გამოსვლა.

მელოდია ჩამთავრდა და ნანამ ბებიასთან წასვლა დააპირა. ნიკა უხმოდ გაჰყვა, მხოლოდ ხელზე მოჰკიდა ხელი, სიბნელეში რამეს არ ამოედოსო ჩემი ოცნების ფეხები, ტუჩებთან უთხრა ნანას. ეს ისე ნაზად იყო ნათქვამი, რომ ნანა მზად იყო ყველაფერში მინდობოდა ნიკას.

ნიკამ ნანა სახლამდე მიაცილა, კარებში დაელოდა.

ბებიას ეძინა. ნანა დაბრუნდა.

ნიკა სამზარეულო ოთახში შევიდა, ნანას მხარზე მოჰკიდა ხელი.

ნანა მთელი სხეულით თრთოდა, აჩქარებით სუნთქავდა, თავისი გულისცემა ესმოდა. მალე იგი ნიკას ყელზე ჩამოეკიდა, წავიქცევიო.

ნიკამ ნანა ხელში აიყვანა და საწოლში გადაიყვანა: თვალებს, ყელს, ტუჩებს უკოცნიდა, მეც ადამიანი ვარ, უნდა გამიგოო.

ნანა წინააღმდეგობას ცდილობდა, მაგრამ ეს უფრო ლტოლვა იყო მისკენ, ვიდრე უარყოფა.

ნანას არ ახსოვს როდის გახდნენ ის და ნიკა შიშვლები და როგორ აღმოჩნდა იგი მთელი სხეულით ნიკას მკლავებში. მხოლოდ სიზმარივით იხსენებდა მეტად სასიამოვნო ტკივილის გრძნობას და მის სხეულში ჩაღვრილ ლავას.

გამთენიისას ნანას გაეღვიძა. მას ნიკას მკლავზე ეძინა.

წამოდგომა სცადა. ნიკასაც გაეღვიძა, მის ტუჩებს დაეწაფა. ნანაც ცდილობდა ღამის ფილმებში ნანახი **ჰოლივუდის ქალები**-სთვის მიებაძა.

ბებია გაახსენდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ გაუჭირდა, თავი უსკდებოდა, მკერდი, წელის არე ეწვოდა, ნაწილებად დაშლილის შეგრძნება ჰქონდა.

ნიკას სთხოვა ოთახიდან გასულიყო.

საბანი შიშით გადაიძრო. თეთრეული სისხლის ლაქებით იყო მოსვრილი, თვითონ, დედიშობილა.

მიხვდა რომ მომხდარიყო ის, რისიც ასე ეშინოდა. თავზარდაცემული გიჟს დაემსგავსა, ქვითინი აუვარდა, რომელიც ღრიალში გადაუვიდა. ნიკა შემოვიდა, გვერდით მიუწვა, მოეფერა, დაამშვიდა: ესაა ბედნიერება, მალე ვიქორწინებთ, ცოლ-ქმარი გავხდებითო.

ძლივს ჩაიცვა. აბაზანაში გავიდა, საცვლები და ტანისამოსი გამოიცვალა. კიბეებზე ასვლა გაუჭირდა.

ბებიას თვალები დახუჭული ჰქონდა. ნანამ საბანი გაუსწორა, შუბლზე აკოცა. ბებიამ თვალები გაახილა. ნანას მოეჩვენა, რომ იგი მისთვის უჩვეულო ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა მას და მომხდარს მიმხვდარიყო.

ნანას ტკივილები დაავიწყდა, გამოფხიზლდა. ბებოს მიაძახა, ახლავე ამოგიტან საჭმელსო და კიბეებზე დაეშვა.

ღამენათევ ბიჭებს გვიანობამდე ეძინათ. ნიკაც თვალდახუჭული იწვა, მაგრამ არ ეძინა. მომხდარის შეფასებას ცდილობდა, რაღაც შიშიც იგრძნო. იქნებ იმიტომ, რომ ნანა არასრულწლოვანი იყო.

ნანამ ბებიას აჭამა, მაგრამ მისთვის თვალები არ გაუსწორებია. ადგომაში დაეხმარა და ტუალეტამდე მიაცილა.

მობრუნებულ ბებიას საწოლში შეუძვრა. მალევე ჩაეძინა.

ნანა ნაშუადღევს ადგა. ბიჭები წასულიყვნენ საბანაოდ. ნიკას ოთახი შეაღო, იგი პირაღმა იწვა და ჭერს მიშტერებოდა.

წამოხტა, ნანას სახეს და ტუჩებს დაეკონა, წელზე მოეხვია და საწოლზე მოწიწებით წამოაწვინა. ნანა გაუძალიანდა, მატყუარა უძახა, მაგრამ მისგან განშორება არც უცდია...

ნიკა სამზარეულოში გავიდა, სალათი მოამზადა. მერე ნანა ტაატით შემოიყვანა და გვერდით მოისვა.

ყავის დასასხმელად ადგა და ვიდეო პორნოფილმი ჩართო. ნანას შერცხვა და თვალს არიდებდა ეკრანს. ნიკამ ჯერ გულიანად იცინა, მერე ნანას ტუჩებს დაეწაფა და როცა გული იჯერა, უთხრა: მგონი უკვე ქალბატონი ხარ, ბორკილებისგან თავისუფალი,

ყველაფრის ნახვის და ყველაფრის კეთების უფლება გაქვსო. ნანა შეცბა, ბრაზი მოერია, დაეჭვდა, რომ ნიკაში რაღაც შეიცვალა მის მიმართ, მაგრამ გაახსენდა, რომ ნიკას სასმელის სუნი ასდიოდა და მანაც კვლავ იპოვა ნუგეში.

მალე ნანაც თვალმოუცილებლივ უყურებდა ეკრანს. ნიკამ მკლავებზე აკოცა და ყურში უჩურჩულა: ყველაფერს გასწავლი, ვნებაშია სიყვარული, ჩვენ ჩამოვრჩით, რა შორს წასულან იქ, დასავლეთში, იციან ცხოვრების გემო და ფასი, მე შენ უბედნიერეს ქალად გაქცევო.

ნანა იმ ღამეს ბებიასთან ადრე ავიდა, ქვეცნობიერი შიში არ ასვენებდა, მოეხვია და დაიძინა; ბებია მისთვის ყველაფერი იყო, რცხვენოდა რომ ატყუებდა, თუმცა ნიკასაც ვერ ელეოდა, ეშინოდა და მაინც მასთან უნდოდა.

ნიკამ მომავალ ექიმს, მიშას უხმო და მისი დახმარებით ვენაში ორი დოზა წამალი მიიღო.

გათენებამდე ეძინა.

ნანა ჩუმად იცრემლებოდა: ბებიისთვის როგორ არ დაეჯერებინა ან ნიკასი როგორ არ ერწმუნა! ნიკას ხომ ზედმეტი არ უკადრებია, ზღვაზეც მისი ხათრით არ მიდიოდა და მასთან რჩებოდა, ფული და საჩუქრები არ ენანებოდა, თვალებით ჭამდა, სიყვარულით გაბრუებული იყო...

დილით, ჩვეულებრივად ადრე ჩავიდა. საუზმე გააწყო. ნიკა უხასიათოდ ჩანდა, სამაგიეროდ მიშა და გიორგი მოეფერნენ, თვითონაც მოეფერა მათ. ცოტა ხანში ნიკა ჩვეულებრივი ნიკა გახდა, წელზე შემოაჭდო ცხელი ხელები ნანას, თმებში ჩარგო ცხვირ-პირი და ყელზე მიეტყუპა. მერე ბიჭებს მიმართა, ეს ჩემი ანგელოზია, მომავალი მეუღლე. ვიცი რომ თქვენც მოგწონთ, მაგრამ ის ჩემია, თქვენ კი მოცდა მოგიწევთო.

ნანას მისი ბოლო სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იგი მზად იყო ახლავე და აქვე დაეკოცნა ნიკა, გაეკეთებინა ის რასაც ნიკა უბრძანებდა.

მალე ბიჭები წავიდნენ. ნანა ნიკას მუხლებზე დაუჯდა. ნიკამ ნანა ხელში აიყვანა და ლოგინში გააქანა...

ასე გაგრძელდა მთელი კვირა. ნიკას თქმით, ნანა ახლა სრულქმნილი ქალი იყო, რომელმაც ყველაფერი იცოდა და ნებისმიერი მამაკაცის გადარევა შეეძლო.

ნანას არც ამ სიტყვებისთვის მიუქცევია ყურადღება; ის ბედნიერი იყო და არც აძლევდა მნიშვნელობას თუ რა სახით აღწევდა იგი ბედნიერებას და კმაყოფილებას.

ნიკასთან გაუთავებელი ნეტარების კვირისთავზე ნანამ იგრძნო, რომ ცუდად იყო, გულისრევას გრძნობდა. საღამოს ნიკას უთხრა, მაგრამ მან დაცინვით უპასუხა: რა მოხდა მერე, არასდროს აგრევია გული? გაგივლის, მაგრამ თუ კიდევ გაგიმეორა, შუაღამეს შემოდი და წამალს გასწავლიო.

ნანამ თავი დაუქნია დასტურად.

სასწავლო წლის დაწყება ახლოვდებოდა და ნანა სასკოლო ბაზრობაზე წავიდა.

საღამოს ნიკას აჩვენა ნაყიდები. ნიკა სიცილისგან ლამის გაიგუდა – შენ რა, ცოლობაზე უარს მეუბნები და სკოლაში აპირებო წასვლას? ამაღამ, სამ საათზე ჩამოდი და მოვილაპარაკოთო.

ნანას სიხარულის ცრემლები წასკდა. მის გულს მხოლოდ რწმენა და სიყვარული განაგებდა.

დათქმულ დროს ნანა ფრთხილად გამოძვრა ბებიის მსუბუქი საბნიდან და ნიკასთან დააპირა შესვლა, მაგრამ შებარბაცდა და აბაზანაში ძლივს მოახერხა შესვლა. გული აერია.

ნიკაც შევიდა, პირსახოცით პირი მოუწმინდა, ტუჩები დაუკოცნა, ცხელი წყლის ონკანი გახსნა. მთელი საათი ითამაშეს თბილი წყლის ქვეშ. ნანა ბედნიერი გამოვიდა იქიდან, მაგრამ გულისრევის შეგრძნება მაინც ჰქონდა.

არც მაგარმა ყავამ შეუმსუბუქა მდგომარეობა.

ნიკამ, თითქოს ამას ელოდაო, ნანა თავისთან გადაიყვანა და ნარკოტიკის მცირე დოზა შესთავაზა დასაწყნარებლად.

ნანა გველნაკბენივით წამოხტა. თვალწინ ქალაქის ნარკომანები დაუდგა, მასწავლებლის ხმა ყურს უბურღავდა: ამ ნივთიერებისგან ადამიანი აგრესიული ან ნაზი მხეცი ხდება, რომელიც თანდათანობით იშლება და 30 წლამდეც ვერ მიაღწევსო.

ნანამ ნიკას საძინებელი დატოვა.

მეორე დილით ნანა უკეთ გრძნობდა თავს. ნიკამ წუხანდელი უხეში ხუმრობისთვის ბოდიში მოუხადა და თვალების დახუჭვა სთხოვა. მერე ნანა სარკესთან მიიყვანა. იგი სახტად დარჩა: ყელს და ძუძუებს შორის ძვირფასი თვლებით გაწყობილი უზარმაზარი ოქროს გირლიანდი ბზინავდა. ნანას ყველაფერი დაავიწყდა, ნიკა მისთვის ერთადერთი იმედი და მბრძანებელი იყო, მისი სიტყვა კანონი.

ნანა კვლავ ცუდად იყო. ვერც ნაცნობ ექიმთან მივიდოდა, ამ ქალაქში ყველა ერთმანეთს იცნობდა და გაჭორვა არ აცდებოდა. ისიც აშინებდა, რომ ნიკა ერთ კვირაში წავიდოდა და გაურკვეველ ვითარებასთან მარტოს მოუწევდა დარჩენა.

იმ მხარესა და ქალაქში უმანკოება ჯერ კიდევ ითვლებოდა ქალის ღირსებად და მისი ხმაურიანი დამკარგავი იშვიათად თუ ეღირსებოდა ოჯახის შექმნას, ნაცნობთაგან ადამიანურ მისალმებასაც კი.

ბიჭების წასვლამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი.

დილით მიშა საუზმეს არ გაეკარა, თავი მისკდებაო. ნანამ გამაყუჩებელი მიართვა. მიშამ დალია და საძინებელში დაბრუნდა. ბიჭები საბანაოდ წავიდნენ. შუადღეზე არ მოსულან.

სადილზე მიშა გამოვიდა. ნანას მის პირდაპირ დაჯდომა შესთავაზა. კომპოტი დალია. გოგონას თვალს არ აშორებდა. ნანას ის რატომღაც ჯემალს აგონებდა, მის თანაკლასელს, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა და ნანას რომ ეთქვა, უყოყმანოდ გაწვებოდა მოძრავი მატარებლის ქვეშ.

ნანა გველნაკბენივით წამოხტა, შეეზიზღა ეს ლაწირაკი, ფიცის გამტეხი, რომელიც ნიკას და მის მეგობრებს ღალატობდა და ნანასთან სიყვარულის თამაშს აპირებდა, თუმცა თავი შეიკავა და სამზარეულოდან გავიდა.

ბიჭები გამთენიისას დაბრუნდნენ, ნიკას ეკამათებოდნენ, მაგრამ იმდენად არეულად, რომ ბებიას საწოლში მთვლემარე ნანამ ვერაფერი გაიგო.

ნანამ, ჩვეულებრივ, საუზმე გაამზადა და ბიჭებს უხმო.

ნელ-ნელა შეგროვდნენ. ბოლოს მიშა გამოვიდა შავი ფერის შარვალსა და კოსტუმში, ხელში სპორტული ჩანთით და დილის მატარებლით თბილისში წასვლაზე განაცხადა. ნიკა განრისხდა. მიშამ მშვიდად უპასუხა – თავის და გულის არეში ისეთი ტკივილები მაქვს, რომ აქ ჩემი დარჩენა შეუძლებელიაო. თქვა და ჩანთას დაავლო ხელი. ნიკა არ წამომდგარა.

ბიჭებმა და ნანამ მიშა ჭიშკრამდე მიაცილეს.

მიშამ ნანას ცხელი ხელი ჩამოართვა და სხვებისგან შეუმჩნევლად ხალათის ჯიბეში ქაღალდის ნაგლეჯი ჩაუდო. ქაღალდზე ლამაზი ასოებით მიშას გვარი, ბინის ტელეფონი და მისამართი იყო გამოყვანილი.

წვიმდა. ბიჭებმა ძილის გაგრძელება გადაწყვიტეს. ნიკა ნანასთან დარჩა სამზარეულოში. შექმნილი უხერხულობიდან გამოსასვლელად, ნანამ ბებიის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე წამოიწყო საუბარი. ნიკამ წამოიძახა, ეს რა კარგი გამახსენეო და საძინებელში გავიდა, საიდანაც უმალ მობრუნდა, ნანას რეცეპტის მსგავსი ქაღალდი გაუწოდა და ას დოლარიანების სამი შეკვრა დაყარა მაგიდაზე; ნანას გაოცებაზე, ეს რა ამბავია, არ გამოგართმევო, ნიკამ ნახევრად ბრძანებით უპასუხა: წამალი

ამერიკულია, ძალზე ძვირი, ამასთან ბინის ქირა და შენი არაჩვეულებრივი მომსახურების საფასურიცაო.

ნანას ისე მონატრებოდა ნიკასთან ალერსი, რომ ნიკას წაუჯიკავა და სამზარეულოს სავარძელზე წამოაქცია.

ნიკას დიდი ინტერესი არ გამოუჩენია. ნანა შეაჩერა, ერთი დიდი თხოვნა მაქვს, უნდა გამიგოო. ნანამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ატირდა. ნიკა შეეცადა დამშვიდებას; მალე მივდივართ, საღამოს წავიქეიფოთ და რაღაცას გეტყვიო.

საღამოს 10 საათისთვის რესტორანში შეკვეთილი კერძები მოიტანეს. სუფრა არაჩვეულებრივი იყო. ნიკა თამადად დადგა. პირველი ჭიქით ნანას ბებია ადღეგრძელა, გამოჯანმრთელება უსურვა.

ნიკამ მოითხოვა, რომ ბოლომდე დაელია ყველას. მეორე ჭიქით ნანას მამის სახელი ახსენა და დალია. ნანა გააფრთხილა მასაც დაელია. ისიც უსიტყვოდ დათანხმდა.

ნიკამ ყველაზე დიდი და განსაკუთრებული სასმისი მოითხოვა. ეს იყო თიხის დიდი ჭურჭელი, სრულ ბოთლზე მეტი ტევადობის. ნიკამ ნანა ადღეგრძელა მეტად თბილად, მეუღლე უწოდა. ბიჭებმაც დიდი გრძნობით და ლექსებით შეამკეს მისი ლამაზი სხეული და საოცარი სული. ნანამაც დალია.

ნანას ბებიამ დაუძახა. უმალ ადგა. ნიკამ შეაჩერა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

ბებიამ ნანა დატუქსა, იქ რა ამბავიაო. ნანამ აუხსნა, რომ მალე მიდიან, სუფრა გაშალეს და ცოტა ხანში დაიშლებიან, მივალაგებ და ამოვალო. მერე ჩაფიქრდა და ბებიას ორმაგი დოზა დასაძინებელი მისცა.

ლხინი გაგრძელდა. ბიჭები გადამთვრალები იყვნენ, ნანასაც მოეკიდა, მაგრამ მისთვის უეჭველი გახდა, რომ ყველა მათგანი წამალზე იჯდა.

სამი თუ ოთხი საათი იქნებოდა, როცა აიშალნენ. ნიკამ ნანა თავისთან იხმო, საიდუმლო უნდა გითხრაო.

ნანამ გაიხადა, ნიკა მის თავთან დაჯდა:

– მეეჭვება, რომ შეიძლება დაორსულდე. მშობლებს ვესაუბრე ქორწილზე, ახალ წლამდე ვერ დავითანხმე. არასრულწლოვანი ხარ და აბორტი ვერ მოხერხდება, მირჩიეს სხვა გზა, თუმცა ეს შენთვის ადვილი არ იქნება, ჩემთვის კი ტრაგედიაა; ნიკა ლამის ატირდა, ნანამ გაამხნევა, რა უნდა იყოს ასეთი, რომ ვერ შევძლოო.

– აი, სიტყვებს ყლაპავდა ნიკა, ჩანასახის მოსაშლელად ბიჭებთან უნდა იცხოვრო, სისხლის აღრევა შეაჩერებს მის განვითარებას, თანაც უმტკივნეულოა, ახლა ეს მოდაშია ჩვენთანაც; მერე

სერიოზულად დაამატა, მთელი თბილისი იქნება ჩვენს ქორწილში და ბურთივით პატარძალს ვერ მომიწონებენო.

ნანამ იკივლა. ეს როგორ, სად გაგონილა, როგორ გაგიჩნდა ასეთი აზრი, სულელი ხომ არ გგონივარ, აღრიალდა ნანა.

– თუ ასეა, ხვალ დილით წავალ და ქენი რაც გინდა, ჩემგან თავისუფალი იქნები, მე შეგეხვეწე, შენ არ გინდა გამიგო, არ გიყვარვარ, გძულვარ!

ნანა ტიროდა, ცრემლში იხრჩობოდა; წარმოიდგინა, რომ ნიკას დაკარგვით ის ყველაფერს კარგავდა.

– იყოს როგორც გინდა, ჩემთვის სულერთია, მე უშენოდ მაინც...

ნიკა გავიდა და ბიჭები ლამის შემოათრია ოთახში.

ბიჭებიც უხალისოდ ჩადგნენ რიგში...

ნიკას ნანას ხელებში გაეღვიძა. იგი ნანას მკლავებს, თმებს, მკერდს, ბარძაყებს უკოცნიდა, მარადიულ ერთგულებას ეფიცებოდა.

წუხანდელი ამბები ნანას ალაგ-ალაგ ახსოვდა, უფრო სიზმარი ეგონა, სიზმარი, რომლის დავიწყებას ცდილობდა. არც რამე მომხდარა, ალბათ, რამე კვალი ხომ უნდა დარჩენილიყო, თავს იმშვიდებდა ნანა.

ბიჭები ადრე წასულან ზღვაზე. ნიკაც წავიდა, ასეთი თეთრი ხომ არ ჩავალ თბილისშიო.

ნანამ ბებიას საჭმელი აუტანა, მერე გვერდით მიუწვა. რაღაც უნდოდა ეკითხა ფეხმძიმობაზე, მაგრამ თავი შეიკავა.

ჩაეძინა.

ფართოდ თვალგახელილი ბებია ჭერს მიშტერებოდა უაზროდ.

ნიკა იმ და მომდევნო ღამეს ბინაში არ მოსულა.

ნანა წამალს დაეძებდა აფთიაქებში. ფარმაცევტები მხრებს იჩეჩდნენ, ასეთი რამე არ გვსმენია, შავ ბაზარზე იკითხეო.

ნიკა გვიან ღამით დაბრუნდა, მთვრალი იყო. ნანამ მოსვლა იგრძნო და მის ოთახში შევიდა. უმალ ნიკას მკლავებში აღმოჩნდა დედიშობილა, მაგრამ ნიკას რამეს თავი არ ჰქონდა.

დილით ბოდიში მოუხადა, ქორწილამდე ჩვენი კავშირი არ შეიძლება, ახალ თავის ტკივილს გავიჩენთო.

კიდევ ორი ღამე დაილია ნანას წამებაში, მას ნიკა სწყუროდა.

თბილისში გამგზავრების წინა ღამეს გამოჩნდნენ ბიჭები, ადრე დაიძინეს.

დილის ათი საათისთვის გასამგზავრებლად მზად იყვნენ.

ბიჭები თბილად გამოეთხოვნენ ბებიას, ნანას.

ნიკა დიდხანს დარჩა ნანასთან, შეჰპირდა, რომ დარეკავდა ყოველდღე, ერთ თვეში მისი მშობლები ჩავიდოდნენ ბებიასთან ნანას ხელის სათხოვნელად.

თავისი და ბიჭების ტელეფონების ნომრები დატოვა.

ნანამ ჭიშკარი მიხურა და შექანდა, თავბრუ დაესხა.

* * *

მიიწურა აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი. ნიკასგან არაფერი ისმოდა. ნანა ყოველი ღამე რეკავდა თბილისში. ტელეფონისტი ქალი დინჯად პასუხობდა: ნომერი დაზიანებულია ან დაკავებულიო.

ნაყოფი იზრდებოდა, ნანამ სწავლას თავი დაანება, ბებიას ავადმყოფობა მოიმიზეზა.

ნიკას რეცეპტში აღნიშნული წამალი საქართველოში არ იყო.

ნანას მეტის ატანა არ შეეძლო.

დეკემბრის ბოლოს თბილისში ჩავიდა.

პირველად იყო დიდ ქალაქში.

ბიჭების ტელეფონები არ პასუხობდა.

მიშას ტელეფონი გაახსენდა.

მიშას ტელეფონიდან ქალბატონის სასიამოვნო ხმა გადმოიღვარა. მიშიკო? ახლავე შვილო...

მიშიკო ათ წუთში ნანასთან იყო. კაფეში ისადილეს. ნანას წვრილად გამოჰკითხა ყველაფერი, ბებოს ჯანმრთელობაც არ გამორჩენია. მეტად შეწუხდა. მერე ნანას პირდაპირ უთხრა:

– ნან, შენ ძალიან კარგი გოგო და ადამიანი ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვი, მოგივიდა შეცდომა. მე ნიკასთან შენს გამო ვიჩხუბე, ამიტომ წამოვედი თქვენგან. მერე არც შევხვედრივარ, არ მჭირდება. არაა ჩემი საქმე ყოფილ მეგობარზე საკუთარი აზრის გამოთქმა, მაგრამ იცოდე, რომ თბილისში და საქართველოში ათასობით, ასეულ ათასობით მეტად ღირსეული ახალგაზრდაა, მათ შორის მდიდრებიც!

– მიშიკო, გეხვეწები, მიმიყვანე ნიკას სახლში, გეხვეწები. მე შენშიც ვცდებოდი თურმე, მაპატიე.

– სახლამდე მიგაცილებ, დანარჩენი შენ იცი. ჩემი ტელეფონი და მისამართი გაქვს.

სამარშრუტო ტაქსი გაჩერდა. მიშამ მძღოლს რაღაც უთხრა. ნანა ხედავდა, რომ იგი დამნაშავესავით თავჩაქინდრული იდგა, სანამ ტაქსი მოსახვევს არ მიეფარა.

ტაქსი უზარმაზარი სახლების წინ გაჩერდა. მძღოლმა ნანას სახელით მიმართა და ერთ-ერთ სახლზე მიუთითა. ფული არ გამოართვა, გადახდილიაო.

* * *

ეზოში ნაცნობი „მერსედესი“ იდგა.

ნანამ რკინის კარებზე დააკაკუნა. კარი გააღო ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზმა ქალმა, რომელსაც ხელში ერთ წლამდე ბიჭი ეკავა.

ნანამ ნიკა იკითხა.

ნიკა გამოვიდა, თან დედა გამოჰყვა.

ნიკა არ დაიბნა, ნანა გადაკოცნა, მერე დედას და მეუღლეს გააცნო, როგორც შესანიშნავი ქალიშვილი და კარგი დიასახლისი საკურორტო ქალაქიდან.

ნანა დამუნჯდა. ბრაზი ახრჩობდა, ძლივს მოახერხა ეთქვა: ერთი წუთით ნიკას დაველაპარაკები, ქალაქში რაღაც მჭირდებაო.

კიბეებზე ნიკამ ჩამოაცილა.

ნანა აფეთქდა: ესაა შენი კაცობა? რას მერჩოდი, რატომ გამანადგურე, გამაუბედურე?

– მე, მე, სხვანაირად მინდოდა, მეუღლეს გავეყრებოდი, შენთან ვიქორწინებდი, მაგრამ, მაგრამ, შენ ავხორცობა გამოიჩინე, ჩემს მეგობრებთან დაწექი, ვიდეოზე ჩავწერე. ამასაც ავიტანდი, მაგრამ ძნელია, როგორ შევხედავ თვალებში მათ მე, ან შენ; ბევრ ფულს მოგცემ, თბილისში ბინას გიყიდი, მანქანას გიყიდი, ბავშვს გააჩენ, დაგეხმარები, მოგკითხავ ხოლმე.

ნანამ თავი ასწია და ნიკას ყბაში გაარტყა, მერე მეორეში. შენისთანა დამპალის ცოლობას სიკვდილს ვარჩევ, შენი და ჩემი ცოდვის ნაყოფი, ნარკომანის შვილი გველის წიწილი იქნება, ისიც უნდა განადგურდეს, იკივლა ნანამ და კიბეებზე დაეშვა.

* * *

ნანა მტკვრის სანაპიროს მიუყვებოდა, დაბალ ჯებირს ეძებდა.

შეარჩია ადგილი, ჩამოჯდა.

მერე მშვიდად ავიდა მოაჯირზე. მამა წარმოიდგინა, წყალმა შთანთქა ისიც. ის იქ დახვდება, თავს გააცნობს, მუხლებში ჩაუვარდება, შეევედრება პატიებას. მამა აპატიებს, თუმცა უსაყვედურებს, რომ ბებიას რჩევას არ დაუჯერა, მიატოვა კიდეც.

უკვე ღამდებოდა. ნანა მერცხალივით აფრინდა მაღლა, მერე ჰაერში შეტრიალდა და თავქვე დაეშვა.

ქობულეთი-თბილისი, 12 აგვისტო, 2006 წ.

ცერა თითი

1993 წლის ივლისში რუსეთის უმაღლეს სამხედრო ეშელონებში შემუშავდა სოხუმის აღების ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის გარშემო არსებული სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდებას და შეტევისთვის ხელსაყრელი პლაცდარმის შექმნას.

გააქტიურდა დაზვერვა სოხუმის რაიონის სოფლებში: ახალშენი, გუმა, შრომა, კამანი. ინფორმაციის მოსაპოვებლად სამხედრო დაზვერვის ჯგუფები, რომელთაც ენისა და სოხუმის, წარმატებით აღწევდნენ ქალაქში, სამხედრო შენაერთებშიც კი.

2 ივლისს აფხაზური ქართულენოვანი სამკაციანი სადაზვერვო ჯგუფი, საღამოს სოფელ შრომის მაღალმთიან დასახლებაში შეიპარა. ბუჩქებში ჩაწვნენ, შებინდებას დაელოდნენ. საიმედო ოჯახში მისასვლელად გადაცმა, იარაღის შენახვა და გზააბნეული ქართველების როლის თამაში იყო გადაწყვეტილი. ადგილობრივ ენას კარგად ფლობდნენ, თუმცა **გუდაუთელი აფხაზები იყვ-**ნენ, ამასთან დოკუმენტებში მათი ნამდვილი, კოლხური გვარები ეწერათ და საიმედო ალიბიც მოფიქრებული ჰქონდათ.

უცებ აფეთქებამ შესძრა იქაურობა, ექო ფერდობებს შეეჯახა და უფრო ძლიერი და გაწელილი დაბრუნდა უკან.

მზვერავები ჩაწვნენ, შამილმა, ჯგუფის მეთაურმა დანარჩენებს, საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლით მხარდაჭერა დაავალა, და გვიმრიანით ღელესკენ გაემართა.

ღელის საკმაოდ მოზრდილი, ქაფიანი მორევის გაღმა, მაღალ ნაპირზე 10-12 წლის, სისხლით მოთხუპნული ბიჭი ფართხალებდა. ეტყობოდა, რომ დინამიტი აუფეთქდა ხელში.

მზვერავებმა ღელე გადალახეს და ბავშვთან აღმოჩნდნენ. იგი სუნთქავდა, მაგრამ სახიდან, მკერდიდან, კიდურებიდან სისხლი სდიოდა. შამილი არც დაფიქრებულა, ბავშვს თავი აუწია, ფრთხილად გაუხილა თვალები. მარაოსებრი წამწამებს **მიღმიდან შეშინე-**ბული შავი თვალები შველას ითხოვდნენ. ბავშვი ხელში აიყვანა და დაფიქრდა: აქ მალე ქართველი სამხედროები მოვიდოდნენ და ტყვედ ჩავარდნა არ ასცდებოდათ, ან ბავშვი უნდა მიეტოვებინათ. ჯგუფის წევრებმა დაჭრილის დატოვება და იქაურობის გაცლა ურჩიეს, მაგრამ ბავშვის სისხლით მოსვრილმა შამილმა სხვა არჩევანი გააკეთა: ბავშვი უსაფრთხო ადგილას გაეყვანათ, პირველი დახმარება გაეწიათ, დანარჩენზე შემდეგ ეფიქრათ.

ასეც მოიქცნენ. რამდენიმე ათეული მეტრი გაიარეს, ვიტალმა შენიშნა, რომ აფეთქებას ბიჭისთვის ცერა თითი წაეგლიჯა, საჩვე-

ნებელი და შუა თითი კი კანზე ეკიდა. **ვიტალი ძუნძულით დაბრუნ-**
და უკან, მალევე წამოეწია; მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის
სტუდენტმა იცოდა, რომ თითის მიკერება და გადარჩენა შეიძლე-
ბოდა. ცერა ცელოფანში ჩადო, შემდეგ ცელოფანის ტოპრაკში,
რომელშიც წყალი ჩაასხა. წყალს შეძლებისდაგვარად ცვლიდა.

ახლომახლო დასახლება არ ჩანდა. სისხლის დენის შესაჩერებ-
ლად ბიჭს **დეცინონის ორი ამპულა და რაღაც ანტიბიოტიკი გაუ-**
კეთეს, ჭრილობები შეუხვიეს, ხელის მტევანი შეუფუთეს.

შუაღამე გადასული იყო, დასახლება, სადაც ბიჭს დატოვებდ-
ნენ, არ ჩანდა, მისი მდგომარეობა კი უარესდებოდა: შუბლი უხურ-
და, სუნთქვა აუჩქარდა, გულისცემა დაუსუსტდა, თვალებს ვერ
ახელდა, მკვდრის ფერი ედო.

გზატკეცილზე გავიდნენ, უკვე სამშვიდობოს იყვნენ. ერთ-
ერთ სამხედრო ნაწილში ექიმი გააღვიძეს, მდგომარეობა აუხსნეს.
სამხედრო ექიმმა ზედაპირულად გასინჯა, რაღაც ნემსი უჩხვლიტა
და დაუყონებლივ გუდაუთაში გადაყვანა ურჩია.

„ურალის“ ძარაზე აიყვანეს, იატაკზე ფრთხილად დააწვინეს.
თენდებოდა. ბიჭს უკეთესობა ეტყობოდა, სუნთქვა თანაბარი
გაუხდა. შამილმა გამოლაპარაკება სცადა, ბავშვი დუმდა.

შამილი არ ეშვებოდა, ბიჭმა რუსულად უპასუხა: კობა მქვია,
გვარად ახალაია, დედა თბილისელი ზოიძეა, ბებია მამის მხრიდან,
ოჩამჩირელი **აფხაზი. შამილს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ბიჭი ქართ-**
ველი იყო.

თანამებრძოლებს ეს საუბარი გამორჩათ, ეძინათ.

გუდაუთის საავადმყოფოში საოპერაციოდ მოემზადნენ. შა-
მილმა თავისი და, რომელიც ამ საავადმყოფოში მუშაობდა, გააღ-
ვიძა, მომხდარზე მოუყვა და სთხოვა ბავშვის ქართველობა არ
გამჟღავნებულიყო.

ჯგუფი შრომაში დაბრუნდა და დავალების შესრულება განა-
გრძო.

კობას სხეულზე მინის უამრავი ნამსხვრევი აღმოაჩნდა, მათი
ამოღება და ნაკერების დადება გაჭიანურდა. მტევნის ძვლები გა-
დამსხვრეული და ბუდეებიდან ამოვარდნილი იყო, ეტყობა ნარ-
კოზიც შესუსტდა და, როცა ექიმი თითების დამუშავებას შეუდგა,
კობამ „ვაი დედაო“, დაიგმინა.

ექიმს და ექთანებს ხელები აუკანკალდათ, ქართველი პაციენ-
ტი ომის დაწყებიდან აქ არ ჰყოლიათ. შამილის დამ იმარჯვა: ბიჭს
ქართველების ტყვეობაში გონია თავი და გამოსავალს ეძებსო. შემ-
დეგ ბიჭის თავთან დადგა და აფხაზურად უხსნიდა, რომ ის თავი-
სიანებში იყო და არ შეშინებოდა.

საოპერაციოში მოხერხდა საჩვენებელი თითის და შუა თითის დაფიქსირება, მაგრამ ცერა თითის მიკერება ვერავინ იკისრა. თითი მაცივარში მოათავსეს.

შამილის და, ლუდა, რომელსაც სახელი რუსი დედის პატივსაცემად დაარქვეს, სახლში დაბრუნდა და მამას, კაც თარბას, გუდაუთაში და მის გარეთ ცნობილ კაცს, ყოველივე წვრილად მოუყვა.

ო, ეს შამილი, მუდამ როგორ არის ხიფათსა და პრობლემებში, გამოსცრა კბილებიდან ოჯახის უფროსმა და მეუღლეს სთხოვა რუსებთან გადასულიყო, ვერტმფრენი „ეჩალიჩა“, რათა ბავშვი სოჭში გადაეყვანათ.

დღის 12 საათზე თავპირშეხვეული კობა და კაც თარბა სოჭში დაეშვნენ. ქირურგებმა კობას ცერა თითი თავის ადგილზე დააბრუნეს. ხარჯი შამილმა გადაიხადა.

5-9 ივლისს სოხუმის ირგვლივ მდებარე სიმაღლეები ქართველებმა დაკარგეს, ბევრი ახალგაზრდა აფხაზი, ისევე როგორც ქართველი, შეეწირა ამ ოპერაციას. გუდაუთაშიც კიდევ ბევრმა დედამ ჩაიცვა ძაძა.

გამარჯვების ეიფორიაში შამილის ჯგუფის ინციდენტით მაშინ არავინ დაინტერესებულა, თუმცა, მოგვიანებით შამილს მოსთხოვეს პატაკი დაეწერა.

ახლა კობა სტუდენტია, მამა სოფელ შრომის დაცემის დღეებში დაიღუპა. იგი, თავის ცერა თითს „აფხაზურს“ უწოდებს, ცდილობს ხმა მიაწვდინოს შამილის ოჯახს და აფხაზ ქალიშვილზე დაქორწინებას აპირებს.

ზუგდიდი, 5 ივლისი, 1999 წ.

ხეტუმი

ეგვიპტეში ხელოვანს, მწერალს, შემოქმედს ხეტუმს ეძახდნენ, დიდ პატივსაც მიაგებდნენ. ხეტუმები სურათზე, ქანდაკებაზე, სხვა უკვდავ ძეგლზე, როგორც წესი, საკუთარ სახელს არ აწერდნენ, ამიტომ ეგვიპტის 3000 წლის უნიკალური ხელოვნების ისტორიიდან ცნობილია მხოლოდ ოციოდე ოსტატის ნამდვილი სახელი.

ხელოვნება ხელოვნება იყო და რიტუალიც, ღმერთთან და ხალხთან სასაუბრო ენა, სათქმელის უთქმელად გამოხატვის ფორმა.

მონათხრობში გამოყენებულია ნაწყვეტები ჩესტერ-ბიტის პაპირუსის, ჰერაკლეოპოლისის ტექსტებიდან, მიცვალებულთა წიგნიდან, ამიტომ ის უფრო ისტორიულია, ვიდრე მისტიკური.

* * *

ეგვიპტეში მეჩვიდმეტე დინასტიის ზეობა უცნაურად დაიწყო.

ცოცხალი ფარაონი გადააყენეს, თუმცა, როგორც ამბობენ, მან უსაფრთხოების და თავისავე აშენებულ პირამიდაში დამუმიების გარანტია მიიღო.

ყოფილმა ფარაონმა დიდ პატივში დაასრულა დარჩენილი სიცოცხლე და საკადრისად დაკრძალეს.

ახალი ფარაონი მეტად ახალგაზრდა ჩანდა, თუმცა განათლება არ აკლდა და მრავალი მეზობელი სახელმწიფოს ენებსაც ფლობდა.

ასე იყო ძველ აღმოსავლეთში, სადაც სახელმწიფო საზღვრების დადგენა უდაბნოს ქვიშებსა და ქარებზე იყო მინდობილი.

ახალი ფარაონი წარმოშობით ნილოსის დელტას მკვიდრი იყო, სადაც მრავალი ტომი ცხოვრობდა და თავიანთი ეთნიკური წარმომავლობა თავადვე თუ უწყოდნენ.

შეძლებულ ეგვიპტელებს და ქურუმთა კასტას არაფერი ისე არ აღიზიანებდა, როგორც ფარაონის საეჭვო სისხლი, მაგრამ ახალი ფარაონი თავის წარმომავლობაზე დუმდა, სანაცვლოდ ხალხს სამართლიან მმართველობას ჰპირდებოდა, რაც მშიერ-მწყურვალი ადამიანებისთვის უმნიშვნელო როდი იყო.

ორ-სამ წელიწადში ეგვიპტემ სახე იცვალა, რაც კარგი ჩანდა გარე ქვეყნებში, ეგვიპტეშიც იკიდებდა ფეხს. ხალხს სხვა თუ არა, გართობა და დაპირება მაინც არ აკლდა.

ფარაონმა შეცვალა კარისკაცები, ახალგაზრდები მოვიდნენ ყველგან, ლამაზები და ძლიერები. ამასთან სათათბიროც შექმნა, სადაც ბევრი გამოჩენილი ასაკოვანი ეგვიპტელიც მიიწვია.

ამბობდნენ, სათათბირო უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეებზე იკრიბებაო.

სათათბირო ხალხს ფარაონის სახელით ელაპარაკებოდა მისივე დავალებით.

კარის ტრადიციაც დარჩა: ეგვიპტის ულამაზესი და რჩეული ტყვე ქალები ამკობდნენ ფარაონის სასახლეს, თუმცა ქურუმის დაჟინებული მოთხოვნით ფარაონი სუფთა სისხლის ეგვიპტელ ქალზე დაქორწინდა და დინასტიის კანონიერება უეჭველი გახადა.

ზეციერ სამოთხეს დაემსგავსა ფარაონის სასახლე და რეზიდენციები, სამოთხე კი წარმოუდგენელი იყო შიშველი სილამაზის და ბუნებისგან განწესებული მრავალსახოვანი სიამოვნების და ტკბობის გარეშე.

მიწიერი ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა: ახალი უფროსები ფულსა და ოქროში ცურავდნენ, მდიდრები მდიდრდებოდნენ,

ღარიბები ღარიბდებოდნენ, მათხოვრები მათხოვრობდნენ, მეომრები მეომრობდნენ.

ეგვიპტელ ქურუმთა, მეცნიერთა და შემოქმედთა კასტა კვლავ ქმნიდა მიწიერ საოცრებებს.

ფარაონები ადრეც მიდიოდნენ და მოდიოდნენ, **ხეტუმთა კასტის** წევრი კი უკვდავი იყო, ვიდრე ფარაონის გარემოცვაში არ ამოყოფდა თავს.

ეგვიპტეში ახალი ცხოვრება დაიწყო, ფარაონმა კი სათავისოდ გრანდიოზული პირამიდის მშენებლობა, რომელიც ყველა ადრინდელზე დიდი და გასაოცარი უნდა ყოფილიყო.

ამ ფარაონმა ხეტუმთა კასტის მართვაც მოისურვა.

ფარაონს ბევრი სხვა უცნაურობაც სჩვეოდა, მაგრამ ხალხს ამისი დაჯერება არ უნდოდა.

* * *

ხელმწიფეს მტერს რა დაულევს, მეტოქეს, მით უფრო.

ფარაონ არა-ს ზეობის მეხუთე წლისთავზე მის გარემოცვაში ბზარი გაჩნდა, ერთნი აღმერთებდნენ, სხვანი ეგვიპტეში გაუსაძლის ყოფაზე ჩურჩულებდნენ.

ფარაონი თავის მადიდებელთა ლიდერს **ხიმუტს შეხვდა ფარულად**, თითქმის ყველაზე ჭკვიანს, მაგრამ მლიქვნელობაშიც მეტად გამორჩეულს. მან ფარაონის გაღმერთება მოუწონა **ხიმუტს და ხელობაც** შეუქო.

მოგვიანებით ხამუტსაც შეხვდა, ხალხის სიყვარული მოუწონა და მეტი სითამამე მოსთხოვა.

ფარაონმა ამ შეხვედრების საიდუმლოდ შენახვა დაავალა ორივეს, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

დრო მიდიოდა.

ეგვიპტელთა ერთიანობა შეირყა. ბევრი ადიდებდა ფარაონს, ბევრიც აძაგებდა დაუფარავად. მესამენიც გაჩნდნენ: აი, ხედავთ რა დიდებული ფარაონია, არაფრის ეშინია, არც ქების არც ძაგების, იმიტომ, რომ სამართლიანიაო.

ეს **ხეტუმთა კასტის ნაწილი იყო, მათ უნდოდათ ამისი დაჯერება.**

პირამიდის კედლებმა შემოინახა ორმოში ხიმუტის და ხამუტის საუბრები.

რატომ ორმოში?

იმიტომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფარაონმა ხიმუტი და ხამუტი თავისთან მიიწვია, კარგი ღვინით გაუმასპინძლდა, მერე სასახლის ბაღში გაიყვანა სასაუბროდ.

საუბარში ხეთა სიღრმეში შევიდნენ.

უცებ მდელოზე მიწა გასკდა და მოპაექრეები ღრმა ორმოში ჩაცვივდნენ.

თითქოსდა შეწუხდა ფარაონი, მაგრამ ეს უფლის ნებად ახსნა და ორმოში ჩასძახა სახლიკაცებს: თქვენში არც ერთია ჭეშმარიტად მართალი და არც მეორე, იყავით მანდ, სანამ სიმართლეს ერთმანეთში არ გაარკვევთ და, როცა გაარკვევთ, ამოგიყვანენ, წყალი და უმი ხორცი არ მოგაკლდებათ. თუ არ შეთანხმდებით და ჭეშმარიტებას საჯაროდ არ ეტყვით ხალხს, ჩემი ლომების კერძი გახდებითო.

თქვა და წავიდა.

ერთი თვე კამათობდნენ **ხიმუტი და ხამუტი. ზოგჯერ ცხვირ-**პირს უმტვრევდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ ალერსით ვერ ძღებოდნენ ერთმანეთის, მაგრამ ორივე თავის აზრზე დარჩა.

ორივე ერთნაირად ფიქრობდა ფარაონზე და სიმართლეც კარგად უწყოდათ, მაგრამ ფარაონისთვის მიცემულ სიტყვას ვერ გატეხდნენ, ამასთან სასახლეში თავიან მდგომარეობასაც უფრთხილდებოდნენ.

ხიმუტი:

– უდიადესია ფარაონი, მეუფე ჩვენი, ბედნიერია ყველა ეგვიპ-ტელი. **მახვილია სიტყვა მისი, ძალაა მისი, ყველა იარაღზე უძლიე-**რესი. ის მართალია ღმერთის და ადამიანთა წინაშე, მხოლოდ ბო-როტს ხოცავს იგი. მან აღაშენა ახალი სასახლეები, ახალი არხები, ახლი ქალაქები, განამტკიცა სამანი ქვეყნისა. უძლეველია ჯარი მისი, უმამაცესია თავად. მთელი აღმოსავლეთი შიშით ძრწის მის წინაშე. ტყვე მონებით აღავსო ეგვიპტე. ის პირდაპირია, თამამი, შეუპოვარი, ის არ ჩაგრავს ქვრივ-ობლებს, არავის ართმევს სამემ-კვიდრეოს, არ სჯის უბრალოდ...

ხამუტი:

– ეს წელი წინა წელს არ ჰგავს. რაც დრო გადის, ცხოვრე-ბა უფრო მძიმდება. ქვეყანა გაღატაკდა. ყველგან უბედურება ტრიალებს. ქალაქები და მხარეები იტანჯებიან. ყველას უჭირს. მიცვალებულებსაც არ აქვთ სიმშვიდე. მე მტკივა და ტკივილი ვერ დამიფარავს. გულზე დარდი მაწევს. თამამი გული ხომ თავ-ისი ბატონის მეგობარია განსაცდელში! ვხედავ რაც ხდება, უბე-დურების კევრი ტრიალებს. ფარაონი უზრუნველია, განცხრომით ცხოვრობს, არ უნდა სხვისი მოსმენა. ქვეყანა აზიატებით აავსო: დუხჭირია აზიატი, მომთაბარე ხალხი, ცუდია ადგილი სადაც ის დაისადგურებს; უძლეველია მომთაბარე, თუმცა არც იმარჯვებს და არც მარცხდება, თუ მოვიდა არასოდეს წავა. **ეგვიპტე საფრთხ-**ეშია!

ხიმუტი:

– უმადური ხარ შენ, ბრმა და დაყრუებული. უმადურია ეგვიპტელი, რომელიც ფარაონის სიკეთეს და საქმეებს ვერ ხედავს. ვინ აავსებს ხალხის მუცელს, უძირო ქვევრს. ზარმაცი და უსაქმურია ბუნება კაცის, ყველას ფარაონისკენ უჭირავს თვალი, მისგან ელოდება ცის მანანას, ნაცვლად რომ ხელი გაანძრიოს. არ არის ქვეყნად კაცი უმტერო. მტრობენ მას, ვინც აშენებს, აკეთებს. მილიონთა შორის რჩეულია ჩვენი ფარაონი. ვერას დააკლებს მას ქურუმი და საძმო მისი, შენნაირნი...

ხამუტი:

– წინაპართაც არ ახსოვთ ეგზომ დიდი განსაცდელი. ამის გამო ყველა დუმს, შიში ჩასდგომია ყველას თვალებში. კაცი არ არის ბოროტებას არ ჩადიოდეს. გული მიკვდება. ვინც უწინ მბრძანებლობდა, დღეს სხვათა უკუღმართ ბრძანებას ასრულებს. გულებს არ ძალუძთ რაიმეს შეცვლა. დღევანდელი გუშინდელს ჰგავს. სისასტიკე გამეფებულა. არ იპოვება ბრძენი, რომ ეს განსაჯოს, არც აღშფოთებული, რომ ხმა აღიმაღლოს. ყოველ ცისმარე ხალხი დაღონებული დგება. აღარ აქვს ღონე უბედურს, რომ თავი დააღწიოს იმას, ვინც ძალით აღემატება. ძნელია დუმილი, როცა ყოველივე ამას ხედავ. აზრი არა აქვს რეგვენთან დავას. სიტყვის შებრუნება მტრობას შობს, რადგან ყველაფერი სიცრუეზეა აგებული.

ხიმუტი:

– დიადია ფარაონი ჩვენი, უფრო დიდი ვიდრე ღმერთი ჩვენი. მთელი აზია ენდობა მას, შემოირიგა მომთაბარენი. ამიტომაც ჰყავს ქვეყანაში მტერი ბევრი, შენც მათ შორის. ვეუბნები, რომ ღვიძლი ძმაც იყოს, ნუ ენდობა, მეგობართანაც ფრთხილად იყოს, არ დაუახლოვდეს არავის, ერიდოს უცხო ქალებს, სხვათა ცოლებს, რადგანაც მაცდურია ქალი და ქმარი მისი. ძილშიც თავს გაუფრთხილდეს, რამეთუ არაა სანდო განსაცდელში მსახურიც მისი. მე მას ვიცავ და ამით ეგვიპტეს და ჩემს სიმართლეს.

დიდება ფარაონს, მის კარს, მის ქვეყანას, მის უძლეველ ლაშქარს!..

ხამუტი:

– ოქრომ და ქალებმა დაგაბრმავეს შენ, დაგავიწყდა ხალხი შენი, ზურგი აქციე წმინდა საქმეს შენსა. მძიმე ტვირთი ყოფილა ფარაონთან ყოფნა, უფროსობის განცდა და გემო. შენ არ მოუსმინე ცის მპყრობელ იპუერს, მან კი გითხრა: ძნელბედობამ დაისადგურა ქვეყანაში, ყველგან სისხლია და სიკვდილი. მრავალთა სამარედ იქცა მდინარე, წყალია გვამთა მუმია. გადაბრუნდა ქვეყანა, მძარცველი

გამდიდრებულა, მდიდარი მძარცველად ქცეულა. ღმერთო, რა წყალში ჩავვარდე? ამბობს ღარიბი. ქვეყანა უდაბნოდ ქცეულა, გადამთიელი პარპაშობს ეგვიპტის მიწაზე. რად გინდა სალარო, თუ არაფერი შემოდის? ყოველ ბუჩქთან მძარცველი გვდარაჯობს. სამეფო სამარხები ავაზაკებმა გაძარცვეს. ნახეთ, ეგვიპტე მტვერში დაცემულა. მე ამაზე ვეუბნები ხალხს და ფარაონს, ის კი იღიმის, ეძებე ჭეშმარიტებაო. რა თავში ვიხლი ჭეშმარიტებას?

– დიდება ეგვიპტეს, დიდება ეგვიპტელებს, ხალხის მძლეველს ვერ გააჩენს დედის მუცელი.

– მხოლოდ ღმერთია ჩვენი შემწე და მხსნელი...

* * *

ხიმუტი და ხამუტი ვერ შეთანხმდნენ ერთ ჭეშმარიტებაზე.

* * *

ასი ათასი ეგვიპტელი ზეიმობდა ფარაონის ზეობის მეშვიდე წლისთავს. დიდება ფარაონს, დიდება ჩვენს მეუფეს, გუგუნებდა უზარმაზარი ამფითეატრი. ფარაონის შემდეგ ტრიბუნაზე ადიოდნენ ვეზირები, კარისკაცები:

დიდება და უკვდავება ფარაონს!

დიდება და უკვდავება ხიმუტს!

დიდება და უკვდავება ხამუტს!

ათასეულთა ოვაციაში ბგერები ერთმანეთში ირეოდა და პირამიდების კედლებიდან ნილოსის სარკეს ასკდებოდა ექოდ: სამეფო პატივი მიეგოს ხეტუმს!

ყველას გასაოცრად ფარაონმა ბრძანა: მოღალატეა ხამუტი, ის ხალს ატყუებსო!

უმალ ხალხი გამოეხმაურა: მატყუარას სიკვდილი, მიართვით ფარაონის ლომებს!

ფარაონმა ბრძანა: მოღალატეა **ხიმუტი, ის ფარაონს ატყუებ**სო!

უმალ ხალხი გამოეხმაურა: მატყუარას სიკვდილი, მიართვით ფარაონის ლომებს!

ხიმუტს **და ხამუტს ეს ფარაონის მორიგი უხამსი ირონია ეგო**ნათ მხოლოდ, მაშინაც კი როცა ისინი თავით მიფრინავდნენ ფარაონის ლომების საბრძოლო მოედნის ფსკერისკენ.

ლომების ველურმა ღრიალმაც არ გააჩუმა ხალხი, ისინი მორიგ მოღალატეს მოითხოვდნენ.

ცოტა რომ დაწყნარდნენ ფარაონის რომელიღაც კარისკაცმა იყვირა: დიდება ჩვენს ფარაონს მარად ცოცხლობდეს ის!

სანამ ფარაონმა ხელი არ აღმართა, არ შენელებულა ბრბოს ოვაცია: დიდება ჩვენს უფალ ფარაონს!

მერე ფარაონი, მისი გარემოცვა და ბედნიერი ხალხი დაღამებამდე ტკბებოდა ლომების ბრძოლის სანახაობით.

* * *

ფარაონის პირამიდის მშენებლობა შეწყდა, რადგან მხოლოდ ხიმუტმა იცოდა გრანდიოზული პირამიდების აშენება. მისი ხალხი და მონები ქვიშის დიუმებში გაუჩინარდნენ.

გადარეული ნილოსი ჩაწყნარდა, მაგრამ ვერავინ მოაბა თავი ახლად დალექილი სარწყავი არხების აღდგენას, რადგანაც მხოლოდ ხამუტის თავში ინახებოდა არხთა ლაბირინთების საიდუმლო.

ეგვიპტეში შიმშილობა გარდუვალი ჩანდა, ვინაიდან მზესაც მოეკიდა ცეცხლი იმ წელს.

ფარაონმა ლაშქარი შეკრიბა და ფინიკიას შეუსია ოსტატების და მონების დასატყვევებლად. ფარაონი წინ მიუძღოდა თავის პირად გვარდიას.

ბრძოლაში ჩაბმისთანავე, ფარაონი ეტლიდან ჩამოვარდა: ზურგიდან ნასროლმა ისარმა გულისფიცარი შეუნგრია.

ხმა დაირხა, ეს ერთ-ერთი ხეტუმის საქმე იყოო.

ფარაონი ორმოც დღეში დაამუმიეს და ნაჩქარევად ნაგებ პატარა პირამიდაში დაკრძალეს.

მომავალი ფარაონი მცირეწლოვანი იყო და დედოფალი გახდა ეგვიპტის მბრძანებელი.

ფარაონის კედელზე ტრადიციული ნახატები და წარწერები რომელიღაც ახალმა დიდმა მწერალმა შეასრულა, მათ შორის იყო დიალოგი ორმოში. მასვე მიაწერენ სხვა ნაწერის შესრულებასაც ხიმუტის და ხამუტის:

ფარაონი არა:

– დიდება შენდა, დიდო ღმერთო, მფლობელო ორი ჭეშმარიტებისა! მე მოვსულვარ შენთან, ო, მეუფეო ჩემო, რათა განვჭვრიტო შენი სრულყოფილება!

– სახელია შენი, ორი ჭეშმარიტება. მე მსხვერპლად მოგიძღვენი ორი ჭეშმარიტება, მე განვიშორე ყველა ცოდვა შენი გულისთვის. მე არ ჩამიდენია უსამართლობა, მე არ მითქვამს სიცრუე არც ერთი ჭეშმარიტების წინაშე.

– მე დროის შვილი ვარ და ვცხოვრობდი დროის ცხოვრებით!

უფრო ქვემოთ ხეტუმის სახელით ხელმოწერილი წარწერაა. ეს წერილი განმარტავს, რომ ყველა გენიოს ეგვიპტელ ხელოვანს ხეტუმი ერქვა ისტორიაში შესასვლელად, ხოლო ხიმუტი, ხამუტი,

ხომუტი ან სხვა მხოლოდ მათი სახელები იყო ამქვეყნიურ სიცოცხლეში.

იქვეა მწერალთა ეგვიპტური შეფასება:

– მათი **დარიგებანი მათი პირამიდებია, კალამი კი მათი პირმ**შო შვილი. მათი სამარხები ქვიშამ დაფარა, ძეგლები დაიქცნენ და სამლოცველოები დავიწყებულია, მაგრამ დიადი ქმნილებებით უკვდავყოფილია მათი სახელები;

– ადამიანი გარდაიცვალა, სხეული მისი გაიხრწნა და ჩაიფერფლა. ყველა მისმა ახლობელმა მიატოვა დედამიწა, მაგრამ მათი ნაწერები დარჩა და თაობებს გადაეცემა;

– ნაწერი ფართო სასახლეზე სასარგებლოა, სამლოცველოზე უფრო კეთილისმყოფელია, ტაძრის სამარხზე უფრო გამძლეა. განა დიდებულ კაიროსს შეედრები? აღარ არიან ახლა ნეფრი და ახტოი, მაგრამ რაც მათ იწინასწარმეტყველეს, ყოველივე ახდა;

– რა ესაქმება ხეტუმს ფარაონთა სასახლეში? ეს ადამიანური სისუსტეა, ორი ჭეშმარიტების მსახურებაა, რისთვისაც სასჯელი მისივე სიცოცხლეა.

***

არავინ იცის ამ ამბის შემდეგ, რაც ხიმუტსა და ხამუტს გადახდათ, თუ დიდი ხნით ადრე, ეგვიპტის ყველა პირამიდაში გაჩნდა წარწერა:

– სამეფო პატივი მიეგოს ხიტუმს, მხოლოდ ერთი ჭეშმარიტების სახურს!

– ერთია ჭაშმარიტება და ესაა ხელოვნება, მხოლოდ ხეტუმია მისი მსახური!

– ხელოვნების უკვდავებაშია ფარაონის და ხალხის უკვდავება.

თბილისი, 14 ოქტომბერი, 2007 წ.

მზის სიკვდილი ლაბრაში

მაისის დასაწყისიდან აფხაზური ფრონტი გააქტიურდა. აშკარა იყო, რომ ლაბრაში და მის მიდამოებში შეჭრილ ქართველთა ანკლავს ტომარაში მოქცევას უპირებდნენ. გადაწყდა საჭირო ზომების მიღება.

კარგი საარტილერიო დამუშავების შემდეგ ქართველთა რაზმი შეტევაზე გადავიდა.

მტრის წინააღმდეგობა სასტიკი იყო. წინა ბრძოლებისგან განსხვავებით, მოწინააღმდეგე არ ჩანდა, საცეცხლე დარტყმა კი გაც-

ილებით ძლიერი იყო. გაჩნდა ეჭვი, რომ აფხაზებმა და დაქირავებულებმა ტაქტიკა შეცვალეს – ისინი მიწაში ჩავიდნენ, სანგართა მოხერხებული სისტემა გამართეს და კარგად შენიღბეს.

ბრძოლამ პიკს დღის 12 საათისთვის მიაღწია. ქართველები, უპირატესად მხედრიონელები, წელს ზემოთ გაშიშვლდნენ და შეუტიეს.

ერთ საათში აფხაზური წინააღმდეგობა გატეხილი იყო, ძველი პოზიციები დაბრუნებული.

მოულოდნელად ზურგს უკან და ირგვლივ სროლა ახალი ძალით განახლდა. ეს უჩვეულო იყო, ადრე ასეთი რამე არ მომხდარა. ჩვენს უკან და ფლანგებზე მტერი არ უნდა ყოფილიყო. ისინი, ალყაში მოქცევას გვიპირებდნენ.

ხიშტები გამართეს ქართველებმა. მხოლოდ წინ! – მოვიდა ბრძანება. ყველაფერი ერთმანეთში აირია. რამდენიმე წუთში აფხაზთა პირველი რიგები გადათელილი იყო, თუმცა კარგად შენიღბული სნაიპერები თავს არ გვანებებდნენ. ქართველი ბიჭები მოცელილივით ეცემოდნენ. მაინც იმარჯვეს: არც თავი დაზოგეს და არც მტერი. შუბლწაკრული ჩეჩნები რაღაც ნიშნებს აძლევდნენ ერთმანეთს... ეს იყო ბრძოლა არა სიცოცხლისთვის, არამედ სიკვდილისთვის, ღირსეულთა შერკინება.

ფეხებში სისუსტე ვიგრძენი, ჩამოვჯექი, ქვას ამოვეფარე, ვისროდი. ცას შევხედე, შუადღის უზარმაზარი მზე ეკიდა ცაზე. ფეხებში უჩვეულო სითბოს ვგრძნობდი, თითქოს თბილ წყალს მისხამდნენ ჩექმებში. მზე კი პატარავდებოდა, ცივდებოდა. მერე ვიღაცამ მზეს დიდი თოკის მარყუჟი ჩამოჰკიდა კისერზე და დახრჩობას უპირებდა. ძალას კარგავდა, ფერი ეკარგებოდა. არ ვიცი რამდენი ხანი გავიდა ასე, სანამ მზე ჩაქრა და სიბნელემ დაისადგურა ირგვლივ.

თვალი საავადმყოფოში გავახილე. ბარძაყებში ექიმებს ჩაეყოთ ცხვირ-პირი. ზურგიც მეწვოდა. მითხრეს, მთელი ხუთი საათი გრძელდებოდაო ეს წამება. ბედნიერებაა უეცარი სიკვდილი, „წკაპ“ და არა ხარ...

ჭრილობა მომიშუშდა, მაგრამ ფეხებზე მაინც ვერ ვდგებოდი. დაწყვეტილი და დაჟეჟილი არტერიების ანთება არ შემეშვა. ეტყობა, საველე პირობებში მათი დამუშავება უბრალოდ შეუძლებელი იყო.

კიდევ სამი ოპერაცია გაკეთდა თბილისში. თავს უკეთ ვგრძნობდი, სიარული ვისწავლე, მაგრამ ამ წამებას ხუთი თვე დასჭირდა. ამასობაში ომიც დამთავრდა, დავმარცხდით.

– აფხაზეთში ვითარება კატასტროფული გახდა, წუხილით გვიყვება კაპიტანი იგორი ზუგდიდში, ერთადერთი უკრაინელი ჩვენს ბატალიონში. მტერი, რომელთა რიგებში დამრტყმელი ძალა ჩრდილოეთ კავკასიელები და რუსები იყვნენ, ყველა მხრიდან უტევდნენ ქართველებს. აღმოსავლეთის ფრონტი ლამის პირველხარისხოვანი გახდა. სამეგრელოში ექსპრეზიდენტის დაბრუნების და სახელმწიფო საბჭოს ძალების მიმართ გამოსვლების დაწყების შემდეგ, ქართველებისთვის ხმელეთიდან იარაღის და სურსათის მიწოდება თითქმის შეწყდა. ექსპრეზიდენტის მომხრეთა თქმით, თბილისში სამართლიანობის აღდგენის შემდეგ მოგვარდება აფხაზეთი და სხვა საკითხებიო...

ამ პერიოდში კი აღმოსავლეთის ფრონტი უხვად ღებულობდა იარაღს და ტყვია-წამალს, შევსებას. ყოველდღე რამდენიმე ვერტმფრენი სხდებოდა ტყვარჩელში. ყველა ჩამოსულ მებრძოლს. ჩვენებისგან განსხვავებით, ჰქონდა ყუმბარამტყორცნი, ჯავშანჟილეტი რამდენიმე დანა, რომელთაც მეტად მარჯვედ იყენებდნენ ჩვენდა გასაკვირად.

ლაბრას შემდეგ ოჩამჩირის ფრონტმა ხასიათი შეიცვალა. ქართველებთან პირდაპირ შეტაკებას, როგორც წესი, თავს არიდებდნენ. იცოდნენ, გარდუვალი მარცხი და დიდი მსხვერპლი ელოდათ. მათი ტაქტიკა პარტიზანული გახდა: მცირე ძალებით თავდასხმა მოულოდნელ ადგილას და სწრაფი გაუჩინარება; ჩვენი დისლოკაციის ადგილებში პანიკის დასათესად 5-6 კაცისაგან შემდგარი ჯგუფის შეგზავნა; აღებული პოზიციების გამაგრება სანგრებით, მიწაყრილებით, ხაფანგებით, მართვადი ყუმბარებით.

ასეა თუ ისე, მათ წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო და უფრო გაგვიჭირდა. იყო ერთი მოულოდნელობაც, აღმოსავლეთის ფრონტის შტაბში ყოველივე კარგად იცოდნენ ქართველთა გადაადგილებაზე, მორიგ შეტევებზე...

17 სექტემბერს მთიელ ხალხთა კონფედერაციას გამოუცია ბრძანება აფხაზეთის ასაღებად სრული მზადყოფნის შესახებ. აღმოსავლეთის ფრონტი გალის რაიონის სიღრმეებში. როგორც შემდგომ გავიგეთ, სამთო რაზმის გამოყენებით, „მეშველის“ მთა აუღიათ, რომელიც აფხაზურ სოფლებს და ტყვარჩელს აკონტროლებდა. ამ მთის ოთხ ათეულამდე დამცველი, რომელთაც თითქოსდა არაფერი ემუქრებოდათ, დანებით დახოცილები იპოვეს. ეს ჩვენი მხრიდან, მიუტევებელი დაუდევრობა იყო.

30 სექტემბერს ათასობით ვოლონტერი ენგურის ხიდზე ზეიმობდა აფხაზეთის აღებას, თქვენი მიწებიდან თქვენს გამოყრას – განაგრძობდა იგორი. ამბობენ, რომ მათ შორის შამილ ბასაევიც

იყო, რომელიც მაშინ ნაკლებად ცნობილი მეთაური, მაგრამ საკმაოდ მოხერხებული და ჭკვიანი მეომარია.

შემდგომი დღეები ისინი აფხაზეთიდან ნაალაფარის გატანით იყვნენ დაკავებული, უხალისოდ განაგრძო კაპიტანმა. მათ მანქანები და ძვირფასეულობა აინტერესებდათ. აფხაზეთში ჩარჩენილთა თავის მოჭრა, დასახიჩრება, გაუპატიურება, ფიზიკური შეურაცხყოფა, ეზო-კარის დაწვა არაფრად უღირდათ. ბევრი რამ აფხაზებსაც ასწავლეს, დასცინოდნენ მათს წესიერებას, ქართველებისადმი თავმდაბლობას, რაც მათში, როგორც წესი, ომის დღეებშიც არ გამქრალა...

– **დღეს აფხაზეთში უფრო სწორად, დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ძალები შევიდნენ,** მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალებიო, ახალი ამბავი გვახარეს მეზობელი მაგიდიდან.

გაგვიკვირდა, შევწუხდით, ერთმანეთს გადავხედეთ.

– რა ხდება, განა თქვენ არ გაიძახოდით ქალბატონ ოლბრაიტთან, რომ აფხაზები ახალი ბერლინის კედლებს გვიშენებენ ენგურისპირებზეო? ჰო და, არ აშენდება ქვის კედელი, რუსების ცოცხალი კედელი გექნებათ, გადაიხდით – გადასწევთ-გადმოსწევთ კედელს, შეხვალ შენს სახლში და გადმოხვალ უკან! არ შეგვეშვა ენაკვიმატი ზუგდიდელი მეზობელი მაგიდიდან, რომელსაც თავის სახლში ხუთი დევნილი ოჯახი ჰყავდა შეფარებული.

კაპიტანი წამოდგა, არაყი ჭიქიდან მოსვა, პირში დაიგუბა და გულიანად გადააპურჭყა.

ჩვენი სტუმარი იყო, მაგრამ მაინც მივეცი შენიშვნა, ასე არ ხდება ჩვენთან-მეთქი.

– აი, ეს გაკლდათ მხოლოდ, დაგიპყრეს და ახლა მშვიდობასაც ამყარებენ, ვისგან მშვიდობას, თქვენგან?

პირჯვარი გადაიწერა, ჩამოჯდა.

– ეს არაკაცების საქმეა, თქვა და ბოთლი მიიყუდა, სანახევროდ დაცალა. ღმერთმა დაგიფაროთ, მეშინია, რომ უარესი არ მოგივიდეთ.

– კარგით, ბატონო კაპიტანო, არ მოხდება ვისწავლეთ ჭკუა, გვეყო დამარცხებები – შევეცადე დაწყნარებას.

– თქვენ რა გეშველებათ, მე კი ვუშველე თავს, სახლში მივდივარ! აქ ლაბრა ერთ-ერთი გაიხსენეთ, კარგია, ლაბრა ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის, კაცი ვარ და კაცის საქმეს ვაკეთებდი თუმცა...!

პურის ნაჭერი და ქილიდან პაწაწინა სტავრიდა მივაწოდე. არ გამომართვა. ისეთი გამჭოლი თვალებით მიყურებდა, თითქოს სამშვიდობოები მე და ჩემმა მეგობრებმა შევიყვანეთ აფხაზეთში.

წამოდგომაში დავეხმარე, ყავარჯენი მივაწოდე. მოიბოდიშა, ვინმემ გამაცილოსო მანქანამდე. უკანა სალონში მეხუთე იყო. ცრემლები მოიწმინდა და დამშვიდობების ნიშნად ცხვირსახოცი ზერელედ დააქნია.

– რა იქნება ხვალ?

მეკითხება თანამესუფრე.

– არავინ იცის, მე საიდან, ვპასუხობ დაბნეული, კაპიტანი არ ვარ!

ჩვენს წინ, ზუგდიდის ბაზარში, ასობით მოვაჭრე ირეოდა, შედიოდნენ და გამოდიოდნენ ტომრებით დახუნძლული და გაოფლილი აფხაზეთელი ქალები და ბავშვები.

დაფლეთილი თეთრი ღრუბლის ბოლო ნაგლეჯიც სადღაც გადაიკარგა და ცის კენწეროზე დაკიდული გავარვარებული მზე წვავდა ირგვლივ ყველაფერს.

ზუგდიდი, 24 ივლისი, 1994 წ.

დაიბრუნე, ისე არ მინდა

ქალაქის ახალ, პატარა, მაგრამ კოხტა რესტორანში ლხინი უზომოდ გაიწელა. 16 საათზე შეხვედრები დავამთავრეთ და თბილისში უნდა წამოვსულიყავით, როცა დევნილებმა, ღარიბმა, მაგრამ ბავშვობის მეგობრებმა თავი გამოიდეს, გზას დაგილოცავთო. მერე სხვებიც დაემატნენ, მათ შორის ე. წ. ახალი ქართველები, რომელთა უმეტესობას არ ვიცნობდი.

ღვინოს არ ვსვამდი. გარეთ გასვლა და ჩვენს მანქანაში წამოწოლა ვარჩიე.

ეზოში უცხო მარკის მრავალ მანქანას მოეყარა თავი. უკანა სალონის კარი ღიად დავტოვე და წამოვწექი ისე, რომ ფეხები მიწას წვდებოდნენ. შარვლის ტოტები ავიწიე, ფეხზე გავიხადე. უჩვეულოდ მესიამოვნა მშობლიურ მიწასთან შეხება. თვალები მივლულე, მინდოდა წამეთვლიმა.

საქარე მინაზე ფრთხილი კაკუნი გაისმა.

წამოვჯექი.

თავზე მადგა, ასე 12-13 წლის გოგონა. მას თხელი, გამჭვირვალე კაბა ეცვა, ღრმად ჩახსნილი მკერდით და მუხლებს ზემოთ ირიბად გამოყვანილი ბოლოთი. სახე და თვალები მეტისმეტად გათხუპნული ჰქონდა.

გოგონამ ამათვალიერ-ჩამათვალიერა; თეთრი პერანგის და წითელი ყელსახვევის მიხედვით გამზომა და ფულიან უფროსად წარმომიდგინა.

მანქანაში თავი შემოჰყო და ხმადაბლა მკითხა: ძია, ის (დამარცვლით და უსირცხვოდ თქვა) არ გინდა?

შევცბი, ამ კუთხეში და ასეთი ნორჩი გოგონასგან ამას ვერაფრით წარმოვიდგენდი.

თითქოს ვერ მივხვდი, კითხვა შევუბრუნე. მან ზუსტად იგივე, ოღონდ ახლა უფრო დამარცვლით გაიმეორა.

შემეცოდა, შევშფოთდი, მაგრამ დრო მქონდა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება გადავწყვიტე.

უკანა სალონში მივიწვიე სასაუბროდ. ბოლო ოც ლარიანი, რომელსაც ყოველთვის გულის ჯიბეში ვინახავ შავი დღისათვის, გავუწოდე.

გამომართვა, შეხედა და უბეში ჩაიდო.

– მანქანით, **არა, ჯობია ფეხით წავიდეთ, აქვეა ახლოს, საიმედო ადგილია!**

– შენ აფხაზეთიდან ხარ?

– არა, ადრე ვიყავი.

– გეჩქარება? ჯერ ვისაუბროთ, ვთხოვე მე.

– აუუ, შეიცხადა, დროს მაკარგვინებ. ცოტა ხანს მოგისმენ, რა გინდა, მე ყველა პოზა ვიცი, ქალაქში პროფესორას მეძახიან. მე ფული მჭირდება. . .

დაჟინებით ვაკვირდებოდი ამ პატარა არსებას, რომელსაც ძალიან ადრე ეგემნა უპატრონო ბავშვის ხვედრი.

– რა, არ მოგწონვარ? მეკითხება შეშფოთებული.

შევატყვე, გაღიზიანდა.

– პირიქით, ძალიან მომწონხარ, ამიტომ კიდევ ცოტა ხანი ვისაუბროთ, მე ხომ გადაგიხადე, – ვეუბნები თავჩაქინდრული.

სიბნელეში ჩემს ფერდაკარგულ სახეს ის ვერ ხედავდა.

– მკითხე რა გინდა, გვიანაა, ოღონდ ბევრს ნუ გაახურებ, ხმას აუწია გოგონამ, შენ რომ არა, კიდევ ვიპოვიდი კლიენტს!

– ვფიქრობდი, მეკითხა თუ არა როგორ გავარდა ქუჩაში, ვინ და როგორ გააუბედურა პირველად.

– მამა გყავს?

– არა, რუსეთშია, გადაიკარგა.

– დედა?

– არა, თუმცა კი, თურქეთში დადის, იქ მუშაობს, თვეში ერთხელ ჩამოდის, პროდუქტები, ტანსაცმელი და ცოტაოდენი ფული ჩამოაქვს; ძალიან მკაცრია, მეშინია, ეს რომ იცოდეს, მომკლავს.

– დები, ძმები?

– ოთხი და და ერთი ძმა, უმცროსები.

– მეზიზღებიან კაცები, მეზიზღება ჩემი თავი, მაგრამ რა ვქნა, მშივრებს ხომ არ დავტოვებ ბავშვებს?

– არ გეშინია ავადმყოფობა შეგეყაროს, ან სხვას გადასდო?

– მინდა, მაგრამ ვერ ავიკიდე, მინდა ყველა გახდეს შიდსიანი, ყველა მამაკაცი დაიხოცოს.

– სკოლაში დადიხარ შენ, ბავშვები?

– მე არა, ბავშვები კი, სად მცალია?

– პოლიციის არ გეშინია?

– ბევრჯერ წამიყვანეს, ტვინი გამიბურღეს; უფროსს შევეცოდე, ფულიც მაჩუქა, მერე მათაც ჩაიქნიეს ხელი, არ მერჩიან, რამდენიმემ გამსინჯა, რაღა ვქნა, მამაკაცები არიან!

სიჩუმე ჩამოვარდა.

– შენ რა, სკოლის დირექტორი ხარ, დამრიგებელი, პოლიციელი თუ გამომძიებელი? საიდან ჩამოეთრიე, რა გინდა, ჩემს მეტი ვერავინ ნახე? ჩემისთანები ძალიან ბევრია ქალაქში, მე ჩემი გაჭირვებაც მეყოფა! –პირში მომახალა მოურიდებლად და მანქანიდან გავიდა.

თავი ჩავქინდრე.

– მე წავედი, აი შენი ფული, გამომართვი... ისე არ მინდა, მე მათხოვარი არ ვარ, მათხოვრები ხიდთან და ეკლესიასთან ნახე რამდენია!

– თქვა და ფული სავარძელზე დააგდო. ოდნავ შეყოვნდა და დაამატა: რამდენი დრო დამაკარგვინე, წესით 5 ლარი უნდა მომეხსნა.

წამოვდექი, მკლავზე ხელი მოვკიდე, ბოდიში მოვუხადე და მანქანაში დავაბრუნე.

– აი, ზარალისთვის „ორი კლიენტის“ წილს გიხდი... და ფული კაბის ჯიბეში ჩავუტენე, ოღონდ მოკლედ მომიყევი როგორ დაიწყე ეს, არ გეშინოდა, არ გერიდებოდა მეზობლების, მეგობრების, ნათესავების? თანაც შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ!

მიხვდა, რომ რიგით კლიენტი არ ვიყავი.

– მარტონი დავრჩით მამის გადაკარგვის შემდეგ. დედამ გარე ვაჭრობაში ადგილი დაკარგა და თურქეთში ამოჰყო თავი. ჯერ ყოველკვირა მოდიოდა სახლში, მერე დიდხანს არ გამოჩნდებოდა. ძალიან ლამაზი და ახალგაზრდაა.

ტირილი დაიწყო, რომელიც ისტერიკაში გადაუვიდა. უხერხულობაში ჩავვარდი, დამშვიდება ვცადე.

– გასაგებია, წადი შვილო, მიხედე ბავშვებს. ახლე მე დავუწყე ხვეწნა.

– არა, ბოლომდე მომისმინე, თქვენ, დიდები ხართ ყველაფერში დამნაშავე, პირველ რიგში მშობლები. მეზიზღებით! რომ იცოდე როგორ მშურს მეზობელი თანატოლი გოგონების: დედები თმებს უვარცხნიან, აცმევენ, მეგობრობენ, საიდუმლოს ანდობენ, მამები ეფერებიან, აცმევენ, აჭმევენ, მათი იმედით არავისი ეშინიათ.

ტირილი შეწყვიტა, სლუკუნებდა.

მანქანით სახლში მიყვანა შევთავაზე.

– არა, ბოლომდე მომისმინე, გაიგე რა დამპლები ხართ კაცები!

– შენ გგონია მე ეს მომწონს, მინდა? გული მიკანკალებს, ყველასი მეშინია; გითხარი, სიკვდილი მინდა, მაგრამ პატარები მიყვარს, რა ეშველებათ.

მე კი ვინ მეგონა, რა არ ვიფიქრე! და ეს ვუთხარი, თან დავამატე, რომ მისი ჭკუის, ხასიათის, სიმტკიცის ბავშვები იშვიათად ჩნდებიან ქვეყანაზე და მათ დიდი მომავალი აქვთ-მეთქი.

თავი გააქნია და განაგრძო:

– მეზობელმა დაიწყო ჩვენთან სიარული, ხან ფულს დაგვიტოვებდა, ხან რას, ბავშვებს შეაყვარა თავი. ჯართზე მუშაობდა, ფული ჰქონდა, ინომანქანაც.

– ზოგჯერ, როცა სახლში ცოლი და ბავშვები არ იყვნენ, თავისთან დამიძახებდა, ოთახების და საწოლის დალაგებას მთხოვდა. ჯერ ძმა დამყავდა, მაგრამ, როცა ის სკოლაში იყო, მარტო მიწევდა სიარული. ის ძალიან შეიცვალა, ხშრად სვამდა, სახლში გვიან ბრუნდებოდა, რაღაც უცნაური გახდა. ცოლმა მიატოვა.

– ერთ წვიმიან დილას დამიძახა, ბიჭები ჰყავდა სტუმრად. სუფრის გაწყობაში დახმარება მთხოვა, მერე თავის გვერდით სკამი დადგა და მიმიწვია. მეგობრები გამაცნო, ღვინის დალევას მაძალებდა. მეც ორი თუ სამი ჭიქა შავი ღვინო დავლიე. მწარე იყო, მაგრამ რა მექნა, შემრცხვა. მერე მეგობრები წავიდნენ. მარტო რომ დავრჩით, ხელი მომკიდა, დიდი ყანწით „ვახტანგურად“ დალევა შემომთავაზა.

– მერე არაფერი მახსოვს.

– საღამოს სახლში, ჩემს საწოლში გამეღვიძა. ყველაფერი მეწვოდა, მტკიოდა, საცვალზე სისხლი მქონდა, მკერდი დაკბენილი. შემეშინდა, მაგრამ ვისთვის მეთქვა?

მეორე საღამოს თვითონ შემოვიდა, ჩემს ძმას ასი ლარი აჩუქა, ფქვილი, თევზი და ხორცი მოიტანა, ბავშვებს აჭამეო. სხვების

გასაგონად ხმამაღლა მითხრა, ექიმს მოვიყვანო. მე უარი ვუთხარი, გამივლის-მეთქი.

დამშვიდებული წავიდა და ერთი კვირა არ გამოჩენილა.

ერთ დილით ისევ დამიძახა, ხმამაღლა, მეზობლების გასაგონად, პატარა საქმე მაქვს და დამეხმარე, ნახევარ საათში სახლში იქნებიო.

წასვლა არ მინდოდა, მაგრამ მეზობელმა ქალმა მითხრა, რატომ უნდა აწყენინო, თქვენთვის იმდენ კარგს აკეთებს, მოცოცხე ოთახი, სარეცხი კი სახლში წამოიღეო.

წავედი. საწოლ ოთახში იყო. ლოგინზე ჩამოჯდომა მთხოვა.

– მე **მთვრალი ვიყავი, ცუდად მახსოვს, მაგრამ შენ რამ გად-**აგრია, მგონი ჩვენს შორის რაღაც მოხდაო.

მე ვკანკალებდი, ბრაზისგან სიტყვა არ ამომდიოდა პირიდან.

– ახლა ის დაგვრჩენია, რომ ერთად ვიყოთ, ეს ამბავი არავინ გაიგოს. ორი წლის შემდეგ ცოლ-ქმარი გავხდებითო.

– მე გაქცევა დავაპირე, მაგრამ კარებთან დამიჭირა...

შევეგუე ჩემს ბედს, დღეებს ვითვლიდი თუ როდის გაივლიდა ორი წელი. ჩემს მიმართ ძალიან თბილი გახდა, ბავშვებისთვის საჭმელი მოჰქონდა, მე რამდენჯერმე ფრანგული სუნამო მაჩუქა, ფულსაც მაძლევდა, კარგად ჩაიცვიო!

სმას მოუმატა, უცხო ბიჭები უფრო ხშირად იკრიბებოდნენ მასთან. მგონი ნარკომანობდნენ.

ერთ დღეს მითხრა რომ, ქორწინებამდე შენი ორსულობა არ შეიძლება და მის ერთ-ერთ მეგობართან დაწოლა მთხოვა. გავძალიანდი, მაგრამ ლოგინში ძალით ჩამაგდო.

ასე გაგრძელდა შემდგომ დღეებში სხვა ბიჭებთან. მერე ქალაქის ბიჭებმა დამიწყეს შეშინება. ფულს მაძლევდნენ, მანქანიანი ძიები უფრო მეტს მიხდიდნენ. შევეჩვიე ამდაგვარ ცხოვრებას: ბავშვები მაძღრები იყვნენ, ათასში ერთხელ მეც მსიამოვნებდა ვინმესთან ყოფნა.

ჩემისთანა უამრავი გავიცანი ქალაქში, ბევრი ყოფილა, დასადგომ ადგილს მეცილებოდნენ. ისევ იმ მეზობელმა მიშველა, ამ რესტორანს მიმამაგრა.

შემდეგ მე მომიბრუნდა:

– დაკმაყოფილდი? შენც ისეთი ხარ, როგორც სხვები, მაგრამ შვილები გყავს, ოჯახი გაქვს და, ამიტომ თვალთმაქცობ...

– მეც მინდა ოჯახი, საკუთარი ბავშვები, ამიტომ არ ვიკლავ თავს. 2-3 წელიწადში ფულს ვიშოვი და უცხოეთში წავალ. უკვე დიდი ვარ, მალე თოთხმეტის გავხდები!

ჩვენები არ ჩანდნენ. ათი საათი სრულდებოდა. გოგონას ვთხოვე მანქანა არ დაეტოვებინა ჩემს დაბრუნებამდე.

რესტორანში ნაცნობს ოცდაათი ლარი გამოვართვი და მანქანაში დავბრუნდი.

სტუმარ-მასპინძელი გამოიშალა რესტორანიდან. ბავშვს ფული ხელში ჩავუკუჭე და გზისპირამდე გავაცილე.

სიხარულისგან თვალები უციმციმებდა, მე კი მისი შეხედვის მრცხვენოდა. ფიქრის თავი არ მქონდა, ვერაფერი ვუთხარი, გვარი და სახელიც ვერ ვკითხე.

* * *

თბილისამდე ისე ვიარეთ, რომ ხმა არ ამომიღია.

მხოლოდ რიკოთის გვირაბში წარმოვიდგინე, რომ ის პატარა გოგონა მსაჯული იყო და ყველას გვასამართლებდა ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის.

ჩემი ნასვამი მეგობრები მღეროდნენ, ოხუნჯობდნენ. ერთ-ორჯერ მეც შემეხმიანენ, ცუდად ხომ არ ხარო.

არა-მეთქი, თუმცა ძალიან ცუდად ვიყავი.

თბილისი-ზუგდიდი, 30 დეკემბერი, 1999 წ.

სოხუმის საძმოს ბიჭები

სოხუმი ძმობის და სიყვარულის ქალაქი იყო. სოხუმის საძმოში შეურაცხყოფად მიაჩნდათ ვინმეს ეთნიკური ნიშნით ხსენება. ასეთი უხამსობა მიანიშნებდა მის არასოხუმელობას.

საძმო რჩეული სოხუმელი ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფს აერთიანებდა, რომლებიც აგრძელებდნენ წინა თაობების დაუწერელ კოდექსს – შენი ქალაქი შენი ციხე-სიმაგრეა, მისი ყველა მცხოვრები შენი ახლობელი.

საძმოში ხელმძღვანელს არ ირჩევდნენ. ლიდერი თავისი სიტყვის პატრონი და საქმის გამკეთებელი ახალგაზრდა იყო, სამართლიანი, დაჩაგრულთა მფარველი.

საძმოს ნაცნობები, მეგობრები, თანამზრახველები ჰყავდა აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში, აფხაზეთს გარეთ.

საძმო პოლიტიკაში არ ერეოდა, მილიციასთან კონფლიქტში არ შედიოდა. წესრიგის დამცველებიც მათ ენდობოდნენ, პატივს სცემდნენ, როგორც წესი, ლიდერთა თხოვნას ანგარიშს უწევდნენ.

საძმოს ავტორიტეტი და მხარდამჭერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა აფხაზეთის ხელისუფლებაში ეროვნული

ნიშნით ბზარის გაჩენის კვალობაზე. მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობის შიშით საძმოს უერთდებოდნენ ადამიანები რომელთა **ეთნიკური წარმომავლობა იმჟამად საბჭოურ პასპორტში** ჩანაწერს არ სცილდებოდა.

საძმო შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს ქალაქში განვითარებულ მოვლენებს: პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით ჩატარებულ მიტინგებს, დაპირისპირების გამწვავების მცდელობას, ქართველთა შორის განხეთქილებას, რაც ცხადია, ქალაქის მოსახლეობის უმეტესობისთვის მიუღებელი იყო.

1989 წლის 17 ივლისს, საღამოს, „ამრაში“ ქალაქის საძმოს ოცდაათამდე ლიდერი შეიკრიბა. **15-16 ივლისს, აფხაზეთში მომხდარი** სისხლისღვრა დასასრულის დასაწყისად მიიჩნიეს, დაღუპულთა სახსენებელი წარმოთქვეს და მოქმედების გეგმა დასახეს. შეკრების **წინმძღოლს, ქართველ ჯემალს, მოუწია ეხსენებინა საძმოს** წევრთა ეთნიკური დაყოფის დაუშვებლობა, და შემოეტანა საძმოს ლიდერთა არაფორმალური სათათბიროს არჩევის წინადადება.

სათათბიროში ხუთი სოხუმელი შევიდა: აფხაზი სერგი, სომეხი რაფიკი, ბერძენი დიმა, რუსი საშა და ქართველი ჯემალი. გადაწყდა ჩარეულიყვნენ ქალაქის მოსახლეობაში გაჩენილ გაუგებრობათა მოგვარებაში, ტრადიციული ერთობის გადარჩენაში. საჭიროდ მიიჩნიეს საჯარო პოლიტიკისგან თავშეკავება, მაგრამ ღამის შეხვედრების მოწყობა ყველასთან, ვისაც გავლენა ჰქონდა სოხუმში, მიუხედავად მათი პოზიციის, ხელისუფლებაში თანამდებობისა და ეროვნების; გამოიკვეთა ოპერატიული სამოქმედო მიზანი: მტრად ქცეულთა შერიგება ჯვარზე დაფიცებით, ეროვნული ნიშნით დაპირისპირების შეჩერება, კონფორმისტთა და შეკვეთილ პროვოკატორთა მხილება.

როცა საკმაოდ ნასვამი სათათბიროს წევრები იშლებოდნენ, თვალში ვერ უყურებდნენ ერთმანეთს, თითქოსდა თითოეულ მათგანს განსხვავებული ცხვირი, თვალი, თმა, ჩაცმა, ხმა და თავისებური აქცენტი ჰქონდა, რაც ადრე არ შეუმჩნევიათ.

სოხუმის საძმო მუშაობას შეუდგა. ქალაქი დაწყნარდა, რამდენიმე თვეში მინელდა ღია მუქარა ნაციონალური ნიშნით, აგრესიული მიტინგები, თუმცა სათათბიროსთვის საიდუმლო არ იყო რომ, ყოველივე ეს დროებითი იყო, რადგან უხილავ, უსახელო, მაგრამ ძლევამოსილ რეჟისორს სულ სხვა სცენარი ჰქონდა დაწერილი.

ცოფის ვირუსი ფართოდ ვრცელდებოდა აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში.

ქალაქში მომრავლდნენ მანამდე უჩინარი და უცნობი ახალი ლიდერები, ე. წ. სახალხო წინამძღოლები, გააქტიურდნენ ემოციური ქალები, რომლებიც ადვილად ახერხებდნენ უბრალო ადამიანთა გონების პარალიზებას, თუთიყუშის ლექსიკონის დამკვიდრებას. საძმოს ბიჭებმა, შესანიშნავად იცოდნენ ბევრი მათგანის წარსული, მაგრამ მათი საჯარო მხილება მეტად რთული იყო, რადგანაც სტიქიად ქცეული ბრმა და ყრუ მასა მესიას ეძებდა და სასწაულების დაჯერება სურდა. დადიოდა ხმები, რომ სოხუმში, და მთლიანად აფხაზეთში, უამრავი „სპეცი“ საქმიანობდა, რომლებიც უხვად არიგებდნენ ფულსა და დაპირებებს. ვრცელდებოდა ჭორი, თითქოსდა მრავალ კრიმინალს, საიდუმლო დავალებით, ციხის კარებიც გაუღესო თურმე.

საძმოს წევრები დღე და ღამე იმყოფებოდნენ სოხუმის უბნებში, რაიონულ ცენტრებში, ხალხს აფრთხილებდნენ შესაძლო საფრთხის შესახებ.

სათათბიროს წევრებმა გუდაუთაში პირველად იგრძნეს სერიოზული აგრესია მათ მიმართ, განსაკუთრებით „მოხვდათ“ სერგის და ჯემალს, პირველს მოღალატე უძახეს, მეორეს – საზიზღარი ქართველი, სტუმრებს ვახშამიც არ შესთავაზეს, რაც ადრე არასდროს მომხდარა. დარწმუნდნენ, რომ გუდაუთაში „აიდგილარას“ კარგად ემუშავა.

საძმო ცივად მიიღეს **გულირიფშის სომხურ სოფლებშიც. მხ**არდამჭერები დუმდნენ, კრუნკისტებმა კი საკმაოდ გაბედულად შეუტიეს ქართველებს. ხელწერა იგივე იყო, რაც გუდაუთაში, მაგრამ ნაკლებ აგრესიული. საუბარი მაინც შედგა, ასაკოვანმა სომხებმა საქმიანობა მოუწონეს ბიჭებს, თანადგომა აღუთქვეს.

ოჩამჩირეში საძმომ რაიონის მრავალეროვანი მოსახლეობის ერთსულოვნება ნახა. აქ ფიციც დადეს, რომ აფხაზები და ქართველები არ აიღებდნენ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ. გვიან დამთავრდა ჩვეული სიყვარულით აღსავსე სუფრა.

აფხაზეთის პარლამენტის 1991 წლის არჩევნებმა გარკვეული დროით გადადო მოსახლეობასა და ელიტაში უკვე გამოკვეთილი დაპირისპირება. პარადოქსი ის იყო, რომ აფხაზები აშკარად ერთსულოვანი იყვნენ, ვიდრე ქართველები.

საძმომაც გადაწყვიტა დალოდებოდა მოვლენათა განვითარებას, ტაქტიკაც შეცვალა: შეეცადა კონტაქტებზე გასულიყო აფხაზეთის პარლამენტის ახლად არჩეულ წევრებთან, გაეგო მათი მოტივაცია და პოზიცია. ბევრი საინტერესო შეხვედრა შედგა, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ცალკეულმა ქართველმა და აფხაზმა ლიდერებმა მათ უსაქმური ქუჩის ბიჭები უძახეს, რის გამოც

რიგი მათგანი. მალე ქუჩის ბიჭების მიერ ქალაქგარეთ გამართულ ვიწრო შეხვედრაზე აღმოჩნდა და ბოდიშებით დატოვა იქაურობა.

ჯემალს მეგობრებმა მოსკოვიდან შეატყობინეს რომ მალე აფხაზეთში ხიდები აფეთქდებოდა, რკინიგზის ვაგონები გაიძარცვებოდა, გაფიცვების ახალი ტალღა დაიწყებოდა, პოლიტიკურ ელიტაში მწვავე განხეთქილება მოხდებოდა. ამასთან დაკავშირებით საძმომ ნახევრად ოფიციალური დელეგაცია მიავლინა პარლამენტის ქართველ, აფხაზ, **სომეხ, რუს წევრებთან, პოლიტიკური თანა**მდებობის პირებთან.

ამჯერად უფრო ყურადღებით მოუსმინეს.

1992 წლის იანვრიდან ვითარება უკიდურესად დაიძაბა საქართველოში. აფხაზეთში ფეთქდებოდა ხიდები, იძარცვებოდა რკინიგზის ვაგონები, ელექტროსადენები, საწარმოები და დაწესებულებები, ჩვეულებად იქცა ადამიანთა გატაცება, გაიხლიჩა აფხაზეთის პარლამენტი. ავტონომიის რეალური ხელისუფალი უზენაესი საბჭოს აფხაზური პრეზიდიუმი გახდა.

კვლავ აგორდა მიტინგებისა და საპროტესტო გამოსვლების ტალღა, პოლიტიკური ნიშნით დაქუცმაცდა აფხაზეთის ქართველობა, რასაც გარეგნულად მშვიდად შესცქეროდა, მაგრამ ფარულად ახალისებდა აფხაზური ხელმძღვანელობა.

სოხუმელთა ჩვეულ ერთობას წყალი შეუდგა, მტრის მიზანი თითქმის მიღწეული იყო.

კვლავ დაფაცურდნენ საძმოს ბიჭები, დღეღამეში რამდენიმე შეხვედრას აწყობდნენ ქართველებთან, აფხაზებთან, რუსებთან, სომხებთან. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს არავინ არაფერი იცოდა, არავითარი მოქმედების გეგმა არ არსებობდა, ყველა რაღაცის მოლოდინში იყო.

საძმოს ლიდერთა ოჯახებში მუქარის ზარები გაისმა. საძმოს ზოგიერთ წევრსაც დაეტყო გულგატეხილობა, იმატა პასიურობამ. ამ მოვლენას ახსნა ჰქონდა, ზოგიერთ ქართულ და შერეულ ოჯახში ცოლ-ქმარი, შვილები განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, საკუთარი აზრის გამოთქმა საშიში გახდა.

სომხები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, როგორც წესი, გაჩუმდნენ, დროს დაელოდნენ. დრო და მოვლენები კი უფსკრულში მიაქანებდა აფხაზეთს, საყოველთაო ამნეზია სუფევდა ყველგან და ყველაფერში.

შეძრწუნებულმა საძმომ უკვე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა სცადა, ცალ-ცალკე შეხვდა აფხაზ და ქართველ პოლიტიკოსთა ელიტას, **არაფორმალ ლიდერებს, ინტელიგენციის წარმომადგენ**ლებს, შავი სამყაროს ავტორიტეტებს და ჩიხიდან გამოსასვლელად

აფხაზეთის პარლამენტის ახალი არჩევნების ჩატარება შესთავაზა. ეს უკვე არავის სჭირდებოდა.

ივლისის შუა რიცხვებში გუდაუთიდან მომავალი სერგი, ავტომანქანით ხრამში გადაიჩეხა-წინ მიმავალმა მძიმე სამხედრო ავტომანქანამ მოულოდნელად დაამუხრუჭა და სერგის არჩევანი არ დაუტოვა. მის გასვენებაში ათასამდე კაცი შეიკრიბა, უპირატესად ქართველი ახალგაზრდები. სახელდახელო მიტინგზე ქუჩის მეგობრების სახელით სიტყვით ჯემალი გამოვიდა და აფხაზი მეგობრის მკერდზე ხელდადებულმა დაიფიცა, რომ სერგის მეგობრები შურს იძიებდნენ აფხაზეთის მტრებზე.

21 ივლისს, სოფელ არადუსთან, ოჩამჩირედან მომავალ საძმოს ავტომანქანას ცეცხლი გაუხსნეს, მანქანა ხეს შეასკდა. ჯემალი, დიმა და რაფიკი დაზიანდნენ. უცნობმა პირებმა ისინი სოხუმში გადაიყვანეს. ახლობლების და საძმოს მეგობარ ექიმთა რჩევით რაფიკი საოპერაციოდ ერევანში, დიმა კი ათენში გადააფრინეს. ბარძაყდამსხვრეული ჯემალი სოხუმში დარჩა. ჯემალის დაჟინებული მოთხოვნით შეთხელებულ საძმოს სათავეში საშა ჩაუდგა.

14 აგვისტოს ძმათამკვლელი ომი დაიწყო. იმავე დღეს სახელმწიფო საბჭოს პოლიციის და გვარდიის ნაწილები წითელ ხიდს მოადგნენ და იქვე შეჩერდნენ. ვლადისლავ არძინბამ საომარი მდგომარეობა და საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. იგი გუდაუთაში გადავიდა. ომის შეთანხმებისთვის ერთკვირიანი პაუზა საკმარისი არ აღმოჩნდა. ქალაქიდან დაიწყო არაქართველი მოსახლეობის, უპირატესად, აფხაზების გასვლა.

საძმოს ასამდე ნევრი საავადმყოფოს ეზოში შეიკრიბა. ჯემალმა საკაციდან მიმართა მათ და სამი ამოცანა დაუსახა: არ მიეღოთ მონაწილეობა ძმათამკვლელ ომში; მისულიყვნენ ყველა არაქართველის ოჯახში და ეთხოვათ, რომ არ დაეტოვებინათ სოხუმი, საკუთარი ეზო-კარი; ყველაფერი გაეკეთებინათ უბედურებაში ჩავარდნილი მოსახლეობის დასაცავად.

სოხუმში ბევრი აფხაზი, სომეხი, რუსი, ებრაელი, ბერძენი დარჩა. საძმოს ბიჭებმა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად მორიგეობა დააწესეს...

ოქტომბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ საშა გაგრის სტადიონზე დახვრიტეს. საშა გაგრაში ჩასულა დაობლებული ძმისშვილების სოხუმში გამოსაყვანად.

ჯემალი სამუდამოდ დაკოჭლდა. ცხადი იყო, რომ ომის მანქანის შეჩერება საძმოს ძალებს აღემატებოდა.

ჯემალი ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მოხალისედ ჩაეწერა და ქალაქის მოსახლეობისთვის გამოგზავნილი პურის ფქვილის

გადმოტვირთვაზე აგებდა პასუხს. იგი კვლავ რჩებოდა საძმოს იმ წევრების ლიდერად, რომლებიც ქალაქის დამცველ-მოხალისეთა რიგებში ჩადგნენ. დიმა საბერძნეთში დარჩა, რაფიკმა, მარჯვენა ზედა კიდურების ამპუტაციის გამო, სოხუმში დაბრუნებას თავი აარიდა, მეომარ ქალაქში ზედმეტ ტვირთად ჩათვალა თავი.

16 მარტს, ღამის 2 საათზე, ჯემალს აცნობეს მდინარე **გუ**-მისთაზე **რუსეთის სპეცრაზმებისა და ვოლონტერების მიერ ქართ**-ველთა პოზიციებზე დიდი ძალებით შემოტევის შესახებ. მან უმალ მოუყარა თავი ოცამდე საძმოელს და გამთენიისას შეთხელებული ქართველი მებრძოლების რიგებში ჩადგა. იგი სიკვდილს ეძებდა: სანგარში ჩასვლა იუკადრისა, მთელი ტანით წამომართული მჭიდს მჭიდზე ცლიდა.

დილით სოხუმის დამცველები კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

გაწმენდის ოპერაციების დროს ჯემალის დაფლეთილი სხეული მეგობრებმა იმ ქურთუკით ამოიცნეს, რომელიც მას განსაკუთრებით მოსწონდა და საზეიმო შეხვედრებზე იცვამდა.

31 მარტს მას 25 წელი შეუსრულდებოდა. ოჯახი არ შეუქმნია.

ჯემალის დედა, ობლად გაზრდილი ერთადერთი შვილის დარდს გადაჰყვა.

სოხუმელთა საძმოს უმეტესობა დაიღუპა. ზოგმა აფხაზეთში ჰპოვა სამარე, ზოგიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიებს შეემატა. ნაწილის გულმა დევნილის მძიმე ხვედრს ვერ გაუძლო და ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

დაიკარგა სოხუმი და მასთან ერთად ქალაქის **უთანამდებ**-ბო ბიჭები, რომელთა მთავარი მოწოდება მხოლოდ სოხუმელის სახელი იყო.

თბილისი-სენაკი, 27 სექტემბერი, 1998 წ.

ინგა

ჩემი ბინის სამზარეულოს ფანჯრიდან სულ რამდენიმე მეტრის მოშორებით ცხრა სართულიანი მოზაიკური კორპუსებია. ამ კორპუსებში ბინები ნესტიანი, ბნელი და თითქმის უფანჯროა.

აფხაზეთიდან გადმოსულებმა, ვისაც ცოტაოდენი ფული და განძი გამოჰყვა, ამ კორპუსებში შეიძინეს ბინები.

ჩვენ კორპუსთან ახლოს ლურჯი კორპუსი დგას, რომლის ბოლო სართულის ერთი ბინა, როგორც იტყვიან, ჩვენი ბინიდან ხელის გაწვდენაზეა.

ბინის მფლობელები ადრე დილით აღებდნენ დაორთქლილ შუშებიან ფანჯარას, საიდანაც ბავშვის თუ მოზრდილი გოგონას ლამაზი სახე იყურებოდა.

დაახლოებით ერთ საათში ფანჯარას ხურავდნენ და ოთახში ანთებულ ნათურას ტოვებდნენ.

მეზობლებიც აფხაზეთიდან დევნილები აღმოჩნდნენ.

შემთხვევით გავიცანი ოჯახის უფროსი. ვიტალი, პოლიციაში თუ პროკურატურაში მუშაობდა, მეუღლე მასწავლებლად გლდანის რომელიღაც სკოლაში. მაშინ მეტრო ხშირად ჩერდებოდა და ვიტალი ნაცნობ პოლიციელებს მიჰყავდათ სამსახურში, მე მეტროს ამუშავებას უნდა დავლოდებოდი. იმ დღესაც ასე მოხდა და ჩვენი საუბარი შეწყდა.

დილით ფანჯრებიდან ვესალმებოდით ერთმანეთს, მისი მეუღლე და გოგონაც თავს დამიკრავდნენ. ასე გრძელდებოდა თითქმის ხუთი წელიწადი.

ვიტალი, როგორც წესი, კვირადღესაც მუშაობდა, შაბათობით დედაც ადრე გადიოდა სახლიდან, თუმცა რამდენჯერმე ბრუნდებოდა უკან.

ერთ საღამოს ჩემსავე სადარბაზოში სამი კაცი დამესხა თავს, წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ აგურის ჩარტყმისგან ტვინის შერყევა მივიღე და ათდღიანი წოლითი რეჟიმი დამინიშნეს. ეს იმ წლების ცივ და წვიმიან თბილისურ ზამთარში მოხდა, როცა გაზი და შუქი არ იყო და ჩემი ფანჯრის შუშები ისევე ინისლებოდა, როგორც იმათი.

სახლში მარტო ვიყავი. თერთმეტ საათზე დენი მოვიდა. სამზარეულოში გავედი.

მეზობლის ფანჯარას შევხედე. ქალიშვილის სილუეტი დავლანდე, რომელსაც მარჯვენა ხელით შუშაზე დიდი ასოები გამოჰყავდა.

– მე ინგა მქვია, თქვენ?

პასუხი გავეცი შუშის წერილით.

– ვიცნობდეთ ერთმანეთს, მოვიწყინე, დედიკო არ ჩანს რატომღაც.

– მალე მოვა, შევეცადე დამშვიდებას.

– ვიცი, ყველაზე ჭკვიანია და კეთილი, ჩემი მეგობარიცაა, თორემ ამდენ ხანს თავს მოვიკლავდი.

ორივე ბინაში ისეთი სინესტე მეფობდა, რომ ნაწერები ჩქარა იშლებოდა.

მას კიდევ უნდოდა საუბარი, მაგრამ ვანიშნე, უნდა წავსულიყავი.

– ნახვამდის! კვლავ გამოჩნდა შუშაზე ნაწერი.

ასე გრძელდებოდა თითქმის ათი დღე.

უკვე ვიცოდი, რომ ინგა 21 წლის გამხდარა. კოდორის ხეობის გავლით გამოსულან სოხუმიდან, ყინვასა და სუსხში გოგონას თირკმლები გასცივებია და მკურნალობდა. ავადმყოფობის გამო სკოლაში არ დადიოდა, დედა ასწავლიდა გაკვეთილებს. უნივერსიტეტში აპირებდა მისაღები გამოცდების ჩაბარებას. ბევრი რამ აინტერესებდა და ყოველნაირ წიგნს კითხულობდა, მაგრამ წიგნებს ვერ შოულობდა. ინგა მარტო რჩებოდა ბინაში, ამიტომ ხშირად მოწყენილი იყო. სჯეროდა, რომ მაცხოვარი განკურნავდა, თანატოლებივით ირბენდა და აფხაზეთში დაბრუნდებოდა.

წიგნები მთხოვა, ქართულ და სამხრეთ ამერიკულ პოეზიას ეტრფოდა. დავპირდი, რომ ვუშოვიდი.

მათ ტელეფონი არ ჰქონდათ. სიტყვა მივეცი, რომ ჩემი შვილები ივლიდნენ მასთან.

შევნიშნე, რომ ინგას არც სითამამე აკლდა და არც უცნაურობა. ზოგიერთი მისი ნაწერი რაღაც მინიშნებებსაც შეიცავდა, რასაც ქალიშვილის ტრადიციული კეკლუცობით ვხსნიდი.

სამსახურში დავიწყე სიარული, ხშირად კვირადღესაც არ ვიყავი სახლში. ასე რომ, გადამავიწყდა ინგას არსებობა.

ინგას შუშის **ეპისტოლარული გაცნობიდან, რამდენიმე წელი-**წადში, გამთენიისას ქალის წივილმა შეძრა გლდანის ერთი უბანი.

ინგას მამა გარდაცვლიყო უეცრად. ის სამსახურეობრივ რეორგანიზაციაში მოყოლილა და ვერ აეტანა უსაქმოდ ყოფნა, ხელფასის დაკარგვა, რომელსაც ავადმყოფი ქალიშვილის მკურნალობას ახმარდა.

გასვენებაზე უამრავი ხალხი იყო, უფრო მეტად დევნილები. კუბოში ახალგაზრდა კაცი ესვენა, რომელსაც სხეულზე დამხობოდა მშვენიერი გოგონა დაკაწრული და დასისხლიანებული ლოყებით.

ეს ინგა იყო.

ოთხმა მამაკაცმა ინგა ძლივს მოაშორა მამის სამარეს.

ერთ კვირადღეს აფთიაქის წინ, ასე 40-45 წლის, ძაძებიანმა ქალბატონმა ბოდიში მომიხადა და წუთიერი ყურადღება მთხოვა. გამიკვირდა, მაგრამ მალევე მივხვდი ვინც იყო.

– ჩვენს უბანში ყველა ერთმანეთს იცნობს. თქვენსა და თქვენს ოჯახზე მე ყველაფერი ვიცი. ჩემ გოგონაზე, ინგაზეც გეცოდინებათ ალბათ, მამამისის დაღუპვის შემდეგ ძალზე გაუარესდა მისი ჯანმრთელობა. ადრე კვირაში ერთხელ უცვლიდნენ სისხლს, ახლა ორჯერ არის საჭირო. ეს საშინელებაა, ვერ წარმოიდგენ. პროცე-

დურის შემდეგ მანქანით მომყავს სახლში, გამაყუჩებელს უკეთებენ და მთელი დღე სძინავს. მეორე დღეს ფეხზე ვერ დგება და ეტლით დამყავს ოთახში. მეც დაკავებული ვარ, ორიოდე კაპიკი უნდა ვიშოვო. რატომ არ ჩავიხოცეთ აფხაზეთში. სიკვდილი მინდა, მაგრამ ინგას რა ვუყო. ის ერთი დღე, როცა სისხლი სუფთაა, მას სიცოცხლე სწყურია. ნეტავ იცოდე რა კარგი გოგონაა. დედა ვარ და გული მიკვდება, ბავშვიან თანატოლებს ნახავს და თვითმკვლელობის განწყობა ეუფლება. სიცოცხლე თავისას ითხოვს. ღამის სატელევიზიო ფილმებმა, მგონი სულ გადარია. შენი ბავშვები გამოუშვი, გაართონ იქნებ. მას ბოლო დროს არავის ნახვა არ უნდა, მაგრამ თქვენს შვილებს აუცილებლად მიიღებს. თქვენ როგორ გკადროთ ამოსვლა, მაგრამ ყველაზე უფრო თქვენი ნახვა გაუხარდება. როცა ხასიათზეა, სულ შენზე მეკითხება „ჩემი შუშის რაინდიაო.“ ილუზიების სამყაროში ცხოვრობს, დაკარგული აქვს რეალობის შეგრძნება...

ატირდა.

შევეცადე დამემშვიდებინა. დავპირდი, ბავშვები ივლიან მასთან და მეც ვნახავ-მეთქი. თანაც ვიცრუე, თითქოს ინტერნეტში წავაწყდი, ასეთი ავადმყოფობის წამალი შეუქმნიათ ამერიკაში და მალე ჩვენთანაც იქნება-მეთქი. თვითონაც კარგად იცოდა, რომ ეს ტყული იყო, მაგრამ დამაჯერებლად მითხრა, ინტერნეტი აქვს, რუსეთიდან ბიძის გამოგზავნილი და მოძებნისო.

ბოდიში მომიხადა და მთხოვა მათი ეზოდან გადავსულიყავი ჩვენს ეზოში და ზემოთ ამეხედა მათი ბინისკენ. ჩქარი ნაბიჯებით გამშორდა.

მეტად შევწუხდი. ვიცოდი, რომ ეს გოგონა განწირული იყო და მაინც არ მინდოდა ამის დაჯერება.

მათი კორპუსის წინ შევჩერდი და ზევით ავიხედე: ფანჯრიდან ლამის ნახევრად გადმოსული გოგონა თაიგულის ქნევით მესალმებოდა, შემდეგ ერთი ღერი წითელი მიხაკი ამოაძრო და მესროლა. ვერ დავიჭირე.

რაღაცნაირად გააქნია თავი და მიიმალა.

ორ-სამ დღეში ჩემს ქალიშვილებს ვთხოვე ინგასთან მისულიყვნენ, თან გავატანე ბიბლიის ახალი გამოცემა, მათეს, მარკოზის, იოანეს სახარებები და აკაკი გელოვანის „მარად უკვდავი ხელოვნება.“

ძალიან გახარებია მათი მისვლა. მომიყვნენ: ეტლიდან ადგა და თავის ოთახში გაგვიყვანაო; ოთახის კედლები ხატებით აქვსო დაფარული, სანთლებითაა გაჩახჩახებული მისი საძინებელიო. ძალზე ჭკვიანი და ნაკითხი გოგონაა, ლამის გაგვიჭირდაო მასთან

საუბარი; ცოდვაა, ნერვები აქვს მოშლილი, ხან ჩვენთან იყო და ხანაც ცაში დაფრინავდაო.

დედამისს სუფრა გაუწყვია, კოკა-კოლათი უთამადია ინგას. საყვედური შემომითვალა, არ იკადრეო ამოსვლა.

კარებამდე გამოუცილებია, ბიბლია უკან დაუბრუნებია. ათი მცნება შესანიშნავია, მაგრამ ვინ ასრულებს მათ? რატომაა ებრაელი ხალხი ღმერთის რჩეული? განა ჭეშმარიტი უფალი ასე ახარისხებს ხალხებს? ნიშნავს კი რამეს „არა კაც ჰკლა“ და „არ იმრუშო,“ როცა ჰოლივუდში ყველა მრუშობს და ამით ტკბებიან, ხოლო ტერორისტები და მკვლელები საკმარისზე მეტი ჰყავთო. ბევრი ჭკვიანური აზრია ბიბლიაში, მაგრამ ვინ ასრულებსო. იეღ-ოველი ქალები მოდიან ჩემთან თითქმის ყოველ კვირას, მოაქვთ წიგნები და საჩუქრები, მაგრამ მე მათი არ მჯერა, მიუხედავად იმისა, რომ განწირული ვარ და სიკვდილს ყოველდღე ველოდები. მათთვის არ მითქვამს, არ ვაწყენინე მორწმუნე გოგონები, თორემ მე გადასხმაზე რომ არ დავდიოდე, უკვე დიდი ხნის დასაფლა-ვებული ვიქნებოდი. მამა მიყვარდა ძალიან და როცა ის მოკვდა პირში მივახალე იეღოვას მოწმეებს ყველაფერი. ამის შემდეგ არც მოსულან ჩემთან. დავრჩი ლამის მარტოდმარტო. აი, სხვა საქმეა იესო მაცხოვარი. მიცვალებულთა მკვდრეთით ადგომის არ მჯერა, მაგრა მას, როგორც უჭკვიანეს და ულამაზეს ახალგაზრდა კაცს, შეეძლო ემკურნალა ჩემისთანა საცოდავისთვის. წუთისოფელ-ში, ალბათ ახლაც არიან ასეთი ადამიანები, მათში სულიწმინდაა გადასული, მაგრამ ისინი ცოტანი არიან, ყველას ვერ გასწვდე-ბიან. ამიტომ ვიტოვებო სახარებას. მამათქვენს გადაეცით, რომ დაორთქლილ შუშაში ის რატომღაც მივამსგავსე ყოვლისშემძლეს და დღემდე ასე მგონიაო.

გოგონები თვალცრემლიანები დაბრუნდნენ. მისაყვედურეს ინ-გასთან მიუსვლელობა და მთხოვეს, აუცილებლად მენახა.

არ მინდოდა ინგასთან მისვლა, რადგან კარგად ვიცი მისი დაავადების ბოლო; ერთი თვე დავდიოდი სამანიპულაციო ოთახში ჩემს მეგობართან, ის გადარჩა, რადგან სისხლი ტყვიისგან ჰქონდა გაჭუჭყიანებული და ჯანსაღმა თირკმლებმა იხსნეს. იმ დღეებში გავიცანი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ქუთაისიდან, რომელთაც სისხ-ლს კვირაში ორჯერ უცვლიდნენ. ცოლ-ქმარი ერთ დღეს არ მოვ-იდნენ სისხლის გადასხმაზე და როცა ექიმმა მათ ბინაში დარეკა, უთხრეს, ორივე დაიღუპაო ერთი საათის განსხვავებით.

ამიტომაც ვითრევდი ფეხს, თუმცა ჩემი გოგონების ხვეწნა-მუდარა აუტანელი ხდებოდა.

რამდენიმე კვირა გავიდა ისე, რომ იმ ბინისკენ არც გამიხედავს.

ერთ საღამოს, გვიან, სახლში ოდნავ შექეიფიანებული ვბრუნდებოდი. ეზო გადავკვეთე და მათ ბინაში ავედი. კარი დედამისმა გააღო. გახარებულმა ხელები დამიკოცნა და შინ შემიყვანა. სამზარეულოში მაგიდასთან დამსვა და ჩურჩულით მითხრა, რამდენი წელიწადია გელოდებაო. შემდეგ ინგას საძინებელში გავარდა.

მალე საძინებელში შემყვა, აი, ჩემი ანგელოზიო.

ულამაზესი გოგონა იწვა თეთრი ზეწრის ქვეშ. ქალის არაჩვეულებრივად სრულყოფილი სილუეტი იკვეთებოდა თხელი ქსოვილიდან.

წამოიწია, ხელი გამომიწოდა, მერე დიდხანს მიყურა თავისი უძირო ლურჯი თვალებით.

თავი დავხარე და წამით აფხაზეთში დავბრუნდი: რამდენ ასეთ მშვენიერებას გაუმწარა სიცოცხლე, გაუმრუდა მომავალი, გაწირა სასიკვდილოდ წყეულმა ომმა.

ხელებით შემეხო მუხლებზე. ბურანიდან გამოვედი. ცოტა ხანს ვიყუჩე, მერე მისი ცხელი ხელები ავიღე მუხლიდან და საწოლზე ფრთხილად დავდე.

ბრაზნარევი ღიმილით შემომხედა.

შევეცადე საუბარი წამომეწყო. დამასწრო:

– რამდენ ხანს ვიცოცხლებ?

– ძალზე დიდხანს, უარეს შემთხვევაში ჩემ შემდეგ კიდევ ორი ათეული წელიწადი.

მშვიდად მიყურებდა და მისმენდა.

– შენ ახალგაზრდა ხარ, ძლიერი და ჯანსაღი სხეული გაქვს და რაც მთავარია, გწამს მაცხოვარი, ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ იცოცხლებ და იცოცხლებ, შენზე უარეს დღეში მყოფები გამოსულან ამ მდგომარეობიდან.

– ჩემი მოტყუება ძნელია, არ შეეცადო, ნახე რამდენი წიგნია იმ თაროზე, მე განწირული ვარ თუ არა ერთი რამ, - გადარჩენის რწმენის დაბრუნება.

– ეკლესიური ხარ, მამაო გყავს? ვკითხე მშვიდად.

– მყავს, ამოდიოდა, ახალგაზრდა კაცია, ლამაზი, მაგრამ ვერაფერი სანუგეშო, უარი ვუთხარი მოსვლაზე. აი, სიკვდილისწინა ზიარებაზე დედა დაურეკავს და მოვა.

– ასე რამ შეგაშინა პატარა ანგელოზო?

– გავგიჟდები, საიდან იცი შენ, რომ მამაჩემიც ასე მომმართავდა?

– არა, მე არ ვიცი, არავის არაფერი უთქვამს.

– მე მამა მიყვარდა უსაზღვროდ, დედაც, მაგრა დედა უფრო მეცოდება, ვიდრე მიყვარს. მეჩხუბება ხშირად, ექიმთან ძალით დავყავარ, მე კი მოფერება მინდა, სიკვდილისწინა მოფერება და მჯერა, რომ ამით მეტხანს ვიცოცხლებ.

მივხვდი, რომ ძალზე ცუდად იყო გოგონას საქმე, მისი სული ცაში დაფრინავდა, ხორცი კი მიწას არ ელეოდა...

სამზარეულოდან დანა-ჩანგლის ჩხაკუნი გამოდიოდა.

თითქმის ბრძანებით მითხრა:

– მე ჩემს მხსნელად გაღიარებ, შენ კი გეშინია ჩემი. მეც ადამიანი ვარ და მწამს, რომ შენგან მოფერება, რომლის თაოსანი მე ვიქნები, რამდენიმე დღეს მაჩუქებს კიდევ.

მისი მარჯვენა ხელი ავიღე და მკერდზე მივიდე.

მან მარცხენა ხელი კისერზე მომხვია, წამოდგა, თავი მომადო და გაიტრუნა. ასე ვიყავით რამდენიმე წუთი. ინგა კანკალებდა, აჩქარებით სუნთქავდა, მეხუტებოდა.

ნაზად დავუბრუნე ხელები. წამოვდექი.

ამისთვისაც მადლობა, თუმცა მეტი მინდოდა. რატომ გეშინია ჩემი? დედას უკვე ვუთხარი შენზე...

შევცბი, ადგილს ვერ ვპოულობდი.

– არ გეწყინოს. კიდევ მოდი, გელოდები. მე მინდა ბედნიერი ვიყო, თუნდაც, ერთი დღე, ერთი საათი...

– შენ სავსებით ნორჩი ხარ, მე შენზე ორჯერ უფროსი. შენ ოჯახს შექმნი, შვილებს გააჩენ, ქალური ბედნიერება წინ გაქვს.

– გაჩერდი, მე მხოლოდ შენ გადამარჩენ, ეს აზრი მე არ მეკუთვნის, ეს სიზმარში გამოცხადებულმა ნათლით მოსილმა ადამიანმა მითხრა.

– იქნებ სატანა იყო?

– არა, სატანისგან მე სიკვდილი მაქვს მისჯილი, თუმცა არ ვიცი რა დავაშავე.

ოცდაერთი წლის ვიყავი, როცა შენს მიმართ გრძნობა გამიჩნდა. მე მას „ფანჯრის შუშის რომანი დავარქვი“. ღვთისმშობელს შევთხოვ გაპატიოს თუ გაბედავ და მომეხვევი. განა ბევრს გთხოვ მე? მხოლოდ, რამდენიმე წუთი, რომელიც მე ძალას, იმედს დამიბრუნებს, ქალად მაგრძნობინებს თავს!

ამ საუბარში, თითქოს შემთხვევით, მან ზეწარი გადასწია და უცოდველი მკერდი მოიშიშვლა.

მივხვდი, რომ ჩემი წასვლის დრო დამდგარიყო.

წამოვდექი, თავზე მოვხვიე ორივე ხელი და შუბლზე ვაკოცე, ამასთან სიშიშვლეც დავუფარე.

– შუბლზე მკვდარს კოცნიან, მაგრამ ამისთვისაც მადლობა. ჩემი სიზმარი ახდება უთუოდ. ვხვდები რატომ უყვართ ქალსა და კაცს ერთმანეთი. მე ახლა არაფერი მტკივა. შენთან მოვდივარ, გვერდით უნდა მოგისვა, როგორც კინოშია...

დედამისს სუფრა გაეწყო. ინგამ მთხოვა მის გვერდით დავმჯდარიყავი. ცდილობდა თეძოებით და ბარძაყით შემხებოდა.

ჭიქას მოჰკიდა ხელი, შამპანური დავუსხი. მამის ხსოვნა თქვა, თბილი, ამაღელვებელი. მე არაყი დავისხი, დათრობა მომინდა და ბოლომდე შევსვი. დედამისმა მეუღლის სითბო გაიხსენა და დაამატა: თქვენ კარგად იყავით ასი წელიწადი, როგორ ჰგავხართ მას. ეტყობა, გოგონები მამის მსგავს მამაკაცებს უფრო წყალობენო.

ინგამ სიცოცხლის სადღეგრძელო ასწია, უფალი ახსენა. ის აქ არის, ყოველ ჩვენგანშია, მაგრამ ჩვენს საქმეებში არ ერევა, არჩევანის თავისუფლებას გვაძლევს, რადგანაც ადამიანებად გაგვაჩინაო. მეც დავუდასტურე და შევსვი. მცირე ხნის მერე დავამატე, რომ ყველა ჩვენთაგანს აქვს არჩევანის თავისუფლება, მაგრამ ვართ დაუწერელი კანონებით, რომელთაც ხან რელიგია გვკარნახობს, ხანაც ჩვენებური წესები-მეთქი.

– რაა, წესია წესი, რომელმაც სიკვდილი არ იცის? გაბრაზდა ინგა.

– ჰო. წესია, იქაური, აქაური, ჩვენებური, დაბნეულად ვუპასუხე მე.

– კარგით რა, ეს ყოველივე ნიღაბია და უგულობის თავშესაფარი. არის ისეთი რამეც, რომელიც მოითხოვს რაღაცები განზე გადავდოთ, რათა უფრო მნიშვნელოვანი გადავარჩინოთ.

მივხვდი რაზეც იყო საუბარი.

ინგამ ხელახლა შეავსო სასმისი.

ახლა მშობლების სადღეგრძელო წარმოთქვა, დედები განსაკუთრებით თბილი სიტყვებით შეამკო, თუმცა ქვეტექსტში ჩემი სადღეგრძელო უფრო გამოუვიდა.

მე ინგას ჯანმრთელობა, სულის გაუტეხლობა ვუსურვე.

სიტყვა მომცა, რომ ექიმთან წავიდოდა, სანაცვლოდ მე მთხოვა მათთან მისვლა.

დავპირდი.

დედამისი ატირდა, ეტყობოდა, ღვინომაც იმოქმედა და სააბაზანოში გავიდა.

ინგამ ხელი დამიჭირა, თვალებში მომაშტერდა მე ფიზიკურად ცუდი გოგო არა ვარ, მინდა მომეფერო, ისე, როგორც კინოშია, რატომღაც შენი არ მრცხვენია, რა ბედნიერი ვარ, დამპირდი, რომ არ მიმატოვებო!

დედამისი დაბრუნდა და მეც ავდექი. ინგამ წიგნები დამიბრუნა, გამიღიმა.

მალე ზუგდიდში მიმავლინეს ათი დღით, ერთ თვეზეც ვიყავი თანახმა, ოღონდ ცოტა ხანი მაინც მოვშორებოდი აქაურობას.

მივლინება გამიგრძელდა და როცა დავბრუნდი, ინგას კორპუსის წინ უამრავი ხალხი შევნიშნე.

ინგა ძილში გაპარულიყო.

თავჩაღუნული გავიარე კუბოსთან. ინგასკენ არ გამიხედავს, არც დედამისისკენ. მალე დავტოვე იქაურობა.

ინგას გარდაცვალებიდან, ორ თუ სამ კვირაში, საღამოს, ინგას დედამ გამაჩერა და პირში მომახალა – შენ მკვლელი ხარ, ინგას სიკვდილი დააჩქარე. შენ საცოდავ გოგონას ლაჩრულად გაექეცი. წყეულიმც იყავ, დამიწყევლიხარ ქალის წყევლითო.

უსიტყვოდ გავშორდი.

ინგას ექიმს ვესაუბრე, ზოგიერთი რამეზე მივანიშნე კიდეც. მან დამამშვიდა.

ავადმყოფი, რომელიც განწირულია, და ასეთი იყო ინგა, ფსიქიკა ეცვლება, ხსნას ამოჩემებულ ადამიანში ეძებს, თუმცა დაკმაყოფილებული მოთხოვნილებით და რწმენით შესაძლოა გაუხანგრძლივდეს არსებობა. მედიცინამ ასეთი მაგალითები იცისო.

ამაში სანუგეშო არაფერი იყო, უფრო გამიძლიერა დამნაშავის გრძნობა.

და მაინც მგონია, რომ არ ვარ დამნაშავე.

ალბათ, არსებობს ბედისწერა, რომლის შეცვლა შეუძლებელია, თუმცა, ამ შემთხვევაში აფხაზეთის ომია ყველაზე დიდი და უპატიებელი დამნაშავე.

ასეა თუ ისე, სანამ ცოცხალი ვარ ინგა ჩემს მეხსიერებაში დარჩება.

ასანთი და მიკროსოფტი

ბაზარი გაძვირდა. ხალხი ამბობს, ყველაფერს ცეცხლი უკიდიაო.

ეს ასეა, მაგრამ მთლად სწორი არ არის. მაგალითად, ასანთი არ გაძვირებულა, მაგრამ რად გინდა, ვერ აანთებ, გაკრავ, გაკრავ, აშიშინდება, ბოლს გამოუშვებს და, მეტი არაფერი.

ერთი სიტყვით, ასანთი ჰქვია, მაგრამ ასანთი არ არის.

ძველ დროში ასანთი მაინც არ იყო პრობლემა. დასაწვავიც ბევრი იყო და დაწვეს კიდეც, მაგრამ ასანთი სხვა რამისთვისაც

არის საჭირო. ვთქვათ, ჭრაქის, კელაპტრის ანთება, ღუმელის გაჩაღება.

ვიფიქრე, ვიღაცამ ნესტიანი ასანთი შემოიტანა ქვეყანაში და მე შემხვდა-მეთქი.

ქალაქში შუქი გრაფიკითაა, ამიტომ ასანთი სანთლის და ირანული გაზქურის ასანთებად აუცილებელია. ავდექი და „დეზერტირების“ ბაზარში წავედი. ქუჩის ჯიხურში ოცამდე კოლოფი ავიღე. ეჭვიანი კაცი ვარ და ექსპერიმენტიც მიყვარს, კიდევ ხუთი კოლოფი ავიღე გზადაგზა.

ორ საათზე შუქი ჩაქრა. სანთელი მოვნახე, შანდალში ჩავდე, წვერო მოვუშიშვლე.

ერთი. ჩხპ, არა.

ორი. ჩხპ, არა.

სამი. ჩხპ, არა.

შემდეგ და შემდეგ, არა.

კოლოფი დაიფხრიწა.

გავბრაზდი და გადავაგდე.

ბიჭი შემოვიდა. რატომ იკლავო თავს და სანთებელა შემომთავაზა.

მე მაინც არ ვეშვები ექსპერიმენტს.

დავისვენე და განვაგრძე.

21-ე კოლოფმა გამიმართლა. თუმცა სანამ სანთლამდე მივიტანდი, ჩაქრა.

მაინც ავანთე.

ყველა იცინოდა ჩემი ახირებაზე.

მე კი სულაც არ ვიყავი სიცილის ხასიათზე.

ფილოსოფიური აზრები დამესივნენ...

რა შეურაცხყოფილი ვარ, ნუთუ ასანთსაც ვერ ვამზადებთ საქართველოში?

ვინ იცავს ჩემს, როგორც მომხმარებლის უფლებას?

ვინ ფიქრობს ჩემზე ჩემსავე ქვეყანაში?

შემდეგ საკუთარ თავზე გავბრაზდი: გვაქვს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი, სათანადო სამსახური, რატომ არ მივმართავ?

არა, იქ ვერ წავალ, ჩამშვებს დამიძახებენ, დამცინებენ. ან რამდენი დამიჯდება იქ მისვლა, უკან დაბრუნება?

არ აჯობებს ამ ფულით რამდენიმე სანთებელა ვიყიდო?

ნეტა რატომ ღირს ასე იაფი უცხოური ასანთია?

ვიცი, გეტყვიან, ეს რთული საკითხიაო, მაგის აქ გაკეთებას შემოტანა სჯობიაო.

სწორია, ალბათ, მაგრამ ასე შეიძლება ყველაფერი შემოვიტანოთ და უცხოელებს დავეხმაროთ საქონლის გასაღებაში. ახლა კარტოფილი და პამიდორიც შემოგვაქვს თურქეთიდან, ჩაი სომხეთიდან. ჩვენმა მუშამ, გლეხმა არ იმუშაოს, ოჯახი არ არჩინოს?

ეს სხვა საკითხია, ჩვენ მსოფლიო ბაზარს მივუერთდითო მზად აქვს პასუხი.

ვითომ?

ასანთი არ მასვენებს მაინც. რა სახელმწიფო, რა ხალხი ვართ თუ ასანთის გაკეთებას ვერ მოვაბით თავი?

ეკონომიკაში არ ვერკვევი, მაგრამ რატომღაც ადრე ასე გახმაურებული ანტიმონოპოლიური სამსახური გამახსენდა.

ნეტავ შეუცვალეს სახელი თუ გააუქმეს?

გუშინ ეკონომისტების მრგვალი მაგიდა გამართა ტელევიზიის რომელიღაც არხმა. იდავეს, იკამათეს და შეთანხმდნენ: იმდენად თავისუფალია ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა, რომ ევროპის განვითარებული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, საქართველოში მისი აუცილებლობა არ არისო.

გამიკვირდა. საოცარი ხალხი ვართ, ყველაფერში პირველობას ვახერხებთ! ქოთანსაც ისე მივაბამთ ყურს, როგორც გაგვიხარდება.

მაგრამ მაინც რატომ არის ასანთი ასე უხარისხო?

მონოპოლიზმი **საბაზრო ეკონომიკის კიბოა, რომლის მეტასტაზები** მილიონი მილიარდი, ძაფით აერთიანებს მეწარმეებს ტრესტებად, სინდიკატებად, კორპორაციებად და თავის აბლაბუდაში ახვევს მსოფლიო ეკონომიკას, ხოლო მონოპოლისტები ოლიგარქები ხდებიან, ხელისუფლებაში მოდიან, პოლიტიკას ქმნიან და მსოფლიოს განაგებენ.

ეს ფრაზები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მამებად წოდებული **მეცნიერ-ეკონომისტების ნააზრევია. ამას წინათ კომ-**პიუტერული პროგრამების მსოფლიოში პირველი მწარმოებელი კომპანია დააქუცმაცეს.

ეს იქ, ამერიკაში, ამერიკამდე კი უნდა გავიზარდოთ. ასანთის პრობლემა იქ ნამდვილად არა აქვთ!

იქნებ ასეა ალბათ, რატომ უნდა შევიტანო ეჭვი იმაში, რასაც გვეუბნებიან დღეში რამდენჯერმე? ან რატომ უნდა დავუჯერო , ავყვე მეზობელს, ორმელიც მარწმუნებს, რომ თავის დროზე აფხაზი გლეხი თავის მანდარინს, ხოლო ოსი ვაშლს გაეკიდაო რუსეთის ბაზარში და დღემდე იქითკენ უჭირავსო თვალი! ვიზრდებით და მე ვერ ვამჩნევ?

ფიქრი არ გვაწყენდა, მით უფრო, რომ ფიქრზე ზედამხედველობა და გადასახადი ჩვენში ჯერ არ დაწესებულა.

არ არის ცუდი, როცა რამეზე ფიქრობ, მაგრამ ახლა ამისი თავი ნამდვილად არა მაქვს, იმის გამო, რომ ქარმა ფანჯარა გააღო და სანთელი ჩააქრო.

სახლში მეტი ასანთი არ გვაქვს.

ეე, ვინ მეკითხება რამეს მე ან სხვას, ვთქვი და ბნელი ოთახის ცივ საწოლში ამოვყავი ქუდიანი თავი.

თბილისი, იანვარი, 2004 წ.

ხითარის მყინვარი

მეორე დღე იწურებოდა, რაც ყანცავი ამაოდ დაეხეტებოდა ხითარის ჭიუხებში. არ უნდოდა ხელცარიელი დაბრუნებულიყო სოფელში, დასაცინი გახდებოდა. არადა თქვა, მამალი ჯიხვის თავი უნდა მივართვაო ნათლიას დაბადების დღეზე.

ციოდა მთაში, მუხლებში დაღლილობა შეეპარა, შიოდა კიდეც.

მამალი კი არა, დედალი ჯიხვების ჩქამიც არ ისმოდა. არც ნაჯიხვრის სურნელი მოჰქონდა ხეობებიდან ხანდახან წივილით მოვარდნილ ქარს.

დაბნელდა. მხოლოდ ხითარის მყინვარწვერი ელვარებდა ჰორიზონტს მიღმა ჩავარდნილი მზის სხივებით შეფერილი.

ღამემ გაახილა ერთადერთი თვალი და მთვარის ვერცხლი დაეფინა იქაურობას. ყავისფერი გახდა ხითარის მყინვარის პირამიდის ნახევარი.

ბინა უნდა ეპოვა, მონადირეთა თავშესაფარი.

იპოვა კიდეც, თივაზე მიეგდო და მკვდარივით ჩაეძინა.

* * *

ტანში შეჭრილმა უჩვეულო სიცივემ გამოაღვიძა ყანცავი. ფეხზე წამოიჭრა. ამ ადგილებისთვის მეტად ადრე მოსული თოვლი და ნისლი მბრძანებლობდა ირგვლივ.

აი, რატომაც გაუჩინარებულან ჯიხვები, ისინი უცილობლად გრძნობენ ავდარს და თბილ ადგილებში პოულობენ ბინას, გაიფიქრა ყანცავმა.

სახლში დაბრუნება გადაწყვიტა და თავშესაფრის მოწესრიგებას შეუდგა. ცოტაოდენი პური და წყალი შემატა მონადირეთა საცავს.

თავდაღმა დაქანებულმა ყანცავმა კლდის თავზე უზარმაზარი ჩრდილი დალანდა.

ეს მამალი ჯიხვი იყო. გული აუჩქარდა, ღირდა სამდღიანი ხეტიალი ამ ულამაზესი არსების ხელში ჩასაგდებად.

ფრთხილად **გაეშურა წინ, სათოფეზე უნდა მიახლოებოდა ჯიხ**ვს.

შეკრთა ჯიხვი, თითქოს იგრძნოო ხიფათის მოახლოვება. მიმოიხედა ირგვლივ და მეორე, უფრო მაღალ კლდეზე შეხტა ანაზდად. ყანცავიც დაედევნა უკან.

დიდი მოთამაშე აღმოჩნდა მამალი, ნადირის აზარტით გაიტყუა მასავით ჯიუტი ყანცავი.

პირიქითა კავკასიონის უღელტეხილიც ჩამთავრდა.

ოფლში ცურავდა ყანცავი, სათოფეზე არ იკარებდა მამალი.

ცას ახედა **ყანცავმა, მზე მის თავზე ეკიდა. უკვე ყაბარდოს მი**წაზე მისდევდა მონადირე მამაც მამალ ჯიხვს.

ჯიხვი ლაღად მიხტუნავდა დაღმავალ მთათა ციცაბოებზე.

უცებ შეჩერდა, უკან მოიხედა ჯიხვმა და სანამ თავს გამართავდა, თოფმა იქუხა მდინარის გაღმიდან.

ჯიხვი ლოდივით გადაეშვა მდინარის ხეობაში.

შეცბა ყანცავი, უნებურად ჩააბარა მამალი ჯიხვი ყაბარდოელ მონადირეს.

ბრაზმორეულმა ჰაერში გაისროლა ხირიმი.

ექომაც ბრაზიანად დაუარა კლდეებს და ვიწროებს.

წამიც და თოფი შეეხმიანა ქვემოდან ყანცავს.

მდინარისკენ დაეშვა.

ქვემოდან მხიარულად შეეხმიანა ახალგაზრდა მონადირე, უთოფოდ შეეგება სტუმარს.

– ჰიბრაგიმ, ღიმილით ესროლა ყაბარდოელმა.

– ყანცავ, მიაგება სტუმარმა.

უდარდელ, მხიარულ, მაგრამ საზრიან ახალგაზრდად მოეჩვენა ქერათმიანი და ცისფერთვალება მასპინძელი ყანცავს.

მასპინძელსაც მოეწონა სტუმარი.

ნაცნობებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

– ამაღამ ჩემთან დარჩები, აქ ახლოს ვცხოვრობ, მაინც ვერ მოასწრებ უღელტეხილზე გადასვლას, დინჯად წარმოთქვა **ჰი**ბრაგიმმა.

დაფიქრდა **ყანცავი. ბევრჯერ ყოფილა ყაბარდოში, იმის იქი**თაც მამასთან ერთად, მაგრამ ასე მყისიერ არავის დაახლოებია.

არც ამ ადგილებში ყოფილა ადრე.

ცნობისმოყვარეობამ იმძლავრა. თანაც მამალი ჯიხვის გარეშე არ აპირებდა დაბრუნებას კოდორის ხეობაში.

მიიღო მასპინძლის შეთავაზება.

ფიზიკურად ძლიერი ჩანდა ჰიბრაგიმზე, მარჯვენა ხელით მხარზე მოიგდო მამალი ჯიხვი.

დროს და გზას ვერ მოაშორებ ერთმანეთს, ამიტომ სასაუბრო ბევრია გზაში. **ყანცავმა მოუყვა ახალგაცნობილ მონადირეს თავი-**სი ნადირობის ამბავი.

– ნახევარი შენია, წელზემოთ, თავი და რქებიც, ახარხარდა მასპინძელი, აქვე შევინახოთ ყინულოვან წყაროში.

თქმა და შესრულება ერთი იყო, უარის თქმაც ვერ მოასწრო ყანცავმა.

ჰიბრაგიმის უზარმაზარმა ხანჯალმა ორად გააპო ნადავლი, ყანცავმაც შეაშველა ხელი იმ პირობით, ხვალაც თუ ვერ მოკლავდა მამალ ჯიხვს.

– ხვალ არა, მას ზეგ, ჩემი ყველა სტუმარი ორ ღამეს ათევს ჩემთან, ხმას აუწია მასპინძელმა.

ყანცავს სულ უფრო მოსწონდა ეს ტანწერწეტა, ალვასავით აშოლტილი ახალგაზრდა კაცი, ალბათ მისივე თანატოლი, რომელსაც მახვილი თვალიც ძნელად თუ განასხვავებდა **ყანცავის ჯიშის-**გან.

ჩერქეზთა და ყაბარდოელთა ქართულ წარმომავლობაზე ლეგენდა გაახსენდა, იმაზეც დაფიქრდა თუ როგორ ახერხებდნენ სვანები ყაბარდოელებთან, პირიქითა კავკასიის სხვა ხალხებთან ყველა დროში მეგობრობას.

ახლა, თითქოს მიუხვდაო სტუმარს, ამ თემაზე წამოიწყო საუბარი ჰიბრაგიმმა: არის ხალხური თქმულება უძველეს დროში ჩვენს ქართველობასა და ქრისტიანობაზე; შეხედე, მთის წვერზე მაღალ ხეთა კორომებს, იქ ეკლესიების და ციხეების ნანგრევებია. ბებია მორწმუნე იყო და ბალღებს გვიკრძალავდა იქ ასვლას, უწმინდური ადგილებიაო. მე მუსლიმი ვარ, მაგრამ ჩემთვის ძნელი არ არის ვინმესთან მეგობრობა, მით უფრო, რომ ქართველებს ჰგავხარო ძალიან, მაბრაზებენ ლამაზები.

არ დაილია გზა და არც სასაუბრო.

– შენ კი არ გაჩუქე, შენი წილი ჯიხვი გიწილადე ძმაო, იცინოდა ჰიბრაგიმი, **თან ტვირთი შევიმსუბუქეო ჩემთვის; ეს ჯიხვი საქართ-**ველოს კუთვნილებაა, შენ თვითონ გადმოაგდეო ჩვენს მიწაზე.

მალე თბილ სახლში შევიდა სტუმარ-მასპინძელი.

სხვა ოთახში გავიდა ჰიბრაგიმი, გადავიცვაო უნდა.

ხმაურით გაიღო ოთახის კარი, დაჩეხილი შეშა უფარავდა სახეს. ქალმა შეშა რკინის ღუმლის გვერდით დაყარა, მერე შენიშნა უცხო კაცი.

შეცბა, თავი ასწია და უძირო ლურჯი თვალები მიანათა სტუმარს, თავის მცირედი დაქნევით მიესალმა ყანცავს.

ფეხზე წამოდგა სტუმარი.

ქალმა კი საქმეს მიჰყო ხელი, დაიხარა და შეშის დაწყობას შეუდგა ღუმელთან.

ნანადირევს შეხედა, ქვაბები დადგა ღუმელზე.

ყანცავი **თვალს ვერ წყვეტდა დედამიწაზე ჩამოფრენილ ანგელოზს.**

ქალმა იგრძნო ვაჟის მზერა, გასწორდა და მოიხედა, წამით შეხედა სტუმარს.

დახატულ ტუჩებში ღიმილმა გაურბინა და მის აღერებულ ყირმიზ ყელში გაუჩინარდა.

ღიმილით დაბრუნდა ჰიბრაგიმი.

– ეს ჩემი დაა, ქერიმხანა, ობლად გავიზარდეთ, დანიშნულია აკვნიდან, შემოდგომით აფრინდება ბუდიდან; ეს კი, ჩემი მეგობარია, **ყანცავი, დღეს ამ მამალმა ჯიხვმა მაჩუქა მისი თავი სამ**ეზობლოდან!

ტანში გასწორდა ასული, გაუღიმა და ხელი გაუწოდა **ყან**ცავს.

დაიბნა ყანცავი, ასეთი რბილი და ცხელი ხელი დღემდე არ სჭერია ხელში.

სუფრის გაშლას შეუდგა ასული. ჰიბრაგიმმა სამი ბოთლი არაყი დადგა მაგიდაზე, მერე განმარტა – ეს რუსულია, ტურისტები მიტოვებენ ეზოში ღამისთევის სანაცვლოდ. სტუმრებს ვმასპინძლობ ამით, მეც გეახლებიო ხანდახან. მე ხომ მუსლიმი ვარ, მაგრამ ქართველიც, იხუმრა მასპინძელმა.

ქერიმხანას **რაღაც ანიშნა ჰიბრაგიმმა და მალევე ორი მეზო**ბელი ქალი შემოვიდა.

სუფრის გაწყობას შეუდგნენ ქალები.

ყანცავს **ხელი და პირი დააბანინა ქერიმხანამ, პირსახოციც მი**ართვა, თანაც ისე, რომ სახე არ აუწევია ასულს.

სანატრელი გაუხდა ქალისთვის თვალებში შეეხედა ყანცავს, ქალი კი გრძელ წამწამებში მალავდა უძირო თვალებს, სულის და გულის გასაღებს.

ქართული და ყაბარდული წესებით წარიმართა სუფრა.

დილით დაიშალნენ მთვრალები.

***

გვიანობამდე იძინეს მეგობრებმა.

დღის მეორე ნახევარში უხმეს სუფრაზე.

ცოტა დალიეს, ბევრი ისაუბრეს.

ჰიბრაგიმმა ძმადნაფიცობა შესთავაზა ყანცავს.

ყანცავმა დუნედ მიიღო თავაზი, მაგრამ პირველმა ამოიღო დანა.

სისხლით შედგა ძმადნაფიცობა.

რიტუალს განერიდა ქერიმხანი.

ამ წესმა დანათესავების სხვა გზა მოუჭრა ყანცავს.

უკვე დანიშნული დის სხვაზე გათხოვებას არ დაუშვებდა იბრაჰიმი.

მეგობრები ადრე გავიდნენ სანადიროდ.

სახლისკენ მოიხედა ყანცავმა, ქალის ანთებული თვალები უწვავდა ზურგს.

ყაბარდოს ვიწროებში ტოვებდა გულს ყანცავი, თუმცა საოცრად ბედნიერი იყო იმ დღეს და ნადირობის ქალღმერთიც მის მხარეზე.

ერთად იარეს ძმაკაცებმა უღელტეხილამდე, ორ დედალ ჯიხვსაც დაუბნელეს მზე.

ხალისიანი დაბრუნდა ყანცავი სახლში, სიტყვა შეასრულა, ჯიხვებს დაერია და წინაპრებივით ძმადნაფიცი შეიძინა მთას იქითა კავკასიაში.

* * *

სხვა კაცი გახდა ყანცავი, გულს ვერ უდებდა საქმეს. მთელი ზამთარი არ გამოსულა სახლიდან.

გვიან გაზაფხულს ყაბარდოსკენ გაუწია გულმა. ძველი ქართული გორდა აჩუქა ძმადნაფიცს.

სამი დღე და ღამე ილხინეს ჰიბრაგიმის სახლში. სასიძო გააცნეს, მეზობლებში ატარეს, ყაბარდოული ცხენი აჩუქეს, ნორჩი ქალები გააცნეს.

უხასიათობა დასჩემდა. **შეწუხდა ჰიბრაგიმი, სანადიროდ წასვლა** შესთავაზა ყანცავს.

მთათა კენწეროებთან, ალპების ზოლში ავიდნენ, სადაც ბლომად იყო ძველი და ახალი თოვლი.

უზარმაზარ დათვს დაადგა თვალი მასპინძელმა. პირველობა დაუთმო ყანცავს, მაგრამ არ დათანხმდა ყანცავი: მძინარე დათვს ვერ გავიმეტებო სათოფედ.

გაფიცხდა ყაბარდოელი, ორივე ლულიდან დაახალა ნადირს.

ჩაგორდა დათვი დამრეცზე, თოვლში გაეხვია და ზვავად გადაიქცა ანაზდად.

ზვავები აზვირთდნენ მწვერვალებიდან.

გაქცევა სცადეს, მაგრამ უფსკრულთან იყვნენ მიმწყვდეულები.

დაბლა მდინარე მიექანებოდა კისრის მტვრევით.

ჰიბრაგიმმა ხელის კვრით უფსკრულში გადაუშვა ყანცავი, თავად ზვავს აეფარა ტანით.

ხეობებში ჩაიკარგნენ ზვავები ღმუილით, დაბლა შექუჩდნენ გორებად. ყანცავი გათოშილი ამოვიდა წყლიდან.

ბევრი ეძება სოფელმა ჰიბრაგიმი.

ცოცხალი შეუნახავს ყინულს, თვალები დარჩენოდა ღიად.

მეგობრის ხატი შეუნახავსო თვალის ჩინს, მოთქვამდნენ ქალები.

მუსლიმთა წესით, მზის გაპარვამდე მიაბარეს მიწას.

გაგრძელდა ქელეხი, ძმადნაფიცი უძღვებოდა სუფრას.

თავი გადაიპარსა და შავებით შეისუდრა ყანცავი, ცოცხალმკვდარი დაბრუნდა სახლში.

* * *

წლისთავზე ყაბარდოს ცხენით გადავიდა ყანცავი, ქართული წესით გააწყობინა სუფრა.

დალია დასალევმა, მძიმედ ამბობდა სათქმელს.

გვიანობამდე დარჩა ლოგინში.

კარი გაიღო საძინებელში.

ქერიმხანა იყო ღამის პერანგით.

ხმაამოუღებლად დაეკონა **ყანცავს ტუჩებში. საწოლზე ჩამომჯდარი** ეფერა. ვეღარ გაუძლო ყანცავმა, წელზე მოხვია ხელი.

შეტოკდა ქალი, გველნაკბენივით წამოხტა. ზეცას მიაშტერდა გაშეშებული თვალებით და ლოცვას მოჰყვა თავისთვის.

კვლავ ჩამოჯდა ყანცავის სასთუმალზე, გაიგლიჯა პერანგი, ძუძუები მოიშიშვლა.

დიდხანს კოცნიდა **ყანცავი ქალის ქათქათა ძუძუებს, ვარდ**ისფერ კერტებს.

წამოდგა ქალი. სარკმელთან მიიყვანა **ყანცავ და ხითარის მყ**ინვარს მიაშტერდა გიჟის თვალებით.

– მიყვარხარ და მეყვარები, პირველი ხარ და უკანასკნელი. ალიონიდან დაღამებამდე ვილოცებ შენთვის, შევხედავ ხითარს და გიხილავ მის მარადიულ სარკეში...

თვალი მილულა.

– დიდია შენი ქვეყანა, შენ მე წამიყვან, მაგრამ ეს არ იქნება, ცეცხლს არ ჩავაქრობ ძმის კერიაზე, არ გახუნდება ხსოვნა შენი ძმის. წადი და წადი, რომ არ დაბრუნდე...

– არ მომეკარო!

– წადი და წადი, როს მოგენატრო, ხითარს შეხედე და იქ მიხილავ შენი მიწიდან.

ტიროდა ქალი.

ყანცავი მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა, თუმცა ხუთი წელიწადი კიდევ ელოდა სასწაულს მისგან.

სასწაული არ მომხდარა, არც ქალი არ გათხოვილა.

* * *

მთის წესებმა აიძულა ყანცავი ოჯახისთვის მოეკიდა ხელი.

პირველი ქალიშვილი გაჩნდა ოჯახში.

მას ქერიმხანა დაარქვა.

მღვდელმა დაიწუნა ბავშვის სახელი.

დაუთმო მთის კაცმა მოძღვარს და ბავშვს ნანა დაარქვეს.

კიდევ სამი ვაჟიშვილი ეყოლა.

უფროსი მუშნი, მამის საფიცარი, ტყუპისცალივით ჰგავდა ჰიბრაგიმს.

კოდორის წყალივით გაიქცნენ წლები.

ყანცავი ყოველდღე შესცქეროდა ხითარის მყინვარს:

– მზიან დღეში ქერიმხანას თეთრი სხეული ნათობდა, ღრუბლებსა და ნისლში კი მისი თვალები ორ ლურჯ ტბად გადაიქცეოდა, მერე შეერთდებოდა და აფხაზეთის ზღვაში უჩინარდებოდა;

– ზაფხულში, წვიმიან დღეს, ქერიმხანას გაშლილი თმები ნაწნავებად გადაიქცეოდა, რუხ-ლილისფერს მიიღებდა და კოდორის ხეობის მთაგრეხილს უერთდებოდა.

მოხუცდა ყანცავი, ძალა არ ერჩოდა ძველებურად.

მუშნის უხმო თავისთან და ეს ამბავი მოუთხრო.

ერთ კვირაში გაემგზავრა მუშნი ყაბარდოს, იკითხა ჰიბრაგიმის სახლი.

მოხუცმა, თვალჩაღამებულმა ქალმა გაუღო კარი.

თავი გააცნო მუშნიმ.

ქალმა გულში ჩაიკრა მუშნი, დიდხანს ეფერა გაყინული ხელებით. ერთი ღამე დარჩა მუშნი მოხუცთან.

დაბრუნებულმა წვრილად მოუთხრო მამას.

მალე ყანცავი გარდაიცვალა.

ქალიშვილი დიდხანს არ გაჩნდა მუშნის ოჯახში.

როგორც იქნა ეს დღეც დადგა. გოგონას ქერიმხანა დაარქვეს სახელად.

მამაზე მტკიცე აღმოჩნდა მუშნი. დიდხანს ესაუბრა მღვდელს, აბეზარ ნათესავებთან კი ხმას აუწია, ჩემი შვილია, რასაც მინდა იმას დავარქმევო.

* * *

ზემო აფხაზეთის ერთ-ერთ ახალაშენებულ სკოლაში სწავლობს ლურჯთვალება გოგონა, რომელსაც სახელად ქერიმხანა ჰქვია.

მას, მისი საკმაოდ უცნაური სახელის იტორიას მაშინ ეტყვიან ალბათ, როცა საკუთარი ოჯახი და შვილები ეყოლება.

ზემო აფხაზეთი, 25-26 დეკემბერი, 2006 წ.

სიკვდილის არქიპელაგი

მაშინ ოკეანეებს სახელები არ ერქვა. იქნებ ერქვა კიდეც, ძნელი სათქმელია.

ერთ-ერთ მათგანში მიმოფანტული იყო კუნძულთა არქიპელაგი, რომელთაგან ზოგი 5-10 კილომეტრით იყო ერთმანეთისგან დაშორებული, ზოგი უფრო მეტით.

კუნძულებზე ყვაოდა ცივილიზაცია, ადამიანები ტომებად ცხოვრობდნენ, მაგრამ ჰქონდათ ძველი სახელმწიფოებრიობის ნიშნებიც.

ბუნებამ უთანაბროდ დააჯილდოვა კუნძულები, ზოგ მათგანზე უხვად იყო ტყეები, მდინარეები, ნადირ-ფრინველი, ნაყოფიერი ველ-მინდვრები, ზოგი კუნძული მწირი იყო-ქვაღორღიანი, მცირეწყლიანი, მთაგორიანი, რომელიც წვრილფეხა პირუტყვის მოსაშენებლად თუ ვარგოდა.

არქიპელაგი მჭიდროდ იყო დასახლებული. გენეტიკური სიახლოვის მიუხედავად ხალხი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა, განსხვავებული ჰქონდათ ადათ-წესებიც.

რამდენიმე კუნძული მეტად დაწინაურდა: აშენებდნენ ციხესიმაგრეებს, სასახლეებს, მოკირწყლულ გზებს, აბანოებს, სალოცავებს, ხიდებს, ნავებით სერავდნენ უკიდეგანო სივრცეებს.

თითქმის ყველა კუნძულზე მეომარი ხალხი ცხოვრობდა, ამიტომაც ერთმანეთზე თავდასხმები და ომები აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ომები რწმენის გამო ხდებოდა, მზის თაყვანისმცემლები ექიშპებოდნენ მთვარის ან ცეცხლის თაყვანისმცემლებს.

სასტიკი ომი იცოდნენ, სისხლისმღვრელი და დაუნდობელი. ხოცავდნენ მამაკაცებს, ახალგაზრდა ქალები ტყვეებად მიჰყავ-

დათ. მოგვიანებით მამაკაცებიც გაჰყავდათ დაპყრობილი კუნ-ძულებიდან და მძიმე სამუშაოებზე ასაქმებდნენ.

რამდენიმე კუნძულზე უმაღლესი მბრძანებელი მეფე იყო. მეფე, ანუ ღმერთის შვილი, მეორე პირი ქურუდ იწოდებოდა, რომელიც გამოირჩეოდა არა მარტო ძალაუფლებით, არამედ, იმითაც რომ ათასობით მისნებს, ჯადოქრებს წინასწარმეტყველებს, სასწაულ-მოქმედებს წვრთნიდა.

ხშირად მეფე ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა ქურუს გარეშე. როგორც წესი, ომის და მშვიდობის საკითხში გადამწყვეტი სიტყვა ქურუს **ეკუთვნოდა, რომელიც სამსხვერპლო ცხოველის და ადა-**მიანის მკვდარ თვალებში კითხულობდა ომის დაწყების თუ ზავის დადების დროს და ადგილს.

ქურები სუსტი მეფეების **ზეობის ხანაში სასახლის გადატრი-**ალებებით იშორებდნენ მეფეს და თვითონ ხდებოდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონები. ეს, ხალხის თვალში, ღმერთის ყოველისშემ-ძლეობის ქურუსთვის გადაცემად მიაჩნდათ და ქურუც ღმერთი ხდებოდა.

მზის თაყვანისმცემელ კუნძულზე ღმერთი ყველაფერი იყო ადამიანებისთვის, მაგრამ შორი, მაღალი და მიუწვდომელი, ქურუ კი იქვე იყო, ყოველგვარ პრობლემას წყვეტდა და ადამიანური სახე ჰქონდა, თუმცა თანდათან იკეტებოდა თავის სასახლეში, რომელ-იც გამოირჩეოდა სიმაღლით, სიდიადით, სიმდიდრით და განსაცვი-ფრებელ გავლენას ახდენდა ადამიანებზე. უფლის დღეებში ხალხი ლოცვა-ვედრებით და ხოხვით იკრიბებოდა მისი სასახლის ირგვ-ლივ.

ძლიერი და გონიერი მეფის გამოჩენა, ფრთებს კვეცდა ქურუთა ძლიერებას, მაგრამ მეფეც იყო მასზე დამოკიდებული და ამიტომაც ანგარიშს უწევდა მას, ვინაიდან ძნელი იყო სასწაულმოქმედთა დამარცხება, ჯადოქართა ნების გადაბიჯება, წინასწარმეტყველ-თა რჩევის მიუღებლობა, რადგან ეს შეიძლებოდა მეფის მარცხით დამთავრებულიყო.

მეფეც, თავის ირგვლივ ძლიერ ჯარს და ერთგულ მეომრებს იკრებდა ხოლმე, მაგრამ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ყოველი მათგანი ფანატიკოსი მორწმუნე იყო და ურთულეს სიტუაციებში, როცა მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ერთადერთ იმედად ქურუ და მის ჯადოქრები რჩებოდნენ. მეომრები, მეფისთვის მიცემული ფი-ცის გამო ბრძოლის ველზე მეფეს ერთგულობდნენ, მაგრამ ქურუს და მის მიმდევრებსაც აღმერთებდნენ ხოლმე და, არც თუ იშვი-ათად, ეს იყო გადარჩენის ერთადერთი გზა.

ხალხი ორივეს მიაგებდა პატივს-მეფეს, როგორც პატრონს, რომლის განაჩენი ბედნიერება ან სიკვდილი იყო და ქურუს და მის ჯადოქრებს, რომელთაც შეეძლოთ მათთვის სიკვდილის შემდეგაც მიენიჭებინათ სიცოცხლე.

ამდაგვარი ცხოვრებით ცხოვრობდა არქიპელაგის ყველა დიდი კუნძული, სანამ მათ შორის ტერიტორიების და ქონების მიტაცებისთვის სასტიკი ომები არ ატყდა.

* * *

მზის თაყვანისმცემელთა კუნძულ კოპს, რომელიც გამორჩეული იყო სიმდიდრით და სამხედრო ძლიერებით, თავს მრავალი უბედურება დაატყდა. ჯერ ცუნამმა გადაუარა და დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას, მერე საქონელს ავადმყოფობა დაერია და ამოწყვიტა პირუტყვი, გვალვამაც იმძლავრა და ქვეყანა გააჩანაგა. ამაო გამოდგა **ქურუს მცდელობა, არც წინასწარმეტყველება ჭრ**იდა, არც ჯადოქრობა.

ერთი გამოსავალი დარჩა ქურუს, სანამ მეფეს ჯერ კიდევ ძლიერი ჯარი ჰყავდა, დაეპყროთ მეზობელი ურუს ქვეყანა, რათა გადმოეყვანათ პირუტყვი, დაპატრონებოდნენ კუნძულს.

მეფე, მზის შვილად წოდებული, ახალგაზრდა, უშიშარი და უმემკვიდრეო, დაჰყვა ქურუს რჩევას და ზამთრის სუსხიან დღეებში, თავს დაესხა მეზობელს.

ომი სასტიკი გამოდგა. ურულებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და როცა დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა და კოპის მეფის წინაშე მუხლის მოყრას აპირებდნენ, მკითხავი როზას რჩევით ახალგაზრდა ქალები, მეომრების და პირუტყვის დიდი ნაწილი ღამით განარიდეს საცხოვრებლებს და გამოქვაბულებში ჩაასახლეს.

მზის შვილებმა მილეწ-მოლეწეს ურუს ციხე-ქალაქები, ტყვედ წაასხეს ათასობით ქალი და კაცი, ათიათასობით ცხვარი და თხა, დაცალეს ბეღლები და ნაალაფარით შინ დაბრუნდნენ.

კოპის მეფე კიდევ სამი თვე დარჩა დაპყრობილ კუნძულზე. გამაგრებულ ციხეებში საკუთარი ჯარი ჩააყენა, მეზობელი კუნძულებიდან ახალმოსახლეები ჩაიყვანა მრავლად და ერთგულების ფიცი დაადებინა.

გამარჯვებული მეფე დაბრუნდა თავის კუნძულზე და დიდი ნადიმი გამართა.

მეფე დარწმუნდა, რომ ის ძლიერი იყო და საქმეებიც კარგად წაუვიდა, მაგრამ ქურუს თვალებში რატომღაც შური ამოიკითხა, რომელიც მტრობას უფრო ჰგავდა. ცუდი სიზმარი იხილა, თით-

ქოს მზე ჩამოვარდა ციდან და მასთან ერთად დაიფერფლა. მეფემ დედას მოუყვა სიზმარი, მაგრამ არ დაუამდა, სიკვდილზე ფიქრი ვერ მოიშორა თავიდან.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ხანჯლით გულგაპობილი მეფე სარეცელში იპოვეს. იმ ღამეს მის სარეცელს ულამაზესი ურუელი ტყვე ქალი იზიარებდა, რომელიც უკვალოდ გაქრა.

კოპის მეფე **ქურუ გახდა, რომელმაც შრომისმოყვარე და მოხერხებული ტყვე ურუელები ქვეყნის ერთ ტყიან ნაწილში ჩაასახლა** და პირუტყვიც დაურიგა. ურუელი ქურების გულები მოიგო და თავის სასახლეში გადამალული ურუელი შეთქმული ლამაზმანი როზა, საყვარლად გაიხადა.

ქურუს დავალებით მალე როზა ურუში გაემგზავრა და მათ ზავი შესთავაზა, ამასთან შეუთვალა, რომ მეციხოვნე კოპები ამოეხოცათ.

კუნძულებს შორის აღდგა მშვიდობა.

ურუ დაუბრუნდა ჩვეულ ცხოვრებას, მაგრამ კერპისადმი დამოკიდებულება შეიცვალა-უარყვეს მთვარე, რომელიც დამარცხდა მზესთან ომში და კუნძულის ღმერთად უფალი აღიარეს, რომელსაც არავინ და არასოდეს ნახავდა, მაგრამ ურუელთა წინამძღოლი და ბატონი იქნებოდა. ბატონი უფალი მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვდა ურუელთაგან – არ ეღიარებინათ კერპი, არ ეცნოთ სხვა ღმერთი, სანაცვლოდ უფალი სამარადჟამოდ აღიარებდა ურულებს მის რჩეულ ხალხად და სხვა ხალხთა ბატონად.

ასე გავიდა კიდევ ათასი წელიწადი.

ბატონი უფალი ურუს ყველა თაობის ერთადერთი და ყოვლისშემძლე ბატონი გახდა, თითოეული ურუელის სულის და სხეულის გამგებელი დაბადებიდან ვიდრე სიკვდილამდე ცაში და არქიპელაგზე.

ურუელებმა თავისი სჯული არქიპელაგის მრავალ კუნძულზე გაავრცელეს.

რჩეულის პატივმოყვარეობა გახდა ლამის მთელი ხალხის შინაგანი ძალა, რომელიც ასულდგმულებდა მათ.

რჩეულობამ, ანუ ყველგან და ყველაფერში პირველობისკენ სწრაფვამ, ოქროს და ფულისმოყვარეობამ, სხვა ხალხებისადმი ზიზღმა, თვით ურუელებს განუმზადა უამრავი განსაცდელი, ურიცხვი მტერი, მაგრამ რჩეულობა გახდა მრწამსი ხალხისა, რომელიც ადრიდანვე მიეჩვია მოხერხებულობას. მათთვის უფალის სახელით საკუთარი კეთილდღეობა გახდა მთავარი და არა ზნეობად წოდებული რაინდობა, გაჭირვებულთა შეცოდება და ქველმოქმედება.

მათ ფარულად ყველა კუნძულზე დაიდეს ბინა, მოედნენ იმ-დროინდელ ქვეყნიერებას და ყოველივე ამას აკეთებდნენ უფალი ღმერთის სახელით.

მთიანი და ღორღიანი ურუს კუნძული აყვავებული ქვეყანა გახდა.

ურუელებს ჰქონდათ საიდუმლო, რასაც არავის უმხელდნენ ყოველი ქურუ ურუელი იყო და მისგან მოდიოდა პირველი ცოდვა, რაც შემდგომ ურუელებს არასოდეს მიუჩნევიათ ცოდვად.

* * *

მტერს რა დაულევდა ურუს. ჯერ სამხრეთელმა მეზობელმა შე-მოუტია, მერე დასავლეთელმა. ურულებმა სასტიკად დაამარცხეს ისინი.

გავიდა ხანი და მეზობლები გაერთიანდნენ ურუს და მათ მხარ-დამჭერთა წინააღმდეგ. სასტიკ ბრძოლებში ურუ დამარცხდა, რაც ხალხმა უფლის განაწყენებად ჩათვალა და უფლის სადიდებელი ახალი მოძღვრების შექმნას მოჰკიდა ხელი. მოჰკიდა ხელი და შექმნა კიდევაც მთელი არქიპელაგის განმაცვიფრებელი სადიდე-ბელი უფლისა, რომელშიც თავისი ადგილი მიუჩინა არქიპელაგის ყველა ხალხის გამორჩეულ სიბრძნეს და გამოცდილებას.

ურუ არა მარტო სადიდებლებს ქმნიდა, არამედ ზრდიდა უფლისთვის თავდადებულ ადამიანებს, წინასწარმეტყველებს, სასწაულმოქმედებს, მისნებს, ჯადოქრებს, რომელთაც საოცარი დამარწმუნებელი და მისტიკური ძალა ჰქონდათ მტერსა თუ მოყ-ვარეზე.

ურუს ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწეები მართავდნენ, რომ-ლებმაც მიზნად დაისახეს ყველა **ურუელის გაერთიანება, და მი-**აღწიეს კიდეც.

ურუელთა **რჩეული წარმომადგენლობა სახელგანთქმულ** სას-წაულმოქმედთა და მომჯადოებელთა ამალით ფარულად შევიდა კოპთა ქვეყანაში, სადაც ურუ დიდ მოხელე ვეზირობდა. ვეზირი განუდგა მეფეს და ყოფილ ტყვეთა განთავისუფლება მოითხოვა.

განრისხებულმა მეფემ ვაზირი სამსახურიდან გააგდო და ურუ-ელებს ყველაზე მძიმე და დამამცირებელი საქმეები დააკისრა.

უხმეს თავის უფალს ურულებმა.

უფლის რჩევით ყოფილმა ვეზირმა, რომელმაც კარგად იცოდა კოპთა ძლიერი და სუსტი მხარეები, დიდი უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას – ქარიშხლები, მოუსავლიანობა, წყალდიდობა, საქონლის ჭირი, ბუზანკლები, წყლულიანობა, კოპტელ დიდ მო-ხელეთა უეცარი გარდაცვალება, სამარხებიდან მიცვალებულთა ამოსვლა.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე. შეშინებულმა კოპმა მოსახლეობამ ურუელებს ტერები დაარქვა, ანუ მათ ენაზე შიშის მთესველები, რომლებიც ყველგან ჩნდებოდნენ და მოულოდნელად ქრებოდნენ. დამფრთხალი მოსახლეობა მეფეს **ურუელთა გათავისუფლებას** თხოვდა, მაგრამ მეფე თავისას არ იშლიდა.

ყოფილი ვეზირი და ტერები შურისძიების გზას დაადგნენ და უფლის სახელით კოპთა ყველა უფროსი ვაჟიშვილების დახოცვა გადაწყვიტეს.

ერთ დილით ყველა კოპის ოჯახში ერთბაშად იქუხა გლოვის ზარმა, მათ თავისი უფროსი შვილები მკვდარი იპოვეს ლოგინში, ბევრგან ცეცხლის ალმა შთანთქა კოპთა სახლები და ცხოველთა სადგომები. ურუელთა შვილები და ქონება კი უვნებლად გადარჩა.

დედოფალი გლოვობდა თავის ერთადერთ ჩვილ ვაჟს, – უფლისწულს.

ახლა სისხლგამშრალი მეფე თავის ყოფილ ვეზირს შეეხვეწა ურუელთა გაყვანას.

ზეიმობდნენ **ტერები, ზეიმობდა ურუშის ხალხი, თუმცა ბევრმა** კარგად იცოდა კოპთა ნაყოფიერი მიწის ფასი, აქაური თაფლის სიტკბო. ვეზირმაც იცოდა ხალხის ნაწილის განწყობილება, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ისინი ჯერ კიდევ მზის თაყვანისმცემლები იყვნენ და არ იცოდნენ თავისი სჯულის და გამორჩეულობის სიტკბო.

კოპიდან **გამოსვლის დღე ურუშთა დღესასწაულად დადგინდა.**

გლოვობდა კოპთა ქვეყანა.

* * *

გაერთიანებულმა ურუელებმა ახალი ცხოვრება დაიწყეს.

მალე მათი ქვეყანა უძლიერესი გახდა არქიპელაგზე, მაგრამ მტერებმა ჩაიგდეს ძალაუფლება და არაფერზე იხევდნენ უკან. ურუში ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, სიხარბე, გაუტანლობა, ძალადობა მოძმეთა მიმართ, სისხლის აღრევა ჩვეული მოვლენა გახდა.

ტერორი, როგორც ყველაზე გამარჯვების საშუალება, შავი ჭირივით მოედო მთელ არქიპელაგს და ერთ დროს მშვიდობიანი კუნძულები დაუნდობელ სისხლისღვრაში გადაეშვნენ ერთმანეთთან, რასაც ბოლო არ უჩანდა.

რჩეული ხალხი თავის აკვიატებულ რჩეულობას ვერ ელეოდა.

ასე გავიდა კიდევ ათასწლეული.

ადამიანები კარგად ხედავდნენ, რომ არქიპელაგზე კლიმატი იცვლებოდა, ოკეანეში ეშვებოდნენ კუნძულები. ხალხი ლოცვა-ვედრებაში ათენებდა და აღამებდა, მაგრამ ვერაფერს ცვლიდა.

ეტყობა, ზეციერმა ძალებმა **რჩეულობის მიუტევებელი ცოდ-**ვისთვის შურისძიება გადაწყვიტეს.

ტერებმა, რომელთაც უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვეს და ოქროდ აქციეს, დიდი ნავებით ოკეანის მეორე მხარისკენ გასწიეს.

ბევრი მათგანი ოკეანემ შთანთქა, ნაწილმა კი ხმელეთზე მოიკიდა ფეხი.

ორ-სამ თვეში არქიპელაგის ყველა კუნძული წყალმა დაფარა.

იქნებ ჩაძირული ატლანტიდის ლეგენდა აქედან წამოვიდა.

იქნებ **ტერებსაც დარჩათ მემკვიდრეები და მკვლელთა თაო-**ბები, რომლებიც ყოველთვის იყვენენ და არიან დღესაც ყველა ხალხსა და ქვეყანაში.

ამბობენ, მათი ხელი ურევიაო აფხაზეთის დაქცევაში.

იქნებ კი, იქნებ არა, ვინ იცის!

თბილისი, 11 სექტემბერი, 2005 წ.

მეზობელი კარინა

მატარებლის კუპეში მოსაუბრე ახალგაზრდა ქალბატონი საინტერესო, განათლებული ადამიანი ჩანდა, თუ არ ვცდები, მასწავლებელი.

თანამგზავრმა ქალბატონებმა ამიხსნეს, რომ იგი გულირიფშის ერთ-ერთი სოფლიდან იყო, აფხაზეთიდან ჩამოსულა, რათა შვილებისთვის სასკოლოდ ტანსაცმელი და ნივთები, კიდევ ცოტა სხვა რამ ეყიდა. დამიხასიათეს როგორც კარგი ადამიანი და ქართველების ფრიად მოყვარული. ჩემს შეკითხვას, ცუდი სომეხი თუ გინახავთ-მეთქი, კუპეში სიცილი მოჰყვა. მივხვდი, რომ კუპის სტუმარმა ქალბატონმაც კარგად იცოდა ქართული. ჩემის აზრით, იგი ნახევრად რუსი ან ბერძენი იყო.

სტუმარს ბოდიში მოვუხადე და ამბის მოყოლის გაგრძელება მეც ვთხოვე. მატარებელი და წისქვილი ხომ კარგი სასაუბრო ადგილია.

– მათ ისიც კარგად ახსოვდათ, განაგრძო თხრობა ქალბატონმა, რომ აფხაზეთის საუკეთესო მიწებზე განსახლება გამორჩეული დიდსულოვნებაა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, არც ქართველებს და აფხაზებს დავიწყებიათ სომეხი გლეხის გამორჩეული შრომისმოყვარეობა, სიყოჩაღე, ერთგულება მეზობლობასა და ძმობაში, დაუზარელობა საქმეში, გამტანობისა და ერთგულების

შესაშური ნიჭი, საკუთარი ენის და ტრადიციებისადმი თაყვანისცემა.

მიუხედავად ამისა, იქ, გულირიფშში, იმ დროსაც, ყველა ხალხის ადათ-წესი ჰგავდა და არ ჰგავდა ერთმანეთს. ეს იყო ახალი ერთობა. ნეტავ თუ არის ვინმე ისეთი **გულრიფშელი, რომელიც** ვერ გაიხსენებს, ქართულ ან სომხურ ქორწილებს, ქართული და სომხური სიმღერების და ცეკვის ცეცხლს, მოცეკვავე გოგობიჭებს, რომელთაც ვერაფრით გაარჩევდი ერთმანეთისგან, მათ შორის თმის ფერით თუ სახის ნაკვთებით; ან სატირლები, საერთო ტკივილი, ვაი-ვიში, გაშლილი თმები, მოშვებული წვერები, ქელეხი, მიცვალებულის პატივის და ჭირისუფალთან დანათესავებისთვის მზადყოფნის დასტურად საფლავის გატეხვის პირველობაში მეტოქეობა.

შეჩერდა, შეისვენა და განაგრძო.

ომი ომია. აფხაზეთში ვითარების გართულების კვალობაზე გულირიფშის **სოფლებშიც დადიოდნენ ღამის აგიტატორები, რომელთაც** მოჰქონდათ მოფერება, დაპირება, ბრძანება, მუქარა, რათა სომეხ მოსახლეობას აეღო იარაღი და დაპირისპირებოდა ქართველებს ან აყრილიყო მშობლიური ადგილებიდან.

ომის ვითარებაში სიტყვა „ან“-ს სხვა დატვირთვა აქვს, ხშირად იგი სასიკვდილო განაჩენია, უკეთეს შემთხვევაში კი გულისხმობს, რომ თუ არ მოშორდები, მოგაშორებთ!

უმძიმესი არჩევანის წინაშე დადგა **გულირიფშის სომეხი მო**სახლეობა. ახალგაზრდებმა და საშუალო ასაკის სომეხთა დიდმა ნაწილმა დატოვა აფხაზეთი; ზოგი რუსეთში, ზოგი თბილისში, ზოგიც სომხეთში გადაიხვეწა. ერთი, ათი, ასი და ასე შემდეგ სულმოკლე და ხარბი ყველგან და ყველა ხალხს ურევია. ვფიქრობ, და მასში აფხაზეთის მოვლენებმაც დამარწმუნა, რომ ამ თვალსაზრისით ქართველებსაც ყველაფერი როდი გაქვთ რიგზე.

ასეა ყველა ხალხში, ეთნიკურ ჯგუფებში. ახლა ადვილია ვინმეს განსჯა, შეფასება, თუმცა, ფაქტია, რომ გარკვეულმა ძალებმა მოახერხეს სომეხთა ბატალიონის შექმნა. ამ ისტორიაშიც ბევრი რამ გაზვიადებულია, რაც აქამდე სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება ჩვენს საერთო მტერს, მაგრამ იყო უპატიებელი შეცდომებიც ორივე მხრიდან.

1994 წლის თებერვალშიც **გულირიფშის ქართველთაგან დაცლილ**, ათასჯერ **დანაწიოკებ სოფლებში ინტერნაციონალური ბან**დები დაძრწოდნენ, რომლებიც, ქართველთა **ძებნის საბაბით, გან**ურჩევლად ყველა სახლში შედიოდნენ, არაფერს არ თაკილობდნენ, მანქანებით, ტრაქტორებით თუ ურიკებით გასატანად. ნოდარის

სახლი მიზანში ჰყავდათ ამოღებული. მისი და მისი შვილების სასახლის ოდენა სახლები ჯერ კიდევ იდგა, რაიონში სამოთხედ წოდებული ეზო-კარი, ხეხილის ბაღები, ვაზის ტალავრები, ზამთრის ბოსტანიც ხელუხლებელი ჩანდა, თუმცა ამ ეზოდან მთელი ოცი დღე ეზიდებოდნენ მშრომელი ოჯახის ნაამაგარს.

ნოდარი, ოთხმოცს მიტანებული ბრძენი კაცი, დარჩა სოფელში: გათენებამდე ტყეში იყო, გვიან ღამით ბრუნდებოდა და სხვენზე იძინებდა. იმდენი კარგი საქმეები უკეთებია აფხაზებისთვის და სომხებისთვის, რომ ვერც კი წარმოედგინა ვინმე, თუნდაც გადამთიელი, გაიმეტებდა სასიკვდილოდ. იყო სხვა რამეც, აფხაზეთის უამრავი სტუმარი ნოდარის სახლში იყო ნამყოფი და ნაქეიფარი, მათ შორის ისინიც, ვინც განუდგა აფხაზურ ვაჟკაცობას და ძმათამკვლელ ომს ჩაუდგა სათავეში ან სოხუმის შეიარაღებულ ძალებში ეკავა მაღალი თანამდებობა. ნოდარს ბევრი ძმადნაფიცი და ნათლია ჰყავდა გუდაუთაში, გაგრაში, უამრავი ნათესავი აფხაზთა შორის. ნოდარს, ხანდახან ეჭვის ჭიაც უღრღნიდა ტვინს, დარჩენას ნანობდა, თუმცა მაინც ამართლებდა თავის ამ ნაბიჯს: ამ მიწამ გაზარდა ჩემი ყველა წინაპარი, აქ არის მეუღლის და ახლობელთა საფლავები, ამ მიწამ გამზარდა და ამ მიწას უნდა მივებარო მეო. სიკვდილის შიში არ ჰქონდა ამ ჯანიან ჭაღარა კაცს.

ნოდარის მეზობლად სომეხი კარინა ცხოვრობდა, ასე, 70 წელს მიტანებული ინვალიდი ქალი, რომლის ქალ-ვაჟი ოჯახებით მოსკოვში გადავიდნენ, თვითონ კი ვერ მიატოვა ეზო-კარი. კარინას განგრენა დაემართა და ათიოდე წლის წინათ მუხლს ზემოთ ქვედა კიდური მოაჭრეს. გერმანული პროტეზი უშოვეს შვილებმა, მაგრამ ვერ შეეგუა, უფრო მოხერხებულად ყავარჯნები და ეტლი ჩათვალა. ეს იყო ძალიან დამძიმდა, წონაში უზომოდ მოიმატა, სუნთქვა უჭირდა. იგი მარტო ცხოვრობდა, ნოდართან გამორჩეული მეგობრობა ჰქონდა. ბევრჯერ უთქვამს თურმე, მეც იმ დღეს უნდა მოვკვდე, როცა ჩემს ნოდარს უფალი თავისთან დაუძახებსო.

შვილების წასვლის შემდეგ კარინას სხვა მეზობლის 12-13 წლის გოგონა, მარიამი აკითხავდა, წნევას გაუზომავდა, წყალს აუდუღებდა, ძროხას მოუწველიდა ხოლმე.

14 თებერვალს, გამთენიისას, ბანდიტებმა ნოდარი ეზოში დააკავეს თურმე, ჩასაფრებული ყოფილან. მაშინვე ხელ-ფეხი შეუკრეს, წაქცევა სცადეს. დაიფრინა ხუთი შეიარაღებული გალეშილი ყაჩაღი, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს.

– ოქრო, ფული!

– ეძებეთ ბანკებში, ერთმანეთში, მთელი ქვეყანა ხომ გაძარცვეთ;

– ღვინო, არაყი!

– ჯერ შემიხსენით ხელები, რაც შეეხება ღვინოს, ეს ღვთიური მადლი არავისთვის დანანებია ჩემს ოჯახს.

– გავათავოთ, ვიცი, ამისგან არაფერი გამოვა, ამოილუღლუღა აფხაზმა, მეტი არ შემიძლია, ადამიანი ვარ მეც.

ნოდარი დააკვირდა, ეს მისი თანასოფლელი სლავიკი იყო, უმცროს ძმასთან ერთად უმამოდ გაზრდილი, თან ბიძაშვილი ახლდა, მისივე თანატოლი, რომელიც თადახრილი იდგა.

– სლავიკ, მესროლე, არ გამაწვალო, იცი, მე შეგინდობ, ღმერთი თუ გაპატიებს.

სლავიკი ყოყმანობდა.

– გამაგრდი ბიჭო, მირჩევნია შენ მომკლა, შენი გამზრდელი ვარ, დაამთავრე თუ ასეა გადაწყვეტილი. გადამთიელები, ვიცი, გამაწამებენ, შენ ჩემიანი ხარ მაინც; რამდენჯერ წამიყვანიხარ ამ მხრებით ტიტველი, რამდენჯერ წელამდე შევსულვარ ადიდებულ მდინარეში, რათა ფეხები არ დაგსველებოდა, რამდენჯერ გითამაშია ბურთი ამ ეზოში, რამდენჯერ ასულხარ ამ ლეღვებზე. თავს არ გაცოდებ, არ მინდა მაწამონ, დამამახინჯონ ამ მხეცებმა.

სლავიკი დუმდა.

– მორჩი ბიჭო, ახლა ქართულად მიმართა ნოდარმა სლავიკს, ამათ თვალში მაინც არ მინდა ლაჩარი გამოჩნდე. შენც მკვლელი ხარ, მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაინც ჩემი ხარ!

სლავიკი კვლავ დუმდა.

– შენ კაცი არა ხარ, ლაჩარი ხარ, ამათი მონა, ამათი ნების შემსრულებელი, ქენი რამე. არ შეგიძლია ჩემი გადარჩენა, ვიცი, უეცარი მოკვლაც არ შეგიძლია? გეხვეწები. თუ ესეც არ შეგიძლია, წადი შენი დედაც!

– ბოლო წინადადება ნოდარმა რუსულად წარმოთქვა სხვების გასაგონად. მათ ერთმანეთს შეხედეს, რაღაც ილაპარაკეს ერთმანეთში.

უმალ აფეთქდა მწვანე ლენტით თავწაკრული წვეროსანი.

ავტომატის მთელი ჯერი დაცალა ნოდარის ფეხებთან. წაიქცა, პირველად და უკანასკნელად მის ცხოვრებაში, თუმცა გული იჯერა და დედ-მამა არ დაუტოვა მოძალადეებს შეუგინებელი.

–კიდევ რამდენს ბედავს ეს დამპალი, იღრიალა გადამთიელმა, უზარმაზარი ხანჯალი დააძრო და ნოდარის თავთან ჩაცუცქდა...

გადამთიელი „კოლუმბიური ყელსახვევის“ ოსტატი ყოფილა. დიდხანს ხრიალებდა თურმე ნოდარი, არ კვდებოდა რამდენიმე ტყვია ესროლეს თავში და სამზადისში შევიდნენ.

მარინამ თითქმის ყველაფერი ნახა. იგი კარინასთან გაიქცა. წვრილად მოუყვა ყველაფერი. კარინა არაადამიანურად აბღავლდა ლოგინში და კედლისკენ შებრუნდა.

კარინამ მარინა მეზობელ აფხაზ ჭიჭიკოსთან გააგზავნა, რომელიც მათგან ოდნავ მოშორებით ცხოვრობდა, მაგრამ ნოდართან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა, თანაც ჭიჭიკოს ორი ბიჭი იბრძოდა.

ჭიჭიკო სახლში არ იყო. ნაწერი დახვდა, იგი ერთ კვირით სოხუმში წასულიყო.

შეღამებისას კარინა და მარიამი მიცვალებულთან მივიდნენ. კარინამ სახეზე რაღაც თეთრეული დააფარა. იქვე დაკრძალვა არ ივარგებდა, მაწანწალა ძაღლები ან ღორები ამოთხრიდნენ, რადგან ბოევიკებს წესად ქონდათ ჭიშკრის ღიად დატოვება.

კარინა ეტლიდან ჩავიდა, ყავარჯენი იქვე დააგდო, ტალახში ისე ჩაჯდა, რომ ნოდარის მხრებს მისწვდომოდა და გამოწევა შეძლებოდა.

კარინა ცუდად გახდა, კანკალებდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. წამალი შუშიდან მოსვა.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ნოდარი ბოსტანში გადაიყვანეს. აქ უკვე უსაფრთხო იყო.

კარინა საფლავს თხრიდა. ნიჩაბი გაყინულ ხელებს არ ემორჩილებოდა.

როცა ორი ბარისპირი ამოთხარა. მარიამმა ცელოფანი ჩააფინა, ნოდარი ძლივსძლივობით ჩაასვენეს და, მიწა მიაყარეს, ფიჩხებითა და ხმელი ფოთლებით დაფარეს.

გამთენიისას მარინამ ძლივს აიყვანა კარინა სახლში.

კარინა მთელი კვირა არ ამდგარა, მაღალი წნევა ჰქონდა.

კვირის თავზე ჭიჭიკო ჩამოვიდა შვილებთან ერთად. კარინა ინახულეს. მომხდარი აინტერესებდათ. მოვძებნით მაგ ოხრებსო, ჩაილაპარაკა სამხედრო წოდებით უფროსმა ვაჟმა.

მეორე დღეს ჭიჭიკომ სოფელში ყველა დარჩენილს მოუყარა თავი. მიცვალებულისთვის ჭურჭელი მოატანინა და ქალებთან ერთად ნოდარი ქართული წესით და რიგით გააპატიოსნა.

მოგვიანებით, მიცვალებული სოფლის სასაფლაოზე ორთვალათი გადაასვენეს და მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

ნოდარის სახლ-კარს ამჟამად ვიღაც უცნობი კაცი პატრონობსო, დაასრულა თხრობა გულირიფშელმა ქალბატონმა. თუ ვინმე იცნობთ მის შვილებს გადაეცით, რომ არ არის ქვეყანა კეთილი ადამიანების და კარგი მეზობლების გარეშე, ეროვნება აქ არავითარ შუაშია!

ქალი ქვითინებდა, ჩემი თანამგზავრებიც ისე ხმამაღლა მოთქვამდნენ, რომ კონდუქტორმა კარების მიხურვა მოგვთხოვა.

ქალებმა დაიძინეს.

ფიქრებში გავათიე ღამე. მთებზე ვფიქრობდი, ჩრდილოეთის იმ მთებსა და ხალხებზე, რომლებმაც ისეთივე სიყვარული და ერთგულება იციან, როგორც გაუგონარი სიძულვილი და მტრობა.

დილით ქალბატონს პურის ნატეხი და ყველი შევთავაზე. მადლობა მითხრა, არ გამომართვა. ვინაობა ვერ ვკითხე, მომერიდა.

თბილისი, ივლისი, 2002 წ.

ნილოსის ნიანგები

აბაშის წყალსა და ცხენისწყალში 23 ათასი

აბისინიელი აბაში და 35 ათასი ცხენი დაიხრჩო

ცხენისწყლისპირული ლეგენდა

იმერეთი და ცხენისწყალი თავადაა ლეგენდა და ლეგენდების შემოქმედი.

ზაფხულის გაგანია ცხელ დღეში შუადღის მზემ ისევ შემაგდო ცხენისწყლის კალაპოტის ჩემ საჩრდილობელ ბუნაგში.

მოხერხებულად მოვეწყვე ცხენისწყლის ძველი კალაპოტის გავარვარებულ ღორღიანსა და ქვიშიანში. ჩემს თავზე ეგვიპტური პირამიდებივით წამომართულიყვნენ უპატრონოდ მიგდებული ასფალტის ქარხნის ბეტონის კოშკები და მათი უზარმაზარი ჩრდილები.

აფხაზეთი ამეკვიატა, ფიქრში ჩამძინებია.

* * *

სრულიად ახალგაზრდა ფარაონის მოულოდნელი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში აირია აყვავებული ეგვიპტე. ტახტისთვის ბრძოლაში არა მარტო ქურუმები და ფარაონის ახლობლები, არამედ ეგვიპტის მრავალრიცხოვან ტომთა ბელადებიც ჩაებნენ.

ყოველივე ეს ხდებოდა სასახლეებში, ოაზისებში, ხალხისგან თვალს მიფარებულ ადგილებში.

და აი, ფარაონის და მუმიების და პირამიდაში დაკრძალვის გრანდიოზული სანახაობის დღეს, რომელშიც ეგვიპტის თითქმის მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა, გაცხადდა ეგვიპტის ახალი

ფარაონის ვინაობა. იგი **სპეციალურად მოწყობილ მაღალ ტრიბუ-**ნაზე გამოჩნდა ფარაონის სამოსლით, კვერთხით და გვირგვინით.

ირგვლივ ყველაფერი ოქროში ცურავდა. გვერდით ქურუმთა მეთაური ედგა, წინა ფარაონის დროინდელი ქურუმთა ქურუმი. მან გამოაცხადა, რომ ახალგაზრდა რამზესს მემკვიდრე არ დარჩენია, მისი და-ძმანი ომში დაიხოცნენ და ამიერიდან ეგვიპტის ფარაონთა ახალ დინასტიას სათავეში ჩაუდგება ნილოსის ზედა წელის ქვიშის ტომთა ლიდერი ადადი, ელვა-ქუხილის, წვიმის და წყალდიდობის ღმერთის შვილი.

არ წყდებოდა ოვაცია.

ბედნიერი ხალხი ხალისიანი ბრუნდებოდა შინ; მონები მონათა სადგომებში, მდიდრები სასახლეებში, ქურუმები საქურუმოებში, ვაჭრები სავაჭროებში.

მხოლოდ ქურუმთა ქურუმი ჩაიკეტა თავის ტაძარში. მას არ ასვენებდა საკუთარი წვლილი და ცოდვა მეგობარი ფარაონის რას დაღუპვაში და ამ უცნობი ფარაონის უცნაური თვალები, ყბები, მიხვრა-მოხვრა, რომელსაც რაღაც მტაცებლური ნირი დაჰკრავდა.

– ვინაა, საიდან მოვიდა, როგორ მოახერხა ფარაონის უზარმაზარი და გავლენიანი კლანის განადგურება?

– ნუთუ ფარაონი არ არის ადამიანი, ანუ ეგვიპტელი?

ინსტინქტით ხვდებოდა, რაღაც შავმა ძალებმა იმუშავეს და ეგვიპტის განსაცდელი მზადდებოდა.

მოვლენათა დაკვირვება და ლოდინი არჩია. თავისი რჩეული მსტოვრების ჩასმა გადაწყვიტა ყველა სახელისუფლო სტრუქტურაში, ფარაონის სასახლესა და ტომებში, მომთაბარე ტომთა გაერთიანებებში.

პირველი, რამაც ის გააკვირვა ის იყო, რომ ნილოსის ზედა წელის ქვიშის ტომის ყველა უფროსი უცნაური სენით დახოცილიყო.

მეორე დარტყმა ქურუმთა ქურუმისთვის იყო მისი საუკეთესო მსტოვრების უცნაური გაუჩინარება.

ერთ კვირაში ახალი **ფარაონი დარბაზობაზე გამოვიდა და რამ-**დენიმე პირობა წამოაყენა:

– ძველი ფარაონის კარის საქმეები შეესწავლათ და კარისკაცები დაეხოცათ;

– სახელმწიფოს ყველა სამსახურში მოვიდოდნენ ახალი ფარაონის მეგობრები, ამასთან მხოლოდ ფარაონის დასტურით;

– ეგვიპტის შემოსავალ-გასავლის ერთადერთი გამგებელი ხდებოდაო ფარაონი, ამასთან ხაზინაში ფულადი შემოსავლების

გაზრდის მიზნით დამატებით უნდა დაებეგრათ ყველა, ვინც რამენაირ საქმიანობას ეწეოდა;

– თითქოსდა დიდი ხარჯების გამო წყდებოდა ყოველგვარი პირამიდის და საკულტო ნაგებობის მშენებლობა, სანაცვლოდ ეგვიპტის ყველა დასახლებულ და დაუსახლებელ ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო გადაბრუნებული პირამიდები, ანუ ამოეთხარათ უზარმაზარი ორმოები და წყლით გაევსოთ;

– ეგვიპტელი ხალხის უფლებების დაცვას კისრულობდა პირადად ფარაონი, იგი ითავსებდა უმაღლეს მართლმსაჯულებას, კანონმდებლობას, მხედართმთავრობას;

– ყველა ეგვიპტელი ქალი, 13 წლის ასაკიდან, ცხადდებოდა ფარაონისა და მისი გარემოცვის განკარგულებაში;

– ყველა ეგვიპტელი ქალწული ამიერიდან ფარაონის კარის საკუთრება ხდებოდა;

– ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ყოველგვარი უკმაყოფილება, ჯანყის მცდელობა ფარაონის და მისი გარემოცვის წინააღმდეგ სიკვდილით ისჯებოდა; რადგანაც ფარაონი ღმერთის შვილი იყო, იზღუდებოდა ქურუმთა უფლებები და მათი ყოველგვარი საქმიანობა უნდა შეთანხმებულიყო ფარაონის გარემოცვასთან.

– ფარაონი ყველა თავისუფალ ეგვიპტელს აცხადებდა უმაღლეს ღირებულებად ქვეყანაში;

– ხალხთან მოთათბირების გარეშე არც ერთი სახელმწიფო საკითხი არ უნდა გადაწყვეტილიყო;

– ეგვიპტეში აიკრძალა ყოველგვარი სამუშაოს შესრულება ღამის 12 საათის შემდეგ, მათ შორის მონებისთვის, ამ წესის დარღვევა ისჯებოდა სიკვდილით;

– ქვეყანაში დაწესდა ფარაონის დიდებისადმი მიძღვნილი 31 დღესასწაული, რომელიც ცხადდებოდა საზეიმო და უქმე დღედ, გრანდიოზული სანახაობითი ღონისძიებებით, კვებით და გართობით.

ერთი კვირის შემდეგ ეგვიპტეში დამატებით გავრცელდა ფარაონის ახალი კანონი:

– იკრძალებოდა საჯაროდ სიკვდილით დასჯა, სიკვდილმისჯილი უნდა გამქრალიყო და ამას განახორციელებდა ფარაონის სპეციალური სამსახური;

– ყოველ ორსულ ეგვიპტელ ქალს უნდა ემშობიარა სპეციალურ დაწესებულებაში ფარაონის ადგილობრივი რწმუნებულის თანდასწრებით;

– ხელისუფლების ნებართვის გარეშე არ იყო დაშვებული არანაირი სამუშაოს წარმოება ნილოსის სანაპიროზე, ნიანგებზე ნადირობა;

– ეგვიპტელი ხალხი ცხადდებოდა თავისუფალ ერად.

ხალხი ზეიმობდა, ადიდებდა ფარაონს, მის გარემოცვას, თუმცა ძალიან უჭირდა მზარდი გადასახადების გადახდა. ღამის შრომის აკრძალვამ, პირამიდების მშენებლობის შეწყვეტამ, შეაჩერა ხალხის დასაქმება, ქვეყნის სიმდიდრის ზრდა. ოდესღაც აყვავებული ცხოვრება აუტანელი ხდებოდა.

სამაგიეროდ 31 საზეიმო დღე ხალხს ავიწყებდა ყოველგვარ გასაჭირსა და სიდუხჭირეს.

ადამიანთა უმეტესობას მოსწონდა ახალი ფარაონის კანონები.

* * *

განაწყენებულ ქურუმთა ქურუმს არ ეძინა. მიხვდა, რომ უცხო, სასტიკი, ვერაგი, დაუნდობელი, მისტიკური აზროვნების და მოქმედების ძალები დაეპატრონნენ ეგვიპტეს. მათ ფეხებზე ეკიდათ ხალხის ბედი და ცდილობდნენ ნამდვილი ეგვიპტელი ხალხი გამქრალიყო ეგვიპტიდან, თვითონ კი ეცხოვრათ ფუფუნებაში.

მათ არ სწამდათ არანაირი ღმერთი.

ქურუმის ნდობით აღჭურვილი ადამიანები გავიდნენ მეზობელ ქვეყნებში, ცდილობდნენ მათ ღმერთებთან დაკავშირებას, მოსალოდნელ საფრთხეზე გაფრთხილების მიღებას.

ქურუმთა ქურუმი ელოდებოდა სასწაულის რაიმე ნიშნის გამოჩენას, დღედაღამ ლოცულობდა, ეგვიპტის ღმერთებს შესთხოვდა ქვეყნის გადარჩენას.

წლის ბოლოსთვის უკვე გამოჩნდა სასწაულის რაღაც ნიშნები:

– ეგვიპტის ყველაზე რჩეული ქალები ქრებოდნენ უკვალოდ;

– ხელისუფლებაში, ქვეყანაში მომრავლდნენ ადამიანები, რომელთა სახეზე მახვილი თვალი შეამჩნევდა წამოწეულ თვალებს, უჩვეულოდ განვითარებულ ქვედა ყბებს, მახვილ კბილებს;

– ყველა ქალწული, ახალგაზრდა ქალი მათი იყო, ამასთან მათთან კავშირს საჯაროდაც არ ერიდებოდნენ;

– რამდენიმე მივარდნილ სოფელში, ადგილობრივ ხელისუფალთაგან შეუმჩნევლად, ფეხმძიმე ქალებმა დადეს კვერცხები, რომლებშიც პატარა ნიანგები ისხდნენ;

– ეგვიპტეში, ტრადიციების ქვეყანაში, შესამჩნევი გახდა ქალების არ გაგონილი სქესობრივი ლტოლვა ფარაონის ხელქვეითებისადმი, ამასთან მათი უმეტესობა რამდენიმე თვეში უგზოუკვ-

ლოდ იკარგებოდა;

ხმა დაირხა, დღისით სასახლეებსა და ღამით ნილოსის ნაპირებზე, ცას წვდებოდა ეგვიპტელ ქალთა განწირული წივილ-კივილი.

გადაყირავებული პირამიდები წყლით გაივსო და ნიანგებით გაიჭედა, რომლებიც მხოლოდ გვიან ღამით გამოდიოდნენ სანადიროდ. უამრავი ოაზისი გაშენდა, მაგრამ შეშინებული, შიმშილით გაძვალტყავებული ეგვიპტელები გარბოდნენ იქიდან.

უსაქმური მმართველები კი მრავლდებოდნენ და მრავლდებოდნენ, ყველგან ისინი იყვნენ, აღარ დარჩა მხვნელი და მთესველი, მშენებელი თუ ხელოვანი.

დიადი ეგვიპტური ცივილიზაცია, კულტურა, ათასწლოვანი ტრადიცია კვდებოდა!

ქვეყანაში წესად იქცა სიცრუე, ტყუილი, თვალთმაქცობა, თაღლითობა, აღვირახსნილობა, მოჩვენებითობა ყველგან და ყველაფერში და ეს კეთდებოდა თითქოსდა ხალხის ნებით და ხალხის სახელით.

ქურუმთა ქურუმს ეჭვის ჭია არ ასვენებდა, ეგვიპტეში გაიმარჯვა არნახულმა და არგაგონილმა ტირანიამ, რომელსაც დაღუპვამდე მიჰყავდა ეგვიპტის სახელმწიფო.

* * *

ორ წელიწადში ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი, ხაზინა ცარიელდებოდა, გვალვები არ ცხრებოდა, მომები შიმშილობდნენ.

გამოსავალი მოინახა. ფარაონმა პირადი გვარდია შექმნა, რომელიც მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებს მუსრს ავლებდა. გამარჯვების ძირითადი მიზეზი საბრძოლო ტაქტიკა იყო. უცხოელთა აზრით, ეგვიპტელებმა შეძლეს ნიანგების მოშინაურება და ბრძოლაში გამოყენება.

ასეთი რამ მრავალნანახ აღმოსავლეთს არ ახსოვდა.

ყველაზე უძლიერესი უცხოური არმიებიც კი ვერ უმკლავდებოდნენ ნიანგთა ასეულებით შეიარაღებულ ეგვიპტურ არმიას, მათ საბრძოლო ეტლებს. ეგვიპტელები დღისით იშვიათად იბრძოდნენ, მაგრამ ღამის ბრძოლებში მიაღწიეს უძლიერესი მეზობელი სახელმწიფოების განადგურებას.

ეგვიპტეს ამბიციები გაუჩნდა, აურაცხელი ოქრო-ვერცხლით, ნაალაფევით, ტყვე ქალით და კაცით გაივსო ეგვიპტე.

ადგილობრივი მოსახლეობა კი ილეოდა შიმშილისგან, გაჭირვებისგან; ისინი ტოვებდნენ ეგვიპტეს, მშობლიურ ადგილებს.

შეძრწუნებული ქურუმთა ქურუმი, შიშმა შეიპყრო. მან ზუსტად იცოდა, რომ ფარაონის გვარდიაში არ ჰყავდათ გაწვრთნილი საბრ-

ძოლო ნიანგები; მან კარგად იცოდა, რომ ნიანგების მოშინაურება და გაწვრთნა შეუძლებელი იყო.

ქურუმთა ქურუმი მოქმედებაზე გადავიდა. გულწრფელად მოინანია მეგობარი ფარაონის მიმართ ჩადენილი ცოდვა და ლოცვა-კურთხევით, მსხვერპლშეწირვებით მოინადირა ეგვიპტისა და მეზობელი ქვეყნების ღვთაებათა გულები.

აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის ახლო და შორეული ქვეყნების ყველა ღმერთმა საიდუმლოდ მოიყარა თავი ეგვიპტეში. შეკრებას ესწრებოდნენ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ზეცის შვილები: აი, მცენარეთა ქალღმერთი, ანუ – ზეცის უზენაესი ღვთაება, ანუნაქები – მიწის და მიწისქვეშეთის უფალი, აშნანი – პურის ქალღმერთი, ენლილი – ჩრდილოეთის უზენაესი, ცის და დედამიწის მეუფე, ეიტი – დედამიწის, ზღვის, წყლების, წყაროების და სიბრძნის განმრიგე.

შეშფოთებულმა ღმერთებმა დახმარება აღუთქვეს ეგვიპტის სულიერ წინამძღოლს.

ქურუმთა ქურუმმა გაბედული ექსპერიმენტი ჩაატარა. ენთუმები, ულამაზესი ქალწულები, ღვთის ქალბატონები და ღვთის ხასები ფარულად მიუგზავნა ფარაონს და მის გარემოცვას.

სილამაზის ცდუნებას ვეღარ გაუძლო ფარაონმა, არც მისმა ხელქვეითებმა: მათ ველური, ყოვლად გარყვნილ კავშირები დაამყარეს ენთუმებთან. ზოგი მათგანი ცოცხლად გადარჩა და ქურუმთა ქურუმს თვალი აუხილა.

მის მსტოვრებსაც მოჰქონდათ უცნაური ამბები.

ქურუმთა ქურუმის ეჭვი დასტურდებოდა, ფარაონი და მისი ხალხი მზის ნათელში ადამიანები იყვნენ, ბნელში ნიანგები ხდებოდნენ და ნილოსში ეშვებოდნენ. თავიდან, შეყვარებული ქალები თან მიჰყავდათ და ნილოსში მიირთმევდნენ, შემდეგ ქალებისადმი ადამიანური გრძნობები გაუჩნდათ და ფეხმძიმე ქალებს ნილოსში აყრევინებდნენ კვერცხებს.

ქურუმთა ქურუმმა უკვე ყველაფერი იცოდა, ნიანგები მართავდნენ ეგვიპტეს!

ეგვიპტე ხალხისაგან დაიცალა.

ფულსა და ფუფუნებაში ნებივრობდნენ ნიანგები!

ნიანგთა ზეობის მესამე წელიწადი იწურებოდა.

* * *

ქურუმთა ქურუმი დაელოდა მზის დაბნელებას და რისკზე წავიდა. როცა მზის დისკი მთლიანად დაიფარა და ღამემ მოიცვა ქვეყანა, ფარაონს ადამიანური გონება მოუდუნდა და ნიანგის ჭკუაღა შერჩა, მან თვალსა და ტანში მახვილი აძგერა ფარაონს. იგი მოცელილივით დაეცა. გამართლდა მისი ვარაუდი, უწმინდური ძალების წყალობით მაგიური ძალა მხოლოდ ფარაონ ნიანგს გააჩნ-

და, სხვები არარაობას წარმოადგენდნენ მისი გარეშე და უმალ დაიფანტნენ.

ქურუმთა ქურუმმა ეგვიპტის სახელმწიფო ტრადიციებით ჰებ-სიდი, **ანუ დაუძლურებული ფარაონის რიტუალური სიკვდილის** ცერემონიალი ჩაატარა და ახალი დინასტიის გამოჩენამდე თავისთავზე აიღო ფარაონის ტვირთი, რადგან ქვეყანაში გაჭირდა ნამდვილი, სისხლით წმინდა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ეგვიპტელის მონახვა და აღზევება.

მზე მთელი მისი ძალმოსილებით ისევ აკაშკაშდა ეგვიპტის ცაზე.

იმ დღემ ეგვიპტეში ყველაფერი შეცვალა.

– უდაბნოებს, მთებს, ჭაობებს შეფარებული ადამიანები უბრუნდებოდნენ მშობლიურ ადგილებს;

– ყოფილი ქალწულები, ცრემლებით იხსენებდნენ უჩვეულო წამებას და იშუშებდნენ ჭრილობებს;

– ფეხმძიმე ქალები დებდნენ კვერცხებს და იქვე სრესდნენ საკუთარი ფეხებით.

ხელახლა იქმნებოდა ეგვიპტის ხალხი, ეგვიპტური ერი, ეგვიპტური სახელმწიფო.

მალე ნამდვილი ეგვიპტელი ფარაონი გამოინახა.

ეგვიპტეში ფარაონთა ახალი დინასტია დაიწყო.

* * *

შიშმა გამაღვიძა. საათს შევხედე, სულ ხუთი წუთი მძინებია. ოი, რა არის ადამიანის გონება: სად მე, სად ნილოსი, სად ნიანგები, ფარაონები, ღმერთები, ტირანები და ქურუმები. დავიფიცე, სანთელი ამენთო მამაზეციერისთვის.

იმავე საღამოს სამტრედიის ილორის ეკლესიაში სამი წმინდა სანთელი ავანთე უფლის და სრულიად საქართველოს სადიდებლად.

ერთი უბრალო დასკვნაც გავაკეთე ჩემთვის: იმერეთის მზე და მიწა, ცხენისწყალი, მისი ჭალები, შენაკადები, მართლაც არის საოცარი მუზის წყარო რაციონალურის თუ ირაციონალურის, ჭეშმარიტის თუ ფანტასტიკურის შემკრები და დამაახლოებელი.

ამიტომ შეიქმნა, ალბათ, ცხენისწყალსა და იმერლებზე, ამ წმინდა მიწასა და ხალხზე, ამდენი უკვდავი ლეგენდა, ზღაპარი, მოთხრობა.

ჩემო **ცხენისწყალო, დალოცვილი იყოს შენი წყლის თითოეული** წვეთი, მიწის ყოველი გოჯი, ღორღის ყოველი კენჭი, ქვიშის ყოველი მარცვალი.სამტრედია

სამტრედია, ნოემბერი, 2004 წ.

30 სექტემბერი

30 სექტემბერს, საღამოს, ათეულ ათასობით აფხაზეთის მკვიდრი ენგურის მარცხენა ნაპირიდან შესცქეროდა აფხაზეთში ქართველებზე გამარჯვების ფეიერვერკს, აფხაზეთის გაშავებულ ცაზე სალუტით გამოყვანილ კაშკაშა „აფსნის“.

გიზგიზებდნენ აალებული სახლები, კვამლის მრუმე ბოლქვები ბატონობდნენ ენგურს გაღმა. ზღართანით ეშვებოდა მიწაზე დამდნარი ალუმინის ლავა, წიოდნენ შიფერის ნამსხვრევები, ბღაოდა გაოგნებული საქონელი, ყმუოდნენ ძაღლები.

ენგურის ხიდის იქითა მხარეს ზეიმობდნენ გამარჯვებული ჯარისკაცები. **ქუხდნენ ტანკები, გრიალებდნენ ქვემეხები, კა-**კანებდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები, აფორიაქებულ ენგურში უჩინარდებოდნენ ცეცხლისკუდიანი ჭურვები.

გამოღმაც ფეხზე იდგა ყველა, ვისაც ფეხზე დგომა ჯერ კიდევ შეეძლო, ვინც არ განერიდა სიკვდილივით მძიმე სატკივარს: **წინა-**პართა საფლავების, სახლ-კარის მიტოვებას, უგუნურთა ცეცხლით თაობათა ნაოფლარის განადგურების საკუთარი თვალით ხილვას. მკრეხელობაა ასეთი შედარება, მაგრამ, ყველას გულს ეამა, როცა მრავალ **ნანახმა, ბერლინამდე ომით ნატანჯმა კაცმა თავისთ-**ვის, მაგრამ ხმამაღლა ჩაიბურტყუნა: უდედმამოს ობოლი ჰქვია, მეუღლე დაკარგულს ქვრივი, მაგრამ შვილის დაკარგვას სახელი არა აქვს, ისევე, როგორც საკუთარი სახლიდან ძალით გაგდებას, ამიტომაც ჩვენს ენაში სიტყვა არ არისო ამგვარი ძალადობის გამოსახატავად. რაც გვჭირს, ჯერ არ ვიცით, ამას ხვალ და ზეგ მივხვდებითო.

ადამიანები ადამიანებს არ ჰგავდნენ, რადგანაც საყოველთაო შოკი, მასობრივი ფსიქოზი, გამოწვეული უძლურებით, უსასოობით და, იმავდროულად, სტიქიად ქცეული მრისხანებით, გასაქანს ვერ პოულობდა და გაორებულ ადამიანთა გულებში ცხოველურ ბოღმად მძვინვარებდა.

ერთი დაძახება, ერთი ნაპერწკალი იყო საჭირო, რომ ამ ხალხს გონება დაეკარგა და კალიასავით შესეოდა გაღმა ნაპირს, რათა კბილებით დაეგლიჯა, ხელებით მიეხრჩო გალეშილი ლანდები, მაგრამ ასეთი მოწოდება არ იყო უფლის ნებით და ჩვენდა საბედნიეროდ; ჩვენ ხომ ღმერთის რჩეული უძველესი ქრისტიანები ვართ, რომელთაც გენეტიკურად გვაქვს გათავისებული ჟამი ომისა, ჟამი მოთმინებისა, ჟამი მიტევებისა, ჟამი ნგრევისა, ჟამი შენებისა.

შუაღამისას თანდათან იშლებოდა ზღვა ხალხი. საკუთარი ოჯახისთვის თავშესაფარს ეძებდა თითოეული, თუმცა ენგურს

გამოღმელ მათსავე სისხლსა და ხორცს თავისი შვილების რბილი და თბილი საწოლები უკვე გამზადებული ჰქონდა დევნილი და ღვინოსა და ხმიადს უნაწილებდა სასომიხდილ ადამიანებს.

მთელი ღამე სანთლები არ ჩამქრალა ზუგდიდის კარის ეკლესიაში, სრულიად საქართველოს ღვთის **მსახურები უფალს ევედრებოდნენ** აფხაზეთის მოსახლეობის გადარჩენას, საქართველოს გამთლიანებას.

აფხაზეთში დიდი დამარცხებით, ათასჯერ უფრო დიდი გამარჯვება იქნა მოპოვებული. გაღმელებმა და გამოღმელებმა, მთელმა ქვეყანამ საკუთარ თავზე იწვნია გათიშულობის, მოყვასის მტრობისა და ძმათამკვლელი ომების ფასი თბილისში, ცხინვალში, სამეგრელოსა თუ აფხაზეთში. ეს იყო უფლის ნიშანი, გამოცხადება, რომელმაც გაგვაფრთხილა უფსკრულისკენ დაქანებულნი, რათა გონს მოვსულიყავით.

ქვეყანამ გამოფხიზლება იმ ღამეს დაიწყო, თუმცა სატანის შვილებს ასე ადვილად ვერ დააოკებ და კიდევ დიდხანს არ დამშვიდდება საჯოჯოხეთოდ გამზადებული ჩვენებური მავანიც.

მაშინ უმეტესობას უნდოდა ერწმუნა, რომ აფხაზეთის დაცემით საქართველოს მკვდრეთით აღდგომა იწყებოდა; ქვეყნისთვის მსხვერპლად შეწირულ აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს ღმერთი არ გაწირავდა, მალე დიდებით დაუბრუნდებოდნენ დედა სამშობლოს, მკვდრეთით აღდგებოდა გარდასულ დღეთა ცხოვრება, აგვამაღლებდა აფხაზეთისთვის თავშეწირულ შვილთა სულები.

და მაინც როდის?

ეს სუსტი ადამიანების შეკითხვაა, რომლის პასუხი, მამაც, უფლის გზას შემდგარ ადამიანებს უკვე აქვთ:

აფხაზეთი დაუბრუნდება დედა სამშობლოს, მაგრამ ეს ადვილი არ იქნება, რადგანაც მტერი ვერაგია, ძლიერი და საშიში;

– აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა შეიძლება, მოვინანიებთ, მოინანიებენ და ნდობაც აღდგება;

– ძნელი სათქმელია როგორ მოიქცევიან, მსოფლიოს დიდი მოთამაშეები, ვინც დაგეგმა და განახორციელა ყოველივე ეს თუ ჩვენ ერთნი არ ვიქნებით.

ამ კითხვაზე პასუხი არც მაქვს.

მაშფოთებს ჩვენი, აფხაზეთის ქართველობის, ძველი და ახალი ბედკრული წარსული. ამ ღამეს ეს არავის ახსოვს, მაგრამ ხომ არსებობდა აფხაზეთიდან ქართველთა გაძევების „მცოცავი“ გეგმა, რომლის განხორციელება ხანგრძლივ პერიოდზე იყო გათვლილი. 2-3 საუკუნეში. ჯერ მდინარე ბზიფამდე გააფსუეს საქართველოს აფხაზეთი, შემდეგ კელასურამდე, შემდეგ კოდორამდე, ბოლოს

ენგურამდე, თუმცა სამურზაყანოს ვერაფერი მოუხერხეს. დღეს კი, ამჟამად და ახლა, სამურზაყანოც დაცალეს უკანასკნელი ქართველისგან.

საბედიანოს **დაკარგვას ისტორიკოსებმა თავის დროზე „საბედი-**ანოს დასასრული“ უწოდეს, რაც გუშინ და დღეს მოხდა გალის და ოჩამჩირეს რაიონებში, „სამურზაყანოს დასასრული“ დაერქმევა ალბათ, და ეს ასეც იქნება თუ ქართველობამ ერთი მიზნის ქვეშ დადგომა ვერ მოახერხა. ეს კი ომში სამარცხვინო დამარცხება-ზე უფრო მაშინებს. მსგავსი რამ ჩვენი ეროვნული უბედურებაა ხანდახან, რის გამოც დავკარგეთ საქართველოს ლამის ნახევარი!

ღმერთმა დაგვიფაროს!

ვცდილობ დავიძინო უცხო ლოგინში. ძნელია. ვინ ვარ მე ახლა, ვინ არიან ჩემნაირი ათასები და ათასები. თავშესაფარს ვეძებ ჩემთვის კაცი თუ არაკაცი, ადამიანი თუ არსება, რომელსაც ყველ-აფერი წაართვეს და სულიც გაუძარცვეს? ღირსებით შემკული თუ უღირსი? მამაცი თუ ლაჩარი? ცოცხალი თუ მკვდარი? აფხაზეთის ღირსი თუ აფხაზეთისთვის ზედმეტი?

ჩამძინებია. თენდებოდა, როცა გამეღვიძა. ამ დილით მე არც სახელი მქონდა, არც წარსული, არც მომავალი.

ვცდებოდი. მოგვიანებით ხალხი დადიოდა და ლტოლვილებს უხმობდა შეკრების ადგილებში.

აი, თურმე, ლტოლვილი ყოფილა ჩვენი სახელი და გვარი.

რამდენ ხანს ვივლით დუნიაზე ამ სახელით, არავინ იცის.

* * *

ოქტომბერი იდგა, აფხაზეთში ჭირნახულის აღების დრო.

დარჩელი, 1 ოქტომბერი, 1993 წ.

ქალის სურნელი

გიორგი ომიდან დაბრუნდა. გუდავიდან შორს იყო ფინეთის და მოსკოვის, როსტოვის და სტალინგრადის ყინულოვანი სანგრები, დახოცილი მტრები და მოყვრები, ორიოლის გაუგონარი ზაფხული და ნაჩქარევად გათხრილი ძმათა სასაფლაოები.

გაუჭირდა გიორგის, ზედმეტ კაცად იგრძნო თავი, თანაც აქ არავინ იძლეოდა ბრძანებას: სადილი! დაწექი! ადექი! წინ! ცეცხ-ლი! შეტევა! უკან!

ქალებს და ბავშვებს შერჩენოდათ სოფელი, მათაც შავები ეცვათ, გაღიმებულს ვერავის ნახავდი.

გუდავაში ყიოდნენ შრომისგან ქანცგაცლილ ადამიანებს მამლები ახსენებდნენ ახალი დღის დაწყებას.

ომამდე საყვარელი ზღვა მოწყენილი, მრუმე და პირქუში გამხდარიყო.

ჯერ კიდევ ომში იყო გიორგი, არ უნდოდა დაჯერება, რომ მიწა არ იძროდა, ჭურვები არ სკდებოდნენ, ტანკები არ ღმუოდნენ, არავის არ ჰკლავდნენ, არავინ არ იყო დასამარხი.

ერთ მესამედზე მოწყვეტილი მარჯვენა მკლავი ახსენებდა, რომ ის ჯარისკაცად არ ვარგოდა. ჯარში წესობდა წესი, თორემ მას დივიზიის შტაბიდან არ უშვებდა მეთაური.

სკოლის დირექტორად დანიშნეს. სოფლის ფიცრულ სკოლას უფროსკლასელ ვაჟებთან ერთად სასექტემბროდ ამზადებდა, როცა კარებთან სამხედრო კომისრის მანქანა გაჩერდა და იქიდან ორი ახალგაზრდა ეახლა.

– გიორგი, ამხანაგო პოლკოვნიკო, აი სტუმრები თბილისიდან, საქმე აქვთ, მიიღე და უმასპინძლე, აბა შენ იციო და ქალები გააცნო გიორგის.

– არის ამხანაგო მაიორო და სტუმრების გამოწვდილ უჩვეულოდ ნაზ ხელებს თავისი უხეში მარცხენა შეაგება.

– უკვე გვიანაა, არ შეგაწუხებთ ხვალამდე, ღამის სათევს თუ გვიპოვიო სადმე, მორცხვად თქვა ლიამ.

– ჰო, დაფიქრდა გიორგი, ჩემთან, დედიკოს და ზღვას გაგაცნობთო.

ზედ ზღვაზე ცხოვრობდა გიორგი. როცა ბრაზობდა ზღვა, ქვიშა შემოჰქონდა მის თხილნარში.

ვაშლი და მსხალი ეყარა ეზოში, სიწითლე შეპარვოდა ადესის მტევნებს, ალაგ-ალაგ მწიფე ლეღვები უღიმოდნენ სტუმრებს.

დედამისივით მშვიდი იყო ზღვა, ქალებმა უმალ იპოვეს სასაუბრო თემა. ფეხზე გაიხადეს, მოგვენატრაო მიწა.

გიორგი მოიხიბლა საოცრად თეთრი ფეხებით, ძველ ნოხზე ჩამომსხდარი ქალების სქელი თეძოებით, თუმცა ცდილობდა არ მიექცია ყურადღება. ახლა ის მასპინძელი იყო.

ბინდბუნდში, როცა მზე მოემზადა ზღვაში საბანაოდ, სუფრა გაეწყო ზღვის ნაპირზე დიდი ხეების ქვეშ. ქალები ზღვაში გადაეშვნენ.

ქოშინით ამოვიდნენ წყლიდან, ქვიშაზე გაიშხვართნენ. გაშლილი შავი თმები მკაფიოდ წარმოაჩენდა მზემოუკიდებელი ქალების ქათქათა კანს, მოქნილ მხრებს, ქანდაკების სადარ ბარძაყებს, მუხლისთავებს.

გიორგი თავჩაქინდრული იჯდა სუფრასთან, უხალისოდ უსმენდა მის მიერ მოწვეულ მეზობელ მოხუცს და დედამისს, რომელიც გაუთავებლად ბოდიშობდა ვახშმის დაგვიანებაზე, თუმცა ორი დედალი და გოჭი უკვე შიშხინებდა მეზობელი ქალების კერიებზე.

გიორგი გონებაში ხედავდა ომის ქალებს. მათ ოფლის, ჭუჭყის, სისხლის სუნი ასდიოდათ. გიორგისთვის ისინი მხოლოდ მედიცინის დები იყვნენ, სხვა თვალით გიორგის არასოდეს შეუხედავს მათთვის, არც იყო ამაზე ფიქრის დრო და განწყობა. კარგად ახსოვს ისიც, რომ მომაკვდავ მეომარ ქალებსაც არავინ შეუძვრებოდა უბეში, ერიდებოდათ ქალის, როგორც ღვიძლი დის, დედის, ახლობლის.

რაღაცნაირ უხერხულობაში იყო გიორგი, ახლა მის ეზოში ორი მშვენიერი არსება კისკისით დატანტალებდა ქვიშაზე, დასდევდა ერთ მეორეს, ჭიდაობდნენ ერთმანეთში, ხან ერთი იგრიხებოდა ქვიშაზე, ხან მეორე.

დედამ გააგდო გიორგი მაგიდიდან, მიხედე სტუმრებს, კაცი ხარო მაინც. გიორგი პერანგის გაუხდელად შევიდა წყალში, ამოვიდა და სტუმრები მიიწვია სუფრასთან.

არ გაგვიცივდეთო, თქვენი ჭირიმე, ორი თეთრი ზეწარი შემოიტანა მეზობლის ქალმა და მოახურა გოგონებს.

სტუმრებმა გაიწიეს, გამოიწიეს და მათ შორის დასვეს გიორგი.

გუდავაში არ ირჩევენ თამადას, ტერენტის ეკუთვნოდა ასაკით.

* * *

სტუმრებმა წარადგინეს თავი – ლია საქართველოს განათლების სამინისტროს უფროსი ინსპექტორია, ნანა კი ინსპექტორი.

სტალინგრადის შემდეგ ბელადს თავისი თავისთვის მიუცია უფლება, რომ ეფიქრა მისი სახელმწიფოს განათლების და კულტურის საკითხებზე. უბრძანებია, შეისწავლეთო სკოლებში მამაკაცების რაოდენობა, რამეთუ ომმა დააცარიელაო განათლების სისტემა კაცებისგან, რაც მას არანორმალურად მიაჩნდა. მთავარსარდალი მზად იყო ფრონტებიდან მოეხსნა პედაგოგები და სკოლებში დაებრუნებინა, ამასთან მამაკაცი მასწავლებლები არ გაეწვია ჯარში. ქალბატონების გუდავაში ჩასვლის მიზანი ამ საკითხის ადგილზე შესწავლა იყო. სამინისტროს სამუშაო ჯგუფები საქართველოს ყველა სოფლებში იყვნენ მივლინებული. ბელადს მიაჩნია, განაგრძო ლიამ, რომ აღზრდა და განათლება კონსერვატიული სისტემაა, რომლის მექანიკური ხელყოფა დაუშვებელია,

რაზედაც ხვალ ვისაუბრებთო სკოლის დირექტორთან. შემდგომ ამ თემას არ მიბრუნებულან.

მეტად ბრძენი კაცი იყო ტერენტი, პირველი დიდი ომის მონაწილე.

თამადა იტყოდა, ყველა სვამდა.

საშინელ დღეში იყო გიორგი. ლიას სურნელი ათრობდა, მოშიშვლებული მკერდი გონებას აკარგვინებდა. ასეთი რამ ადრე არ უგრძნია.

შეეშინდა ქალის, წამოდგომა უჭირდა.

სტუმრებმა ხელი ჩაავლეს ისევ, საბანაოდ წაიყვანეს გიორგი.

დაბრუნდნენ, გიორგის სთხოვეს პირსახოცით ზურგის შემშრალება.

გაუჭირდა ჯარისკაცს, მაგრამ უარს ვერ იტყოდა თხოვნაზე.

ლიფის ბუდეებში ელავდნენ ლიას მზეუნახავი ძუძუები.

თავისი გულის ხმა ესმოდა გიორგის. ლიას შავი თვალების და სველი თმის სურნელის ატანა შეუძლებელი იყო.

ქალებზე ადრე დაბრუნდა სუფრასთან, თან მოჰყვებოდა ლიას სურნელი. გიორგი სკამზეც ვერ პოულობდა ადგილს.

გადახედავდა ნირწამხდარ გიორგის და ეშმაკურად აფახულებდა გრძელ წამწამს, გამჭოლად უმზერდა ნანა.

ორშაბათი დაიწყო და დაასრულა თამადამ თამადობა.

დასაძინებლად წავიდნენ მეზობელი ქალები, მოიბოდიშა და თან მიჰყვა თამადაც.

სტუმრები არ აპირებდნენ დაძინებას, ეტყობა, ომმა და სამხედრო წესებმა დაღალეს ადამიანები დედაქალაქშიც.

გრძნეული და თბილი მთვარე აჯადოებდა ყველას და ყველაფერს. ჭრაქი ზედმეტი იყო, მნათობის მკრთალი ვარდისფერი ათოვდა არე-მარეს.

სიყვარულის სადღეგრძელო წარმოთქვა გიორგიმ. ენა დაება, გაუჭირდა პოეზიის და სანგრების ერთმანეთთან მიბმა. ქალის სურნელი უბნევდა გონებას.

ნანამ საბანაოდ წარიტაცა გიორგი. წყალში ორი ქალი ეკიდა ყელზე. არ უნდოდა ამ წუთების დასრულება. ჯოჯოხეთის ლავაში იწვოდა გიორგის სხეული სექტემბრის ზღვის საკმაოდ გრილ წყალში.

ეს არ იყო მისი ბავშვობის ზღვა.

არც სოფელი იყო ის, რაც გუშინ იყო.

ლიამ ჭიქას მოჰკიდა ხელი, უეცრად მკერდზე ეამბორა, მერე კისერზე ჩამოეკიდა და გაშლილი თმები რატომღაც სახეზე მიაყარა.

შეცბა გიორგი, ზღვის ნიავი გაუგონარ მელოდიას გალობდა თავისთვის.

მერე მუხლებამდე ქვიშაზე ცეკვავდნენ მთვარის ვალსს ლია და გიორგი.

მთვარის შუქზე ციმციმებდნენ სველი კენჭები. გიორგის არც თავი ემორჩილებოდა და არც ფეხები.

ლიას სურნელს აფრქვევდა ზღვა.

ჭიქის შევსება მოითხოვა ლიამ, მხარი აუბა ნანამ.

არაყი არ იყო სუფრაზე. გამოფხიზლდა გიორგი, დედასთან მესამედ მიდიოდა უკვე, თუმცა უიმედოდ.

არ ეძინა დედას.

იყივლა სოფლის ყველაზე მამაცმა მამალმა, განთიადი დგებოდა გუდავას.

– არ გვაქვს, შვილო, არც მეზობლებს აქვთ.

– თავი მოგვეჭრება, სირცხვილია დედა, ქენი რამე.

– დაამთავრეთ შვილო, უხერხულია, აქ ყველა შავებშია, გლოვობენ შვილო.

– ვიცი დედა, ქალებმაც იციან, მე კაცი ვარ დედა, მრცხვენია, დედა.

მიხვდა დედა, ასეთი თბილი არასდროს ყოფილა გიორგი, მებრძოლი ცალხელა პოლკოვნიკი.

– მე გეტყვი რა უნდა ვქნათ, გიორგი. ერთი ვედრო ნავთი მაქვს შვილო. ნამუსის და სახელის კაცი იყო მამაშენი, მან ააშენა ეს ქოხი, დაბერდა უკვე. გადაასხი, ჩავშალოთ სუფრა, სირცხვილს გადავრჩებით, დედა.

– გიჟი ხარ დედა, მაგრამ მაინც მაგარი ხარ, დედა.

აბრიალდა ქოხის ისლის სახურავი, იკივლა დედამ. მეზობლის ქალები შემოცვივდნენ ეზოში, უკან კაცები მოჰყვნენ.

დაიწვა საუკუნის ფიცრული სახლი. ლამაზად ჩაიშალა სუფრა. ტიროდნენ სტუმრები, ვედროებით ხელში დარბოდნენ მეზობლები.

ოდაში დააძინა დედამ სტუმრები.

არ დაეძინა გიორგის, ქალის სურნელმა და ნამწვის სუნმა არ დააძინა ერთ დროს უშიშარი მეომარი.

* * *

სკოლაში ადრე წავიდა, ყველაფერი მოწესრიგებული დახვდა.

9 საათზე ახალი სასწავლო წელი იწყებოდა.

ლია და და ნანა დაესწრნენ ზეიმს. სიტყვით გამოვიდა ლია. ის არ იყო წუხანდელი ლია. შავი თვალები ზემოდან უმზერდნენ ყველას და ყველაფერს, მათ შორის გიორგის.

მხოლოდ ნანას უციმციმებდა ლურჯი თვალები.

ბავშვების ჟრიამულმა დირექტორობას დაუბრუნა დირექტორი.

მათთვის საინტერესო საბუთები აიღეს სტუმრებმა და გაკვეთილების დასასწრებად გავიდნენ.

ლიას შავი თვალები უღიმოდნენ გიორგის კაბინეტის ფიცრული კედლის ღრიჭოებიდან, ქალის სურნელით გაჟღენთილიყო ადრე ზღვის იოდით სავსე ოთახი.

გზისკენ გაიხედა გიორგიმ. ძაძებით შემოსილი და შავი ქოლგიანი ქალები მიმოდიოდნენ.

შავი და ნაცრისფერი ნაჭრებით შემოსილი ბავშვები თამაშობდნენ ეზოში.

დაფიქრდა გიორგი, ჯარისკაცებზე არა ნაკლებ ქალები იბრძვიან ამ ომის მოსაგებად თურმეო – გაიფიქრა.

სტუმრებმაც დაუდასტურეს ეს აზრი, 23 ქალი მუშაობდა გიორგის სკოლაში და მხოლოდ ორი ყავარჯნიანი მამაკაცი.

– უძველესი ქალაქი იყო გუდავა, აქ ნანგრევებია ირგვლივ, უხსნიდა სტუმრებს გიორგი.

– მეცხრე საუკუნემდე გუდავის საკათედრო ტაძრიდან იმართებოდა საკუთრივ აფხაზეთი, დასავლეთ საქართველო კონსტანტინეპოლიდან, ბერძნულ ენაზე გალობდნენ ეკლესიებში, ბაგრატ მესამემ აღაშენა ბედიის დიდებული ტაძარი და ეკლესიიდან გააძევა ბერძნული ენა.

მანქანის ხმამ შეაწყვეტინა საუბარი გიორგის, კომისარს გამოეგზავნა სტუმრების სხვა რაიონში გადასაყვანად.

* * *

სტუმრები ჩააცილა ეზოში. ჯარისკაცებივით გაირინდნენ ბავშვები. ჭიშკრამდე მიჰყვა გიორგი, მას ნანა შესციცინებდა თვალებში.

მანქანასთან გამოეთხოვა სტუმრებს.

ნანას ჩამოართვა ხელი, წარმატებები უსურვა ტრადიციულად.

ლია ჩამოეკიდა კისერზე, სათქმელი მაქვსო, გიორგი.

– შეხედე, რა კარგი გოგოა ნანა, გასათხოვარია, თქვენებურია სხვათა შორის, ამის მორცხვობას არ დაადგა საშველი გიორგი, მიხედე ბიჭო!

–კიდევ, გიორგი, კარგი კაცი ხარ შენ და ჯერ კიდევ უკეთესი ჯარისკაცი. მაგარი დედის შვილი ხარ გიორგი, გაუფრთხილდი დედას, მისი მადლი შეგეწევა, რათა გახდე ნამდვილი დირექტორი.

– მომავალ ზაფხულს ჩამოვალ, ერთი სადღეგრძელოს ვალი გაქვს ჩემი, მეუღლეს და ჩემს ბიჭებს ჩამოვიყვან შენთან გიორგი, რათა ნახონ ეს საოცარი ზღვა, ცა და ენით უთქმელი კარგი ხალხი...

სანამ დაბნეული გიორგი ხმას ამოიღებდა, ქალები მანქანაში ჩასხდნენ და ავტომანქანის ძველი და მძიმე კარები გაიჯახუნეს.

მძიმე თავი ასწია გიორგიმ, ავტომანქანა შარაგზის მტვერში იყო გახვეული.

ანაკლია-განმუხური, 1 სექტემბერი, 2007 წ.

ზღვის საბანი

სექტემბრის მეორე ნახევარში მეტად თბილი, ლურჯი, მშვიდი და ნაზია ზღვა აფხაზეთში.

1993 წლის სექტემბრის ბოლო დღეებშიც ტალღების ქოჩორი აქა-იქ წამოსწევდა თავს, თითქოს ითვლისო სოხუმის და **გულირ**იფშის ნაპირებთან იმ დღეებში მოჯარულ დელფინებს.

ხმელეთზე კი ჯოჯოხეთი ტრიალებდა, იწვოდა ყველაფერი. ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულები თავისი გრძელ-გრძელი და დატოტვილი საცეცებით ყველგან დაეძებდნენ მსხვერპლს, რათა სამოთხე ნაცარტუტად ექციათ. მზე, თითქოს რცხვენიაო რაც იქ ხდებოდა, ღრუბლებით წაიკრავდა ატკივებულ თავს და ხანდახან გამოიხედავდა შეწუხებული, სევდიანი, გაწბილებული და იმედდაკარგული.

* * *

უკრაინის დიდი სადესანტო ხომალდები დრანდასთან ქვიშიან ნაპირზე ამოდიოდნენ და უზარმაზარ პირებს დააფჩენდნენ. შესვლის რიგი იყო დაწესებული, მაგრამ ჩვენი რიგიანობა მაღაზიაში ვერ ხერხდება და იქ რაც იქნებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის. არც იყო გასაკვირი; სოხუმი, მისი ქუჩები, ცალკეული სახლები, აეროპორტი შიშველი ხელებით იცავდნენ თავს, ქალაქის შემოგარენის გორაკებიდან გრუხუნებდა არტილერია, გრადები, ზღვიდან რაკეტები შუბლს უხვრეტდნენ ღვთის ანგელოზს, სოხუმ-ქალაქს, შებოლილ ცას ნაირფერადი კუდებით ხატავდნენ ბომბდამშენ-გამანადგურებლები, განნირული ქალივით წიოდნენ ჭურვები, ხავერდოვანი მწვანე სამოსისა და მდელოს ველების ჭრელ ნოხ-

ებს ხნავდნენ საავიაციო ბომბები, ხანდახან ზღვიდან ცაში აიჭრებოდნენ ლურჯ-თეთრი შადრევნები, ზანზარებდა ხმელეთი, კანკალებდა ცა.

ბავშვები და მოხუცი ქალები აქა-იქ კვნესით ამოიღებდნენ ხმას, ასაკოვანი მამაკაცები **ტუჩმოკუმულნი იდგნენ, მხოლოდ მათი გაშ-**ეშებული თვალების წამიერ ელვაში შეგეძლოთ დაგეჭირათ უზომო რისხვა და სასოწარკვეთა.

ხომალდი თავის სტომაქში ისრუტავდა რობოტად ქცეულ ადამიანებს.

ტევა არ იყო. გემბანი თევზის კონსერვის ქილას დაემსგავსა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქილაში ერთმანეთზე მიწებებული თევზები აქ არ იწვნენ, იდგნენ.

აგუგუნდა გემის ძრავა, დაიწყო უკუსვლა, მაგრამ ისე ახმაურდა ხალხი, რომ ხმა გააკმენდინა ხომალდს. მე გემბანის მასიური რკინის კედელზე ვიყავი მიბრტყელებული, მაგრამ იმგვარად, რომ თავის მობრუნების საშუალება მაინც მქონდა და ხელისგულივით დავცქეროდი ზღვის უსაზღვრო თვალსაწიერს.

კაცებს ხალვათად ეცვათ, თითქოს დარწმუნებულები იყვნენ, აი, ცოლ-შვილს გააცილებენ და უმალვე მობრუნდებიან შვილებთან, რომელთა ბედი ბეწვზე ეკიდა, ქალები კი ისტერიულად ტიროდნენ, კვნესოდნენ, ღრიალებდნენ.

ქალებს სხვა ალღო აქვთ, ინსტინქტით გრძნობენ მოახლოებულ უბედურებას.

თვალს ვერ ვუსწორებდი, მრცხვენოდა მათი, რას არ ფიქრობდნენ ალბათ ჩემზე და ჩემისთანებზე, რომელთაც მამაკაცები გვერქვა სახელად და იქ უნდა ვყოფილიყავით, სადაც სიკვდილს უფრო აქვს აზრი, ვიდრე სიცოცხლეს, თუმცა ბევრ ჩვენთაგანს სხვა მოვალეობა ეკისრა და უკან უნდა დაბრუნებულიყო.

* * *

ნელა მიბობღავდა ხომალდი, დიდხანს იტრიალა ადგილზე, მერე, როგორც იქნა, ზღვისკენ ქნა პირი და გაჩერდა რატომღაც.

კვამლის ბურუსში გახვეული და დასავლეთისაკენ გადაქანებული მზე დიდდებოდა და დიდდებოდა, მერე ჰორიზონტზე უზარმაზარ წითელ ბურთად გაიჩხირა თითქოს,-აი, შემხედეთ, კიდევ ერთხელ შემხედეთ, რა ლამაზი და ძლირი ვარო.

ვიგრძენი, რომ თვალზე ლიბრი გადამეკრა-ვერ ვხედავდი და კიდეც ვხედავდი. დროც ამერია, ახლა არ ვიცოდი სად ვიყავი-ან-მყოში წარსულში, თუ მყოფადში.

თვალებს არ ვენდობოდი, მაგრამ თითქოს მთელი ჩემი სხეული თვალი გახდა, რომელიც უფრო გრძნობდა თუ ხედავდა, რაც მომხდარა ადრე და რაც ახლა ხდებოდა...

აი, აგერ, **სოხუმელთა, ზღვისპირა აფხაზელთა ახალი რიტუალი: ახალდაქორწინებული წყვილი ყვავილებით მოკაზმულ ძრ**ავიან ნავზე მცირე მაყრიონთან ერთად. ნავი თევზივით სრიალებს ტალღის საბანზე, თავს ასწევს და დიდ წრეს დაარტყამს სასტუმრო „აფხაზიას“ მიდამოებში.

აი, „ვალნარეზები“, პირველი პაემანი ქერათმიან ლამაზმანთან, მასთან ერთად მორცხვად ვცდილობ ტალღის საბანში შეძრომას.

აი, გიორგის ვასწავლი ცურვას, თბილისელი სტუმარია, ჯერ კიდევ პატარაა, თუმცა ნიჭიერი და მამაცი. გამითამამდა, მაშველთა წითელი ბურთები გადალახა, გოგონებთან ცდილობს თავის გამოჩენას. მე კი გული მისკდება, უკან მივყვები და ვამხნევებ, ხელფეხდაბორკილ კოლხ მოცურავებზე ლეგენდებს ვუყვები. არ მისმენს, უკვე ისიც ძვრება ზღვის საბანში.

აი, სექტემბერი, ძველი სექტემბერი, უსასრულობაში წასული სექტემბერი. პირველკურსელი მეგობარი გოგონა ცხელ ქვიშაზე წევს ჩემს გვერდით. ისეთი თეთრია, რომ **„დაზაგრული“ ქერათმი**ანები ირონიით აათვალიერ-ჩაათვალიერებენ და ტალღის საბანში შეძვრებიან თავ-ტანით.

აი, მამაც ქერათმიანებში ვარ, ბარიერს გაღმა. ზღვისფერთვალება გავიწვიე საცურაო დუელში. მალე დავმეგობრდით, თანაც იმდენად, რომ სუნთქვაშეკვრულები ერთად ვიმალებით ზღვის საბანში, მერე კეფალივით ამოვხტებით იქიდან ისე მაღლა და ისე შორს, თითქოს მზეს ვიმწყვდევთ მუჭში.

აი, უკვე ღამდება, ოდნავ ცივა, მაგრამ მზე კიდევ ნახევარ დისკოდ ჰკიდია ჰორიზონტზე; მეწყვილე, რომელმაც მგონია ცურვაც არ იცის, ერთბაშად **დედიშობილდება და ქვიშაზე წვება ისე მოხ**ერხებულად, რომ ზღვის საბანი დაეხურება და გადაუცურდება. მერე მეძახის, მეტყუპება, მცივაო.

მზემ ისე დაიწია, რომ სხივები ტალღებზე ირეკლებიან, შავ, თეთრ და წითელ ჩრდილებს აჩენენ საბანზე.

ხომალდი დაიძრა. საბანი გამჭვირვალე გახდა, მოხშირდნენ შავ-წითელი აჩრდილები ზედაპირზე, განსაკუთრებით, საბნის ქვეშ, თუმცა ხანდახან აქა-იქ ეულად აქოჩრილი მოხეტიალე ტალღა ადამიანის ფორმას ღებულობს რატომღაც...

ვიღაცამ იყვირა, ნახეთ, ქალია წყალშიო!

ჰო, ქალი იყო წყალში. ლურჯი ტალღა მაღლა აიყვანდა წამით და ისევ დააბრუნებდა უკან:

ქალის ქანდაკება, ლამაზი, გაშლილი შავი თმებით, ყალყზე შედგებოდა, წყალი სწრაფად შემოეცლებოდა და მისი გაშლილი თმები ლურჯ ჩანჩქერად იქცეოდა მანამ, სანამ, მთელი სხეულით ისევ არ ჩაყვინთავდა საბანში.

აი, ბავშვი, სასკოლო ფორმაში. პირაღმა წევს საბანზე და გაშეშებული ქანაობს ზედაპირზე, სანამ ონავარი ტალღა არ შეაშფოთებს და ისევ დაბლა არ ჩაიყვანს.

აი, ახალგაზრდა ქალი და კაცი წამოიმართნენ საბნის ტალღის ბორცვზე, ისევე როგორც ჩვენ რამდენიმე წლის წინათ; ოღონდ ის იყო განსხვავება, რომ კაცს შავი პიჯაკი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა, ქალი კი წელზემოთ რატომღაც ტიტველი იყო, უჩვეულოდ მაღალი წითელი ძუძუები გაშეშებოდა სხეულზე და ზეაწვდილი ხელებით მზისკენ ცდილობდა გაფრენას...

შევძრწუნდი, წყვილს თავები არ ჰქონდა.

მზემ ჰორიზონტი თითქმის გადაკვეთა, მხოლოდ მცირე, სისხლივით წითელი სეგმენტიღა ჩანდა, ისიც ღრუბლის ნაფლეთებით გადაფარული.

ზღვაზე სიბნელე წვებოდა და უფრო და უფრო ამუქებდა ტალღის საბანს.

უჩვეულოდ მრავალი დელფინი წრიპინებდა ირგვლივ და რაღაც სიგნალებს გამოსცემდნენ, მაგრამ მათი მე არ მესმოდა.

უზარმაზარ საბანში ათობით, ასობით ადამიანი იყო, ზოგი ჯგუფად, ტყუპად, ზოგიც ეულად ქანაობდა.

ხომალდი ნაპირს მიუყვებოდა და ჯერ კიდევ ჩანდა აფხაზეთის სანაპირო თავისი საოცარი პლაჟებით. მახვილი თვალი კარგად შეამჩნევდა საბნისგან ნაპირზე გარიყულ ადამიანებს, რომელთაგან ნაწილი ჩაცმული იყო, ნაწილი კი დედიშობილა: – ზოგს თავი არ ჰქონდა, ზოგს კიდურები, ზოგს ხორცი შემოსძარცვოდა და ნეკნების ამარა დარჩენილიყო...

მოგვიანებით წყვდიადი გამეფდა ირგვლივ, მხოლოდ სოხუმისკენ იყო ალისფერი ცა, განათებული ომის გირლიანდებით, აალებული ჭურვებით და ყუმბარებით.

* * *

სუნთქვა მეკვროდა, დამძიმებული და გახურებული თავი გასკდომაზე მქონდა, უსაშველოდ მტკიოდა. მესიამოვნა, როცა შუბლი ფოლადის კედელს მივადე, დგომელა ჩამეძინა...

* * *

ხომალდის საყვირმა გამაღვიძა, ფოთში შესასვლელად მანევრს აკეთებდა. აუარებელი ხალხი გვხვდებოდა სადგურში, იმ დღეებში სოხუმი საყოველთაო ტკივილი გახდა.

ირგვლივ იგივე ზღვა, მშობლიური ქალაქი, მშობლიური ხალხი.

მაგრამ გაორებული გრძნობა ვერ მოვიშორე, თითქოს უზომოდ გადამთვრალს მაჯლაჯუნები დამესივნენ და თავს არ მანებებდნენ. აი, ტანკმა თავზე გადამიარა, ქალა გამიჭეჭყა და გადმოსხმული ტვინი მეკითხება: გაუძლებენ **სოხუმელი ბიჭები, გაერთიანდებიან** ქართველები და მიუსწრებს კოდორთან შექუჩული მაშველი, გადარჩება სოხუმი? რა ეშველება ხალხს, რომელმაც დაუცველი ქალაქიდან ვერ გამოაღწია? სად არის გამოსავალი აფხაზეთის გადასარჩენად? რა შევცოდეთ უფალს ასეთი?

ფოთში არავის შევხვედრივარ.

უგუნური სამოქალაქო ომი მძვინვარებდა დასავლეთ საქართველოში.

მეორე დღეს აფხაზეთში ვიყავი, ბიჭებთან ერთად ჩხორთოლის და წარჩის გორაკებზე.

ჯვარცმული სოხუმი დაეცა.

ახლოვდებოდა 30 სექტემბერი.

* * *

მითხრეს, რომ 25 სექტემბრიდან აბობოქრდა შავი ზღვა და ვერ ეტეოდა კალაპოტში.

გამქრალან დელფინები და თოლიები გაუჩინარებულან.

დარჩელი, 15 ოქტომბერი, 1993 წ.

დიკი

მე და რუსლან ავიძბამ ომამდე შევქმენით ოჯახი. ქალ-ვაჟი შეგვეძინა. ბავშვები გუდაუთაში იზრდებოდნენ. მე ქართულ სკოლაში ვმუშაობდი მასწავლებლად, რუსლანი, მილიციის მაიორი, სოხუმის საქალაქო განყოფილებაში. სოხუმის ახალ რაიონში ოროთახიანი ბინა მივიღეთ. იქვე ეზოც გვქონდა და მამამთილმა პატარა სახლი ჩადგა. ბავშვების, სოხუმის სკოლაში გადმოყვანას ვაპირებდით.

გალიდან, სადაც ომისწინა ზაფხული გავატარეთ, მინდვრის ყვავილები ჩამოვიტანეთ. მეუღლემ, ბავშვებთან ერთად,

ჰერბარიუმი გააკეთა. რუსლანს უყვარდა გალის რაიონი, თევზაობდა, ნადირობდა, აუარებელი ნაცნობი და მეგობარი გაიჩინა.

გუდაუთიდან ქოთანში ჩარგული ბზები ჩამოგვიტანეს. ერთი სიტყვით, ოთახი და აივანი გალი – გუდაუთის პატარა ცოცხალ სამყაროდ ვაქციეთ.

სოხუმში მეტად დაძაბული ვითარება იყო. თუმცა, რატომღაც გვეგონა, ეს ჩვენ არ გვეხებოდა. მაშინ ასე მიაჩნდა უმეტესობას.

მიტინგებზე არ დავდიოდით, გვაღიზიანებდა ბევრის ფარისევლური მოწოდებები, წრეგადასული ლაქლაქი ქართველთა და აფხაზთა ძმობასა და მეგობრობაზე, თითქოსდა ეს ასეც არ ყოფილიყო. ასეთი განცხადებები აფრთხობდა რუსებს, ბერძნებს, სხვა მეზობლებს.

რუსლანი შვებულებიდან გაიწვიეს. მალე ყაზარმულ მდგომარეობაში გადაიყვანეს. ბინაში შემოირბენდა, ბავშვებს მოიკითხავდა და ისევ გარბოდა.

უთქმელი გახდა, დაბოღმილი, სევდიანი, ჩაფიქრებული. ერთხელ, სხვათა შორის, მკითხა, მოსკოვში ხომ არ გადავიდეთ საცხოვრებლად, დროებით მაინც. ყურადღება არ მივაქციე, სიტყვა ბანზე ავუგდე.

მალე გუდაუთაში წავიდა, მთელი კვირა იქ დარჩა. ვგრძნობდი, რაღაც სერიოზული აწუხებდა, მაგრამ ვერ მიმხელდა.

7 აგვისტოდან რუსლანი აღარ მინახავს. შემომითვალა, ბავშვებთან ერთად გუდაუთაში ან გალში გადავსულვიყავი. არჩევანი მე უნდა გამეკეთებინა, თუმცა მირჩევდა, გალი შესაძლოა ნაკლებ უსაფრთხო იყოსო. მე და ბავშვებიც გალში, ქვემო ბარღებში, მშობლებთან დავბრუნდით.

23 ნოემბერს შემატყობინეს რუსლანის დაღუპვის ამბავი. ჩემს კივილზე მთელი სოფელი შეიყარა. კვირის თავზე მის ტანსაცმელს გამოვეთხოვეთ. ქელეხს ორასამდე ახლობელი ესწრებოდა; თავშეკავება მირჩიეს, – ომია, იქნებ არასწორად გაგვიგონო, თუმც ამ აზრს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

გუდაუთაში დიდი ქელეხი გამართულა, მხედრული პატივით დაუკრძალავთ. ჩემს დედამთილს და მამამთილს ბავშვების ჩაყვანა მოუთხოვიათ, მაგრამ უხუცესებს ზედმეტ რისკად მიუჩნევიათ.

ბავშვები უკვე გაიზარდნენ, მამაზე ყველაფერი იციან. ომის დამთავრებამდე რუსლანის მშობლები, სოხუმელი ნაცნობების ხელით, ცოტაოდენ ფულს და ცრემლიან წერილებს გვიგზავნიდნენ. მე შავები დღემდე არ გამიხდია. სულაც არ მეუხერხულება – **რუსლანი** მიყვარდა და მეყვარება სანამ ცოცხალი ვარ.

გალის რაიონში მაისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როცა მამისეული სახლ-კარი აფხაზებმა გადაწვეს, დევნილის სტატუსი მივიღეთ და თბილისში, დევნილთა საცხოვრებლის ერთოთახიან პატარა ბინაში გადავედით, სადაც დღემდე ვცხოვრობთ.

რუსლანის მშობლებმა დარდს ვერ გაუძლეს, გარდაიცვალნენ. ბებია სიკვდილის წუთებში შვილიშვილებს ეძახოდა. ამბობენ, ჩემს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ავედრებდაო ყოვლისშემძლეს. მემკვიდრეობა ჩემსა და ბავშვებზე გაუფორმებია, თუმცა ქალიშვილი ჰყავს და მისი შვილებიც.

რუსლანის დაღუპვიდან მეათე წლისთავზე სოხუმში ჩასვლა გადავწყვიტეთ. ბავშვები არ შემეშვნენ, მეც ძალიან მინდოდა, მაგრამ ბევრი რამ მაფიქრებდა.

სოხუმში უპრობლემოდ ჩავედით. კარზე რუსლანის დიდი ფოტოსურათი ეკიდა, წარწერაც ამშვენებდა – აფხაზეთის ეროვნული გმირი. ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ბინა გაძარცული იყო, თითქმის არაფერი დაეტოვებინათ.

ნელ-ნელა შეიკრიბნენ მეზობლები, ქალების უმეტესობა ძაძებში იყო. ბინის გამო ყველა ბოდიშობდა, აქ წარმოუდგენელი ვითარება იყოო. მერე ეზოში ჩავედით. იქ მაგიდა, სკამები, სხვა რაღაც-რაღაცები ჯერ კიდევ შემორჩენილიყო. ვისაც რა შეეძლო, შემოიტანა. სახელდახელო სუფრას მივუსხედით. მე ვტიროდი, ბავშვები უფრო ყოჩაღად იყვნენ, თანატოლებს ეცნობოდნენ. მამაკაცებიც შემოგვიერთდნენ. მოვიხსენიეთ ომში დაღუპულები, წინაპრები, რუსლანის მშობლები. ვისაუბრეთ მეზობლებზე, ათას წვრილმანზე. მეორე დღისთვის რუსლანის სულის მოსახსენებლად სუფრის გაშლა დავთქვით, დროც დავნიშნეთ.

მეზობლების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩემი რუსლანი და ნანა, თუმცა დამტვრეულად, აფხაზურ ენაზე ალაპარაკდნენ. მიხაროდა, რომ ომსა და ომისშემდგომ ათ წელიწადს ჩვენს ძველ მეზობლობაში ბევრი რამ არ შეუცვლია, გარეგნულად მაინც.

გამთენიისას უჩვეულო ხმაურმა გამაღვიძა. ვიღაცა ველურივით ბღაოდა რუსულად, უფრო კი ჩემთვის გაუგებარ ენაზე, ქართველებს აუგად ახსენებდა. გვერდითა ეზოში ძაღლი ავის მომასწავლებლად ყეფდა, საყელაო ჯაჭვით მავთულზე დასრიალებდა, ბობოქრობდა. მერე ავტომატიც აკაკანდა.

გავიხედე: უცნობ მეზობელს ვიღაცები აკავებდნენ, თავშეკავებას მოუწოდებდნენ. შეგვეშინდა, ბავშვები კანკალებდნენ, ადგილს ვერ პოულობდნენ.

მეზობელმა დააკაკუნა, ყურადღებას ნუ მიაქცევ, ასეთიაო.

დილით რუსლანის და, დინა, ჩამოვიდა გუდაუთიდან. წვრილად მიყვებოდა მშობლებზე, აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე, ბევრ სხვა რამეზე. დიდხანს ქვითინებდა რუსლანის გახსენებაზე. დეტალურად გამომკითხა თბილისის, საქართველოს სიახლეები, დევნილთა მდგომარეობა, საერთო განწყობილება, ახალი ომის შესაძლებლობა. მომავალი წლისთვის გუდაუთაში ჩასვლა შემომთავაზა.

რუსლანის ნათესავები და მეგობრებიც მოვიდნენ, ოცდაათ კაცამდე შევგროვდით. ერთმანეთში აირია ტირილი, სიხარული, ტკივილი, მოფერება, სინანული, მონატრება.

გავხალისდი, არ მოველოდი ასეთ დახვედრას.

ის იყო სუფრიდან უნდა ავშლილიყავით, რომ ეზოში პისტოლეტი გავარდა. აკი გითხარით, გამთენიიდან უცნობი ხმა ენით აუწერელი თავხედობით და სიბილწით იგინებოდა.

მამაკაცები ეზოში გაცვივდნენ, ქალებმა ხმა გაკმინდეს, ზოგიერთმა კი ჩუმად დაგვტოვა.

რუსლანს მიწის ფერი დაედო, ნანამ გონება დაკარგა, იატაკზე დაეშვა. ჩემთვის სულერთი იყო. ეზოში გავვარდი.

ღობესთან ზორბა, **თვალებჩასისხლულ, წითურ, შუახანს გადაცილებულ** მამაკაცს, სამი მამაკაცი და ერთი მოხუცი აფხაზი ქალი ძლივს აკავებდა. იგი ჩემკენ მოიწევდა, მოკვლით მემუქრებოდა, ქართველთა მოდგმის გადაშენებას ნატრულობდა, მოითხოვდა დაუყონებლივ გავცლოდი იქაურობას, ჩემი ბილწი ფეხები აღარასოდეს შემოთრეულიყვნენ მის მიერ გადარჩენილ აფხაზეთში.

ქალებიც ახმაურდნენ, ღობეზე გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ეტყობა, იგი არ მოელოდა ამდაგვარ წინააღმდეგობას. მცირე ყოყმანის შემდეგ უკან გაბრუნდა, ძაღლი აუშვა. ვეებერთელა, ბანჯგვლიანი კავკასიური ნაგაზი ელვისებრ გადაევლო ღობეს და დამეტაკა. მე წავიქეცი, ხახადაფჩენილი ძაღლი ზედ დამახტა, ყელში მწვდა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ჩემი მშველელი არავინ იყო.

უცებ ძაღლი გაშეშდა, მოეშვა, კბილები მომაშორა, წკმუტუნი დაიწყო. ხალხი სასწაულის მოწმე გახდა. ეს ხომ ჩემი დიკია, ჩემი პატარა, ბავშვების სიყვარული. ლეკვი ორი თუ სამი თვის იქნებოდა, იქნებ ოდნავ მეტიც, როცა ჩემმა ძმამ აჩუქა რუსლანს, ომამდე ცოტახნით ადრე. ეზოში გვყავდა.

ბავშვები გონს მოეგნენ, დიკს შემოეხვივნენ, გულში ჩაიკრეს, ძველებურად კოცნიდნენ, ეალერსებოდნენ.

ჩვენი წასვლის დრო ახლოვდებოდა. ბავშვებს ჩანთების ჩალაგება ვთხოვე, მეზობლებთან დამშვიდობებას შევუდექი. დიკი კი ფეხებს მილოკავდა, არ მეშვებოდა.

დინას, სხვა ქალებს რჩევა ვკითხე ძაღლის გამო. ჩემდა გასაოცრად, მათ მხრები აიჩეჩეს, დუმილი ამჯობინეს.

ინტუიცია მკარნახობდა, რომ წინ კიდევ რაღაც განსაცდელი მელოდა.

ჭიშკარი ჯახუნით გაიღო. ეზოში ზორბა ტურალი (ამ სახელით იცნობდნენ მეზობლები) შემოვიდა პირუტყვის იერით, ავტომატით ხელში. ძაღლის ღვედზე მოჰკიდა დათვის ტორივით უხეში ხელი და **„გრუზინსკაია სუკას“ ძახილით დიკს ეზოდან გათრევა დაუპირა**. დიკი გაუძალიანდა, ავად შეუღრინა პატრონს. ტურალმაც არ დაინდო, ყურში დააცალა ავტომატის მთელი მჭიდი. დიკი სისხლში ცურავდა, მისი თავისგან თითქმის არაფერი დარჩენილიყო.

შიშის გრძნობა დავკარგე, მინდოდა ყელში **ვწდომოდი ამ ცხოველს**, მაგრამ მოვახერხე თავის შეკავება. ბავშვები ტიროდნენ.

მე სულაც არ ვგრძნობდი თავს დამცირებულად. პირიქით, პირველად ვიგრძენი სიამაყე, თავმოყვარეობა იმისთვის, რომ მე, ზაირა კვირკველია და ჩემი შვილები, ჩემი და რუსლანის მშობლიურ მიწაზე მყარად ვიდექით.

მეზობლის ქალებმა ავტობუსების გაჩერებამდე გამაცილეს. საიდამ, ჩემი აზრით, ყველაზე ახლობელმა მეზობელმა და კოლეგამ მითხრა, გული არ გაიტეხო, აფხაზეთში ახლა მათი დროა, ყველაფერზე აქვთ პრეტენზია. ნაძირალები არიან, მხეცები, დაითრიეს სხვისი ქონება, სახლები, მიწები, ზიზღით გვიყურებენ, ადამიანებად არ მივაჩნივართ. მიმოიხედა და ჩურჩულით განაგრძო: სლავა ბოგუ, ისინი თანდათანობით ილევიან, ქრებიან, კვდებიან, ერთმანეთს ხოცავენ!

სვეტლანა ექიმი წამოგვეწია, გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

– მან ჩვენ გვესროლა, ყველას გვესროლა. მათ არ უნდათ ჩვენი ერთად ყოფნა, მათ ეშინიათ, ეშინიათ!

ავტობუსი ჩამოდგა, დავიძარით. დიდხანს ვტიროდი, დანგრეულ გზებს, გაპარტახებულ სოფლებს, დამწვარი სახლების ურჩხულებად ქცეულ ლანდებს ვუყურებდი.

საღამოს ენგური გადმოვლახეთ, დილით თბილისში ვიყავით.

ზაირამ დაასრულა თხრობა და ცრემლები შეიმშრალა.

თბილისი, სექტემბერი, 2003 წ.

ჯეკა

ივლისის შუა რიცხვებში ზუგდიდში, აფხაზეთიდან დევნილი ჩემი დების ციდა ბინაში მეზობლის ქალბატონმა შემოჰყო თავი, ტელეფონთან გთხოვენო.

შევწუხდი, ერთი საათის წინ საქალაქო სალაპარაკოდან მეუღლეს ველაპარაკე თბილისში, საგანგაშო არაფერი უთქვამს. შევატყობინე, რომ ღამის მატარებლით წამოვიდოდი და დილით თბილისში ვიქნებოდი.

შეშფოთებულმა მეუღლემ მითხრა, რომ ბინაში ვერ შევდივართ, კართან დორბლიანი, თმაგაცვენილი, თვალებ და თავგასიებული უზარმაზარი ძაღლი წევს, რომელსაც ღრენის ძალაც არა აქვს, ცოფიანივით იქცევა და საშინლად ყარსო.

მეზობლებისთვის უთხოვიათ დახმარება. არავინ გაჰკარებია მაწანწალას. ურეკავთ სათანადო სამსახურში, დაჰპირებიან დახმარებას, მაგრამ იმასაც დააყოლებდნენ თურმე, რა ვქნათ, გვიანია, შტატები შეკვეცეს, ამ პაპანაქებაში მაწანწალა ძაღლებიც ისე მომრავლდნენ, ვერ აუდივართო.

შევეცადე დამემშვიდებინა.

ერთ საათში ისევ შეწუხდა მეზობელი. ჩემები ბინაში ფანჯრიდან შესულან, რაიონის გამგებელთან დაურეკავთ, დახმარებას დაჰპირებია.

მატარებელში უცნობს მობილური ტელეფონი ვთხოვე ერთი ზარის გასაშვებად.

თბილისში არ ეძინათ.

მეუღლე ლამის ტიროდა, ისეთი ხმით წკავწკავებს, თითქოს იხვეწება რაღაცას, ასე მგონია, თავის ენაზე სახლში შეშვებას გვთხოვსო.

ტელეფონი გამოვრთე და უმალ ვინანე. ეჭვმა გამკრა, შემაჟრჟოლა. ძაღლების ერთგულებაზე ბევრი მსმენია, ფილმებიც მინახავს, მაგრამ რატომღაც გაზვიადებულად მეჩვენებოდა.

ვერ დავიძინე. ნუთუ ჯეკამ შეძლო აფხაზეთიდან გადმოსვლა და თბილისში ჩვენი მონახვა? არა, ეს მხოლოდ ზღაპრებში ხდება, დავიმშვიდე თავი.

ადრე გამეღვიძა, მატარებელი ისე ნელა მიხოხავდა, თითქოს დაავიწყდა, რომ თბილისში დილით უნდა ჩასულიყო.

ძაღლის ნახვა მინდოდა. ფიქრებმა ჯადოსნურ სამყაროში გამიტაცეს. ბავშვობა არ მშორდება, აფხაზეთი, ჩემი მეზობლები, ახლობლები, წინაპართა გაკრიალებული საფლავები, ჩემი მდინარეები, ჩემი თევზები, ძროხები, ხბოები, გოჭები, ქათმები, ერთი

ციცქნა ჭადრის, კოპიტის, ევკალიპტის, ტირიფის ნერგები, რომელთა დარგვა და გახარება მაშინ ბავშვებისთვისაც სავალდებულოდ ითვლებოდა. კარგად მახსოვდა და ვამაყობდი, რომ ამ ციცქნა ნერგებმა 10-15 წელიწადში ცას მიაწვდინეს წვერები, ტირიფებმა კი ლამის მთელი მდინარე გადაფარეს თავისი ქოლგებით და ლარებივით ძირს დაშვებული ლერწმებით.

დილის რვა საათზე მატარებელი თბილისის სადგურში შევიდა.

ათ წუთში შინ ვიყავი. ძაღლი არ იყო, წაეყვანათ.

მეუღლე იცრემლებოდა, ახლახან წაიყვანეს, ისე ტიროდა, თითქოს ბავშვი დედის ძუძუს მოსწყვიტესო, დაასხა ნავთი ჩემში აგიზგიზებულ ცეცხლს.

გამგეობაში დავრეკე. მადლობა ვუთხარი და წვრილად გამოვკითხე ძაღლის შემდგომი ბედის შესახებ, მისი ადგილსამყოფელიც დავაზუსტე.

ნახევარ საათში ქალაქგარეთ, კარგად დაცული შენობის ეზოში ვიყავი. ვაი-ვაგლახით მოვახერხე შესვლა.

სამანიპულაციო მოედანზე გამიყვანეს. ჩვენგან წაყვანილ ძაღლთან მიმიყვანეს.

ეს ჯეკა იყო. შავი, კავკასიური ნაგაზის ნარევი რომელიღაც ადგილობრივ კოლხურ ჯიშთან, ძლიერი მკერდით და ფეხებით, წინა კიდურებს შორის, გულის კოვზზე სამკუთხა თეთრი ბეწვით, სანახევროდ მოჭრილი მარჯვენა ყურით...

1992 წლის დასაწყისს სვანმა მეგობარმა ორი მოზრდილი ლეკვი მაჩუქა. არეული დროა, ვინ იცის, რაში გამოგადგებაო.

დიკი და ჯეკა დავარქვით.

ერთ წელიწადში ლეკვები ძაღლები გახდნენ.

დიკი, შედარებით ტანმორჩილი, მაგრამ ფიცხი, დაუნდობელი, შეუპოვარი იყო, ეზოს თავზე გადაფრენილ ყვავებსა და ჩხიკვებსაც გამოენთებოდა ხოლმე. ეზოში შეჭრილ ძაღლებს თუ შინაურ პირუტყვს უსისხლოდ არ გაუშვებდა. უცნობი და ნაცნობი არ იცოდა. მეზობლებს, რომელთაც ჩვენი ჭიდან სასმელი წყალი მიჰქონდათ, ისეთ დღეს დააყრიდა ხოლმე, რომ ზოგჯერ ღამითაც დაბმული გვყავდა. მეზობლის ბავშვებმა „ფაშისტი“ შეარქვეს.

ჯეკა თავისი ჯიშისთვის წარმოუდგენლად დიდი გაიზარდა. მშვიდი, ადამიანის მოყვარული, უაღრესად გონიერი, დამჯერი, ეზოკარის ერთგული დარაჯი. ჩემს პატარა სოფელ განახლებაში, ჯეკას თითქმის ყველა იცნობდა, ისიც ყველასთან მეგობრობდა. ძალზე ჭკვიანი იყო, დები ნიშანს მისცემდნენ და ისიც დაუზარებლად გაიქცეოდა, დაგვიანებულ პირუტყვს მოდენიდა, ღორებს შერეკავდა,

აბეზარ ქათმებს და ინდაურებს დაუცაცხანებდა. ერთი სიტყვით, ჯეკა სახლის და სოფლის საიმედო მეგობარი და დამცველი იყო. ამიტომაც იშვიათად იმსახურებდა დაბმას.

1993 წლის 28-30 სექტემბერს აფხაზეთის კოდორს გამოღმა მოსახლეობა მანქანებით, ტრაქტორებით, საზიდრებით, ფეხით, პირუტყვით, ხელ ბარგით მოაწყდა ენგურის ფონებს. აფხაზეთის მკვიდრი ქართველების და ბევრი არა ქართველის ცხოვრებაში იწყებოდა დევნილობის, ანუ ხეტიალის, დამცირების, შეურაცხყოფის, დაბალი ხარისხის ადამიანად გადაქცევის ხანა.

მე და რამდენიმე ჩემისთანა ზუგდიდის რაიონის სოფელ **დარ-**ჩელში ვაჟა ანთიას ოჯახმა შეგვიფარა. მრავალრიცხოვანი ოჯახის ქალები და ბავშვები, რამდენიმე დღის წინათ მოყვანილი რძლის ჩათვლით, მათივე ინიციატივით იატაკზე მოეწყვნენ, კაცები-ეზოში, ჩვენ კი საწოლები დაგვითმეს. მაშინ სამეგრელოსაც ძალიან უჭირდა, მაგრამ სუფრებს არ აკლდა ღვინო, არაყი და კოლხური მადლი იმედის სადღეგრძელოსთან ერთად.

დიკი და ჯეკაც თან გვახლდნენ, თითქოს გრძნობდნენ თავს დამტყდარ უბედურებას, არავის აწუხებდნენ, შორიახლო პირუტყვს და ცხენებს მწყემსავდნენ.

დევნილობის კვირის თავზე, გამთენიისას, ბიძაშვილმა, ვაგნერ კახიანმა საოცარი ამბავი მოიტანა – აფხაზეთიდან გადმოსული პირუტყვი ბრუნდებაო უკან, გადარეული ენგურის ნაპირებს ისე მისევიან, რომ მათი შეჩერება შეუძლებელიაო. მერე დააყოლა, შენმა „ფაშისტმა“ და ჯეკამ პირველებმა გადალახეს ენგური და იქ მყოფი აფხაზი მესაზღვრეების ცეცხლიც დაიმსახურეს, მაგრამ გადარჩნენო.

შემცბარი და დათრგუნული ვიყავი, პირუტყვი შეეცადა შელახული თავმოყვარეობის აღდგენას და საკუთარ სახლს, ეზო-კარს უბრუნდებოდა!

მეთხუთმეტე დღეს, ინსტიტუტის თანაკურსელი შემომიჩნდა, არიქა, თავს რატომ მჭრიო და მე და ჩემი ოჯახი კახათის საშუალო სკოლის დირექტორის, ნიჭიერი კაცის, ვიქტორ თუზბაიას ოჯახში აღმოვჩნდით.

სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა სამეგრელოში და დედაქალაქში წამოსვლა შეუძლებელი იყო. მხედრიონის რაღაც ნაწილი დღისით-მზისით ძარცვავდა ადგილობრივ მოსახლეობას, წვავდა სახლებს, არც ადგილობრივი ყაჩაღები აკლებდნენ ხელს.

არავინ იცის, გალის რაიონში **ბოევიკებისთვის საალაფოდ გა-**მოყოფილი ორი კვირა ამოიწურა, თუ სხვა რამ მოხდა, მაგრამ მათ იმჟამად თავისი შავი საქმე მოამთავრეს და გალის რაიონიდან დაი-

წყეს გასვლა. პარალელურად გალის მოსახლეობაც ფარულად გადადიოდა ენგურზე, საკუთარ სოფელს, სახლ-კარს უბრუნდებოდა. დაბრუნებულები დღისით სახლში საქმიანობდნენ, ღამით საფარში ეძინათ.

ნოემბრის დასასრულს თბილისში წასვლა გადავწყვიტეთ. გალიდან დებიც ჩამოვიდნენ გასაცილებლად. პირადი დაცვა – დიკი და ჯეკა, თან ახლდათ; უფულო და ლამის ტიტველ ხალხს საგზალი გადმოგვიტანეს.

ძაღლებმა ჩვენს ბავშვებთან, დიდხანს იკოტრიალეს ეზოში, მეც ხელში აყვანით და ჩახუტებით გამოვემშვიდობე მათ. დიკი ჩვეულებრივზე უფრო ცივი მეჩვენა, ჯეკამ კი გამლოკა.

1994 წლის 8-16 თებერვალს აფხაზმა ბოევიკებმა ეგრეთწოდებული წმენდის საბაბით თითქმის მთლიანად გადაწვეს გალის რაიონის ზედა და ქვედა ზონის სოფლები, დახოცეს 1200-მდე ადამიანი, ძირითადად უმწეო მოხუცები და ქალები.

თვითმხილველთა თქმით, დიკი იმდენ ხანს არ შეშვებია ბოევიკებს, სანამ თავი არ შეაკლა.

საღამოს, როცა დამწვარი სახლების კვამლისგან ბოევიკები ძლივს პოულობდნენ თურმე ერთმანეთს, ჯეკა ყელში მისწვდომია ერთ-ერთ ბოევიკს და იმდენ ხანს არ გაუშვია, სანამ რამდენიმე ტყვია არ მიუღია თავსა და ფეხებში.

როცა ყველაფერი ჩაწყნარებულა მეზობლებს მოუძებნიათ ჯეკა, რომელსაც გადაადგილების უნარი დაკარგული ჰქონია, ყურის ნიჟარიდან კი სისხლი სდიოდა. ასე გამხდარა ჯეკა ორივე ფეხით კოჭლი, მარჯვენა ყური კი გამოცდილ მონადირეს მოუჭრია, რათა სისხლდენა შეეჩერებინა.

1998 წლის მაისამდე, სანამ ბოევიკებმა სოფლის ცენტრში შემორჩენილი ერთადერთი მამაპაპისეული ორსართულიანი ხის სახლი არ დაწვეს, ჯეკა სახლს პატრონობდა, მერე კი სადღაც გაუჩინარებულა. ათი წლის შემდეგ, დამახინჯებულმა და დაავადებულმა ჯეკამ ადამიანისთვის აუხსნელი ინსტინქტით ჩვენამდე მოაღწია, თუმცა, როგორც დევნილთა უმრავლესობამ, ჩვენც ქალაქის სხვადასხვა რაიონში ხუთი თავშესაფარი მაინც გამოვიცვალეთ...

ბევრისთვის დაუჯერებელია ყოველივე ეს, ბევრისთვის კი დასაჯერებელი.

მე ამ კითხვაზე პასუხი არა მაქვს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

სამაგიეროდ პასუხი მაქვს იმაზე, რომ ჩვენ, მოაზროვნე არსებებს, ჰომო საპიენსი რომ გვერქვა ადრე, ისეთი რამე გვაქვს გასაკეთებელი, რომ სანატრელი არ გაგვიხდეს ძაღლის ბედი.

ძაღლი კი ძაღლია, ალბათ ადამიანზე ადრე გაჩენილი ამქვეყნად, ჩამოვიდა თბილისში, რათა ჩვენთვის შეეხსენებინა ჩვენი გასაკეთებელი აფხაზეთში მშვიდობიანი თუ სხვა გზებით დასაბრუნებლად.

სასწაულია?

იქნებ კი, იქნებ არა.

ენგურგაღმიდან მამული გვიხმობს, გვეძახის.

ეს კი სასწაული არ არის!

იქნებ რაიმე ზეციურია ჯეკას ბედში, რომელმაც წარმოუდგენელი შეძლო და ჩვენამდე ჩამოაღწია.

თბილისი, 18 ივლისი, 2001 წ.

ჩემი ყველაზე დიდი თევზი

ერთი დღე და ერთი სასაცილო ამბავი გამახსენეს, თუმცა ეს დღე და ეს ამბავი მეც არასდროს დამვიწყებია, ახლაც მეწვის ყურები სირცხვილისგან.

არა და, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, იმ დღეს და იმ სოფელში მე ყველაზე დიდი თევზი დავიჭირე.

* * *

ახლაც ასეა, მაშინაც ასე იყო.

სოფლის ბიჭები ისე არ მიიღებენ ქალაქელ თანატოლს თუ მათ მიერ მოწყობილი „გამოცდები“ არ ჩააბარა.

– თავით გადახტიო მორევში!

ვერ გადავხტი, ათი მეტრი უნდა მეფრინა თავდაყირა!

– კუროს დაეჭიდე და გააგდეო ძროხებიდან!

ვერ გავბედე, საშინელი რქები ჰქონდა, ისე გამოექანა, შიშისგან უკან არ მოვიხედე, სანამ ბებიაჩემის ეზოში არ შევვარდი.

– მეზობლის ღობეზე გადადი და მსხალი დაგვიკრიფეო!

ვერ გავბედე, ეზოც სხვისი იყო და მსხალიც, ასე ვიცოდი ქალაქში.

ცუდად იყო ჩემი საქმე, არაფერი გამომდიოდა.

ბებიას მოვუყევი.

ბებიაც მგონი იმათიანი იყო, მომისმინა ცალი ყურით, გაიცინა და გულში ჩამიკრა.

თავი შემეცოდა, ეზოდან არ გავდიოდი...

ისევ დადგა ზაფხული.

სოფელში ლამის ძალით წამიყვანეს.

კვლავ მოვიდნენ ბიჭები, გრძელტარიანი ანკესები ეჭირათ.

მიბრძანეს, ყველაფერს გაპატიებთ, ჩვენიანად მიგიღებთ თუ ამ მორევიდან ყველაზე დიდ თევზს ამოიყვანო.

მიიწურა ივლისი, აგვისტოც ილეოდა, არაფერი გამომდიოდა, თუმცა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ვეგდე მდინარეში, მაგრამ დიდი თევზი არ ჩანდა. ერთადერთ ნუგეშად მიმაჩნდა ის, რომ ბებიასთან ყოველღამე მიმქონდა ერთი ვედრო პატარა თევზები, რომელსაც ის დაუზარელად არიგებდა მეზობლებში. ბებია ეშ-მაკურად იღიმოდა, ამაყობდა ჩემით.

ამას მოგვიანებით მივხვდი.

მე არ ვეშვებოდი. იმედი მქონდა, რომ დიდ თევზს ადრე თუ გვიან დავიჭერდი. ბებიასაც არ გავანდე სიზმარი-ყველაზე დიდ თევზის ზურგზე ვიჯექი და აბობოქრებული მდინარიდან ზღვისკენ მივაჭენებდი.

27 აგვისტოს ბოლოჯერ გავედი სათევზაოდ. დილის ექვსიც არ იყო. მორევი ქაფით იყო დაფარული, სამდღიანი წვიმებისგან გად-არეული მდინარე კალაპოტს უბრუნდებოდა.

უცებ ტივტივა გაირინდა, მერე ზედაპირიდან ერთი მტკაველით ჩაიძირა და გაშეშდა.

გული გამოვარდნაზე მქონდა. უცებ ტივტივა გაქრა რამდენ-იმე წამი და უმალვე წყლის სარკეს დაუბრუნდა, თუმცა ადგილი არ შეუცვლია. ასე ვიყავით დიდხანს მე, ტივტივა და თევზი.

იმარჯვა თევზმა, დაითრია ტივტივა, ამასთან ისე მაგრად, რომ ანკესის სახელური ლამის გამომგლიჯა ხელიდან.

მეც ვიმარჯვე. უკან გადავიხარე და ამოვწიე ანკესი. გადაიღუნა სახელური, მაგრამ არ გადატყდა – უზარმაზარი თევზი ჩემს უკან გასლიპინდა. მოხდა ისე, რომ თევზმა ნემსკავი გადმოაფურთხა და დაბლა დაგორდა. მე გადავხტი და ტანზე ჩავეჭიდე, მაგრამ ვერ შევაკავე. ისევ ვისკუპე. ფეხის წვერზე ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ ფიქრის დრო არ მქონდა, მე და თევზი ერთად მივსრიალებდით მორევისკენ.

ახლად დალექილმა სილამ შეგვაჩერა. ლოქო არ აპირებდა დანებებას...

ანკესის კაუჭა ლამის ყუნწამდე შესულიყო დიდი თითის ფრჩხ-ილის ძირში.

ბევრი ვეწვალე. ვერ ამოვიღე, საშინლად მტკიოდა, თუმცა, ალ-ბათ, ლოქოზე მეტად არა, რომელიც აგრძელებდა გადარჩენისთ-ვის ბრძოლას.

მდინარიდან ამოვედი. ირგვლივ არავინ იყო. ლოქოს ლაყუჩში მუშტი ჩავტენე და ფეხზე წამოვდექი.

ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. ყველაზე დიდი თევზი მე დავიჭირე, იმ ბიჭებში ყველაზე მაგარი ახლა მე ვიყავი. მათ ეს უნდა ენახათ, მაგრამ, აი, ანკესის კაუჭის ამოძრობა მაშინებდა.

ფეხშიშველი **გავტყაპუნდი სოფლის მთავარ გზაზე, სადაც უამ**რავი ხალხი და მანქანა მოძრაობდა.

ქალები წამომეწივნენ. რა დამავიწყებს მათ სახეებს, აღტაცებას: ეს რა ვნახეთ, ეს რა გიქნიაო!

მე უფრო მაგარი გავხდი.

მეზობლის ბიჭი წამომეწია და გაქრა.

ათ წუთში ყველა ჩემი მეტოქე პირდაფჩენილი შესცქეროდა უზარმაზარ ლოქოს და ხმას ვერ იღებდა.

სოფლის ცენტრში ავტობუსის მომლოდინე ცნობისმოყვარეები შემომეხვივნენ. ქალები კიოდნენ, ასეთი რამე არ გვინახავსო!

კაცებმა დაადგინეს, ეს ლოქო ზღვიდან ამოვიდაო ალბათ.

მე **ზევიდან ვათვალიერებდი ყველას, ყველაზე მაღალიც მე**გონა ჩემი თავი!

მერე, კოლია ბიძიამ, ბებიას ახლობელმა კაცმა, განზე გამიხმო და მითხრა: მაგარი ხარ, მაგრამ სანამ ბებიამ არ გნახა ამ დღეში, ამბულატორიაში წადი და თავი გაითავისუფლეო!

მართალი იყო კოლია ბიძია. ბებია გადაირეოდა დაბმული და სისხლიანი რომ ვენახე.

სოფლის მთავარმა ექიმმა რაღაც ნემსი გამიკეთა ტერფზე. რამდენიმე წუთში თითებს ვერ ვგრძნობდი. მერე ვაჟა ექიმმა დიდი პრიალა მარწუხი აიღო და ხორციანად ამოაძრო კაუჭა. მერე დაჯდა, რაღაც წერილი დაწერა, თითქმის მთელი გვერდი და ბებიასთან გამომატანა.

შენობიდან გამომაცილა, შემაქო, ვაჟკაცი მიწოდა.

ბებიას მეზობელი ბიჭები ეზოში ისხდნენ თავჩაქინდრულები. მერე ნელ-ნელა მომიახლოვდნენ, მომეხვივნენ, მომილოცეს. ამასობაში ბებიაც დაწყნარდა და სავახშმოდ დაგვიძახა.

მაგარი ყოფილხარო, მითხრეს ბიჭებმა, იმაზე მაგარი ვიდრე გვეგონა, მომავალ წელს ჩამოდი და ჩვენი მეთაური იქნებიო!

მე კი მოველოდი, აი, ახლა იტყვიან: რა მაგარი შენ ხარ, შენი თავი დაიჭირეო!

არა, ეს არავინ თქვა.

იმ ღამეს დიდი კაცივით მეძინა. მეორე დღეს ბებიამ გამაღვიძა, მაკოცა, მომეფერა. მზე ცელის ტარის ნახევრამდე დაცერილიყო ცის კენწეროდან. ავდექი და ქუჩაში გავედი. გამვლელი და გამომვლელი ავტობუსის მგზავრები ბებიას სახლისკენ ხელებს იშვერდნენ და ცხვირსახოცებს მიქნევდნენ.

თავით გადავხტი წყალში დიდი ჭადრის ძირიდან, მგონი თხუთმეტი მეტრი ვიფრინე თავდაყირა!

ისე დავიფრინე კურო, რომ შიშისგან გვანჯი ბიძის მავთულის ღობე თავის უზარმაზარ რქებზე წამოიცვა და შუკის ბოლომდე ათრია!

შოთა ბიძიამ თავისი გალავნიდან გადმოიხედა და დამიძახა-შემოდი ბაბუა, ჩვენთან ხილზე შენი და ჩემობა არ მოდის, ისედაც არ ვიცით სად წავიღოთო!

30 აგვისტოს ქალაქში დავბრუნდი. რკინიგზის სადგურამდე სოფლის ავტობუსით ვიმგზავრე. ბიჭებმა გამომაცილეს, და რაღა თქმა უნდა, ბებიამ.

* * *

მომდევნო წელს აფხაზეთში ვერ ჩავედი, დედა ავადმყოფობდა.

მერე იყო უნივერსიტეტი, ზაფხულის შრომის ბანაკები, მერე სამსახური.

მერე იყო ომი.

ბებია ქალაქში ჩამოიყვანეს, მაგრამ ვერ უშველეს, ომის დასრულებამდე გარდაიცვალა.

ბებიას სოფელი გადაწვეს და ის ბიჭები მიმოიფანტნენ, მაგრამ მათი უმეტესობა თურმე მაინც დაბრუნდა.

გუშინ ეს ბიჭები, ძალიან ადრე გაჭაღარავებულები და გაშავებულები ისხდნენ ჩემთან და მექილიკებოდნენ, თევზი არ გვიხსენო, თორემ ყველაფერს ვიტყვითო!

ბიჭები გავაცილე და ჩემთვის ვფიქრობდი იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველამ უნდა დაიჭიროს თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი თევზი, რათა უცებ დაკაცდეს, ამაღლდეს და სხვაც განაცვიფროს.

თბილისი, 21 ივნისი, 2007 წ.

ახახუ, აფანა!

1999 წლის გვიანი შემოდგომა იყო. ციოდა.

თბილისი-სოხუმის მატარებელი დაიძრა. ვაგონები ხალხით და ტომრებით იყო გადატენილი.

საერთო ვაგონის დაგმანულ ფანჯარასთან შავთმიანი, ძაძებით მოსილი ლამაზი გოგონა იჯდა. შუბლი ფართო შავი ლენტით ჰქონდა წაკრული.

მგზავრები ჩვეულებრივ ყაყანებდნენ. ამინდის ჭირვეულობა, ქვეყანაში არსებული ძარცვა-გლეჯა, მთავრობის უსუსურობა, ზნეობის წახდენა, შემწეობის და პენსიების დაგვიანება და, რა თქმა უნდა, აფხაზეთი იყო მათი ბჭობის საგანი.

ვაგონში აფხაზი ქალებიც იყვნენ. ჯგუფური ჩურჩული, თავისებური აქცენტი და შემთხვევით წამოცდენილი რუსული სიტყვები ავლენდა მათ ვინაობას; იყო ომი, მაგრამ ეს ხალხის ომი არ ყოფილა, ამიტომაც ომის დროსაც არ გაწყვეტილა სავაჭრო და ყოფითი ურთიერთობა ენგურს გაღმა-გამოღმა. ლილოს ბაზრობა მათაც იზიდავდა.

უმეტესობას უკვე ეძინა ან თვლემდა, როცა ჩაცმულობით გამორჩეულმა ქალბატონმა პარტიზანების თემა შემოაგდო და მათ სულ **დივერსანტ-ტერორისტები და მძარცველები უძახა. ქალბა-**ტონის ამ განცხადებამ ბევრი გააღიზიანა, ზოგიც საშინლად აღაშფოთა.

ამისთანებმა რა იციან რა დღეშია ხალხი, მათთვის შვილი არ მოუკლავთ, სახლ-კარი არ გადაუწვავთ, ქმარი არ გაუტაციათ, შვილი არ გაუუპატიურებიათ, კედელთან არ დაუყენებიათ, ავტომატი ყურის ძირში არ დაუცლიათ, „ძაღლის ენაზე“ ლაპარაკი არ აუკრძალავთ; რა აწუხებთ, ნეტავი? დამარცვლით წარმოთქვა შუახანს გადაცილებულმა შავპერანგიანმა მამაკაცმა.

კუპე ახმაურდა.

უცებ შავი ლენტით თავწაკრული გოგონა აქვითინდა. მის გვერდით მჯდომმა ქალბატონმა დამშვიდება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. გოგონა დერეფანში გავარდა, ქალიც თან გაჰყვა. მეც უკან გავყევი.

გოგონამ, როგორც შემდეგ გამეცნო ნანამ, კუპეში დაბრუნება არ მოისურვა. მასთან და მის ახლობელ ქალბატონთან გათენებამდე ვისაუბრე.

* * *

– ნამდვილი პარტიზანები გალში, და საერთოდ აფხაზეთში, ძალიან ბევრია. ვითარებამ აიძულა იარაღისთვის მოეკიდათ ხელი. მათ ხალხი არ იცნობს, ვინაიდან ნამდვილ პარტიზანს ტელევიზიასთან და გაზეთთან არაფერი ესაქმება. ვინ იცის, რამდენი მათგანი დაიღუპა უხმაუროდ, რამდენს გაუთხარეს საფლავი მეგობრებმა და სანდო ხელშემწყობებმა, რამდენი ადამიანის ხორცის და ძვლების გაყოფაზე იჩხუბეს მგლებმა, ტურებმა, ყვავებმა, მრისხანებას ვერ მალავდა გოგონა.

პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, განაგრძო ნანამ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ადამიანების გარეშე, გალის რაიონში

მოსახლეობა ვერ დაბრუნდებოდა, დარჩენილიც გამოიქცეოდა, იქაურობას ეკალ-ბარდი დაფარავდა, ახდებოდა სოხუმის ოცნება: აქ ტყე უნდა იყოს, ჩვენი და ჩვენი სტუმრების სანადირო ადგილიო, არ გაგიგონიათ?

ნანა აფხაზეთის ამბებში კარგად ჩახედული, ჭკვიანი ქალიშვილი ჩანდა, პარტიზანებთან რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობა უნდა ჰქონოდა. შევეცადე რამე გამეგო, მაგრამ ამაოდ. მერე დიდხანს ვიკამათეთ პოეზიაზე, ისტორიაზე, ადამიანის ბედისწერაზე და ბოლოს, როგორც იქნა, თითქმის ჩურჩულით, თანაგრძნობით და ტკივილით, ერთი მისი ნაცნობი პარტიზანის თავგადასავლის მოყოლა დაიწყო:

– მას აფხაზები „ახახუ-აფანას“ (რაც აფხაზურად თმას და წვერს ნიშნავს) ეძახდნენ, სინამდვილეში ზურაბი ერქვა და ერთი წლის წინათ დაიღუპა. იგი ცხრა წლის დაობლდა, მამა ავტოავარიაში დაეღუპა, დედა ორსულობას გადაჰყვა, თუმცა გოგონას გადარჩენა მოხერხდა.

დის გაზრდა ზურაბმა არავის დაანება და დეიდების დახმარებით ისწავლა ჩვილის შეფუთვა, გამოკვება, აკვანში ჩაწვენა, საშინაო საქმეების კეთება. დედის ანდერძს ასრულებდა: კერია არ ჩააქრო, მეზობლებში არ იმათხოვრო, გოგონას ობლობა არ აგრძნობინოო.

ზურაბი სკოლაშიც კარგად სწავლობდა, მამის და რაიონის ბიბლიოთეკაში წაუკითხავი წიგნი არ დატოვა. ჩეგევარას ბედი და დაღუპვის ისტორია სამუდამოდ დარჩა მის მეხსიერებაში, „კრაზანას“ შესახებ სიამაყით უყვებოდა თანატოლებს, საქართველოს ისტორია, ჩვენი ხალხის ტრაგიკული ბედი ზეპირად იცოდა.

სკოლიდან დაბრუნებული ჩაის ფოთოლს კრეფდა, მისი შინაური პირუტყვი თითით საჩვენებელი იყო სოფელში. ვალიკო ბიძიამ კვიცი აჩუქა. **„არაბულა“ კარგი ცხენი დადგა, ზურაბს გარდა არა-**ვის იკარებდა. მალე ორსართულიანი კაპიტალური სახლი ააშენა, კეთილმოაწყო. ქანცგაცლამდე მუშაობდა. დაღლილ-დაქანცული, მაგრამ ამაყი, საღამოს ტალავრის ქვეშ ჩამოჯდებოდა და თავისი ნაღვაწით ტკბებოდა. მერე მეზობლებთან ერთად ღელეზე საბანაოდ წავიდოდა, დიდხანს ჭყუმპალაობდა. არანორმალურად უყვარდა წყალი, ბანაობა, მდინარეში ჩაცვენილი ბავშვების გაუთავებელი ჟრიამული.

აფხაზეთის ომის დროს ზურაბი მოსკოვში იყო; მასავით ობოლი ბიძაშვილი ეკა, რომელსაც ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული და ლოგინზე იყო მიჯაჭვული, იქ მკურნალობდა და ვერ მიატოვებდა. მხოლოდ ომის შემდეგ. 1994 წლის დასაწყისში, ინვალიდის ეტლით

ეკა ზუგდიდში ჩამოიყვანა, მოგვიანებით მის გადამწვარ, მაგრამ მშობლიურ ეზო-კარში გადაიყვანა.

1994 წლის თებერვალში ბოევიკებისგან იძარცვებოდა და იწვოდა გალის რაიონი, განსაკუთრებით ზღვისპირა სოფლები. ცოცხლად გადარჩენილები ტყეს აფარებდნენ თავს ან ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონებში გადადიოდნენ.

8 თებერვალს ბოევიკები ზურაბის სახლს მიადგნენ, და-ძმა საფარიდან უყურებდა ავტომატებით როგორ დაცხრილეს (მათ შორის ქალებიც იყვნენ) ძაღლები, რომლებმაც ეზოს არ გააკარეს თოფიანი უცხო კაცები. ნანა ტიროდა, ზურაბს კაცის ფერი არ ედო, სახე შეშლილს უგავდა.

აფხაზებს **„არაბულა“ მოეწონათ, ამხედრება მოიწადინეს, მა-**გრამ ამაოდ. გამწარებულმა აფხაზმა ჯერ ფეხებში ესროლა **„არაბ-**ულას“, შემდეგ კი თვალებში დაახალა ტყვია.

შემზარავად აზმუვლდნენ ძროხები, კამეჩები, მოზვრები. აჭყივლდნენ ღორები, როცა მათ „კამაზის“ საბარგულზე დაუპირეს აყვანა. არ გამოუვიდათ, მაშინ ტყვიამფრქვევით დახოცეს, ნა-ჯახით დაჩეხეს და ნაწილებად აიტანეს ძარაზე. ეზოში სისხლის გუბეები იდგა. მოგვიანებით კიდევ ორი „კამაზი“ შემოგრიალდა ზურაბის ეზოში და ავეჯის, წიგნების, საოჯახო ნივთების გატა-ნას შეუდგნენ; ოდა პირწმინდად დაცალეს, ოჯახის ალბომის სუ-რათებს და საოჯახო დოკუმენტებს ქარი დააფრიალებდა ეზოში. ერთ აფხაზ ქალს ზურაბის დის ლურჯთვალება თოჯინა მოეწონა და ჯიბეში ჩაიჩურთა.

ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. ზურაბის ოდის იატაკსაც გად-აასხეს ბენზინი, მაგრამ დაწვა გადაიფიქრეს რატომღაც; ირგვ-ლივ ყველაფერი ალში იყო გახვეული, სუნთქვა და ხედვა შეუძლე-ბელი იყო.

გალეშილი ბოევიკები ახალგაზრდა ქალებს დაეძებდნენ.

ზურაბი და ნანა ენგურს გამოღმა გადმოვიდნენ. ერთი კვირა შორეულ ნათესავთან აფარებდნენ თავს, შემდეგ კი საბავშვო ბაღ-ში ერთი ციცქნა ოთახი გამონახეს.

ზურაბს სხვა დევნილებივით სჯეროდა, რომ მალე აფხაზეთში მშვიდობით დაბრუნდებოდნენ. ამ მოლოდინში ზურაბი თბილის-ში გაემგზავრა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ზუგდიდში ხშირად ჩადიოდა და დევნილებისთვის ახალი ამბები ჩაჰქონდა: პრეზიდენტმა ბრძანა, პარლამენტმა გადაწყვიტა, აფხ-აზეთის ხელისუფლება აფხაზეთში დასაბრუნებლად ემზადებაო. როცა ეს თანამოსაუბრეებს არასაკმარისად მოეჩვენებოდათ, ზურაბი საქართველოს ისტორიიდან არგუმენტებს იშველიებდა.

ზურაბი დღედაღამ მეცადინეობდა, ინგლისური ენის სწავლას შეუდგა, საერთაშორისო სამართალმა და ომების ისტორიამ გაიტაცა.

ამასობაში წლები გავიდა, ზურაბსაც გაუცრუვდა იმედი. ასაკის მომატებასთან ერთად ხასიათი შეეცვალა. სამეგრელოში **განსახ-**ლებულ უამრავ დევნილს იცნობდა, მათი აუტანელი მდგომარეობა ტანჯავდა.

ზურაბი პარტიზანთა რამდენიმე ჯგუფს შეხვდა. ყველგან მიიწვიეს ეს ახოვანი, ტანწერწეტა, შავთმიანი და შავწვერა, მეტად ლამაზი, განათლებული ახალგაზრდა კაცი, მაგრამ ამ შეხვედრებიდან რატომღაც თავად დარჩა უკმაყოფილო. ის მთელი დღეები იატაკზე დაგებულ ლოგინზე წამოწოლილი, ფიქრებს მისცემოდა. გულჩათხრობილი გახდა, ეტყობა რაღაც სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო თავისთვის.

ზურაბის თანასოფლელი დაბრუნდა გალიდან, ფარულად შესულა **და გამოსულა. ამბავი ჩამოუტანა ზურაბს, მის სახლში ბო-**ევიკებს **შტაბი მოუწყვიათ, „საეჭვო“ ქართველებს სარდაფში ამწ-**ყვდევდენ, აწამებენ, ხოცავენო.

ზურაბმა ზუგდიდში წასასვლელად მეზობელს ცხენი სთხოვა, მერე კი მდინარე ენგურის მეორე მხარეს ამოჰყო თავი. რამდენიმე დღე ელოდა შესაფერის მომენტს. ორი ნასვამ ბოევიკს იარაღი და ტანსაცმელი წაართვა. ხელ-ფეხი შეუბორკა და დედიშობილა მიაგდო გზისპირას.

ზურაბი დარწმუნდა, რომ მისი სახლი ბოროტების ბუდედ იყო გადაქცეული, ამიტომ ბოევიკებს პასუხი უნდა ეგოთ.

დიდი ბაბუს, ყოფილი აბრაგის, მერე შემორიგებულის, რომელსაც ძალიან ჰგავდა თურმე ზურაბი, ნათქვამი უტრიალებდა თავში: ამქვეყნად იმიტომ მოდიხარ, რომ სიკეთე აკეთო, საკუთარი თავი და მოყვასი არავის დააჩაგვრინო. ნუ გეშინია სიკვდილის, ის ყველასთან მივა ერთ დროს, მაგრამ ბედნიერებაა ლამაზი სიკვდილი, როცა დიდ საქმეს აკეთებ. ღმერთმა ყველას მიუჩინა საკუთარი ტერიტორია, ეზო-კარი. ის შენი, შენი შვილების და შვილიშვილებისაა, მასზე უფლება სხვას არა აქვს. მოძალადე უნდა გააგდო ან გაანადგურო.

ზურაბი სამი თვე არ გამოჩენილა. 1997 წლის ოქტომბერში ვიღაცას უნახავს ოჩამჩირეს ერთ-ერთ სოფელში სამხედრო ბაზის ახლოს შავ ცხენზე ამხედრებული, ზურგზე თმა გადაშლილი, წვერმოშვებული, ბაშლიყით და შავი ნაბდით.

ზურაბის მშვენიერ დას, ნანას ბევრი მთხოვნელი გასჩენია, მაგრამ პასუხი ყოფილა, ზურაბი ჩამოვა, მერე მოგცემთ პასუხსო.

დეკემბრის ბოლოს ვიღაცამ ზურაბის სახლი ააფეთქა. სამშვიდობო ძალებმა და აფხაზებმა ეზოს და სოფელს ალყა შემოარტყეს. ხმა გავრცელდა, რომ რამდენიმე ბოევიკი გამოასვენეს ნანგრევებიდან, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა არცერთი ქართველიო.

ჭორებს რა გამოლევს, ზურაბის ნახელავიაო.

ნანას თქმით, ზურაბი ღამით გამოჩნდებოდა შავ კოსტუმით და ჰალსტუხით. ოთახში ჩაიკეტებოდა და კითხულობდა ან ეძინა. ხალხთან შეხვედრას თავს არიდებდა.

მერე ისევ დაიკარგებოდა, თვეობით გაუჩინარდებოდა.

საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით ლამის ყოველღამე გადაიცემოდა: გავლენისა და ქონების განაწილებისთვის აფხაზი ბოევიკები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ამდენი და ამდენი კაცი მოუკლესო ერთმანეთს, რომელიღაც სოფელში „BMP“ დაიწვაო, სადღაც დანაღმულ გზაზე ამდენი და ამდენი ბოევიკი დაუხოციათო.

შეშფოთებას არც სოხუმი მალავდა. გაეროში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ჭუბურხინჯის შეხვედრებზე, საკოორდინაციო საბჭოში გამუდმებით ჩიოდა ქართველი პარტიზან-დივერსანტების შესახებ. გაეროს რეზოლუციებში ჩანაწერები კეთდებოდა დივერსიული აქტების დაუშვებლობის თაობაზე.

გალის 1998 წლის მაისის მოვლენების დღეებიდან ზურაბი ზუგდიდში არ დაბრუნებულა.

ნანამ შავები ჩაიცვა, ზურაბის „ნიშანი“ მოაწყო ოთახში.

ენგურს გაღმა კვლავ დაბრუნდა მოსახლეობა, ხელახლა შეუდგა დამწვარი სახლების აღდგენას. ადგილებზე გაჩნდნენ ავტომატიანი ბიჭები, რომელთაგან ზოგიერთს ხელი წაცდებოდა მეზობელი სოფლის ოჯახზე მტერთან თანამშრომლობის საბაბით.

ვინ იცის ამ ჯგუფებს ვინ მართავდა, ქართველები იყვნენ თუ ქართულად და რუსულად მოლაპარაკე აფხაზები, სპეცსამსახურების თანამშრომლები. სოხუმს, ბუნებრივია, არ ეძინა: გალის რაიონში ნარკოტიკული მცენარეების მოშენებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, რომელიც ადგილზევე მუშავდებოდა, იქაც მოიხმარებოდა და ზუგდიდშიც გადმოჰქონდათ. რაიონში უფრო სერიოზული ნარკოტიკებიც ლამის უფასოდ იშოვებოდა, ავტომატური და სხვა იარაღი მრავალ ოჯახში გაჩნდა. გალის რაიონში სოხუმის უშიშროების სამსახური თავის ქსელს ქმნიდა, რუსეთიდან, სხვა ქვეყნებიდან, კრიმინალები გალში და აფხაზეთში პოულობდნენ თავშესაფარს.

გალში კი უხმაუროდ ამაყობდნენ ზურაბით. ლეგენდები იქმნებოდა მასზე: სამართლიანია, გაჭირვებულებს პატრონობს, მოსახ-

ლეობას იცავს თავდამსხმელებისგან, მოძალადეს არ გაახარებს, ტყვედ აყვანილ ან დაჭრილ ბოევიკს არ აწამებს, იშვიათად თუ კლავს, ყოფილა ისიც, რომ ვინც მოინანია დანაშაული, თავად გაუცილებიაო სამშვიდობოს.

საეჭვო ის იყო, რომ ზურაბი არავის უნახავს, იგი მარტო მუშაობდა, მხოლოდ ღამით. ბევრჯერ დაუგეს თურმე ხაფანგი, მაგრამ არასოდეს ჩავარდა, უჩინმაჩინი იყო, თავადაც ხაფანგების დიდოსტატი.

ვიღაც ჩუმად იმასაც ჰყვებოდა, რომ ზურაბს გალის და ოჩამჩირეს ბევრ სოფელში საიმედო ხალხი ჰყავსო, მათ შორის აფხაზები, რუსები, უკრაინელები, რომელთაც სიცოცხლე აჩუქა, შემდეგ კი ძმაკაცები გახდნენო.

ასე იყო თუ ისე, გალის რაიონის ქვედა ზონაში ბოევიკები ვერ შედიოდნენ, თავხედი ჯგუფების თარეში მათი გაქრობით ან აფეთქებით მთავრდებოდა. ხალხის ნათქვამს თუ დაეჯერება, ზღვისპირა მდინარეები და ლაგუნები აურაცხელ საბრძოლო ტექნიკას, სატრანსპორტო საშუალებას და ბოევიკთა ჩონჩხებს ინახავსო.

ზღვისპირა სოფლებს სოხუმი ფაქტიურად ვერ აკონტროლებდა. ხანდახან სადამსჯელო ოპერაციებს ატარებდა რუსეთის სამხედრო ტექნიკის მხარდაჭერით, რომელსაც რამდენიმე კვირაში მათი ადგილობრივი ინიციატორების გაქრობა მოჰყვებოდა ხოლმე.

ზურაბი ბოევიკებს შიშის ზარს სცემდა. მისმა მნახველმა აფხაზებმა მას „ახახუუ“, ქართულად თმა, უწოდეს, სხვებმაც კიდევ „აფანა,“ ანუ „წვერი“. ახახუუს გამოჩენაზე აფხაზური პოლიცია განგაშს აცხადებდა, გზებს შეკრავდა, დამატებით ძალებს მოითხოვდა, მაგრამ მიწა ყლაპავდა თუ ცა, მისი აყვანა ვერ ხერხდებოდა.

გალში შექმნილ ვითარებას კარგად იცნობდნენ გუდაუთაში; რთულ ოპერაციებში სოხუმი არ ენდობოდა ოჩამჩირელ და გულრიფშელ ბოევიკებს, როგორც ყოფილ სამურზაყანოელთა მემკვიდრეებს და გუდაუთელ აფხაზებს აგზავნიდა გალის რაიონში. დედები აფრთხილებდნენ შვილებს, თუ ახახუუს გადაეყრები, არ გაბედო შებრძოლება, თავი აარიდეო იქაურობას.

სოხუმმა ყველაფერი იცოდა. არძინბამ საჯაროდ განაცხადა, რომ გალში იმდენი მებრძოლი დაკარგა, რაც მთელ ომშიო. იქ სხვებიც პარტიზანობდნენ, მაგრამ ზურაბი ვერ მოიხელთეს და მისი დაკავების მცდელობაში ბევრი სპეცრაზმელი დაკარგეს. ამიტომ ტაქტიკის შეცვლა სცადეს, ხალხიც მიუგზავნეს, მაგრამ ზურაბთან

დალაპარაკება ვერ მოახერხეს. ზურაბმა სოხუმის წერილი მიიღო, სადაც მას დიდძალ ფულს, შეცვლილი გვარით თანამდებობას, რუსეთის უშიშროების ცენტრალურ აპარატში სწავლას და სამსახურს სთავაზობდნენ.

ზურაბმა შეუთვალა: „აფხაზებს და ქართველებს სამტრო და გასაყოფი არაფერი გვაქვს, მაგრამ გალში თქვენ მახვილით მოხვედით, ქართველებს იმონებთ, აპატიმრებთ, აწამებთ, კლავთ, ქალებს აუპატიურებთ, ადამიანებს ნორმალური ცხოვრების საშუალება არა აქვთ, ამიტომ, ჩვენც მახვილით დაგხვდით. არ არსებობს საერთაშორისო სამართლის ნორმა, რომელიც გალელ გლეხს, იქაურ მცხოვრებს აუკრძალავს დაიცვას თავისი მიწა, ეზო-კარი, ქონება, ღირსება და პატივი. შეიძლება მე და ჩემისთანები მოკლათ, მაგრამ გამოჩნდებიან სხვები, რომლებიც მამა-პაპათა ანდერძს აღასრულებენ. შეუძლებელია ხალხის დამარცხება, რომელიც თავის მიწაზე დგას, თავისი საფლავები აქვს და წმიდათაწმინდად მიაჩნია იგი; **გალელი მიცვალებულებიც გალში ბრუნდებიან, დევ**ნილები ანდერძს უტოვებენ შვილებს, ახლობლებს, რომ გალში გადმოასვენონ. რა ძალა დაამარცხებს ამ ხალხს? ეს ინსტინქტია, რომელიც უფლის მიერაა ბოძებული.

მე-17-18 **საუკუნეებში, სხვათა ომში, ისე ამოგვიჟუჟია ერთ**მანეთი პატივმოყვარე აფხაზებსა და ქართველებს, რომ რუსეთის იმპერატორიც შეწუხებულა, აფხაზებისგან მიტაცებული **სამურ**ზაყანო **შეუსყიდია, თავისი ჯარით წესრიგი დაუმყარებია და და**დიანებისთვის დაუბრუნებია. განა ვერ ხვდებით, რომ კვლავ სხვის ომში ვხოცავთ ერთმანეთს! სამარცხვინოა, რომ უცხოტომელებს გაურიგდით, მათი მხარდაჭერით და იარაღით ბობოქრობთ ნათესავ, მოძმე და მეზობელ ქართველებზე. რას ეტყვით თქვენ და ჩვენ საერთო წინაპრებს, იქ სადაც ყველას მოგვიწევს მისვლა და სამსჯავროს წინაშე წარდგომა? შეწყვიტეთ მკვლელობა და ძალადობა ბატონებო, დააბრუნეთ გაძევებული ხალხი აფხაზეთში და მიიღებთ სიმშვიდეს, სიწყნარეს, შეწყდება საპასუხო მკვლელობა და ძალადობა!“

ამის შემდეგ სოხუმს ზურაბი არ შეუწუხებია, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. ამბობენ, რომ მისი თავი დიდ ფულად შეაფასეს, სპეციალური ჯგუფი შექმნილა ზურაბის ასაყვანად ან გასანადგურებლად.

ზურაბი დევნის კვალს ყველგან გრძნობდა, მოსალოდნელ დასასრულს, მაგრამ გაჭირვებულ თანამოძმეებს ვერ მიატოვებდა.

ზურაბმა ირწმუნა ბედისწერა.

შარშან, აგვისტოს ბოლოს, ზურაბი სახლში მისულა, მთვარის შუქზე ეზო გაუწმენდია, სამზადისი მოუწესრიგებია, ბაბუას მიერ მისი ქორწილისთვის შენახული ორნახადი დასპირტული არყის ბოცა ამოუთხრია, გემო გაუსინჯავს.

მერე ცხენი შეუკაზმავს და **გუდავასკენ წასულა, უახლოესი მე-**გობრისთვის რაღაც უნდა დაებარებინა და თბილისში უნდა გამგ-ზავრებულიყო.

გუდავაში, ტყით გარშემორტყმულ ალაგას, მდინარე ოქუმის ძველ კალაპოტში, პატარა მდინარის მორევში ბავშვები შეუნიშ-ნავს, რომლებიც თავით ხტებოდნენ წყალში, როგორც თვითონ ოდესღაც. შეკაზმული ცხენი საბალახოდ მიუშვია და მობანავე ბავშვებთან მისულა. ტანზე გაუხდია და მორევში გადაშვებულა.

ავტომატები აკაკანებულან. ირგვლივ 5 თუ 6 ავტომატი ისრო-და წყალში. შეშინებული ბავშვები ზურაბს შემოხვევიან.

მიმხვდარა შეცდომას, შეკაზმული ცხენი შეუნიშნავთ აფხა-ზებს, წინ გამოუგდიათ, ცხენი კი მორევს მიდგომია.

თავის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა. ისკუპა და წამში ავ-ტომატი და ხელყუმბარა ეკავა ხელში, ადგილიც შეარჩია მარჯვედ, მაგრამ არ გაუსვრია. ბავშვები იყვნენ მის ირგვლივ, რომლებიც უეჭველად დაიხოცებოდნენ.

ზურაბმა ავტომატი მოისროლა თურმე, წამოიმართა და ორივე ხელი ზეასწია.

იგი აღმართს აუყვა და ბოევიკებთან მივიდა.

ზურაბი მთელი თავით მაღალი იყო გარშემორტყმულ ათეულ ბოევიკზე. **შავი თმა-წვერი, მაღალი ყელი, თეთრი ტანი მას განსა-**კუთრებულ იერს აძლევდა.

ბოევიკებმა **ზურაბს ბორკილები დაადეს ხელ-ფეხზე. რამდენ-**იმე წუთში ორი „ნივა“ და „БМР“ გამოჩნდა. ზურაბი „ნივაში“ ჩასვეს უკანა სალონში ორ აფხაზს შორის, წინ შეიარაღებული მძღოლი და მაღალი ჩინის ოფიცერი ჩასხდა.

კორტეჟმა გეზი ოჩამჩირესკენ აიღო.

ზურაბი ცოცხლად ჩაბარებას არ აპირებდა და ხელსაყრელ მო-მენტს ეძებდა.

ეს მომენტიც დადგა. მოსახვევთან, რომლის იქით ღრმა ორმო იყო, ზურაბმა დრო იხელთა და დაბორკილი ხელები მძღოლს თავ-ზე გადაავლო და ყელზე ამოსდო, თავისკენ გაქაჩა. მანქანამ ორი-ენტაცია დაკარგა და ორმოში ამოტრიალდა.

ოფიცერი არ დაბნეულა, მან ზურაბს სახეში და კეფაზე სამი ტყვია დაახალა.

ავტომანქანა ორმოდან ამოიყვანეს. ზურაბი, რომელიც ჯერ კიდევ ტოკავდა, „БМР-ში“ გადაიყვანეს.

ოფიცერი მობილური ტელეფონიდან აფხაზურად ესაუბრებოდა ვიღაცას; ხან „ახახუუს“ ახსენებდა, ხან „აფანას“.

იმავე საღამოს სოხუმის საინფორმაციო არხებმა სპეციალური გამოშვებით აფხაზეთის მოსახლეობას აუწყეს ყველაზე საშიში ქართველი დივერსანტის და ტერორისტის ლიკვიდაციის შესახებ.

ნანა ხმამაღლა ქვითინებდა. ქალბატონი ამშვიდებდა. მეც ვუთხარი სამძიმარი და დავაყოლე, რომ ყველა ჩვენგანის სახელი გაქრება, მისი სახელი და საქმე იცოცხლებს.

ქალბატონმა საიდუმლოდ გამანდო, ნანა ზურაბის დაა, თუმცა დღეს საკმაოდ ნერვიული და დაბნეული ჩანს, მაგრამ რაღა ქნას, ასეთიაო ჩვენი ცხოვრება.

ზუგდიდი, 22 ნოემბერი, 2003 წ.

მარადიული ძახილი

თამარმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და დედაქალაქში ბავშვთა გამორჩეული ექიმი გახდა.

თბილისის ელიტარული ოჯახები თამარის მშობლებს მოსვენებას არ აძლევდნენ. არც მამაცი ბიჭების მოგერიება იყო ადვილი, მაგრამ თამარი პიროვნება იყო და მის გულს მამაკაცთა ჩვეული დედაქალაქური სინაზე და და პოეტური ლექსიკა ვერ მოინადირებდა.

თამარი გათხოვდაო, მეხი გავარდა თბილისურ პაპანაქებაში ელვის გარეშე. იგი, საკმაოდ დიდ თანამდებობაზე, აფხაზეთიდან თბილისში ახლად გადმოყვანილი იურისტის მეუღლე გახდა.

გურამი შემთხვევით გაუცნია ოპერაში.

მაღალი, ტანადი, სახენაიარევი ახალგაზრდა კაცი ოდნავ მოუხეშოს შთაბეჭდილებას ტოვებდა; ოჯახშიც უსაყვედურეს, არჩევანი შენია და შენ მოგიწევს მასთან დაბერებაო, მაგრამ თამარს აინუნშიაც არ ჩაუგდია ახლობელთა შეშფოთება; საკუთარ სიცოცხლეს იგი თავად განაგებდა.

თამარ და გურამი ერთ სულ და ერთ ხორცად იქცნენ. ბევრს კითხულობდნენ და ხშირად იცინოდნენ იმ გენიოსების უსუსურობაზე, რომლებმაც შედევრები შექმნეს სიყვარულზე. სიყვარულში იყო მათი სამეფო და სიყვარული ბატონობდა მათზე.

ერთი ქალიშვილი გაზარდეს. დედის სილამაზე, მამის სიმაღლე და ზღვის თვალები დაჰყვა ცირას.

ცირა ადრე გათხოვდა. ბებიების და ბაბუების **ნებიერამ, და-**
მოუკიდებლად გააკეთა არჩევანი.

მუდამ საქმიანი გურამის **და თამარის უზარმაზარ ბინაში დღი-**
სით სიცარიელემ დაიდო ბინა, რომელსაც გვიან საღამოს თამარის
უჩვეულო კისკისი თუ აფრთხობდა.

* * *

საქართველოში დროის და სივრცის ვექტორი შეიცვალა.

მრავალ სიკეთესთან ერთად კონფორმისტების ზეობის ხანა
დადგა.

გურამის ძლიერი სული და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული
გული ვერ ეგუებოდა მედროვეთა თავგასულობას.

თამარი ცდილობდა დროისთვის მხარი აება, მაგრამ იგი გა-
ჭირვებულისაგან ფულს ვერ აიღებდა, უმწეო პაციენტებისთვის
სახლიდან გაჰქონდა ძველ დროში შეძენილი წამლები.

გურამი დარწმუნდა, რომ მის მარტოსულ ბრძოლას აზრი ეკარ-
გებოდა და სამსახური შეიცვალა.

ეზიზღებოდა ფსევდო ადამიანები, მოჩვენებითი თავისუფლე-
ბა, იგი თავისთავში ჩაიკეტა.

თამარმა ურჩია ქალაქში ეხეტიალა, დამტკბარიყო თბილისური
სილამაზით.

გურამი უხალისოდ, მაგრამ მაინც დადიოდა ქალაქში, ძველი
სახლების კედლებზე მემორიალურ დაფებს ათვალიერებდა, განსა-
კუთრებით ძველ და ახალ სასაფლაოებს სტუმრობდა, საათობით
რჩებოდა იქ, დაბრუნებული ჩანაწერებს აკეთებდა თავისთვის, რო-
მელსაც თამარსაც არ აკარებდა.

აღუწერია კი ვინმეს თბილისის ან საქართველოს სხვა სა-
საფლაოების სიდიადე, დიდ წინაპართა ძვალთ შესალაგი თუ რი-
გით მოკვდავთა სამუდამო ნავსაყუდელი?

იქნებ ამ აღმოჩენით ერთობოდა გურამი, ეს უდაოდ ნიჭიერი,
მაგრამ საყვარელ საქმეს მოწყვეტილი კაცი.

ქალაქის მთისწინეთში, აღმართზე მიმავალ მანქანაში, გურამმა
გულის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო.

ეს დღე თამარის დაბადების დღე იყო.

თამარს სახლში უკვე გარდასახული გურამი ელოდებოდა. ექი-
მებმა მოიყვანეს გონს.

აფხაზური წესებით ძაძა არ გაუხდია სამი წელიწადი.

ახლაც თალხი ფერითაა შემოსილი მისი მშვენიერი სხეული.

თამარ აღარ არის უკვე თამარი, მაგრამ სამსახურში ზუსტად
იცავს საქმის და ზნეობის ეტიკეტს, იღიმის, იცინის, თითქოს
არაფერი მომხდარა.

ეს უნაზესი არსება ძმაკაცების და დაქალების ყოჩია დღესაც.

სახლში, დედასთან, სხვა თამარი ბრუნდება.

თავისი დაბადების დღე და გურამის გარდაცვალების დღე, წაშალა კალენდრიდან.

იმ დღისთვის შემონახულ სასმისები ააქვს სასაფლაოზე და როცა მარტოა, ერთ ჭიქით და ერთი წუთით ივიწყებს გაუსაძლის მონატრებას.

მონატრება კი იზრდება წლებთან ერთად. თამარისთვის ორი მთავარი სიწმინდეა ამქვეყნად, შვილიშვილი დათო და საიქიოს კარიბჭე, გურამის სასაფლაო.

დათოს გაჩენის შემდეგ, თამარი ღამით არ აკითხავს სასაფლაოს, მამამ ურჩია, არ შეიძლებაო.

სანაცვლოდ დათოს ბუდე გახდა მისი ყოველდღიური ვიზიტის უცვლელი მისამართი, თუმცა **გურამი, ენატრება, უსაშველოდ ენატრება.**

თამარი უნებურად ფიქრობს საკუთარ თავზე როგორც ქალი, მაგრამ საკუთარ ფიქრებსაც ემალება ხშირად.

* * *

ერთ საღამოს დათო ღამისთევით დაუტოვეს ბინაში თამარს, მისი მშობლები სტუმრად წავიდნენ ქალაქგარეთ.

დათო უკვე დიდი ბიჭია, თამარივით ცელქი და ჭკვიანი;

საბავშვო გადაცემებს უყურა, დიდი ბებოს **ლიმნიანი ჩაი მი**ირთვა, მერე დასაძინებლად თამარის ოთახში გადავიდა. არ ისურვა დიდი ბებოს იავნანა.

იმ ღამეს თამარი ცნობილ ამერიკულ ფილმს შერჩა, რომლის სიუჟეტი მარტივია: ტრაგიკულად დაღუპული მეუღლის სული ქალაქში რჩება და ცოლს სატრფიალო განსაცდელისგან იცავს. ფილმში უხვადაა ეროტიკული სანახაობებიც. გვიანი ფილმი 2 საათზე დასრულდა.

თამარმა საბანი აკეცა და დათო გულზე დაიწვინა.

* * *

გურამი ჩვეულებრივ გვიან მოვიდა. სამზარეულოში ინამცეცა და საძინებელი ოთახისკენ გაეშურა. გაუკვირდა, რომ თამარი არ დალოდებია, როგორც წესად ჰქონდა.

საძინებელში ცერებით შევიდა, გაიხადა და თამარს გვერდით მიუწვა. თამარი შეიშმუშნა, გაიზმორა და განზე გაიწია.

გურამის თითების შეხებაზე აფართხალდა, მერე სხეულზე აეკრა მამაკაცს. გურამმა წამოიწია და და ყელზე დაეკონა, დაუკოცნა თმები, კისერი, თეთრი მარმარილოს მკლავები, თეძოები,

ბარძაყი, ხელისგულები. და ეს იწყებოდა თავიდან, იწყებოდა ისევ და ისევ.

თამარიც გადაეშვა ამურის მორევში.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ქორწინების პირველ დღეებში. უკვირდა თავადაც, როგორ მონატრებია გურამი, თითქოს მრავალწლიანი მივლინებიდან დაბრუნდაო იგი. მერე, რატომღაც და რაღაცნაირად აფხაზეთში, საღამოს ზღვაში აღმოჩნდნენ დედიშობილანი.

ღამის ფარდა სულ უფრო ეშვებოდა ზღვაზე და სიშიშვლის გრძნობა სულაც არ აწუხებდა თამარს, სიამოვნებდა კიდეც. არც არავინ იყო ირგვლივ, მხოლოდ სანაპირო დაცვის პროჟექტორები სერავდნენ მცირედ მოთამაშე ზღვის მოშავო-მონაცრისფრო ტალღებს.

თამარს, შეშინდა, მკერდზე მიეკრა გურამს, მაგრამ გურამი ისეთი ცხელი იყო, გველნაკბენივით უკუიქცა; ეგონა მოეჩვენა, კვლავ სცადა მიახლოება.

გურამი ხმას არ იღებდა, თითქოს ბრინჯაოს ქანდაკებად იქცა, ვარვარებდა, დნებოდა მკერდი და გაიპო კიდეც.

თამარმა ნახა მისი წითელი გული, რომელიც ნაპერწკლებს აფრქვევდა, ჯერ მოკლე სვეტებად, მერე აალდა და ბოლომდე დაიფერფლა. თამარს უნდოდა ეკივლა საშველად, მაგრამ პირში მოხეტიალე ტალღა შეუფრინდა და ხმას ვერ იღებდა...

– დედაა, დედაა!

ერთბაშად გამოიყვანა ბურანიდან დათოს ხმამ თამარი. ბავშვი ცივ ოფლში ცურავდა, აჩქარებით სუნთქავდა. წამოხტა თამარი და დედას დაუძახა.

დედას თურმე არ ეძინა, ყურს უგდებდა თამარის ბორგვას.

იგი მათს ოთახში შევარდა. შეშინებული უყურებდა დათოს და თამარს.

ფიქრის დრო არ იყო.

არჩევანი გაკეთდა, – ანალგინი კუნთში.

თამარი საკუთარ თავს არ ენდო და კოლეგა დაქალები გამოიძახა.

დასკვნა იგივე იყო.

რამდენიმე წუთში დათოს მშვიდად ეძინა.

დაქალებმა ყავა მიირთვეს და დაიფანტნენ.

თამარი ბავშვთან დარჩა, მაგრამ თვალი არ მოუხუჭავს.

რა იყო ეს? სულის გამოცხადება თუ ფილმით პროვოცირებული გამოწვევა?

არის კი იმქვეყნად რამე?

რატომაც არა, ყველაფერი ხომ ნამდვილი იყო, ამასთან ისე ენერგიული და მგრძნობიარე, როგორც არასოდეს!

ის ჯერაც არ გამოსულიყო იმ ნეტარებიდან, რომლის სადარი იშვიათად თუ ჰქონიათ და რომელსაც სექსოლოგები ნარკოტიკულ თრობას ადარებენ.

მაშინ რა შუაშია ბავშვის მაღალი სიცხე. სიცხე ხომ არ იყო ყველაფრის მიზეზი? არ უნდოდა ამის დაჯერება.

სხვა ათასი აზრი უტრიალებდა თავში თამარს. საეჭვო კითხვა მეტი იყო, ვიდრე პასუხი.

გაჭირდა გათენება. სამსახურში უხასიათოდ იყო, უჩვეულოდ ტკიოდა თავი.

საღამოს მამაოს გაუარა და თითქმის ყველაფერი მოუყვა.

მამაოც დააბნია, ამ წარმოდგენით დაბრუნდა სახლში.

კვლავ გურამი და სიზმარი უტრიალებდა თავში, მერე მთელი ღამე იძინა უშფოთველად.

მალე ყველაფერი დრომ დაალაგა თავის ადგილზე, მაგრამ ეჭვის თხუნელა დღემდე უბურღავს ტვინს – რა არის სიცოცხლე და სიკვდილი, რა არის სიკვდილში ისეთი, რომ იქნებ შეიყვარო კიდეც.

* * *

ეს გამოგონილი ამბავი არ არის. მსგავსი ნამდვილად შეემთხვა ერთ აფხაზეთელს, რომელიც მატარებელში გავიცანი. მან ქმარი აფხაზეთში დაკარგა. ახლა კარგი ოჯახი აქვს, გათხოვდა დედამთილის დაჟინებული მოთხოვნით.

მატარებელი ისეთი რახარუხით მიზოზინებდა რელსებზე, თითქოს ქვაფენილზე გადავიდაო. ამ ხმაურში დროც გაჩერდა და მის მოსაკლავად ვიღაცამ საუბარი წამოიწყო, იმის გამოც, რომ კუპეში **ექიმ-ფსიქიატრი აღმოჩნდა. ჩვენი დიალოგი ქალის და კაცის** ვირტუალური ურთიერთობის საკითხებში გადავარდა. ექიმი ორჭოფობდა, კატეგორიული არ იყო დასკვნებში.

მე რამდენიმე მაგალითი შევახსენე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან, როცა მსგავსი საკითხების შესწავლას მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ გახშირებული ანომალიების გამო, რაც, **ქმარდაკარგულ ქალებს ძილში ემართებოდათ** და მათივე მტკიცებით, ეს ურთიერთობა არაფრით განსხვავდებოდა რეალური კავშირებისგან.

შემდგომშიც რამდენიმე საინტერესო ფსიქოლოგთან ვისაუბრე ამ თემაზე. ისინი ამ და მსგავს მოვლენებს უფრო მიწიერად უყურებენ, თუმცა არ გამორიცხავენ საიქიო ცხოვრებასაც, მაგრამ არგუმენტი, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ რწმენის სფეროშია.

ერთმა ცნობილმა ფსიქოლოგმა, რომელიც წარმატებულად მუშაობდა სოციალურ ფსიქოლოგიაში, პირდაპირ მითხრა – რამდენმა მილიონმა ქმარდაკარგულმა ქალმა ამოიღამა თვალი მეუღლის ამაო ლოდინში, გაიმრუდა საკუთარი ცხოვრება, ახალ სიცოცხლეს არ აღირსა გაჩენა. ვინ რა მოიგო? მან, ქვეყანამ, მათზე ნამდვილად შეყვარებულმა სხვა მამაკაცმა, საზოგადოებამ?

„მე ჩემს პაციენტებს ხშირად ვახსენებ წინა საუკუნის 50-ან წლებში ერთი ფარაონის აკლდამიდან გაშიფრულ წარწერას, დალიეთ ღვინო და გიყვარდეთ ქალი, რამეთუ ვინც მიდის ამ ქვეყნიდან, არასდროს დაბრუნდება უკან!“ ეს კაცებზეა. რა, ქალი სხვა არის? სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა რეალურ ადამიანთა რეალური ერთობა. არ არის ერთი, არ არის სიყვარული. არის მხოლოდ ხსოვნა და პატივისცემა, რომელიც განათლებულ და ღირსეულ ადამიანს სულაც არ უშლის ხელს სხვა ადამიანის სიყვარულსა და ამქვეყნიურ ტკბობაში. არც ეკლესია კრძალავს ამას.

არის სხვა რამ და უნივერსალური, ჩვენზე დამოუკიდებელ – ვერა და ვერავინ შეაჩერებს სიცოცხლის ძახილს, რომელიც თავის ყოვლისშემძლეობას, როგორც წესი, ამქვეყნად ავლენს, ზოგჯერ ვირტუალური სამყაროდან გვიხმობს. როგორიც არ უნდა იყოს მისი ფორმა, ის ჯანმრთელი ორგანიზმის მარადიული ძახილია, არსებობის წესია, რომელსაც ვერავინ გაექცევა. ეს ყველა ადამიანის წილხვედრია და არა აქვს მნიშვნელობა ქალია თუ კაცი.

საქართველოს მრავალ მთიან რეგიონში ხალხმა მეტად სამართლიანად და ადამიანურად გადაწყვიტა ეს საკითხი.

სხვა ფსიქოლოგი უფრო შორს წავიდა. მისი ცნობით, დასავლეთის ქვეყნებში, ახლა ჩვენთანაც, თავშესაფარში გარდაცვლილ ქალთა უმეტესობა, როგორც წესი, სიკვდილის წინ ნანობსო დაკარგულ წლებს და ფუჭად დაცლილ ახალგაზრდობას.

ვერაფერს დავამატებ, იქნებ ასეა, იქნებ არა.

14 დეკემბერი, 2005 წ.

მღვრიე წყალი

1993 წლის იანვარსა და თებერვალში აფხაზეთის ყველა ფრონტზე შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა. მხოლოდ მდინარე გუმისთაზე მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები. აქ, მდინარის გასწვრივ, ორივე მხარემ მოაწყო კარგად შენიღბული დამატებითი

საგუშაგოები, რომლებშიც სადღეღამისო მეთვალყურეობა იყო დაწესებული.

17 თებერვალს, საღამოს, ერთ-ერთ ქართულ საგუშაგოზე მორიგეობამ უწიათ ქალაქ სოხუმის მკვიდრებს, ქართველებს – კობას და ნუგზარს.

წინა დღეებში მთებში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა გადარიეს გუმისთა. ალაგ-ალაგ ნაპირი გადალახა, მუქი, მრისხანე და დაუნდობელი გახდა. თავის ბუნაგებში მძინარე თევზები წამოყარა და ძირიანად მოგლეჯილ ხეებთან და ათასნაირ ნაგავთან ერთად ზღვისკენ გააქანა.

ახლა, ადრე ალერსიანი, თბილი **გუმისთა მშვიდდებოდა, მა**გრამ ჯერ კიდევ მღვრიე და ბობოქარი იყო.

ციოდა, ხეობის ქარი ძვალ-რბილში ატანდა გუშაგებს, თუმცა თბილად ეცვათ.

ღამე მშვიდი გამოდგა. დილის ხუთ საათზე კობა ნუგზარმა შეცვალა. მალე დილის ცვლა მოვიდოდა.

ნუგზარი დაბლა დაჰყვა მდინარის ნაპირს, ხეებს, ბუჩქებს, დიდ ქვებს ეფარებოდა, ღია ადგილებს ხოხვით გადადიოდა. იცოდა, რომ მეორე ნაპირზე სნაიპერს არ ეძინა.

ფიქრებში წასულს მამა გაახსენდა, რომელიც სოხუმის ერთ-ერთი დაბომბვისას რუსული ჭურვის ნამსხვრევების მსხვერპლი გახდა.

მარტოობაში ადევნებულ ფიქრს ვერ მოიშორებ თავიდან; რას არ შემოგთავაზებს: ოციოდე წლის წინათ იგი, საკმაოდ წამოჩიტული, მამას დაჰყვებოდა **გუმისთაზე სათევზაოდ; მაშინაც მღვ**რიე იყო მდინარე, მაგრამ წყალდიდობისგან გაჩენილ გუბურებში წყალი სწრაფად შრებოდა, გამჭვირვალე ხდებოდა და უზარმაზარი თევზები შიგ ადგილს ვერ პოულობდნენ, ჰაერი არ ყოფნიდათ. დიდებს კალათით იჭერდნენ, პატარებს მდინარეში აბრუნებდნენ.

ახალი თევზი მეზობლებში ნაწილდებოდა და მრავალდღიანი ქეიფის კარგი საბაბი იყო.

საოცარ სიწყნარეში, როცა წყალიც წაიძინებს ხოლმე, ნუგზარი მდინარეში ჩავიდა, ჭალაზე მიმოფანტულ გუბურებს გაჰყვა.

თენდებოდა. გაღმა, ციცაბო ნაპირზე, ადამიანის სილუეტი შენიშნა. უმალ დიდი ლოდი მონახა, მოხერხებულად ამოეფარა. სილუეტი ხან იხრებოდა, ხანაც სწორდებოდა, ნელ-ნელა გადაადგილდებოდა. სველ ქვიშაზე სიცივე იგრძნო, თითები და მტევნები გაუშეშდა, მაგრამ განძრევის, ადგილის შეცვლის უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემდა.

ნახევარ საათში სილუეტი ხელში ანკესიან ადამიანად იქცა, რომელსაც კამუფლაჟი და ქარგაუმტარი ლაბადა ეცვა, ავტომატი მკერდზე ეკიდა.

იგი ციცაბო ნაპირზე იდგა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობდა.

აქ მდინარე მკვეთრად უხვევდა, ამიტომ უხვი დანალექი წყლის ნაკადს ორად ჰყოფდა. გაღმა ნაპირთან დიდი, ქაფიანი მორევი გაჩენილიყო, სადაც წყალი თითქოსდა არც მოძრაობდა, სამაგიეროდ, გამოღმა ნაპირთან ნაკადი ჩქარი და ძლიერი იყო, აქა-იქ ჩანჩქერები ჰქონდა, ხმაურობდა.

ნუგზარი მკაფიოდ ხედავდა მეომარი მეთევზის სახეს, სიმაღლეს, მიხვრა-მოხვრის მანერას; იგი მისი ნაცნობი უნდა ყოფილიყო, უფრო მეზობელი: იქნებ სომეხი ენიკი წინა კორპუსიდან ან ომამდე მის გვერდით მცხოვრები აფხაზი, მისი ბავშვობის მეგობარი, რომელიც დიდი ხანია არ ენახა.

მზემ თავი წამოჰყო და ნუგზარისთვის უეჭველი გახდა, რომ მეომარი და მეთევზე, როგორც ახალრაიონელები ადრე ამბობდნენ, წიგნის და თევზის გიჟი ენიკი იყო.

ნუგზარს თვალწინ მამის მოგლეჯილი თავი, დაფლეთილი სხეული, დახოცილი თანამებრძოლები, გატანჯული მშვიდობიანი სოხუმელები, სტადიონში შერეკილი გაგრელები დაუდგა. ავტომატი შემართა, საკეტი ჯერზე დააყენა და მკერდზე მოირგო.

იგრძნო, რომ რაღაც ძალამ შეაკავა, თითი გაუშეშდა ჩახმახზე. კვლავ მამა გამოეცხადა: ენიკი შენზე ათი წლით უმცროსია, რუსი მეუღლე გაექცა, ოთხ ქალიშვილს აფხაზ დედასთან ერთად ზრდის, იდეებით გატაცებული კაცია, ხელმოცარული, მეზობელთა აზრით, საცოდავიც კიო.

ლულა დაბლა დაუშვა, ბოღმა დაუცხრა, დამშვიდდა. გულში გაეღიმა კიდეც და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ენიკს ქართულად დაუძახა. დაუძახა და ინანა: თავზარდაცემულმა ენიკმა ინსტინქტურად ისკუპა, მაგრამ არა უკან, არამედ წინ და მორევში ამოყო თავი.

ენიკი შეუპოვრად იბრძოდა გადარჩენისთვის, იგი ფიზიკურად ძლიერი იყო, კარგად ცურავდა, მაგრამ სველ კედელზე ვერ იპოვა ხელმოსაკიდი და რამდენიმე მცდელობის შემდეგ ძალგამოცლილი, დამძიმებული, თითქოს ბედს შეურიგდაო, მორევში გაუჩინარდა.

ნუგზარმა შემდგომაც ვერ გაიხსენა, თუ როდის გაიძრო ჯარისკაცის გრძელი ქურქი, ჩექმები, იარაღი დაყარა და როგორ აღმოჩნდა მდინარის ყინულოვან წყალში.

ენიკმა **კიდევ ერთხელ ამოჰყო თავი. ნუგზარიც მისკენ გაე-**მართა და უმალ ჩაყვინთა. გაშლილი ხელებით და ფეხებით ეძებდა ენიკს **და იქამდე არ მოეშვა, სანამ რბილ საგანს არ შეეხო და ნა-**პირზე არ გამოათრია. შემდეგ ზურგს ქვეშ მოზრდილი ქვა ამოსდო და იმდენ ხანს აწვებოდა, სანამ ენიკი წყლისაგან არ დაიცალა და მისი სუსტი მაჯისცემა არ მოისინჯა.

ენიკი ცოცხალი იყო, მაგრამ არა გადარჩენილი.

დიდ ლოდამდე ხელით ათრია სილაზე. თავისი ქურქი ენიკს გადააფარა და მშრალი ზედატანის ჩაცმა დააპირა, როცა ყურთან სნაიპერის შაშხანის ტყვიის ჩქამი იგრძნო, მერე წივილიც გაიგონა. სნაიპერს უმალ ავტომატის ჯერით პასუხი გასცა მხოლოდ იმისთ-ვის, რომ დრო მოეგო, მისთვის და ენიკისთვის უსაფრთხო ადგილი შეერჩია, კობაც გაეფრთხილებინა.

რამდენიმე წუთში მდინარის ორივე ნაპირიდან ყველა სახეობის იარაღიდან გაიხსნა ცეცხლი, რომელიც დიდხანს გაგრძელდა.

მალე კობაც ჩამოსრიალდა ნაპირიდან და როგორც კი ცეცხლი შეწყდა, ენიკი მაღლა აიყვანეს. იგი დაჭრილიც იყო. ნუგზარმაც იგრძნო, რომ ბარძაყი აეწვა, ანუ ტყვიამ გაუარა.

ნუგზარი და **ენიკი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ენიკი ოპერ-**აციის შემდეგ რეანიმაციაში დატოვეს, ნუგზარი სახლში დაბრუნ-და ტყვიის ნამსხვრევებთან ერთად.

საღამოს უფროსებთან პატაკი წაიღო, ურჩიეს, მომხდარი არ გახმაურებულიყო.

სამი კვირის თავზე ენიკი სოხუმის ბინაში დაბრუნდა.

მარტის ბოლოს **ენიკი და მისი გოგონები ახალ რაიონელმა ბი-**ჭებმა, სხვისი სახელითა და გვარით ცრემლებით გააცილეს, ურ-ჩიეს, რომ ომი მისი საქმე არ იყო, მით უფრო მეზობლებთან.

ენიკის ოჯახს ქართველმა და სომეხმა ნათესავებმა მოსკოვში უპოვეს თავშესაფარი.

* * *

26 სექტემბერს ნუგზარი და მისი რამდენიმე მეგობარი სოხ-უმის რკინიგზის სადგურთან მიტოვებულ სახლში გამაგრდა და ჩეჩენი, სომხური და აფხაზური შენაერთის ალყაში მოხვდნენ.

17 სექტემბერს ბიჭებმა ფიცი დადეს, რომ სოხუმს არ მი-ატოვებდნენ. არ იკადრებდნენ საკუთარი ქალაქიდან გაქცევას.

სასწაული მოხდა და კობა გადარჩა, საკონტროლო გასროლაც ააცდინა მთვრალმა აფხაზმა.

შუაღამით კობამ მეგობრები ქალაქის სასაფლაოს ტერიტო-რიაზე მშობელ მიწას მიაბარა, ადგილი მონიშნა და ახლობლებს შეატყობინა.

* * *

შარშან ნუგზარის დას წყალტუბოში ამბავი მოუტანეს, რომ მათ სახლს მეზობლის სომეხი გოგონები უვლიან და მის სოხუმში ჩასვლას მოუთმენლად ელიანო.

ენიკი დაბრუნებულა სოხუმში.

თბილისი, 17 თებერვალი, 2003 წ.

ხვალ იყო ომი

არისტოტელეს ამბავი მოუტანეს, ამან და ამან ცუდად მოგიხსენიაო. არ იქნება მართალიო, ბრძანა ბრძენმა, მე ხომ მისთვის რაიმე სიკეთე ჯერ არ გამიკეთებიაო.

ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სოფელ კვიტოულში მამაჩემის დეიდა, თითქმის ას წელს მიღწეული ქალბატონი, გარდაიცვალა. მან და მისმა მეუღლემ დიდი ქართულ-აფხაზური ოჯახი დატოვეს.

მიუხედავად დაძაბულობისა, რომელიც მაშინ მთელ აფხაზეთში იგრძნობოდა, გასვენებაზე ზღვა ხალხი მოვიდა. ჭირის დიდი სუფრები იყო გაშლილი შვიდივე ძმის სახლების პირველ სართულში.

დრო მქონდა და წესიც მოითხოვდა, რომ ქართულ-აფხაზური სანათესავო გამეცნო, ამიტომ ვალდებული ვიყავი ყველა სუფრასთან მივსულიყავი, მიცვალებულის ხსოვნა განსაკუთრებული, ამიერიდან მხოლოდ მისთვის დადგენილი თასით დამელია და ხალხის სამადლობელიც ამეწია. გასაოცარი ის იყო რომ, სადაც კი გამოვჩნდებოდი, ქართველი სტუმრისადმი პატივისცემის გამოხატვა ყველას თავისებურად სურდა: ზოგი მეგრულად, ზოგიც დამტვრეული ქართულით ცდილობდა მოფერებას, ყურადღების მიპყრობას. რა დამავიწყებს მათ გაბრწყინებულ თვალებს, როცა აფხაზებს ჩემთვის კარგად ნაცნობ ორიოდე სიტყვას აფხაზურად შევუბრუნებდი მადლიერების დასტურად.

ამით აფხაზი ადამიანები მე კი არა, ჩემი სახით გალელთა, სამურზაყანოელთა და საერთოდ, ქართველთა ძველ, იმჟამინდელ და სამომავლო ურთიერთობას მიაგებდნენ პატივს. რატომღაც ამეკვიატა აზრი, რომ მათ იცოდნენ ან ქვეცნობიერად გრძნობდნენ აფხაზეთში მოსალოდნელ უბედურებას, რომლის თავიდან აც-

ილების ერთ-ერთ უკანასკნელ იმედად, შესაძლოა, გალის რაიონის მოსახლეობა მიაჩნდათ.

აფხაზური წესით, სასაფლაოდან დაბრუნებული ჭირისუფლები ფუძე ოჯახში გაწყობილ სუფრასთან შევიკრიბეთ. სუფრას სოფლის უხუცესი, მათი ნათესავი აფხაზი უძღვებოდა. პოლიტიკაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ უხუცესის ბრძნულ და დიპლომატიურ გამონათქვამებსა და სადღეგრძელოებში მინიშნება დავიჭირე: გასაყოფი რა გვაქვს თბილისთან, კახეთთან, იმერეთთან, აჭარასთან, სხვებთან, რომელთაც ჩვენსავით არაფერში სჭირდებათ ომი, შვილების სისხლი, ასე კარგად აწყობილი ცხოვრების დანგრევა...

ავად მენიშნა სუფრასთან მოგვიანებით ნათქვამი: ნამეტნავად აირია ქვეყანა იქაც და აქაც, განრისხებულია კაცთა მფარველი შაშ(ვ)ი, **უჩვეულოდ წითელია დაკლული საქონლის ბეჭები, არნახ**ულად შეშფოთებული არიან მერცხლები, დაბოღმილან მტრედები. უკვე ოთხმოცს გავცდი, სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს, მაგრამ ვერ ვხვდები ეს ზეციდან გაფრთხილებაა თუ კარსმომდგარი უბედურება. თქვა ეს და პირჯვარი გადაიწერა.

– ბატონო როდიონ, თქვენ ყოველთვის აჭარბებთ, რეპლიკის მაგვარი ესროლა მის გვერდით მჯდარმა თანატოლმა და სთხოვა სტუმრები ედღეგრძელებინა.

სუფრა ტრადიციული აფხაზურ-ქართული, მხოლოდ ასეთი სუფრისთვის დამახასიათებელი წესით და რიგით გაგრძელდა. ის ლაპარაკობდა, ვისაც ჭიქა ეკავა, სხვები უსმენდნენ. სამარისებური სიჩუმე იდგა. ერთმანეთს მონატრებულმა სტუმარ-მასპინძელმა ქალბატონებმა „ხმაურიანი ჩურჩულისთვის“ შენიშვნაც კი მიიღეს. ქალებიც ომის და მშვიდობის საკითხებზე ქალურად ბჭობდნენ.

მოგვიანებით ცოტა შექეიფიანებულმა, ჭაღარა, მაგრამ ბრგე, მეტად მოძრავმა აფხაზმა (როგორც შემდგომ დავაზუსტე, ისტორიის მასწავლებელმა), თითქოსდა ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა: „იყო დრო, როცა, სამურზაყანოელებს აფხაზეთიც უსმენდა და მთელი საქართველო; მეფისნაცვლის დროს **სამურზაყანოელმა თა**ვადებმა და **ჟინოსქუალებმა არ დაუშვეს აფხაზეთის სოჭის გუბერ**ნიასთან მიერთება, როგორც რუსეთის იმპერატორს განუზრახია; ეს მაშინ, თუმცა ახლა სხვა დროა, ხალხიც სხვანაირი გახდა, ერთსულოვნებაც არ არის, არც ის ადამიანები არიან ვისაც, როგორც ძველად, მოუსმენდნენ და უსიტყვოდ ასრულებდნენ **ნათქვამს, ამ**იტომ გიჭირთ გალელებს ორპირი ცეცხლის გაძლება. ადვილი არ არის თქვენი მდგომარეობა. არა და, როგორც ადრე მრავალჯერ, თქვენი იმედი აქვს აქაურ ხალხს“.

შორი გზა, გაუმართავი მანქანა მოვიმიზეზე და წამოვდექი. უხუცესიც წამოდგა, კარებამდე გამომაცილა. მხარზე ამბორით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

ქალებმა, როგორც **ჩვევიათ, თითქმის კიდევ ერთი საათი ისაუ-**ბრეს ეზოში.

მამაჩემის დეიდაშვილის შვილმა **„გაზ-31“ გამოიყვანა და უმ-**ცროს ძმასთან ერთად ოჩამჩირემდე გამოგვაცილა.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უკანასკნელად ვხედავდით ახლობელ აფხაზ-ქართველებს.

მთელი ომის პერიოდში არაფერი ისმოდა მათგან. უკვე დევნილობაში გავიგე, რომ ჩემი ნათესავების სამი ქართულ-აფხაზური ოჯახი, ომის პირველი დღეებიდან რუსეთში გადასულა, ხოლო ჩეჩნების სარდლობით აღმოსავლეთის ფრონტის გახსნის შემდეგ, როცა ყველა ოჯახისთვის სამხედრო ბეგარა დაუწესებიათ, სოფელში დარჩენილი ქართულ-აფხაზური ოჯახები დანგრეულა. ქართველთა ნაწილი გარიდებია იქაურობას, მცირე ნაწილი ფრონტის სამსახურში ჩამდგარა.

იმასაც ამბობენ, რომ ვიღაც უცნობმა ღამით ძმათა ორი სახლი დაწვა და ახლა მხოლოდ გაშიშვლებული ბუხრები დგანანო საცოდავად.

რამდენადაც შევძელი დაზუსტება, ომმა ის ღმერთმა ამ დიდი ოჯახიდან ორი აფხაზი ქალის და ხუთი ბიჭის სიცოცხლე მიიღოო მსხვერპლად.

ომის ბოლო დღეებში უკანასკნელ გზაზე გაუცილებიათ ჩემი ნაცნობი უხუცესი აფხაზი, რომელსაც პარალიჩი მიუღია ომის პირველ დღეებში და მერე არც წამომდგარა ლოგინიდან.

ომმა გაანახევრა ერთ დროს ჩაისა და ციტრუსებისგან აყვავებული და სიმდიდრით განთქმული **ქართულ-აფხაზური საძმო, კვი-**ტოული.

ამბობენ, წელს მერცხლები პირველად დაბრუნდნენო ომის შემდეგ.

მოხუცებს მიაჩნიათ, რომ რაღაც იმედი ბრუნდება მერცხლებთან ერთად ყველაფრისგან დაქანცულ სოფელში.

ზუგდიდი, თბილისი. მაისი, 1994 წ.

ტყვის ტყვეები

1993 წლის მარტის დასაწყისში თითქოს სიმშვიდე სუფევდა აფხაზეთში, **სოხუმი-მეომარი ქალაქის ჩვეული წესით ცხოვრობ-**და.

მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ დაზვერვას არ ეძინა. ქართველები საგანგაშო ინფორმაციას ფლობდნენ – მტერი სოხუმის ასაღებად გამალებით ემზადებოდა.

9 მარტს, შუაღამით, ქართველ მზვერავთა ჯგუფმა გუმისთაზე ფრონტის ხაზი გადალახა. ისინი ხუთნი იყვნენ – თემურ კვარაცხელია, ზაურ კვარაცხელია, გურამ ბიგვავა, გენო ბიგვავა და ზურაბ კვეკვესკირი. მეტად სახიფათო დავალებებზე, როგორც წესი, უახლოესი ადამიანები, ძირითადში ნათესავები, გადიოდნენ, რასაც ახსნა ჰქონდა.

ძმები, თემური და ზაური გაგრის დაცემის შემდეგ ჩადგნენ სოხუმის დამცველთა რიგებში. თემური ორი წლით უფროსი იყო. მაღალი, ჯანიანი, ამტანი, უშიშარი, ამიტომაც მალე შენიშნეს და დააწინაურეს, კაპიტნის წოდება მიანიჭეს. მის მოხერხებულობის და მამაცობის შესახებ ლეგენდებს ამბობდნენ სამხედრო შენაერთებში. გურამი და გენო ბიგვავები, ზურაბ კვეკვესკირი თემურს და ზაურს დეიდაშვილ - მამიდაშვილებად ეკუთვნოდნენ.

ბიგვავებს ბევრი ახლობელი ჰყავდათ გუდაუთაში. აფხაზური კარგად იცოდნენ. ზურაბს სოხუმის მეათე სკოლა ჰქონდა დამთავრებული.

სარდლობის დავალება ადვილი არ იყო მტრის ზურგში შეღწევა, ვიზუალური ინფორმაციის მოპოვება, მოენის მოყვანა, და ეს იმ პირობებში, როცა აფხაზური მხარე დიდი ოპერაციისთვის ემზადებოდა და უსაფრთხოების ყველა ზომას ღებულობდა.

მტრის ზურგში საკმაოდ ბევრი იარეს. გამთენიისას სავარაუდო ადგილზე, მაღალ ბუჩქებსა და ეკალ-ბარდებში შეინიღბნენ, საიდანაც კარგად ჩანდა ბორცვებით გარშემორტყმული ზეგანი, გზა, რომელიც საკმაოდ იყო დამუშავებული საბრძოლო ტექნიკის მუხლუხებით, მანქანების საბურავებით. ეტყობოდა რომ, აგრძელებდნენ საარტილერიო საშუალებების და ცოცხალი ძალის გადაადგილებას.

მზვერავთა ჯგუფმა ზეგნისკენ აიღო გეზი. ბორცვებშორის მდებარე ზეგანი მავთულხლართებით იყო დაცული, მისასვლელიდან მოშორებით გუშაგები მოძრაობდნენ.

კოპშეკრული ღრუბლები მიწამდე ჩამობობღდნენ, ელვამ უხშირა, წვიმამ დასცხო, ზღვა აგუგუნდა, მალე გრიგალი დაერია ხეებს.

თვალისმომჭრელ ელვაში ბიჭებმა ცამეტამდე ტანკის და ოცდაათამდე БМР-ს სილუეტი დათვალეს. ქვემეხები უკეთ იყო შენიღბული.

ღამის ორ საათზე გუშაგები შეცვალეს. მათ 30-50 მეტრი აშორებდა ერთმანეთისგან. ეტყობოდა, რომ შინაურები იყვნენ, აფხაზები, აფხაზურად და რუსულად ჩურჩულებდნენ ერთმანეთთან მიახლოებისას.

თავსხმა არ ცხრებოდა.

მაღალ, ზორბა, ასაკში საკმაოდ შესულ აფხაზს დიდი ხის ქვეშ გაჩერება და ქვაზე დაჯდომა შესთავაზეს. იუარა ასაკოვანმა. გარდაცვლილი ქალიშვილის სახელი უხსენეს, დაჭრილი ფეხიც შეახსენეს. დაეთანხმა, ხის ქვეშ ჩაიცუცქა, ავტომატი მუხლებზე დაიდო.

ოთხი საათი სრულდებოდა. დადგა დრო, როცა წყაროც წაიძინებს ხოლმე. გუშაგებმა შეანელეს სიარული, თითქოს ყველა საკუთარმა სადარდებელმა მიიტაცა.

თემურმა მიზანში ასაკოვანი ამოიღო, გენო და ზურაბი თადარიგში დარჩნენ, დანარჩენები სხვა გუშაგებისკენ გახოხდნენ.

თემურმა ისკუპა და ასაკოვანს ყელ-კისერში კონდახი ჩასცხო. იგი ჯირკივით გადაგორდა. დანარჩენებმა ხმის ამოღება ვერ მოასწრეს...

თემურს ზაური და გურამი წაეშველნენ, ასაკოვანს ბურთი ჩასჩარეს პირში, სკოჩით აულაგმეს პირი, უმალ გააშორეს იქაურობას. თადარიგში მყოფთ გაცლის სიგნალი მისცეს და დათქმული ადგილისკენ შეუდგნენ აღმართს.

ზეგანზე განგაშის სიგნალი გაისმა, ერთბაშად განათდა იქაურობა.

აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები, მდევარი გამოეკიდა ბიჭებს.

მოენე მძიმე იყო, მიმალვა შეუძლებელი, თუ მდევარი თავს გამოიდებდა. გენომ და ზურაბმა მოხერხებული ადგილი შეარჩიეს და საპასუხო ცეცხლი გახსნეს. დაიბნა, ჩაწვა მდევარი, თუმცა მათ სხვებიც წამოეშველნენ და წინ მოიწევდნენ.

ბიჭებმა თითქმის ერთი საათი შეაყოვნეს მდევარი. ტყვია-წამალი ელეოდათ, ამასთან მტრის ცალკეულმა მებრძოლებმა ზურგიდან მოუარეს. ტყვედ ჩავარდნის საფრთხე რეალური გახდა.

თემური კარგად იცნობდა იქაურობას, არ უჭირდა ორიენტაცია. ბავშვობაში ბებიას სტუმრობდა ხშირად და დაეხეტებოდა სოფლის წყალ-ჭალებში. მან გეზი აიღო არა სოხუმისკენ, არამედ მის საპირისპიროდ, წყალგაღმა, სადაც გამოქვაბული ეგულებოდა.

გამოქვაბულში თბილოდა. ტყვე გონს მოვიდა. სახელი და გვარი ჰკითხეს. „დაურ კვარაცხელია, ქედმაღლურად გამოსცრა კბილებიდან. მომკალით, რათა გადარჩეთ, მთლად ბავშვები ყოფილხართ, ჩვენები არ შეგეშვებიან.“ დაური ტიროდა.

მორიგეობა დააწესეს და ჩათვლიმეს.

დღემ მშვიდად ჩაიარა, მხოლოდ ის იყო, რომ დაურის ნაჭრილობევი ფეხი დაუსივდა და ფერიც იცვალა. მისი ღია თვალები უაზროდ მისჩერებოდა ხან ერთს, ხან მეორეს.

დაღამებისთანავე ჯგუფი გამოქვაბულიდან გავიდა, მკვეთრად იცვალა მიმართულება და დასავლეთით გაემართა. მოენე საკაცით მოჰყავდათ. მორიგ შესვენებაზე წყალი მოითხოვა და მასწავლებლის ტონით თქვა: „მომკალით, აი, ხანჯლით სჯობია თქვენთვის და ჩემთვისაც“.

წყალი მიართვეს, დამშვიდდა, მერე ჩექმის გაძრობა სცადა. ბიჭები დაეხმარნენ: ხანჯლით ჩაჭრეს ზედა ყელი.

თითქმის უსაფრთხო ადგილზე გავიდნენ. თემური მოენის ვინაობით დაინტერესდა. „თქვენ არ უნდა იცოდეთ ჩემი ვინაობა, რომ არ შეგეცოდოთ. მე თავს არ ვიცოცხლებ, არც რაიმე საიდუმლო ვიცი, რაც იქ არის თქვენ თვითონ ნახეთ, არაფერი კარგი ჩვენთვის და თქვენთვის. უგუნურებაა, რომ თქვენისთანა ყმაწვილებს ვკარგავთ. 35 წელიწადი ვიმუშავე ოჩამჩირესა და გუდაუთის სკოლებში. მე ის ბიჭები დავღუპე, თქვენებიც ჩემს გამო დაიღუპნენ!

მე არ ვიცოცხლებ მოღალატის სახელით. მე კვარაცხელია ვარ, თუმცა აფხაზი, მაგრამ მაინც კვარაცხელია, ვაჟკაცთა გვარის წარმომადგენელი, კოლხი ქართველი. ჩემთვის „იქ“ და „აქ“ არ არსებობს, არც ოდესმე ყოფილა, რადგანაც აფხაზეთის ყველა კუნჭულში სისხლით ნათესავთა გარემოცვაში ვხვდები.

ომმა ფიქრი დამაწყებინა, რას ვიყოფთ, ვისთვის და რისთვის ვხოცავთ ერთმანეთს? გუშინ ორ გვამს წაასვენებდნენ გუდაუთაში, კიდევ ორს, თქვენებს, ზეგანზე ბენზინს დაასხამენ ჩამოთრეულები და დაწვავენ; იქნებ სჯობდეს კიდეც, რათა ღორებმა არ ამოუჭამონ ტვინი და გული უპატრონოდ მიგდებულებს. ხდება ასეც. მე ჯერ კიდევ ცოცხალი გვამი ვარ, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდება ალბათ. თქვენ, თქვენ რა გეშველებათ შვილებო, ჩემო სისხლო და ხორცო, რას გიმზადებთ ბედისწერა?“

დაურს ხმა ჩაუწყდა, ალმური ასდიოდა, ტკივილისგან იღრიჯებოდა. ძლიერი ტკივილგასაყუჩებელი გაუკეთეს, თვალები გაახილა და ბორკილების ახსნა ითხოვა: საიქიოში ასე როგორ მივალ წინაპრებთანო.

ბიჭები საგონებელში ჩავარდნენ, მაგრამ სამხედრო დავალება ბრძანებაა, რომელიც რაც არ უნდა მოხდეს, უნდა შესრულდეს. იყო სხვა გარემოებაც: ამ განგრენიანი კაცის აყვანას გენო და ზაური შეეწირნენ, ბიჭების ნაცვლად დაიხოცნენ.

11 მარტს მზვერავები სოხუმის მთის თხემიდან ეშვებოდნენ. მოენე კვლავ საკაცით მოჰყავდათ. თავზე ვერტმფრენი დაჰფარფატებდა.

ჩვენები ეძებდნენ, დააფიქსირეს, მალე დახმარებაც იქნებოდა.

დაურმა საკაციდან ჩამოსმა ითხოვა, გული მაქვსო ცუდად. ჩამოსვეს. მოულოდნელად ბიჭებს მიმართა:

„კაპიტანო თემურ, მამათქვენს ალიოშა ერქვა, კარგი კაცი იყო, კვარაცხელიების შეკრებაზე გავიცანით ერთმანეთი, ჩემთანაც ყოფილა სახლში, აცხონოს ღმერთმა, ადრე გარდაიცვალა, ბედნიერებაა გულის ინფარქტით სიკვდილი! გასვენებაზე ვიყავი, შენ იქიდან მახსოვხარ, თუმცა ახლა შენს მოჭრილ თავზე აფხაზურ მხარეს დიდი ფულადი ჯილდო ექნება გამოცხადებული. დედა როგორაა?“

თემური დაიბნა. „გმადლობთ, გული აწუხებს მასაც, თბილისში მკურნალობს. თქვენზე აუცილებლად ვეტყვი, თუ იმ არმადას გადავურჩით სოხუმის შტურმს რომ გეგმავენ“.

დაური ახლა გურამს მიუბრუნდა, სვენებ-სვენებით ჰყვებოდა.

– ჩვენც ახლობლები ვართ, ბიგვავებმა ვერაფრით ვერ გაარკვიეს აფხაზები არიან თუ ქართველები. **გალელმა ბიგვავებმა მი**იწვიეს ომის წინა წლებში და ისეთი დღე აყარეს გოჭით, საცივით და ღვინის ყანწებით, რომ გუდაუთაში საპასუხო მიწვევა ვერ გაბედეს, თანაც მუსლიმანობენ.

მეც მყავს ვაჟი და ქალიშვილები. ბიჭი სტუდენტია, მოსკოვში სწავლობს. ავადმყოფი დედის გამო ჩემი ბიჭი შეიბრალეს, სანაცვლოდ მე გამიწვიეს. ქალიშვილები მსახურობენ, სამხედრო ფორმა აცვიათ, ერთი ამასწინათ დაიღუპა. თუ ღმერთმა გადმოგვხედა, მალე ყველაფერი დამთავრდება. ვლოცულობ, რომ ჩემმა ბავშვებმა და თქვენ იცოცხლოთ, ხმა მიაწვდინეთ ერთმანეთს, გაგვიხსენეთ.

ზაური გაბრაზდა, გამოდის, რომ ჩვენი ხალხის წესებით ამ ტყვის ტყვეები ვართ, ამ ომის დედაც!

ტყვეს ძალა გამოელია, ჩაიმუხლა, მთელი ღამე ბოდავდა, შვილების ხსენებაში იყო.

დილით ხევის თავზე იყვნენ, ხიდი ადრე ააფეთქეს რუსმა მფრინავებმა, მერე ვიღაცამ დიდი ხე მოიჭრა და საცალფეხო გადასასვლელი მოაწყო. საკაცით გადასვლა შეუძლებელი იყო.

დაურს ხუნდები მოხსნეს, ხელებიც გაუთავისუფლეს – მეტად დაუძლურებული ჩანდა. თემურმა მარჯვენაზე მოკიდა ხელი, ზაურმა ზედა ტანსაცმელზე და შუაში ჩაიყენეს. ფრთხილად შედგნენ „ხიდზე.“ შუამდე არ იყვნენ მისულები, როცა დაურმა თემურს ხელი გამოსტაცა, ელდანაცემ ზაურს კი ტანსაცმელი შერჩა ხელში. სანამ რამეს მოიფიქრებდნენ, დაური უფსკრულის ძირისკენ მიფრინავდა.

ნირწამხდარი ბიჭები უსიტყვოდ დაეშვნენ დაბლა. იქ უკვე ავტომანქანა ელოდათ.

ნაწილის უფროსობას პატაკით მოხსენდა ყველაფერი, რაც მზვერავებმა ნახეს და რაც მოენესთან დაკავშირებით გადახდათ.

გაძლიერებულმა ჯგუფმა ბრძანება მიიღო დაური ხეობიდან ამოეყვანათ, ადგილი მიეჩინათ და გუდაუთაში ამბის ჩამტანი მოენახათ.

16-17 მარტის ამბებმა ყველას გადაავიწყა მზვერავები და მოენე.

აფხაზურმა მხარემ ყველაფერი გააკეთა, რათა ფაქტი არ გახმაურებულიყო.

მოგვიანებით კი დაღუპულები გაცვალეს.

რვა გრამი

თვალი და მხედველობა ბუნების საოცრებაა,
რომელიც დღემდე ამოუცნობ საიდუმლოებებს მიეკუთვნება.

ფ. ფილატოვი

ჰიპნოზის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მოკლა,
მაგრამ ის ყოველთვის ბრუნდება, როგორც ცოცხალი.

ხ. ხეფდინგი

1993 წლის 16-17 მარტს, გუმისთასთან შეტაკებებში ქართველებმა დაამტკიცეს, რომ ბრძოლის ველზე მათი დამარცხება შეუძლებელია.

რუსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, კაზაკების, სომხების, აფხაზების კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო შენაერთი, რომელსაც მოულოდნელი დარტყმით სოხუმი უნდა აეღო, განადგურებულ იქნა, გადარჩენილებმა ღამე აიფარეს და გაქცევით უშველეს თავს.

გუდაუთაში ერთკვირიანი გლოვა გამოცხადდა.

ქართველების ავანგარდი შეუფერხებლად მიიწევდა წინ, მაგრამ პოლიტიკოსებმა უკან მოაბრუნეს.

გუდაუთიდან შურისძიება გარდუვალი ჩანდა, ამიტომ ფხიზლობდნენ ქართველები. მტრის ღრმა ზურგში მზვერავთა რჩეული რაზმი გაიგზავნა, ყოფილი „ავღანელები“.

ათ კაციანმა ჯგუფმა დავალება შეასრულა და სოხუმში ბრუნდებოდა, როცა მისი ერთ ნაწილი ალყაში მოხვდა.

ავღანელები მიხვდნენ, რომ ისინი კოსმოსიდან დააფიქსირეს, ან აფხაზეთში ახალი ტექნოლოგიური რადიოკავშირი გამოჩნდა, საუბრები გაიშიფრა და ხაფანგი დაუგეს.

ბიჭებმა ბრძოლა მიიღეს, თუმცა მეტად უიმედო პოზიციაში.

სოხუმიდან დახმარება გამორიცხული იყო.

შვიდ კაციანი არიერგარდი ბრძოლაში ჩაება; სამკაციანი ჯგუფი წინ იყო გასული.

ავღანელებს ბრძოლა არ ესწავლებათ, მთელი ღამე უმკლავდებოდნენ კლდეებს და ხევებს ამოფარებულ რამდენიმე ოცეულს, მაგრამ გარღვევა ვერ მოხერხდა. თავზე რუსული ვერტმფრენი მუშაობდა ინტენსიური ცეცხლით და ავღანელებს მანევრის საშუალებას არ აძლევდა.

რაზმის სამკაციანი ჯგუფი მოწინააღმდეგის მესამე ალყის გარეთ აღმოჩნდა და ბირთვთან შეერთება ვერ შესძლო.

გათენდა, რაც ასე აშინებდა ბიჭებს.

ვერტმფრენიდან ორი მათგანი სასიკვდილოდ დაჭრეს.

ტყვია-წამალი უკვე არ ჰქონდათ, მხოლოდ თითო ტყვია დაიტოვეს.

კობას წინადადება თვითლიკვიდაციის თაობაზე არ იქნა გაზიარებული. ჯგუფის უფროსმა თქვა, ავღანეთში უარესი მდგომარეობიდან გამოვსულვართო.

ხიშტები გააშიშვლეს და ორ ჯგუფად გადავიდნენ შეტევაზე. მოტიტვლებულ მინდორში წინ წაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. მტრის საგანგებო დანიშნულების რაზმელებმა ბიჭები ტყვედ აიყვანეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და მიწაზე დაყარეს.

აფხაზური შტაბიდან უფროსობა მოვიდა, ითათბირეს.

ტყვეთა შტაბში წაყვანა დასაკითხად შეუძლებლად მიიჩნიეს, ვინაიდან ახლომახლო ასობით მცხოვრები, რომლებიც მთელი ღამე დარაჯობდნენ ბუჩქნარებს, ამას არ დაუშვებდნენ, და მთავარი, მარტის მოვლენებით შოკირებულ გუდაუთის მთავრობას ვერ გაუმხელდნენ, რომ იმ ღამეს 17 რჩეული მებრძოლი დაკარგეს,

მათ შორის 5 აფხაზი. იქვე იყვნენ დაღუპულითა ახლობლები, რომ-ლებიც ტყვეთა დახოცვას მოითხოვდნენ.

თათბირი დამთავრდა. ტყვეთა დაკითხვა დაიწყო.

ბიჭების გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო.

მათ ბრალი წაუყენეს სამშობლოს ღალატში, ჯაშუშობაში, 17 მებრძოლის დახოცვაში, უამრავის დაჭრაში. ბრალდებაში, ასევე, შევიდა ბრძოლა და სროლები გუდაუთის რაიონში, სადაც მთელი ომის განმავლობაში ქართველთა ტყვია არ გავარდნილა, რამაც ისედაც შეშინებული მოსახლეობა ქუჩაში გამოყარა და ბევრმა ოჯახმა ბავშვების, ქალების, მოხუცების გახიზვნა დაიწყო კრასნოდარის მხარეში.

ერთმა ჭაღარა აფხაზმა ბრალდება დაამძიმა: აქ ქართველთა ტყვია არასდროს გავარდნილაო!

შემამსუბუქებელ გარემოება ჩაუთვლიდნენ ჩვენებას წერილობით და არ აწამებდნენ.

ბიჭები დუმდნენ.

ტყვეთა ჯგუფის უფროსმა განაცხადა, რომ ბრალდებას არ იზიარებდნენ, გარდა მათი მებრძოლების დახოცვისა, რაზედაც სინანული გამოთქვეს. იქვე დაამატა, რომ სხვა აღიარება არ იქნებოდა!

დაიწყო წამება, ბიჭებმა სხვა გზა არ დაუტოვეს.

ადრე დაღუპულებს ავტომატის მახვილით თვალები ამოთხარეს.

მწვანე ლენტით შუბლწაკრულმა მებრძოლმა თვალები ფეხით გასრისა.

– ავღანური სკოლაა, უჩურჩულეს ბიჭებმა ერთმანეთს, რაღაც რიტუალურია, მუსლიმანები ყვავებს არ აჭმევენ თვალებს, კიდევ კარგი, რომ ცოცხლად გატყავებას არ გვიპირებენ.

– ახლა ჩვენ მოგვდგებიან, გაუძელით, ითხოვა მეთაურმა.

გაფრთხილება არც იყო საჭირო.

ახალგაზრდა აფხაზ მებრძოლს ერთ-ერთი ტყვისთვის მკლავის მოჭრა დაავალეს.

უხალისოდ შეუდგა საქმეს. ოთარი გმინავდა და ჯალათს ჯიქურ უყურებდა თვალებში.

– არ შემიძლია, მიყურებენ. თვალები აუხვიეთ ამათ, ლამის ატირდა აფხაზი.

ასახვევი ნაჭრები ვერ მოინახა.

– ნახეთ როგორ უნდა, მე მათი თვალების ჰიპნოზის არ მეშინიაო, თქვა მწვანეთი შუბლწაკრულთაგან ზორბამ და ხანჯლით გა-

დასერა ზედა კიდურის სქელი კუნთები, ლავიწს შემოავლო დანის წვერი, მერე ამოატრიალა და მკლავი მოაშორა სხეულს.

ბიჭები გმინავდნენ, მხოლოდ არაჩვეულებრივად ფართოდ გახელილი და გამჭოლი თვალები მიშტერებოდნენ ჯალათს.

ფეხის მოჭრა მეტად გაუჭირდა ერთ-ერთ აფხაზ მებრძოლს, ლამის გონება დაკარგა.

თვალები რომ გაახილა, ამოიკნავლა, აი, ეს თვალები, მომაშორეთ თვალები, საზიზღარი თვალები. ახლავე დავცხრილავ ამათ!

წამებამ აზრი დაკარგა.

უფროსი ჯალათი ტყვეებს მიუბრუნდა და თბილად უთხრა:

– გეტყობათ, თქვენ უბრალო მებრძოლები არ არ ხართ, ჩვენებს შუბლში მოარტყით, უმეტესობას თვალებში. ეს შემთხვევით არ ხდება. თქვენ საჭირო ხალხი ხართ. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს... მაგრამ ახლა ვერაფერში დაგეხმარებით.

ტყვეებს გაუხარდათ, ბედნიერებაა სიკვდილი ტყვიით, როცა პირდაპირ გესვრიან!

შუადღემ მოაწია და ჯალათებმა სადილობა გამართეს.

შუბლწაკრულმა წამოიწყო:

– მართალია ეს აფხაზი ბიჭი, უშიშარი კაცის თვალებს რაღაც ჯადოსნური ძალა აქვს. არა და, ორივე ერთად სულ რვა გრამია. ამიტომ უხვევდნენ თვალებს დასახოცად განწირულებს ან ზურგით აყენებდნენ. ეს ძველი დროიდან მოდის. მართალი გითხრათ, რამდენი მყავს დახოცილი და მეც ტანში მზარავს, როცა დასაკლავი თვალებში მიყურებს.

– თვალის გარეშე რაა ადამიანი, როგორც მეომარი და საერთოდ, განაგრძო მან არ იცი რა ხდება შენს ირგვლივ, არ იცი რა არის მზე, მთვარე, მთების ხიბლი, ქალი და სიყვარული, დედის ღიმილი, შვილის ალერსი, მეგობრის ერთგულება. არ მესმის რა აზრი აქვს ჭიაყელას, თხუნელას სიცოცხლეს, თვალი ყველაფერია!

– ყველამ იცის რომ თვალის ამოთხრაზე დიდი სატანჯველი არ არსებობს, ამიტომაა გამორჩეული ჯაშუშის ალაპარაკებაში, ახლა სიტყვა შეაშველა ასაკოვანმა შუბლწაკრულმა.

ეს ბიჭების გაფრთხილებას ჰგავდა.

მერე აფხაზებს შეხედა და ბრაზით განაგრძო:

– ქართველები საზიზღრები, მაგრამ მამაცები არიან, ხედავთ როგორ უჭირავთ თავი, გეგონება ჩვენ ვიყოთ დამნაშავე! მათს მდგომარეობაში სხვები შარვალს დაასველებდნენ, ოქროს, ფულს შემოგვთავაზებდნენ, მუხლებზე იხოხებდნენ, ესენი კი...

საუზმე დამთავრდა.

ბიჭებს სიგარეტი და წყალი არ შესთავაზეს. არა და, როგორ უნდოდათ.

თაკარა მზე თავზე დაადგა ზეგანს.

საოცრად ლამაზი იყო ბორჯღალო მოწმენდილ ცაზე, აპრილის მწვანე მძლავრობდა ირგვლივ, ბზუოდნენ მწერები, ვეებერთელა პეპლები ხატავდნენ ცას.

– შექეიფიანებული უფროსი მაინც არ იშლიდა თავისას:

– მოაშორეთ კიდურები, მანამდე გადაუმსხვრიეთ, ბრძანა მან.

ავტომატის კონდახი **ჩახა-ჩუხობდა ბიჭების, ხერხემალზე, ხელებზე,** ფეხებზე.

ყრუ კვნესა იყო მათი პასუხი, მაგრამ, როცა კიდურების მოშორებაზე მიდგა საქმე, იუარეს აფხაზმა მებრძოლებმა, სანამ ეს გიჟური თვალები გვიყურებენ, ჩვენ მაგისი გამკეთებელი არ ვართო.

მდგომარეობა დაიძაბა, ლაჩრები უძახა უფროსმა აფხაზებს.

აღრინდნენ აფხაზები, იუკადრისეს დამცირება.

მოლბა უფროსი:

– დათხარეთ თვალები ყველას!

აფხაზებმა კვლავ არ შეასრულეს ბრძანება, იარაღზე დაიხედეს.

– იკადრა უფროსმა უკანდახევა, მე გასწავლითო თქვენთვის და მათთვის უმტკივნეულო პროცედურას.

და ჩექმიდან კოვზი ამოიღო.

– აი, ასეო, და ჩაცუცქდა უფროსი ერთ-ერთ ტყვესთან, ფოლადის კოვზი თვალის უპის კუთხეში გაასწორა და წამში სისხლიანი თვალი მინდორში გადახტა.

– თქვენი დედაც, მხეცებო, გამოსცრა კბილებიდან ჯგუფის უფროსმა. ესაა თქვენი ნაქები მამაცობა, რაზედაც ლეგენდები დადის ჩვენს ხალხში? თქვენ ლაჩარი ქურდბაცაცები და მთებიდან ჩამოთრეული მათხოვრები ხართ!

– არც თითო თვალის ამოგდებამ აალაპარაკა ტყვეები.

– არც ყურების, ცხვირების, ჩამოთლამ გაჭრა.

გატყდა უფროსი ჯალათი, არც მეორე თვალი უშველის საქმეს. კარგი ბიჭები ყოფილან, მაგრები არიანო!

ჩაფიქრდა და დაამატა:

– დაკითხვის ოქმს მოგვთხოვენ შტაბში, ახლავე შეადგინეთ, ჩაწერეთ, რომ გაქცევა სცადეს და დავხოცეთ.

ვიღაცას გაახსენდა, ამბობენ, თვალში რჩება მკვლელის სურათიო.

შეეცადნენ ტყვეების პირქვე გადაბრუნებას.

ბიჭები კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას.

– გვესროლეთ, თქვენი...

ახლა ავღანელთა მეთაურმა ამოიღო ხმა, ყველა გაისუსა.

– ჩაწერეთ ოქმში, რომ ჩვენ აფხაზეთს ვიცავთ რუსებისგან. ჩაწერეთ, რომ ვიყავით იქ, სადაც უნდა ვყოფილიყავით და ვნახეთ ის, რაც უნდა გვენახა.

ტყვეთა მეორე თვალი გადარჩა ამოთხრას. რამდენიმე წამში ბიჭებზე ავტომატის მჭიდები დაცალეს.

შუბლწაკრულებმა გვამებიდან თვალები მაინც ამოყარეს მთის რომელიღაც ძველი ხალხის წესით, გასრისეს და მიწა მიაყარეს.

ერთ კვირაში, ვიღაც მადლმოსილს, ბიჭები მიწისთვის მიებარებინა.

რამდენიმე დღეში გუმისთას აქეთ შვიდი დედის კივილმა ცა ჩამოხია და ძაძებითაც შეიმოსა.

ზუგდიდი-თბილისი, 13 მარტი, 2003 წ.

გენიოსა

პლატონი მეგობარია, მაგრამ
ჭეშმარიტება გაცილებით მეტია.

არისტოტელე

ხშირად ფულს შოულობენ იდიოტები,
რომლებიც დებილობაზე ოცნებობენ, მაგრამ
საამისოდ ნიჭი და უნარი არ ყოფნით.

ფ. ხაიეკი

მე და გენიოსა თანაკლასელები, უფრო ზუსტად კლასში რამდენჯერმე დატოვებულს დავეწიე.

მამამისი პატიოსნებით და ღირსებით გამორჩეული კაცი იყო აფხაზეთში. უეცრად გარდაიცვალა.

დედას სამი ქალიშვილი და გენიოსა დარჩა.

გენიოსა ჩვენ შევარქვით, ისე კობა ჰქვია.

კობა იმიტომ გახდა **გენიოსა, რომ მეექვსე კლასშიც ვერ მიხ-**ვდა რომ 2+2 და ორი გამრავლებული ორზე ოთხია. სხვაზე რა გითხრათ, წიგნს სათოფეზე არ იკარებდა, გამრავლების ტაბულა დამამთავრებელ კლასშიც ბოლომდე არ იცოდა.

სხვა მხრივ, მოგეცა ლხენა, მეტად ეშმაკი და მოხერხებული ბიჭი იყო, ბანქოსაც კარგად თამაშობდა.

მასწავლებლებს, მეზობლებს, უბნის რწმუნებულს ეცოდებოდათ ობოლი გენიოსა.

მეხუთე კლასიდან მე მომამაგრეს, ერთ მერხზე დაგვსვეს. ჩემთან მოდიოდა სახლში ან მე მივდიოდი მასთან, გაკვეთილებს ვამზადებდით ერთად, ანუ მე ვასრულებდი საშინაო დავალებებს, რადგანაც ქართული ასოები ერთმანეთში ერეოდა.

ფული ჭირდებოდა გენიოსას, მოვალე ბიჭები აკითხავდნენ ხოლმე.

რაც შეგვეძლო კლასელებს, ვეხმარებოდით, მაგრამ ეს ცოტა იყო, გენიოსა კი უმადური.

ერთხელ, რაღაც საწამლავით, თევზები ამოხოცა მდინარეში.

ეს არაფერი, ამას ჩვენც ვაკეთებდით ზოგჯერ, მაგრამ გულში დამრჩა მისი სისასტიკე. ჩვენ ცოცხალ და პატარა თევზებს წყალში ვაბრუნებდით, გენიოსა კი ფეხით სრესდა.

ახლობლის ოჯახიდან, მაგნიტოფონი მოიპარა და ზუგდიდში გაყიდა.

მილიციაში ერთი კვირა ამყოფეს, მერე ხალხი ჩაერია. დაიხსნეს,- დედამ მეწველი ძროხა გაყიდა.

მეზობელი სოფლიდან კამეჩები მოიპარა და ხორცად გაყიდა.

დაიხსნეს, მაგრამ სახლის ნაწილი გაყიდეს.

შემდეგ ავტომანქანა გატაცა.

დაიხსნეს.

მერე **იყო სკოლის დამლაგებლის, მოხუცი ნატაშას გაუპატიურება.**

ვერ დაიხსნეს, არ დათმო ნატაშამ.

დედამ სახლი გაყიდა, მაგრამ ნატაშა თავისას უბერავდა.

გაუპატიურების მცდელობისთვის **გენიოსას მიუსაჯეს. რუსეთში გაამწესეს სასჯელის მოსახდელად...**

* * *

გავიდა დრო და ერთ **მშვენიერ დღეს გენიოსა რაიკომს გამოეცხადა,** პარტიაში მიღებას ითხოვდა.

უარი უთხრეს.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტს მიმართა საჩივრით.

უარი უთხრეს.

საქართველოს ცეკას მიმართა.

უარი უთხრეს.

საკავშირო ცეკას და პოლიტბიუროს წევრებს მიმართა.

კომისია ჩამოვიდა მოსკოვიდან.

დადებითი დახასიათება, მოხსნილი ნასამართლობა, მშვენიერი რეკომენდაციები, არაჩვეულებრივი გარეგნობა, შესანიშნავი მოსაუბრე და დიპლომატი, შეუდარებელი თამადა, ასეთ ადამიანს, მათივე ინსპექტორის, ლამაზი, ქერა ქალბატონის წარდგინებით, ცეკას პარტიულმა კომისიამ რეკომენდაცია გაუწია.

გენიოსა პარტიის წევრი გახდა.

რაიკომის პირველმა მდივანმა, ბუნებით კეთილშობილმა კაცმა გულის ინფარქტი მიიღო, შემდეგ თანამდებობიდან გადადგა.

მალე გენიოსა დიდ თანამდებობაზე დაინიშნა.

* * *

ეროვნულ მოძრაობას თანამდებობის პირებიდან ერთ-ერთი პირველი აჰყვა. პარტიის წევრობის ბილეთი აფხაზეთში, ალბათ პირველმა დაწვა.

მის გამოჩენას ოვაციებით ხვდებოდნენ ყველგან.

ახალ საქართველოშიც დაუფასეს ამაგი, ქვეყნის უმსხვილესი რაიონის პირველი პირი გახდა.

სამოქალაქო ომს განერიდა, ბიზნესში ვარ და ფულით ვეხმარებიო ქვეყანას.

თურქეთში გაიკვლია გზა, რისი გატანაც შეიძლებოდა, ყველაფერი გაატანინა მეგობრებს, ბელადის ძეგლების ფერადი მეტალის ჩათვლით.

მხედრიონთან მოუვიდა გაუგებრობა, მალევე მოაგვარა.

აფხაზეთის ომის დროს თურქეთსა და რუსეთში მოღვაწეობდა.

ჩამოდიოდა ხანდახან, როცა ინტუიცია კარნახობდა ამის აუცილებლობას. ოთხ თუ ხუთ პარტიაში მოასწრო შესვლა და გამოსვლა.

ჭორის მოყვარულები ჩურჩულებდნენ: დიდძალი ფული აქვს, თანამდებობის პირების საყვარელი კაცია, ნარკოტიკებს არ თაკილობს, ქალებს თავგზას უბნევს, მას რა გაუჭირდებაო.

ბოლო დროს იშვიათად გამოჩნდებოდა საქართველოში, თანაც პირადი დაცვით.

ამბობდნენ, ოთხსართულიანი სასახლე აიშენაო დედაქალაქის ყველაზე პრესტიჟულ უბანში. რაღა თქმა უნდა, კანონიერად, მინის სარგებლობის და ბინის მშენებლობის ყველა წესის დაცვით.

შინა მოსამსახურეები ყავს და ბატონივით ექცევიან, სასახლის მოურავად ახლობელი დანიშნაო ამბობდნენ ძველი ნაცნობები.

* * *

რუსთაველის პროსპექტზე, მეცნიერებათა აკადემიის წინ, ძვირადღირებული მანქანების კორტეჟი გაჩერდა.

ჩემდა გასაოცრად ოცი წლის უნახავი გენიოსა გადმოვიდა „როლს-როისის“ წინა სალონიდან. სანამ თვალებს ვიფშვნეტდი, უკანა კარიც გააღო და უძვირფასეს ქურქებში ჩამჯდარ ორ ქალს, უფრო ზუსტად, **მზეთუნახავ ქალბატონებს, მანქანიდან ჩამოსვლა**-ში შეაშველა ხელი. ტროტუარზე არაორდინარული ჩაცმულობის, მაკიაჟის, ფუფუნების და სასიამოვნო სურნელის ისეთი გარემო შეიქმნა, რომ მრავლისმნახველი დედაქალაქელებიც ჩერდებოდნენ ამ არამიწიერი არსებებისთვის თვალის შესავლებად.

გენიოსა **თავის სტუმრებს ინგლისურად და თურქულად უხსნი**-და, მერე მხატვართა და შინამრეწველთა ნამუშევრების სანახავად გაუძღვა; კორტეჟის სხვა წევრებიც მიჰყვნენ.

ქალები კისკისებდნენ, მამაკაცები ხარხარებდნენ, მოწონებით აქნევდნენ თავს, ნახატებსა და ხანჯლებზე ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მერე ხელოსნებს აწყობინებდნენ შერჩეულ ნივთებს.

იქვე ვიდექი, მაგრამ გენიოსა თითქოს ვერ მამჩნევდა.

არც მე ვაპირებდი მასთან მისვლას, მაგრამ ერთი თხოვნა მქონდა მასთან და ამ შანსს როგორ გავუშვებდი ხელიდან, მით უფრო, როცა მისი სტუმრების მიერ მოწონებული და უკვე მანქანებში გადატანილი ყველა ნივთის საფასური პირობითად დაანგარიშებინა და დოლარის ტკიცინა ბანკნოტები დაუთვლელად ჩაუყარა იქვე მდგარ დაწნულ კალათაში.

მივედი, მივესალმე.

შემომხედა, მიყურა, დიდხანს მიყურა, მერე გაიღიმა და ხელი ისე ზანტად გამომიწოდა, თითქოს მამადლიდა თავის დროზე შვიდჯერ ათის დამახსოვრება რომ ვასწავლე.

მოვემზადე სათქმელის დასაწყებად, მაგრამ რაღაც უსიამოვნო მოლოდინი იგრძნო და მითხრა: ხედავ, სტუმრები მყავს, ქვეყანა უნდა ვასახელო და ახლა არ მცალია, ერთი წლის მერე ჩამოვალ და აუცილებლად გნახავ, ვიცი სად ცხოვრობო. შორიდან კი მომაძახა, ერთი თვეა აქ ვარ და რატომ არ მომიკითხეო!

ავტომანქანების კორტეჟი ელვასავით მოწყდა იქაურობას.

გულში **შევიგინე და მივაფურთხე პროსპექტზე ქარივით გა**-ვარდნილ ავტომანქანებს. მერე ხმამაღლა ვიყვირე:

მე ვერ ვიცხოვრებ იმ ქვეყანაში, რომელიც გენიოსამ უნდა ააშენოს თავისი ფულებით და ჭკუით. მერე ისტერიული ხარხარი ამიტყდა: გააჩერეთ დედამიწა, უნდა ჩავიდე, ისეთ პლანეტაზე მინდა ცხოვრება, სადაც გენიოსას დროება არ დამდგარა!

მერე დავფიქრდი, **ზუგდიდელი იელოვას მოწმის წინასწარმე**-ტყველება გამახსენდა, მკვდრები გაცოცხლდებიან და ქვეყანას მოევლინება მათი სუფევაო. აი, მოვლენია კიდეც!

ახლა ის გენიოსი იყო, მე კი გენიოსა.

გამვლელები მე მომშტერებოდნენ, აი, კიდევ ერთი ახალი გიჟიო!

იქნებ მართლა ვგავდი გიჟს, რადგანაც გენიოსასთვის უნდა მეთქვა, რომ ცოტაოდენი მაინც წახმარებოდა მის დებს, რომლებიც სიცივისაგან გალურჯებულ თავიანთ შვილიშვილებთან ერთად მეცნიერებათა აკადემიის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელში უკვე მერამდენე წელიწადია მათხოვრობენ.

და ესეც ვერ მოვახერხე.

თბილისი, აპრილი, 2006 წ.

ლალი

უმუშევრობა და უფულობა ყელში ამომივიდა. **დევნილის შემ**წეობით ოჯახის რჩენა შეუძლებელი გახდა.

შეგირდად დავუდექი ნაცნობებს და მლესავის, შემდუღებლის, ელექტრონული ხელსაწყოების შემკეთებლის, სანტექნიკოსის პროფესიები ავითვისე, მაგრამ ელიავას ბაზრის ბირჟაზე იმდენი უმუშევარი დგას, რომ თვეში ერთხელ თუ გაგიღიმებს ფორტუნა და ერთი-ორი დღის სამუშაოს გაპოვნინებს.

ერთი გზა მქონდა დარჩენილი: კვლავ მეცადა ბედი სახელმწიფო სტრუქტურებში, კერძო ორგანიზაციაში, თუნდაც დარაჯად.

ოცამდე **სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციას ვთხოვე სამ**უშაო. მრავალჯერადი მცდელობის და „ჩაწყობის“ შემდეგ რიგი დაწესებულების ხელმძღვანელებმა მიმიღეს; დაპირება და, შემდეგ „გაცნობებთ“, „რამეს გამოვნახავთ“, არ დამკლებია, მაგრამ აგერ წელიწადნახევარი იწურება და მხოლოდ ერთი ხელმძღვანელისგან მივიღე წერილობითი უარი. გამიხარდა, რადგან უარიც შედეგია, ქვეყანაში ყოფილან ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ადამიანად გთვლიან და პასუხს გაღირსებენ.

ოჯახში ყოველდღიურმა უკმაყოფილებამ და ჩხუბმა მაიძულა კვლავ მეცადა ბედი და, აი, 2005 წლის 21 იანვარს, 17 საათზე ერთ-ერთი თანამდებობის პირის მისაღებში ვარ.

მდივანმა ქალბატონმა სათნო ღიმილით ბრძანა, რომ უფროსს ახლა თათბირი აქვს, შემდეგ უცხოელებიც მოდიან და ეს ხუთი მთხოვნელიც უნდა მიიღოსო.

დაველოდე, სხვა რა გზა მქონდა.

მდივანი არა მარტო მშვენიერი ქალბატონი, არამედ უაღრესად თავაზიანი აღმოჩნდა, სკამი და ცივი წყალი შემომთავაზა.

ნელა მიზოზინებდა დრო.

ერთ საათში თათბირი დამთავრდა და უცხოელებიც მოვიდნენ. მდივანმა არ იცოდა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს შეხვედრა. თვითონაც ეჩქარებოდა.

მე და სხვა მთხოვნელები ფეხს არ ვიცვლიდით.

უმძიმესია უფროსის თანაშემწის, მდივნის შრომა. სამ ტელეფონზე საუბრობდა ერთბაშად, წამდაუწუმ უფროსი აძლევდა დავალებებს, უცხოელებიდან ზოგიერთმა ყავა ისურვა, ზოგიერთმა ტკბილი ჩაი, ზოგიერთმა „ბორჯომი.“ აბეზარი ქალებიც არ ასვენებდნენ შეკითხვებით, რომელთაც ლამის მეასეჯერ აძლევდა პასუხს ღიმილით და მეტისმეტად თბილად.

უკუნი ღამე კი თანდათანობით ეუფლებოდა თბილისს, გველივით სისინებდა ცივი ქარი. თოვაც დაიწყო. დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა, რომ მდივანი ქალბატონი შინაგან შფოთვას მოეცვა.

ამასობაში საათის ისრებმა 21 გადალახეს, უცხოელები კი არ ჩქარობდნენ, რაც მათ, როგორც წესი, არ სჩვევიათ. ეტყობა, რაღაც სერიოზულ პროექტს იხილავდნენ.

შევეცადე მდივანი გამერთო, სახელი ვკითხე. ლალი, თქვა და გაიღიმა. ეს არაჩვეულებრივი ღიმილი იყო. მომეჩვენა, რომ მისმა თეთრმა, გეომეტრიული სიზუსტით დალაგებულმა კბილების ელვამ ფანჯრის ორმაგი შუშების გარეთაც გააღწია.

მისაღების ბნელი კუთხიდან საშუალება მქონდა დინჯად დავკვირვებოდი ლალის ყოველ ნაკვთს, მიხვრა-მოხვრას.

იგი საშუალოზე ოდნავ დაბალი იყო, ასე, 35 წლამდე, შავი თმებით, რომელიც ორად ჰქონდა გაყოფილი და მთელ ზურგს უფარავდა; სახე თეთრი, სწორი, მოკლე ცხვირი უსაშველოდ გრძელი, შავი წარბების უღელტეხილში ქრებოდა, საიდანაც ირეკლავდა უძირო შავი თვალების ელვას. გრძელი წამწამები იმგვარად იყვნენ გაწელილი თვალის დიდრონ უპეებზე, როგორც ლადო გუდიაშვილის ნახატებშია ხოლმე.

მრავალ ნათურიანი ჭაღი ზუსტად ლალის თავზე ეკიდა და მკაფიოდ წარმოაჩენდა მის თეთრ ღაწვებს, მოკლე ნიკაპს, ოდნავ სქელ, გაბუტულ ტუჩებს, მაღალ ყელს, ზომიერად წამოწეულ მკერდს, ხორბლისფერ მკლავებს, ბევრი ქალისთვის შესაშურ ტანფეხს.

მიუხედავად მოუცლელობისა, ქალი მაინც ქალია და ჩემი მზერა შეუმჩნეველი არ დარჩენია. გადამწიფებული მარწყვის ფერი

თვალებით წამის მეათასედში ამათვალიერა, ჩამათვალიერა და საქმე განაგრძო. შევცბი, სირცხვილის ოფლმა დამიცვარა სახე. უხერხულობის გასაფანტავად ჭაღზე ნათურების თვლა დავიწყე, შემდეგ ელექტრო ენერგიის ხარჯის დადგენას შევუდექი. არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი ახალი გატაცება, მაგრამ უცხოელები კაბინეტიდან გამოლაგდნენ და ცოტა ხანში მდივანს უფროსმა უხმო, შემდეგ გამობრუნდა, მიღების მთხოვნელთა სია აიღო, გვარი, სახელი და მოსვლის მიზეზი დააზუსტა და გაუჩინარდა.

მე ბოლო ვიყავი, ამიტომ არ გავნძრეულვარ, ქალებმა ერთმანეთში დავა დაიწყეს და ორმაგ კარებთან ახლოს დადგნენ.

ლალი დაბრუნდა, სიაში პირველს შესვლა სთხოვა. მერე ნაზი, ხავერდოვანი ხმით თქვა: ხედავთ გვიანაა, – დრო დავზოგეთ, შეიძლება უფროსსაც დაუძახონ უფროსთან, გარეთაც რა ამინდია. მივხვდი მის დაუსრულებელ ნათქვამს, – მეც შემიბრალეთო.

მაგიდა მიალაგა და თავი ჟურნალში ჩარგო.

მე მისი მაგიდიდან თაბახის ქაღალდი ავიღე, მობოდიშებით გვარი ვკითხე და ჩემს ადგილს დავუბრუნდი.

შავი პასტით ვერტიკალურად, ინტერვალებით ლალის გვარის და სახელის პირველი ასოები ჩამოვყარე, მერე თითოეული ასოს გასწვრივ ლექსის სტრიქონების გამოყვანას შევუდექი.

რვა სტრიქონიანი ლექსის ქვეშ ლალის სახის სილუეტი დავხატე, უფრო ზუსტად, გუდიაშვილის ერთ-ერთი ცნობილი ნახატის რეპროდუქცია აღვიდგინე გონებაში. კარგად გამომივიდა, თვალების ჭრილი და შავი თვალები მართლაც ძალიან ჰგავდა ლალის თვალებს და წამწამებს. ავტოგრაფი მივაწერე და ლალის მაგიდაზე დავდე.

ყურადღებით წაიკითხა. გაწითლდა და მადლობა მითხრა, მე ასეთი კარგი არ ვარ; ისე, სიმართლე რომ გითხრა, მე არავის ვაძლევ ამდაგვარ უფლებასო. შემდეგ დაამატა, მაგრამ დღეს შენგან მივიღებ, რადგანაც ჩემი დაბადების დღეა და გამოდის, რომ პირველი საჩუქარია. სახლში სუფრა და მეგობრები დიდი ხანია მელოდებიანო.

თერთმეტი უკვე გადაცილებული იყო, როცა უფროსთან შევედი.

იგი ოცდაათს გადაცილებული მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. დაღლილი ჩანდა. სკამიდან არ წამომდგარა, მისალმებაზე თავის ქნევით მიპასუხა, ხელი არ ჩამოურთმევია. სკამზე მიმითითა, მაგიდის ბოლოს. სანამ ადგილს დავიკავებდი ე. წ. ქსივი დავუდე მაგიდაზე. უხალისოდ გამომართვა, ზერელედ გადახედა, მგონი არც წაუკითხავს.

სამუშაო, სამუშაო, გაბერილ ბიუროკრატიას ვკვეცავთ, აქ კი მოდიან და მოდიან მთხოვნელები.

საქაღალდედან სამი წითელი დიპლომის ამოლაგება დავიწყე, რომელთაგან ბოლო ორი რევოლუციების შემდგომი უმუშევრობის პერიოდში, მოვიპოვე თუმცა მომიტინგების **აქტივისტებში ვითვლე-**ბოდი.

მათემატიკოსი, ეკონომისტი, იურისტი, ციფრებთან, კანონ-ებთან ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება, კიდევ რა უნდა სჭირდებოდეს საჯარო მოსამსახურეს? – ვფიქრობ ჩემთვის.

შევამჩნიე, რომ უფროსი ყურადღებით მაკვირდება. ეტყობა ჭაღარამ შეაშფოთა, არც 50 წლის ასაკია ახლა მოდაში.

რაღაცაზე ფიქრობს, ჭერს ათვალიერებს.

შევეცადე საუბრის წამოწყებას. შემომხედა და ვიგრძენი, რომ საჭირო არ იყო.

უცხო ენა, კომპიუტერი? – სტანდარტული შეკითხვები.

თავი დავუქნიე.

– ყველგან რეორგანიზაციაა, კადრების შემცირება, ვიფიქრებ, ვნახოთ, რაიმე გამოინახება, შეგატყობინებ...

ფეხზე წამოვიჭერი და ბრაზმორეული კაცის პათოსით მივა-ხალე – გასაგებია ყველაფერი, გმადლობთ მიღებისთვის, ბევრგან ესეც პრობლემაა. შემდეგ ხმას უფრო ავუწიე, ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, მითხარით, პასუხის ეს ტექსტი ყველა თანამდებო-ბის პირს მაგიდაზე ხომ არ გიდევთ სამსახურეობრივ ინსტრუქ-ციასავით? თქვენი გაქვთ რამეს გადაწყვეტის თავისუფლება? გარწმუნებთ, რომ მე ბევრგან მიმუშავია იმ ავადსახსენებელ და შემდგომ დროში, მაგრამ ყოველთვის მქონდა ან ვახერხებდი თა-ვისუფლების მოპოვებას ან მე მივდიოდი სამუშაოდან! დავიჯერო, რომ ელექტრიკოსი მაინც არ გჭირდებათ ამხელა შენობაში? მედია უფასოდ არაფერს გამოაქვეყნებს, ხარის ტყავზე ან კედლებზე ხომ არ დავიწყოთ წერა-კითხვა, რომლის გარეშე მკვდარია თქვენებუ-რი დემოკრატიაც; შტატებში, იაპონიაში, გერმანიაში ყველა დიდი მოხელე პრეზიდენტზე უფროსია ასაკით, ვინც წარსულს შაშხანას ესვრის, ის მომავალი თაობისგან ქვემეხის ბათქს მიიღებს; გოდო-რი, რითაც ჩვენ ახლა უფსკრულში გვაგდებთ, თქვენს შვილებს დასჭირდებათ, ამიტომ შეინახეთ; კარგად მოგეხსენებათ, ამას რაც ჰქვია, არის ასაკობრივი დისკრიმინაცია, ანუ ადამიანის საყოველ-თაო უფლებათა დეკლარაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური მუხლის დარღვევა. იქნებ იმაზე მაინც დაფიქრდეთ თუ რატომ გაიქცა ამერიკიდან დიდი ჰემინგუეი. წავიდეთ ქვეყნიდან? საქართველო თქვენით არ დაწყებულა და თქვენით არ დამთავრდება!

მივხვდი, რომ ავურ-დავურიე და გადავაჭარბე, მაგრამ თავ-მოყვარეობა დავიკმაყოფილე...

ბოდიში მოვუხადე გაცხარებისთვის და კარისკენ გავეშურე. ის იყო სახელურს შევავლე ხელი, რომ ზურგიდან დინჯი ხმით შემომესმა:

„კარგით, დამშვიდდით. ბევრ რამეში მართალი ხართ. მეც მტკივა გული, ახლა გარდამავალი პერიოდია, ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ, მორიგ კვირას, ხელშეკრულებით დაინიშნებით თანამდებობაზე ჩვენს დაწესებულებაში, მერე მომავალი გვიჩვენებს. დოკუმენტები მისაღებში დატოვე. ნახვამდის!

მადლობის თქმა ძლივს მოვხერხე, კარები გავიხურე.

ლალი მარტო დარჩენილიყო.

– რა ქენი?

– მომავალ კვირას დამპირდა სამუშაოზე მიღებას. საბუთები თქვენ უნდა დაგიტოვოთ.

– მომილოცავს. ის სიტყვის კაცია, პატიოსანი, მაგრამ ყველაფერი მასზე არ არის დამოკიდებული. ვერც წარმოიდგენ... ფრაზის დასრულებისაგან თავი შეიკავა.

– თუმცა ეჭვის მატლი ტვინს მიბურღავდა, გახარებული ვიყავი. ლალის კინაღამ მოვეხვიე.

– ლალ, ვერც კი წარმოიდგენ რა კარგი ქალბატონი ხარ! ლალ, ჩემთვის ახლა ღვთისმშობლის სადარი ხარ.

მართლაც ასე იყო.

* * *

ფრაზის დასრულება ვერ მოვასწარი, რომ ვიღაცის ხელმა უხეშად შემანჯღრია.

22 იანვარი იდგა, დილის 6 საათი და 30 წუთი.

გული დამწყდა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

მეუღლე შეშფოთებული მეკითხება: ვინაა, ლალი, რა საქმე გაქვს მასთან რა მადლობას იხდი, ხომ არ გადაიხარე?

– რამდენი შარვალი გაცვითე თანამდებობებზე, მაგრამ სხვისი კაპიკი ოდესმე მოგიტანია სახლში? თანამდებობა იმათთვისაა, ვისაც მისი გამოყენების შნო და უნარი აქვს!

– დაგაგვიანდა ბირჟაზე ადგილის დაკავება, შენ იქ რომ მიხვალ, დასადგომიც არ დაგხვდება.

– გოგონები არაფერს ამბობენ, ვეცოდებით, მაგრამ ბიჭი უკვე ბუზღუნებს, იზრდება, ნორმალური კვება უნდა, ჩაცმა, ჩვენ კი პურის ფულიც არ გვაქვს!

– თავს მოვიკლავ და ქენით მერე რაც გინდათ! – გაუგრძელდა მეუღლეს მონოლოგი.

თბილისი, 10 დეკემბერი, 2005 წ.

მთის წაქცევა

ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი, რა არის!
შექსპირი

გუშინ მთა წაიქცაო სამურზაყანოს ზღვასთან, მირეკავს მოსკოვს შეფარებული აფხაზეთელი ლტოლვილი.

დავიბენი.

მთები, სამურზაყანოს ზღვისპირეთში, არ არის. აფხაზეთის რიგი ისტორიული სოფელი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს.

სწორედ ამის გამო გახდა ომამდელ წლებში ფიჩორი ქართველი და აფხაზი არქეოლოგების განსაკუთრებული ინტერესის საგანი; იქ მრავალი „დიხაგუძუბა“ იქნა შესწავლილი.

აღმოჩენებმა განაცვიფრა მსოფლიო.

დიხაგუძუბები მიწაყრილებია, სადაც უძველესი კოლხები ცხოვრობდნენ, არხებითა და ნავებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, გადიოდნენ შავ ზღვაზე, შექმნეს თავისთავადი ქართული სუბცივილიზაცია, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარეს ბერძნებთან, ეგვიპტელებთან, ფინიკიელებთან, ებრაულ, და საერთოდ, აღმოსავლეთის და ხმელთაშუა ზღვის მრავალ ქვეყანასთან.

ერთ-ერთ ბორცვზე, მე-17 თუ მე-18 ფენაში, კარგად შენახული კოლხური ცული და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები და მასთან დაკავშირებული მეტალურგიული საწარმოები იქნა ნაპოვნი.

შავი ზღვის სანაპიროზე დიხაგუძუბათა მთელი სისტემა ყოფილა ლაზეთიდან კოდორამდე და უფრო ჩრდილოეთით, სადაც კი სანაპირო ზოლი ზღვის დონეზეა ან დაბლა.

* * *

მოხდა თითქმის დაუჯერებელი – პოსტკონფლიქტურ აფხაზეთში მთად წოდებული ფრიდონი უეცრად გარდაცვლილა.

იგი იყო ქართველი და აფხაზი არქეოლოგების მუდმივი მასპინძელი.

მარტოკა, ფეხზე ამდგარი შერკინებია სიკვდილს, ვინაიდან, მან არ იცოდა რა იყო შიში, ამასთან, გენეტიკურადაც ოდესღაც მთიელს, მის შორეულ წინაპართა დარად, სიკვდილშიც არ უსურვებია მოწმე.

მოგვიანებით, ფრიდონიც შეგუებია მთაკაცის სახელს, არ უარობდა, თითქოსდა ნამდვილი გვარი და სახელი არც ჰქონია და არც სჭირდებოდა.

ომის დღეებში დაკარგა მეუღლე.

მუნჯივით იდგა კუბოსთან.

აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ რუსეთში წავიდა, მაგრამ ვერ გაძლო **უაფხაზეთოდ და 1994 წლის დასაწყისში თავის გავერ-**ანებულ სოფელში დაბრუნდა. **სამურზაყანოში მოძალადეთა თა-**რეშის გამო შერცხვენილად და დამცირებულად უგრძვნია თავი წვერმოშვებულ, დაბოღმილ გოლიათს.

დაბრუნდა და გადაბუგულ ეზო-კარში ქოხი აიშენა. ენგურს გაღმა ცოტა რამ უნდა ხალხს, იმედის დაბრუნება.

ხალხმა უფრო თამამად დაიწყო დაბრუნება საკუთარ ნასახ-ლარებში. სიკვდილის შიში დაიძლია.

ყველა თავიდან იწყებდა ცხოვრებას და მხარში ედგა ერთმა-ნეთს.

ეს სოხუმში იმდენად წარმოუდგენელი რამ იყო, რომ საშიშად ჩათვალეს და ხელი აიღეს გალის გატყევებულ, უკაცრიელ ზონად, ანუ „სტრატეგიულ სამხედრო ბუფერად“ გადაქცევაზე; სანაცვ-ლოდ კი შეუდგნენ ენგურის მარჯვენა ნაპირის გამაგრებას.

თებერვლის შუა რიცხვებში ბოევიკებმა გალის რაიონი კვლავ გაახვიეს ცეცხლის ალში, ამჯერად, პარტიზანებისგან მორიგი გან-მენდის საბაბით. ზღვისპირა სოფლებში უამრავი საცხოვრებელი სახლი და ნაგებობა კვლავ დაწვეს, ადამიანები, რომლებმაც მი-მალვა ვერ მოასწრეს, დახოცეს.

სახლებს აფხაზი ფანატი ქალები უკიდებდნენ ცეცხლს. დატყვევებულ ქართველებს აწამებდნენ და ხვრეტდნენ.

მთაკაცი თავისი ქოხიდან არ გასულა.

ჭიშკრიდან მოშორებით, ხეხილის ქვეშ მდგარი ფრიდონის ქოხი გვიან შენიშნეს ბოევიკებმა. ხუთ კაციანი ჯგუფი ქოხის გარშემო ჩასაფრდა, ორმა კი წიხლებით ქოხის კარი შეამტვრია.

ორ მეტრიან, ზორბა მთაკაცს, ახალგაზრდობაში უპირველეს ჩხუბისთავს და მონადირეს არ გასჭირვებია მათთვის იარაღის წართმევა და გაკოჭვა.

აფხაზურად და ქართულად უსაუბრია მათთან, გუდაუთელები ნამუსზე შეუგდია, დაქირავებული მთიელები კი წიხლით დაუტო-რია.

ოცი წლის ასაკიდან აფხაზეთში გამორჩეულ თამადას, როგორც მასპინძელს, რადგანაც ჭიქები არ ჰქონდა, ტყვეებისთვის ბოთ-ლებიდან დაულევინებია შინნახადი არაყით საქართველოს სა-დღეგრძელო, მათი ხელიდან დაღუპულთა სახსენებელი.

არ დაგვხოცოთო, მუხლმოდრეკით შეხვეწნიან მთვრალი ტყვე-ები მთაკაცს.

არც მიფიქრიაო სტუმართა მოკვლა ჩემს ეზოში, როგორც ჩვენი და აფხაზთა წესია, თუმცა თქვენ, ამ ქოხთან ერთად, ცეცხლში დაწვას იმსახურებთო.

მერე მოუთხოვია, რომ ყოველ მათგანს იქვე დაეწერა რაც თავს გადახდათ მის ქოხში.

თურმე ქაღალდი ვერ აღმოჩნდა ქოხში, მაშინ ტყვეებს გადაუწყვეტიათ საკუთარი გადახსნილი ვენებიდან ხის ჩხირებით დაეწერათ პატიების თხოვნა ფიცრის კედელზე. დილის ოთხ საათზე, ხელზე ბორკილებით და ერთმანეთზე გადაბმული, უიარაღო და ფეხშიშველა ტყვეები თითქმის რაიონულ ცენტრამდე გაუცილებია მასპინძელს.

მთაკაცს **მოგვიანებით შეუტყვია, რომ მისი სტუმრები ქალაქ**ში, რომელიღაც მოხეტიალე ბანდას დაუხოცავს.

ჭორი გავრცელდა, ეს მთაკაცის ნახელავიაო.

მთაკაცი ამას არ ადასტურებდა, პირიქით, მიაჩნდა, რომ ასე არ უნდა მომხდარიყო.

ასე თუ ისე, მთაკაცს, ისევე როგორც სოფელს, კარგი ხანი არავინ აწუხებდა.

რუსი **ოფიცრებიც სტუმრობდნენ მთაკაცს, რჩევას ეკითხე**ბოდნენ, არაყს არ უარობდნენ მასთან.

მთაკაცი კი ფრთხილობდა, აქ ვინც ჩამოდის, ისეთი ნაძირალაა, რომ მათგან დანდობა არ იქნებაო.

მთაკაცი არ ცდებოდა. რა კი ფიზიკურად ვერ გაუსწორდნენ, მიზანში ამოუღიათ მისი სისხლი და ხორცი.

მთაკაცის მეზობელ სოფელში გათხოვილ მის ქალიშვილს გალში მოულოგინებია. საღამოს, როცა სახლში მოჰყავდათ, სოფელ მზიურში ნაღმზე აუფეთქებიათ ტრაქტორი. მძღოლი და დედა მაშინვე დახოცილან, ხოლო აფეთქებას ბუჩქებში მოუსვრია შეფუთული გოგონა. დილამდე უბრძოლია სიკვდილთან პატარას, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხებულა.

დაჭრილი დათვივით უღრიალია მთაკაცს, მაგრამ მიცვალებულებთან მუნჯივით მდგარა და უძლურებისაგან საკუთარი ენა უკვნეტია.

არავინ იცის მთაკაცმა როგორ გასცა პასუხი ამ გამოწვევას. ამბობენ, ყველას თავის წილი მიუზღოო.

ორო წელიწადი არ იყო გასული ქალიშვილის და შვილიშვილის დაღუპვიდან, როცა რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ტყვიით თავგახვრეტილი უპოვიათ მისი უფროსი ვაჟიშვილი.

კოლხეთის ზეცას კვლავ ფლეთდა ქალების მოთქმა და კივილი, მამაკაცთა ღმუილი. მხოლოდ მთაკაცი მდგარა გაშეშებული და ცრემლგამშრალი.

დასალევს მიეძალა მთაკაცი. **ჭირის სუფრას ხელმძღვანელობ-**და მხოლოდ.

ამბობენ, მეუღლის და შვილების საფლავზე ათევდაო იმ წლის უსაშველოდ გრძელი ზამთრის ღამეებს.

მოტყდაო მთაკაცი, თავს არიდებდა ყველას. მხოლოდ მორიგი აფხაზური რეიდის დღეებში, თოფგადაკიდებულს ნახულობდნენო ტყისპირებში.

შარშან, მაისში, **მთაკაცი ახლობლებთან ერთად თბილისში, ბი-**ძაშვილის ქორწილში ჩამოვიდა. თამადამ უზარმაზარი ყანწი შეს-თავაზა ძველებურად. უარი არ იკადრა, სვენებ-სვენებით დალია.

ცუდად მენიშნა.

არ შეისმინა ვედრება, იმავე ღამეს გაეშურა აფხაზეთს.

მესამე დღეს ვესაუბრე მის ახლობელს.

ბინდბუნდში, მდინარე ენგურზე გადასვლის დროს, გაუჩერე-ბიათ მესაზღვრეებს.

აკაციის სარი ამოუღია გზისპირა ღობიდან და სიკვდილამდე უცემია სამი მესაზღვრე.

თავადაც გამხდარა შეუძლოდ.

თანმხლებ ახლობლებს გაუყვანიათ სამშვიდობოს.

მთა დაიშალა, მთამაც ვერ გაუძლო ადამიანის შესაძლებლობის ზღვარმიღმა განსაცდელს. სული უფრო დიდია და მძიმე თურმე, ვიდრე სხეული, თუნდაც მთაკაცის გული.

სულით არ გატეხილა იგი, მაგრამ გული მთასაც ჰქონია თურ-მე. დაქანცულა გული, სულის ჭურჭელი და წაქცეულა მთა.

მხოლოდ ლეგენდები დარჩა მთაკაცზე, რომელიც ჟამსა საში-ნელს, კაცთა იმედად ცამდე აზიდულიყო ზღვისპირა დაბლობზე.

წაიქცა მთაკაცი, მიწაში ჩაიტანა საკუთარი და სხვისი უთვა-ლავი ტკივილი.

მითხრეს, რომ მთაკაცის უმცროსი ვაჟიშვილი ევროპიდან და-ბრუნებულა, მამის ქოხში კერა გაუჩაღებია და სოფელს უდგასო შემწედ.

ზუგდიდი-თბილისი, ივლისი, 2006 წელი.

ვარდანიების დედა

დიდი ომიდან დაბრუნებულმა კონსტანტინე ვარდანიამ ათი წლის შემდეგ შექმნა ოჯახი, აფხაზეთის სვანთა უმშვენიერეს ასულზე იქორწინა. მაშინ ეს არავის გაკვირვებია. ვარდანიები აფხაზებიც არიან, მეგრელებიც და სვანებიც.

კონსტანტინე აფხაზობდა. გუდაუთის რაიონიდან გადმოსულა, სოხუმის რაიონში, სადგურთან ახლოს გამოუყვიათ სამოსახლო მიწა.

იმ დროისთვის დიდი ქორწილი გადაუხდიათ, ადვილი არ არის სვანების სიძეობა. ამბობენ, აფხაზებს არ უჭამიათო სირცხვილი სვანებთან შეჯიბრებაში, მაგრამ სვანების თამადამ ხარის თავი მაინც დაისაკუთრაო.

სამაგიეროდ აფხაზი მექორწილეები და მოყვრები უფრო მაგრები აღმოჩნდნენო პატარძლის ოჯახში, თუმცა სვანები დიდხანს ხუმრობდნენ, სტუმრებს სხვანაირად როგორ ვაკადრებდითო.

ასე იყო მაშინ.

* * *

სამი ვაჟი და და ერთი ქალიშვილი დაიბადა ვარდანიების ოჯახში. სვანეთის მთებში იზრდებოდნენ ბიჭები, არც ქალიშვილი, სვანი და აფხაზი ბებიების „ანგელოზა," უდებდა მათ ტოლს ცხენით ჯირითში თუ ჯიხვზე ნადირობაში.

მოგვიანებით აფხაზები და ქართველები ლიხნობაზეც იხსენებდნენ ვარდანიების შვილთა სიჩაუქეს.

* * *

14 აგვისტო შავად გათენდა საქართველოს მრავალ ოჯახში, თუმცა მთელი აგვისტო ღრუბლის ნაფლეთი არ შემოპარულა აფხაზეთში.

მძიმე არჩევანის წინაშე დადგნენ ვარდანიების ვაჟები; ალეკო, უფროსი ვაჟიშვილი აფხაზეთში, სოხუმში დარჩა, მომდევნო, კონსტანტინე, მოსკოვში გადავიდა, უმცროსი, ლილე, ზემო სვანეთში, დედულეთში ავიდა, ნაბოლარა, საიდა, გუდაუთაში იყო გათხოვილი და ქალიშვილებს ზრდიდა.

ცოლ-ქმარი ვარდანიებიც სოხუმში დარჩნენ.

აგვისტოს ბოლოს ოჯახის უფროსი მოულოდნელად გარდაიცვალა. ომი იყო და კონსტანტინეს ნეშტი ეზოში მიაბარეს მიწას, იმ დიდ ეზოში, სადაც სამი სასახლე იყო წამოჭიმული და ომამდე ოთხი მსუბუქი ავტომანქანა იდგა.

ძაძები ჩაიცვა ვარდანიების დედამ, აფხაზური და სვანური წესით გამოეთხოვა საყვარელ ადამიანს; გასვენებაზე ქალიშვილი ვერ ჩამოვიდა გუდაუთიდან.

სვანური ზარი გუგუნებდა ვარდანიების ოჯახში.

აფხაზ მამაკაცებს ადამიანის ფერი არ ედოთ სახეზე.

სვანი და აფხაზი ქალები ხმადაბლა ქვითინებდნენ.

* * *

შუა ოქტომბერს საკუთარ ეზოში ბრმა ტყვია ვერ ასცდა ვარდანიების უფროს ვაჟს.

ისევ აგუგუნდა სვანური ზარი აფხაზი ვარდანიების ოჯახში.

მეორე საფლავი გაითხარა ეზოში, მამის გვერდით.

ძაძაზე ძაძა გადაიცვა ვარდანიების დედამ.

საფლავზე, აფხაზეთის სვანეთიდან ჩამოტანილი ფიჭვის ჯვარი აღიმართა.

* * *

დეკემბერში დედას ლილემ ჩააკითხა.

ერთი კვირა მოუნდა ეზო-კარის დასუფთავებას.

ქალაქში გავიდა, იმ ადგილებში იხეტიალა, სადაც ბავშვობისას უყვარდა ყოფნა.

სოხუმი უკვე არ იყო სოხუმი.

ბინდბუნდში ბრუნდებოდა შინ.

საკუთარი ეზოში, ჭიშკართან, ზურგში მოხვდა სასიკვდილო ტყვია.

მესამე ძაძა შეიკერა დედამ.

მესამე საფლავი გაითხარა და სვანთა ხელით გამორანდული მესამე ჯვარი აღიმართა ეზოში.

* * *

ომის ტრაგიკულ დასრულებამდე, რამდენიმე დღით ადრე, დედასთან კონსტანტინე ჩასულა მოსკოვიდან.

ადლერისკენ მიმავალი ავტომანქანისთვის, გუდაუთის ტერიტორიაზე, ცეცხლი გაუხსნია მოხეტიალე ბანდას. ლამის ტიტველი უნახავთ იგი ხრამში გადაჩეხილ და ნახევრად დამწვარ მანქანაში.

სოხუმში ჩამოუსვენებიათ კონსტანტინე.

მეოთხე საფლავი გაჩენილა ეზოში.

მეოთხე ძაძა ჩაუცვია დედას.

მეოთხე ჯვარი აღუმართავთ სვანებს მის საფლავზე.

* * *

ომი დასრულდა, მაგრამ სიკვდილის გველეშაპი ბობოქრობდა აფხაზეთში.

საიდა ჩასულა დედასთან.

უცნაური სენი შეჰყრია საიდას, თვალსა და ხელს შუა დადნაო ქალი.

ვერას გამხდარან სოხუმში დარჩენილი ექიმები.

მეხუთე საფლავი გათხრილა ეზოში.

მეხუთე ძაძა შეუკერია დედას.

სვანი კაცები არ მიუღიათ სოხუმში, ქალებს მოუსვენებიათ ჯვარი კოდორის ხეობიდან.

მეხუთე სურათი გაჩენილა ვარდანიების შავად შესუდრული სახლის ფასადზე, მეხუთე სურათი დედის მკერდზე.

* * *

მოტყდა, ხუთად მოიკაკვა აფხაზთა ამაყი სვანი დედა, ტყავად და ჩონჩხად იქცა.

სიკვდილი არ მოდიოდა მასთან.

საკუთარი საფლავი გაათხრევინა მაწანწალებს, ჭურჭელიც მოიმზადა თავისთვის.

ვერ მოეცალა მიქელ გაბრიელს მისთვის.

ღვთისმშობლის ხატებით მოფინა სახლის კედლები.

ირწმუნა, რომ კიდევ რაღაც ჰქონდა გასაკეთებელი აფხაზეთში.

ღამით და გამთენიისას ლოცულობდა დედა, უფალს ევედრებოდა სხვათა შვილების ბედნიერებას, ცოდვილთა და ბოროტთა უფლისკენ მიქცევას, პატიებას.

დილითა და შუადღით ხმამაღლა მოთქვამ და აფხაზურად და სვანურად.

ლამის ნახევარ ქალაქს აწუხებდა მისი ტკივილი.

ვერავინ ბედავდა დედისთვის აეკრძალა სვანურად მოთქმა.

ბოტანიკური ბაღიდან მოიტანა ყვავილები, სამოთხეს დაამსგავსა სასაფლაო.

ვარდანიების დედა მხოლოდ დედა იყო, უაზროდ ქცეული სიცოცხლის დედა.

მას მოწიწებით უთმობდნენ გზას, ქედმოხრით ესალმებოდა ყველა.

ყოველი წლის 14 აგვისტოს, გამთენიისას აფხაზთა „ძმათა სასაფლაოზე“ მიჰქონდა ყვავილები, საღამოს ქართველთა მასიური დახოცვის ადგილებს ამკობდა გვირგვინით.

მისთვის არ არსებობდა საგუშაგო, საშვი, მოცდა, დალოდება.

სოხუმში რა გამოლევს ადამიანურ ადამიანებს და უკვე აჩრდილად ქცეულ ქალს დედა ტერეზა შეარქვეს.

არასოდეს გასჭირვებია მტრობით აშენებული საგუშაგოების გადალახვა, შავი ძაძა და მკერდზე ხუთი სურათი იყო მისი მუდმივი საშვი.

ერთხელ, ფსოუზე, რუსებს არ გაუტარებიათ მანამ, სანამ არ გაუძვრია სამი ერთიმეორეზე გადაცმული ძაძა. შერცხვათ მესაზღვრეებს, წადი დედიკოო, უთხოვიათ მისთვის.

ახლობლების მეშვეობით იგი კონსტანტინეს ვაჟიშვილს დაეძებდა თურმე რუსეთში, რაღაც ჰქონდაო გაგონილი ყურმოკვრით.

* * *

ვარდანიების დედა შვილების საფლავზე შარშან მკვდარი უპოვიათ.

ღიმილი, ბედისწერის დაცინვა, შეჰყინვოდა სახეზე.

ერთი კვირის მიცვალებული უმალ დაუსაფლავებიათ საკუთარი ოჯახის სავანეში.

წერილი წაუკითხავთ მისი, ჩემი ბედი არ ასცდესო იმას, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო ყველა, ჯოჯოხეთი მოგვიწყო სამოთხეშიო.

ამბობენ, ანდერძიც დაუტოვებიაო დედას აფხაზურად და ქართულად, გადაუცია სანდო ხალხისთვის ჯვარზე დაფიცებით და მოთხოვნით, რომ გაიხსნასო მხოლოდ ჩემიანთა შერიგების დღეს.

* * *

ვარდანიების ეზო-კარში გახუნებულან სუდარები და სურათები, ბალახი მოსდებია იქაურობას, ველური ლეღვები ამოსულან კიბეებსა და სახურავებზე.

ვარდანიების სახლისკენ გახედვა ტანში ზარავს მტერს და მოყვარეს.

მაწანწალებიც თავს არიდებენ იქაურობას.

ბავშვებს აშინებენ, იქ ღამის მოჩვენებები დადიანო.

ზაფხულში ჭალიკონი დაქრის ვარდანიების ეზო-კარში, ზამთარში კი აფხაზეთის მთებიდან მოვარდნილი ცივი ქარი აბურთავებს იქაურობას.

ზემო აფხაზეთი. 16-17 დეკემბერი, 2006 წ.

ორი სურათი

I. დემოკრატია ჩვენებურად

ქალაქის სამარშრუტო ავტობუსი № 66 ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ჩვეულებრივ რეისს ასრულებს. ავტობუსი გადატვირთულია და მგზავრთა დიდი ნაწილი ფეხზე დგას.

გაჩერებამდე ჯერ კიდევ შორს შუახნის, მაგრამ ჯერ კიდევ ლამაზმა და კარგად ჩაცმულმა ქალბატონმა მძღოლს ავტობუსის გაჩერება სთხოვა.

მძღოლი, რომელიც ჯერაც ახალგაზრდა ჩანდა და შოფრის ფორმა ეცვა, თავაზიანად შეუდგა ახსნა-განმარტებას:

– არ შეიძლება, კანონი კანონია;

– რა კანონი, რისი კანონი, კანონს ხალხი ადგენს, ომახიანად პასუხობს ქალბატონი;

– ახლავე გააჩერეთ! კატეგორიულად მოითხოვა ქალბატონმა;

– არ შემიძლია, მოძრაობას ხელს შევუშლი, კატეგორიული გახდა მძღოლი;

– გააჩერეთ, ვის ჰკითხეთ, როცა ამ გაჩერებებს ადგენდით, იკივლა ქალბატონმა.

ხალხი ახმაურდა.

– ძმაო, გააჩერე, რა დიდი ამბავია, აუარებელი მხარდამჭერი გამოუჩნდა ქალბატონს;

– მომხსნიან სამსახურიდან, ხუთ შვილს ვზრდი, ძლივს ვიშოვნე სამსახური, ლექტორი ვიყავი, ლამის ატირდა მძღოლი;

– გააჩერე შენი, სალონიდან წამოენთო რამდენიმე მგზავრი;

მძღოლმა ავტობუსი გააჩერა. ქალბატონს ვიღაცამ ხელი შეაშველა ჩანთების ჩატანაში.

ქალბატონმა ხურდა არ დატოვა.

– მგზავრობის ქირა ქალბატონო, მოითხოვა შეურაცხყოფილმა მძღოლმა და ძრავა გამორთო.

სალონში სიჩუმე ჩამოვარდა.

– მთლად დაკარგეს ქართველმა კაცებმა ვაჟკაცობა, ვაი სირცხვილო, ახლა ოც კაპიკს მთხოვს ეს უნამუსო, თითქოს ბაბუამისის მანქანა იყოს, შეეპასუხა ქალბატონი.

– წადი რა, ახლა სალონიდან გაისმა გაღიზიანებული ხმა.

ქალბატონი ღია კარებთან იდგა და გადახდას არ აპირებდა. არც მძღოლი დათმობას.

– ვერ მოგართვი, ახლა ტაქსი უნდა მოვნახო, მას უნდა გადავუხადო, წარმოთქვა ქალბატონმა ლამის მთელი ავტობუსის გასაგონად და ტროტუარის სიღრმეში გადავიდა.

– მძღოლმა შეიგინა და ნერვიულად დაქოქა ძრავა. ავტობუსი დაიძრა.

– არაფერი გვეშველება ჩვენ, ასეთია ჩვენებური დემოკრატია და წესრიგი, დაიბუზღუნა კარებთან მჯდარმა მოხუცმა, შემდეგ დაამატა, ასეთი რამ ამ ჰოლანდიურ ძველ ავტობუსსაც არ ახსოვს ალბათ თავის ქვეყანაში!

– ეს არც პირველია და არ უკანასკნელი იქნება, მხარი აუბა მძღოლმა.

– ამიტომაც არ მინდა ამ დამპალ ქვეყანაში დარჩენა! ნიშნის მოგებით გადასძახა გოგონამ მეგობარ ვაჟს.

– მძღოლიც მართალია და მგზავრიც, ფილოსოფოსის იერით დაასკვნა წვერიანმა ახალგაზრდამ.

ავტობუსი მორიგ გაჩერებაზე გაჩერდა.

მძღოლს ადამიანის ფერი არ ედო.

II. ვისია, ვისია ბიჭი ლამაზი...

გიმნაზიის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელის ჩასასვლელთან, ფარდაგზე სკოლამდელი ასაკის ბიჭი წევს. სახე შეფუთული აქვს, გალურჯებული ხელი კი წინ გაშვერილი.

ფარდაგზე ცოტაოდენი ხურდა ყრია.

მეგობარს ველოდები ავტობუსების გაჩერებასთან. დრო მქონდა და ცნობისმოყვარედ ვაკვირდებოდი გამვლელთა დამოკიდებულებას ამ პატარა მათხოვრის მიმართ, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს ეტყობოდა.

მათხოვარს კისკისით ჩაუარა ახალგაზრდების დიდმა ჯგუფმა, ეტყობა, სტუდენტებმა.

შემდეგ რამდენიმე ჰალსტუხიანი, საშუალო ასაკის მამაკაცი მიუახლოვდა ფარდაგს. შეჩერდნენ, შეხედეს ბავშვს, რაღაც ჩაილაპარაკეს და გზა განაგრძეს.

რამდენიმე მასწავლებელი მიუახლოვდა მათხოვარს, ასაკოვანმა ქალბატონმა გადაწყვიტა ბავშვისთვის თავსაბური მოეხსნა, მაგრამ კოლეგებმა არ ურჩიეს, რამე სენი არ ჰქონდესო. ერთმა მათგანმა ჩანთა გახსნა, დიდხანს აფათურა ხელი და ორმოცდაათი თეთრი დადო ფარდაგზე.

ცოტა ხანში სამი ღვთის მსახური გამოჩნდა, ერთი მათგანი მობილური ტელეფონით საუბრობდა. მათხოვარს შეხედეს, თავი გააქნიეს და გზა განაგრძეს. მათ ასეთი და უარესები თავზე საყრელად ჰყავთ ეკლესიებში

ინვალიდი გამოჩნდა ეტლით, თან ქალი ახლდა. ბავშვთან გაჩერდა, დაიხარა, სახე გაუხსნა. ბავშვს თვალი არ გაუხელია, ის მთელი სხეულით ძაგძაგებდა. ინვალიდმა ისევ შეუფუთა სახე,

მკვდრის ფერი დაედო თავად. მერე ჯიბეები მოიქექა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. შეწუხდა და თანამგზავრ ქალს ლარიანი გამოართვა. ახლა ასეა, უჭირს, ვინ იცის ვინ გამოვა, იქნებ ქვეყნის პატრონი დადგეს, გაჭირვება გონიერი მრჩეველია!

ფარდაგზე ქაღალდის ლარიანი გაჩნდა.

შავოსანი ქალები ჩამოვიდნენ ზემოდან. ბავშვთან შეჩერდნენ, ივიშვიშეს, მერე ერთმანეთს გადახედეს:

– ასეთი რამ ადრე არ იყო, იძახიან თაღლითობაა. დავიჯერო, დედა გაიმეტებს შვილს სამათხოვროდ? რაღაც უნდა იღონოს ქვეყანამ. ეს რომ ერთადერთი იყოს სახლში წავიყვანდი, ჩემებს დავუმატებდი.

– არც სხვაგანაა ნაკლები, წუხილით დაამატა ერთმა მათგანმა.

შავოსნები მალე მიწისქვეშა გადასასვლელში გაუჩინარდნენ.

გიმნაზიაში ზარი დაირეკა, ონავარი პატარები შეესივნენ პროსპექტს.

მათხოვართან მოსწავლეთა დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი.

– ჩვენი ახმედაა, ხედავ ისევ დაკარგულა დედამისი, რა ვქნათ?

– ცივა, შია, წუხელაც აქ იყო, მოკვდება საცოდავი!

– მაცალეთ, დედაჩემი აქაა მგონი, რამეს გამოვართმევ. თქვა ერთ-ერთმა და გაუჩინარდა.

ცოტა ხანში დაბრუნდა, ხელში ლავაშის ნატეხი ეჭირა.

მათხოვარი გააღვიძეს და ხელში შეაჩეჩეს.

საცოდავად ილოღნებოდა.

ახლა მეც უნდა მეღონა რამე. ჯიბეები მოვიქექე, 65 თეთრი ვიპოვე და პატარას ხელში ჩავუდე.

შემომხედა და ქართულად მითხრა, მადლობა ძია!

მომეჩვენა, რომ მისი თვალები ზიზღით იყო სავსე.

მეტი ვერაფერი გავაკეთე მისთვის, ვერც შევძლებდი.

მალე ჩემი მეგობარიც მოვიდა, მაგრამ წასვლა გადავდე, გადაუდებელი საქმე მოვიმიზეზე.

თბილისი, 1 ივნისი, 2008 წ.

ჩვენებური სიგიჟე

ხუტა გუგუჩიას დაბადების დღეზე მისმა რამდენიმე მეგობარმა და ახლობელმა მოვიყარეთ თავი. რესტორანში მიწვეული

არავინ ყოფილა. ამ საოცარ ადამიანს, მეგობარს და თაყვანისმ-ცემელს რა გამოულევს.

სუფრაზე თბილი და აფხაზეთის ქართველთათვის ჩვეული მოლხენის ისეთი ატმოსფერო შეიქმნა რომ, თითქოს არც სისხ-ლიანი აფხაზეთი ყოფილა ოდესმე და არც ჩვენ ვიყავით დევნილე-ბი.

ძველებური, ჩვენებური სიგიჟე აფხაზეთში ნაომარმა ბიჭებმა წამოიწყეს, რომელთა უმრავლესობა ინვალიდია, ცალფეხა, **ცალხ-**ელა ან ცალთვალაა. და ჩვენც გამოვიდეთ თავი.

იუბილარის თხოვნით საღამოს გაძღოლა ჯანრი უბირიას, აფხაზეთის ომის გმირს, ბავშვობაში განთქმულ მოცეკვავეს, ალ-ვასავით აშოლტილ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს დაეკისრა.

რაღა თქმა უნდა, ჯანრიმ სუფრა ქართული და აფხაზური წეს-ით წაიყვანა, ოჩამჩირლებს ეს განსაკუთრებულად გამოსდით.

 იყო ბევრი მოგონება, ცრემლი, სიხარული, ათასჯერ ავუხსენ-ით სიყვარული აფხაზეთის ლურჯ ზღვას, უბადლო მზეს, ლილის-ფერ მთებს, სპილოს მუცელა და ტანწერწეტა პალმებს, ქათქათა სასახლეებს, უწმინდეს სალოცავებს, წინაპართა საფლავებს, ჩვენს მიტოვებულ ეზო-კარს, ყმაწვილკაცობის ვნებებს და ანცობას, ანუ იმ ძვირფას საუნჯეს, რასაც აფხაზეთში ჩვენი სიცოცხლე ერქვა.

საოცრება გამოდგა ჩვენი მუსიკალური ბენდი. აგუგუნდა ქართული და აფხაზური სიმღერები, მეგრული ფოლკლორის კლასიკა.

დარბაზი ერთსულოვნად რეაგირებდა, თითქმის ყველა მღერო-და, მღეროდა და ცეკვავდა ხალისით, სიყვარულით, იმედით, რწ-მენით.

„ქართულმა“ გააქვავა დარბაზი. ტანკენარმა ქალბატონმა ორი ვაჟკაცი გამოიცვალა, თუმცა, მაინც უკმაყოფილო ჩანდა, რაც შე-უმჩნეველი არ დარჩა თამადას.

ჯანრი ფიცხელ გავიდა საცეკვაოდ, გაუსწორდა ქალბატონს და არწივის ფრთებივით გაშლილი მკლავებით დაფარა მეწყვილე. მხოლოდ გამოცდილი ხელოვანის თვალს შეეძლო შეენიშნა ერთი მცირე დეტალი: ჯანრის ფეხებს რაღაც უშლიდა ლაღად „ემუშავა“, რაღაც აბრკოლებდა ტერფების ჰარმონიას, გავა და წელი ოდნავ ჩამორჩებოდა მთლიან პლასტიკას. და მაინც, ყველაფერი მშვენ-იერი იყო.

დაღლილმა ქალბატონმა არენა დატოვა. ჯანრი გაქვავდა, დაელოდა მორიგ მეწყვილეს.

უცებ „აფხაზურმა“ იფეთქა. ჯანრიმ ბოდიში მოიხადა და თამა-დის უფლებით თასი მოითხოვა. ძმებს შორისაც მოდის თურმე

მტრობა და სიკვდილი, თუმცა სიკვდილის შემდგომაც ერთად რჩებიან, როგორც სიცოცხლეში. გაუმარჯოს საქართველოს სამოთხეს აფხაზეთსო, მის ყველა შვილსო!

ისევ იგრიალა დოლმა...

კედლებს ეხეთქებოდნენ აფხაზეთის მთის მდინარეები, აფოფინდა, აზვირთდა ზღვა, მეხთა ტყორცნამ შეაზანზარა დედამიწა, ქარიშხალი ბობოქრობდა ირგვლივ.

ოფლში გახვითქული მოცეკვავეები თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ, მხოლოდ ჯანრი დარჩა სცენაზე.

თასი მოითხოვა ჯანრიმ.

საქართველო, მისი ყველა კუთხე და კუნჭული ადღეგრძელა, ერს ჭეშმარიტი თავისუფლების დაბრუნება უსურვა, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის შემოერთებაში მეტი სიმტკიცისა და შიშის დაძლევის იმედი გამოხატა.

ერთსულოვნად დავუჭირეთ მხარი, ვადიდეთ სამშობლო, მამულისთვის დაცემული ბიჭები.

„სვანური“ დაუკრეს. ოთხეულს ჯანრიც შეუერთდა. თითქოს უშბა, უშგული, შხარა, თეთნულდი, საკენი აღიმართა სცენაზე...

ჯანრის, სვანი ბიჭების გვერდით, 16-17 მარტის სოხუმი დაუდგა თვალწინ, მარტის ორი დღე, ქართველთა უბადლო გამარჯვების დღე, ბევრისთვის მოუშუშებელი ტრაგედია.

ჯანრიმ „ოსური“ მოითხოვა, ხელები პიჯაკის სახელოში ღრმად დამალა და უნაზესი ქალბატონების მწკრივში ჩადგა. ბოლომდე იცეკვა.

შემდეგ იყო ქვეყნის ყველა კუთხის სადიდებელი სადღეგრძელო და „აჭარული“.

ჯანრი შებორძიკდა ანაზდად, სახე გაუფითრდა, როიალს დაეყრდნო ხელით.

ბატონი ხუტა შეშფოთდა, სცენაზე ავიდა, ჯანრი მკერდში ჩაიკრა, აკოცა, მუსიკოსებს ევროპულზე გადასვლა სთხოვა, ჯანრი კი თამადის ადგილამდე მიაცილა.

სცენის ფიცრებზე სისხლის ლაქები ყაყაჩოს მუქი ფურცლებივით ელავდნენ აქა-იქ, რომელთა კვალი ჯანრის გაჰყვა.

გვერდით მივუჩოჩდი ჯანრის, შარვლის ნაკეცებიდან სისხლი სდიოდა.

ჰაერზე გასვლა ვთხოვე. უხალისოდ დამეთანხმა.

* * *

– ზედმეტად ხომ არ დაგტვირთეთ? - მორიდებით ვკითხე.

– უარესიც ყოფილა, მიპასუხა ღიმილით.

– ექიმი ხომ არ ვნახოთ-მეთქი.

– არა, არ არისო საჭირო.

– მითხარი, აუტანელი ტკივილი თუ გაწუხებს, სხვა რამეს მოვიფიქრებ-მეთქი.

ჩაფიქრდა, თავი ჩაქინდრა, შემდეგ ერთბაშად წამოიმართა და იყვირა:

–ვცეკვავ, ეს ჩემი საქმეა, ჩემი და ჩვენებურია. რა, არ მოგწონს?

– მტკივა? რა თქმა უნდა მტკივა, მაგრამ მარტო მე არა, სხვებსაც ტკივათ. მინდორში ვინც დავტოვეთ, იმათ ნამდვილად არ ტკივათ. შემდეგ სიცილი აუტყდა, თვალი გაახილე, ხეს, უფეხო ფეხს, რა უნდა სტკიოდეს?!

რა უნდა მეთქვა, გავჩუმდი.

დარბაზში დავბრუნდით, ჯანრიმ თამადობა გააგრძელა...

ცოტა **ხანში დარბაზი დავტოვე, ეზოში დავრჩი, შემდეგ ქალაქ**ში ფეხათრევით წავედი.

დიდხანს მესმოდა ქართული და აფხაზური ჰანგები, მათ შორის სამენოვანი ნაწყვეტები ოჩამჩირელთა და გალელთა ჰიმნიდან:

„სამი ლუჩში გოროდ მირა,
პოსლე გალი, ოჩამჩირა...“

აყვა

„აყვა“ სოხუმის სახელია. ოციოდე წლის წინათ, ჩემთვის უდიდეს და ულამაზეს ქალაქ სოხუმში ამ სახელწოდების უფილტრო სიგარეტი იყიდებოდა. სიგარეტი დაბალი ხარისხის იყო, მაგრამ ძალიან იაფი. იმდენად იაფი, რომ სტიპენდიით მცხოვრები სტუდენტებისთვის, როგორც იტყვიან, ხსნა, სიამოვნების უებარი საშუალება იყო. მერე რა თუ ზედმეტად დატენილი გახლდათ **„სამ**სუნის“ ნარჩენებით, თამბაქოს მტვრით, თივით, მაგრამ ამას მაშინ მნიშვნელობა არ ჰქონდა.

აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ, ამ სიგარეტს რა გამახსენებდა, თუ არა ისევ გაჭირვება, ამასთან, მეტად უცნაურ ვითარებასა და სიტუაციაში.

იმჟამად თბილისში ყოველგვარი სიგარეტი უსაშველოდ გაძვირდა. ამ საქონელზე ფასის გაზრდას მთავრობა მხოლოდ ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვით ხსნიდა.

და, აი, „ლომკები“ მაქვს, ბოლო სიგარეტი სამ საათზე მეტია რაც მოვწიე. ადგილს ვერ ვპოულობ, საწოლში ვტრიალებ, მეტის-

მეტად გაღიზიანებული ვარ, არაფერი არ მინდა, გარდა კვამლის გამოშვებისა.

ქუჩაში გავედი. სიგარეტს აბოლებენ ბედნიერი არსებანი, მაგრამ მე ვერ ვთხოვე, ასეთია აფხაზეთელთა დაუწერელი კანონი, რომლის დარღვევას მტკვარში გადავარდნა მირჩევნია.

ბინაში დავბრუნდი, დაძინებას შევეცადე. გამომივიდა.

სიზმარმა გამომაღვიძა. თითქოს კუბის სიგარას ვეწეოდი, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ უეცრად იგი ხელიდან გამივარდა და ოთახში ყველაფერი ცეცხლის ალში გაეხვია.

წამოვფრინდი, გული ამოვარდნაზე მქონდა, ოფლში ვიყავი გაწუწული.

ჰაერზე გავედი, კაცი, ძე-ხორციელი არ ჩანდა. საიდანღაც, ალბათ, რუსთაველის პროსპექტიდან, კვამლის საამო სურნელი მოჰქონდა ნიავს. ეტყობა გვიანი ღამის წყვილები ან ჯიხურის გამყიდველები ეწეოდნენ.

ვერ მოვითმინე, ჩვენი ქუჩის ჯიხურებისკენ გავიხედე. **ო, რა**გორ ელვარებენ ათასგვარი, ათეული ქვეყნის და ფირმის სიგარეტები.

ბინაში დავბრუნდი და ლოგინში ჩავწექი. ვითვლი 1000, 999, 998..., უკვე მერამდენედ. არაფერი გამომდის.

ვდგები და ცივი წყლის ქვეშ ვტიტვლდები გალურჯებამდე. მერე საწოლში ვბრუნდები სიცივისაგან გაბრუებული.

სოხუმი დამესიზმრა. მშვიდობის პროსპექტზე ვსეირნობდი. საოცრად თბილი დღე იყო. უზარმაზარი მზე პირდაპირ ჩემს თავზე ეკიდა. მოწევა მომინდა. იაფფასიან, მაგრამ მაშინ უაღრესად მოდური გერმანული წარმოების პიჯაკის ჯიბეში ჩავიყავი ხელი. „აყვას“ კოლოფში ერთი ცალი სიგარეტი, ისიც კუთხეში მიმალული დარჩენილიყო. კოლოფი გულის ჯიბეში ჩავდე.

გასტრონომში შევედი, ნაცნობ აფხაზ გოგონას თბილად მივესალმე და ერთი კოლოფი „აყვა“ ვიყიდე.

სიგარეტი თამბაქოს ფაბრიკიდან ახალი შემოტანილი აღმოჩნდა. კოლოფის გარეკანი უჩვეულოდ თეთრი იყო, მასზე ზღვის სიმბოლური ლურჯი ტალღები და დიდრონი, ბრდღვიალა ყვითელი მზის ფონზე ფრთებგაშლილი უზარმაზარი თეთრი თოლია იყო გამოსახული, რომელიც, თითქოსდა მე მიყურებდა. სიმბოლო მეტად შთამბეჭდავი იყო. დამენანა, რომ ფაბრიკის უდაოდ ნიჭიერი მხატვარი ასეთი უბრალო სიგარეტის გაფორმებისთვის ირჯებოდა.

მოხდა ისე, რომ აფხაზეთიდან სპორტული ტანსაცმლით მომიწია გამოსვლამ. სწორედ, რომ გერმანული პიჯაკი აღმოჩნდა ის ერთადერთი ნივთი, რომელიც **ბოევიკებს არ გაუტანიათ სახლი-**

დან და ომის დამთავრებიდან მესამე წელს მეზობლებმა რელიქ-ვიად ჩამომიტანეს თბილისში.

პიჯაკმა ყველაზე საპატიო ადგილი დაიკავა ჩემს მწირ გარ-დერობში.

ამბობენ, სიზმარი მხოლოდ რამდენიმე წამის ან მისი მეათედის მოვლენააო, მაგრამ ჩემთვის ის თითქოსდა მთელი ღამე გრძელდე-ბოდა, ალბათ, იმიტომ, რომ დიდხანს მინდოდა აფხაზეთით ტკბო-ბა. თვალწინ დამიდაგა ჩემი ტანსაცმლის კარადა, შიგ გერმანული პიჯაკით, რომლის მარჯვენა გულის ჯიბეში ერთ დროს გადანახუ-ლი „აყვას“ კოლოფი იდო.

უმალ წამოვიჭერი, კარადას ვეცი, პიჯაკი მოვნახე, აკანკალე-ბული ხელი ჩავყავი ჯიბეში და აი, სასწაული – „აყვას“ კოლოფი ერთი სიგარეტით უკვე ჩემს ხელშია. მეგონა სიზმარი გრძელდე-ბოდა, მაგრამ ცხადში ვიყავი.

ნეტარებით გავაბოლე ობმოკიდებული „აყვა“.

ეს ნამდვილი ამბავია, ამიტომაც ხშირად ვფიქრობ ადამია-ნის ტვინის უსაზღვრო შესაძლებლობაზე, რომელსაც აქვს უნარი შეინახოს ადამიანის ცხოვრების ყოველი წვრილმანი და ყველაზე მძიმე წუთებში მხსნელად მოუვლინოს მას.

მე ამ ფენომენის ახსნის თავი არ მაქვს. დაე, მასზე იმან იფი-ქროს, ვისაც აინტერესებს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სოხუმი, აფხაზეთი იყო, არის და იქნება ჩვენებურის, მიცვალებულის თუ ცოცხლის მარადი შემწე და მფარველი.

თბილისი, 13 თებერვალი, 2005 წ.

ხელშეუხებელი ავტობუსი

1993 წლის 4 სექტემბერს, ღამით, ქალაქ ზუგდიდის გარეუბანი ქალის კივილმა შეძრა. ოთხმოცი წლის ნათელა ავიძბა-არდიას ოჯახმა უფროსი ძმის **ხოთხოტ ავიძბას გარდაცვალების. შეტყო-**ბინება მიიღო.

თმაგაშლილ და ლოყადაკაწრულ ნათელას რძლებმა და მე-ზობლებმა აუბეს მხარი.

ახლობლები ეზოში შეგროვდნენ, ნათელას ვაჟიშვილებიც მო-ვიდნენ. დედას მოეხვივნენ, ტირილით იჯერეს გული. ვიღაცამ ჩაილაპარაკა საკმარისია, აფხაზებთან ომია, ბევრი ქართველია დაღუპული და ხალხი ვერ გაიგებსო მოხუც მიცვალებულზე ამდენ

ხმაურს. ახლა სხვამ გამოიდო თავი, ამ ოჯახებს ისეთი ახლობლობა ჰქონდათ, ძნელია ნათელას დაუშალო, დაე, იჯეროსო გული.

უფროსებმა გაიხსენეს, რომ ომისშემდგომ წლებში ხოთხოტი, ზუგდიდში ქაღალდის კომბინატში მუშაობდა მექანიკოსად და არდიების ოჯახში ცხოვრობდა. მეუღლედ ოჯახის ახლობელი ხეთელი ქალიშვილი შეურჩევია. ისიც გაიხსენეს, რომ ნათელას შვილები ხშირად სტუმრობდნენ ბიძას აფხაზეთში და კარგად იცოდნენ აფხაზური; ნანა, ნათელას უფროსი ქალიშვილი, რუხის ღონისძიებებზე აფხაზურ ლექსებს კითხულობდა ხოლმე.

ნათელას უმცროსი ქალიშვილი ზაირა სოხუმში აფხაზზე იყო გათხოვილი.

ამბის მომტანს ისიც ეთქვა რომ, თუ ნათელა ძმის გასვენებაზე ჩასვლას გადაწყვეტდა, დაკრძალვას სამი დღით გადადებდნენ, ამასთან, მდინარე **გუმისთას იქეთ და უკან მგზავრობას და უსაფრთხოებას** აფხაზები მიხედავდნენ.

მიცვალებულის შვიდი უახლოესი ნათესავი მოემზადა გასამგზავრებლად.

* * *

სექტემბრის დასაწყისში აფხაზეთში სიწყნარე იყო.

ომამდე ზაირა მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა სოხუმში, ამიტომ უამრავ ქართველ და აფხაზ თანამდებობის პირს იცნობდა და მოახერხა გუდაუთაში არდიების ჩასვლის აუცილებლობაში დაერწმუნებინა ჯერ აფხაზური, მერე ქართული სარდლობა, თუმცა მისი და **ზუგდიდელი ნათესავების საბუთების მოგროვებას** საკმაო დრო დასჭირდა.

8 სექტემბერს, ადრე დილით, ნათელა და მისი მხლებლები მდინარე გუმისთის ნაპირზე, ხიდის თავთან იდგნენ. შემოწმების შემდეგ აფხაზებთან შეხვედრა შუა ხიდზე შედგა.

ხიდის ბოლოს, მიფარებულში, მიკროავტობუსი ელოდათ, რომელთანაც ოთხი შეიარაღებული აფხაზი მეომარი ფუსფუსებდა. ავტობუსის საქარე მინაზე დიდი ასოებით რუსულ და აფხაზურ ენებზე წარწერა იყო: „ავტობუსი ხელშეუხებელია.“

მძღოლს ჯიბეში აფხაზთა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის ხელმოწერილი დოკუმენტი ედო: „ავტობუსი ხელშეუხებელია, შემოწმებას, ჩხრეკას, დაკითხვას არ ექვემდებარება“.

ბლოკ-პოსტზე **ავტობუსი რამდენიმე ადგილას გააჩერეს** სამხედროებმა, ბოდიში მოიხადეს და უმალვე გაატარეს.

შუადღეზე ავტობუსი ავიძბების სამოსახლოს ახლოს გაჩერდა.

ძაძებით შემოსილმა ნათელამ და მისმა შვილებმა ავტობუსთან ხმადაბლა ისაუბრეს, სამხედროებს სთხოვეს ჭირის სუფრისთვის

ზუგდიდიდან ჩატანილი ფოთის ახალი თევზი და სამასი ბოთლი საუკეთესო „ოჯალეში“ ეზოში გადაეტანათ.

ნათელას კივილმა ახლა გუდაუთა შეძრა. ეზოდან, ფანჩატურიდან, უმალ შეეხმიანნენ მიცვალებულის მეუღლე, აფხაზი ქალები. ჭიშკართან შეისვენა ნათელამ, შემდეგ ზუსტად ისე, როგორც საქართველოს რიგ სოფელში ხდება დღემდე, უზარმაზარი, მაგნოლიის ქვეშ შეჩერდა და უკვე სახედაკაწრულმა გააგრძელა გზა.

ფანჩატურში მიცვალებულს ჩააფრინდა, მკერდი და შუბლი დაუკოცნა. ნათელა მოთქმის დიდოსტატი იყო. მოთქვამდა აფხაზურ, ქართულ, უმეტესად რუსულ ენაზე, არავინ დატოვა **მოუფერებელი. ძველი და ახლო წლების საოჯახო ფოტოებით დაფარა სუდარა.**

15 საათზე მიცვალებული ეზოში გამოასვენეს. მიტინგი დაიწყო. ხალხი გულწრფელად ეთხოვებოდა თავის უხუცეს ლიდერს. მიტინგზე ითქვა, რომ რაინდმა ხოთხოტმა, რომელიც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ქართველებთან ნათესაობას, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი არ გაჩაღებულიყო. ამით, მან მტრებიც გაიჩინა, მაგრამ სიტყვის შებრუნებას ვინ აკადრებდა; ითქვა, რომ მან თავისი ორი შვილიშვილი ფრონტის ხაზზე გააგზავნა. ის ხომ თავისი ხალხის ნაწილი იყო, ნაწილი ხალხისა, რომელსაც ჭარბად აქვს მომადლებული ღირსება და პატივმოყვარეობა.

სასაფლაომდე საკმაოდ შორი იყო და ქალებს რა გამოულევდა სალაპარაკოს. მიტინგიც წვრილად გაარჩიეს; არც ის გამოტოვეს თუ როგორ მოხდა, რომ ორატორებს გამორჩათ ხოთხოტის ორი შვილის თბილისში გაქართველება, ერთი შვილიშვილის ზუგდიდში დასახლება, ხოლო ოთხის გარუსება მოსკოვში.

ქელეხს ათასამდე კაცი დაესწრო. ომის ღარიბ სუფრას ამშვენებდა სამეგრელოდან ჩატანილი შემწვარი, მოხარშული თევზი და და ღვინო. ჭირის სუფრის წინამძღოლმა, ხოთხოტის მრავალი ღირსება ჩამოთვალა, მათ შორის ენგურს გაღმა მოპოვებული საყოველთაო პატივისცემა, რომლის დასტურადაც დაასახელა ომის პირობებში საქართველოდან სტუმრების მონაწილეობა **მის უკანასკნელ** გზაზე გაცილებაში; მან ტკივილით ისაუბრა ომის უღმერთობაზე და უფალს შესთხოვა მშვიდობის დამყარება.

ნათელა სუფრიდან წამოდგა, დაღამებამდე გუმისთის ხიდი უნდა გადაეკვეთათ. მას თან გამოჰყვა აფხაზ ნათესავთა და ახლობელთა დიდი ჯგუფი. ცრემლი და სიხარული აირია ერთმანეთში, ერთი წუთით ყველას დაავიწყდა ომი, დაღუპული საკუთარი და სხვისი შვილები, გაურკვეველი მომავალი.

ნათელა მუხლებზე დაეშვა, მიწას აკოცა, ფრჩხილებით მოფხიკა გუდაუთის მიწა და მოწიწებით შეახვია ცხვირსახოცში.

ბინდბუნდში ავტობუსი **გუმისთაზე გადმოვიდა, ღამე ზაირასთან** დარჩნენ, მერე დღეს უკვე ზუგდიდში იყვნენ.

საღამოს არდიებმა მეზობლები მიიწვიეს ჭირის სუფრაზე. ნათელამ აფხაზების საჩუქრები, მათ შორის ძმის პირადი ნივთებიბაშლიყი, სათუთუნე, სამკერდე ქილები, ბაღის ჯაყვა, კომბინატში მეგობრებთან ერთად გადაღებული სურათები, სხვა წვრილმანი ნივთები ჩამოიტანა.

ზუგდიდში დიდხანს საუბრობდნენ ნათელასა და მისი ოჯახის წევრების გუდაუთაში ყოფნაზე, აფხაზურ სითბოზე.

1994 წლის იანვარში ნათელა გარდაიცვალა. გუდაუთელებს აცნობეს, მაგრამ არავინ ჩამოსულა. სისხლიანი ომის დასრულებიდან მესამე თვე იწურებოდა. ნათელას გუდაუთიდან წამოღებული მიწა მოაბნიეს მკერდზე.

თებერვლის დასაწყისში, მოსკოვში მოღვაწე ქუთაისელმა არდიების ოჯახში სამძიმრის წერილი მიიტანა და პატარა კონვერტი, რომელშიც სამასი ამერიკული დოლარი იდო.

ზუგდიდი, 30 დეკემბერი, 1998 წ.

სპილოს პალმის ეტრატი

სოხუმი უმშვენიერესი ქალაქია – ლურჯი ზღვით, თეთრი სასახლეებით, სპეტაკი მყინვარებით თავწაკრული მთებით, მწვანე ოკეანეში ჩაძირული კაფეებითა და **რესტორნებით, ქათქათა ზეწარში** გახვეული საზღვაო ხომალდებით.

სოხუმის მწვანე ოკეანის ყველაზე გამორჩეული ბინადარი პალმებია, ქალაქის ერთგვარი მარაოს სახურავი.

სოხუმში ათასობით პალმაა, დაბერებულები და ნორჩები, ჩვენი ტოლებიც, ჩვენთან ერთად გაზრდილები. ისინი ათასგვარია; სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, ევროპის, აზიის, წყნარი თუ ატლანტის ოკეანის არქიპელაგის უნიკალური ბინადრები.

50-ან წლებში პალმების ახალი სახეობანი გაუშენებიათ ქალაქის სანაპირო ზოლში, ცენტრალური ქუჩებში, ფუნიკულორზე, ბოტანიკურ ბაღში, გარეუბნებში, აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში. მათ აფხაზეთში მეორე სამშობლო იპოვეს.

კელასურის ონავრები და ჩვენი ზაფხულის სტუმრები ქალაქის „დალაშქვრას“ ადრე დილიდან ვიწყებდით; ტერფიდან თხემამდე

გარუჯულები „შანხაიდან“ ვეშვებოდით ზღვაში, მხარულით შევძვრებოდით „სამედიცინოში“, სამხედროთა დახურულ აუზებში, იქიდან ნავსადგურში. სასტუმრო „თბილისთან“ ან „შუქურის“ მიდამოებში ამოვყვინთავდით და წამოვყრიდით მოყიპყიპე თოლიებს.

აქ „საქმიანი“ შეხვედრები გვქონდა ქალაქის სამეგობროს სხვა ჯგუფებთან. ეს ჯგუფებიც მრავალეროვნული იყო: ქართველი, აფხაზი, სომეხი, ბერძენი, რუსი, ებრაელი თანატოლები, - ზღვის, ჩვენსავით გარუჯული შვილები, ჩვენსავით ქვიშის ნახევრად ტიტველი გენერლები და ოფიცრები. ჩვენ, პოლიგლოტები, უმეტესად რუსულად ვსაუბრობდით თუმცა მშვენივრად ვუბერავდით ქართულად, ასევე სომხურ, აფხაზურ, ბერძნულ ენებზე, თუმცა ამას არ ვაძლევდით რამენაირ მნიშვნელობას; ეს სავსებით ბუნებრივი, თავისთავადი და ნორმალური, სოხუმის კოლორიტის განუყოფელი ნაწილი იყო.

საქმე კი ბევრი გვქონდა. საძმოში თუ მის გარეთ წარმოშობილი პრობლემების მოწესრიგება, მორიგი დღეების დაგეგმვა, ლუდისთვის თანხის თავმოყრა, ძველი ვალების გადახდა, საცოლე და „ნაშა“ გოგონებთან ურთიერთობა, ქალაქში „წესრიგის“ საკითხები, დაჩაგრულთა დაცვა და მრავალი სხვა.

ზაფხულში, არდადეგების პერიოდში, შეტაკებებიც გვიხდებოდა სხვა საძმოებთან ტერიტორიების, ჰეგემონობის საკითხებზე, რასაც ბევრი დრო მიჰქონდა.

საძმო, სამუშაო დღეს, ფუნიკულორზე ამთავრებდა. ბინდბუნდში თხემიდან გადავხედავდით ლამპიონების შუქში მოცურავე საყვარელ ქალაქს და ფეხით ვბრუნდებოდით სახლებში.

უკვე საკმაოდ წამოზრდილებს, საზრუნავი გვემატებოდა. გაგვიჩნდა პიროვნული სიმპათიები და ანტიპათიები ერთმანეთის მიმართ, წრფელი ბავშვური გრძნობები გოგონებისადმი, რასაც, როგორც წესი, არავის ვუმხელდით, ხშირად იმასაც, ვინც გვიყვარდა.

გამოცდილმა ბიჭებმა აგვიხსნეს, რომ სიყვარულის გამოხატვა შეიძლებოდა სხვა გზითაც; მაგალითად, კედლებზე, ასფალტზე, დიდ ხეებზე ცარცის წარწერებით, რაც არასოდეს რჩებოდა შეუმჩნეველი ადრესატების, მასწავლებლების და, რატომღაც ყველაზე მეტად, უბნის მილიციელის მიერ. წარწერებს ჩვენვე გვაშლევინებდნენ ან წვიმა აკეთებდა ამას.

„ევრიკა“ – წამოიძახა ვიღაცამ და რამდენიმე დღეში ქალაქის რიგ უბანში, ასანთის ერთი გაკვრით, ჯერ კიდევ ნორჩი პალმები, მათი ჯაგრისებრი ბეწვით და ბალნით დაფარული ღეროები ცეცხ-

ლის ალში ეხვეოდნენ. ცეცხლი რამდენიმე წამში აირბენდა კენწერომდე, და თავისით ქრებოდა. პალმების გასუფთავების ახალი მეთოდი, მიუხედავად დეკორატორების პროტესტისა, მთელს აფხაზეთს მოედო. მალე წვიმებიც იწყებოდა და როგორც კი მზე გამოანათებდა, თითქოს სულ სხვა პალმები იბადებოდნენ – თეთრკანიანი, ლარზე გამოჭრილი, სპირალური ბორცვებით დამშვენებული ტანით და მარაოს ქოლგებით.

მალე ჩვენი ჩანაფიქრის მთავარი ეტაპი დაიწყო. როგორც კი ქუჩები დაცარიელდებოდა, ჯაყვები ამუშავდებოდნენ, რათა უკვდავგვეყო ჩვენი სახელები, ჩვენი უკეთილშობილესი ყმაწვილკაცური გრძნობები თანაქალაქელებისა და კაცობრიობის მეორე ნახევრის მიმართ. ასე გაჩნდნენ პალმების ტანზე აკანკალებული ხელებით გაკეთებული პატარა ნაკაწრები: „ კობა + დაური = ძმებს! „, „ვიქტორს + ვახტანგი = მარადიულ ძმობას!“, „ახალი რაიონის ბიჭებს ვერავინ მოგვერევა!“, „ნანას + რუსლანი = სიყვარულს !“, „ სოხუმი ძმობის ქალაქია!“, „გაუმარჯოს ელადოს!“ „მე შენ მიყვარხარ საიდა! „კირკერ + ზურაბი = უკვდავ მეგობრებს!“...

ავტორთა ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. სპილოს პალმის რამდენიმე წარწერა გაჩნდა მაშინ, და შემდგომ, სხვა თაობების მიერ. სკოლებში იყო ყურების აწევა, მილიციამ ვიღაც-ვიღაცებს წაასწრო ფაქტზე, მათ შორის მეც, მაგრამ ყველაფერი, როგორც წესი, სასტიკი გაფრთხილებით და ყოფაქცევაში ნიშნის დაკლებით მთავრდებოდა.

წლებმა წარიტაცეს ჩვენი ონავრობის ჟამი. სოხუმ-ქალაქის ტრადიციის შესაბამისად სკოლა დამთავრებულთა ზეიმზე, რომელიც საყოველთაო-სახალხო ზეიმად იქცეოდა ხოლმე, ჩვენ ვეალერსებოდით ჩვენს პალმებს, ვებოდიშებოდით უნებურად მიყენებული ჭრილობებისთვის, პატიებას ვთხოვდით იმ გოგონებს, რომელთა სახელები ერთ დროს ხეებზე ამოვჭერით და ახლა ვერაფრით წავშლიდით.

დრომ შეცვალა საძმოს ყრმობის დროინდელი ხელწერა, მაგრამ დარჩა მთავარი და მამაპაპური – სიამაყე სოხუმისთვის, აფხაზეთისთვის, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული, თუმცა ახლა კარგად ვიცოდით, რომ ყოველი ჩვენთაგანი ან აფხაზი იყო, ან ქართველი, ან სომეხი, ან ბერძენი, ან სხვა, თუმცაღა უეჭველად აფხაზეთის მიწის, ცის, მზის და ზღვის ღვიძლი შვილები, ნათესავები და ახლობლები.

ომისშემდგომ სოხუმში ჩასულმა მეგობრებმა მითხრეს, რომ სპილოს პალმებზე ჩვენი ნაწერებიც გაიზარდნენ სიგრძეში და სიმაღლეში, სქელ შავ სტრიქონებად ამოიბურცნენ და კალმე-

ბად ეკვრიან სპილოს პალმის უზარმაზარ მუცლებს: ეტრატები არ შეცვლილან, ან რა და ვინ შეცვლიდა იმას, რაც ბუნებრივი და გარდუვალია, რაც უფლის ნება იყო და არის სამარადჟამოდ:

კობა + დაური = ძმებს! „

ვიქტორს + ვახტანგი = მარადიულ ძმობას!“

კელასურელ ბიჭებს ვერავინ მოგვერევა!“

ნანას + რუსლანი = სიყვარულს !“

„სოხუმი ძმობის ქალაქია!“

„გაუმარჯოს ელადოს!

„მე შენ მიყვარხარ, საიდა!

„კირკერ + ზურაბი = უკვდავ მეგობრებს!“...

დღისით და ღამით, განათებულ ქუჩებზე მყოფი სტუმრები, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი უცხოელები, კითხულობენ იმ ბარბაროსებზე, იმათზე, ვინც ასე დაამახინჯა ეს ხეები, ხოლო როცა ნაწერის შინაარსს გააგებინებენ, შეწუხებულნი აქნევენ თავებს.

სოხუმში დარჩენილი და დაბრუნებული აფხაზები, რუსები, სხვები კითხულობენ მათსავე ენაზე შესრულებულ წარწერებს და თავჩაქინდრული ტოვებენ იქაურობას.

სოხუმში, დღისით თუ ღამით, თოვლსა თუ წვიმაში, მზესა თუ ქარში დგანან პალმები თუ ევკალიპტები, ცაცხვები თუ წიფლები, ნაძვები თუ ფიჭვები წარწერებით თუ მათს გარეშე და მოუწოდებენ, ეხვეწებიან ყველას, ვინც სოხუმში ცხოვრობს, ვინც ცხოვრობდა სოხუმში, ვინც ჩადის სოხუმში, რომ აუცილებლად ნახონ სპილოს პალმები, რომელთა ტანზე უკვდავყოფილია ის, რაც არასდროს ყოფილა საეჭვო.

ეს იციან სოხუმის ხეებმა, ეს ახსოვთ სოხუმის ქუჩებს, ამას რა დაავიწყებს აფხაზეთიდან დევნილებს!

დაგავიწყდათ თქვენ დაურ, რუსლან, საიდა?

არა, არ დაავიწყდათ, რადგანაც თავის დროზე ეტრატები გულუბრყვილო პატარებს მამაზეციერმა შთაგვაგონა და მისი დედაზრი კვლავაც ცოცხალია, დღემდე იზრდება და ვითარდება.

ქ. ზუგდიდი, ივლისი, 2004 წ.

ებრაელთა ქუჩა

სოხუმში, კარლ მარქსის ქუჩას, საბჭოეთის რღვევის შემდეგ, ებრაელთა ქუჩა შეარქვეს. ამ ქუჩაზე ოდითგანვე ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ.

ქუჩა, ჩრდილოეთით რკინიგზას ებჯინებოდა, სამხრეთით ქალაქის ცენტრალური ნაწილის გავლით სანაპიროზე გადიოდა. ქუჩის სამხრეთი მონაკვეთი, სადაც ძირითადად ებრაელთა საცხოვრებელი კვარატლები და სინაგოგა იყო, ერთსართულიანი სოხუმის კოლორიტს წარმოადგენდა; ქუჩა ფართო იყო, დიდი, მწვანე სკვერით ორ ზოლად გაყოფილი. ხეებქვეშ მუდამ ბავშვები თამაშობდნენ, საღამოობით ახალგაზრდები იკრიბებოდნენ, შაბათ-კვირას კი, ებრაელთა წესით, დიდები იყრიდნენ თავს.

ქართველი ებრაელები თითქოსდა არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვენგან, პატივს სცემდნენ ქალაქში დამკვიდრებულ ცხოვრების წესებს, მაგრამ საქმეში ჩახედულმა იცოდა მათი განსაკუთრებულობაც, კერძოდ, თავისი სჯულის მოჭარბებული პატივისცემა, რელიგიური რიტუალების ზუსტად აღსრულება, ებრაული ენის ცოდნა, კავშირები ებრაულ სამყაროსთან, უჩვეულო შრომისმოყვარეობა, ცოდნის მიღების დაუოკებელი სურვილი, მიზანდასახულობა. მათ ყველაფერი იცოდნენ ჩვენებური, მაგრამ არც საკუთარი ჰქონდათ დავიწყებული.

ებრაელი ბავშვები და მოზარდები არ ჩხუბობდნენ ერთმანეთში, არც სხვებში. ებრაელები ომის წინა მიტინგებსა და გაფიცვებში არ მონაწილეობდნენ, ერთგვარი შიშით შესცქეროდნენ აბობოქრებულ ქალაქს. ებრაელ ბავშვებთან ჩემი პირველი ნაცნობობა ქალაქ სოხუმის მეხუთე სკოლაში შედგა, სადაც სტუდენტურ პრაქტიკას გავდიოდი დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ანატოლი მელაძის ხელმძღვანელობით. აქ მათემატიკას გაძლიერებული პროგრამით ასწავლიდნენ, მეც გვიანობამდე ვრჩებოდი სკოლაში.

ერთხელ, რამდენიმე მოსწავლემ მათთან სტუმრობა მთხოვა. როცა კი სინაგოგაში მიმიყვანეს, მივხვდი, რომ სულ სხვა სამყაროში ამოვყავი თავი. არაჩვეულებრივი დიზაინი, სისუფთავე, სიმშვიდე, დღემდე დაუვიწყარი ხავერდოვანი მუსიკა, რომელმაც უძველეს ებრაულ სამყაროში გადამასახლა. ბავშვები სულგანაბული მაკვირდებოდნენ. რაბინსაც თვალები რაღაცნაირად უციმციმებდა.

მეათეკლასელმა მოს(შ)ე ისაკაშვილმა, ითავა ჩემი სტუმრად მიწვევა. პირველად გავუსინჯე გემო ებრაულ კერძებს. დიდხანს

ვისაუბრე აზროვნების თავისებური წესით და რელიგიურობით გამორჩეულ ბავშვებთან, რომლებიც სკოლაში არაფრით განსხვავდებოდნენ სხვებისგან.

აფხაზეთში ომის დაწყებამდე მთელი ებრაელობა გავიდა ქალაქიდან. ამბობდნენ, ბევრი ისრაელში წავიდაო, ბევრი რუსეთში, უმეტესობა კი დასავლეთ ევროპაში.

1993 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში, მოშე ჩამოსულა სოხუმში. ვინაიდან დიდი შერიგება გამოცხადდა და კონფლიქტის მშვიდობით დასრულებაში არავის ეპარებოდა ეჭვი, მოშემ სახლი მიალაგა და აფხაზეთის აღსადგენად ბიზნეს განზრახულობათა გეგმების მომზადებას შეუდგა.

საღამოს ადრე ბრუნდებოდა სახლში. ქუჩის ყველა სახლი მოინახულა. ახალი ხალხი მოსულიყო, ცოტა იყო ნაცნობი, განსაკუთრებით აფხაზები და ბერძნები.

მოშემ, როგორც მამამისი ისაკი და მისი მეგობარი ქართველი მიშა აკეთებდნენ ხოლმე, შუა სკვერში, სინაგოგის წინ, სადაც ადრე საერთო სარგებლობის ონკანი იყო და რომელსაც ქართველები „ფიცის ჭას“, ებრაელები კი „ბერ შებაყს“ უწოდებდნენ, სუფრა გააწყო. მეზობლები მიიწვია. ტკივილით მოიხსენიეს დაღუპულები, გაიხსენეს ძველი დრო, როცა ყველა ძმად და მეგობრად თვლიდა ერთმანეთს. მოშემ მოუწოდა სუფრის წევრებს დაეგმოთ კაენის გზა, რადგან ომი ბოროტებაა, რომელმაც არ იცის მართალი და მტყუანი. ჩემმა წინაპრებმა მასწავლეს, რომ მართალი კაცი საზოგადოების სანთელი და მარილია, რომ სიმართლის გულისთვის უფალს შეუძლია ურჯულოც შეიბრალოსო, თქვა მოშემ და გულიანად იტირა, რა გიქნიათ ამ ქალაქისთვისო.

ასე გრძელდებოდა 17 სექტემბრამდე, სანამ სოხუმი კვლავ არ გახდა ომის ქალაქი.

მოშე მიხვდა, რომ სოხუმში უბედურება დატრიალდებოდა, ამიტომაც სცადა აფხაზეთის დატოვება, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ენგურს იქეთ ვერ გააღწევდა, დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, გაგრისკენ გადაადგილება შეუძლებელი იყო, დიდი ფულიც ვერ ჭრიდა.

25 სექტემბერს, გვიან ღამით, აფხაზთა მეწინავე რაზმი უცხოელ მებრძოლებთან ერთად ებრაელთა ქუჩასთან ჩასაფრდა. მოსახლეობაში ჩოჩქოლი ატყდა. უმალ ქართველმა მებრძოლებმა სინაგოგის მხარეს დაიკავეს პოზიციები.

მოშემ ფანარი და თეთრი ბაირაღი აიღო და „ეს მე ვარ“ ძახილით აფხაზი მებრძოლებისკენ გასწია. აფხაზებმა მიიღეს სასაუ-

ბროდ. შემდეგ იგი, ქართველებში გადავიდა. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

იგი ჩქარობდა.

მოშე დილამდე გადადიოდა აქეთ-იქით, ცდილობდა მის ქართველ და აფხაზ მეზობლებს შორის გარიგება შემდგარიყო.

26 სექტემბერს, ორ საათზე, ქართველთა და აფხაზთა ლიდერები ერთმანეთს შეხვდნენ. შეთანხმება შედგა, ებრაელთა ქუჩაზე ბრძოლები არ იქნებოდა, აფხაზი და ქართველი მებრძოლები უკან დაიხევდნენ და დერეფანს მისცემდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. დაითქვა დაშორიშორების დრო – დილის 5 საათი.

გასვლის დაწყების სიგნალს მოშე მისცემდა, იგი უნდა დამდგარიყო „ფიცის ჭასთან“ და ექნია თეთრი ნაჭერი.

არავის ეძინა. არც მოშეს. ავისმომასწავებელი წინათგრძნობა ჰქონდა. გაახსენდა, რომ მისი მამის სახელი და მისი გვარის ფუძე ისაკი (ებრაულად იცხაკ) სიცილს ნიშნავს და ეჭვი შეეპარა, სასაცილოდ ხომ არ ვიგდებო თავს.

5 საათზე მოშე „ფიცის ჭასთან“ იყო.

სამარისებურ სიჩუმეში ღამის შაშხანამ იქუხა. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია. ქუჩის ორივე ნაპირიდან ასობით ავტომატი, ტყვიამფრქვევი და ნაღმმტყორცნი გათენებამდე ერკინებოდა ერთმანეთს. ქალაქში ბრძოლები გაჩაღდა.

30 სექტემბერს მოშეს სხეული ჯარისკაცებმა სატვირთო მანქანის ძარაზე დაასვენეს და ქართველთა „ძმათა სასაფლაოს“ გზას გაუყენეს.

კახათი, 30 ნოემბერი, 1993 წ.

თბილისი-სოხუმის მატარებელი

სოხუმის რკინიგზის სადგურში, ყოველდღე, დილაადრიან, ნახანძრალ, თითქმის უპატრონოდ მიტოვებულ შენობაში აფხაზი გოგონა განწირულის ხმით კივის: თბილისის მატარებელი როდის ჩამოდგება?

სამი წელიწადია ასე გრძელდება. ამ სამ წელიწადში ლიკა გიჟად ჩამოყალიბდა; შავი, ელვარე თვალები ჩაუქრა, გაუშტერდა, კუპრივით შავი თმა გაუხუნდა, დაცვივდა, ცხვირი დაუგრძელდა, სახე შეეცვალა, კბილები ჩაუყვითლდა, ძვალ-ტყავიღა დარჩა.

სადგურის თანამშრომლები, რომლებიც უხელფასოდ აკითხავენ სადგურს, ტკივილით იხსენებენ ომისშემდგომ 30 ნოემბერს, როცა შავთვალწარბა, 17-18 წლის გოგონა მათთან პირველად მი-

ვიდა, ბაქანზე ისეირნა, ხალხი სად არის, რატომ არ ხვდება თბილისის მატარებელსო, იკითხა.

გაოცებულმა თანამშრომლებმა ერთმანეთს შეხედეს, მერე დინჯად აუხსნეს მას, რომ რკინიგზაზე ავარიაა და მატარებელი 15 დღე შეფერხდებაო. არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ ასე კარგად ჩაცმული, მშვენიერი გოგონა გონება შერყეული იყო, თუმცა ქალაქის დაბომბვის საშინელებამ ბევრი ვინმე გადაიყვანა სხვა სამყაროში.

ლია აკაბა ბებიამ გაზარდა. ორი წლისაც არ იყო, როცა მისი მშობლები ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. ქართველმა ბებიამ, რომელიც ამაყობდა აფხაზი სიძით, სამეგრელოში დაბრუნებას, სოხუმში დარჩენა არჩია, რათა შვილის და რძლის საფლავებთან ახლოს ყოფილიყო და ლიკაც ქართული და აფხაზური წესებით გაეზარდა.

ლიკა ჭკვიანი, ნიჭიერი, დამჯერი ბავშვი იყო, მუსიკაში და უცხო ენებში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ზაფხულობით ბებია და ლიკა ზუგდიდს სტუმრობდნენ, ნათესავებს არ ტოვებდნენ უნახავს.

ათი წლის ლიკამ სამეგრელოს ყველა ღირსშესანიშნაობა იცოდა, ენგურის წყალსაცავზე და ჰესებზე ჩანახატები გააკეთა, რომელმაც ნორჩ მხატვართა ოლიმპიადაზე პირველი ადგილი აიღო. ნამუშევარი, სოხუმის მეათე სკოლაში გამოფინეს.

1977 წლის ზაფხულში ლიკამ ზუგდიდის ცეკვის სალონში დათო ჭითანავა გაიცნო. ბავშვური გულწრფელობით შეუყვარდათ ერთმანეთი. დათო ლიკაზე სამი წლით უფროსი იყო და სოხუმის მეექვსე სკოლის დამამთავრებელ კლასში სწავლობდა. მისი მშობლები, ექიმები, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდნენ, შვილებს თავისუფლად, მაგრამ ადამიანების და განათლების სიყვარულით ზრდიდნენ.

დათომ ლიკა, როგორც მეგობარი, გააცნო მშობლებს, უმცროს დას. ისინიც დამეგობრდნენ. ბებიამაც იცოდა რაღაც-რაღაცები, მაგრამ თავისი აზრი არ გამოუთქვამს. ლიკას სადარი ქალიშვილი დედამიწის ზურგზე არ არსებობდა მისთვის.

1988 წელს დათო თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ყოველ შაბათს „თბილისი - სოხუმის“ მატარებლით ჩადიოდა სოხუმში; შეეძლო პარასკევის რეისით ჩაფრენილიყო, მაგრამ ლიკა აეროპორტში ვერ შეძლებდა დახვედრას, რადგანაც მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ გასაიდუმლოებული იყო. ლიას შაბათი აწყობდა, თუ მატარებელი ადრე ჩავიდოდა, დათო დაელოდებოდა, თუ დააგვიანდებოდა – ლიკა, რადგანაც ის 11 საათამდე

თავისუფალი იყო. სოხუმის სამუსიკო ტექნიკუმი ამ დროს იწყებდა მუშაობას, თუმცა ბებიას ეგონა, რომ 9 საათზე ირეკებოდა ზარი.

გამოსასვლელ დღეებში, მეგობარ გოგონასთან ერთად ხვდებოდნენ ერთმანეთს, დაეხეტებოდნენ სიყვარულის ქალაქში.

9 აპრილის ამბები ბებიამ მეტად მტკივნეულად განიცადა.

ბებია და ლიკა იმავე წლის ზამთარში, ერთი კვირა იმყოფებოდნენ თბილისში. ლიკას ქალაქი ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა ხშირად ჩასულიყო თბილისში.

თბილისის ქუჩებში დათო აჩრდილივით დაჰყვებოდა ბებიასა და ლიკას.

მოგვიანებით ლიკა ქართულმა ლიტერატურამ და მხატვრობამ გაიტაცა. ზეპირად ისწავლა გალაკტიონის ყველაზე პოპულარული ლექსები, ვაჟა, ილია, აკაკი, ლადო ასათიანი. ლადო გუდიაშვილის მოდერნისტული ნახატებით მოიხიბლა. დათოსაც სთხოვა რამდენიმე აფხაზური ლექსი ესწავლა, აფხაზურად შედგენილი სასაუბრო აჩუქა.

ბებიაც დაეთანხმა ლიკას, რომ თბილისში ესწავლა, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ იმ დროს თბილისში და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გამო ბებიას შეეშინდა და ლიკა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

14 აგვისტო შავად გათენდა აფხაზეთში. ბებია, ისევე, როგორც მრავალი აფხაზის ოჯახი, სოხუმში დარჩა ლიკასთან ერთად. სახლიდან თითქმის არ გადიოდნენ, საშიში იყო.

ერთ თვეში ბებია არჩევანის წინაშე დადგა, ლიკა ან გუდაუთაში გაეგზავნა ბაბუასთან, ან ზუგდიდში, რაც, ასევე გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა.

ლიკა გუდაუთაში გადაიყვანეს. იქ დღიურს ადგენდა, ანუ დათოსადმი გაუგზავნელი წერილების კრებულს. იგი გულჩათხრობილი გახდა, რასაც, ვერც ენამახვილი თარაშ ბაბუას ხუმრობა შველოდა. ლიკა ექიმმაც გასინჯა. ექიმის თქმით, გოგონას კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა.

გაგრის ტრაგედიის შემდეგ სოხუმელ სტუდენტთა ჯგუფი თბილისიდან სოხუმში დაბრუნდა და მოხალისეთა რიგებში ჩადგა.

დათო ნამდვილი მეომარი გახდა. 16-17 მარტს სოხუმის დაცვაში გამოჩენილი მამაცობისთვის იგი ორდენით დააჯილდოვეს.

დათომ იცოდა, რომ ლიკა გუდაუთაში იყო. მოსკოვის გავლით მოახერხა მასთან კავშირის დამყარება, წერილი და სურათი გაუგზავნა. ერთხელ თბილისშიც ჩავიდა, რათა ლიკას ტელეფონით დალაპარაკებოდა, მაგრამ ორდღიანი მცდელობა უშედეგო გამოდგა.

ლიკამ დათოს შესახებ ბაბუას წვრილად მოუყვა, სურათიც ანახა. ბაბუა მოეფერა, გულში ჩაიკრა, მოსკოვში გამგზავრება შესთავაზა. ბაბუამ თავისი შვილები და შვილიშვილები, რომლებიც სოხუმის ასაღებად ემზადებოდნენ, გააფრთხილა, რომ ლიკასთან ომზე არ ესაუბრათ, უფრო მეტად მოფერებოდნენ.

პირველ მაისს, გამთენიისას, დათო სახლში ბრუნდებოდა. მათი საცხოვრებელი კორპუსი კვამლში იყო გახვეული, მეზობლები ეზოში იყვნენ, მეხანძრეები რაღაცას ცოდვილობდნენ.

კარის მეზობლები დათოს მიუახლოვდნენ და მის წინ თავჩაქინდრული დადგნენ. დედა და მამა მათ ბინაში შევარდნილ ჭურვს დაეხოცა, უფლის სასნაულით გადარჩენილი და საავადმყოფოში გადაეყვანათ.

დათოს მშობლებს მთელი სოხუმი გამოეთხოვა, მათი დაღუპვის შესახებ გაზეთებში დაიწერა, საქართველოს ტელევიზიით გადასცეს.

ლიკა ოთახში ჩაიკეტა, ტიროდა, არ ჭამდა. შეშფოთდნენ აკაბები.

გოგონა თვალსა და ხელს შუა დნებოდა.

აგვისტოში, ახლობელ გოგონასთან ერთად, ლიკა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. იქიდან ზუგდიდელ ნათესავებს უკავშირდებოდა, დათოს ამბებს გებულობდა.

ცნობამ სოხუმის დაცემის შესახებ ლიკა გადარია. არ იცოდა ბებიას და დათოს ბედი.

დაესიზმრა, რომ სოხუმის ეკლესიაში, ბებიას საცხოვრებელი სახლის გვერდით, დათოზე ჯვარს იწერდა, მის თავს ეკლის გვირგვინი ამშვენებდა, სხეულის ხუთივე იარიდან სისხლი ჩქეფდა, მრევლი ტიროდა. გასაოცარი ის იყო, საქორწინო მანტია სისხლის ლაქებს არ იკარებდა.

13 ოქტომბერს ლიკა მოსკოვის ბინიდან გაიპარა და 17 ოქტომბერს სოხუმში დაბრუნდა. სახლი დაკეტილი დახვდა. მოხუცმა რუსმა მეზობელმა აუხსნა, რომ ქალაქში მოთარეშე ბანდებმა ბებია აიძულეს სოხუმი დაეტოვებინა და იგი წავიდა, თუმცა მან არ იცოდა სად.

ქალაქში გასვლა საშიში იყო, ტელეფონები არ მუშაობდნენ.

ლიკამ ფანჯრის შუშა ჩაამსხვრია და ბინაში შევიდა. საწოლზე მიეგდო, ძალა არ ჰქონდა, თავი უსკდებოდა, შიგ რაღაც გუგუნებდა, თვალწინ ფეირვერკები ფეთქდებოდნენ და უჩინარდებოდნენ.

უჩვეულოდ ცხელოდა სოხუმში. ღამის ორ საათზე გახრწნილი გვამის სუნმა გააღვიძა. შეეშინდა, მთლად გაოფლიანდა, გული ამოვარდნას ცდილობდა. შუქი არ იყო, სანთელი ვერ იპოვა.

ეზოს უკანა კარისაკენ გაემართა, მოხუც მეზობელ ქალთან

გადასვლას შეეცადა.

ხმა ვერ მიაწვდინა, მოხუცს ეძინა.

მარჯვნივ, რკინის ღობის გასწვრივ, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. რაღაც რბილს წამოედო და წაიქცა.

გონი დაკარგა.

ახლობელმა აფხაზმა სამხედროებმა ლიკა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მეზობელი ჰყვებოდა, რომ ის ლიკას კივილმა გააღვიძა. მას ლოყები სისხლიანი ჰქონდა, ნამდვილ გიჟს ჰგავდა.

მოგვიანებით გვამები სატვირთო მანქანის ძარაზე დაუყრიათ და გაუტანიათ. სახლის კარებზე ნიშანი გაუკეთებიათ, რომ სახლის მფარველი ავტორიტეტია და, ამდენად ხელშეუხებელი.

ათ დღეში ლიკა სახლში დაბრუნდა. საწოლიდან ვერ დგებოდა.

ხან კისკისებდა, ხან ტიროდა უაზროდ იცინოდა, ხანდახან ხარხარებდა. იგი ქალებს სუნთქვაშეკრული უყვებოდა, იმას თუ ერთ წვიმიან საღამოს, ეზოს უკანა კართან როგორ ცდილობდა დათო მისთვის ეკოცნა და როგორ ბოდიშობდა შემდგომ ამაზე. აღტაცებით იხსენებდა, დათოს დაბადების დღეზე როგორ მოიპარა ლოტოსის ფოთლები ბოტანიკური ბაღიდან, თუმცა საშინლად ეშინოდა ბაყაყის, რომელიც მასზე იჯდა და ბუშტებს უღერებდა.

მეზობლებმა ლიკას დაუმალეს, რომ დათო და მისი მეგობრები 27 სექტემბერს, საღამოს რატომღაც აქ შეეჩეხნენ ბოევიკებს, რომლებიც ქალაქის „გაწმენდაზე“ მუშაობდნენ.

შუაღამით უცნობი მოხუცი მოსულა და დახოცილები ქუჩიდან ლიკას ეზოში გადაუსვენებია.

30 ნოემბერს ლიკა ადრე ადგა საწოლიდან, საუკეთესო ტანსაცმელში გამოეწყო, თმები გაიშალა, ტუჩები შეიღება და რკინიგზის სადგურისკენ გაემართა.

ამის შემდეგ იგი ყოველდღე დადის რკინიგზის სადგურში და თბილისის მატარებელს ელოდება.

ხალხი შეეჩვია იმას, რომ ქალაქს ჰყავს გიჟი ლიკა, რომელიც თავის გიჟურ ახირებას რკინიგზის სადგურიდან იწყებს, შემდეგ კი ხტუნვა-ხტუნვით და სიმღერით ნახევრად დანგრეულ ქალაქს მოირბენს.

მთვრალი მამაკაცები სიყვარულსაც უხსნიან ახალგაზრდა ქალს, აბეზარი ბავშვები აჯავრებენ და ქვებს ესვრიან.

ლიკა დღესაც რკინიგზის მცირედ გარემონტებულ სადგურში დილაადრიან გარბის და ხმამაღლა კივის: „თბილისის მატარებელი როდის ჩამოდგება?“

ქ. ზუგდიდი, ივლისი, 1999 წ.

პირველი გამოცდა

ეს იყო დიდი ხნის წინათ, XX საუკუნის სამოციან წლებში. მოხდა ისე, რომ ცამეტი არ შემსრულებოდა, მაგრამ არასრულ სკოლას ვამთავრებდი.

გამოსაშვები გამოცდები უნდა ჩაგვებარებინა. თხზულებათა თემების პაკეტი მოდიოდა მრავალგზის დალუქული. პაკეტს მოსწავლეთა და განათლების რაიონული განყოფილების წარმომადგენლის თვალწინ საგამოცდო კომისია ხსნიდა.

მაშინ, როგორც წესი, გამოსაშვებ გამოცდებზე საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ჩადიოდა აფხაზეთში, ისევე, როგორც ქვეყნის სხვა რეგიონში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო განათლების წარმომადგენელი თან დაჰყვებოდა თბილისელ სტუმარს.

გამოცდებზე ბავშვები საზეიმო სასკოლო ფორმაში ვიყავით გამოწყობილი, რომლის სავალდებულო კომპონენტი უთუოდ თეთრი პერანგი უნდა ყოფილიყო.

გამოცდის დაწყებამდე მოსწავლეთა გულებს ბაგაბუგი გაჰქონდა, თუმცა, თითქმის ყველა კარგად სწავლობდა.

გამოცდა, ისიც პირველი, მაინც სულ სხვა იყო.

აბა, წარმოიდგინეთ, მთელი სოფელი სკოლის ეზოშია შეკრებილი, მათ შორის ჩემი მშობლები, ახლობლები, მოხუცი მეზობლებიც კი.

მაშინ ცოდნისადმი სულ სხვა დამოკიდებულება იყო. ოჯახის თავის მოჭრად ითვლებოდა სკოლაში ტყუილუბრალოდ სიარული, გამოცდებზე წარუმატებლობა. მასწავლებლისადმი პატივისცემას საქვეყნო ხასიათი ჰქონდა.

ყოველი საჯარო გამოცდა, უდიდესი ფსიქოლოგიური და მორალური დატვირთვაა თავისთავად, და რომელიც, პირადად ჩემთვის, როგორც თანაკლასელთა უმრავლესობისთვის, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი პასუხისმგებლობა იყო მშობლების, მეზობლების, საზოგადოების წინაშე.

პაკეტი გაიხსნა. სამი საგამოცდო თემა დაიწერა დაფაზე და კედლის უზარმაზარი საათიც ჩაირთო.

მთელი კლასი შეუდგა მუშაობას. მხოლოდ № 11 კალმის გულისწამღებ წრიპინს თუ გაიგონებდა კარგად დადარაჯებული ყური.

გაქრა ვნებათაღელვა.

აფხაზეთში, როგორც წესი, ქართული ენის და ლიტერატურის ძლიერი სპეციალისტები მუშაობდნენ. ასე ყოფილა თურმე

გუდაუთაში და აფხაზურ სოფლებშიც, სადაც ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლებად გალის და ოჩამჩირეს რაიონებიდან მიწვეული პედაგოგები მოღვაწეობდნენ.

ბუნებრივია, რომ სამურზაყანო, სადაც აფხაზეთში პირველი სკოლა 1851 წელს გაიხსნა, ამ მხრივაც პირველობდა აფხაზეთში.

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ ავირჩიე. საათნახევარში შავი და თეთრი ნამუშევარი მზად მქონდა, თუმცა გვაფრთხილებდნენ, რომ არ გვეჩქარა. ჩემის აზრით, ნაშრომში „ოთარაანთ ქვრივს“ და „ქვათა ღაღადსაც“ მოვუნახე თავისი ადგილი.

გამოცდაზე უმკაცრესი კონტროლი იყო, მაგრამ ვერ ამეხსნა რატომ.

მხოლოდ სკოლის დამთავრების შემდეგ გავიგე, რომ, სადღაც არსებობდა ისეთი ურჩხული და თავის მოტყუების სამარცხვინო საშუალება, როგორიც ეგრეთ წოდებული შპარგალკაა.

გამოსაშვები გამოცდების წინა კვირას სკოლის დირექციამ ექსკურსია მოგვიწყო თბილისში.

წარმოდგენილი მქონდა, რომ თბილისის შესასვლელში უზარმაზარი და ულამაზესი ხოხბის ძეგლი იდგებოდა, როგორც ქალაქის სიმბოლო.

დღესაც ტანში ჟრუანტელი მივლის, როცა ვიხსენებ ჩემი და თანაკლასელების აღტაცებას მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დათვალიერებისას.

ო, რა ახლოს ვიყავი ილიას, აკაკის, ტატოს, ვაჟას, გალაკტიონის, ნინო ჭავჭავაძის წმინდა საფლავებთან, რომელთა გარეშე, ვერც კი წარმომიდგენია ქართველობა, მამულიშვილობა, საქართველო.

მე და სხვები განსაკუთრებული სიამაყით დავიტვირთეთ თბილისში, ამიტომაც სადღეღამისო იყო ჩვენი სამზადისი პირველი გამოცდისათვის.

გულისფანცქალით გამომყავდა ასოები, ვცდილობდი ისინი ისეთივე ლამაზი და მშვენიერნი ყოფილიყვნენ როგორიც ვნახე ხელნაწერთა მუზეუმში, როგორი საყვარლებიც არიან ისინი სინამდვილეში.

მეგონა ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ წინ მძიმე განსაცდელი მელოდა თურმე.

განათლების განყოფილების წარმომადგენელს ჩავაბარე ნამუშევარი. მკითხა, რატომ ჩქარობო მე თავი დავხარე. გვარი მკითხა და გამომართვა. მერე დაამატა: თუ არ დაიღალე, დარჩიო.

დავრჩი.

იგი ჩემი ნაწერის კითხვას შეუდგა. ჩემთვის გაუგებრად აქნევდა თავს, თავს ასწევდა, შემომხედავდა. მერე სკოლის დირექტორს რაღაც უთხრა და ნაწერი თბილისელ სტუმარს გადასცა.

დაახლოებით ათი წუთში მაგიდასთან მიმიწვიეს.

დავიბენი, წავბორძიკდი ვერ ვხვდებოდი რა ხდებოდა.

განათლების განყოფილების წარმომადგენელი, ეტყობა მიხვდა ჩემს მდგომარეობას, ხელი მაჯაზე მომკიდა და ჩურჩულით მკითხა: კარგი ხელნაწერი გქონია, ვინ იყო პირველ კლასში თქვენი მასწავლებელი?

ვუპასუხე.

– ვინ გინდა გამოხვიდე, ალბათ, ფილოლოგი. თვალებში მიყურებდა.

ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, ვუპასუხე ისე თამამად, რომ თითქოს რაღაც ცოდვა ჩავიდინე.

ახლა თბილისელი სტუმარი მომიბრუნდა.

–კარგი ნამუშევარია, სხვებიც ასე დაწერენ? მკითხა თითქოსდა სხვათაშორის.

– ვფიქრობ უკეთესადაც, რადგან ბევრი აპირებს ფილოლოგობას, გავეცი პასუხი.

კარგია, კარგია. განაგრძო მან, აფხაზეთში სერიოზულად ეკიდებიან ქართულს, როგორც მთავარ სახელმწიფო ენას, თუმცა საამისოდ აქ უკეთესი გარემო არ არის, ვიდრე დანარჩენ საქართველოში.

თბილისელმა სტუმარმა მზერა **სოხუმელ სტუმარზე გადაიტანა**, მანაც თავის დაქნევით მიიღო ნათქვამი.

ოდნავ დავმშვიდდი, მეგონა საუბარი დასრულდა.

– ვენახი ხარობს, ზვარი არის სოფელში?

მეკითხება თბილისელი სტუმარი.

– ხარობს „ადესა“, მაღალ ხეებზე, შავი, ტკბილი ნაყოფი იცის, ვპასუხობ გაკვირვებული.

– ციტატამ გამახსენა, აგრძელებს სტუმარი: **„მეზვრემ მწვანილი მოიტანა?“** როგორ გაიხსენე, შენ ხომ კახეთში არ ყოფილხარ, ვენახის თვალუწვდენელი ველები, ქართლის ზვრები არ გინახავს!

ასეთ შეკითხვას არ ველოდი, ამ შენიშვნამ მთლად მომიღო ბოლო, მასწავლებელზე დიდი პიროვნება არ წარმომედგინა, თბილისელი სტუმარი, განათლების სამინისტროს მუშაკი კი მამაზეციერი მეგონა.

– როგორ არ მინახავს, ჩვენთანაც არის მეზვრეები და მოზვრებსაც კარგად უვლიან-მეთქი.

ეს ვთქვი და სტუმრები და კომისიის წევრები ერთბაშად ახარხარდნენ. მხოლოდ ჩემმა მასწავლებელმა ჩაქინდრა თავი.

ბავშვებმა წერა შეწყვიტეს და მე მომაშტერდნენ.

მე კი, სიტყვა „მეზვრესთან“ დაკავშირებით ასოციაციებში გადავარდნილი, ქვეყნისთვის ზვარაკად შეწირულ მამულიშვილებსა და, რატომღაც ჩემს ბოჩოლაზე ვფიქრობდი, რომელიც დილით მშიერ-მწყურვალი დავტოვე.

სტუმრებმა იმდენი იცინეს, რომ ცრემლებს ცხვირსახოცებით იწმენდენ. ვიღაცას შევეცოდე, მაკოცა, თავზე ხელი გადამისვა: კარგი ბიჭი ხარ, წადი, ითამაშეო.

თვალცრემლიანმა დავტოვე იქაურობა.

მასწავლებელმა გამომაცილა, დედას მიულოცა.

გამოცდა დამთავრდა. წერის ნიშნების გამოცხადება საღამოსთვის დაინიშნა.

მამამ სახლში წამოსვლა შემთავაზა. იგი გრძნობდა, რომ რაღაცა მაწუხებდა, თუმცა ვცდილობდი არაფერი დამტყობოდა.

მამამ ათ მანეთიანი გამომიწოდა: მე აქ დაგელოდები, შენ მაღაზიაში წადი, ბაბუცას ასანთი, კარაქი და კამფეტები გამოართვი, შენთვის ანკესი და ბურთი იყიდე, მთელი ზაფხული აბა რა უნდა აკეთოო.

გზას გავუდექი.

კვლავ გამოცდაზე ვიყავი. ეს როგორ მომივიდა, ზვარი და მოზვერი როგორ ავურიე ერთმანეთში! როგორ შევხედო თვალებში ქართულის მასწავლებელს, თანაკლასელებს. სიცოცხლე არ მინდოდა.

ფიქრებში გართული შევედი მაღაზიაში.

ბაბუცას მივესალმე. საყიდლები შევუკვეთე.

დახლზე გადმოალაგა, შეახვია. გამეთამაშა, ბურთი თავში ჩამარტყა.

პერანგის ჯიბეში ჩავიყავი ხელი, შემდეგ სხვაგან. ამაოდ, ფული არ მქონდა. წაიღე, წაიღე, მერე მოიტანო, შემეხვეწა ბაბუცა დეიდა. მრავალნანახი ბაბუცა მიხვდა, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა.

ბაბუცას ნათქვამი ბუნდოვნად მახსოვს გონებაში. გზის აღდგენას ვცდილობდი.

მე ხომ შავად ნაწერი საგამოცდო ფურცელი ნაკუწებად ვაქციე საკუთარ თავზე გაბრაზებულმა. ახლაღა მივხვდი, ნაწერისთვის, ფულიც მიმიყოლებია ზედ.

მაღაზიიდან ელდანაცემი გამოვიქეცი. ქუჩაში ფულის ნაგლეჯები მოვფხიკე და სახლში დავბრუნდი. დედაც დაბრუნებულიყო.

მამას მოვუყევი ფულის შესახებ, გამოცდის შესახებაც. დედა, თითქოს რაღაცას აკეთებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ შეშფოთებული მისმენდა. მერე სიცილი აუტყდათ: ჩვენი ბრალია, ადრე შეგიყვანეთ სკოლაში, შენც ყველა საგანზე გამოიდე თავი. ესაა ცხოვრების გამოცდა, უნდა შეეჩვიო სირთულეებს. მამა წამოდგა, თავზე ხელი გადამისვა: – აბა, მაგრად ჩემო ბიჭო, დღეს ბურთი უნდა გაიტანოო. მერე დაამატა, ჩემი ბრალია ყველაფერი, ისეთი გაცრეცილი ფული მოგეცი, აბა რა მოუვიდოდა, აგერ ახალი ფული, ბაბუცას გადაუტანეო.

საღამოს გამოცდის ნიშნები გამოაცხადეს, სიაც გააკრეს: 11 ხუთიანი, 13 ოთხიანი, 2 სამიანი.

თბილისელმა და **სოხუმელმა სტუმრებმა საზოგადოებას სიტყვით** მიმართეს, მადლობა გამოუცხადეს სკოლის დირექციას, ყველა მასწავლებელს, მშობლებს.

თბილისელმა სტუმარმა თვალი ჩამიპაჭუნა. როცა ეზოდან გადიოდნენ, პალმების და ბზების ხეივანში, შემაჩერა და მითხრა, ჩვენ კიდევ მოგვიწევსო შეხვედრა.

მაშინ მიჭირდა ამის გაცნობიერება, ახლა კი არ მეეჭვება, რომ ნამდვილ მასწავლებლებს თავისი შვილების დარად უყვართ ბავშვები.

სკოლა ქრისტესმიერ სიყვარულთან ასოცირდება ჩემში დღემდე.

თამაში მოსწავლეთა ნაკრებმა სოფლის ნაკრებს მოუგო დიდი ანგარიშით. ორი ბურთი გავიტანე. დღემდე ვერ დამიდგენია, მოვიგეთ თუ მოგვაგებინეს გამოცდაში ნაჯაფ ბიჭებს!

* * *

1994 წლის თებერვალში ჩემი ქართული ენის მასწავლებელი ბოევიკებმა დახვრიტეს. იგი მაშინ 81 წლის იყო, მაგრამ კარგად გამოიყურებოდა დიდი ომგამოვლილის კვალობაზე. ბრალად დასდეს თავის სახლში დარჩენა და მეზობლის ბავშვებისთვის დედაენის სწავლება.

იგი ღიმილით შეხვედრია მკვლელებს და სიკვდილს.

ბაბუცა დეიდა ბოევიკებმა ავტო ფარეხში ნახეს დამალული და ცოცხლად დაწვეს.

1994-1995 წლებიდან სამურზაყანოში სკოლები აღადგინეს მასწავლებლებმა და მშობლებმა. სკოლების უმეტესობა, მასწავლებელთა თავგანწირვით ქართულია, ფორმალურად რუსული და აფხაზური.

* * *

განათლების კარგი მოდელი ინერგება ქვეყანაში, მაგრამ აჩქარება არ ივარგებს.

განათლების სფეროშიც მართლმადიდებელ ეკლესიას ყველამ უნდა მიუგდოს ყური.

ვერავინ და ვერასოდეს შეცვლის მასწავლებელს, პედაგოგს, როგორც დედამიწაზე ღვთისგან მოვლენილ მოციქულს ადამიანის ჩამოსაყალიბებლად ხატად და მსგავსად უფლისა, მაცხოვრისა ჩვენისა.

ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ყველა რეგიონში ძეგლებს დავუდგამდი ყველა დროის ჭეშმარიტ მასწავლებელს.

ისინი ბევრნი არ არიან, განსაკუთრებით აფხაზეთში. მაგრამ მათ პირველ რიგში ესროლეს.

მტერმა კარგად უწყოდა ვისთვის უნდა ესროლა.

თბილისი, 1 სექტემბერი, 2004 წ.

მირაჟი

მე და ჩემი ოჯახის წევრები აფხაზეთიდან დევნილმა ახლობელმა ერთი კვირით ურეკში წაგვიყვანა და მაგნიტურ ქვიშებთან ახლოს დაგვაბინავა.

დილაადრიან გავედით საბანაოდ. წყალი ღრმა არ არის, მიდიხარ ნაპირიდან ნახევარი კილომეტრი, კიდევ უფრო შორს, მაგრამ წყალი მკერდამდე არ გწვდება.

ზღვა ისეთი სუფთა და კამკამაა, ისე გეფერებიან ლიფსიტები, ისე მორცხვად გეხებიან რბილი მედუზები, ისე მაცდურია მზე, ისე დაგფარფატებენ თავზე დიდრონი თოლიები, ისე გკოცნიან ნაზი ტალღები, ისე ლამაზად ერთიანდება ლურჯ-მწვანე ცა და ზღვა, რომ უნებურად იფიქრებ – აი, ესაა, ალბათ, ნამდვილი სამოთხეო.

ნაპირზე ხალხის ჟრიამულმა მოიმატა, ზებრისებრი ქოლგები იპყრობენ ქვიშებს. მოხშირდნენ „პარაშუტისტები“, ბავშვებით დატვირთულმა რეზინის ნავებმა გადახნეს და ააქაფეს ზღვა.

აფხაზეთისაკენ გავიხედე. ძალიან ახლოს, ყულევთან, სამი ტანკერი დგას რეიდზე, უფრო შორს კი ბურუსში გახვეული და ზღვაში ღრმად შემოჭრილი კორომია.

აგერ სოხუმის უბე, მკაფიოდ გამოყვანილი დიდი, ფერადი კონტური. უბის ცენტრში თეთრი ნაგებობებია მწვანეში, მარჯვნივ

სასტუმრო „აფხაზეთი“ – ჩვენი ბავშვობის იდეალი, ყრმობის სიამაყე, სოხუმის და აფხაზეთის სიმბოლო. მარჯვნივ სასტუმრო „რიწაა“ წვეტიანი პირამიდებით, უფრო წინ ტრიუმფალური თაღია.

აი, სოხუმის **ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრის უნიკალური** ნაგებობა ლეგენდარული გრიფონებით. უფრო მარჯვნივ, ყოფილი პარტიის საოლქო კომიტეტის შენობაა, ორსართულიანი, მეტად მაღალ თაღიანი აივნით, დიდრონი ანტიკური სვეტებით. დაბლა უჩვეულოდ ნატიფი, **ვარდისფერ-ნარინჯისფერი ბუჩქებია.**

პორტში საოცრად თეთრი უზარმაზარი საზღვაო ლაინერი დგას, გასასვლელად ემზადება. ქალაქს მინისტრთა საბჭოს მაღალი, თეთრ-ნაცრისფერი შენობა დაჰყურებს.

„ლოკომოტივი“ და „სამედიცინო“ პლაჟები ჭრელი ქოლგებითაა მოფენილი, სანაპირო კი ქერათმიანი ქალების ვარდისფერი სხეულებით აელვარებული.

ფიქრით ომამდელ სოხუმს გამოვცილდი. რატომღაც თბილისში ვარ, უფრო ზუსტად, ჭავჭავაძისა და ზუბალაშვილების ქუჩების გადაკვეთაზე.

ბავშვს მაღალი სიცხე აქვს, საავადმყოფოში უნდა გადავიყვანო ტაქსით. მეზობლისგან ასლარიანი ვისესხე, ტაქსისტმა დახურდავება მთხოვა, მელოდება, მაჩქარებს. ქუჩა უნდა გადავკვეთო. საიდანღაც თურქული ტრალერი გამოჩნდა, ნელა მოზოზინებს, გზა ჩაკეტა. სუნიანი ბოლი შემომაფრქვია და აღმართს აუყვა.

როგორც იქნა, „მირაჟს“ მივადექი, რომლის კარები ნახევრად ღია იყო.

მიკრომარკეტში არავინ ჩანდა, დახლებთან გამყიდველები არ იდგნენ. შიდა პატარა ოთახის კარი გაიღო, სადაც სამი ქალბატონი ყავას მიირთმევდა.

ბოდიში მოვუხადე და მისვლის მიზეზი ავუხსენი.

– შესვენება გვაქვს, ბრმა ხომ არ ხარ? შემეხმიანა შედარებით ახალგაზრდა ქალბატონი.

მეწყინა, მაგრამ არ შევიმჩნიე, შევყოვნდი.

– ეი, შენ, ყრუ ხომ არა ხარ? მიღრინა მეორემ და ჩემთვის უცხო ენაზე რაღაც გადაულაპარაკა უფრო ასაკოვანს.

– ერთ საათში მობრძანდით, პატივი დამდო უფროსმა ქალბატონმა.

– ხომ ხედავთ, მეჩქარება, გამიშვით, შევეხვეწე მე.

– ეს შენი პრობლემაა, შენ თვითონ მოუარე, გამიბრაზდა ასაკოვანი ქალბატონი.

თავში სისხლი ამივარდა, ნიკაპი ამიკანკალდა.

–ახლა აფხაზეთში რომ ვიყოთ, მე სუფრაზე მოგიწვევდით, კონიაკს შემოგთავაზებდით, ხაჭაპურს და საცივსაც, ასეთია იქაური წესი-მეთქი.

– არ გააწყალეს გული თავისი აფხაზელობით?

– რა ბედნიერებაა, რომ **აფხაზეთელები არ ვართ და არც აფხ-**აზეთში, – თითქმის იკივლა ერთ-ერთმა მათგანმა.

– თავს გავიდნენ უკვე, გათავხედდნენ, საკუთარ სახლში ჰგონიათ თავი ამ ლაჩრებს, ვის სჭირდებათ აქ, წავიდნენ თავის ქვეყანაში, კვერი დაუკრა მეორემ.

თავი შევიკავე, არ ვთქვი ის, რაც უნდა მეთქვა.

კარი გავიჯახუნე, თუმცა გული საგულეში არ ეტეოდა, კაცები რომ ყოფილიყვნენ, ალბათ, დაილეწებოდა იქაურობა.

რა შეიცვალა, რატომ გახდა დედაქალაქის ზოგიერთი მკვიდრი ასე სასტიკი აფხაზელთა მიმართ? ჩემი კითხვა უპასუხოდ დავაგდე დიდი ქართველი პოეტის, მეომრის და მამულიშვილის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ქვაფენილზე იმ იმედით და ნუგეშით, რომ მომხდარიც მირაჟი იყო, რომელიც მალე გაუჩინარდება.

ტაქსისტმა დამიძახა, ნავიდეთ, არ არის პრობლემაო.

გამოვერკვიე, მიმოვიხედე, ურეკის მზე მეალერსებოდა ძველებურად.

23 ნოემბერი, 2006 წ.

ანდერძი

1996 წელს გალში, ისევე როგორც მთელ აფხაზეთში, ტერორი და განუკითხაობა მძვინვარებდა, განსაკუთრებული სისასტიკით იდევნებოდა ქართული სიტყვა.

ქართველი მოსახლეობა ეს-ეს იყო დაბრუნებას იწყებდა.

დეკემბრის თვეში, გალში, ცნობილი ადამიანი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ქართველებისა და აფხაზებისთვის უაღრესად საპატივმცემლო პიროვნება გარდაიცვალა.

გასვენებაზე ორ ათასზე მეტი გალელი შეიკრიბა. ომისშემდგომ ამდენი ქართველი ერთად არ შეკრებილა.

გალში ჩავიდა მრავალრიცხოვანი დელეგაცია სოხუმიდან, სოხუმის ხელისუფლებაში მეორე კაცის, დაუფარავი ანტიქართველის ოზგანის ხელმძღვანელობით.

აფხაზებმა სამგლოვიარო მიტინგის გამართვა გადაწყვიტეს. მიტინგი დელეგაციის ხელმძღვანელმა აფხაზურ ენაზე გახსნა.

იყო სხვა გამოსვლები, რაღა თქმა უნდა, რუსულად, რასაც მსმენელები ყრუ გმინვით პასუხობდნენ.

ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და გათვლილი. სიტყვით გამომსვლელთა გვარები, დრო, რიტუალის ფორმა, შინაარსი. მაგრამ ერთი გაუგებრობა მაინც მოხდა. რაიონის ერთ-ერთმა კოლორიტულმა ფიგურამ, 85 წლის ახოვანმა მამაკაცმა, პოეზიის ცნობილმა მოყვარულმა სიტყვა ითხოვა, მისი თქმით, მიცვალებულის ანდერძის საზოგადოებისთვის გასაცნობად.

ხალხი ახმაურდა და შალვამ ნებართვა მიიღო.

მან რუსულად მადლობა მოახსენა აფხაზურ დელეგაციას ჩამოსვლის, გარდაცვლილი ქართველის პატივისცემისთვის და ტკივილით აღნიშნა ამ ქვეყნიდან დიდი ადამიანის წასვლა, შემდეგ მარჯვენა ჯიბიდან რამდენიმე ათეული თაბახი დინჯად ამოაცურა და მიცვალებული ძმაკაცისთვის სევასტოპოლის სანგრებში მიცემული პირობის აღსრულებას შეუდგა, – გამოსათხოვარი სიტყვა ლექსად, ლაღი ქართულით დაიწყო.

შეტორტმანდა მიტინგი, შეშფოთდნენ სტუმრები, ადამიანის ფერი დაკარგა სოხუმელთა ხელმძღვანელმა. ლექსი კი ქუხდა, შალვა ხმას უმატებდა, ტემბრს და ინტონაციას იცვლიდა, თითქოს ქართული ენის სიდიადის დემონსტრირებას ახდენდა.

ლექსი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, ოცდაათი წუთი გავიდა, ბოლო კი არ ჩანდა!

აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელი განერიდა იქაურობას, ხის ქვეშ დადგომა მოისურვა, მერე წყალი მოითხოვა. სხვებმაც მას მიბაძეს.

გაჩნდა შიში – რა ელოდა ბატონ შალვას ყოველივე ამის შემდეგ? რა ელოდა იქ დამსწრე ქართველობას, ხალხს, რომელმაც 1993 წლის სექტემბრიდან პირველად გაბედა თავშეყრა, შეკრება, ერთმანეთთან საუბარი?

ბატონ შალვას, თუმცა ეხერხებოდა ლექსის თხზვა, ახლა რითმი და რიტმი სულაც არ აწუხებდა. მიზანი მიღწეული იყო – პირველად და საჯაროდ ესროლა ხელთათმანი იმათ, ვინც აფხაზეთში ქართველებს უკრძალავდა ქართულს, ბავშვებს ართმევდა მშობლიურ ენას!

ლექსი ჩამთავრდა. ბატონმა შალვამ პატიება სთხოვა მიცვალებულს, მოუბოდიშა სახეწაშლილ ჭირისუფლებს, მიცვალებულს შუბლზე ეამბორა, მერე სტუმრებთან წელგამართული მივიდა და შეეცადა მათთვის აეხსნა, რომ ქართველები ისევე ერთგულობენ მეგობრის ანდერძს, როგორც ნაღდი აფხაზები და ამ შემთხვევაში გამოხატვის ენას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდესო.

დელეგაციის წევრთა ნაწილს ხელი ჩამოართვა. ეს ორმეტრიანი კაცი კიდევ უფრო გაიმართა წელში. მერე წამით შეყოვნდა, თითქოს რაღაცა გაახსენდაო, დელეგაციის ხელმძღვანელს ჩურჩულით უთხრა-სევასტოპოლის ნანგრევებში სამმა მეგობარმა, მიცვალებულმა, გუდაუთელმა სარდიონ აგრბამ და მე ფიცი დავდეთ ბოლო გზაზე სიტყვით გაგვეცილებინა ერთმანეთი, სადაც არ უნდა მომხდარიყო ეს; იმ ქალაქში, რუსეთის ტრამალებში, ბერლინში თუ აფხაზეთში. ახლა შოთამ დამასწრო, მე, უბრალოდ, კაცური ვალი მოვიხადე როგორც შემეძლოო. თქვა და დინჯად გაშორდა იქაურობას.

დელეგაციის შეცბუნებული ხელმძღვანელი თავჩაქინდრული მიჰყვებოდა კუბოს. იქნებ იმაზე ფიქრობდა, რომ უფლის ნებაა ქართველთა და აფხაზთა ერთად ცხოვრება, ერთნაირი წესის აღსრულება, რასაც უყოყმანოდ, ხშირად სიცოცხლის რისკით აკეთებდნენ მათი წინაპრები, ბებიები და ბაბუები, იმათი ბებიები და ბაბუები...

აფხაზური დელეგაცია ქელეხზე დარჩა. დელეგაციის მეთაური სამჯერ წამოდგა, სამჯერ აიღო ჭიქა: პირველით - წინაპართა სულები მოიხსენია მეტად თბილად, მეორეთი-მიცვალებულის არდავიწყება, მესამეთი კი აფხაზეთი და მისი მრავალეროვანი მოსახლეობა ადღეგრძელა მიცვალებულის შვილების და შვილიშვილების თამადობით.

ახალო მსხდომებმა შენიშნეს, რომ ოზგანს კერძისთვის ხელი არ უხლია, მიტოვებულ ქანდაკებას ჰგავდა.

იგი მალე ადგა და დელეგაციაც თან გაჰყვა.

იმ ღამეს და კიდევ ერთ კვირას გალში აფხაზებს და ინტერნაციონალ კრიმინალებს არავინ შეუწუხებიათ.

ბატონი შალვა განსაკუთრებული სიამაყით დააბიჯებდა აფხაზური ადმინისტრაციის შენობის წინ.

2004 წლის ივლისში ბატონი შალვა გარდაიცვალა. მისი ნეშტი უკანასკნელ გზაზე გალელებმა პატივით გაცილეს.

გუდაუთიდან შალვას აფხაზი ძმადნაფიცი არ ჩამოსულა.

იქნებ არც შეატყობინეს.

ზუგდიდი, ივლისი, 2004 წ.

წყეული წყევლა

წყევლა ცრურწმენაა, მიაჩნია მორწმუნე ქრისტიანს. მეც, თუმცა, არსებობს ახდენილი წყევლა.

ბებია გვწყევლიდა, ხანდახან დედაც, მაგრამ საღ-სალამათნი დავიზარდენით; არცერთს წაგვიმტვრევია კისერი, არ დავმხრჩვალვართ ზღვაში, არ გაგვსკდომია მიწა და შიგ არ დავნთქმულვართ.

დედა და ბებია გულით არ იწყევლებიანო, ამბობენ ხალხში.

ბევრი ფსიქოლოგი თვლის, რომ წყევლაში საფრთხეა მაშინ, როცა დაწყევლილის ფსიქიკაშია პრობლემები.

სხვათა აზრით, უფრო რთულადაა საქმე, როცა დაწყევლი ცოდვილია და ეს ცოდვა მეტად მძიმეა, ამასთან, მიზეზთა გამო, არავის სურს ეს ცოდვა გახმაურდეს, არ ეგების სამაგიეროს გადახდაც.

აქ ფსიქიატრებს პასუხი, როგორც წესი, არ აქვთ.

მათი უმეტესობა მხრებს აიჩეჩს და ცაში იწყებს ყურებას.

* * *

ამბობენ, რომ დიდი ხნის წინათ, არც არავის ახსოვს როდის, აფხაზეთის ერთ ოჯახში ცხოვრობდა დედა და მხოლოდშობილი ვაჟიშვილი, სახელად ჯაჯა.

მეზობელ სოფელში უცნაურმა სენმა შეიწირა დედის დის მთელი ოჯახი, მხოლოდ რაღაც სასწაულით გადარჩა 13 წლის ხეიბარი გოგონა უთუ.

მას ქვედა კიდურები ჰქონდა გაშეშებული და ვერ მოძრაობდა.

დეიდამ გოგონა თავისთან გადაიყვანა.

დედას ათასი საქმე ჰქონდა და უთუზე ზრუნვა ჯაჯას დააკისრა.

ადვილი არ იყო უთუს მოვლა.

მორცხვობდა პატარა დეიდაშვილი მოწიფული დეიდაშვილის წინაშე, მორცხვობდა ჯაჯაც.

ჯაჯა შეეჩვია **უთუს, შეეჩვია ისე, რომ სიამოვნებდა კიდეც მასთან** ყოფნა, შეხება, ტანისამოსის გამოცვლა.

გადიოდა წლები.

დედაც ჩავარდა ლოგინად.

ახლა სახლ-კარი, ორი ავადმყოფის მოვლა-პატრონობა ჯაჯას დააწვა კისერზე.

ყანაში, ეზოში, საქონელში მთელი დღე გატანჯულ ჯაჯას სიცოცხლე არ უნდოდა, მაგრამ უთუსთვის თვალის ერთი შევლება ავიწყებდა ყველაფერს. უთუზე ფიქრით ათენებდა და მასზე ზრუნვით აღამებდა.

* * *

ექვსი თვის ორსული იყო უთუ, როცა ჯაჯას დედამ მუცელი შეატყო.

წვრილად გამოჰკითხა ყოველი.

უთუ სიამაყით ჰყვებოდა ჯაჯას სიკეთესა და საკუთარ ბედ-ნიერებაზე.

დედამ ოჯახის ახლობლებს უხმო.

კუთხეში იდგა თავდახრილი ჯაჯა, მხოლოდ უთუ ხარობდა.

დედა ყავარჯნებით წამოდგა ფეხზე, წყალი მოითხოვა და დაიგმინა:

– ჩემი დის შვილის, ანუ თავისი დის გაუტანლობის და მასთან სისხლის აღრევისთვის დამიწყევლია ჩემი შვილი, ჯაჯა.

– ბალღია, უნახავი, ბუნებისგან დაჩაგრული უთუ, რამეთუ მას არ ესმის რა ცოდვის ჭაობშია ჩაფლული და ვერც გაიგებს, ამიტომ მიპატიებია მისთვის.

– მოიკვეთოს ჩემი სახლიდან, ამ სოფლიდან ჩემი სიცოცხლე, ერთადერთი შვილი და სიყვარული ჯაჯა და, გადაშენდეს მისი გვარი უძიროდ.

– თუ უთუს გაუჩნდა ვაჟიშვილი, დაე, მან გააგრძელოს გვარი უთუს მამის, მათ მოდგმაში გაჩენილი ყველა ბიჭი, გარდა პირველისა, რვა წლის ასაკში დახეიბრდეს და თექვსმეტ წლამდე დაიღუპოს.

– არცერთ ახალგაჩენილ გოგონას ეს წყევლა არ შეეხოს და იცხოვროს თავისი ცხოვრებით.

– მე ვარ ამ ცოდვაში მთავარი ცოდვილი და გასრულდეს ჩემი ცხოვრება წლის ბოლომდე.

თქვა ეს, მაღლა აღაპყრო გიჟის გაშეშებული თვალები.

დედა საწოლზე გადაიყვანეს.

არავინ გაბედა ხმის ამოღება.

* * *

ჯაჯა იმავე ღამით გაუჩინარდა.

უთუმ ვაჟიშვილი შობა, მაგრამ ბებიაქალმა ვერ შეძლო დედის გადარჩენა.

კალანდამდე დედაც გარდაიცვალა.

სხვა სულიერი არ გაჰკარებია მათ ეზო-კარს.

ფიცრული სახლი ჩაიქცა, თხმელამ და ეკალბარდმა დაფარა იქაურობა.

* * *

დაწყებით კლასებში გურამთან ერთად ვსწავლობდი.

იგი ჩვენს შორის გიგანტი იყო, თუმცა საოცრად გულკეთილი.

მეშვიდე კლასში ვიყავით, როცა მისი უმცროსი ძმა გარდაიცვალა. გასვენებაზე უზარმაზარი თაიგულით ხელში მთელი კლასი წაგვიყვანეს.

მომდევნო წელს მომდევნო ძმა გარდაიცვალა.

მერე გურამის ნაბოლარა ძმაც.

შემდგომ გურამი არ გამოჩენილა სკოლაში, მისი ოჯახი საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა.

მამას მოვუყევი წყევლა. პასუხს განერიდა, დრო მოვა და მიხვდებიო.

* * *

ბებია ძალიან მიყვარდა.

ას წელიწადს მიღწეულ ბებიას, დიდ სამამულო ომში სამი შვილი ჰყავდა დაკარგული.

მისი სიტყვა კანონი იყო სოფელში.

რატომღაც გამორჩეულად ვუყვარდი, ფულსაც ხშირად მჩუქნიდა.

უკვე სტუდენტი, ახალ ამბებს ვუყვებოდი ბებიას, სიამოვნებდა მოსმენა.

ერთხელ გურამის ძმებზე მორიდებით ვკითხე.

შეწუხდა ძალიან, მაგრამ ხათრი არ გამიტეხა და უხალისოდ მომიყვა დედის წყევლის ამბავი.

– უგუნურებაა წყევლა, მით უფრო შვილის მიმართ, მაგრამ არსებობს უპატიებელი ცოდვაც.

– ძველად წყევლა და მისადმი შიში იყო ის, რასაც ახლა სახელმწიფოს, პროკურორს, ბჭეს თუ სხვა ათას რამეს ეძახიან, ამიხსნა ბებიამ.

– კანონი? ვეკითხები მე.

– ალბათ, ასე ეძახიან ახლა, მაგრამ ის ადრეც იყო, თანაც ყოველთვის და უთუოდ სრულდებოდა. ეს იყო სახალხო ტრადიცია, ერის ცხოვრების წესი. მის გარეშე გათახსირდებოდა ქვეყანა, ადამიანი პირუტყვი გახდებოდა.

– ბოლომდე ვერ ვხვდები. შევეპასუხე ბებიას.

– უფრო გასაგებად თუ გინდა, გეტყვი: ამიტომაც შეინახა ხალხმა ის, რის გამოც თქვენ ხართ თქვენ და არა სხვა. ყველა თავმოყვარე ხალხი ასე გადარჩა.

– და რატომაა უვადო ეს წყევლა? კვლავ შევბედე ბებიას.

– სისხლით ნათესაობა ცამეტ თაობაში გადადის, ამიტომაც იყო უვადო ის წყეული წყევლა!

თავი დახარა ბებიამ. შემეცოდა, რაღაც არ მითხრა ბოლომდე.

– გურამის როდის მოეხსნება წყევლა? გულუბრყვილოდ ვკითხე მე.

მან ცას ახედა, დიდხანს იყურა მაღლა, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო. მერე პირჯვარი გადაიწერა და თქვა, გურამის შვილიშვილი თავისუფალი იქნებაო.

* * *

გურამის ძმების დაღუპვის მიზეზი დღემდე არ მასვენებს.

ბევრი ექიმი შევაწუხე.

ბავშვთა ამ იშვიათ სნეულებას თურმე აქვს თავისი სამედიცინო ახსნა, მაგრამ ექიმთა ნათქვამიდან ბევრი რამ ვერ გავიგე.

ის, რაც შემორჩა ჩემს მეხსიერებას, ეს არის ამ ავადმყოფობის ზოგადი სახელწოდება – გენეტიკური ანომალია.

გენეტიკაში საოცარი პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ, მაგრამ დღემდე ამ დარგში კითხვა მეტია, ვიდრე პასუხი.

წყევლა თუ გენეტიკა!

ტვინს მიცხელებს პატარა ბიჭების ბედი.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას წელზემოთ გიგანტი ბიჭები დაკრუნჩხული და მილეული პატარა ფეხებით. კუბოებიც არაჩვეულებრივი იყო – მოკლე და უჩვეულოდ ფართო.

* * *

ომმა ერთმანეთს დაგვაშორა აფხაზეთელები.

სად არის გურამი, მისი ოჯახი?

ომმა ერთმანეთში არია მითი და სინამდვილე, ტყუილი და მართალი, ანგელოზი და სატანა.

და მაინც გადარჩა დედაშვილობა, სისხლით ახლობლობა, ნათესაობა, ჩვენებური ზნე და წესი, რასაც ჯერ კიდევ თვალისჩინივით უფრთხილდება ხალხი და სოფელი.

შამგონა-ზუგდიდი, 21 ივნისი, 2007 წ.

აფხაზეთში დაბრუნება

არუსტანმა მეზობლებს დაუბარა, მეტად ცხელა თბილისში, ჰაერი არ მყოფნის და ზუგდიდში, ნათესავებთან წავალო.

არუსტანი საპენსიო ასაკის ჯერ არ იყო, მაგრამ უფროსმა გამოუცხადა, რეორგანიზაციაში მოხვდიო.

განათლებული და ზრდილი კაცია არუსტანი, დავა და ჩივილი არ დაიწყო.

მარტის დასაწყისში ცუდად გახდა. „სასწრაფო“ მეზობლებმა გამოიძახეს. ექიმებმა მაღალი წნევა და გულში მნიშვნელოვანი ცვლილებები დააფიქსირეს და სტაციონარული მკურნალობა ურჩიეს.

საავადმყოფოში ვერ წავიდოდა, ფული არ ჰქონდა. პენსია დაუნიშნეს, მაგრამ მას ხელს ვერ მოჰკიდებდა, თავისი ჭურჭლის ფულის მოგროვება ჰქონდა გადაწყვეტილი.

შემწეობის 14 ლარი აიღო, 28 პური იყიდა და აივანზე დააწყო გასახმობად. თუ არ შეიცვლებოდა რამე, პური და წყალი გაატანინებდა დროს.

* * *

სიკვდილისთვის ემზადებოდა. უნდოდა ჩქარა მოსულიყო. მორწმუნე კაცი ვენებს არ გადაიჭრიდა ან ნიტროგლიცერინის მთელ კოლოფს ვერ დალევდა.

არუსტანის ბინის კარზე წარწერა გაჩნდა: წავედი, არ ვარ!

* * *

საათი კედელს მიანარცხა, ჩაწვა, შუქი გამორთო.

თვითგანაჩენის აღსრულების მესამე დღე დაიწყო. წყალი არ დაულევია, პური არ გაუტეხავს...

ღამით შვილი გამოეცხადა, სოხუმში, ომში დაღუპული შვილი. მას შუბლიდან კეფის მოპირდაპირე მხარემდე **მუშტის ოდენა ნახ**ვრეტი ჰქონდა, მაგრამ, როგორც პატარაობისას, სიცილით აუძვრა მუხლებზე. აფხაზეთზე უყვებოდა რაღაცებს ჩვეული ღიმილით; გაიხსენა, ერთხელ, მუდამ თეთრ კოსტუმსა და შარვალში, გაპრიალებულ შავ ფეხსაცმელში გამოწყობილი მამა როგორ ჩააგდო ზღვაში. ზურიკომ ისიც გაიხსენა, გაბრაზებულმა მამამ როგორ გაარტყა ლოყაში.

არუსტანს კაკუნზე გამოეღვიძა.

– არუსტან, **არუსტან! ეს ელვირას ხმა იყო. ეძახდა დასახმარე**ბლად, სამუშაოდან ბრუნდებოდა და დიდი ჩანთით პროდუქტები მოჰქონდა. უძნელდებოდა მეორე სართულზე ამოსვლა, დუდღუნებდა, რაში გვჭირდებოდაო ამხელა სახლი.

გაუკვირდა, რადგან კარგად ახსოვდა თუ როგორ დაშალა ელვირას სხეული ჭურვის აფეთქებამ და როგორ გაუჭირდათ მეგობარ ექიმებს მისი ხელახალი აწყობა.

ელვირას ახალი თევზი მოეტანა, რამდენიმე წიგნიც **არუსტა**ნისთვის ბუკინისტებიდან.

გაუხარდა. მარტონი იყვნენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდები და ძველებურად მოუნდა მოფერება.

ქალი გაუძალიანდა, ახლა რა მაგისი დროა, თევზი გამიფუჭდება, მერე ხომ გითხარი, არ დაგნებდები სანამ თეატრში არ წამიყვან, მერე, როგორც ადრე, „ამრაში“ არ შემიყვან ცივ შამპანურზე, სანაპიროზე თურქულ ყავას არ დავლევთო!

ქალმა გადაიკისკისა და სამზარეულოში გავიდა.

არუსტანს არც შიოდა და არც სწყუროდა, არც რაიმე ტკივილი აწუხებდა, დროს არ გრძნობდა.

–აი, დედიკოც მოვიდა, მას ანგელოზის ფრთები ჰქონდა. არუსტანი პატარა იყო, ასე, 5-6 წლის, ხელში აიყვანა, ჭიპზე აკოცა, მკერდზე მიიხუტა.

– დედა, ნაყინი არ მომიტანე?

–კი შვილო, მაცივარშია. როგორ ცხელა, ასეთი ზაფხული სოხუმს არ ახსოვს, დაიწუწუნა დედამ.

– ეს რა ფრთები ამოგსვლია, დედა?

– აბა სოხუმიდან შენამდე როგორ მოვსულიყავი, დედა!

– მამა სად არის?

– ბერლინში, ძმათა სასაფლაოს უვლის, ვერ ელევა მეგობრებს, ხომ იცი, რომ იქ ბევრი აფხაზი და სოხუმელია, დედა!

– ზურიკოს თუ ხვდები დედა?

– სულ ერთად არა ვართ?

– მიყვარხარ დედა, წამიყვანე სოხუმში!

– ჯერ არა შვილო, რამდენიმე დღე მაცალე, მე და ელვირა სახლის რემონტი წამოვიწყეთ, არ გახსოვს რა უქნეს იმ საზიზღრებმა შენს სახლს?

– ახლა შენს სანახავად ჩამოვედი, ძალიან მომენატრე, მაგრამ მცხეთაში უნდა ვიყო პარაკლისზე, მერე ელიას მთაზე წირვას უნდა დავესწრო.

არუსტანს ცეცხლმოდებული ლაკობას და მისი გამჭოლი ქუჩები დაუდგა თვალწინ. მერე სოხუმში მოკლული ახლობელი ბიჭები, მათი დედების შემზარავი წივილ-კივილი, ბავშვების სასოწარკვეთილი ტირილი, მამების ბღავილი. აფხაზი დედების უხმაურო ქვითინი, დაკაწრული და სისხლშემხმარი სახეები, მამათა და ბაბუათა მოკუმული ტუჩები, გაქვავებული სახეები.

– მაინც რა ყოფილა ომი, რა უნახავს მამაჩემს დიდი ომის მთელი ხუთი წელიწადი...

ასტამური სოხუმშია უკვე.

რა თეთრია ქალაქი, ვინ და როგორ შექმნა ზღაპრული ბოტანიკური ბაღი, საოცარი მთაწმინდა. მონატრებია იქაურობა და ახლა ცრემლებს ვერ იკავებდა იმ ბარტყების დედებივით, რომელთაც ის

და თავისი თანაკლასელები უნგრევდნენ ბუდეებს ფუნიკულიორ-ზე.

ნელა ირწევა ზღვა. ნავსადგომში დიდი თეთრი გემები დგანან, ნახევრად შიშველი დამსვენებლები ირევიან.

ცუდად ენიშნა, რომ სასტუმრო „აფხაზია“ ამდენი ხანია უპა-ტრონოდაა მიტოვებული.

ადგილობრივი ხალხი არ ჩანს!

– სად არის ხალხი, ჩვენი ხალხი, სოხუმელები?

* * *

უცებ ჩამოღამდა, მერე, ნელ-ნელა განათდა. თვალი შეეჩვია სიბნელეს. რატომღაც სახლები ერთბაშად გაშავდა, ზღვა სისხ-ლის დიდ ოკეანედ იქცა. სქელი სისხლი ჯერ კიდევ თბილი იყო და ოხშივარი ასდიოდა.

თეთრი თოლიები წითლად შეიღებნენ, გემებიც გაფერმ-კრთალდნენ.

სისხლში ტივტივებდნენ შავ და ქერათმიან ახალგაზრდა ქალების, კაცების, ბავშვების გვამები.

მხოლოდ **არუსტანი იყო თეთრ შარვალსა და კოსტუმში, პრია-ლა** შავ მოკასინებში გამოწყობილი.

შერცხვა.

სიკვდილს დაუძახა.

მანქანის ძრავის გუგუნში ფანჯრიდან ძლივს გაიგონა, მე უკვე აქ ვარ, ცოტაც მოითმინე და წავალთ!

– არ მეტკინება?

– რა უნდა გეტკინოს იმაზე მეტი, რაც ყველას ტკივა, განა თქვენ ცოცხლები ხართ?

* * *

არუსტანი თბილისში დაბრუნდა, უკვე შორსაა სოხუმი.

დევნილობის პირველი დღეები გაახსენდა ძველი სიზმარივით.

როგორ უჭირდა და უჭირს ყველას!

საიდანღაც ბინის ისტორია ამოტივტივდა. ალბათ, იმიტომ, რომ ბურუსში წამით გამოჩნდა ბინის ჭერის ოდნავ განათებული ნაწილი.

კედლიდან ზურიკო და ელვირა იღიმოდნენ.

თვალწინ დაუდგა მეზობლები, თბილისში თავშესაფრის მოპო-ვების სიხარული.

გოლგოთა გამოვლილი არუსტანი 1994 წელის იანვარში ჩა-სახლდა გლდანის რაიონის ერთ-ერთ გაძარცულ, ფაქტიურად უპატრონო სახლის მეექვსე სართულის ერთოთახიან ბინაში. იმ პერიოდში სახელმწიფო სახლების დიდ ნაწილს მავანთა ტორი

ჰქონდა დადებული, უმეტესობა კი უმოწყალოდ იყო გაძარცული ან იძარცვებოდა.

არუსტანის ოთახში, ისევე, როგორც სხვა დევნილების ოთახებში, იყო „სიმკარების“ ჭერი, იატაკი და კედლები, ზოგი ოთახი სამ ან ორ კედლიანიც. ოთახებიდან, როგორც წესი, გატანილი იყო ფანჯრები შუშებიანად, კარები და სათავსოები ჩამოხსნილი, არ იყო წყალი, სველი წერტილები, ონკანები.

შეეცოდათ არუსტანი ჩასახლებულ მეზობლებს და მხარში ამოუდგნენ. სოხუმში და თბილისში საკმაოდ გავლენიანი არუსტანიც, რითაც შეეძლო, ყველას მხარში ედგა.

მაშინ რაც კაპიკებად იშოვებოდა ბაზარში, ახლა ძალზე ძვირია და უქონლისთვის მიუწვდომელი.

რა **გადაიტანა, რა დღე ნახა ამ პატარა სარკოფაგის მოსაწ**ყობად...

ახლა ამ ბინაში მშვიდად ელოდებოდა სიკვდილს.

დედამიწაზე მას არაფერი დარჩენოდა, არც არავის სჭირდებოდა.

დედა დაბრუნდა. მზად ხარ, ხომ არ გეშინია, წავიდეთ შვილო?

დედა, მიყვარხარ, მოვდივარ!

– შენ მძიმე ხარ და ხელში რომ აგიყვანო, ტანზე უნდა გაიხადო შვილო.

– ეს როგორ, დედა!

– ნახავ.

არუსტანმა გახდა დაიწყო და შენიშნა, რომ პატარავდებოდა, ჩვილი ბავშვი ხდებოდა.

არუსტანი ხელში აიყვანა დედამ.

* * *

ქალები აკივლდნენ დევნილთა საცხოვრებლის მეხუთე სართულზე, არუსტანის ოთახიდან გახრწნილი გვამის სუნი იფრქვეოდა.

მამაკაცებს უხმეს, კარი შეამტვრიეს.

რამდენიმე დღის მიცვალებულ არუსტანის სხეულს მწვანე ობი მოსდებოდა.

ქალებმა გააპატიოსნეს.

მაგიდაზე წერილი იდო:

ყველაფრისთვის გმადლობთ მეზობლებო; მაპატიეთ ღალატი;

აქ ბევრი წიგნია, ბავშვებს და სტუდენტებს დაურიგეთ, თუ რამე სასარგებლო ნივთია, ყველაზე გაჭირვებულებს გადაეცით;

იქ ფულია, საკმარისია ჭურჭლის, რამდენიმე ბოთლი ღვინოს და სანთლების შესაძენად;

სახელმწიფო და ექსპერტები არ შეაწუხოთ, ქრისტიანი ვარ, სირცხვილია.. ზუგდიდში აცნობეთ ჩემს ახლობლებს;

მე კაცი ვარ და სხვანაირად არ შემიძლია, **აფხაზელ ქართველებს** გვაქვს ამისთანა არჩევანის უფლება. ისტორიულად ასეთი ყოფა და ასეთი დასასრული ჩვენთვის ახალი არ არის.“

კიდევ მთელი ორი ფურცელი იყო, მაგრამ თავადვე წაუშლია და მელანი გადაუსხამს. ბოლო გვერდზე კი დაუტოვებია ოთხადოთხი ბწკარი:

– უფალი ყველს მიუზღავს თავისას;
– მადლობა ქვეყანას, ადამიანებს, ვინც თავისად გვიგულა!
– მშვიდობით, არ იდარდოთ, მე ჩემებთან წავედი.
– მე სხვებზე უბედური არ ვარ!“

თბილისი, ივნისი, 2006 წ.

აფხაზი ნოსტრადამუსი

კვირადღეს ზუგდიდში, ბაზრობაზე, ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი. უცნაური გრძნობა დამეუფლა. დიდხანს ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერ ვიხსენებდი თუ რატომ იყო ეს ნახევარ საუკუნეს მიტანებული ადამიანი ასე ნაცნობი და ახლობელი.

ამ ჭაღარა, უკვე წელში გადაკეცილ კაცს ქალი ახლდა. დიდი ჩანთები ეკავათ ხელში. ეტყობოდა, სავაჭროდ იყვნენ ჩამოსულები. ერთმანეთში მეგრულად საუბრობდნენ, მაგრამ ძალზე ხმადაბლა და რაღაცნაირი მინარევით, რომლის შემჩნევა მხოლოდ მახვილ სმენას თუ შეუძლია.

ახლოს მივედი, გამომწვევად დავუწყე თვალთვალი. მათაც შეამჩნიეს ჩემი დაჟინებული მზერა.

უკან გავყევი. არ აჩქარებულან, მაგრამ კაცს ქვედა ტუჩი იმგვარად უთამაშებდა, რომ მისი გრძელი, კეხიანი ცხვირიც ვერ ახერხებდა ამის დაფარვას.

ბაზრის წინ ხიდის მოაჯირს გადავეკიდე, უსაშველოდ დაბინძურებულ ჩხოუშიას ჩავაშტერდი და გამახსენდა ვინც იყო ნაცნობი უცნობი. თმა გათეთრებოდა, მაგრამ ვარცხნილობას, გრძელ და თხელ თმას დროსა და წლებისთვის გაეძლო. ეს კაცი არველოდ აჯინჯალი იყო.

ჩვენ სოხუმში პარალელურ კურსებზე ვსწავლობდით მათემატიკის ფაკულტეტზე, მე ქართულ ჯგუფში, ის რუსულში. ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდა იყო, ბევრს კითხულობდა მალე დავუახლოვდით ერთმანეთს და კარგი მეგობრებიც გავხდით.

ნოსტრადამუსის თემა წამოსწია ერთხელ, ნამდვილი ლექცია ჩამიტარა, ჩამორჩენილობაში დამდო ბრალი. მე ავუხსენი, რომ ცრუმორწმუნეობა მეზიზღებოდა და „მფრინავ თეფშებზე“ მოვუწყვე გამოცდა.

თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ არველოდი მეტად სერიოზულად იყო გატაცებული ნოსტრადამუსით და ძალიან ბევრი ჰქონდა წაკითხული. ერთ დღეს, ერთბაშად ხუთი წიგნი და ერთი ბროშურა მომიტანა ებრაული წარმოშობის ფრანგ ნათელმხილველზე – მჯერა, წაიკითხავ, რადგან ბონაპარტზე ხარ შეყვარებულიო.

წავიკითხე, ბევრი რამ სენსაციური გავიგე, მაგრამ მალევე დამავიწყდა.

ის კი სულ უფრო და უფრო ხდებოდა ნოსტრადამუსის გიჟი.

ერთხელ, ჩვენი ერთი საყვარელი ლექტორის გასვენებაზე შევხვდით ერთმანეთს. ორი საათი დავრჩით დიდი ადამიანის და მეცნიერის გასვენებაზე.

სადგურამდე ფეხით ვიარეთ.

მან ისევ ნოსტრადამუსით დაიწყო და ნოსტრადამუსითვე დაამთავრა.

ოჯახს მოჰკიდებოდა, სოფლის სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა და პოლიტიკაში არ ერეოდა. გამაფრთხილა, პოლიტიკოსები დაგვღუპავენო...

***

წყვილს გავეკიდე.

ერთხელ შევაჩერე და ნოსტრადამუსის 70-ე ლექსის წაკითხვა ვთხოვე.

კაცს შეეშინდა, დაიბნა. ისინი ხომ სხვა სახელმწიფოში იყვნენ შემოპარულნი.

დიდხანს ხმა არ ამოუღია კაცს, თვალებში მომშტერებოდა. გაწითლდა, ნირი წაუხდა.

ცოტა ხანში ძველებურად ლამაზი ღიმილი მომაფრქვია. შენ, „რაფაელ ბონაპარტ?“ გაიხსენა ვინც ვიყავი და მომეფერა, ხელი გამომიწოდა. ერთმანეთს ჩავეხუტეთ. თითქოს არც ომი და სისხლი ყოფილა, არც ჩვენი გაძევება მშობლიური ადგილებიდან, არც უნდობლობა და მტრობა.

მეუღლე გამაცნო. ტყვარჩელელი ქართველი აღმოჩნდა.

– ჩვენთან არაფერი იშოვება. ვიომეთ, მოვიგეთ, მერე რა, მთიელებმა და რუსმა ბომჟებმა გაზიდეს ყველაფერი. აფხაზ კაცს ასე ცუდად არასდროს უცხოვრია. დავიღალეთ, ცხოვრება გვინდა, არც თქვენ ხართ მაინცდამაინც კარგ დღეში. რომ არა ეს წყეული ომი, აფხაზ კაცს რა გაუჭირდებოდა ისეთი, რომ ჩემსავით ძონ-ძებში არ ევლო.

იქვე, პატარა კაფეში, ლამის ძალით შევათრიე. მეუღლე უფრო გამიძალიანდა. ერთი ბოთლი არაყი და ძეხვი ავიღე, რაღაც მინერ-ალური წყალიც მივაყოლე მეუღლისთვის.

ჩემთვის შეუმჩნევლად არველოდს, ოფიციანტისთვის ბოთლი არაყი და მწვადი შეუკვეთია. ჩემს აღშფოთებაზე, მიპასუხა: მე აფხაზი ვარ და ჩემი საქმე მეც ვიციო!

როცა შევქეიფიანდით და არველოდმა საათის ყურება დაიწყო ნოსტრადამუსის სადღეგრძელო წარმოვთქვი, რომლის გარეშეც მე მას ვერ გავიხსენებდი.

არველოდი უჩვეულოდ სერიოზული გახდა და წარმოთქვა:

„...რამეთუ ციურ ნიშანთა მიხედვით სამყარო უახლოვდება ცეცხლოვან, უფრო დამანგრეველ და ყოველივეს მომცველ **რევ-ოლუციას**...და ციური ნათელი სამსჯავროს თანახმად, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვიქნებით ათასის მეშვიდე რიცხვში, რომელიც ყოველს დაასრულებს მერვესთან მიახლოებისას, მაშინ დიადი და მარადი ღმერთი აასრულებს რევოლუციას“, ანუ ქართველები და აფხა-ზები სულ მალე გავერთიანდებით და აღსდგება ძველი დროება ახალი ფორმით!

ნათქვამი ჩავიწერე, შეცბუნებული წამოვდექი და ვთქვი, ამინ!

ორივემ **ერთად შევსვით საქართველოს და თანხმობის სადღე-**გრძელო.

ტაქსი ავიყვანე და ენგურის ხიდამდე მივაცილე.

ჩემთვის საყვარელმა ადამიანებმა ნელა გადაკვეთეს ენგურის ხიდი და თვალს მიეფარნენ.

ზუგდიდი 27 აგვისტო, 2005 წ.

თქვენ, ჩვენ, მე

– შეიძლება ღმერთი არ გწამდეს, მაგრამ სიყვარულში ყოველი ნაბიჯი მისი ნაკარნახევია.

– ჯერ სიყვარული უნდა შეიყვარო, რომ გიყვარდეს.

– სიყვარულს ასაკი არა აქვს.

– გნახე, დარჩი ჩემში სამარადჟამოდ, არაფერს ვითხოვ შენგან...

– შენ თანამიგრძნობ თუ არა, ეს შენი უფლება და თავისუფლებაა.

– ბედნიერი ხარ თუ გრძნობითვე გიპასუხებენ, თუ არა, საყვარელი არსებისთვის სატანჯველად მზად უნდა იყო.

– ურთიერთგატაცება ღვთიური ნებაა, რასაც ხშირად ვახშობთ უადგილო სიმორცხვით, კეკლუცი სიჯიუტით, ამპარტავნობით.

– შემთხვევით არაფერი ხდება, გაუგებრობის მიზეზი შენშიც ეძებე.

– ჭეშმარიტ გრძნობას უამრავი მტერი ჰყავს, ენდე მხოლოდ საკუთარ თავს.

– სიყვარულის უნარი ადამიანის უდიდესი კულტურა და გემოვნებაა, თუმცა შეიძლება სასაცილოდაც გამოიყურებოდე.

– სიყვარული თავისუფალ ადამიანთა ხვედრია, ტანჯვისთვის მათი მზაობის პროპორციული.

– ის, როგორც ნამდვილი, თავისუფალი და ღირსეული, მხოლოდ ერთხელ მოდის, მაგრამ არ მიდის მანამ, სანამ ერთი ჩვენთაგანი მაინც ცოცხალია.

– საქმე სექსში როდია, ამ თვალსაზრისით ღორები ყველაზე ბედნიერები არიან, რადგან მათი ნეტარება ნახევარი საათი გრძელდება.

– გიყვარს! ნიშნავს, რომ ის შენი სულ-ხორციდან არ გადის, მზის ამოსვლა მასზე ფიქრით იწყება, დღეს და ღამეს ადგილები ეცვლება.

– კლეოპატრა, ჰემინგუეი, ბლოკი, მაიაკოვსკი, შექსპირი, სხვა გენიოსები მთელი სიცოცხლე მარადიულ სიყვარულს დაეძებდნენ, ვერ იპოვეს და თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე!

– მიმოიხედეთ ირგვლივ, თქვენ სიყვარულის ღვთიური ვალი გაქვთ ადამიანთა მოდგმის და საკუთარი თავის წინაშე.

– გაგვიფრთხილდით მამაკაცებს, ჩვენ ყველაზე სუსტი არსებანი ვართ.

– ეცადეთ გაუგოთ ადამიანებს, რომლებიც წრფელ გრძნობას გთავაზობენ, დაუტოვეთ მათ რაიმე შანსი.

– ნამდვილი მამაკაცები თქვენზე სუსტები და მორცხვები არიან, მათთვის თქვენ ღვთისმშობლის სადარი ხართ.

– გამოიჩინეთ თაოსნობა, აგრძნობინეთ მამაკაცებს, რომ თქვენ უფრო მეტი ხართ, ვიდრე მათ მიაჩნიათ.

– თქვენ ყოველთვის დაგიფასდებათ სითამამე.

– იწამებთ სიყვარულის ძალას და თქვენ ყოვლისშემძლე გახდებით!

– მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მამაკაცის გაადამიანება.

– ასე მგონია, ქალმა შექმნა კაცი მსგავსად და ხატად თავისა და არა პირიქით.

– ნამდვილი სიყვარული არ ქრება, გელოდება სამარადჟამოდ.

– გახსოვდეთ მუდამ, თქვენი და ჩვენი სიცოცხლის საათები ჩართულია!

– დიდია ალბათობა განაჩენისა, რომ საჯილდაო ქვაზე დავასრულოთ სიცოცხლე, მზად ვართ ამისთვის.

– მეუღლის დაკარგვა საკუთარ გარდაცვალებაზე უარესია, მაგრამ მას რომ ჰკითხო, იგი იქაც შენს ბედნიერებაზე ზრუნავს.

– სიყვარულს და თანაგრძნობას ასაკი არა აქვს. იგი ინსტინქტისგან თავისუფალი და უფრო ნაღდია შუა და შემდგომ ასაკში.

– სიყვარული სიკვდილზე გამარჯვებული სიცოცხლეა.

– შეიბრალეთ თქვენზე შეყვარებული ადამიანი, ნუ გახდით მას მარტოსულს.

– არ არსებობს თავისუფალი გული, ის ყოველთვის მიილტვის სხვაგან, ამიტომაა სიყვარული ერთბაშად ბედნიერების და ტრაგედიის წყარო.

– ნუ გეშინია და ნუ გრცხვენია სიყვარულის, ის შენია, შენი ნაწილია, რომლის მოკვეთა დაგინგრევს სულს, სხეულის მთლიანობას.

– სიყვარულის უნარი ადამიანის სულიერების უპირველესი დასტურია. – სიყვარული უნდა გიყვარდეს, თუ სრულყოფილების პრეტენზია გაქვს.

– ცალმხრივი სიყვარული ლოდინია, რომელიც ოდესმე დაფასდება.

– ნამდვილი სიყვარული ფსევდო ტრადიციების და მონური შიშის ძლევაა.

– ნამდვილი სიყვარული ჭეშმარიტი თავისუფლებაა, რომელიც ვერ ურიგდება ქურდულ მრუშობას, მეძაობას, გარყვნილებას.

– სიყვარულს სქესი არა აქვს, ის სულთა ნეტარი ერთობაა.

– სიყვარული ახალი სიცოცხლეა, რომელიც უარყოფს წარსულს, მაგრამ მოაქვს მარადიული უკვდავება.

– გიყვარს! – ნიშნავს, რომ ხარ ადამიანი.

– სიყვარული ყველაზე სრულყოფილი თავისუფლება და მონობაზე გამარჯვებაა.

– ვისაც არ ჰყვარებია, არ უცხოვრია.

– პარტნიორთა არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ მათი წმიდათაწმიდა უფლებაა.

– სიყვარული საქონელი არ არის, ბაზარში რომ გაიტანო.

– სიყვარული უზენაესი ადამიანური გრძნობაა, რომელსაც ფასი არა აქვს.

– სიყვარული სიძვა არ არის, პირველი, ორთა ურთიერთობაა მხოლოდ, მეორე შეიძლება მრავალთა საკუთრება იყოს.

– ჭეშმარიტი სიყვარულის ნაყოფი სრულყოფილი ადამიანია.

– სხეული სიყვარულის ბროლის ჭურჭელია, რომლის დამსხვრევას ბილწი ხელები ცდილობენ ხშირად.

– სქესობრივი გართობა შეიძლება ისეთ გატაცებად იქცეს, რომ ადამიანი ცხოველად აქციოს.

– შექსპირმა ქალს უთხრა: მე შენს გულში ვიცოცხლებ, შენს კალთაში მოვკვდები და შენს თვალებში დავიმარხებიო.

უკეთ იტყვის ვინმე?

თუ არ ვცდები, ეს ჩვენთან გაცილებით ადრე ითქვა, დაიწერა და დღემდე სიყვარულის უკვდავი ჰიმნია.

სხვა რამისგან დაგვიფაროს ყოვლისშემძლემ!

* * *

სხვაგან არ ვიცი, მაგრამ დღემდე ასეა აფხაზეთში.

თბილისი, 15 ივლისი, 1999 წ.

ვარდი და პური ჩემი გოგონასთვის

ცირა აფხაზეთში დაიბადა. სუსტი ჯანმრთელობა დაჰყვა დაბადებიდან. ეტყობა, ომი ჯერ გაუჩენელ თაობასაც ასახიჩრებს.

ცირას და მე უფრო დიდი უბედურება გვედო წინ, ვიდრე ამისი წარმოდგენა შემეძლო: ცირას დედა, ბავშვის წლისთავზე, დაბომბვაში მოჰყვა და გარდაიცვალა.

ახლა დედაც ვიყავი და მამაც, კიდევ მოხალისე მებრძოლი, ამიტომაც ცირას ხანდახან სანგრებშიც უწევდა ყოფნა.

1994-1996 წლებში მე და ცირას თბილისში, ფარღალალა ბინაში, ძონძებში გახვეულებს გვიხდებოდა ღამისთევა, ჯერ იატაკზე, მერე ჯარისკაცულ ნარზე.

პურს ტალონით გვაძლევდნენ, მაგრამ უსაშველო რიგებში მთელი ღამე დგომა სიცოცხლეს მიწამლავდა. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხალხი, ლუკმას უყოფდნენ ცირას, ეფერებოდნენ, რომ უდედობა ნაკლებად ეგრძნო.

მასწავლებელიც მე ვიყავი, მამაც, ექიმიც და მზარეულიც. სამაგიეროდ ბედნიერიც, ცირა არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი იყო. არ დავტოვეთ წაუკითხავი წიგნი ჩვენს და მეზობელ კორპუსებში, შემდეგ ქალაქის ჩაბნელებულ ბიბლიოთეკებსაც დავრიეთ ხელი. იგი ისრუტავდა ყველაფერს, რასაც მოისმენდა, ნახავდა, თვალს მოჰკრავდა. აფხაზეთზე მან ყველაფერი ისწავლა, რაზედაც ხელი მიგვიწვდებოდა, რასაც იქიდან ჩამოსულები ამბობდნენ.

„ვარდების რევოლუცია“ მისი სულის ზეიმი გახდა. ყავარჯნებით მივხოხდებოდით პარლამენტის წინ და დილიდან დაღამებამდე, ქარსა და წვიმაში იქაურობას არ ვშორდებოდით.

რუსთაველის პროსპექტზე ორი თუ სამი წითელი ვარდი ვუყიდე, ლამის პირველად ვიხილე ბედნიერი, აალებული, გაბრწყინებული. საამური დღეები იყო – ასფალტზე დაყრილი, ფეხებით გასრესილი ვარდების კონებით ვბრუნდებოდით ბინაში.

კედლები გამხმარი ვარდებით და აფხაზეთის პეიზაჟებით მოვქარგეთ. ყოველივე ამან ცირა ისე გაიტაცა, რომ ერთგვარი შიშიც დამეუფლა.

22-23 ნოემბერს პროსპექტზე გავათიეთ ღამე, მაგრამ.

გამარჯვების საყოველთაო ზეიმში ვერ მიიღო მონაწილეობა. სიცხემ აუწია, ოფლში ცურავდა, ლოგინად ჩავარდა. ექიმმა გასინჯა, თავი გააქნია, ექვსი დასახელების წამალი დაუნიშნა. აფთიაქში დავტოვე ჩვენი მცირეოდენი დანაზოგი – 86 ლარი.

უკვე პურის ფულიც არ გვქონდა.

მეზობელ მარკეტში ვალები იზრდებოდა, თუმცა ცირასთვის ქართულ ლავაშს ხშირად მჩუქნიდნენ ხოლმე. შაქარი, ჩაიც ილეოდა ჩვენი **„მაცივრიდან“, რომელიც ფანჯარაზე გვქონდა მოწყობილი.**

– მამა, ჩვენ ხალხი ვართ?

მეკითხება ცირა.

– რა თქმა უნდა, ვპასუხობ მე.

– კარგია, მაშასადამე მალე მივიღებთ საარსებო მინიმუმს, ანუ ორ სულზე 220 ლარს, კიდევ დევნილის შემწეობას, დავალიანებას, პენსიას, შენს ხელფასს, მშივრები არ ვიქნებით, მამა!

– ჰო, მამა.

– მალე აფხაზეთში დავბრუნდებით, მამა.

– აუცილებლად, შვილო.

– მე იქ კარგად გავხდები, მამა.

– რა თქმა უნდა, შვილო.

დღეები კი ისე მიიზლაზნებოდნენ, როგორც აფხაზეთის უსაშველოდ ბნელი და გრძელი ღამეები.

ახალმა მინისტრმა სამუშაოს დატოვება გვიბრძანა რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. 35 ლარიანი სამსახურიც დავკარგე.

ამავე დღეებში ვიღაცამ ცირას ვოინიჩის „კრაზანა“ ათხოვა. აღტაცებული იყო, თითქმის დაიზეპირა. ინვალიდობითაც ამაყობდა და კრაზანას გმირულ სიკვდილზე ოცნებობდა.

– მამა, რა შემიძლია, რითი დავეხმარო რევოლუციის ლიდერებს – მეკითხება ცირა.

– აი, კარგად გახდები, წამოიზრდები, დიდი საქმეები და ბევრი ვარდები გექნება, – ვაიმედებ მე.

ცირას უკვირდა ჩემი ხანგრძლივი გაუჩინარება. არ ვუთხარი, რომ სამსახური დავკარგე, უკვე ორი კვირა ვეძებდი, მაგრამ უშედეგოდ. ვერ ვეტყოდი მას, რომ მე „დაკარგული თაობის“ წარმომადგენელი გავხდი.

ვისთან არ ვიყავი, ვის არ მივმართე განცხადებით, მაგრამ დაპირების მეტი არაფერი ჩანდა.

პურიც არ გვქონდა, ვალები კი იზრდებოდა. ენგურს გაღმიდან ახლო ნათესავები ზოგჯერ წამომაშველებდნენ რამეს, მაგრამ ჩემს თავმოყვარეობასაც ჰქონდა საზღვარი.

ცირა, ეტყობა, ყველაფერს ხვდებოდა, შეძრწუნებული ჩანდა.

ბავშვს საათობით ვარწმუნებდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ყველა კარგად ვიქნებოდით, საქართველო ძველ დიდებას დაიბრუნებდა, სამუშაოზე დაგვიძახებდნენ, აფხაზეთში მალე დავბრუნდებოდით.

ცუდად გამომდის ტყუილი, მეც არ მჯეროდა ის, რასაც ვამბობდი.

ბზარი გაუჩნდა ჩემს მარადიულ ოპტიმიზმს: იქნებ ეს ჩემი სამშობლო მართლაც არ არის, იქნებ ჩემისთანები არ სჭირდება ჩემს ქვეყანას, ზედმეტი არსებანი გავხდით. ამ ეჭვს განმიმტკიცებდა ის რეალობა, რომ უფულო კაცი საქართველოშიც უკვე კაცად არ ითვლებოდა.

ცირას დილაადრიან გავეპარე, რამე უნდა მექნა.

ბრდღვიალებდნენ მაღაზიის ვიტრინები, გრიალებდნენ კაფე-რესტორანები, ქალბატონებს უზარმაზარი, ფულით გატენილი ხელჩანთები ეკავათ, ყელზე ოქროს ძეწკვები ეკიდათ, ქალაქში ყმაწვილები **დააგელვებდნენ ძვირადღირებულ მანქანებს. მეც შე-**მეძლო ვინმე გამეძარცვა, დამეყაჩაღებინა, შემრჩენოდა ან ციხეში ამომეყო თავი.

ეკლესიაში შევედი. ღვთისშობელს შევავედრე ცირა და ჩემი თავი; წამით თავბრუ დამეხვა – ყველა ხატიდან თითქოს ცირა მიმზერდა საცოდავი სახით, ცრემლიანი თვალებით.

ბინისკენ მოვლასლასებდი უაზროდ. სანაგვეთა მწკრივში ორი-სამი მაწანწალა, იქნებ ადრე ჩემსავით ამაყი და პატივმოყვარე, იქექებოდა ყუთებში. ცელოფანის პარკში კარგად შეფუთული, თითქმის მთელი, ლავაში დავლანდე, ინსტინქტურად გამექცა თვალი, მაგრამ...

ჩემში ყველაფერი მოკვდა, არარაობად ვიქეცი. იქვე დაგდებულ სიგარეტის ნამწვს დავავლე ხელი, ხარბად მოვქაჩე.

სამ დღეში **აღდგომის დღესასწაულია. სადგურში გავედი, ენ-**გურს გაღმა შევუთვალე რაიმე გამოეგზავნათ; მათ რა უჭირთ, არიან **მონობაში, ტერორში, მაგრამ საკუთარ ეზო-კარში, საკუ-**თარ ციხე-სიმაგრეში, რომელზე უმტკიცესი ჯერ არ შეუქმნია ადამის მოდგმას! ვთხოვე, სააღდგომო კვერცხებიც არ დაეშურათ ცირასთვის.

ნაცნობმა ათი ლარი შემაჩეჩა ხელში. უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. ბაზრობა **გამახსენდა – ჩემი პირველი ბიზნესი, ხე-**ლჩართული ბრძოლა **გლდანის ბაზარში სავაჭრო ადგილის მოსა-**პოვებლად, პირველი ამონაგები – ორლარიანი. არა, შემდგომი დღეების გახსენება არ მინდოდა...

პურით, კარაქით, ნედლი კატლეტით, ბოსტნეულით, ერთი შოკოლადით დავბრუნდი ცირასთან. ვივახშმეთ. ცირა ჩამეხუტა, მეტისმეტად ცხელი, სუსტი და სველი მეჩვენა. ის ისეთი ნაზი და კარგი იყო, ლამის პირველად ვიგრძენი მამაშვილობის საზრისი. ცირამ **იხუმრა: ვარდები გვაქვს, მამამ ახლა პური უნდა მიშოვო-**სო!

გადავწყვიტე ბოლომდე მებრძოლა, მებრძოლა ცირას და ჩემი გადარჩენისთვის.

აღდგომის ადრიან დილას (რატომღაც ქრისტეშობა ამეკვიატა) სადგურში გავედი. სოფლიდან სურსათი გამომიგზავნეს, მათ შორის კვერცხები.

სახლში გახარებული ვბრუნდებოდი.

ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. მივესალმე, დღესასწაული მივულოცე. ყრუდ, თავჩაქინდრულად მომესალმნენ. შევშფოთდი.

მეექვსე სართულზე, ჩვენი ბინის წინ, ქალები ტიროდნენ, ჩემს დანახვაზე კოლხურმა კივილმა თითქოს ცა შემოახია თბილისს.

შემდეგ, რა იყო, ვერ ვიხსენებ.

ცირას საწოლის რკინაზე ჩამოეხრჩო თავი.

ახლა მარტო ვარ. არაფრის მეშინია, არც არაფერი მადარდებს, ყველაზე დიდი შიში, შიშია თურმე. საათობით ვუმზერ ცირას სუდარას საწოლზე, რომელსაც დაბრუნებულ აფხაზეთში გადავიტან ცირას ნეშტთან ერთად. საწოლთან, პატარა მაგიდაზე, გამხმარი

წითელი ვარდები და გამომშრალი მთელი პურია, პური, რომლის გარეშეც კაცობრიობის ყველაზე გენიალური ქმნილებებიც არარაობა ყოფილა თურმე.

ალბათ, მეათასეჯერ ვკითხულობ ცირას გრძელი, ლამაზი თითებით უჯრებიან ქაღალდზე გამოყვანილ სტრიქონებს:

„მამა, მაპატიე. „კრაზანასავით“ სამართლიანობისთვის მინდოდა სიკვდილი, მაგრამ ჩემი მდგომარეობის გამო ეს მიუწვდომელია. მაინც გმირად ვკვდები, რადგანაც ჩემი ამ ნაბიჯით, ვფიქრობ, გადავარჩენ შენს თავმოყვარეობას, სიამაყეს, ღირსებას, რასაც შენ მხოლოდ ჩემს გამო დათმობ.

მამა, გთხოვ შემისრულო ბოლო თხოვნა: არ შეიცვალო, დარჩი ისეთად, როგორიც ხარ, ძველ ქართველად, ჩვენებურ კაცად, სიტყვის და სინდისის ადამიანად.

მამა, ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს ჩემი მახინჯი სიცოცხლე, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, რადგან ბედისწერამ ძალზე ადრე გამაჩინა, შენ კი – ძალზე გვიან.

მაპატიე მამა, მჯერა არ დამივიწყებ, იამაყებ ჩემით.

გილოცავ ქრისტეშობას(გადახაზულია) აღდგომას!“

* * *

დევნილთა ქალაქგარეთ მიგდებულ საფლავზე ცისმარე ვაკითხავ ცირას საფლავის ბორცვს და უბრალო ჯვარს მის თავთან.

იქ შემზარავი სიჩუმეა და უამრავი ბუნებრივი წითელი ვარდი, პური კი საჭირო არ არის.

თბილისი, 26 მაისი, 2005 წ.

ილია სამურზაყანოში

იყო დრო, ქართული ენა, რომ ზეობდა სამურზაყანოში.

შეიცვალა ვითარება და ახლა ქართულ ენას დევნიან.

დრომ ინება და აფხაზმა აზამ თბილისში მიიღო განათლება, წარჩინებული სტუდენტი ილია ჭავჭავაძეზე იყო შეყვარებული და სადიპლომო ნაშრომიც დიდი ილიას შემოქმედებაზე შეასრულა.

მავანმა ინება და აფხაზი აზა, მეომარ ქალთა მეთაური, გალის რაიონში განათლების საქმეს ჩაუყენეს სათავეში.

მისმა ბედისწერამ ინება და ერთ მზიან **დღეს აფხაზი აზა შევიდა** სკოლაში და ქართული ლიტერატურის აკრძალულ გაკვეთილს შეესწრო.

ბავშვები შიშისგან კანკალებდნენ, მაგრამ ნანა მასწავლებელი მშვიდად შეჰყურებდა უფროსს; ჩვეული მოწიწებით მიიწვია გაკვეთილზე, სკამი შესთავაზა და „ოთარაანთ ქვრივის“ ახსნა განაგრძო:

– მე ზუსტად არ ვიცი, იყო თუ არა დიდი ილია სამურზაყანოში, მაგრამ აფხაზეთში არასდროს და არავის შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ ილიას განსაკუთრებით უყვარდა აფხაზეთი და აფხაზი ხალხი;

– მე ზუსტად ვიცი დიდი ილიას სტუმრობა სოხუმში, კოხტა აფხაზის სახლში წარმოთქმული გაფრთხილება ქვეყნისთვის ახალი საფრთხის შესახებ;

– მე ზუსტად ვიცი, რომ დიდი ილია ქართულ და აფხაზურ სკოლებს ხსნიდა სამურზაყანოში თუ გუდაუთაში, მეგობრობდა აფხაზეთის და სამურზაყანოს გამოჩენილ შვილებთან, მიმოწერა ჰქონდა ოქუმელ ივანჩა გეგიასთან, აქაურ ამბებს ფართოდ აშუქებდა მისი „ივერია“

– მე ზუსტად ვიცი, რომ...

არ დასცალდა.

ტყვია გავარდა.

ტყვიამ გაუარა კედელზე დაკიდებულ ილიას პორტრეტს და ძელში გაუჩინარდა.

პორტრეტი ჩამოვარდა, შუშის ნამსხვრევები ჩამოიყოლა.

მასწავლებელმა პორტრეტი აიღო.

– დააგდე, გესვრი!

გიჟს ჰგავდა აზა.

– მესროლე, მე მესროლე, სხვა რა შეგიძლია, სხვა რა იცი, უფალი განგვსჯის, მე... აქ... დავრჩები, ბავშვები გაუშვი, არ შეაშინო.

– თფუი, შენი, კბილებიდან გამოსცრა აზამ.

– შენ ქალი ხარ, ადამიანი, იქნებ მომავალი დედაც, წამოცდა ნანა მასწავლებელს.

აზა დაიბნა, არ მოელოდა. მასში წამით ჯარისკაცი მოკვდა, ტუჩები აუთრთოლდა.

– მე გეტყვით სიმართლეს ბავშვებო, თქვენი ნანა ავადმყოფია, შინაბერა, მე ეს მითხრეს უკვე, ის ძველ დროში, ძველ საქართველოში, ძველ აფხაზეთში დარჩა. ვიცი, რომ თქვენ თბილისის ტელეარხებს უყურებთ და უნდა იცოდეთ, რომ ახალმა ქართულმა მწერლობამ თქვენი დიდი ილიას ნაწერებს წყალი შეუყენა უკვე, არც განათლების სამინისტრო აკლებს ხელს... კიოდა აზა წმინდა ქართულით.

ყელის ძარღვები დაებუშტა, სუნთქვა შეეკრა.

– მე თქვენს ფანატიკოს მასწავლებელზე ნაკლებად არ მიყვარდა ილია, მაგრამ ეს იყო ადრე, სანამ არ დავრწმუნდი, რომ ილია ტირანი, გლეხების მტარვალი მემამულე იყო.

– ახლა კი მძულს, მეზიზღება, ვიცი ვინც არის, თქვენც გაახილეთ თვალები.

ხმა ჩაუწყდა აზას.

ნანა მასწავლებელმა წყალი მიაწოდა ჭიქით.

– აკრძალულია აფხაზეთში ქართული, გაიგეთ ეს, ასწავლეთ რუსულად, აფხაზურად, ცოტა რამ ქართულადაც თუ ასე არ ეშვებით ამ საზიზღრობას.

აზამ ეს კლასიკური ქართულით, თბილისურად წარმოთქვა, შემდეგ კი, თითქოს გამოფხიზლდაო, რუსულად დააყოლა:

– აბა **რა იქნება ამ ძაღლებში, ძაღლის ენაზე აგალაპარაკებენ.**

დაასრულა ეს ფრაზა და კარისკენ გაქანდა.

კართან შეჩერდა, მობრუნდა და ნანა მასწავლებელს მიახალა:

– ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, დღეიდან შენი ფეხი არ ვნახო სკოლაში, არც ილიას ხსენება იყოს სადმე!

კარს მოჯარული მასწავლებლები და ცნობისმოყვარეები გადათელა და კიბე ჩაირბინა.

გაოგნებულმა ბავშვებმა სხვა ნანა მასწავლებელი იხილეს.

იგი სკამზე იჯდა, მძიმედ სუნთქავდა.

ცოტა ხანში ადგა, ცრემლები მოიწმინდა. გაკვეთილი გაგრძელდა:

– მოკლეს, მას ახლაც კლავენ, მაგრამ ვერ მოკლავენ, მისი მოკვლა შეუძლებელია!

– მისი მკვლელი საქართველოსაც მოკლავს, რომ შეეძლოს!

გაკვეთილი იწურებოდა. ბავშვებს საშინაო დავალება დაურიგა, გაუღიმა და ჟურნალი გადაშალა.

– დღეს ყველას ხუთიანს დაგიწერდით, მაგრამ არ არის საჭირო, ვიცი, რომ ეს დღე არ დაგავიწყდებათ.

* * *

მთელი კვირა ეხვეწებოდნენ ნანას მეგობარი მასწავლებლები, მშობლები, ამ სკოლის გააფხაზებული დირექტორი, მაგრამ ის სკოლაში არ დაბრუნდა.

გაეროს ყურამდეც მიუღწევია ამ ამბავს.

რაიონის აფხაზი გამგებელი რუსლანი უცხოელებთან ერთად მისულა ნანა მასწავლებლის სახლში, ბევრი უხვეწიათ მისთვის, მაგრამ ამაოდ.

* * *

ნანამ სახლში ილიას მუზეუმი მოაწყო.

აუარებელ ექსპონატს მოუყარა თავი.

თბილისელი, ქუთაისელი და ზუგდიდელი მეგობრები დღემდე უგზავნიან ნანას ძველ და ახალ წიგნებს, ხელნაწერთა ასლებს, სხვა მასალებს.

ამჟამად ექსპოზიციას სამი ოთახი უკავია.

ქალაქიდან და ახლო სოფლებიდან ნანას სტუმრობენ წიგნიერ ქართულს მოწყურებულნი.

ნანა ხანდახან ხუმრობს თურმე: არავინ უწყის რას გიმზადებს წუთისოფელი, რატომ უნდა დავბრუნდე სკოლაში, როცა აზას „თანადგომით“ ილიას სკოლა-მუზეუმის დირექტორად დავწინაურდიო.

და არის დიდი ილია სამურზაყანოში, არც არასდროს უფიქრია იქედან წამოსვლა.

– აზა!..

გაორებული, სიძულვილად ქცეული სიყვარული ჟამი-ჟამ ჩაუვლის ხოლმე ილიას მუზეუმს, მაგრამ მისკენ გახედვითაც არ გაიხედავს.

ნეტავ, მართლაც სძულს ილია?

ადესის ნერგები

სოხუმის დაცემიდან მეთერთმეტე წელიწადი იწურება.

სიცოცხლე კი, ეტყობა, არა ნორმალურ, არამედ არანორმალურ ვითარებაში გატარებული დროით ფასდება. ვინ წარმოიდგენდა, რომ ასე უძლურია სიმართლე და ასე ყოვლისშემძლე უსამართლობა. ამ გარემოების ერთ - ერთი მსხვერპლი აფხაზეთის ქართველები ვართ; ვისაც არ დაეზარა ჩვენი მოტყუება ცხვარივით დავუდეთ ყველას კისერი, მივუტევეთ ჩვენი დამცირება, გათელვა, გაბაიბურება.

ნუთუ ასეთი გულუბრყვილო და ლაჩრები ვართ, უგულოები, ყრუ - მუნჯები; ყველაფრის ატანა შეგვიძლია?

ამ უსიამოვნო ფიქრებიდან ვაზის რტომ გამომაფხიზლა, რომელიც რატომღაც საყრდენს მოწყდა და ფოთლების ფართხალით ყურთან ჩამიქროლა.

ასე დაიბადა აზრი აფხაზეთიდან „ადესის“ რამდენიმე ძირის ჩამოტანის შესახებ.

გაზაფხულზე გალის რაიონიდან ორი ძირი ნერგი ჩამომიტანეს, კარგად შეფუთული, საკმაოდ მოზრდილი. ბლომად მოჰყვებოდა მისთვის და ჩემთვის სანატრელი მშობლიური მიწა, რომელსაც საოცარი სურნელი ასდიოდა და რომლის ფასი მხოლოდ მიწაში ფესვგადგმულ კაცს თუ შეუძლია გაიგოს.

სახლის კედელთან ასფალტი წერაქვით ამოვტეხე, მიწა ჩავყარე, გავაფხვიერე. ერთი სიტყვით, დასარგავად მოვამზადე.

ჩემდა სამწუხაროდ, გალიდან ჩამოტანილი ნერგები ტყუპები აღმოჩნდნენ და მათი დაცილება გამიჭირდა. მოყოლილი მიწა თითქმის მთლიანად ერთს შერჩა, მეორეს კი ფესვები მოუშიშვლდა. ასე მივაბარე უცხო გარემოს აფხაზეთის შვილები, – ერთი საბნით, მეორე საბნის გარეშე.

თვალწინ დამიდგა აფხაზეთში ადესის მაღლარი, ნაირ-ნაირი ტალავრები, შემოდგომით უზარმაზარი მტევნები, ფერი, სურნელი, გემო, რომელიც მხოლოდ აფხაზეთის „ადესამ“ იცის, და რომელიც, მისგან დაყენებულ ღვინოს არ შორდება.

წარმოვიდგინე ჩემი ნერგები სამი თუ ხუთი წლის შემდეგ: სახურავზე აცოცებულნი, მტკიცენი, მაგარნი, აკიდოებით დახუნძლული, თბილისის მზისაგან მფარველი მწვანე ქოლგებით, ქარსა და წვიმაში მოზაიკურ ხალიჩებად გადაქცეულნი; ამბობენ, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, მაგრამ ამ წუთიერ გატაცებაში იყო რაღაც მკრეხელური, – ბედისადმი შეგუება, აფხაზეთის გარეთ კიდევ დიდხანს ყოფნის ქვეცნობიერი აღიარება. თავის მართლების საბუთსაც მივაგენი: ოდესმე თბილისელი ბავშვები იკითხავენ „ადესის“ წარმომავლობას და მათი ავტორების ბედზეც გაიგებენ რამეს-მეთქი, დავიმშვიდე თავი.

ნერგებმა გაიხარეს, უზარმაზარი ფოთლები და ყლორტები გამოისხეს. აფხაზეთთან ცოცხალი კავშირის შეგრძნება გამიჩნდა, ოცნებათა ვირტუალურ სამყაროში რაღაც ახალი დაიბადა.

2002 წლის ზაფხული ერთი ნერგისთვის ცუდად დაიწყო. ეს ის ნერგი იყო, რომელსაც მშობლიური მიწა უხვად არ შეხვდა. ვეგეტაციის დაწყება გაუჭირდა, მერე ფოთლები გაუყვითლდა, ცვენა დაიწყო. მორწყვა, სასუქებით კვების გრაფიკი დავუდგინე, მიწა გავუახლე. ნაცნობებმა, სამეგრელოდან „საადესო“ მიწის ულუფები გამომიგზავნეს, შესაწამლი პრეპარატები და რჩევა არ დაიზარეს, მაგრამ მდგომარეობა უარესდებოდა.

გალელებს ნერგის მშობელი მიწის გამოგზავნა ვთხოვე. ენ-გურის ხიდზე მებაჟეები დიდხანს უკირკიტებდნენ ამ უცნაურ ტვირთს, შემდეგ სამმაგი დაბეგვრით გამოატარეს გამოღმა. ერთ

ვედრომდე მიწა დიდი სიფრთხილით ჩავყარეთ ნერგის ძირში, მსუბუქად დავტკეპნეთ, ცოტაოდენი აზოტიც დავუმატეთ.

აი, სასწაული. წელს ვაზი ერთბაშად აფეთქდა, გაგიჟდა, მის გალაღებულ მეგობარს დაეწია, ლამის გაუსწროს კიდეც.

დილაადრიან ჩავდივარ, ვეფერები. ასე მგონია თვითონაც მეფერება და ნიშნის მოგებით მეჩურჩულება თავის ენაზე. მე კარგად ვიცი რასაც მეუბნება, მაგრამ რომ გავუმხილო ვინმეს, არ დამიჯერებს.

ჩემთვის სულ უფრო გაუსაძლისი ხდება ყოფნა აფხაზეთს გარეთ. ასეა ბევრი სხვაც. იქნებ ასეა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროშიც.

რა უნდა იყოს შეუძლებელი, დაუჯერებელი და ამოუხსნელი ამაში?

ქარიყლაპიები

ქარიყლაპიას კოლხეთში წებრას ეძახიან. ამ თევზს ამასვე უწოდებენ ოჩამჩირელი აფხაზებიც.

ქარიყლაპია მტაცებელი თევზია. ბინადრობს ტბებში, გუბურებში, ჭაობებში, შლამიან, წყალბალახათი მდიდარ მდინარეებში. ის კოლხეთის თითქმის ყველა ღელეში, ნაკადულში გვხვდება, მაგრამ მეტად ფრთხილია, ფსკერზე ინიღბება და თითქმის შეუმჩნეველია.

1990 წლის ზაფხულში ჩემი ექვსიოდე წლის ბიჭი, მამიდებთან ზღვისპირა სოფელ განახლებაში ჩავიყვანეთ.

იგი მაშინათვე მეზობელი თანატოლების გარემოცვაში აღმოჩნდა და სათევზაოდ გააქანეს. ასე, რომ ჩემი და დედამისის არსებობა უმალ დაავიწყდა.

მეწყინა და კიდეც გამიხარდა: მეც ამ მდინარეში ავიდგი ფეხი, ვისწავლე წყალში თავით გადაშვება, ცურვა, ლებებზე სრიალი, დაღამებამდე თანატოლებთან ჭიდაობა, თევზების და კიბორჩხალების მოტყუება, გველების დაჭერა.

კვირის თავზე მივაკითხე ბიჭს.

ჭიშკრის ხმაურზე თხილნარიდან გამოქანდა შავი არსება წითელი ტრუსით და მზისგან გათეთრებული თმებით; მხოლოდ ღიმილით მივხვდი, რომ ეს შავი, ჭუჭყიანი არსება ჩემი ბიჭი იყო.

ყელზე ჩამომეკიდა. ჭიაყელების, ჭაობის, ჭინჭრის საზიზღარი სუნი ასდიოდა. მის სხეულზე მეწამულად ელვარებდა კოღოების ნაკბენებზე მიმხმარი სისხლი.

ვგრძნობდი, რომ რაღაც განსაკუთრებული უნდა ეთქვა ერთ კვირაში დავაჟკაცებულ პატარას.

ასეც მოხდა. მაცივრის კარები გააღო: იქ ხუთი საკმაოდ მოზრდილი ლოქო ეწყო, თავისი თეთრი ულვაშებით.

– შენ მამაზე ძლიერი მეთევზე ხარო, მეუბნებიან მეზობელი კაცები, მორცხვად, მაგრამ გამოკვეთილი სიამაყით თქვა ბიჭმა.

მთელი ზაფხული იზრდებოდა მისი ნანადირევის ნუსხა: კობრები, უგვაროები, წვერედიები, ღორჯოები, კიბორჩხალები, გველები. ამ უკანასკნელთ წყლიდან ხელით ამოიყვანდა და მერე გაუშვებდა, თუმცა იქ, მათი დახოცვა, წესად იყო მიღებული.

შევუქე ბიჭს ნახელავი, გველებისადმი, და საერთოდ, ყოველი ცოცხლისადმი გონიერი მოპყრობის სურვილი.

სადილის შემდეგ ბიჭს პატარა პროვოკაცია მოვუწყვე: თუ ასეთი მაგრები ხართ შენ და შენი მეგობრები, აბა, წებრებს თუ დაიჭერთ; წებრებით სავსეა მდინარე, მაგრამ ის თქვენზე ჭკვიანი და ეშმაკია, ასე ადვილად ვერ მოატყუებთ, თუმცა მეტად ხარბია და თავხედიც-მეთქი.

მთელი ივლისი და აგვისტო ბავშვთა ბრიგადა აღამებდა მდინარის პირას, ზღვამდე ჩადიოდნენ, თუმცა ამაოდ. ხორციც სინჯეს მტაცებლის მოსატყუებლად, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოეკიდა თევზი ხორციან ანკესს ღრმა მორევში. ბავშვებმა მისი ამოყვანა ვერ შეძლეს, მეტად დიდი ყოფილა და ძუა გაუწყვიტავს. მთავარი ის იყო, რომ წებრთან მათი რეალური შეხვედრა შემდგარა.

ზღვაზე უნახავთ ერთი კაცი ორი წებრით ხელში, რომელიც ანკესზე თევზისმაგვარ ლითონის ბრჭყვიალას ამაგრებდა თურმე და მისი სწრაფი ამოწევით წებრი შეცდომაში შეჰყავდა.

ბიჭებისგან ასეთი ანკესის შეკვეთა მივიღე და შევუსრულე კიდეც.

წებრის დაჭერა მაინც ვერ ხერხდებოდა.

ბავშვებმაც ჩაიქნიეს ხელი. შეიძულეს ეს მატყუარა, ორმაგ კბილებიანი, თავისივე შვილების მჭამელი, სასტიკი და დაუნდობელი, ლაჩარი და ფსკერზე **მხოხავი, ლამის გველის ტანიანი, ლე**შის მოყვარული, იხვის ტუჩიანი სატანა. ასე მითხრეს გაბრაზებულმა ბავშვებმა, როცა აგვისტოს დასასრულს სოფელში ჩავედი, რადგანაც სწავლა იწყებოდა და ბიჭი ქალაქში უნდა წაგვეყვანა.

მამიდამ ახალი ამბავი ჩამოიტანა. სწავლის დაწყება გადადებულა. ბიჭმა სოფელში დარჩენა მთხოვა, რასაც მისი თანატოლები ტაშით შეხვდნენ.

კვირის ბოლოს კვლავ ჩავედი სოფელში. შაბათის მზიანი დღე იდგა. ბავშვები მდინარეზე იყვნენ გასულები.

გამახსენდა, რომ თოფი უნდა გამეწმინდა. აივანზე გავედი და საქმეს შევუდექი.

ქალების ჩოჩქოლი შემომესმა, მერე ჩემი სახელი ახსენეს, იქ უზარმაზარი თევზებია, თოფის მეტი სხვა ვერაფერი მოერევაო.

ავმჩატდი. ორი მსხვილ საფანტიანი ვაზნა ჩავდე და მდინარეში ჩავედი.

ორი უზარმაზარი ქარიყლაპია, წყლის ზედაპირიდან მტკაველის სიღრმეში გაშეშებულიყო. ფართოდ გახელილი თვალებით მიყურებდნენ: არც შეშფოთება, არც შიში, არავითარი რეაქცია ჩემს ჩრდილზე, ქალების ხმაურზე.

კარგად დავუმიზნე და ვესროლე ორივეს ერთად. წყალი აქაფდა, თევზები გაუჩინარდნენ.

უეცრად ოცამდე ბავშვი დამატყდა თავს. ჩემი ბიჭი მოუძღოდა წინ: ეს რა ქენი მამა, მკვლელი ხარ შენ!

– ახლა მათ გამრავლების დრო აქვთ, ჩვენ მოგვანდეს თავი, რადგანაც ფსკერზე სიცივეა და ქვირითი დაიღუპება, მხარი აუბა მეორემ;

– წებრები **ყველაზე ჭკვიანი, ადამიანის ყველაზე ძველი** მეგობრებია, წყლის ბინადართა მფარველები და სანიტრები, გააგრძელეს სხვებმა;

– ისინი აშორებენ ავადმყოფ არსებებს მდინარეს, რათა დაავადება არ გავრცელდეს, სიცოცხლე გაგრძელდეს;

– ისინი ჩვენს სოფელს მფარველობენ უხმაუროდ, ანადგურებენ კოღოებს, შხამიან გველებსაც კი...

– თქვენ კი ეს არ იცით ან არ გესმით, გამითამამდა ჩემი ბიჭი.

სად ისწავლეთ ყოველივე ეს, ვეკითხები მე.

აი, პაჭუ დეიდას ბიბლიოთეკაში საბავშვო ენციკლოპედიაა, მიდი და ნახე!

შემრცხვა. მეგონა ბავშვები გაბრაზებულნი იყვნენ ქარიყლაპიებზე და მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენას აღვუდგენმეთქი, ამიტომაც ჩავედი მდინარეში.

რა ვიცოდი, რომ ქარიყლაპიასთან ჭიდილში ამ ბავშვებში გაჩენილიყო ღირსეული მეტოქისადმი პატივისცემის გრძნობა, კარგად შეუსწავლიათ ქარიყლაპია და სხვა თევზები, მათი ცხოვრების წესი.

თვალცრემლიანმა ბავშვებმა მიმატოვეს.

სათქმელი არაფერი მქონდა. ჩამოვჯექი და წყლის დაწმენდას დაველოდე.

ფსკერი სუფთა იყო. გამიჩნდა იმედი, რომ თევზები არ დაზიანებულან.

გავიხადე და წყალში ჩავყვინთე, ფრთხილად მოვათვალიერე მორევის ფსკერი, მაგრამ ვერავითარი კვალი ვერ შევამჩნიე.

ნაპირზე ამოვედი და რას ვხედავ: ორი უზარმაზარი წებრი ზუსტად იქ დაბრუნებულიყო, სადაც ადრე იყვნენ. დარწმუნებული ვარ, რომ მეც მნახეს, თოფის ხმაც ახსოვდათ, მაგრამ არავის და არაფრის ეშინოდათ. ისინი მზად იყვნენ სიკვდილისთვის, ოღონდ ახალი სიცოცხლე გაეჩინათ, მემკვიდრეობა დაეტოვებინათ.

ამ მოვლენას კოლხები „ტოფობას“ უწოდებენ, დროს, როცა თევზის ხელყოფა დანაშაულია. მე ეს უბრალოდ გამომრჩა.

ბავშვებს დავუძახე, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გამანდეს, რომ სამი დღეა იციან ამ თევზებზე და არავისთვის უთქვამთ, არც არავის დააჩაგვრინებენ მათ.

კიდევ ერთი კვირა იყო სწავლის დაწყებამდე და ბიჭს უარი ვერ ვუთხარი დარჩენილიყო თევზების ბებიაქალად.

მალე აფხაზეთის ომი, ძმათამკვლელი ომი დაიწყო...

23 სექტემბერს თავდაცვის შტაბის დავალებით ქვედა ზონის სოფლებში ვიყავი და სახლში გავიარე. სოფლის თვალებგაფართოებული ბიჭები შემძვრალიყვნენ ტელევიზორის ეკრანში და ომის კადრებს უყურებდნენ.

ომი ყველას შეეხო, ბუნებრივია თევზებსაც. ომის დროს და ომის შემდგომ მშიერი მოსახლეობა არაფერს ინდობს და ხოცავს.

დაიზარდნენ ბიჭები. ზოგიერთი არც არის ცოცხლებში, ბევრს გაუმრუდდა ცხოვრების გზა.

არ ვიცი, მაშინ რაზე ფიქრობდნენ ტელევიზორთან ისინი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ახლა, ომის მსხვერპლად მიმოფანტულნი ენგურს გამოღმა და სხვა ქვეყნებში, უდანაშაულო მამაკაცების, მოხუცების, ქალების და ბავშვების დაუნდობელი ჟლეტის და წამების, სახლების გადაწვის მოწმენი, ყველა მათ ხელთ არსებული საშუალებებით დაიცავენ საკუთარ და სხვათა ღირსებას.

ქ. ზუგდიდი, 30 მაისი, 1998 წ.

მეწისქვილე

ნარინჯოვანში ცხოვრობს სოფლის საყვარელი ადამიანი, უკვე საკმაოდ ასაკოვანი ბატონი გრიგორი. ომამდე და, ომის შემდეგ

უკვე ფარულად, იგი ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა გალელ ახალგაზრდებს.

აფხაზები არ შეეშვნენ ქართველი მასწავლებლების დევნას და გრიგორსაც დაატოვებინეს სკოლა.

სოფელში, გრიგორის სახლის ახლოს, მეწისქვილის ადგილი გამოჩნდა. მასწავლებელი მეწისქვილე გახდა.

საინტერესო ადგილი კია წისქვილი. აქ ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე ხალხი ტრიალებს, ათას ჭორს და სიმართლეს ჰყვებიან. წისქვილი საინფორმაციო ცენტრია უპატრონოდ დაგდებულ სოფელში, სადაც ათასში ერთხელ თუ აინთება ცისფერი ეკრანი.

ომის დამთავრების პირველი დღეებიდანვე რეჩხის დასახლებაში აფხაზური ადმინისტრაცია განლაგდა, რომელსაც უშიშროების სამსახურიც აქვს. ამ სამსახურს ერთი უცნაური აფხაზი, **ბესლახუ**ბელი ყვაპუ განაგებდა.

უბრალო და განათლებული კაცის სახელის დამკვიდრებას ცდილობდა ყვაპუ. მას, პასპორტში სხვა სახელი ეწერა, მაგრამ რატომღაც ეს სახელი მოსწონდა, ამაყობდა კიდეც, მეგრელმა ბებიამ შემარქვაო დიდი კაცების: ყვაპუ შარვაშიძის, ყვაპუ ჩხოტუას, ყვაპუ მარღანიას პატივსაცემადო.

ყვაპუ ხშირად სტუმრობდა წისქვილს.

ყვაპუს **ბევრ რამეზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა, მო**ნასმენს და მონაყოლს, ჭორს თუ მართალს იმახსოვრებდა, მერე თავისად ასაღებდა.

მეწისქვილესთან დამეგობრდა. იგი თავის საქმესაც აკეთებდა, თანაც, ეჯიბრებოდა მეწისქვილეს ჭკუასა და გონებამახვილობაში, რაც მის გაქილიკებაში გადადიოდა.

ერთ საღამოს ყვაპუ ეახლა წისქვილს, საკმაოდ ნასვამი ჩანდა. კარგ ხასიათზე იყო, ამიტომაც დაიწყო და დაიწყო:

–„მეგრელები აფხაზები იყვნენ ადრე, ისევე, როგორც ძველი რუსები, ფრანგები, ინგლისელები, ყაბარდოელები, **ადიღები, ჩერ**ქეზები, თურქები, ეთიოპელები, ინდოელები. ერთ დროს მსოფლიო აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა. აი, გუშინ, რადიოში მოვისმინე, რომ ევროპელმა არქეოლოგებმა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ჩემი ჭკუით, ერთ დროს აფხაზეთი იყო, ორი მილიონი წლის წინანდელი აფხაზი კაცის თავის ქალა ნახეს. დაფიქრდით, რა ხდებოდა თურმე, - ჩვენ და ოსებმა შევურჩიეთ სახელი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს, **დუნაი აფხაზურია, თამარ მეფე აფ**სართა ენაზე მეტყველებდა, მისი შვილი აფხაზეთში იზრდებოდა. რამდენი მაგალითი მოგიყვანოთ კიდევ.

თქვენ უნდა ამაყობდეთ, რომ მეგრული ენა დამახინჯებული აფხაზურია, ამიტომაა, რომ აფხაზები ადვილად ვსწავლობთ მეგრულს. აი, **ქართები, ისინიც, ვფიქრობ, დამახინჯებული მეგრულით** ლაპარაკობდნენ ადრე. აუუ, რა გამოდის, ქართული ორჯერ დამახინჯებული აფხაზურია, ამიტომაც ვერ ვუგებთ ერთმანეთს. მათ აფხაზებს დამწერლობა მოჰპარეს. არა და, კარგად ვიცი, ეს ანბანი საუკეთესოა მსოფლიოში. ვეფხისტყაოსანიც ჩვენი შექმნილია, ქუთაისიც ჩვენი იყო...

– გასაოცარია, საიდან იცით ამდენი, ნახევრად ხუმრობით შეაპარა მეწისქვილემ და იქ მყოფთ თვალი ჩაუპაჭუნა.

–„მე თბილისში ვსწავლობდი, მაგრამ პირველი კურსი არ დამამთავრებინეს საზიზღარმა ლექტორებმა; ლამაზი ვარ და ქალები არ მაძლევდნენ მეცადინეობის საშუალებას. ქართში ვერ ავიტანე ზაფხულის ბუღი, მუდმივი ქარები, სიცხე და რა მექნა, გამოვიქეცი ჩემ საყვარელ ბესლახუბაში.

კარგი გოგონები ჰყავთ ქართველებს: **მოდნიცები, პარიზელებს** ეჯიბრებიან სილამაზესა და მოდაში, მაგრამ შეადარე წელებამდე ნაწნავებიან აფხაზ ქალიშვილებს. ან რა წესი აქვთ, სულ უნდა დაგცინონ, გაგაშაყირონ, ხელმკლავი გაგიკეთონ. აფხაზკა ასეთ რამეს არავის აკადრებს და არც არავის მისცემს მიკარების უფლებას. ჩემმა გოგონამ ვინმეს მკლავი გააყრევინოს მკლავში, მოვკლავ, დავახრჩობ ჩემივე ხელებით.

– რა საინტერესოდ საუბრობ, საიდან ასეთი განათლება, ყოვლისმცოდნეობა, შეაქო მეწისქვილემ ყვაპუ.

– ერთ საიდუმლოს გეტყვით: მე საოცარი უნარით დამაჯილდოვა გამჩენმა, თვალს დავხუჭავ და ვხედავ რაც იყო ძველად, ვინ ვიყავი წინა ცხოვრებაში, რა ხდება ახლა და რა მოხდება მომავალში. მე, თქვენ სწორად გამიგეთ, წინასწარმეტყველი ვარ, მაგრამ არავის სჯერა, აი, ჩემს უფროსსაც კი.

– საინტერესოა, კვერი დაუკრა მეწისქვილემ, მითხარი, მაგალითად, თუ ვინ ვიყავი მე წინა ცხოვრებაში.

გახარებულმა **ყვაპუმ ძლივს იპოვა მისი სასწაულების მომსმენი** და განაგრძო:

– შენ ძველადაც მეწისქვილე იყავი, ოღონდ ბავშვობიდან, მამაშენიც, ბაბუაშენიც მეწისქვილეები იყვნენ; შენ ტყუილად დაიბრალე მასწავლებლობა, ბავშვებს ატყუებდი ამდენი წელიწადი, აფხაზეთის სახელმწიფოს რაღაც მახინჯი ენისთვის სცინცლავდი ფულებს, აბრიყვებდი ბავშვებს. სხვა საქმე იქნებოდა გესწავლა აფხაზური, მერე რუსული, გაგენათებინა ბავშვების გონება ნამდვილი ენებით, ცოდნით.

მეწისქვილე გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა და მისთვის ჩვეული სიდინჯით უპასუხა:

– როგორც ყოველთვის მართალი ხარ ყვაპუ, ყველაფერში მართალი, შენ ნამდვილი წინასწარმეტყველი ხარ. მეც ვიცი, რომ წინა ცხოვრებაში ნამდვილი მეწისქვილე ვიყავი, წყლის წისქვილში ვაღამებდი და ვათენებდი; შენი წინა ცხოვრებაც კარგად მახსოვს, შენც კარგად იცი, რომ შენ ძველად ვირი იყავი, შენი პატრონის საფქვავი მოგქონდა სამმაგად მოკაკულს. მე მეცოდებოდი და ურიგოდ გიშვებდი. ჩვენ მაშინაც გვიყვარდა და პატივს ვცემდით ერთმანეთს...

სიჩუმე ჩამოვარდა.

ყვაპუსთვის სოფელში ასეთი რამე არავის უკადრებია. შეცბა, მაგრამ თვითონაც მიხვდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა და სიცილი წამოიწყო. მას იქვე მყოფებიც აჰყვნენ, მეწისქვილის ჩათვლით. ზოგიერთს თვალებიდან ცრემლი წასკდა. შიშის, წამების და ძალადობისგან წლობით გაუხარელ სოფელში რაღაც ახალი და გონივრული ითქვა.

ყვაპუ მეწისქვილისგან არ მოელოდა ასეთ პასუხს, ეგონა ვერ გაუბედავდა. საათს დახედა და მოიბოდიშა: აუუ, რა დრო გასულა, უფროსი მელოდებაო კაბინეტში. ავტომატი მხარზე მოიგდო და ჩქარი ნაბიჯებით გაერიდა იქაურობას.

ისევ ახალი ძალით იფეთქა სიცილ-ხარხარმა წისქვილში.

მეორე დღეს მთელი სოფელი იცინოდა და უღრმავდებოდა იმ უბედურებას, რომელიც მას დამართეს და რაც ასე ბრძნულად გამოხატა ერთ წინადადებაში ბატონმა გრიგოლ მეწისქვილემ.

ზუგდიდი, 8 აგვისტო, 2004 წ.

რწმენის ფესვები

ენგურის ხიდზე გადასვლა მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ვისაც საბუთები წესრიგში აქვს, სირთულე საბაჟო გადასახადია – სულზე ასი მანეთი. თუ პროდუქტი მიგაქვს, ან პირუტყვი გადაგყავს, საქმე უფრო ცუდადაა, გადასახადი სამმაგდება.

ასეა ყოველთვის, ზამთარში, ზაფხულში, გაზაფხულზე, შემოდგომაზე, მზეში, თოვლში თუ წვიმაში. თუმცა არის გამონაკლისი, როცა ქვეყანაში დიდი საეკლესიო დღესასწაულებია და მე-

ბაჟეები და მესაზღვრეები გუდაუთელები ან უცხოტომელები არ არიან.

მდინარის გადალახვა ძალზე ძვირია, მაგრამ მოსახლეობას სხვა არჩევანი არა აქვს – ენგურს გაღმა შვილები და შვილიშვილებია, დახმარების გარეშე მათი ფიზიკური გადარჩენა საეჭვოა, ამასთან გალში არსებობისთვის პირველი მოხმარების საქონელი აუცილებელია, არც ცხოველი და ფრინველი იზრდება წამლობის გარეშე.

თუმცა ეს მხოლოდ გალელებს არ ეხება, აფხაზეთის ბევრი ქალაქიდან და სოფლიდან უამრავი აფხაზი გადმოდის საყიდლებზე ენგურს გამოღმა, ძირითადად ქალები.

შობის, ნათლისღებისა და აღდგომის დღესასწაულებზე ხიდზე მოძრაობა იზრდება.

გადაიხადეთ, იძახის მებაჟე: ცხვარზე – სამასი მანეთი, თიკანი - ორასორმოცდაათი მანეთი, ინდაური – ასი მანეთი, ქათამი – ორმოცდაათი მანეთი.

– ამდენი არ მაქვს, პასუხობს ზუგდიდისაკენ მიმავალი.

– არ ვიცი, კანონი კანონია, მკაცრად პასუხობს მებაჟე.

– გამიგე, ბიჭი მიმყავს მოსანათლად, დღეს ხომ ნათლისღებაა.

– რატომ არ ნათლავთ აფხაზეთში?

ჰკვირობს მებაჟე.

– იცით, გალში ეკლესია არ მოქმედებს, არც მღვდელია.

– მერე და, ხომ გვაქვს ილორი, ნიშნის მოგებით ეხმიანება მებაჟე.

– ილორამდე საშიშია, თანაც იქ რუსულადაა წირვა, გაუგებარია.

– კარგი, წადით, მოლბა მებაჟე, რა გიყოთ აბა, გფარავდეთ მამაზეციერი, წადით!

– ჰო, არ დაგავიწყდეთ, იქნებ ბიჭს ნათლობის სახელად რუსლანი დაარქვათ, ჩემი სახელია, მიაძახა მებაჟემ უკვე ხიდზე შემდგარ ოჯახს.

რამდენიმე წუთში სხვა მებაჟე დავობს ახალგაზრდა, შავებში ჩაცმულ ქალთან და ასაკოვან მამაკაცთან:

– ორასი ლარი თქვენი, ცხვარი, ხელჩანთა?

– შეპირებული ვარ ვილოცო, ცხვარი შევწირო, ღმერთმა უმცროსი შვილი გადამირჩინა, როცა შევეხვეწე, უფროსი კი ჩემი უგუნურობით დამეღუპა, პასუხობს შავოსანი.

მებაჟემ მიიხედ-მოიხედა, მერე პირჯვარი გადაისახა, ჩაფიქრდა.

დრო გაიწელა.

– რა ვქნათ? - ეკითხება ასაკოვანი მამაკაცი.

– წადით, წადით, მეც მყავს ომში შვილი დაღუპული... აი, თქვენი ორასი ლარი, თუ მოახერხე, ნაკურთხი წყალი გადმომიტანე, ჩემს შვილზეც ილოცეთ!

მებაჟე ცრემლებს ვერ იკავებს.

დრო თავისას აკეთებს. ასეთ დიალოგებს ამჟამად ხშირად გაიგონებთ ენგურის ხიდზე, თუმცა ისეთი მებაჟეებიც არიან ხანდახან, რომ უფულო ადამიანებს შინ დაბრუნება უწევთ.

თვითმხილველთა თქმით, აფხაზი ოჯახებიც დადიან სამეგრელოს ეკლესიებშიო, ზოგი ინათლება, ზოგი ცოდვებს ინანიებს, ზოგიც ზიარების საიდუმლოში მონაწილეობს. არიან ისეთებიც, რომლებიც, საშობაო და სააღდგომო ღამისთევებს არ აცდენენ, როგორც მათი და ჩვენი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში.

ქ. ზუგდიდი, ივლისი, 2004 წ.

ამორძალის ოქროს ისარი

ყოველ შესვენებაზე კოკა დადეშელს აფხაზ ბიჭებთან მიუწევდა გული. ჩვენც ვმეგობრობდით მათთან, მაგრამ ოდიშელი კოკას დამოკიდებულება მათ მიმართ გამორჩეული იყო, რაც გვაკვირვებდა კიდეც.

რას არ ასწრებდა კოკა; აფხაზებთან ნაქეიფარი, ჩვენს სუფრასაც შემოუერთდებოდა, ორი-სამი უჩვეულო სადღეგრძელოთი სიყვარულსა და სითბოს ჩამოგვირიგებდა და სადღაც გაიქცეოდა.

მეცადინეობით არ იკლავდა თავს, მაგრამ მოჭარბებულად ჰქონდა ის, რასაც სიყვარულის ნიჭი ჰქვია.

სტუდენტური სამშენებლო ბრიგადა ამჯერად ცელინოგრადის ნაცვლად, მშენებარე ენგურჰესზე გაგვაგზავნეს.

შეცბუნებულნი ვიყავით მშენებლობის თავზარდამცემი მასშტაბით, დამპროექტებელთა და მშენებელთა გაბედულებით. ენგურჰესი ხომ ყველაზე გრანდიოზულია მათ შორის, რაც კი საქართველოში ადამიანის ხელით შექმნილა.

დამხმარე გვირაბში გამოგვიყვეს სამუშაო უბანი. ახლაც ჩამესმის ყურში გვირაბში აფეთქების საზარელი ექო და სატვირთო ავტომანქანების და ბულდოზერების ქარავნების დამთრგუნველი გრუხუნი.

ჩეღალის დასახლების სასტუმროში ვცხოვრობდით. ეს ახალი დასახლება იყო, რომელიც ენგურჰესის მიწისქვეშა ძალოვანი კვანძის მშენებლებისთვის ააშენეს.

შაბათ-კვირას ვისვენებდით. ავტობუსებით ექსკურსიებზე დავყავდით, უმეტესად მშენებარე ობიექტებზე, საღამოობით ფეხბურთს ვთამაშობდით. ჩეღალში იმ დროისთვის უჩვეულოდ კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი იყო, რომელსაც თავისი საცურაო აუზიც ჰქონდა.

შაბათს ჩეღალის მშენებელთა ძლიერმა გუნდმა თამაში ერთი ბურთის სხვაობით წააგო ჩვენი ინსტიტუტის რუსული სექტორის ბიჭებთან. გვეწყინა, კვირას ჩვენ უნდა გვეთამაშა მათთან.

თავი არ დავზოგეთ და თამაშის ბოლოსთვის ორი ბურთით დავწინაურდით. ჩვენდა გასაკვირად სტუდენტური რაზმის ხელმძღვანელი მოედნის გვერდით ხაზთან მოვიდა და ქართველი კაპიტანი გაიხმო, უთხოვია, თამაში ყაიმით დაამთავრეთ, ასე აჯობებსო.

გავფიცხდით, არ დავთმეთ. თამაში უხეშობაში გადაიზარდა, არ ვინდობდით ერთმანეთს, თუმცა კოკა გვეხვეწებოდა, ნუ იზამთ ამასო. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე აფხაზმა ბიჭებმა მსაჯთან იკამათეს და მოედანი დატოვეს.

გასახდელში ვიჩხუბეთ. გაგვაშველეს. ვიღაცამ კოკას მოღალატეც კი უძახა. კოკა გაუჩინარდა.

* * *

ის იყო საწოლებში დავეყარენით, როცა კოკა და ლიხნელი სერგი ლაზბა ოთახში შემოვიდნენ. მოგვიბოდიშეს, უნდა ვისაუბროთო. უხალისოდ დავეთანხმეთ.

კოკამ წამოიწყო: ასე არ შეიძლება ღამის გაშვება, დილას მტრებად ხომ არ უნდა შევხვდეთ ერთმანეთსო. სერგიმ შემოგვთავაზა სასადილოში სასაუბროდ წასვლა და ხარჯის თანაბრად გაყოფას დავთანხმდით.

რატომღაც განსაკუთრებული პატივი დაგვდეს და სამშენებლო უბნის ხელმძღვანელთა სასადილოს დიდ დარბაზში მიგვიწვიეს, სუფრას პირმშვენიერი რუსულენოვანი გოგონები ემსახურებოდნენ და მუსიკალური ბენდიც უკრავდა.

თავი გამოიდეს ენგურჰესის მშენებლობის ახალგაზრდა მეთაურებმა, ამაღამ ყველა მშენებელთა სტუმარია, ამიტომ თამადა ჩვენი იქნება და წესებიც ჩვენებურიო.

თამადად მეტად ახალგაზრდა კაცი აირჩიეს, რომელსაც რატომღაც მშენებლის სპეცფორმა ეცვა, მის ქვეშ თეთრი პერანგი და მოდური ჰალსტუხი ეკეთა.

გაგვაოცა თამადამ. დინჯად ჰყვებოდა წარსულის ისტორიებს და სიტყვათა წყობის ქართულ ტექსტში ისე ბუნებრივად ამარგალიტებდა აფხაზურ და რუსულ ფრაზებს, რომ ჩვენ და, განსაკუთრებით აფხაზი ბიჭები თვალში შევციცინებდით თითქმის თანატოლ თამადას. ეს იმდენად ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო, რომ სირცხვილი იყო საღამოს წყენის და ფეხბურთის ბატალიების ხსენება.

მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ეს აბაშელი ყმაწვილი მოველ ჭაავა, მუშად მიუღიათ მშენებლობაზე, ამასთან გამჭრიახი გონებისა და არაორდინარული უნარების წყალობით მალე წამყვანი სამმართველოს მეთაურად დაუწინაურებიათ. ისიც გავიგეთ, რომ ამ ბიჭს იმ დიდი ქვეყანაში ჰიდრომშენებლობებზე წარმოქმნილ ყველა უიმედო სიტუაციაში მხსნელის ფუნქციაც ჰქონია დაკისრებული, ამიტომ ხშირად უწევდა გადაფრენები ობიექტიდან ობიექტებში.

საინტერესოდ თამადობდა მოველი, ჩვენ კი მხოლოდ ისღა დაგვრჩენოდა, გვეთქვა ამინ, და დაგველია.

კოკამ, რომელიც გვიან შემოვიდა, სიტყვა ითხოვა, ხელში დაფლეთილ ქსოვილში შეხვეული რაღაც ნივთი ეკავა.

– მე და ლიხნელი აფხაზი სერგი ახლობლები ვართ, ჩვენი პაპის პაპები დადიანებს და შარვაშიძეებს ერთგულობდნენ და იმ ძმადშეფიცულების სიტყვას დღემდე ვვერთგულობთო, დასტურად აი, ამორძალის მოოქრული ისარიო და შეხვეულის გახსნას შეუდგა. მოულოდნელობამ დაგვაბნია და სანამ გონს მოვიდოდით, სერგიმ და კოკამ ეს ნივთი თამადის წინ მოწიწებით დაასვენეს.

* * *

ბედიის რეზიდენციაში ოდიშის მთავარს ლევან დადიანს მთებიდან ამბავი მოსვლია: ერთი რომელიღაც ხალხი თავისი სამშობლო ქვეყნიდან გამოსულა და სამ ნაწილად გაყოფილაო; ერთი ნაწილი მოსკოვის სახელმწიფოს დასხმია თავს, ხოლო დანარჩენ ორს სვანების და ყარაჩაელების დასარბევად გამოუწევიათ. ისინი ყველგან უკუაგდეს თურმე, მრავალიც მოუკლავთ. მეომრებში მრავალი ქალი ყოფილა. ამის დასამტკიცებლად დადიანისთვის იქიდან იარაღის სხვადასხვა სახეობა ჩამოუტანიათ. დადიანი თურმე გაუოცებია იარაღის სილამაზესა და სიკოხტავეს.

მოგვიანებით აფხაზეთის და ოდიშ-საბედიანოს ერისთავებს რჩეული მეომრები გაუგზავნიათ სვანების და ყარაჩაელების დასახმარებლად ამაზონების წინააღმდეგ ახალ ომში. სერგის და კოკას წინაპრებიც შამადავლე და ვამეყი ყოფილან მათ შორის. ბევრი ჩვენებური დაღუპულა. გადარჩენილან ჩვენი ბიჭების წინაპრები.

ამორძალებთან სასტიკ ბრძოლებში ერთმანეთისთვის ზრუნვას ისე დაუახლოებია ისინი, რომ ვენები გადაუხსნიათ, ძველთა წესი-სამებრ და ძმობის ფიცი დაუდგენიათ.

როცა ვამეყი დაღუპულა ჯიქეთის მთებში, დიდი პატივით დახ-ვედრიან ლიხნში.

აფხაზური ჩვეულებით უკვე ხეზე დაკიდებული ძმაკაცისთვის მიუსწრია მეგობარს. გადარეულ კოდორს შეუფერხებია აფხაზეთ-ში გადასვლა, დამფრთხალა მისი უშიშარი ბედაური.

როგორც კი გამოჩენილა იგი ლიხნის დიდ, მწვანე ველზე, ვა-მეყის თეთრი ულაყი მიურთმევიათ ჭენებით მოსაკვდინებლად. 341 ჯერ შემოურბენია დიდი მწვანე ველისთვის კოკას წინაპარს, სანამ ცხენი დაეცემოდა დაღლისგან. ასეთი რამ ადრე არ მომხდარა და აფხაზთა ბრძენ მთავარს, მადლიერების დასტურად ამორძალის ოქროს ისარი, ყარაჩაელთა მთებში ძმადნაფიცთა ყველაზე ძვირ-ფასი ნაალაფ, უბოძებია შამადავლესთვის და დაუმოძღვრია: სანამ იარსებებს ეს ისარი, თქვენი და ჩვენი მოდგმა ვალში ვიქნებით ერთმანეთის წინაშეო.

ასე გადადიოდა ამორძალის ისარი დადაშელების ყველა თაო-ბიდან თაობაში და ბოლოს კოკას მამის სახლში დაუდვია ბინა.

* * *

ქეიფი გაგრძელდა. თამადა მოკლედ შეეხო მოოქრული ისრის ისტორიას, კოკას და სერგის მადლობა უთხრა სიურპრიზისთვის და დაამატა:

– დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭების ნათქვამი ლამაზი ლეგენ-და არ არის. აი, 1654 წელს იტალიელ მისიონერს რომში გამოუცია წიგნი კოლხეთზე, სადაც ნახსენები აქვს ამორძალების ისტორია. ეს მისიონერი ორი წელიწადი გორში ცხოვრობდა თურმე, შემდ-გომ აქეთ გამოუწევია და 16 წელიწადი ენგურს გაღმა, ისტორიულ წიფურიაში უცხოვრია. წიგნს პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაუდვია ბინა, არსებობს მისი ქართული და რუსული თარგმანე-ბიო.

ჩვენ ტაში დავუკარით.

მზე კავკასიის ქედებიდან გადმოგორდა, საბერიოს ბორცვებ-ზე ოდნავ ჩაიმუხლა და ჩეღალის ბინდბუნდს შეეტაკა. თენდებოდა უკვე. ახალი ცვლა შედიოდა გვირაბებში, მალე ქალების და ბავშ-ვების ჟივილ-ხივილმა აიკლო დასახლების ქუჩები.

ლხინიც დასრულდა და ჩვენც დავიძარით. აფხაზმა ბიჭებმა ისურვეს და მათთან ერთად ტანგაუხდელად გადავცვივდით სა-ცურაო აუზში.

* * *

ამ ამბებიდან ორ ათეულ წელიწადში აფხაზეთში ვითარება ისე გართულდა, რომ იმ საოცარი სუფრის წევრებსაც არ გაგვხსენებია ერთმანეთი.

გუმისთის პლაცდარმის გაღმა და გამოღმა აღმოჩენილან კოკა და სერგი.

ომის დასასრულს ბრმა ტყვიას გაუვლია კოკას სიყვარულით სავსე გულში.

დღემდე ეძებენ ამორძალთა ოქროს ისარს აფხაზეთსა და ოდიშში, მაგრამ აქამდე ვერ უპოვიათ.

მხოლოდ ომსა და მტრობაზე გამარჯვებული ენგურჰესი დგას მტკიცედ და შეურყევლად, ქვეყნის და ხალხის ერთობის უძლეველობის დასტურად.

ჯვარი-ზუგდიდი, 19 იანვარი, 2001 წ.

ლენქერი

– ქრისტეს აქეთ აფხაზეთის მთებში კლდოვან ბილიკებს განაგებენ ჩვენი მწყემსები, რომელთაც უფალმა უკვდავება უბოძა. მათ ხელი მიუწვდებათ ღვთისმშობლის კვართზე და ყველა სნეულებას კურნავენო“-განაცხადა მოხუცმა ლაზმა რუსთაველის პროსპექტზე, ქაშუეთის წინ...

დილის ბინბუნდში ჯერ კიდევ მძინარე ადამიანები ავტომატების კაკანმა წამოყარა ფეხზე, მერე ქალების თავზარდამცემმა კივილმა შეძრა არემარე.

თებერვლის დამდეგის ცივ, თოვლიან დილას იწვოდა ოქუმი და მისი მიმდებარე სოფლები.

საღამოსთვის მდინარე ოქუმის ხეობის სიღრმეში დაუსრულებელ წვრილ შავ ზოლად მიიკლაკნებოდა ადამიანთა ნაკადი.

წინ ღუმურიშის მთისწინეთი იყო, მერე ოჭაკეს და ოხაჩქუეს ორსაჟენიანი თოვლით დაზვინული მთები, მერე თავდაღმართი-მუჟავისა და ჭალეს გაყინული თეთრი დამრეცები. ადამიანებმა მესამე დღისთვის უკვე იცოდნენ სად მიდიოდნენ: ჯოჯოხეთში მოსახვედრად სიკვდილი აუცილებელი სულაც თურმე არ არის.

* * *

მუჟავას ზეგანზე მაშველთა მიერ ჩამოყვანილები დამუნჯებული და გაშეშებულები იდგნენ. საკაცეები მატულობდა. ენ-

გურსგამოღმიდან ჩასული ახლობლები და ცნობისმოყვარეებიც მოსაგერიებელი გახდა. ლოყებ დასისხლიანებული ახალგაზრდა ქალი ქანდაკებასავით გაუნძრევლად იჯდა უზარმაზარ ლოდზე. მას ბევრი ეკრძალებოდა, რადგან მის გარდა ყველამ იცოდა ყინულოვანი გოლგოთიდან ჩამოტანილი ამბავი: მისი შვილი კობა თოვლში გაიყინა და მწყემსების მიტოვებულ საზაფხულო სადგომში დატოვესო.

ოქუმიდან გამოსვლის მეთხუთმეტე საღამოს, სამად მოხრილმა მოხუცმა ზურგზე ატატებული კობა ჩამოიყვანა აღმოსავლეთის გორაკებიდან, მოიბოდიშა-გზა დამებნაო და ბარიერს მიღმიდან მომლოდინე ხალხს შეერია.

ადამიანები გაოგნებული თვალებით შესცქეროდნენ კობას, როგორც სასწაულს, ცდილობდნენ შეხებას, მოფერებას. ის მეტად დაღლილი და გათოშილი ჩანდა, მაგრამ თვალები უციმციმებდა.

ექიმებმა თავისი გაიტანეს და კობა და დედამისი მანქანაში გადაიყვანეს.

კობას გვარი დავიმახსოვრე და საკმაოდ მოზრდილი სისხლიანი იარა მის შუბლზე. ამ ამბებიდან მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ შემახვედრეს აფხაზეთიდან რამდენიმე დღით გამოსულ კობას, ისიც იმიტომ, რომ ოჭაკეს მთების სასწაულზე მისგან გამეგო რამე.

* * *

მოლოდინი არ გამართლდა. სასწაულზე რა გითხრათ, მეუბნება კობა, თუმცა თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ამას მეკითხებითო.

არ ვეშვები.

– ბევრი დრო გავიდა, მაგრამ რა დამავიწყებს სპეტაკ თმა-წვერიან მწყემსს, როცა თბილ ოთახში გავახილე თვალი. თივაზე ვიწექი, ძალა არ მქონდა, ენა პირში არ ეტეოდა-პირი თითქოს ქვებით მქონდა გამოტენილი, სინათლე მაშინებდა. მოხუცმა თავზე გადამისვა ხელი, რძე დამალევინა; ჯამი ჯერ შავი იყო, მერე განაცრისფერდა, მერე თეთრი გახდა, მერე ირგვლივ ყველაფერი გათეთრდა, ქოხის კედლებს თეთრი ზეწარი ჩამოეფარა, მოხუციც თეთრებში გამოეწყო. თეთრმა მოხუცმა მითხრა: კარგი ბიჭი ხარ, ერთი კვირა გეძინა, ცოტა ხანში ისევ დაიძინე, ძალა უნდა მოიკრიფო შენებთან წასასვლელადო. ასე იყო კიდევ რამდენიმე დღე. ყოველ გაღვიძებისას იქაურობა შავ-თეთრი იყო, შემდეგ ჩემი ნაცრისფერი ქურქი, რეზინის ჩექმები, შავი თხები, ჭირხლით დაბურული ნაძვები და წიფლები ისევ თეთრდებოდნენ. მოხუცი თბილ რძეს და ყველს მომიტანდა, წინ დამიდებდა და მეტყოდა: დალიე თვითონ, დროა, უკვე შეგიძლიაო და გაუჩინარდებოდა. თვალებს რომ დავხუჭავდი, მოვიდოდა, ფეხებს, ზურგს, კისერს, ხელის მტევნებს თხის ქონით

დამიზელდა. ერთ საღამოს მითხრა: წამოდექი, სიარული უნდა ვისწავლოთო. ვერ წამოვდექი, ფეხებს არ ვგრძნობდი. წამომაყენა, გრძელი და გაძვალტყავებული ხელები მომკიდა, ფეხის ადგმაში დამეხმარა. მალე სიარული ვისწავლე, მოხუცთან ერთად გარეთაც გავედი. ჭირხლიანი ნაძვები და წიფლები ძველებურად თეთრები არ იყვნენ, ცასაც შეჰპაროდა სილურჯე.

მოხუცს სიზმარი მოვუყევი ცეცხლწაკიდებულ სახლებზე. ყურადღებით მისმინა. არ იფიქრო ამაზე, მეც ბევრჯერ მინახავს, შენს დღეშიც ვყოფილვარ, უარესშიც, შეეცადე დაივიწყოო. ნუ გეშინია, შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ, უცოდველი, მთავარი მწყემსი და მისი დედა გმფარველობსო.

თანდათანობით გონება მინათდებოდა, მახსენდებოდა გვირაბები თოვლში, უცნობი ადამიანები, რომლებსაც ხელით მოვყავდი.

ვერ ვიხსენებდი როგორ აღვმოჩნდი ქოხში, ვინ იყო ეს უსაშველოდ მაღალი, მუდამ მომღიმარი და რძის და თაფლისუნა ბაბუა. ვეკითხებოდი, აქ როგორ მოვხვდი, თქვენ ვინ ხართ-მეთქი, არ მპასუხობდა, გრძელ წვერზე ხელს მოისვამდა და იღიმოდა. შემიყვარდა ეს თეთრი, ლამაზი ბაბუა, რასაც მეტყოდა, დაუფიქრებლად ვაკეთებდი.

იქ ადრე ღამდება. ბაბუა თხებს გასწევდა და ჩემს გვერდით დაწვებოდა, მკერდზე მიმიკრავდა. ერთხელ დილით მითხრა, ხვალ წავალთ შენიანებთან, მოემზადე, ჭამე, დალიე, შორი გზა გვაქვსო სავალი, გაგაცილებ და დავბრუნდებიო.

მეწყინა, უშენოდ არ წავალ-მეთქი. გაიღიმა და მითხრა, შენისთანა კარგი ბიჭები კიდევ მყავს მოსავლელი, რას ფიქრობ, მივატოვო?

თქვა და ადგა, ჯოხი აიღო და გარეთ გავიდა.

დილით ადრე გამაღვიძა. ლენქერი, როგორც მან ერთხელ თქვა, უკვე არ მეცვა, ვერ გავიხსენე როდის გავიხადე.

ბევრი ვიარეთ. ნაშუადღევს ყველაფერი კვლავ თეთრში გაეხვია, ყველაფერი მხოლოდ თეთრი იყო. მიხვდა მოხუცი, დამამშვიდა: არ შეგეშინდეს, ასე იცის მთამ და დიდმა თოვლმა, ამიტომ არჩიეს ადამიანებმა ბარში ჩასვლა, მდინარეების და ზღვისპირებში დასახლებაო; მაგრამ ვიღაც ხომ უნდა იყოს მთაში, რათა უფლის და ქვეყნის ამ სამოთხეს მიხედოს, ადამიანთა დავიწყებულ გზას და სადგომებს მოუაროს, გზააბნეულს უმეგზუროს, მგელს და დათვს ესაუბროს, ღიჭას მოშიშვლებული ფესვები დამალოს, არწივის თავისუფლებით დატკბეს, გაჭირვებულს დაეხმაროს, ადათი

და ჩვეულება შეინახოს, გაველურებულ თხებს მოუაროს, ბავშვები დამოძღვროს. აბა, სხვა რისთვისაა საჭირო მოხუცი კაციო.

მოხუცის ნათქვამმა ჩემი ბაბუა გამახსენა, ადრე გარდაცვლილი ბაბუა. ისიც ასეთი იყო, ისიც ზაფხულში თხებს აძოვებდა ერცახუს მთებში, ისიც ასე მელაპარაკებოდა, ისიც ასე მეფერებოდა.

დაბლა ვეშვებოდით, დამრეცზე, ფეხი მიცურდებოდა. მოხუცმა ზურგზე შემისვა. კიდევ ბევრი ვიარეთ. მერე იყო, რომ დედა ტიროდა, ქალებს ხელიდან ხელში გადავყავდი, სანამ თბილ მანქანაში აღმოვჩნდი.

რა არის ამაში სასწაული? ნიშნისმოგებით მიღიმის კობა.

– მეტი არაფერი? ვეკითხები ეჭვნარევად.

კობამ თავი დახარა, ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია, შემომხედა და გადაწყვეტილად თქვა, ვხვდები რასაც ფიქრობ, მაგრამ მეტი არაფერი ვიციო. ამ ზაფხულს ბიჭებთან ერთად უთუოდ ავალ ოჭაკეს მთაში, იქნებ მწყემსი ვნახო, მოვეფერო.

ერთი მეგობარი მამაოს რჩევაც გადავეცი: ლენქერის ეკლესიაში სანთელი დაანთოს, მადლი უთხრასო ღვთისმშობელს.

ამაზეც შევთანხმდით.

* * *

ენგურის ხიდამდე მივაცილე. აქ უამრავი ხალხი ირეოდა, უმეტესობა ასაკოვანი ჭაღარა. მომეჩვენა, მათ შორის სამგზისმოხრილი სპეტაკი მოხუცი მწყემსი იდგა, და დინჯად გაჰყურებდა ენგურსგაღმა სივრცეს.

გულზე მომეშვა, ნაღველი გაქრა: ალვასავით აშოლტილი, წელწვრილი ყმაწვილი კაცი მამა-პაპური სიამყით ბრუნდებოდა ახალი რუქებიდან მთლიანად და ჩემი თანამედროვეთა მეხსიერებიდან ლამის წაშლილ საბედიანოში, ბრუნდებოდა ჩემ და სხვების ნაცვლადაც.

იცის კი კობამ საბედიანო, ბედობასა თუ უბედობაში საქართველოს მეფეთ-მეფეთა უერთგულესი ხალხი, მიწა და დასაყრდენი?

ვინანე რომ არ ვკითხე, თუმცა არ მეეჭვება, რომ იცის...

27 სექტემბერი, 2007 წ.

დიდი ჭყონი

უკუნ ღამეში დაქანცული მგზავრები კანტი-კუნტად გადაუგდებდნენ ერთმანეთს სიტყვას. მხნედ იყო ანდრია, მალე მეგზური უნდა გამოჩენილიყო. მასთან დაისენაკებენ, ილოცებენ, დანაყრდებიან უცხო ქვეყნის თაკარა მზით მოთენთილი, გახუნებული, მშიერ-მწყურვალი, მტვერში ამოგანგლული მგზავრები.

მუხის ფუტურო კუნძები ავად ციმციმებდნენ ბუჩქებსა და გზისპირებში. დამპალი კუნძებიც დიდი ჭყონის წმინდა ნაწილებად იყო მიჩნეული, ამიტომაც ხელშეხებული.

ფეხის ხმა მოესმათ. ორი ქალი და მამაკაცი, ქურდებივით მოიპარებოდნენ წინიდან.

კვნესოდა **შუანა ქალი. ხელით მოჰყავდათ. მიხვდა ანდრია, რა**ღაც უბედურებაში იყვნენ გახვეული.

ანდრიამ დახმარება შესთავაზა.

იუარეს ქალებმა, მალე მივალთო ახლობლებთან.

ცოტა ხანში მეგზური დახვდა ანდრიას და მის მხლებლებს. გზიდან გადაუხვიეს და მალე უზარმაზარი ხის ქვეშ მდგარ პაწაწინა ფაცხაში შეუძღვა მგზავრებს დამხვდური.

* * *

გმინავდა ნაია – მომავალი დედა. ვერაფერს გახდა ბებიაქალი. უკუღმა იდო ნაყოფი.

განწირული ჩანდა ნაია.

დაუსუსტდა სხეული, გამთენიისას დაკარგა გონი, გადაუბრუნდა თვალის კაკლები.

ასე იყო მთელი დღე. მხოლოდ ცივი ოფლის კურცხლები უხატავდნენ მწვანე შეპარულ სახეს, ოხშივარი ასდიოდა ოქროსფერ კულულებს.

ჩუმად ქვითინებდნენ დედა-შვილის ლოგინთან მისი მეგზური და მასპინძელი ქალები.

ეზოს ზვიადი რცხილის ქვეშ შეიკრიბნენ მამაკაცები.

უნდა მოკვდესო დედა და შვილი, ბოროტი ძალის ნაყოფიაო ბავშვი, ცოდვილიაო დედა, დინჯად ბრძანა ოჯახის უფროსმა.

ვადროვოთ კიდევ, იქნებ დიდმა მუხამ თავად წაიყვანოსო მათი ცოდვილი სულები განსაწმენდად, განაჩენი შეარბილა კაცმა, რომელიც ძმად ერგებოდა განწირულ ქალს.

მზის ჩასვლამდე ბატონი მოგვცემს რამე ნიშანს, ეს პირველი შვილია ნაიასი და ზვარაკი დიდი ჭყონის, ამიტომაც ვაცალოთო ხე ბატონს მათი ბედის გადაწყვეტა, ბრძანა თავმოტვლეპილმა მოხუცმა.

შეწუხდა მასპინძელი: არ მინდაო მე და ჩემი ოჯახი ვიყოთ მკვლელები, რადგან თავი მოგვანდოო მელოგინე ქალმა, თუმცა ორგულობას არ მაპატიებსო დიდი მოგვი.

ითათბირეს და გადადეს დედა-შვილის მოკვდინება.

მზემ მოიარა ცა.

არ შორდებოდა სული ნაიას, ჯერ კიდევ ბორგავდა გული.

* * *

კაბადოკიელ **ანდრიას უხმეს საშველად ქალებმა, უკანა კარი-**დან მალულად შემოიყვანეს ფაცხაში.

ანდრია დიდხანს სინჯავდა მომაკვდავს, მერე მარტო დარჩა დედა-შვილთან, ქალებს სთხოვა თბილი წყლის და გობის მომზადე-ბა.

სამხრეთის ღრუბლები **მიეჩრდილნენ მთვარეს, წვრილ ვარსკვ-**ლავებს შეატოვეს უმთვარო ცა.

ანდრიაც ღიმილით გამოვიდა ბაგიდან და ბებიაქალს ანიშნა საქმის დასრულება.

შესულებმა იხილეს სასწაული: ყრმა გულში ჩაეკრა თივის ლოგინზე წამომჯდარ დედას.

ნათელი ბრწყინავდა ნაიას თვალებში, ახალი სიცოცხლე მბრ-ძანებლობდა ფაცხაში. არავის ახსოვდა მაშინ, რომ ხვალ, მზის ამოსვლისას, ნაიას პირმშო მოგვის ხელიდან ჩავარდებოდა ხის უძირო ფუტუროში და მას მსხვერპლად მიიღებდა დიდი ჭყონი თავისა სადიდებლად და **კაცთა მოდგმის ყველა ცოდვისგან გან-**საწმენდად.

შვებით ამოისუნთქა მთვარის შუქზე ეზოში შემოსულმა ოჯახ-ის უფროსმა. არ მოუწევდა დარჩენილი სიცოცხლე დედაქალის და ჩვილის მკვლელის ტვირთით ევლო.

* * *

ანდრია და მისი მხლებლები დილის ბინდბუნდში გაუდგნენ გზას დიდი ჭყონისკენ. გზად თანამზრახველები უერთდებოდნენ.

ნაია და მისი ყრმა ღვთისმშობელს აგონებდა ანდრიას, ეს იყო, რომ თივის სარეცელზე, მისთვის იმ **საბედისწერო წუთებში, ლან-**ქერი არ ეცვა ნაიას. არჩევანი გაკეთებული იყო: სიცოცხლედ რომ დასჯდომოდა, ყოვლადწმინდა მარიამის ნება უნდა აღესრულები-ნა, დიდი ჭყონი უნდა დაცემულიყო.

ქადაგი მზის ამოსვლისას დაიწყო ანდრიამ. ჯერ განრისხდა ხალხი, მერე დათბა, მერე ხელს უქნევდა, უღიმოდა, მერე მუხლე-ბზე დადგა.

მძვინვარებდა მოგვი, სიკვდილით ემუქრებოდა ყველას. მშვილდოსანი მეომრები შემოერტყნენ მოედანს.

აფორიაქდა ხალხი, არავის უნდოდა სიკვდილი.

მშვიდად იყო ანდრია, მზეს აფრქვევდა თვალებიდან, მხოლოდ მას არ ეშინოდა სიკვდილის.

ერთი დიდი ღრუბელი მოწყდა მთას, თეთრი ფრთები მოიბა და დიდი ჭყონის თავზე დაეკიდა.

მერე ელვამ დააბრმავა და მეხმა გააყრუა იქაურობა. ცეცხლში გაეხვა დიდი ჭყონი, ცისფერი ალი ამოვარდა დიდი ჭყონის სამსხვერპლო ორმოდან და ნათლის სვეტად აღიმართა ცად.

* * *

ჭყონდიდი სახელად შემორჩა იმ მხარეს.

რამდენიმე წელიწადში დიდი ჭყონის ნანახშირალზე ქრისტეს სახლი წამოიმართა.

ერთ მზიან დღეს ეზოში მოხუცი ქალები საქმიანობდნენ, მათ შორის იყო გასპეტაკებული ნაია, რომელიც შორიდან თვალებში შესციცინებდა შავთმიან, ახლად წვერაყრილ და მეტად ფერმკრთალ ყმაწვილს. ეს ნაიას ყრმა იყო, პირველი და მხოლოდშობილი, უმამოდ ზრდილი და ანდრიას პირველი ნათლული ჭყონდიდში.

მარტვილი-თბილისი, სექტემბერი, 2007 წ.

შავი კოლას ზღაპარი

მზის ამოსვლამდე, დედაჩემი ლოგინში დაგვკოცნიდა პატარებს, საბაიოდ მომზადებულ სულგუნს, ხორცს და ხაჭაპურს წაატეხდა ნამცეცებს, კვერცხის ორად გატეხილ ნაჭუჭში ჩატენიდა, კვლავ კვერცხად აქცევდა და გაგვეპარებოდა სახლიდან.

დედა სახლის უკანა ეზოს გადაჭრიდა, მინდორს გადაივლიდა და ტყისპირა ბუჩქებში მოისვრიდა ყვავის შესაწირავს.

უმალ უამრავი შავი ყვავი, თითქოს მოელოდაო, დაესეოდა ადამიანისგან მირთმეულ ძღვენს.

უმცროსი ვაჟის უფლებით კუდში დავდევდი დედას.

ერთხელ შემამჩნია, დამტუქსა, ყურები ამიწია.

მაშინ ასე იყო, ტყუილი ცოდვად ითვლებოდა, სიცრუე ორგულობად.

წამოვიზარდე და ამიხსნეს რატომ ემართათ ადამიანებს ყვავე-

ბის ვალი: ყვავები შავები ყოფილან მაშინაც, თავხედები და სულელები, ამასთან იმდენად, რომ უფლის სამსხვერპლო ტაბლადანაც სამსხვერპლოს ნაწილებს.

ეტყობა, ვინმე ღვთისნიერს გაუჩნდა აზრი, რომ ქურდები დაესაჯა ადამინურად, ანუ წესის **დამრღვევისთვის წინასწარ მიერთ**მიათ წილი, რათა ქურდობა და ძარცვა დამორცხვებოდათ.

ხალხი **მალმორწმუნეა, დიდსულოვანი და მიმტევებელი, მა**გრამ მაინც არ იშლიდნენ თავისას თავხედი ყვავები კვლავ **იტა**ცებდნენ სამსხვერპლოდან ძველებურად და არც კაცის ხელიდან მირთმეულზე ამბობდნენ უარს.

მერე, როცა წამოვიზარდე, გავიგე, რომ უფრო მრავალნი ყოფილან სხვა ფერის, მაგალითად, წითელი, ლურჯი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი, ყვავები, წარმოიდგინეთ, თეთრი ყვავებიც, მაგრამ დღენიადაგ, შიშს, ტყუილს და თავხედობას ვერ შეჰგუებიან და გადაშენებულან. აი, სულ სხვანი ყოფილან შავი ყვავები, ზღვის და უდაბნოს შვილები.

შავებს ადრევე უცდიათ სხვათა მიწა-წყლის მიტაცება, მაგრამ ძალით რომ არაფერი გამოსვლიათ, ცბიერთა წესით შეუსყიდიათ მათგან უმთავრესი სიმდიდრე: **მათი მიწა-წყალი, უფლისგან ბო**ძებული სიცოცხლის წყარო და ყოველი ერის არსებობისათვის საჭირო სხვა ბევრი რამ.

როცა არა შავებს თვალი გაუხელიათ და მიმხვდარან, რომ გამჩენი მხოლოდ თავის გაჩენილს აძლევდა მიწას-სარჩოდ, წყალს - დასალევად, ჰაერს საარსოდ, გვიანი ყოფილა უკვე.

შეჭირვებულ, მაგრამ უკვე თვალახელილ ყვავებს მოუთხოვიათ თავისი მიწა-წყლის უკან დაბრუნება, მაგრამ შავებს ბაზრისკენ გაუშვერიათ ხელები: აი, იქ არის და შეგიძლიათ იყიდოთო მიწა-მეტრებში, **წყალი-წვეთებში, ჰაერი-ყლუპებში, ოღონდ გადაიხა**დეთ და ინებეთ რამდენიც გსურდეთო.

ისეთი ფასი ედო თურმე ყველაფერს რომ არავის ჰქონია მათი შეძენის თავი.

უმიწაწყლო და უძალო ჭრელი ყვავები გამქრალან პირისაგან მიწისა. შავებს კი, სამყაროს მაშინდელი კანონებით, შერჩენიათ მთელი საყვავეთი.

ამ ზღაპრით აძინებდა ომამდელ აფხაზეთში ჩემი მეზობელი შავი კოლა ყოველი ღამე თავის პატარა შვილიშვილებს.

რატომ ყვავებზე და არა ლომებსა და ვეფხვებზე უყვებით ხოლმე – ვკითხე კოლას.

უმალ მიპასუხა: ლომი და ვეფხვი ერთად ვერ იცხოვრებენ, აფრიკაში ლომებია, აზიაში – ვეფხვები, ადრევე მიიზომეს მიწები

და საზღვრები, თუ მაინც შეხვდებიან ერთმანეთს, ეს გარდაუვალი ომია. ისინი თავიანთი სისხლიანი ტორებით ხელახლა დაადგენენ საკუთარ მიჯნებს, ეს ბუნების კანონია და არც ადამიანია გამონაკლისი.

– ყვავები?

– ეს სიმბოლურია, მეშინია, უსაშველოდ მომრავლდნენ ჩვენთანაც. მახსოვს, დიდი ომის მერე არ ყოფილან. არ მომწონს ეს, ცოცხლებში მკვდრებს დაეძებენ მგონი. მინდა ბავშვებმა იცოდნენ, რომ ბევრნი არიან შავები კაცებში, მათ დაიპყრეს ცისქვეშეთი, მაგრამ უკანალი მუდამ ეწვით შიშით, რადგან მტაცებელს, ცრუს და ორგულს არაფერს პატიობს გამჩენი. თქვა და ხმას დაუწია კოლამ. საბნიდან თავი წამოჰყო ბიჭმა.

– დაბერდი ბაბუ?

– ღმერთმა ქნას, დაბერდეს ყველა. მაგას რა სჯობია, გაიღიმა კოლამ.

– მართალი ხარ, მხოლოდ შავი ყვავები არ არიან ასეთები. ყოველთა სულიერთა წესია უკეთესი გარემოს დაპატრონების სურვილი, თუმცა მაცხოვარი გვიკრძალავს ამას. – მეც მომეფერა კოლა.

დაიღალა კოლა, ნელა წამოდგა, ფანჯარა გააღო.

თბილი აგვისტოს საწვიმარ ღრუბლებს გამოქცეული მთვარე ტანს ივსებდა და ვერცხლად ეფინებოდა კოლას და მისი მეზობლების ეზო-კარის მწვანე ზღვას.

მავთულზე თავისი ადგილებისთვის ერთმანეთს კორტნიდნენ შავი ყვავები.

საწოლზე ჩამოჯდა შავი კოლა.

– სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული და საოცარად მოხერხებული კაცი, რომელიც გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, ციმბირის სამხედრო ტყვეთა ბანაკებმაც ვერ მოინელეს.

– იმიტომ გადავრჩი, რომ სახლში მინდოდაო დაბრუნება, ენგურის ჭალებზე უკეთეს ვერსად იპოვიო ამქვეყნად – მერამდენედ გვმოძღვრავდა კოლა.

ქალები უკვე მესამედ გვიწვევდნენ სუფრაზე, ვიცოდი რაც მოხდებოდა:

მშვიდობის სადღეგრძელოს იტყოდა, მერე მშობლიური მიწა-წყლის სადიდებელს ლამაზად ბრძანებდა თამადა და ჩვენც დაუფიქრებლად შევსვამდით განასაკუთრებული თასით, რადგან ძველთაგან წესად იყო ასე.

* * *

ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა შავი კოლა, სტუდენტი შვილიშვილები მოინახულა.

დაუძლურებულა მეტად. მალევე წავიდა უკან.

ენგური გადაულახავს ფონით.

ერთი კვირის თავზე კი ხლებია მეუღლის ვარდებიან საფლავს.

გვეწყინა, მაგრამ მალევე დაგვავიწყდა, რადგან ცივი ნოემბრის ცხელი დღეები დგებოდა თბილისში.

25 ოქტომბერი, 2007 წ.

ნათლია

ახლა ომი არაა, მაგრამ ხალხი გადმორეკეს, სახლ-კარი წაგვართვეს, გვემუქრებიან, ძალადობა, შიში და ეჭვია ირგვლივ, მერე და კიდევ, აფხაზი ბიჭის გადმოყვანა ენგურს გამოღმა, ვინ იცის ეშმას რა აქვს ჩაფიქრებული-საფიქრალი გაუჩნდა გიორგის, მაგრამ აფხაზ ზაურს შვილის მონათვლაზე უარი ვერ უთხრა.

უარს ვერ იტყოდა გიორგი. იყო ყველაფერი ეს, მაგრამ უარესიც ყოფილა ობოლი ერების ისტორიაში. დაე, ის იყოს რაც უფალს უნდაო, გადაწყვიტა გიორგიმ.

შეცბა გიორგი, როცა დაურეკეს და უთხრეს, ილორში შედგებაო ნათლობა, მარიამობის დღეს, და ოჯახით მიიწვიეს აფხაზეთს.

ენგურის ხიდზე სამი მსუბუქი ავტომანქანა ელოდებოდა.

ალიკა გააცნეს ნათლიას, სტუდენტი ბიჭი, მისი ზურას თანატოლი, მანქანაში გიორგისთან გადასვეს ალიკა. მალე გაშინაურდა, აფხაზურად დაიწყო, მერე რუსულზე გადავიდა, არც ქართულის პრობლემა ჰქონია.

ალიკამ და გიორგის ქალ-ვაჟმა მაშინათვე გამონახეს სასაუბრო და ენა არ შეუსვენებიათ ილორში მისვლამდე.

ბევრჯერ მოუწია გადასვლამ აფხაზეთში, მაგრამ გალს იქეთ არ ყოფილა გიორგი.

15 წლის წინანდელ ამბებში ჩაიძირა. დამწვარი სახლები, დახოცილები გზაზე, ბუდეებიდან აყრილი ხალხი, საკენის გოლგოთა, დევნილთა ჩასახლების ცენტრები ზუგდიდში, სენაკში, თბილისში...

ფიქრში გალში დაბრუნდა ისევ: აი, თავისი პატარა ოდა, დედმამის ტანჯვა-წამებით ნაშენები, სამზადისის კარზე წითელი პილპილის აკვრა, კერიაზე დაკიდული და მუდამ ბოლში გახვეული

კარდალი. აი, მელნის დიდი ლაქა, მეზობლის ბიჭზე გაბრაზებულმა რომ მიასხა ოდის კედელს.

არ უნდოდა თავისი ეზო-კარისთვის შეეხედა. ვერ შესძლო, თავი ასწია და მარცხნივ გაიხედა. გზისპირას, ცხენშებმული ორ-თვალა იდგა, რომელზეც შავებით შემოსილი ქალები ისხდნენ და ხელების ქნევით ეძახდნენ ქოლგიან კოჭლ მამაკაცს.

გვერდით, ჭიშკრის გაყოლებაზე, უზარმაზარი სახლის კედ-ლები ატუზულიყვნენ, ნაფანჯრალებიდან ხახადაღებული უკუნი იყურებოდა, ტანსრულ ველურ ლეღვებს დაეფარათ კიბეები, ვაშ-ლის ნახანძრალ ხეებს კედლებიდან შორს დაეჭირათ თავი, ალუ-მინის რამდენიმე შიფერი ჯერ კიდევ შემორჩენოდა ჩანგრეულ სახურავს.

ამ ეზოში ფეხშიშველი დარბოდა გიორგი. პირველ კლასში წა-სვლის წინ, სხვებივით, ჭიშკართან ორი პატარა პალმა დარგო და თავს ევლებოდა. კარგად ახსოვდა დედის მრისხანებაც, როცა პალმის „წელში გამოსაყვანად“ ცეცხლი შეუნთო მის ჯაგრიან ტანს. ეჰ, სადღაა, დედა, მამა, თუმცა ახლაც, ალბათ, საფლავის ქვებიდან ძველებურად იღიმებიან მზიურის გორაკებზე.

იმატა წვიმამ, ყრუდ გუგუნებდა მეხთატყორცნით გართული ცარგვალი. თვალები დახუჭა. ფიქრი არ უნდოდა, არც არაფრის გახსენება.

ძველებურად ელვარებდა ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, თუმცა ნისლის შარავანდედში იყო გახვეული.

საოცარი ძალა და სიამაყე იგრძნო გიორგიმ, მარტო ამად ღირდაო აქ მოსვლა, დაიმშვიდა თავი. შვილებს შეხედა, წინაპართა გენი იყურებოდა მათი მზიანი თვალებიდან.

ოცდაათამდე კაცი და ქალი იყო ეკლესიის ეზოში. ძველი **აფხა**-ზური მოწიწებით შეხვდნენ ნათლიას და მისი ოჯახის წევრებს. თითქოს არც ომი ყოფილა, არც სისხლი, არც წყენა, არც ორი პრე-ზიდენტი და არც ორი ენგური.

ნათლობის რიტუალი ქრისტეს წესით აღსრულდა. ალეკო და-ბნეული ჩანდა, ადგილს ვერ პოულობდა, მერე ნათლიას მინებდა.

ხალხი ნელ-ნელა გადიოდა ეზოში. კარებიდან შებრუნდა გიო-რგი, სანთლები მიაწოდა შავოსანმა ქალმა. ათლარიანი ტაბაკზე დადო და სანთლების დანთებას შეუდგა.

მოწიწებით ათვალირებდა ძველისძველ ხატებს. მოულოდ-ნელობისგან ელდა ეცა, წმინდა ნიკოლოზის სასწაულმმოქმედად მიჩნეული ხატი წამით მიბრუნდა მისკენ, აათვალიერ-ჩაათვალიე-რა გიორგი.

მუხლებზე შედგა გიორგი, ცივმა ოფლმა დაასხა.

ხატი ტიროდა.

მშენებელია გიორგი. სახურავი ახალი განახლებული ჩანდა, არც ნაწვიმარისა ეტყობოდა გუმბათის ჭერს. ალიკა მოიხმო, ხელით მიანიშნა ხატზე ალიკამ, ეტყობა, ვერ გაიგო რას ეუბნებოდა, მხრები აიჩეჩა. გიორგი დაიხარა და ყურში უჩურჩულა. ალიკამ, დიდხანს იყურა ზევით, შემდეგ თავი ჩაქინდრა, ბეჭებში მოიხარა და უთქმელად დატოვა იქაურობა.

ილორიდან საკმაოდ გრძელი გზაა ოქუმამდე. დედულეთმა უმასპინძლა ალიკას ნათლობას. სამურზაყანოს მაზრის ყოფილ საუფროსოში კარგად იციან მირონის მადლი.

სუფრაზე კვლავაც შვიდ მოდგმაზე დაადგინეს ნათესაობა და ახლობლობა, სისხლის აღურევლობის წესი.

ღვინისგან უხურდა თავი გიორგის. გამოთხოვებისას ხატის ცრემლებზე ეზოში ესაუბრა მღვდელს. მხრები აიჩეჩა იქაურმა მამაომ.

ენგურამდე გამოაცილეს ნათლია. ხუთი ავტომანქანა მოადგა აფხაზური და რუსული ბეტონის ბარიერებს. შუა ხიდამდე გამოჰყვა ზაურის ეკიპაჟი, ალიკა აფხაზური რიდით ეამბორა ნათლიას.

გულზე მოეშვა გიორგის, ცნობისმოყვარეები არ იდგნენ ენგურს გამოღმა, არც საბუთები მოუთხოვია ვინმეს.

არ წვიმდა ზუგდიდში.

დადიანების ეზოში დააყენა მანქანა, ფეხშიშველი გაიარა ბალახზე. ბებიასგან ახსოვდა, ასე ყოფილა უხსოვარი დროიდან, როცა დედაქალაქს მიმავალი დიდგვაროვანი აფხაზები ოდიშის მიწას დაადგამდნენ ფეხს. ლანქერის ღვთისმშობლის ეკლესიაში დაანთო სანთლები წინაპართა სულების სახმობლად.

დევნილებთან საუბარში თეთრად გაათია ღამე გიორგიმ. ვერც დაიძინებდა, დევნილი ქალები და ბავშვები ვედროების და ტაშტების ჟღარუნით დილამდე ეზიდებოდნენ წყალს ეზოდან მაღალ სართულებში.

გვიან გამოვიდნენ ქალაქიდან. ხაიშისკენ გაუხვიეს, ხუდონჰესის გაყინული მშენებლობის უცხოელ ექსპერტებთან ჰქონდა სასაუბრო. მალევე გამობრუნდა უკან.

მსუბუქი ავტომანქანებით იყო გადაჭედილი სენაკი-თბილისის გზატკეცილი, გადასწრებაზე თავხედობდნენ დიდი ჯიპები, კამეჩებივით ზანტად მიზოზინებდნენ უცხონომრიანი ტრალერები.

– ურემი გადაბრუნდა, მაგრამ გზა მაინც არ გამოჩნდა, უფრო დაიბურდა საქმე, თავისთვის ბჭობდა გიორგი. ახლა დრო არ მუშაობს ჩვენზე, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს არ დავიწყებული ძველი, მხოლოდ ჩვენებური, თუნდაც გუშინდელი ნათლობა. რა-

ტომ, რისთვის, რამ მოაფიქრათ ეს. ფერისცვალება? არა, უფრო პირიქით, ფერის არშეცვლა! მაგრამ დამიჯერებენ მე ამას თბილისში, ან იმათ სოხუმში? გამიგებს მე ამას თაობა, რომელმაც ათას მიზეზთა გამო კარგად არ იცის ნამდვილი აფხაზეთი, არ იცის ქრისტესმიერი აფხაზეთის ძალა, არც ის წაუკითხავს თუ რას სწერდა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე, რუსებისგან სამეგრელოში გადამალულ თავის ცოლ-შვილს?

შორაპნის ციხის ნანგრევებთან გააჩერა მანქანა, ბავშვებს მოსწყურებოდათ.

– როგორი სიყვარულით მიტყუპებიან ერთმანეთს იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, თითქოს განგებას ერთ მუშტად შეუკრავს კავკავის ცადაზიდული მთებით და პონტის ზღვის არტახებით შემოუზღუდავს გიჟმაჟი მდინარეებით და უძირო ხევებით დაუსაზღვრავს. თანაც მარადიულ მცველად მიუჩენია ჯვარი ქრისტესი, ფიქრობდა გიორგი. ალბათ, ამიტომაც ვერ მომაგრებულა აქ უამრავი მოძალადე თუ ვერაგი ღიმილით კბილებდაკრეჭილი ოხერ-მამაძაღლი. იქნებ, როგორც ადრე მრავალჯერ, ჩვენვე, გადამთიელთა მოუხმობლად, ქრისტეს ხმობით და მადლით შინაურულად გვეცადა დასაკლავად გამზადებული აფხაზეთის კვლავაც საძმოში მოქცევა?

– არ ვიცი, დავიბენი, ხელი ჩაიქნია და მანქანაში ჩაჯდა.

ახლა ამათი დროა, იქნებ სჯობია ისე, როგორც უნდათ. თქვა და უკან მიიხედა; ავტომანქანის უკანა სალონში ინგლისურ ენაზე გაცხარებით კამათობდა და-ძმა.

* * *

შვიდ ნოემბერს, ბინდბუნდში, დარეკა გიორგის მობილურმა, ზურაბი იყო. ტელეფონი ალიკას გადასცა:

– ნათლია, ძია გიორგი, როგორ ხართ, რა ხდება, აქ ისეთი ამბებია, რაებს არ ჰყვებიან. ჩამოდით ჩვენთან, ბავშვები ჩამოიყვანეთ, ახლობლები, შენები, ჩვენები.

– ჩვენთან არაფერი არ ხდება, ყველაფერი კარგადაა, უფრო ზუსტად, კარგად იქნება, მადლობა, მომიკითხე თქვენები, ჩვენები.

– ნათლია, მაშინ ვერ გითხარი, ხატი ტიროდა, წმინდა ნიკოლოზი, მე ვნახე, მერეც ვნახე... გევედრები, წამოდი, ჩამოდით, იხვეწებოდა ალიკა.

– კარგია ალიკ, კარგია შენც რომ ნახე, ჩემო კარგო ბიჭო. მადლობა გადაეცი მამას ალიკ, ესაა მადლი და ძალა მირო...

კავშირი გაწყდა.

დიდხანს აწვალა თავისი მობილური გიორგიმ, დაკავშირება ვერ შეძლო, უცნაურად შხუოდა აპარატი.

7 ნოემბერი, 2008 წ.

ამშაააპ

ბნელოდა, როცა ურემი წმინდა ბარბარეს ეკლესიას მიადგა.

მუხლამდე ეყარა თოვლი. ურმიდან გადმოსულ გათოშილ და ხელფეხდაბუჟებულ ბავშვებს სამი ქალი შეუძღვა ეზოში. უჩვეულოდ შემოსილ ქალებს ხის დიდი ჯვრები ეკიდათ.

ბინდბუნდი იდგა ვიწრო საკანში, ერთადერთი სანთელი ლაპლაპებდა კედელზე მაცხოვრის ხატის გვერდით. საკმევლის სურნელი იგრძნობოდა, ბუხარში ნედლი შეშა გულის წამღებად შიშინებდა და ბოლავდა, მაგრამ თბილოდა.

გოგონებს ხის გობებში, თბილ წყალში, ჩააწყობინეს ფეხები და დაბანეს, დაანაყრეს და საძინებელ ქანდარებზე მიუჩინეს ადგილები. ცოტა ხანში მკვდრებივით ეძინათ.

არ ეძინა გულიკოს, მაგრამ თვალის გახელის ეშინოდა. სარკმელს იქით თოვდა, თოვლის ფერი და ნათელი იჭრებოდა ოთახში. წამოდგა, ფეხშიშველა მივიდა ფანჯარასთან. მუშტის ოდენა ფიფქები ცვიოდნენ ცის უზარმაზარი თეთრი ქოლგიდან და ღამის ნათოვში უჩინარდებოდნენ.

იქვე, სულ ახლოს, ციცაბო გორაკი იწყებოდა, რომელიც მაღლა და მაღლა მიიწევდა, უფრო შორს კი რაღაც შავი ნაგებობა მოჩანდა, რომელიც კოშკის დარად იყო გაყრილი ცარგვალში. ბებია გაახსენდა, საცოდავი ბებია, რომელიც ოდესღაც, ზაფხულის მზიან ალიონზე ხელს გაიშვერდა ტყიანი მთებისკენ და სატანჯოს თუ სათანჯოს ციხე-კოშკზე უყვებოდა ძველ და საშინელ ამბებს.

დედა ელენე შემოვიდა ფეხაკრეფით, მძინარე გოგონებს გადახედა, ღუმელს შეშა შეუკეთა. გვიან შეამჩნია გულიკო. მივიდა გოგონასთან, ხელი მოხვია მხარზე და ბუხრისკენ წაუძღვა, სკამი შესთავაზა. გულიკო ატირდა და ჩაეხუტა. დედა ქალბატონი რატომღაც ძალიან ჰგავდა ბებიას და მასავით ენით უთქმელი სურნელი ასდიოდა.

ეკლესიას თავისი წესები აქვს, – ადრე ადგომა, დილის ლოცვა, ღამისთევა, ტრაპეზი, გალობის მოსმენა, წიგნების კითხვა, ოთახების დალაგება, ხელსაქმე, წამლების დამზადება, პირადი ჟამი, შუადღის და მწუხრის ლოცვები. უმთავრესი მაინც ქართული ანბანის გაკვეთილები იყო, მთავრული და ხუცური ასოების გამოყვანა, საღამოს კი ეკლესიის წინამძღვრისგან ძველი ამბების მოსმენა.

– ქართლოსის ღვიძლი ძმა ყოფილა ეგრისი თურმე, რომელსაც ზღვისპირა ქვეყანა ხვდომია საგამგებლოდ და დაუარსებია ქალაქი ეგროსი, დაუფლებია ეგრისის მიწას და მეფეები ჰყოლია თავისი; ქუჯი ყოფილა მათგან ყველაზე დიდი, რომელსაც ფარნავაზ მეფეთ მეფეს და ჰყოლია მეუღლედ და ერთად შეუქმნიათ დიდი საქართველო. ეგრის-ქალაქისთვის მაშინ უწოდებიათ ბედია და ასე იხსენიება დღემდე. ფარნავაზისა და ქუჯის შვილიშვილი გამხდარა მცხეთის და ყოველთა ქართველთა მეფეთ მეფე, რომელსაც ტუღაფსემდე გაუვრცელებია სამეფოს სამანები, აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის აღუშენებია ციხე-ქალაქი ნიკოფსია. ბედიას მსხდარან აქაური მეფეები და ერისთავები, ბაგრატ მესამეს კი, ყველაზე დიდს და დიადს, უფალმა არგუნა თურმე ქართველთა სამოსახლოების თავმოყრა ერთიან ქვეყანაში და უფროსი ქალაქის ქუთათიაში გადატანა და აღმშენებლობა, მერე კი აღუმართავს ბედიის ულამაზესი, სიწმინდეებით უმდიდრესი და ხელქმნილებით უდიდესი ტაძარი. აქვე დაუკრძალავთ ანდერძით თვისი, დედის, გურანდუხტის გვერდით. „უკეთუ ვინმეს ენებოს განცდად და გულის ხმის ყოფად სიმაღლისა და დიდებისა მეფობისა მისი, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა და მისგან გულისხმა ჰყოს და ცნოს, რომელი არავინ ყოფილ არს სხვა მეფე მსგავსი მისა ქვეყანასა ქართუელთა და აფხაზეთისასა“, ბავშვური ხელით ჩაწერა გულიკომ ხარის ტყავზე. და ეს ხელწერა იმდენად ლამაზი ყოფილა, რომ მოძღვარს გულიკო გადამწერთა გუნდში ჩაურიცხავს შემწედ მწერალთა.

– ბედიას სამწყსო უდიდესი ყოფილა სხვა სამწყსოთა შორის, ბოლო დრომდე თურმე აქვე ესვენა ლანქერის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, მაცხოვრის ეკლის გვირგვინი, ბაწარი და სამსჭვალი, რომლითაც ქრისტე გააკრეს ძელზე, მაცხოვრის თმა. ბედიის სამწყსოდან ყოფილა დავით დიდი გამაერთიანებლის, ქართველთა შორის ყველაზე დიადის დედა-ქალბატონი, ასევე მისი ძმა გიორგი ჭყონდიდელი. საუკუნეები მსხდარან აქვე დიდი და ძლევამოსილი დადიანები, რომელთაც ციხეებითა და ეკლესია-მონასტრებით დაუფარავთ ბედიის სამწყსო მიწები და ბედიიდან შორს ყველა გორაკი და დასახლება. ბედიას სხვადასხვა დროს მწყემსავდა თურმე ცამეტი კათალიკოზი, რომელთაგან ერთი ბაგრატ მეოთხეს ასულს ხლებია კონსტანტინეპოლის წმინდა ქალაქში, როცა იმპერატორ დუკას მეუღლე და სრულიად საქრისტიანოს დედოფალი გამხდარა.

– მერე ყოფილა ჟამის ცვლა. სტამბულის და ქვეყნიერების ახალ მპყრობელს მახვილით და ცეცხლით მიუქცევია თავისთვის

მთის ბევრი ხალხი, სატანა შეუჯენია მხრებზე უამრავი ჩვენიანისთვის ოქროთი და ურწმუნოებით და განუზრახავთ საქრისტიანოს დაქცევა, მაცხოვრის ფეხის აღკვეთა ამ მიწიდან. მახვილიანებთან ერთად ორი ათასი მოლა შემოუსევიათ აქაურებისთვის და უწამებიათ ქრისტეს სჯულის ერთგულნი. ვინც ვერ გადააგვარეს, დაუხოცავთ, გაუძევებიათ, გადაუწვავთ, მოძღვრები ცოცხლად დაუმარხავთ, რათა ქრისტეს ძალისა და სულისგან დაეცვათ თავი. ასე დაუდვია თავი აფხაზეთისა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთვის ოთხას ათას ქრისტეს მხედარს და მაცხოვრის გულითად მიმდევარს. მერე საქმეში ჩარეულა ძველი რომი, მისიონერები გამოუგზავნია ამ მხარეში, მაგრამ ძალის წინააღმდეგ ვერას გამხდარან უძალო კათოლიკები. მაშინ ლევან დადიანს უმარჯვია ისევ თავისი გონით, მახვილით და აღუმართავს დიდი ციხე-კედლები.

ამ და ბევრ სხვა ამბებს უყვებოდა მოძღვარი ეკლესიაში გადახიზნულ გოგონებს.

უჩვეულო სილამაზესთან ერთად საოცრად ტკბილხმოვანი აღმოჩნდა გულიკო, ასეთი ხმა არავისგან სმენიათ აქობამდე. მგალობელთა გუნდში გაამწესეს მსმენელად, დედა ელენე ასწავლიდა ჰიმნებს, არც სოფელში ნასწავლ სიმღერებს უკრძალავდა, ნებაჰყვეს მწუხრის ჟამს სამრეკლოს კოშკზე ასულიყო მნათესთან ერთად და გუმბათის სარკმლიდან ემღერა.

წყალკურთხევაზე მონათლეს გოგონები. წინამძღვარი მამაზეციერს უფრო ჰგავდა, ვიდრე მიწიერს; მაღალი, ლამაზი, კეთილსურნელოვანი, ღვთიური მოსასხამით, სპეტაკი თმა-წვერით, გულზე ჯვრით, რომელზედაც ჯადოსნური მარცვლები მზეს ასხივებდნენ. ამიერიდან გულიკოს მარიამი ეწოდა. მარად ქალწული მარიამი გფარავდეს ობოლო და ქრისტეს მინდობილო ასულო ჩემო, და იხმობოდე მარიამადო, ბრძანა მოძღვარმა.

მალე გაზაფხული. დადგა. ნაზამთრალი და ბოლო წლებში არეულობებისგან დამფრთხალი ხალხი უფრო თამამად გამოდიოდა ეზოში, ხნავდა და თესავდა, წირვა-ლოცვებზე უამრავი მრევლი იკრიბებოდა ეკლესიაში. მზე გალაღდა, ამწვანდა იქაურობა და ათასგვარი ფრინველი მოედო სათანჯოს კალთებს. გათოშილმა და ნამძინარევმა ველის ყვავილებმა თამამად წამოსწიეს თავები.

გოგონები ეზოში გაიყვანეს, ნაკვეთი მიუჩინეს სათავისოდ. გაყამირებულ მიწას აშორებდნენ გამხმარ ბალახს, ხის ბარებით აბრუნებდნენ ბელტებს, თოხნიდნენ, თესავდნენ მუხუდოს, ღომის მარცვალს, გოგრას, ფხალს, სხვა ათას რამეს და სამკურნალო ბალახებსა და ყვავილებს უვლიდნენ.

მალე გოგონები ეკლესიის უკანა ეზოშიც გაიყვანეს დედებმა. აქ

ძველი და ახალი სასაფლაოები იყო, ზოგ მათგანზე ქვის დათლილი ლოდები ეწყო მრგვალი ქართული წარწერებით. ყველას მიუჩინეს მოსავლელად საძვალეები. დედა ელენე წვრილად უხსნიდა გოგონებს ნაღვაწ ადამიანთა მიწიერი ყოფის საიდუმლოს, სიცოცხლისა და სიკვდილის სასწაულს. სასაფლაოების თავზე და იქით მუხნარის უძველესი ტევრი იყო, გასაოცრად ლამაზი და იდუმალი. ყველაზე დიდი ჭყონი ცას ებჯინებოდა კენწეროთი, მის ზორბა ტანს ხუთი გოგონა ერთად თუ შემოარტყამდა გადაჭდობილ ხელებს. ამ ხეს ყველა ეკრძალებოდა რატომღაც, თუმცა მისი უსაშველოდ გადაშლილი ტოტების ქვეშ მზეც ვერ აღწევდა და გრილოდა ზაფხულის თაკარაშიც.

დაწყნარდა ქვეყანა და გოგონები ეკლესიის დედებთან ერთად ახლომახლო თუ შორეულ დასახლებებში დადიოდნენ ქვრივობლებისა და დავრდომილთა დასახმარებლად და სამკურნალოდ, თუმცა სათანჯოს კოშკიდან დროდადრო კვლავ ისმოდა უცხო საუბარი და ველური ყიჟინი.

აგვისტოს ერთ ცხელ დღეს, ეკლესიაში უჩვეულო ფუსკუსი დახვდა სათანჯოს კალთებიდან ჩამოსულ გოგონებს. მთავარი მანუჩარი დედოფალთან ერთად მობრძანებულიყო ტაძარში, თან ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უწვერულვაშო მემკვიდრე ლევანი ახლდა. მანუჩარის ამალას ცხენები და საჭურველი ეზოს გარეთ დაეტოვებინა ძველებური წესით, რაც ბოლო ათწლეულების არეულობის დროს მეტისმეტი იშვიათობა იყო. არა და, ერთხელ სათანჯოს კოშკიდანაც გადმოსულან ცხვრის ტყავიანები, ეზოში შემოჭრილან ცხენებით და საკურთხევლამდე უცდიათ მისვლა, რასაც მოძღვრის აღშფოთება და მათი გაძევება მოჰყოლია. ბოლო წლებში მთავარი შარვაშიძეებიც თავს არიდებდნენ სალოცავებში მისვლას. ხმა დაირხა, რომ ამჯერად მანუჩარმა დიდი განძი შესწირაო ეკლესიას.

ლოცვის შემდეგ მანუჩარი საკურთხეველთან დარჩა მოძღვართან სასაუბროდ, დედოფალი, ლევანი და მხლებლები დედებთან და ხიზან გოგონებთან ერთად სამუსაიფოდ მუხიანში გადასულან.

ლოყებაწითლებული ლევანი თვალს ვერ აცილებდა მარიამს.

მალე უჩვეულოდ ცხელი ივლისი დადგა და ლევანი ჩამოვიდა თავის დიდგვაროვან ნათესავებთან. იგი ეკლესიის ხშირი სტუმარი გახდა, – გაუნძრევლად **იჯდა თავისი წინაპრებივით ლამაზი, ტანადი** და გვიანობამდე უსმენდა მგალობელთა გუნდს.

კვირის წირვის შემდეგ ეზოში ქადაგება დანიშნა მოძღვარმა.

– გიხაროდენ, რამეთუ მტრობა და მოძალება დასრულდა ჩვენს მიწაზე. ოსმალოთა და თათართა ხმობით მთის **იქითებიდან გად-**

მოხვეწილი ურჯულონი ნელნელა დატოვებენ აქაურობას. ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებმა **დადიან-გურიელთა ხელშეწყობ**ით და მართლმორწმუნე დედა ეკლესიის წინამძღოლთა ლოცვა-კურთხევით მახვილიანი უცხოტომელები უკუაგდეს და ზავი შეკრეს შარაშიებთან. შარაშიები ძველებურად მუხლს მოუყრიან და ზავის საქმეებზე დავთარს მიართმევენ აფხაზეთის ეპისკოპოზ დანიელს, იმერთა და ოდიშართა ეპისკოპოზებს იობს და გრიგოლს. ამიერიდან არ **მოიკვლება კაცი და ქალი, ტყიდან მოიქცევიან ჩვენ**ებურები, არ დაიწვება სახლები, არავინ დატყვევდება და გაიყიდება, შეწყდება უცხო და აქაურ ავკაცთა თარეში და ქურდობა;

– გიხაროდენ, რამეთუ დადიანები და შარაშიები შეთანხმდნენ, რომ ერთად გაუძღვებიან სოფელსა ჩუენსა, ამისთვის კაპოეტის ზემო წელიდან და გაგარადან ჩამოსახლდებიან ძველი კოლხი, ჩვენი მოყვასი **ჟინოსქუალები ყმებით და ენგურისპირეთში გაიმ**ართება მათი მამულები;

– გიხაროდენ, რამეთუ მალე თქვენთან იმეზობლებენ ზვამბები, ემხვარები, მარშანები, ჩიქვანები, მარღანები, კილბები, ზუხბები, კიდევ ბევრი და ბევრი. მიეხმარეთ, ხელი შეაშველეთ მათ და მათს ხალხს, მწყურვალს წყალი მიაწოდეთ, მშიერი დააპურეთ, წაქცეული წამოაყენეთ, ისინი ჩვენი ქრისტესმიერი ძმები იყვნენ ოდითგან და ვიმედოვნებ, მათ ეს არ დაავიწყდათ.

– გიხაროდენ, რამეთუ თქვენ უნდა მოუწოდოთ ენგურს და ცხენწყარს გაღმა ოტებულ ჩვენს ხალხს დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, დამწვარ სახლებს და ეზოებს, მიაწოდეთ თესლი და ნერგი, თოხი და კავი, რათა ზამთრამდე გამართონ კერია, მიუტევეთ და მაცხოვრის წესით შეიწყნარეთ ძმა ცდომილი, გააპატიოსნეთ უპატრონო მიცვალებულები, დაუდგით ნიშები, ადიდეთ ჩვენთვის მსხვერპლად შეწირული კაცები და ქალები, მათი ნათელი სულები.

სიხარულისგან თავშეუკავებელი ხალხი ტაშით შეხვდა ქადაგის დასრულებას.

მშვიდი ცხოვრების იმედი ჩაისახა ენგურსა და ეგრისს შორის მდებარე ქვეყანაში. ხალხი ნელ-ნელა ბრუნდებოდა აფხაზეთის სამეგრელოში.

ახალ ზაფხულს კვლავ ესტუმრნენ ეკლესიას შარაშიები დიდი ამალით, ილოცეს, იტრაპეზეს და დაისვენეს მუხების ჩრდილში. შეშფოთდა მოძღვარი, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, როცა მანუჩარი მოულოდნელად ემთხვია **დიდჭყონს, მუხლი მოიდრიკა და ხმადაბ**ლა მიმართა:

– **დიდია ძალა შენი, სიწმინდე შენი, ღვთაებრივი უსაზღვ-**

როება შენი, მზის და მთვარის გულძალობა შენი, მადლი შენი ჩვენი და ყველას წინაშე, ცოცხალთა და გარდასულთა წინაშე, ქვეყნის წინაშე. ამშააპ იყო ჩვენი და კვლავაც უნდა იყოს ჩვენი, ისევე როგორც ახლაცა იგი მთისგაღმელი ჩვენი მეზობლების და ახლობლებისა აქ და შორეთში და რომლის ხმობითაც არავინაა მათი მძლეველი მზისქვეშეთში. ადრე ყოფილა ჭყონდიდი მარტვილს და კარგად ვყოფილვართ ჩვენც. თავად მაცხოვარს უბრძანებია, უნაყოფო ხე მოიჭრასო, განა უნაყოფოა ეს ხე? მაცხოვარი ჩვენი ადამიანებს დაიცავს ავი სულებისგან, ამშააპი კი ქვეყანას.

მორიგ კვირადღეს ლევანი მივიდა ეკლესიაში ახალგაზრდა მხედრების თანხლებით. შეშფოთდა მარიამი, ფეხები მოეკვეთა, ჟრჟოლამ დაუარა, ბარბაცით განერიდა სტუმრებს.

მწუხრის დადგომისთანავე მარად ნეტარ ღვთისმშობელს მუხლი მოუყარა მარიამმა, შეწევნა, უძალობისგან დახსნა შეევედრა. დამშვიდდა თითქოს, მაგრამ მთელი ღამე საწოლში ტრიალებდა, გონი დაებინდა, მის მშვენიერი ტანი კიდევ უფრო დავიწროვდა, არ ეტეოდა გული და სული.

აგვისტოს შუა კვირიაკეს წმინდა ბარბარეს კვლავ ეახლა ლევანი, მგალობლებს მოუსმინა, ძღვენი მიართვა თითოეულს. გოგონებს ჭიშკრამდე გაცილება სთხოვა. ლევანის მხლებლებს ცხენები წაუყვანიათ ენგურში დასაწყურებლად და აგვიანებდნენ, ამიტომ შეყოვნდა იგი ჭიშკართან. გოგონები საუბარში იყვნენ გართული, როცა ლევანი მარიამისკენ დაიხარა და კარგი ხანი ესაუბრა.

გვიან გაერკვა მარიამი ყმაწვილი თავადის ნათქვამში; ლევანი სთავაზობდა მას, რომ მისი ძღვნისგან კაბადოკი შეეკერა, ისეთი ბოლოგანიერი და სრული, როგორიც დედა-დედოფალს ეცვა და მარიამობის წინა დღეს, შუაღამისას, დიდ მუხასთან მისულიყო მასთან შესახვედრად. ქალის **უარზე, ეს არ მოხდება, ღვთისმშობელი** გამწირავსო, ლევანს დაუმშვიდებია: იგი კეთილია, თანაც გოგონებს მფარველობს და გაპატიებსო, ამასთან სათქმელიც მაქვს მამაშენზე, დედაშენზე, შენზე, საფრთხე უნდა აგარიდო თავიდანო. კიდევ სხვა რაღაცებზე უსაუბრია ლევანს, მაგრამ მარიამს ეს არ ახსოვდა, ვინაიდან ისეთი თვალებით უყურებდა ყმაწვილი.

არ გაილია დღეები მარიამობის დღესასწაულის დადგომამდე, თუმცა მთელი დღე და ღამე საქმეები იყო, მგალობელთა გუნდიც ახალ გალობებს ამზადებდა, რომელიც უმთავრესად მისი შესასრულებელი იყო. მრავალჯერ ეახლა დედა ელენეს გულის გასახსნელად, მაგრამ ვერა და ვერ გაუბედა, ენა არ უბრუნდებოდა, აზრს ვერ უყრიდა თავს გუმბათის სარკმლიდან, ერთსა და იმავეს

მღეროდა რატომღაც: „ვაი შური საყვარელი, რინა მუში **მამარდ-**
არე, რინაში ნება ქორდასუნი, ქიანა მუში მაფართარე.“(ვაი, სულო საყვარელო ჩემო, რა მშვენიერია სიცოცხლე, ცხოვრების უფლება რომ იყოს, ყველას გვეყოფოდა ქვეყანა).

შუაღამე დგებოდა. ხვალ, იქნებ უკვე დღეს, მარიამობაა. **კაბა-**
დოკი ჩაიცვა, იატაკზე ეფინა მისი ბოლო.

– არა, ვერ წავალ... ჰო წავალ... ვერ წავალ... მაგრამ,... მამა, დედა, მე.... არა, არ წავალ... წავალ. მერე ჯოხი აიღო, **ბოლომახვი-**
ლა, **მძიმე, გრძელი და ფრთხილად გავიდა ეზოში. არ ვაფიქრე-**
ბინებ, რომ მშიშარა ვარ, მხოლოდ ისა და მისი ჯიშია მამაცი!

არ დასრულდა გზა მუხებამდე, გული არ ეტეოდა საგულეს.

მამა გაახსენდა, მაშინ პატარა იყო. სახე არ ახსოვდა, ბრგე, ახოვანი, ნაბადსა და **ბაშლიყში გამოწყობილი, თეთრი ცხენზე ამხ-**
ედრებული. წასვლის წინ აკოცა გულიკოს, დედას მხარზე მოხვია ხელი და გავიდა. უკეთ ახსოვდა, რომ შუაღამით გასისხლიანებუ-ლი მამა შემოიყვანეს და შუა ოთახში დაასვენეს. დედა და ბებია ტიროდნენ, კაცებიც ტიროდნენ.

დედა დაუდგა თვალწინ. ძაძებით შემოსილი, მეტად თეთრი, უსაშველოდ გრძელი წარბებით და წამწამებით. საღამოს გავიდა თხების მოსადენად და არ დაბრუნებულა. ბებიამ დიდხანს იტირა და თქვა, რომ **ოდიშს გავიდაო, იქიდან შეიძლება სტამბოლში გა-**
დავიდესო, და მალე ჩამოვაო.

მთვარე დაჰნათოდა მუხიანის ტევრს. დიდი ჭყონის კენწერო ავისმომასწავებლად იყო გარინდული, **ხის ტოტების ქვეშ, საფლა-**
ვების თავზე კი ისეთი უკუნი გაყურსულიყო, თითქოს გველეშაპს დაეღო უზარმაზარი შავი ხახა.

კანკალებდა მარიამი, ცივ ოფლში იხვითქებოდა. გაბრუნებას აზრი არ ჰქონდა.

უფალო ჩემო, იესო ქრისტე, ძეო მამა ღმრთისა, შემიბრალე მე, მომეც ძალა, რათა დავძლიო უძალობა ჩემი, შეეხვეწა მაცხოვარს და ყველაზე დიდ საფლავის ქვასთან ჩაცუცქდა. მკვდარ სიჩუმეს ღამის მწერის სტვენა არღვევდა დროდადრო. ლევანს მოელოდა და სულგანაბული უსმენდა ცხენის ფლოქვების ჩქამს. არსაიდან ხმა, სადღაც შორს კი ძაღლები ყეფდნენ. იქნებ ის არის, იქნებ მასაც ეშინია ჩემსავით, იქნებ არ გამოუშვეს მარტო? ის ხომ დიდი კაცია, ქვეყნის მომავალი ბატონი!

ლევანი არ ჩანდა, ზევით აიხედა, მთვარე ახლა რატომღაც ძალიან ჰგავდა ლევანს, მერე მზე გახდა. იქნებ ესაა ამშააპ?

დრო გადიოდა, ლევანი არ ჩანდა. კარგია, იქნებ გადაიფიქრა, გულზე მოეშვა მარიამს. არა, მოვა, იქნებ მოვიდეს, ცოტასაც დავრჩები და წავალ, წავალ...

იქნებ უფრო გვიან მოვიდეს, არ იფიქროს, რომ მე მშიშარა ვარ, არ მინდა მისი ნახვა... კიდევ ცოტა და აი, ამ ჯოხს დავტოვებ ნიშნად, რომ მე აქ ვიყავი, რომ მე მინდოდა მისი ნახვა და მოვედი მარტოდმარტო.

წამოდგა, მერე ჩაიცუცქა, ორივე ხელით ჯოხს დააწვა მძიმედ და ღრმად ჩაარჭო მიწაში. კიდევ დიდხანს უყურა მუხის წვერზე დაკიდებულ ვერცხლისფერ მზეს და წამოდგომა სცადა. ვერ შეძლო, თითქოს საფლავიდან ჩონჩხს გამოეყო ორივე ხელი და კაბის ბოლოში ჩასჭიდებოდა. კიდევ სცადა...

* * *

ადრე დილით მარიამი გოგონებმა იპოვეს მუხიანში, ეკლესიის მოძღვრის ძველისძველ საფლავთან. ქვედა ტუჩის კუთხეში მიჰყინოდა ვარდისფერი სისხლი. მცირე ნაკაწრიც არ ეტყობოდა სხეულზე.

წიოდნენ გოგონები, ქვითინებდნენ დედები, თავშეუკავებლად ღრიალებდა მნათე.

გამთენიისას მარიამობის დღესასწაული ჩვეულებრივად დაიწყო. უამრავი მრევლი შეიკრიბა, ამდენი არასოდეს მოსულა. შარვაშიძეებიც მოვიდნენ დიდგვაროვანთა მხლებლებით, მხოლოდ ლევანი არ ჩანდა მოსულებში. ვიღაცას უთქვამს, ლევანი დედას გაუბრაზდა და ბედიას გაბრუნდაო ეკლესიის ეზოდან, გაფითრებული, სახე წაშლილი ჩანდაო დილიდან, თანაც მანუჩარისთვის სიტყვა შეუბრუნებია უკმეხად: გვეყო კუდის ქიცინი, საკმარისზე მეტია ბატონები, გყავთ სალოცავად ბედიას დიდი მეფე ბაგრატ, დედა დედოფალი გურანდუხტ და სხვა რაღა გინდათო კიდევ. სანამ მე ვარ, ამ მიწებზე ამშააპობა არ იქნებაო.

უთქვამს და ცხენი გაუქუსლავს.

მარიამობის დღესასწაული დასრულდა. მგალობელთა გუნდი გალობდა, მაგრამ ეს გალობა არ იყო, უფრო მოთქმას და ზარს ჰგავდა. ხალხი თვალით დაეძებდა მზეთუნახავ მარიამ-მაფშალიას, მაგრამ ვერ პოულობდა. არ არის დაფარული რომ არ გაცხადდეს და არავინ არაფერი იცოდა, თუმცა ყველამ ყველაფერი იცოდა.

დღე დასრულდა, მაგრამ ამშააპ არ შედგა, ვინ გაბედავდა ხსენებას.

გვიან ღამით მანუჩარი და დედა-დედოფალი შესულან სენაკში, სადაც მარიამი ესვენა. მანუჩარი მუხლად დაცემულა ანგელოზის

დარი ცხედრის წინაშე, დედოფალის ძვირფასი ჯვარი მოუხსნია და გულიკოსთვის დაუკიდია მკერდზე.

სექტემბრის მიწურულს კოკისპირული, წარღვნის დარი წვიმები დაწყებულა აფხაზეთში, სათანჯოს კალთებიდან უზარმაზარი მეწყერი ჩამოწოლილა, მიწას და ტალახს გადაუვლია მუხნარისათვის და ბორცვად დაზვინულა, ეკლესიის ნაწილიც დაუნგრევია.

ამაზეც ათასი ჭორ-მართალი აგორებულა აფხაზეთის სამეგრელოში, ოდიშსა და იმერეთში.

ათასი ჭირი და ლხინი ყოფილა შემდგომაც, მაგრამ დიდი მეწყერი და ობოლი ბავშვის ამბები დღემდე შემორჩა იქაურთა მეხსიერებას. ახლაც იშვიათია ოჯახი, სადაც ქალიშვილს გულიკოს არ არქმევდნენ სახელად და ვისაც გოგონა არა ჰყავს, ბიჭისთვისაც არ ენანებათ ხოლმე.

* * *

წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის წმინდა ბარბარეს სახელობის დიხაზურგის ნაეკლესიარზე უამრავი ხალხი იყრიდა თავს და არა მარტო დღესასწაულებზე. ეკლესიის ქვაზე სანთლის დასამაგრი ადგილი არ იყო. მაშინდელი ნომენკლატურული მუშაკებიც შავი მანქანებით ჩამოდიოდნენ იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ქალაქებიდან და სოფლებიდან.

გალის რაიონის მაშინდელმა ლიდერმა ვახტანგ ყოლბაიამ, ბზიფელი კილბების შთამომავალმა, გადაწყვიტა წმინდა ბარბარეს ეკლესიის აღდგენა. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მეთაურთა ლოცვა-კურთხევით პროექტი შედგა და თანხებიც გამოინახა.

სამწუხაროდ, განგებამ სხვანაირად ინება და აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი დაიწყო.

ნოემბერი-დეკემბერი, 2008 წ.

ამრა

მარდენი და რუსლანი საქართველოს ღირსებას ერთად იცავდნენ ყოფილ დიდ ქვეყანაში. ცხენოსნობაში საქართველოს პირველობაზე ერთ გუნდში იბრძოდნენ თბილისში, აფხაზეთის ჩემპიონატში დაუნდობელი მეტოქეები ხდებოდნენ, ცხოვრებაში კი განუყრელი მეგობრები და ახლობლები იყვნენ.

მარდენი ლაბაშია, თავის დროზე, თამარ მეფის მიერ საერისთავოდ დადგენილი საბედიანოდანაა, რომელიც მოგვიანებით სამურზაყანოდ იწოდებოდა.

რუსლან ანუა ლიხნელია, ანუ ძველი ზუფელი, კიდევ უფრო ზუსტად გუდაუთელი, როგორც თვითონ იტყოდა, ერთი ძირძველ-თაგანი კაპოეტის ვიწრობებიდან.

ომამდელ აფხაზეთში, ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს, ლიხნში „ლიხნაშთა“ იმართებოდა, ანუ შემოდგომის ზეიმი, უძველესი სა-ხალხო დღესასწაული.

ყველა სოფელს თავისი სანახისი გამოჰქონდა ზეიმზე და აფხაზური პეწით მამაპაპისეულად დაწნულ ფაცხებსა და მათს მიდამოებში. ჭირნახული და ნაქარგ-ნახელავი იმგვარად იყო მი-ლაგ-მოლაგებული, როგორც ნიჭიერი მხატვრის ნატურმორტებში წააწყდებით ხოლმე.

თეთრი ქილებიანი ჩოხა-ახალუხებით, შავი და თეთრი ბაშ-ლიყებით, ნაბდებით, შავად მბრწყინავი აზიურებით გამოწყობილი უხუცესები მოხდენილად ეწყობოდნენ ასევე სიყვარულით დაწნულ სკამ-სავარძლებში ფაცხის ეზოში და ქვეყნის ამბებზე მუსაი-ფობდნენ. ფაცხასთან მისულ სტუმრებს თუ ახლობლებს ტანის მცირე წამოწევით, თავ-კისერ-გულმკერდის ოდნავ წინ წახრით და მარჯვენა ხელისგულის ზეაწევით მიაგებდნენ მადლს მათს სამყოფელში მიბრძანების დასტურად. ფაცხასთან მისულებს თა-ვის მორჩილი დახრით და მოწიწებით, ძველებური პატარა ჭიქებით ორნახად არაყს შესთავაზებდა აფხაზურ ტანისამოსში გამოწყო-ბილი წვრილწელა ყმაწვილი. მამაკაცებისთვის ადგილის დედის და ფაცხის მადლის დალოცვა და სასმელის მიღება სავალდებულო იყო, თუმცა არავინ არავის დააძალებდა.

სტუმრებს და მიმსვლელებს მასპინძელი შეუძღვებოდა ფაცხა-ში, ხალისით პასუხობდა კითხვებზე. გამოსვლისას უხუცესთ-უხუცესი მფარველი ღვთაებების, მთისა და ბარის, აფხაზეთის და ლიხნის მიწის სადღეგრძელოს პატარა ყანწებით სთავაზობდა დამთვალიერებლებს.

კოლხურ-აფხაზური ღვინოები და ხაჭაპურები ცალკე მაგიდა-ზე იყო გაწყობილი.

ტაშ-ფანდურში, სიმღერებსა და ცეკვა-თამაშში გუგუნებდა ლიხნის უზარმაზარი მწვანე მინდორი. შუადღისთვის ყველა ნას-ვამი იყო, მაგრამ არავინ მთვრალი.

თეატინელი ორდენის ბერებს ლამბერტს და კასტელს თუ და-ვუჯერებთ, ლამის ასეთივე წესებით ცხოვრობდა, თურმე, მეჩვიდ-მეტე საუკუნის დასაწყისის სამეგრელოს აფხაზეთი ენგურიდან ნიკოფსიამდე, რომლის თვითმხილველნი თავად ყოფილან, მხო-ლოდ იმ განსხვავებით, რომ წიფურიას ყოველწლიური სამზადი-სის თაობაზე თავადი ლევან დადიანი ბრძანებდა ერთი თვით ადრე

და ზეიმი მთელი კვირა გრძელდებოდა ენგურის მარჯვენა ნაპირის წიფლების ტევრში, დიდებულ ტაძართა სამების უზარმაზარ მინდორზე.

აქ, თურმე, საქართველოს ყველა კუთხე თავის საბინადროს აწყობდა, თანაც სპარსელი, თურქი, ებრაელი, სომეხი, რუსი თუ სხვა სტუმრის, დიდვაჭრის თუ დიპლომატის სადგომებსაც. 20 ათასს აღემატებოდა ზეიმ-ბაზრობის მონაწილეთა რაოდენობა. იყო ვაჭრობა-გარიგებები, ენგურის ნაპირებზე ტრიალებდა უცხოური ფული. კვირა დღე საყოველთაო ზეიმის დღე იყო: შეჯიბრი ჭიდაობაში, ძალოსნობაში, იარაღის ხმარების ხელოვნებაში, სიმაღლეთა დაძლევაში და, რა თქმა უნდა, მარულაში.

ლიხნაშთობა ძალიან ჰგავს ძველ წიფურიობას. საღამოხანს ცხენებს და მხედრებს უთმობენ მოედანს.

პირველობისთვის არავინ არავის ინდობს, სასტიკი ბრძოლების არენა ხდება ლიხნის მწვანე ველი, თუმცა გაჩნდა რაღაც ახალი ტრადიციაც: ბოლო წლებში ხან გუდაუთა, ხან გალი პირველობდა. მარულაში პირველის ბედს, ჩვეულებრივ, მარდენი ან რუსლანი და მათი მეგობრები „ამრა“ ან „აია“ წყვეტდნენ ხოლმე.

„აიას“ მეგრულ ლაბაშს, მთელი ქვეყანა იცნობდა მოხდენილი ტანით, ფინიშის სწორამდე აღერილი ყელით, შუბლზე კიოფით და წვრილი კავშა კანჭებით. „ამრა“ სულ სამი წლის წინათ ჩამოუყვანიათ ადიღედან, ის მეტად გერგე, მაგრამ საოცრად ლამაზი, ფართო გულ-მკერდით, ხშირი წითური თმებით და უსაშველოდ გრძელი ძუით, ნახვიდანვე დიდი სიმპათიით განგაწყობდა, თუმცა ზედმეტად ოჩანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. „ამრა“, დიდ შეჯიბრებებში გამოუცდელობის მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონი გახდა. ეს იმ წელს იყო, როცა მარდენი და „აია“ მაშინდელი დიდი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, ქართველი ჟოკეი აფხაზეთიდან კი მსოფლიოს რჩეული ხუთეულის წევრი და სპორტის ოსტატი გახდა.

და აი, დღეს, ამ საღამოს, ამ ლიხნაშთაზე ბობოქრობს გადარეული ხალხი. ჯერ იყო პატიჟი, მერე ტანასობა, მერე სხაპი, მოქნევა, მკერდაობა, ყაბახი, ცხენბურთი და, რა თქმა უნდა, მარულა. ხანაც იფეთქებს ოვაცია, ხანაც კრუნჩხვიანივით გადაყლაპავს ენას ამფითეატრად გადაქცეული ლიხნის ველი და მისი შემოგარენი.

ერთბაშად გაისუსა მაყურებელი, როცა მარულას უკვე მეათე, ბოლო წრეზე გავარდნენ „აია“ და „ამრა“ თანაც „აიამ“ ერთი კისრით და მეტით გაუსწრო „ამრას“. ცხენებს აღარ ჰგავდნენ ოფლში გახვითქული ცხენები, არც მათი მხედრები ჰგავდნენ ადამიანებს.

ისინი, ცხენთა კისრებს ჩაფრენილები, ბერძნული მშვილდიდან გატყორცნილი ისრები უფრო იყვნენ, ვიდრე ცოცხალი არსებები.

მერე? მერე, თითქმის შუა წრეზე, მცირე მოსახვევთან, მთელი ტანით წინ გაიჭრა „აია“.

აკვნესდა ამფითეატრი, აგმინდა მინდორი, დამუნჯდნენ ქალები, მყისიერად გაიტრუნნენ ბავშვებით და მოზარდებით ადესის მტევნებივით დახუნძლული ათასწლოვანი ხეები.

მერე? მერე მოხდა ის, რასაც სასწაულს ეძახიან მარათონული შერკინების არმცოდნეები, მაგრამ ფინიშის სწორზე სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ საქმეში ჩახედულ ადამიანებს. ბოლოსწინა ალმამდე 150-100 მეტრით ადრე წამიერ მოდუნდა „აია“, „ამრამ“ კი კისერი წაიგრძელა, ჯერ უნაგირამდე მიეტანა წინამრბოლს, მერე იათახით, მერე კისრის შუა ფაფრამდე, შემდეგ გასწორდნენ და ფინიშის ხაზზე ერთი ნაბიჯით გადაასწრო „აიას“.

„აიამ“ წააგო უეჭველი პირველობა, ბოლო წამებში ხელიდან ააცალა „ამრამ“.

გულდაწყვეტილ ქართველ გულშემატკივრებს გამოცანად დარჩათ კითხვა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, რამ დააბნია **მარდენი, რატომ არ შემოკრა ფინიშის სწორზე „აიას“ მა**თრახი, როგორც ეს საყოველთაო წესია და ისიც აკეთებდა ამას გადამწყვეტ წამებში; რატომ არ უგვერდა და უგანა მაინც?

მერე რაც ლიხნის ველზე ხდებოდა, ნამდვილი სასწაული იყო, რომლის აღქმა მე მაშინ არ შემეძლო, მგონი შეუძლებელიც იყო.

ლიხნის **მწვანე მინდორი ათასფერად აჭრელებული ზღვა გახ**და, რომლის ტალღების ერთი ნაწილი ოკეანის შტორმს მაგონებს ახლაც, მეორე ნაწილი კი კარგად გამოძინებულ წყალზე ლიფსიტას მიერ დანთებულ რგოლებს. იყო სხვა ჯგუფიც: ხმაურიანი, გაღიზიანებულები და აგზნებული, და ისეთებიც, რომლებიც უხმოდ ნეტარებდნენ და დედის მკერდში გაბადრული ჩვილის ღიმილით ტოვებდნენ მოედანს.

* * *

რუსლანი და **მარდენი ხანგრძლივი ტურნეების შემდეგ, ჩვეუ**ლებრივ, ოჯახებით სტუმრობდნენ ერთმანეთს, მთელი კვირა რჩებოდნენ ხან გალში, ხანაც ლიხნში.

უფლის ნებითაა, ალბათ, მოწყობილი აფხაზეთის ეს ორი მხარე ოდითგან, თითქოს ერთ თარგშია გამოჭრილი ეზო-კარის და სახლების უმეტესობა. ერთი შეხედვით, ბავშვებიც ჰგვანან ერთმანეთს. და ეს არავის უკვირს: ადგილობრივ ქართველს ხან ბებია ჰყავს აფხაზი, ხანაც აფხაზს-ქართველი ბაბუა, დედა ან მამა, ხანაც მათი ნათესავია ბერძენი, ხანაც რუსი, ხანაც თურქი, ხანაც სომეხი...

ორივეგან როგორც წესი, ძველ სამოსახლოებში, უზარმაზარი ეზო სამ ნაწილადაა დაყოფილი. პირველში თხებს აბინავებენ, მეორეში მსხვილფეხა პირუტყვს, მესამეში, ყველაზე გრძელსა და განიერში, ოდასა და სამზადისს შორის, მცირედ უკან, ცხენის თავლაა, თანაც ორად გაყოფილი: **სათქერი და საოჯახო ცხენებ**ისთვის.

მარდენის **ბავშვებს შეუმჩნევიათ, რომ ლიხნში ყველაფერი ისე**თია, როგორც გალში, ბაბუას ეზო-კარში, მხოლოდ მესამე ეზოს შუაგულში უზარმაზარი, ცისთვის წვერმიბჯენილი მაგნოლიები ყვავიან განსხვავებულ ფერად: **ლიხნში – წითლად, გალში – თეთ**რად.

მარდენის ოჯახს გაცნობის პირველი დღეებიდან უმასპინძლეს ანუებმა ლიხნში, მერე თბილ ზღვაზე, რიწის სანახებში, ათონის ქვესკნელში. შემდეგ კი რუსლანის სტუმრებს მოწესრიგებული რიგით ყოველ საღამო იწვევდნენ მეზობლები.

სტუმარი ღვთისაა იქაც. **მარდენს ფიზიკურად არ შეეძლო გაუ**თავებელი ღამისთევა და ქეიფი, მაგრამ ქანცგაცლა და უღონობა მალე ავიწყდებოდა.

რუსლანიც ვერა და ვერ ივიწყებდა გალში მარდენთან და მის ახლობლებთან სტუმრობას. ყოველ საღამო მის პატივსაცემად დაკლული ხბო ან მეძუძური თიკანი ახარებდა და ანაღვლიანებდა კიდეც.

ენგურჰესის მიწისქვეშა ლაბირინთების, სათანჯოს ციხის ხილვისა და **ჩხორთოლის „აკვანში“ განბანის წმინდა წესის აღ**სრულების შემდეგ **გაგიდაში გაათევინეს კიდევ ერთი ღამე რუს**ლანს, ღამე, რომელიც ყველაზე მოკლედ მოეჩვენა. ეს იყო გვიანი სერობა გაგიდა-გუდავის მელნისფერ ლაგუნაზე, როგორც ხალხში ამბობენ, ვენეციელთა ძველ ნავსაყუდელში, ზღვიდან ას ნაბიჯზე, ისლებისა და **შვიტების მუქ-მწვანე, ათასწლოვანი კოლხური ხეე**ბით დაბურულ პირველყოფილ სამყაროში, თანაც ნაპირებს შორის დაჭიმულ ჰამაკზე. ასეთი რამ ვერც წარმოედგინა ადრე: ნებივრობ ჰამაკზე, სახელურს გამოსწევ და უჩინარი ბადე წყალქვეშეთიდან ჰაერში დაეკიდება და დიდრონი თევზები ჰამაკში ჩაგიხტებიან უნებურად;

გაგიდაში მიწიერი სამოთხის არსებობა ირწმუნა რუსლანმა: იქ სვამ და არ თვრები, იქ ღამე დილაა და დილა ღამე, იქ კოღოც საყვარელი რამაა, რადგან კბენს, მაგრამ არ გტკენს, იქ ბაყაყები კი არ ყიყინებენ, არამედ მღერიან იდუმალ საგალობელს. იმდენმა სხვადასხვა ჯიშის თევზმა იხტუნავა რუსლანის ჰამაკზე, იმდენმა აბეზარა მტაცებელმა გიჟურ ატყლაშუნა წყალში ფარფლები რომ,

მიხვდა: მართლები არიან აქაურები, რომლებმაც უთხრეს, რომ შავი ზღვისპირეთის მტკნარი წყლის ყველა თევზი ამ ლაგუნაში გაჩნდა და მათი ნაშიერები განაგებენო სათევზეთს.

დასაძინებლად წასვლის ჟამი ეგონა რუსლანს, როცა ზღვისპირა მესაქონლე-მეკარვეებმა გაველურებული ხარები გამოდევნეს ტყიდან მთვარის ვერცხლისფერ შუქზე. ამ ძლიერ და დაკუნთულ ხარებს, კოლხთა ძველი წესით, პატარაობიდან ტყეში ტოვებენ თვითგადასარჩენად. მათ უხსოვარი დროიდან განსაკუთრებული დანიშნულებით იყენებენ თურმე...

ჭაობ-შამბნარებიდან გამორეკეს უმეტესად ალათი, „ველის წითელას“ მსგავსი ზორბა, დაკუნთული, მაგრამ დევნისგან ქანცგაცლილი მოზვრები და არჩევა სთხოვეს რუსლანს. რუსლანმა ერთისკენ გაიშვირა ხელი, თუმცა მერე ინანა: მისი უფრო მოწონებული მალე დიდ ნაჭრებად აიქნა, მოიხარშა, მწვადებად აშიშხინდა და კოლხ-აფხაზთა წესისამებრ სავახშმო ტაბაკზე დალაგდა ღომთან და სუნელთან ერთად.

რაც მერე იყო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ახსოვდა რუსლანს; როცა თვალი გაახილა, უკვე ათონს, საბედიანოს ძველ მიჯნას იყვნენ გაცილებული. თავი უსკდებოდა, ყელი გაშრობოდა. მარდენმა ჭაჭა მიაწოდა, იუარა, მაინც დალია, მერე ჩათვლიმა.

ლიხნში, **თავის ჭიშკართან გააღვიძეს. ბორძიკით გადავიდა** მანქანიდან, მეუღლეს, პირმშვენიერ ბერძენ ელენეს თვალი დაუპაჭუნა და ბავშვების გამოყვანაში შეაშველა ხელი. ძრავის ხმაურზე უკან მოიხედა. ეზოსთან სატვირთო ავტომანქანა გაჩერდა. ძარაზე მისი რჩეული ალათი ხარი იდგა.

* * *

„ლიხნაშთას“ მესამე დღეს მარდენმა გალში წასვლა გადაწყვიტა, მამას დავეხმარებიო სიმინდის ყანებში.

დილიდან გაიშალა სუფრა რუსლანის მამამ დაინიშნა თავი და მაგიდის მარჯვენა ბოლოში აფხაზური სავარძელში დაიკავა ადგილი. პატარა სასმისები ჩამოარიგეს, რომელსაც რატომღაც „რიუმკას“ ეძახიან აფხაზეთში. თამადა წამოუდგომლად იტყოდა სადღეგრძელოს, მერიქიფე კი პატარა დოქიდან რიგ-რიგობით შეუვსებდა ჭიქებს სუფრის წევრებს. რუსლანის მამას, ბედნიერი ღიმილით უციმციმებდა თვალები.

უჩვეულოდ გაგრძელდა ხემსი და მხოლოდ მაშინ წამოიშალნენ, როცა „აიას“ გალში გადასაყვანად ჩამოსული უზარმაზარი მანქანა მოადგა ჭიშკარს. მუდამ გფარავდეთ აჟვეიპშაა და იყავით არამხუტუბი ჩემო შვილებო, ხმას აუწია თამადამ და სავარძლიდან წამოდგა.

რუსლანმა „აიას“ გელვება მოისურვა, „ამრას“ აღვირი კი ხელ-

ში შეაჩეჩა მარდენს.

ეზოს ყველა შიდა კარი გააღეს, ცხენების დასაოთხებლად.

„აია“ არაჩვეულებრივი იყო, ანუებს თვალი ზედ ჰქონდათ შერჩენილი. წამებში გადაევლო ეზო-კარის ყველა ბარიერს, ითქერა, მაგნოლიას ჩრდილში იკუნტრუშა, მერე მოიზიდა, ბაჩად იქცა, ყალყზე შედგა და რუსლანის მამის წინ გაქვავდა თავდახრილი.

ახლა „ამრას“ ჯერი დადგა. მარდენმა აღვირში ჩაავლო ხელი, თავი ყურთან მიუტანა და რაღაც უჩურჩულა მხედართა ძველი წესით. არ ინება „ამრამ“, თავი უხეშად გააქნია, ლამის ცხვირ-პირი მოუნგრია მარდენს. იწყინა მარდენმა, წამში უნაგირზე მოექცა, აღვირი მოქაჩა და ყალყზე შეაყენა „ამრა“. გაჯიუტდა „ამრა“, ახტა-დახტა, აიკუზა-დაიკუზა, მანამ იტლინკავა, სანამ, მარდენი გავაზე არ შეაგდო.

რუსლანი შეცბა, გაბრაზდა, იწყინა მისი გაზრდილის ქსუობა, მერე მათრახი მიუგდო მარდენს: ოჩანაა ეს გადამთიელი, სახაპუნო, ეგრე მოუხდებაო მაგ ურჯულოს!

ეუხერხულა მარდენს ცხენიდან ჩამოსვლა, იწყინა გვარიანად, მერე გავაზე გადაჰკრა მათრახი. წამიერ მიწას მოსწყდა „ამრა“, გააფთრდა, ხარიხებს გადაევლო, მაგრამ ისე, რომ უკანა ფეხებით ზედა ძელს წამოედო და წინა ფეხებით ჩაიკეცა. მაინც ვერ მოიშორა მარდენი, მუხლებით დამაგრდა მხედარი, თანაც მიხვდა, რომ „ამრასთან“ გარიგება შეუძლებელი იყო.

მაინც სცადა ხელახლა. გაჩერდა ცხენი, ქანდაკებად იქცა. ისევ გადაჰკრა მათრახი, ისევ გადაირია „ამრა“, ყალყზე შედგა, იკარხლა, გაქანდა, წყავის დიდი ძირის ორ ასწლოვან ამონაყარს შორის სცადა გაძრომა, რათა მხედარი ჩამოეგდო. მაინც ვერ მოიშორა მარდენი.

კაცის ფერი დაკარგა რუსლანმა, იგრძნო, რომ რაღაც ვერაგული ჩაიფიქრა „ამრამ“ და ოდაში შევარდა, სადაც შაშხანა ეკიდა.

ეზოში კი მოხდა ის, რაც აქაურ ცხენოსნებს არ ახსოვთ და მხოლოდ ამერიკულ ვესტერნში თუ უნახავს ვინმეს: შენელდა, თითქმის შეჩერდა „ამრა“, მერე ჩაიმუხლა, ლამის მიწაზე გაწვა და ტროპის მოწყობა სცადა.

მიუხვდა მარდენი, დროზე გადახტა, თუმცა მეტად უხერხულად და თავ-ცხვირით ხის ძირს მიენარცხა. წამში ტყვიაც გავარდა.

„ამრა“ არ წამომდგარა.

რამდენიმე წუთში ყველა დაწყნარდა, ქალებმა კივილი შეწყვიტეს. მარდენს სახე ჰქონდა მცირედ გაკაწრული.

„ამრასთან“ მივიდა მარლენი, ჭირისუფალივით დაიხარა, თვალები დაუმუჭა, შუბლზე ეამბორა, შემდეგ დინჯად მიტრიალდა, სახეში შეხედა, სიფიცხე და აჩქარება დაუწუნა რუსლანს.

ჩამოსხდნენ. უხერხულობა რუსლანმა დაარღვია.

– მე გავზარდე და მევე მოვკალი, ცუდი მასწავლებელი ვარ, არც მოწაფე გამოდგა ღირსეული, მეტად ამპარტავანი და ფხუკია იყო, თანაც მედიდური, ურწანი. უცნაურია, რომ მეც მიჭირდა მასთან საუბარი, ვერ იტანდა სხვის გამარჯვებას, ეზიზღებოდა მარჯვე მხედარი, თუნდაც ჩემი მეგობარი. ეტყობა, არა ჩვენებურია მაინც!

ოჯახს მიუსამძიმრა მარდენმა და სინანული გამოთქვა მომხდარის გამო, მერე წამოდგა, რუსლანს ექვსი თვის კვიცს დაჰპირდა და იქ მყოფებს დაემშვიდობა.

* * *

ომისშემდგომ შევხვდი მარდენს თბილისში. „ამრაც“ ვახსენე.

შეწუხდა მარდენი, არ სურდა ამ ამბის გახსენება. მომეჩვენა, რომ აფხაზეთის ტრაგედიამ ერთბაშად დააბერა იგი. მიჭირსო აფხაზეთზე საუბარი, მე ხომ ლაზი ვარ, თანაც აფშილიო და ძველებურად გაიღიმა.

– ცხენებიც ადამიანებივით არიან, თავისუფლად დაბადებულნი, სამართლიანები და მიმტევებლები, მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისი იყო, ეტყობა უცხო გარემომ, მთის სამყარომ, კვიცობის წლებმა თავისი კვალი დატოვა „ამრაზე“.

საქართველოში, იქ, ჩვენს აფხაზეთშიც, ცხენოსნობის საოცარი კულტურაა, მხედრები ცხენებთან საუბრობენ ცხენ-კაცის ენაზე; ერთმანეთში ნდობაა მთავარი, სადაც ნდობა არ არის, იქ ყველგან გაიჩენ მტერს, მეგობრებს დაკარგავ; ასეა ადამიანებშიც, განსაკუთრებით აფხაზეთში. მე და „აია“ ლამის ერთი სული ვიყავით ორ სხეულში, თანაც შეთანხმებული სულები; და, აი, უბრალოდ რაზე: მუხლებით მსუბუქი მოჭერა, ნიშნავს: დავიძრათ, მაგრამ არ დავიღალოთ; უფრო ძლიერი: მხოლოდ წინ, რაც შეგვიძლია; მათრახი (თანაც მასთან ადრე დათქმული): გაქუსლე, არ დამზოგო, არ დაიზოგო, უნდა მოვიგოთ! თითქმის ასეთი დათქმა აქვთ აფხაზ ცხენოსნებსაც. ეს ვაჟკაცური გარიგებაა...

– მეგობრობა შევთავაზე „ამრას“, მაგრამ ვერ გამიგო თუ არ უნდოდა გაგება, ვერ მივხვდი, ჩემზე გაბრაზებული იყო ან არ მენდობოდა. აი, „აია“ კი, ეცოდებოდა.

– ვფიქრობ, ამპარტავანი და ქედმაღალიც იყო, რუსლანსაც უჭირდა მასთან ურთიერთობა. არ ვიცი როგორ გითხრა, არ დამიჯერებ: ძალიან ახალგაზრდა იყო, მოთმინება და ტექნიკა აკლდა,

მაგრამ საკმაოდ ეშმაკი და ნიჭიერი, თანაც სასტიკი, ეჭვიანი, უმადური, დაუნდობელი, მათშიც ხდება მსგავსი რამ, ვერ აგიხსნი. . .

– ახლაც ტკივილით ვფიქრობ მასზე, მან ნახა, რომ გადამწყვეტ მომენტში „აიას“ მათრახი არ დავკარი, იმასაც მიხვდა, რომ მე და „აიამ“ პირველობა დავთმეთ სხვა რამის გამო და აი, რატომ: მე მაშინ ჯერ კიდევ დიდი ჩემპიონი ვიყავი, რუსლანი კი მეტად ღირსეული მხედარი და უფრო ღირსეული ადამიანი, თუმცა ასაკით ჩემზე დიდად პატარა, წავახალისეთ თავად და იმ ხალხის წინაშე, ვინც ასე გავახარეთ მისი და „ამრას“ პირველობით. მე ეს ნორმალურად მიმაჩნია, უფროსმა უნდა დაუთმოს უმცროსს, რათა უფროს-უმცროსობა და ადამიანური გაგება არ მოიშალოს;

– რუსლანზე არაფერი ვიცი, ლიხნში არ არიან ამჟამად, სახლი დიდი ხნის მიტოვებულია.

– რუსების ბრალია ყველაფერი?

– ვერ გეტყვი, ალბათ ასეა, თუმცა რუსეთის გაჩენამდე ჩვენს სამოთხეზე თვალი ეჭირა რომს, ბიზანტიას, ვენეციას თუ გენუას, სპარსს თუ ოსმალო ალი-ბაბას, სხვა ათას მტაცებელს. რწმენაზე თავს ვიკლავდით და ურწმუნოს შევეკვრებოდით ხოლმე და მხოლოდ მაშინღა ვფხიზლდებოდით, როცა ჩვენსავე მიწაზე ჩვენივე ცალი ფეხის დასადგმელსაც გვედავებოდნენ უკვე. რა, განა ახლაც ასე არ არის? თუმცა იმათ, ვისაც „უხსენებელს“ უწოდებდა ქართველი დედა ძველად და ბავშვებს აშინებდა, ახლა ლამის ღვთაებად გავიხადეთ. ეეჰ, მეგობრობას რა სჯობია, მაგრამ, გააჩნია კიდევ ვისთან და რის ფასად. ცხოვრება წინ მიდის, ეჭვი და უნდობლობა ჩვენი შემწე ვერ იქნება, ისიც არ გვესწავლება, რომ ჩვენს მოსაგვარებელს სხვა ვერ მოაგვარებს, წასართმევად კი ყველა მზადაა. მე პოლიტიკოსი არ ვარ, ჩემი საქმე ცხენი იყო, ახლა შვილიშვილებია. ასეა აფხაზიც. ჩვენ ერთი ხალხი ვართ.

დაწყნარდა, წამოდგა.

– არაა მხოლოდ რვა საოცრება დედამიწაზე, ვაცილებ მეტრომდე მარდენს და ვფიქრობ ჩემთვის: ალბათ იმდენი საოცრებაა, რამდენი ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროში, მხოლოდ ეს არის, რომ უნდა შეგეძლოს მათი ხილვა, გაგება და შეყვარება.

თბილისი, 15 ივლისი, 1999 წ.

მუშნი

ივლისის მიწურულის ცხელ დღეებში ყაბარდოში მეგობარს სტუმრობდა მუშნი. აქ პირველად მამამ ამოიყვანა თავის დოსტ-თან ჯიხვებზე სანადიროდ. ეს გუშინ იყო თითქოს. ახლა მუშნი და მისი მეგობარი მდინარის პირას იყვნენ წამოწოლილი და მწვანე დევებს გაჰყურებდნენ შორეთში. იქ, შორეთში, აფხაზეთი იყო, დალის ხეობის დარაჯად დამდგარი მწვერვალები. ხელმარცხნივ ხითარის მყინვარი ელვარებდა მზის სხივებზე. ახლომახლო ძმად-ნაფიცი ძმაკაცების წაბლა ცხენები ფრუტუნებდნენ.

ასე იყო ყოველ ზაფხულს, ვერ ელეოდნენ ერთმანეთს, თუმცა გრძნობდნენ, რომ ასაკი და წლები თავისას აკეთებდნენ. დაჯერ-ება არ უნდოდა, რომ უკან დარჩა მოწიფულობა, ჯანი და ძალა. უჭირდა მუშნის ორი დღე-ღამე უნაგირზე ყოფნა, თანაც არ უნ-დოდა დალის ხეობის დატოვება, რომელიც ომისშემდგომ წლებში ადამიანებზე ნადირობის ადგილი გახდა.

შვიდ აგვისტოს, გათენებამდე გამოემართა მუშნი ხეობისკენ, ომი იყო საქართველოში. მიწის ფერი ედო სახეზე. ტაფობებზე დააოთხებდა წაბლას, მათრახსაც დაუმსახურებლად აკადრებდა განუყრელ მეგობარს.

მორიგ საღამოს უკვე ხეობაში იყო, ხეობის დამცველ სამთავ-რობო პოლიციელებს ესაუბრა, გაამხნევა მათმა შემართებამ.

მამა-პაპათა წესით საომრად ემზადებოდა ხეობა, ძველმა მონადირეებმა გადაწყვიტეს ასე, ადგილებიც შეარჩიეს დუშმანის დასახვედრად, თუმცა ძველი თოფების და დამბაჩების მეტს სხვა ვერაფრს მოუყარეს თავი. ლოდები აზიდეს საფარში, – რას იზამ, როცა გული გულობს, მთაში სხვა რამ მაინცდამაინც აუცილებელი არ არის.

ცხრა აგვისტოს მთელი დღე დაფრინავდნენ რუსული „სუები“ ხეობის თავზე, აქა-იქ რაკეტებიც ჩამოყარეს. საღამოს ტყვარ-ჩელიდან არტილერიამ დაბომბა ხეობის შემოსასვლელები, საავად-მყოფოსთან ასევე ჩხალთისა და გენწვიშის სკოლებთან ფეთქდე-ბოდა ჭურვები.

ღამე არ ეძინა ხეობას. ხმა გავრცელდა, მოსახლეობამ ხეობა უნდა დატოვოსო უთუოდ, რომ სამხედროებსა და პოლიციელებს მტერთან ბრძოლაში ხელი არ შეეშალოსო.

დაიბნნენ გაოგნებული უხუცესები, მათ არავინ არაფერს

ეკითხებოდა. ვიღაცები კარდაკარ დადიოდნენ და ქალებსა და ბავშვებს აჩქარებდნენ, ხეობაში დიდი ომი იქნება და აქაურობას ცოტა ხნით გაერიდეთო.

გული ამოვარდნაზე ჰქონდა მუშნის, ფეხები მოკვეთილი.

მამა გიორგისთან ავიდა სენაკში. მამაო და ბერ-მონაზვნები არ-სად აპირებდნენ წასვლას, გულმხურვალედ ავედრებდნენ ქვეყანას და ხალხს უფალს, ლოცულობდნენ და ემზადებოდნენ სიკვდილთან შესახვედრად.

მამაო მიუხვდა მუშნის, პირის დაღება არ აცალა, თავად ამ-ოიღო ენა, – ჩვენ აქ დავრჩებით, თქვენ კი უნდა მისცეთ კეისარს კეისრისა, ასე აჯობებს ქვეყნისთვის, ალბათ, იქ უკეთ იციანო თავისი საქმე.

თბილისში ჰაერი არ ყოფნიდა. გულმა ვერ მოუთმინა, ერთ კვი-რაში ხეობაში დაბრუნდა.

ჯავშანმანქანები ამოდიოდნენ დილაობით, აფხაზური დროშები ფრიალებდნენ სახურავებზე, ვერტფრენები დაბორიალებდნენ კო-დორის თავზე, საღამოს უპატრონო ძროხების საზარელი ბღავილი და ძაღლების წკავწკავი იკლებდა იქაურობას. ოდესღაც სანატრე-ლი და საყვარელი მთები, ჩაბნელებული სახლები ტანში ზარავდა მუშნის. მდინარეებსაც გაეკმინდათ ხმა.

მუშნი დადიოდა სოფელ-სოფელ, უცხო ჯარისკაცებსაც გა-დაეყრებოდა გზადაგზა, მაგრამ არავინ არაფერს ეკითხებოდა წაბლაზე ამხედრებულ ტანწერწეტა და ჯერ კიდევ ჯეელ მოხუცს. გაოცებული იყო ნანახით, – სათვალავშიც არავინ აგდებდა მუშ-ნის.

მიხვდა, რომ აქ ზედმეტი იყო. წარმოიდგინა წარმოუდგენელი და გაშეშდა, თითქოს უბეში ვიღაცამ ჩაუყო ხელი, მუჭში მოიმწყ-ვდია მისი გულის მტევანი და გასაჭყლეტად მოუჭირა. ჩამოჯდა, ინატრა მიქელგაბრიელის მოსვლა, მაგრამ რამდენიმე წუთში ყვე-ლაფერი დაწყნარდა.

ცხენზე ახოხდა და ზედა პტიშში სახლისკენ აიღო გეზი.

* * *

ადრე აცივდა ხეობაში. ოქტომბერში უკვე კაცის სიმაღლის თოვლი ეყარა. ტურების თავზარდამცემი ყმუილი ისმოდა. ეზოს ტყე კაფში, სადაც საძროხე ჰქონდა, მათი ნაფეხურებიც ნახა.

ორმაგი ფიცრით გაამაგრა საძროხე. იცოდა, რომ უკაცო და უიარაღო ხეობაში მხეცები დაიდებდნენ ბინას.

აგვისტოს შემდეგ ყველაფრის მიმართ გაუცხოვდა მუშნის გული და გონება, ძველებურად არ ხედავდა, არ ესმოდა, არ გრძნობდა; მისთვის უაზრო გახდა წარსული, აწმყო და მომავალი.

არ ფიქრობდა არაფერზე, არ ჭამდა და სვამდა. ეს იყო და ეს, მხოლოდ შვილებსა და შვილიშვილებზე დარდობდა დროდადრო.

* * *

გვიან თენდება ხეობაში, ბინდბუნდად დგება ალიონი. ძროხების ბღავილმა წამოაყენა ფეხზე. თოფი აიღო, გადატენა და საძროხისკენ გაეშურა.

ბებერი მგელი წამოწეულიყო უკანა ფეხებზე, კარის კედლებს აწვებოდა, კბენდა და ფხაჭნიდა ტორებით და ყმუოდა, თანაც ისე მოურიდებლად, რომ თავზე წამომდგარი მუშნიც არაფრად ჩააგდო. ეწყინა მუშნის, გაბრაზდა და დაუფიქრებლად ესროლა.

ხეობის ნადირთ არ მტრობდა მუშნი, მოსწონდა კიდეც მგლების და დათვების მამაცობა და თავაზიანობა, ამიტომაც გაუკვირდა სტუმრის თავგასულობა. გადაწყვიტა მომაკვდავის სახლში გადაეყვანა. დიდხანს ათრია, დაიღალა. სუნთქვა შეეკრა. აუჩქარდა გული, მკერდიდან გუგუნი ესმოდა. აღმართზე დატოვა და სახლში დაბრუნდა აბის დასალევად.

სვენებ-სვენებით დაბრუნდა და მოულოდნელობისგან ელდა ეცა: ხვადი მგელი იდგა მკვდრის თავთან, გულდასმით სუნავდა, ეფერებოდა, ნაზად ულოკავდა ჭრილობებს, მერე გვერდით მიუწვა.

შეეცოდა ახალი სტუმარი მუშნის, დატანჯული და გაწამებული ეჩვენა, მასავით ზედმეტი და სიცოცხლემისჯილი.

კარგად დაუმიზნა და ესროლა, თუმცა მოგვიანებით ინანა. დედალ-მამალი ყოფილან მგლები, ეტყობა, როგორც ძველებისგან გაუგია მუშნის, სიცოცხლე არ უნდოდა წყვილის დამკარგავს, მგელთა ოჯახის წესით მიუშვირა შუბლი ტყვიას.

პირველად იტირა მუშნიმ, ლამის იღრიალა ბავშვივით, უპატიებელი ცოდვის ჩამდენად ჩათვალა თავი. მთელი დღე თხრიდა საფლავს, ადამიანურად მიაბარა მიწას.

* * *

ძილი დაკარგა. შიმშილი და წყურვილი არ აწუხებდა. წაბლა, ძველი და უღალატო მეგობარი, შემოიყვანა წინა ოთახში, ჩალა დაუყარა, წყალი დაუდგა. მოეფერა, შეებრალა თვალნაღვლიანი.

დროის ანგარიში დაკარგა.

– ნელი სად ხარ, რა დრო გასულა უშენოდ, რატომ არ მეკარები?

შეეხმიანა მეუღლეს, რომელიც ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი, ჩვეული ღიმილით შემოსცქეროდა მას ქვიტკირის თეთრი კედლიდან.

– გამებუტე? მართალი ხარ, ერთი წელიწადი საფლავზე გითევდი ღამეებს, მერე მეც ყველასავით განგერიდე, წესია მთაში, შვილები და შვილიშვილები, ათასი საზრუნავი, შენც კარგად იცი...

– კარგი რა, ხომ აგიხსენი, ხმა გამეცი, ცოდო ვარ მეც, შემიბრალე...

– მომენატრე, მომწყურდი, ნელი, მე ხომ არ გიღალატე, არ გაგცვალე სხვაზე, ვერ წარმოიდგენ როგორ მიჭირს უშენოდ, ქალი და დედა სხვაა მაინც...

– ამოიღე ქალო ხმა, ჩამოდი აქედან, შენ ხომ იცი, რომ ერთი დღეც არ მქონია უშენოდ, ხმას აუწია მუშნიმ.

ნელი უხმაუროდ ჩამოცურდა კედლიდან, კაბა გაიხადა და ფრთხილად შეძვრა მუშნის საბანში.

* * *

მამა გიორგისთან ერთად სენაკში ასულმა ბერებმა ეზოში გათხარეს თოვლი და გაზაფხულამდე ყინულის ლოდებს მიაბარეს ხეობის ულამაზესი და უმამაცესი კაცი, რომელმაც წინაპართა დარად არ იკადრა მამულის მიტოვება.

იანვარი, 2009 წ.

მოხალისე

როგორც კი მოსკოველ გენერლებთან საბოლოოდ დაზუსტდა სოხუმზე შეტევის დეტალები და ოფიცრები მებრძოლებთან დაბრუნდნენ, ჯარისკაცებმა აყვაზე შტურმის აღსანიშნავად არყის ბოთლები გადმოაპირქვავეს; მხოლოდ მთიელთა რაზმი განმარტოვდა.

მთიელთა რაზმის მეთაური, აგვისტოდან აფხაზეთში ბრძოლების მონაწილე, შუახნის ლამაზი, ჟღალ **წვერიანი პოლკოვნიკი, სასტიკი** და დაუნდობელი, ახლა თბილი და ალერსიანი ჩანდა, მამაშვილურად ეამბორა ბიჭებს, მიზანი დაუსახა და ჩაილაპარაკა, თავი არ დაზოგოთ, მაგრამ არც სიკვდილის უფლებას გაძლევთო.

რაღაცით ჰგავს გროზნოს სოხუმი, ჩემი ქალაქივით ლამაზია, მაგრამ თურმე სულ სხვაა დიდი ზღვა, რომელიც ლურჯ სევდად შემოსწოლია ამ მწვანე ქალაქს და თოლიების ფრთებით შეუმოსავსო იგი, ფიქრობდა თავისთვის მანსური. მას ტანში სიხარულის ჟრუანტელს ჰგვრიდა იმისი წარმოდგენაც კი, რომ ხვალ ან ზეგ დაჩაგრული ხალხების მხსნელად მოევლინებოდა ისტორიას და

თავის გმირ წინაპრებს.

რატომღაც მოენატრა და გუდაუთიდან ტელეფონით რვა მარტი მიულოცა მისგან ყურადღებას უკვე გადაჩვეულ დედას, თუმცა არ უთქვამს სად იყო და რას აკეთებდა. ღელავდა მანსური, მამა და და მოიკითხა, ყურმილში შემომძვრალ დედას მოკლეზე მოუჭრა, – მალე ჩამოვალ, მომენატრაო სახლი.

ანგრეული ასფალტის ორმოებზე ჯაყჯაყებდა ჯავშანმანქანა, არ ილეოდა დაღმართი. რა უხეშები არიან ეს რუსები, რკინაც და იარაღიც თავისებური აქვთო, – მოხერხებული ადგილი ვერ მოუნახა ნაღმსატყორცნს და ავტომატს, სული ეხუთებოდა.

როგორც იქნა შეჩერდა კოლონა, წინ მდინარე იყო, ზაფხულის თერგივით მღვრიე და გაცოფებული მიანგრევდა იქაურობას, განრისხებული ლომივით ღრიალებდა. სამანქანო გზაც დასრულდა, წინ ახლადმოწყობილი ბორანი იყო, მის იქეთ ბნელით დაძონძილი ბუჩქნარი და დანაღმული აღმართი.

შორს, სადღაც უკან, ჰქუხდნენ ქვემეხები, ფლანგებზე გამოჩნდნენ ტანკები. შვეულმფრენებმა დაზვერეს იქაურობა და ცეცხლის ძეწკვები დაჰკიდეს ქართველთა პოზიციებზე. უმალ განათდა ცა და მიწა, ბურანიდან გამოძვრნენ ევკალიპტები, ტანაშოლტილი კვიპაროსები, დაუკრეფელი ნარინჯის ბუჩქები, სიმინდის ნაყანარები.

მანსური ომში იყო. წიოდნენ და ფეთქდებოდნენ რეაქტიული ჭურვები, სტვენდნენ მოხეტიალე ტყვიები, ცეცხლის ალში იბრაწებოდნენ ბუჩქები და ხეები.

როგორც კი გაივაკა, შეისვენეს. მეთაურის ბრძანებით აქ მცირე ხანი უნდა დაეყოთ მწყობრის მოსაწყობად, რათა გათენებამდე ქართველთა სანგრები გადაეთელათ, იქიდან კი ქალაქი იწყებოდა.

წამოდგებოდნენ და წინ გარბოდნენ ბიჭები, მერე ისევ ჩაწვებოდნენ. მოწინააღმდეგის ნიშანწყალი არ ჩანდა, მხოლოდ ქვემეხის ჭურვები სკდებოდა შორიახლო.

წუხდა მანსური. როგორ უნდოდა გარს შემორტყმოდნენ ქართველები, ცეცხლში გაეხვიათ მისი მებრძოლები, ალყაში მოექციათ, თვითონ კი რემბოსავით მხსნელად მოვლენოდა ყველას. არა, არ გაუმართლა, წინიდანაც ისროდნენ კანტიკუნტად, მაგრამ ძე-ხორციელი არ ჩანდა.

ისევ შეაჩერეს მანსური და ოცეული. მეთაურს უბრძანებია შეტევის ხაზის გასწორება. იწვნენ და ასწორონ, გაფიცხდა მანსური, წამოხტა და ავტომატის ჯერი მიუშვირა ციცინათელებს, რომლებმაც როგორც იქნა გაბედეს და თავხედურად ჩაუქროლეს

მარჯვენა ყურთან. შეჩერდა მანსური, მიმოიხედა, მჭიდი შეცვალა, გადატენა იარაღი და ბნელს მიაპყრო სმენა. წამიც და მანდარინის ფოთლებიდან ჩქამი მოესმა, თანაც ბარძაყის თავი აეწვა.

გონი **დაუბრუნდა ქვასავით ცივი და ტლანქი გამხდარიყო მარ-**ჯვენა კიდური, ქვედატანი. ციოდა მანსურს.

ახლოს არავინ იყო. თავი წამოსწია მანსურმა. ავტომატს დაეყრდნო, წამოდგა, გასწორდა, ცალი ფეხით წინ წაწევა სცადა. შებარბაცდა, მთელი ტანით ნაჭურვალ ორმოში გადავარდა და მიწაც მოეყარა.

თავქვე იწვა მანსური, თბილი თიხა და ქვიშა ესიამოვნა კიდეც. მერე თავი ასწია, ხელები მოიშველია და პირაღმა გადაბრუნდა.

ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ზოგი ძლიერ კაშკაშებდა, ზოგი ჩასაქრობად გამზადებულივით ბჟუტავდა, მაგრამ არა ისე, როგორც **ჩეჩნეთში, ცის აქაური დარაჯები ერთბაშად არც ქრე-**ბიან და არც ინთებიან ცარგვალზე.

უეცრად ერთი დიდრონი წითელი ვარსკვლავი მოსწყდა ჰორიზონტს, გრძელი კუდი გაიკეთა და **მანსურის ცხვირწინ და-**ფრინდა...

ნატაშა იყო, იღიმოდა.

არ უყვარდა რუსი გოგონები სკოლაში, მაგრამ ეს პირ-ველკურსელი ციმბირელი ლამაზმანი უბოდიშოდ აეკიდა და ლოგინშიც შეუძვრა. მშვენიერი იყო ნატაშა, მასავით მაღალი, ტანადი, მწვანეთვალება. შურით გულზე სკდებოდნენ შავტუხა თანაკურსელები.

მანსურმა ნატაშას გაანდო აფხაზეთში წასვლის საიდუმლო. გაწყრა უგონოდ შეყვარებული ქალი, იტირა, ისლუკუნა. ბოროტი და დაუნდობელია ომის ღმერთი, ზემოდან გადაჰყურებს ბრძოლის ველს და უშიშარ მეომრებს არჩევს, ახოცვინებს მტერს და თავის ზეციურ ლაშქარში მიჰყავსო, ჩვეულებრივებს კი ბრძოლის ველზე ტოვებს მისი ყვავების საჭმელად, მხოლოდ ლაჩრებს არ ართმევსო სიცოცხლეს, რათა მარადიულად იტანჯონ თავისი მხდალობის გამო, ათასჯერ უმეორებდა ნატაშა მანსურს. ერთხელაც განრისხდა მანსური, მობეზრდა ქალის წუწუნი და ვედრება. – აბა, ვინღა არიანო მაკედონელი, ჩინგიზ-ხანი, კონსტანტინეპოლის მპყრობელი სულთანი, თუნდაც შამილი. ნატაშა არ დაიბანა, ზევსი გავიწყდებაო მანსურ, ესენი მისი რჩეულებია, თანაც ათასწლეულებში გააჩენსო ასეთებს თავისი წილხვედრი მიწის და ხალხის სადიდებლად, არც ის დაგავიწყდეს, რომ ხშირად სატანის ხელიც ურევიაო ასეთების გაჩენაში.

ოღონდ არ წასულიყო მანსური აფხაზეთში და რას არ დაჰპირდა

ნატაშა, სამუდამო საყვარლობა შესთავაზა მასთან ერთი შვილის გაჩენის სანაცვლოდ, შვილისა, რომელიც იქნებოდა მანსურის სისხლის და ქალის სილამაზის ნაყოფი და არავის დაანებებდა უსიკვდილოდ.

ახლა კი აქ, ბრძოლის ველზე მასთან იყო ნატაშა, თანაც მის გვერდით, მისი სუნთქვა ესმოდა, მისი ტანის სურნელი ძველებურად აბრუებდა, მაგრამ ქალი ხმას არ სცემდა. მონატრებია ნატაშა, მოფერება მოუნდა, თბილი სიტყვის თქმა, მაგრამ უპასუხოდ გაუჩინარდა ნატაშა, ვარსკვლავი ჩაქრა და მანსურმაც თვალის ჩინი დაკარგა.

კვლავ მოსწყდა ცას კუდიანი ვარსკვლავი და მანსურის ცხვირწინ ჩამოდგა...

სახლში იყო მანსური, სასტუმრო დარბაზში. ოქროსფერი კედლიდან მუნდირებში გამოწყობილი დიდი წინაპრები შემოჰყურებდნენ. მაგრამ მისდა გასაოცრად, რატომღაც სიყვარულით. წინაპართა პანთეონში დიდი შამილის და შეიხი მანსურის სურათებს ყველაზე გამორჩეული ადგილები ეკავათ. მეორე რიგი ბაბუის, ბაბუის მამის და იმისი მამის მამის, მათი თანამებრძოლი მხედრების ფოტოებით იყო მოფენილი. რა კაცები, რა მეომრები, რა მამულიშვილები, რომელი ხალხი არ იამაყებდა ამ ვაჟკაცებით. რისთვის და ვისთვის არ უბრძოლიათ ამ დევგმირებს, აღტაცებას ვერ მალავდა მანსური.

დარბაზში მამა შემოვიდა, დედა უკან მოჰყვებოდა. შეეცოდა დედა მანსურს, თავსაბურიდან ჭაღარა უჩანდა, უპეები ჩასცვენოდა, ნაოჭებს მეტისმეტად დაეკაწრათ მისი ერთ დროს ლამაზი სახე. მამასთან საუბარი მოუნდა, მაგრამ არ დასცალდა, ვარსკვლავი ისევ გაუჩინარდა და დრო კვლავ გაჩერდა.

რა გადაუტანიათ ჩვენებს, უარესიც ყოფილა ალბათ, კვლავ ეწვია ნათელი და გონება მანსურს, ეტყობა, რომ ჩემთვისაც ჯერ არ დამთავრებულა ყველაფერი, გაიფიქრა მანსურმა და წამოდგომა სცადა. ვერ შეძლო. ზღვა გაახსენდა, ახლა წყალში რომ იყოს სახლის ოდენა ტალღებს დაეყრდნობოდა და წამოდგებოდა უთუოდ, ნატაშაც შეეშველებოდა ვენერას მკლავით და თავის თლილი თითებით, თუმცა მანსურმა ფრჩხილების გალაქვა აუკრძალა ოდესღაც.

თენდება ალბათ, ცეცხლისფერია აღმოსავლეთი, გაიფიქრა მანსურმა.

ახლა უკნიდან გამოეცხადა შედარებით მსხვილი წითელი ვარ-სკვლავი. . .

ფეხებს და ხელებს არ გრძნობდა მანსური, სახე ცივი ოფლის წვეთებით ჰქონდა დაცვარული, თუმცა მკერდიდან გულის ბორგვა არ ნელდებოდა.

ნატაშა ისევ შემოიპარა ოთახში, ლამის ტიტველი. ქალმა მკლავები შემოაჭდო გულმკერდზე, უჩვეულოდ მკვრივი ძუძუებით დაეყრდნო ზურგზე. მანსურმა მაინც არ შეწყვიტა ბიბლიოთეკის საცავიდან წამოღებული ძველი წიგნის კითხვა, სანამ ნატაშა მთლად არ გადადგა ჭკუიდან...

წიგნის ავტორი ვიღაც ინგლისელი ტუკი იყო, რომელიც საზიზღარ რამეებს წერდა შეიხ იმამ მანსურზე, თუმცა მისი ნიჭის, მოხერხებულობისა და მამაცობის გამო აღტაცებას ვერ მალავდა. რად და რისთვის დასჭირდა ამ ცხრამთასიქითელ კაცუნას ამ ამბების შეთხზვა, გაიფიქრა და წიგნი უხალისოდ მიაგდო საბანზე.

მოიცა, მოიცა, აგერ ტუკიც, ახლა ის თავად მოვიდა მასთან, მოეჩვენა, რომ ნიშნის მოგებით იღიმებოდა. ავტომატის აღება განიზრახა, მაგრამ არც ავტომატი იყო ახლოს და ხელებსაც არ გრძნობდა. ტუკი ახარხარდა, თანაც ისე ხმამაღლა, რომ მანსურს შეეშინდა, მტერმა არ შემამჩნიოსო.

ტუკი კი, აქ თითქოს არაფერიაო, დინჯად ჰყვებოდა ძველ ამბებს:

– დიდი შიში დანერგა რუსეთის საქართველოში ფეხის მოკიდებამ ჩეჩნეთსა და მთელ ლეკეთში, რადგან ქრისტიანული რუსეთი ახლა ქართლ-კახეთიდან მოექცა ზურგში და ადრე თუ გვიან მათ დამორჩილებასაც მოიწადინებდა. რუსეთს სურდა კონსტანტინეპოლის აღება და დიდი ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენა, რომლის იმპერატორი ეკატერინე მეორის შვილიშვილი უნდა გამხდარიყო. ოსმალო ბაბა-ალი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას არ ცნობდა და ცდილობდა ლეკებში და ჩეჩნებში შფოთი გაეღვივებინა რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთს საქართველო კვლავაც თავის ხელქვეითად მიაჩნდა, ხოლო მთელს აღმოსავლეთში სახელგანთქმული და დაუმარცხებელი მეფეთ მეფე ერეკლე II კი პირად მტრად, ამიტომ თავისი მიზნის მისაღწევად ფულს და საჩუქრებს არ იშურებდა ოსმალთ ხელმწიფე. არც სპარსეთს ეძინა, მასაც თავის საყმოდ მიაჩნდა საქართველო და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. სპარსელებმა და ოსმალებმა ერეკლეს სახანოები აუჯანყეს. ცუდ დღეში ჩავარდა საქართველოს მეფე, არსაიდან ჩანდა ქვეყნის გადარჩენის იმედი. მალე ოსმალები საქმეზე გადავიდნენ და იმჟამად მთიელთა მამაცი ლიდერი შეიხ იმამ მანსური დაიმეგ-

ობრეს, რომელმაც რამდენჯერმე დაამარცხა რუსის ჯარი და მთიელი მოსახლეობის საყოველთაო სიყვარულით დაიმსახურა;

– ეს მანსური იყო ერთი პატარა იტალიური ქალაქის მთავრის შვილი, თვალი ჩაუკრა ტუკმა მანსურ-უმცროსს, რომელმაც კარგი აღზრდა მიიღო. იგი თავისი სახლიდან ერთ მონასტერში გაიქცა, სადაც ბერად აღიკვეცა. მიმზიდველმა საუბარმა, კეთილშობილმა ქცევამ და სარწმუნოებრივი წესების ბეჯითად დაცვამ მას მალე წმინდანის პატივისცემაც კი მოუხვეჭა. ვატიკანმა ის სპარსეთში გააგზავნა ქრისტიანობის საქადაგებლად, სადაც შეისწავლა თურქული და სპარსული ენები. თავრიზის მიდამოებში დამკვიდრდა და იქ, როგორც საექიმო საქმის კარგმა მცოდნემ და მოხერხებულმა მოძღვარმა, მალე გაითქვა სახელი, ხოლო ფიზიკის და ქიმიის ცოდნამ წინასწარმეტყველის სახელი მოუპოვა; და შეარქვეს მანსური, არაბულად გამარჯვებული. შემდეგ მანსურმა ოსმალეთში იპოვა მფარველები, ფულიც გაუჩნდა და მხსნელად მოევლინა საჩეჩნოს. მადლიერმა მთიელებმა ის წინასწარმეტყველად, შეიხად და იმამად აღიარეს და მის გარშემო 12 ათასი მეომარი შეიკრიბა. მანსურის მეთაურობით მთიელებმა მრავალჯერ დაამარცხეს რუსული პოლკები, ააფეთქეს რედუტები, უკუაქციეს იმპერიის საუკეთესო შენაერთები, ტყვედ იგდეს მეფის საუკეთესო გენერლები და ოფიცრები. მხოლოდ ერთხელ დამარცხდა მანსური ანაპასთან, შეიპყრეს და პეტერბურგს გააგზავნეს, მეფური ცხოვრება მოუწყვეს, რუსის ქალებით და ფუფუნებით ქანცი გაუწყვიტეს და თავის ბედს შეგუებული მონასტერში გამოამწყვდიეს.

გადაირია მანსური, ინგლისელი მოჭუტული ცალი თვალით და თავზარდამცემი ხითხითით აცოფებდა ორმოში მიმწყვდეულ მანსურს, თანაც პასუხის ღირსიც არ გახადა, ადგა და წავიდა.

კვლავ დაბნელდა ქვეყანა და შეჩერდა დრო...

აღმოსავლეთიდან მზემ წამოჰყო თავი.

მანსურმა მძიმედ ასწია ქუთუთოები, სიკვდილი ინატრა, მაგრამ დიდი შამილი გამოეცხადა. თუმცა რატომღაც ზურგით დადგა მისგან. ნუ გეშინია პატარა არწივო, სიკვდილი არ არის სიცოცხლეზე უფრო საშიში. გვიან მივხვდი, თუ რა უნდოდა ჩვენგან რუსეთის დიდ ქვეყანას, რატომ ცდილობდა ნახევარი მსოფლიოს მპყრობელი ჩვენი პაწია ქვეყნის და თავისუფალი ხალხის დედაბუდიანად ამოწვას. მათ ჩვენზე უკეთ იციან, რომ დიდი ქვეყანა მხოლოდ შიგნიდან შეიძლება ააფეთქო და დაშალო, ამიტომაც არიან მუდმივად ომებში, რათა თავისი მეამბოხე შვილები პატარა ქვეყნებს შეახოცონ, თანაც მათივე ძვლებით მოფენილი მიწები თავის სამკვიდროდ აქციონ. ვერა და

ვერ მივხვდით, რომ თუ არ გაერთიანდნენ პატარა ქვეყნები, მათი გადარჩენა არ იქნება. გაცვდა ჩვენი ხმალი, დაიწრიტა სისხლი, მაგრამ ჩვენი საშველი არსაიდან ჩანს. ვინც მეგობარი გვეგონა, ვინც ფული და გული გაგვიზიარა, ისიც თავის საკეთებელს აკეთებდა თურმე. ადამიანთა პატივმოყვარეობისთვის მეტად მცირეა დედამიწა, თუმცა ყოვლისშემძლემ ყველას თავისი მიწა მიუზომა და მხოლოდ მისთვის გვიბოძა ლამაზი სიკვდილი. ულევი ძალაა ჩვენში, მთიელებში, კავკასიაში, ამიტომაც ალიონიდან დაღამებამდე მუხლზე დამხობილი ვევედრები ალაჰს მოგვცეს ერთმანეთის სიყვარული.

გაუწყდა სათქმელი შამილს, ისევ შეჩერდა დრო, არ ხედავდა და არ ესმოდა მისი მანსურს, დახუჭულ თვალებში ძლივს ატანდა ვარდისფერი ცა.

მთლად გაცივდა, ლოდად იქცა მანსური, თუმცა ხვდებოდა, რომ ჰაჯი მურატზე უარესი ჯერ კიდევ არ სჭირდა, თავი კვლავ ება მხრებზე.

ძალა მოიკრიბა და თვალები გაახილა. უკუნში შავი ცა გადაიხნა და ზღვისფერი ჯანღი დაბლა დაეშვა, საიდანაც ნატაშა გადმოვიდა.

ჩეჩნური თავსაბური ეხურა, ჩადრის ჭრილიდან მონატრებული თვალ-წარბი უელავდა, ხელში ყრმა ეჭირა, აი ისეთი, როგორიც საკუთარი ბავშვობა ახსოვდა სურათებიდან. რაღაცის თქმას აპირებდა ნატაშა, მაგრამ არ დასცალდა. მანსურმა შეამჩნია, რომ ნატაშას თეძო-წვივი მოშიშვლებული ჰქონდა და მის წინაშე ტანს ისე გამომწვევად აქანავებდა, როგორც ერთხელ რესტორანში, როცა პირველად შეხვდა და გაიცნო. ეწყინა, ბავშვი მომიყვანე და წაეთრიეო, უყვირა მანსურმა. სხვა რამეზე დაფრთხა თურმე ნატაშა, ბუჩქებიდან ჯარისკაცები გამოცვივდნენ, გაიქცა და გაეკიდნენ, კარგა ხანს ირბინა, მერე წაიფორთხილა და წაიქცა, ხელიდან ბავშვი გაუვარდა.

სიმწრისგან ატირდა მანსური, ბიჭს დაეძებდა და ვერ პოულობდა ბნელში.

კიდევ კარგი, რომ დედა მოვიდა, თვალები დაუკოცნა მანსურს და ბავშვივით ჩაიხუტა გულში. სანამ დრო ისევ გაჩერდებოდა მანსურს ჩაესმოდა დედის უცნაური კვნესა-ქვითინი.

იგვიანებდა დილა ნაომარ ველზე, აღარ დაადგა საშველი გათენებას.

* * *

გამარჯვებული ქართველი მეომრები გაწმენდის ოპერაციას ატარებდნენ.

ბობოქრობდა, იღრინებოდა ზღვა, კოკისპირულად წვიმდა სოხუმში.

მაშველებმა კავკასიური გარეგნობის მეტად ლამაზი უწვერულვაშო ბიჭი იპოვეს ორმოში, რომელსაც არ შორდებოდა უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი, თუმცა ჯარისკაცი კარგი ხნის გარდაცვლილი იყო.

თბილისი, 15 მარტი, 2009 წ.

ციბა

ეე, რა არ გადაგვხდომია, რა წისქვილის ქვაც არ დატრიალებულა ჩვენს თავზე.

არ უმართლებთ მომიტინგეებს, დედაქალაქისთვის უჩვეულოდ ცივი და წვიმიანი გაზაფხულია წელსაც. მეც არ მიმართლებს ერთი კვირაა თეთრიც არ შემიტანია ოჯახში, ბავშვების მრცხვენია. ბედნიერი ვიქნებოდი უწიგნური რომ ვიყო. რაღა ვქნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვარ და ამით ვამაყობ სიმთვრალეში სხვა რამისთვის ვერ გამოვიყენე. დრო შეიცვალა, ახლა უვიცების მაგრამ მოხერხებულთა და თაღლითთა დროა.

არ მეძინება. ჩემი შავ-თეთრი „რეკორდი“ ჩავრთე. ახრიალდა, აშიშხინდა გადაქან-გადმოქანდა ეკრანი, ცოტაც და ჩაწყნარდა. ქვეყნის პრეზიდენტთან ოპოზიციის ლიდერების შეხვედრას აჩვენებენ, თანაც პოლიციის სამინისტროს ახალი, მეტად ორიგინალური შენობიდან. რატომღაც ასო „ც“-ს მივამსგავსე ჩვენი ქალაქისთვის ასე უჩვეულო, მაგრამ ძალიან ლამაზი ნაგებობა. რატომღაც სიტყვა „ციბა“ ამეკვიატა. ციბა, ციბე, ციბო, ო, ეს ხომ „გეორგიკიდანაა“, სწორად თუ მახსოვს, ერთი ბიზანტიელი სარდალი, საქმის კაცი ახლანდელი გაგებით, კაცი რომელიც ლაზიკას მიუჩინა ბიზანტიის კეისარმა თავის თვალად და ყურად.

თვალები დავხუჭე, სახლში დავბრუნდი გონებით, სახლში, რომელიც ახლა სახლი არ არის, მაგრამ იყო ერთ დროს აფხაზეთში, თითქმის ორი ათეული წლის წინათ. რა დამავიწყებს, სახლში „გეორგიკას“ მესამე თუ მეოთხე ნაწილს ვკითხულობდი, იქნებ მეხუთეს, ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა შეგიძლია მთელი სიცოცხლე მადლიერი იყო იმ რომაელი, ბერძენი თუ ფრანგი მისიონერების, მოგზაურების, მწერლების თუ მხედრებისა, რომლებმაც ფეხით მოიარეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული და საოცრად ზუსტი აღწერა დაგვიტოვეს.

მეც ბავშვობიდან მოვდივარ. ახლა ბებიის პატარა სახლში ვარ. ბებიაც იქაა, ჩემი თბილი, ლამაზი, ჭკვიანი, ბებია, მუდამ მოფუს-

ფუსე და საქმიანი. ორი კატა გვყავდა სახლში, ბებია ეალერსებოდა საღამოობით, არტერიულ წნევას მკურნალობდა. ერთმა მათგანმა წიწილების ქურდობა დაიწყო, არ აპატია ბებიამ, ცხვირი მოუწვა. მაინც არ დაწყნარდა, ავად აიფხორებოდა წიწილების დანახვაზე. ბებიამ დასაჯა, სახლში არ უშვებდა, თანაც „ციბა“, დაარქვა. მოგვიანებით მივხვდი, რომ იმ მხარეში „ციბა“ ხარბი, ცბიერი, მლიქვნელი, მატყუარა, თანაც უჟმური, სასტიკი, და დაუნდობელი კაცის მეტსახელი და სიმბოლო იყო. ჩემი მშობლებიც ახსენებდნენ ვიღაც „ციბას,“ როცა არ უნდოდათ გაგვეგო ბავშვებს თუ ვისზე იყო საუბარი. ახლაც, ომისშემდგომ აფხაზეთში, თოფიანი აფხაზის თუ უცხო ყაზაყის უდროოდ და უადგილოდ გამოჩენაზე ბავშვები „ციბას“ ძახილით აფრთხილებენ ერთმანეთს.

არ მეშვება „გეორგიკა“.

ბიზანტიელებმა დიდი ლაშქრობა წამოიწყეს კავკასიაში.

კეისარს ადრე ჰქონდა დაჭერილი თადარიგი და წინა აზიის ზღვისპირეთის აწ უკვე ბერძნულენოვანი მოსახლეობა დარაზმა მეზობელი ხალხების წინააღმდეგ. ბიზანტიის ლეგიონებმა გადაუარეს დიდ თუ მცირე სახელმწიფოებს, მშობლიური ადგილებიდან აყარეს მკვიდრი მოსახლეობა, ხელთ იგდეს მეფეები და მათი ქონება, ფულით და მუქარით შემოირიგეს მერყევი კარისკაცები, ურჩებს კი თავები დააყრევინეს.

კეისარს საბაბი მიეცა ურჩ ლაზიკაში შესაღწევად – ჯარი დაადევნა გაქცეულ მეფეებს, რომლებმაც მთა-ხევებით, ტყეებით და ზღვისპირებით მოძმე ლაზიკაში სცადეს გადასვლა.

კოლხეთის ერთ დროს დიდი და ძლიერი სახელმწიფო დაიქანცა ისტორიულ ქარტეხილებში, დაქუცმაცდა, დაიშალა, სახელმწიფო ერთიანობა დაკარგა და დიდი მეზობლების საჯილდაო გახდა, თუმცა ლაზიკა, იბერიას მოწყვეტილი ქვეყანა, ჯერაც ქრისტიანობდა და დარაჯად ედგა კავკავის მთებიდან მოზღვავებულ ათასგვარ მომთაბარეს.ლაზიკა ჯერ კიდევ, ბიზანტიის ქვეშევრდომად ითვლებოდა, თუმცა საკუთარ და კეისრის საქმეს თავად აგვარებდა და ბერძენთა ჯარს მის მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმა აკრძალული ჰქონდა.

მსოფლიოს ბატონობდა ბიზანტია, მაგრამ სასანიანთა დიდი ირანიც ცდილობდა ლაზიკას თავის მხარეზე გადაბირებას და პონტუს ექვსინუსზე გასვლას. ლაზიკას მეფეზე უკეთესად ვინ იცოდა, რომ ორივეს ლაზიკა სჭირდებოდა სათავისოდ, არცერთი არ იყო მისი მეგობარი, თუმცა ორივე თამაშობდა მასთან, ისე როგორც თვითონ ორივესთან საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად. არც ერთი მათგანი არ ენდობოდა ლაზთა მეფეს და ორივე სიამოვნებით მოი-

შორებდა მას და გააუქმებდა სამეფოს, მაგრამ ამ უბედურებაში იყო ის ბედნიერება, რომ თუ რომელიმე გადაწყვეტდა ძალის გამოყენებას, მაშინათვე მეორესთან ექნებოდა საქმე, ომის ღმერთი კი არც ერთ მათგანს არ უღიმოდა ჯერჯერობით, თანაც ლაზების საპირწონე არც არვინ იყო, რადგანაც გადამწყვეტი ბრძოლის ველზე მას შეეძლო გამარჯვებული დამარცხებულად ექცია. ასე რომ, კეთილგანწყობილი ლაზთა მეფე ორივეს სჭირდებოდა, მეფესაც ორივე, – თავისი თავის, ქვეყნის და ჯიშის გადასარჩენად.

ეს ის დრო იყო, როცა ჩრდილო მომთაბარე ველურნი მოაწვნენ ლაზიკას და მეფემ ტახტი ციხე-გოჯში გადაიტანა. წათე გამხდარა ლაზთა მეფე, იგი ახალდაბრუნებული იყო დიდი ქალაქიდან სამეფო რწმუნებითა და რეგალიებით, თანაც, წესით და რიგით, სადედოფლოც გამოუყოლებიათ იქიდან.

დიდი ფული შესთავაზა წათეს კეისარმა, ციხეები აღაშენე და ჩემს ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღეო, მაგრამ იუარა მეფემ. კარგად იცოდა დიდი მამის შვილმა, რომ ანგარიშიანი იყვნენ დიდი ბატონები იმპერიისა და უმიზნოდ არ არიგებდნენ ფულსა და ოქროს.

დარჩესო, ძველებურად უხალისოდ დათანხმებულა კეისარი, თანაც გაუგრძელებია საუბარი – ქრისტიანობას გაუფრთხილდი მეფეო, მცხეთას კვლავ გიზგიზებსო წარმართთა ცეცხლი; და კიდევ, აღებ-მიცემობას შეუწყვეო ხელი, მონახეო სამაგისოდ კაცი ხეირიანი, გზა გაუხსენიო ქვეყანაში ჰურიათ და არმენებს.

პირველ მინიშნებას ჩაუხვდა მეფე, მეორეზე კი დაფიქრება მართებდა. მოგვიანებით მიუხვდა მეფე კეისრის ნაბრძანებს, მან კარგად იცოდა თუ რა ხდებოდა მისი იმპერიის გარშემო.

ირანის პირველმა შაჰმა არტაშარმა განაგდო თავისი ქვეყნიდან ყოველი ბერძნული და აღადგინა მათი ძველისძველი ადათები. ცეცხლთაყვანისმცემლობა განავრცო თავისად მიჩნეულ მიწებზე, მცხეთას ადიდა სამი არმაზი.

დიდი ომისა და ნიზიბინის ხელშეკრულების შემდეგ ბიზანტიისთვისაც უმნიშვნელოვანესი გახდა ქრისტიანობის განმტკიცება ლაზიკასა და იბერიაში, როგორც უმთავრესი სტრატეგიული ფაქტორი თავის გავლენის მოსაპოვებლად ქვეშევრდომ და მეზობელ ქვეყნებში, რადგანაც ერთმორწმუნეობა ითვლებოდა ნდობისა და სიახლოვის უპირველეს პირობად.

ძლიერი აღმოჩნდა ირანის მეფე კოადი, ხელახლა დაიპყრო იბერია და საქართველოს აყრა მოსთხოვა ბიზანტიას.

თავის დროზე წათეს მამამ ბიზანტია არჩია ირანს და ნდობა მოსთხოვა ბიზანტიას, რაც სიამოვნებით აღუსრულეს, მაგრამ

ქვეყნისთვის საშიში საფრთხე ვერ აიცილა თავიდან. ირანმა და ბიზანტიამ დიპლომატიური მოლაპარაკება დაიწყეს და მათ შორის „საუკუნო“ ზავი დაიდო, რომლითაც იბერია და ლაზიკა გაიყვეს. რეალური ჩანდა სხვა სამომავლო რისკი, – ახალი ომის შემთხვევაში გამარჯვებული ირანი არ აპატიებდა ლაზებს ბიზანტიელთა ერთგულებას განუჭვრეტელი შედეგებით, ძლევამოსილი ბიზანტია კი უფრო მეტს მოსთხოვდა ლაზიკას და ჯარის შენახვასაც დააკისრებდა ლაზთა მეფეს.

აი, აღებ-მიცემობის გაფართოება კი თავაზი იყო, რათა წათეს გაეკონტროლებინა თავგასული ბერძნული კოლონიები, რათა კეისრისთვის მიეგო კეისრისა და ციხეებიც გაემაგრებინა იბერიაში შესაღწევად, ფიქრობდა წათე თავისთვის. მთლიანობაში კი მას აგრძნობინეს, რომ „საუკუნო“ ზავი მალე დასრულდება და სამზადისია ახალი მოვლენებისთვის.

წათეს მეფობის წლისთავზე მცირე აზიიდან ბიზანტიელთაგან ოტებული მეფეები გამოჩნდნენ ლაზიკას. გამოატარა წათემ მამამისის და ლაზიკას ახლობელი მეფეები და მათი ამალა სამშვიდობოს, მაგრამ მდევარი ჯარის სარდალმა იოანე ციბამ კეისრის ფირმანი წარუდგინა და იძულებული გახდა დევნილები მთიან ჩრდილოეთში გადაეხიზნა.

უცნაურია ნება იმპერიის ბატონთა, – ბიზანტიის წარმომადგენლად ლაზიკაში კეისარმა ციბა დაანიშნინა წათეს, კაცი არა წარჩინებული და არა სახელოვანი, რომელიც იმპერიის პირველი ჯარისკაცი ბოროტი და საზიზღარი საქმეებით გახდა. თუმცა, მალე დარწმუნდა მეფე, რომ ციბას, მისგან განსხვავებით, კარგად ეხერხებოდა ფულის შოვნა, დედათა მიმართ დაუნდობლობა და პირის მომეტებული გემო. სხვა რამითაც განსხვავდებოდა ციბა სხვებისგან, – მრავალ ენას ფლობდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხთა, ფინია ძაღლად იქცეოდა უფროსებთან, ცოფიანი მგელი იყო ქვეშევრდომებთან.

კიდევ სამი წელი და ციბას მიერ ხელქვეითებში წესად ქცეულმა სიცრუემ, ტყუილმა, პირფერობამ, დასმენამ არია ლაზთა და ბიზანტიელთა საქმეები, ეჭვი დათესა კეისარსა და მეფეს შორის, მტრად გაუხადა ქვეყანას მოყვრები და მეზობლები. ამბები მოსდიოდა მეფეს, რომ ციბა ოქროსა და ძვირფასეულობას უგზავნიდა ირანის შაჰის კარსაც, მისი დასტურით ლაზიკაში შემოდიოდა ირანული საქონელი ჰურიათა და სომეხთა ქარავნებით. ისიც იცოდა მეფემ, რომ ციბას არც ბიზანტიელი დიდკაცები ავიწყდებოდა და მშვენიერი კოლხი გოგონები, ოქრო და ფული მისდიოდათ უხვად.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და კეისარმა ნება დართო ციბას, რათა აღეშენებინა ზღვისპირეთში, ჭოროხთან ახლოს, ციხე-ქალაქი პეტრა. და აღშენდა ლაზი და ბერძენი დიდოსტატების ხელით ციხე-სიმაგრე, წვერად ცას აწვდენილი, სამი მხრიდან მიუდგომელ კლდეში ნაკვეთი, უცნაური ფორმისა და სიმტკიცის გამო იმთავითვე ქაჯეთად წოდებული. დაჯდა შიგ ციბა მეფისგან შორს, უსაფრთხოდ ლაზთაგან, მათ ძარცვად და საბატონოდ.

ციბამ შემოიღო ბერძნული მონოპოლი და თავად გადაიქცა შუამავლად ყოველ ფულიან საქმეში. ვაჭრებს ნება არ ჰქონდათ შემოეტანათ და გაეტანათ საქონელი ციბას ნების გარეშე. ეს რაღა არიო და ხვნა-თესვა აუკრძალა ლაზებს, იაფად და უკეთესი გარედან შემოვიტანოთო, თქვენ ნადირობა და თევზაობაც გეყოფათო თავის სარჩენად. მთელი შავი ზღვისპირეთი ხელში ჩაიგდო ციბამ, მაგრად ჩაავლო ხელი ტრაპიზუნტს, ფაზისს, პიტიუნტს, სებასტოპოლს, ზიგანიოსს, გაგიდას. ლაზები და მეფის მოხელეები გააძევა იქიდან. საწყობები მოაწყო ნავსაყუდლებთან საქმედ და მოამრავლა ვაჭრები და უცხოელები, ურჯულოებით გაავსო ქვეყანა.

ლაზთა სპასალარი ეახლა მეფეს. ეს ბიზანტიელი ისე გათამამდა, ჩვენს საქმეებში ერევა, არარაობად მივაჩნივართ ყველა, ძარცვავს აქაურებს, თუმცა სულ ლაზებზე იფიცება, ქება-დიდებას არ იშურებს მათზე და გაჭირვებულებთან ცრემლად იღვრებაო.

იყუჩეო, უბრძანა მეფემ სპასალარს, არ ივარგებსო სულწასულობა, თანაც დიდი ომი გვაქვსო წინ ველურებთან და დარბაზი იხმო.

გაუჭიანურდა ომი ლაზიკას ჩრდილოეთიდან შემოჭრილ მომთაბარეებთან, მათ არაფერი ჰქონდათ დასაკარგი გარდა სიცოცხლისა, რომელიც, ასევე, არაფრად უღირდათ. ფეხი აითრია წათემ და გამარჯვებული ომის ბოლომდე მიყვანა ბრძანა, როცა შეატყობინეს, რომ ირანელთა მეორე შაჰი-ხოსრო პეტრას დაატყდაო თავს ყველასგან უჩინრად.

პეტრას გარშემოეწყო ხოსრო. იერიშით ვერაფერი გააწყო. ციხე აუღებელი ჩანდა. ალყა მთელი წელიწადი გაგრძელდა და თავისმა რჩეულმა ლაზმა მცველმა დაკოდა ციბა სასიკვდილოდ, მისმა არასრულწლოვანმა ხასებმა კი სიცოცხლე მოუთავეს და მტერს ციხის კარები გაუხსნეს.

ციბას ქონება ხოსროს დარჩა. ახლა ირანელები ჩადგნენ პეტრას ციხე-ქალაქში, გამოიზამთრეს და ლაზიკას შეესივნენ.

უთანასწორო ბრძოლაში ჩაება ლაზთა მეფე, აგვიანებდა კეისრის ლაშქარი, თუმცა იბერთა დევგმირი უფლისწული თავისი გულანშარელი და კაბადოკიელი ძმადნაფიცი უფლისწულებით ფიც-

ხელ მიიწევდნენ პეტრაზე, სადაც იბერიელი უფლისწულის საპატ-არძლო ხოსროს ჰყავდა გამოკეტილი.

შემოდგომაზე ლაზიკას ჩამოვიდა კეისარი თავისი რჩეული რაზმით, წათემ უწინამძღვრა გაერთიანებულ ლაშქარს. მეწინავეთ მიუძღოდა ლაზთა მეფე. გადამწყვეტ ბრძოლაში ირანელები უკუ-ქცნენ და მდევარს გარიდებულებმა პეტრას შეაფარეს თავი.

საღამოს, ბუნიკის ამოღებისას უეცრად გარდაიცვალა ლაზი-კას მეფე, მოწამლული აღმოჩნდა მისი ბეჭიდან ამოღებული ბი-ზანტიური ისარი. სამი დღე და სამი ღამე არ მოშორებია ცხედარს ნირწამხდარი კეისარი, ბიზანტიონის წესი დაარღვია და იქვე უბო-ძა ლაზთა მეფობა უფლისწულ გუბაზს.

კეისარი დარწმუნდა, რომ პეტრას ციხის ამღები ძალა იმ დროს არ არსებობდა და ბიზანტიელებმა მეციხოვნეები შიმშილით ამოხოცეს. პეტრა დაანგრიეს, თუმცა ომი გაგრძელდა.

მოგვიანებით ბიზანტიამ და ირანმა ისევ შეკრეს ზავი, ამჯერად ირანმა ლაზიკა და იბერია აღიარა ბიზანტიის ქვეშევრდომად და მალე, ჰერაკლეს ზეობისას, წარმართობა დასრულდა საქართვე-ლოში.

ლაზიკაში საბოლოოდ ირწმუნეს, რომ პატარა ქვეყანას გადარ-ჩენის ერთადერთი გონიერი არჩევანი აქვს, – მხოლოდ საკუთარი ხალხის და ქვეყნის ინტერესების პირველობა ყველა სხვა ინტე-რესთა გათვალისწინებით, მაგრამ ბოლომდე ნდობა არავისი და არასოდეს!

კვლავ დავბრუნდი თბილისში.

პრეზიდენტთან შეხვედრა დასრულდა და ჩემი შეხვედრაც წარსულთან. ციბა, ალბათ, იმიტომ ახსოვდა ბებიაჩემს, რომ იგი ახსოვდა მის ბებიას და იმის ბებიას, და დღემდე ახსოვს „გეორ-გიკას“ და საქართველოს ისტორიას. ხომ იცით რანაირები იყვნენ ჩვენი პედაგოგები აფხაზეთში, ქართულის და ისტორიის მასწავ-ლებლები თავგამოდებით გვარწმუნებდნენ მოზარდებს, რომ პე-ტრა „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხეაო, მხოლოდ მათემატიკის მასწავლებელს ჰქონდა განსხვავებული პოზიცია.

ციბა კი, არის და იქნება ცოცხალი მანამ, სანამ ადამიანები, დიდი და პატარა სახელმწიფოები იქნებიან დედამიწაზე.

თბილისი, 9 აპრილი-9 ივნისი. 2009 წ.

სიმაღლე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს დაიბადა. ამბობენ, ამ დღეს დაბადებულებს სამშობლოს განსაკუთრებული განცდა აქვთო. იქნებ ამიტომაც იყო განსაკუთრებულად თავისუფალი, უჩვეულოდ ლაღი, არაორდინარული აზროვნებასა და მოქმედებაში, ბრძენი და დინჯი, მუდამ და ყველასი კეთილმოსურნე.

ადამიანი მოკვდავია, ბატონი დამიანეც ზეციურ საქართველოს შეუერთდა, მაგრამ სამარადჟამოდ აფხაზეთში, აფხაზეთელებთან დარჩა თავისი განუზომელი ადამიანური განზომილებებით.

იმჟამად თბილისში მოღვაწეობადა, სხვა საზოგადოებრივ დატვირთვასთან ერთად ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღესასწაულებზე რამდენიმე დღით ახერხებდა გალში ჩამოსვლას, ბარღებში მამისეული სახლ-კარის მონახულებას, მშობელთა და ახლობელთა ძვალშესალაგის მოფერებას. თუ საქართველოში იყო, აფხაზეთში ყველა მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანის გასვენებაზე ჩამოდიოდა. გამოთხოვების დღეს საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ზაფხულის ცხელ დღეს, აგვისტოს ბოლოს ქვემო ბარღებში მიმიწვია. მაშინ რაიონული გაზეთის რედაქტორად მიწევდა მუშაობა. მისი ძმის ოჯახში დანიშნა შეხვედრა, ბევრი სხვანიც იყვნენ: სტუმრები, ახლობლები, მეზობლები. დამიანეს ბარღებში ჩასვლა სახალხო ზეიმი იყო, აუარებელი ხალხი იყრიდა თავს. მერე იმაზე წუხდა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ადამიანის გაწბილება, ყველა თხოვნა-მიმართვის დაკმაყოფილება – კი შეუძლებელი. შევატყვე, ბატონ დამიანეს რაღაც საკითხზე სურდა საუბარი.

იგი ამაყობდა ქართველი, საერთოდ, აფხაზეთელი უბრალო მოკვდავებისთვის ბუნებით ბოძებული სხარტი გონებით, სიბრძნით, არნახული პასუხისმგებლობით ოჯახის, მეზობლების, ნათესავების, ადათ-წესების, მთლიანობაში ქვეყნის წინაშე. უნდოდა ამ სიამაყისადმი მისი დამოკიდებულება მეც გადამდებოდა. თავისი ჩვეული ტაქტით სათქმელი შორიდან დაიწყო და სასაუბროდ შორი სავალიც შემომთავაზა: სოფლის შარაგზით ზღვისკენ გასეირნება.

მრავალ ნანახსა და მრავალ განცდილს, ბუნებით კეთილშობილსა და პაციფისტს სძულდა ძალადობა, დაპირისპირება, ადამიანში აღმერთებდა, დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობას, პიროვნულ ღირსებას, პროფესიონალიზმს.

საუბარიც ამ საკითხების გარშემო წამოიწყო, ფრთხილად, მრავალაზროვნად.

– განათლებულობის უპირველესი ნიშანია მშობლიური ენის კარგად ცოდნა, საუბრის კულტურა, მიმზიდველობა. აფხაზეთში ამჟამად ბევრია კარგი მოქართულე. ბოლო წლებში მწიგნობარი თაობა წამოვიდა გალში, სოხუმში, თუმცა ამ თვალსაზრისით უფრო ჭირს სხვაგან, უარესი მდგომარეობაა უფრო იქით, რუსული დომინირებს საყოფაცხოვრებო ურთიერთობაშიც კი. ამ მდგომარეობას მწვავედ განიცდიან ჭეშმარიტი აფხაზი მოღვაწეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ რამეს ერთადაც ვერ ვცვლით. ჩვენც და აფხაზებსაც შესანიშნავად გვესმის, რომ ჩვენს პატარა ნავებს გაუჭირდებათ დიდ ოკეანეში ცურვა და თუ ასე გაგრძელდა, დადგება დრო, როცა გავქრებით ჰორიზონტიდან.

მშობლიური ენის უგულებელყოფიდან იღებს სათავეს გადაგვარება, მენტალობის შეცვლა, ერთიანობის დაშლა. რასაც თბილისიდან გაცილებით უკეთ ვამჩნევ.

ობიექტური მიზეზები ნამდვილად არის, ვთქვათ საბჭოთა კავშირის ფაქტორი, ფანჯარა ევროპაში რუსული ენის მეშვეობით და სხვა, მაგრამ ჩვენზე ბევრი, თითქმის ყველაფერია დამოკიდებული, მით უფრო ახლა, როცა „დიდ ქვეყანაში“ სხვა ვითარება იქმნება. აფხაზები მეთანხმებიან ამ საკითხში. მე და მეჯით ხვარწკიამ (რაფინირებული აფხაზი ინტელიგენტი) ერთობლივი გეგმაც შევადგინეთ, რომელიც გულისხმობდა გალის რაიონში აფხაზური ენის სწავლების შემოღებას, ისევე როგორც ქართულისა არაქართულ სკოლებში. თავის დროზე მიხეილ ბღაჟბაც ამ პოზიციაზე იყო.

შეჩერდა, ცას შეხედა, მთვარე ვერცხლისფრად ღებავდა იქაურობას.

– განათლება არ ნიშნავს მხოლოდ კარგ საუბარს, წერითი მეტყველებაა უმთავრესი. ნამდვილად იცი ის, რასაც ქაღალდზე მოკლედ გადაიტან. სამწუხაროდ, ასეთები ცოტანი არიან. ევროპაში კარგად წერენ, მაკვირვებს მათი სტილი, მრავალსტანდარტული მანერა, ტევადი წინადადებები, თუმცა საერთო განათლების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ჩვენებს. ამას ვამბობ იმიტომ, რომ მოაზროვნეთა, საქმის მცოდნეთა დრო მოდის. ჟურნალისტიკაში, განსაკუთრებით ქართულ და აფხაზურ ჟურნალისტიკაში, ბევრი რამ შესაცვლელია. გრანდიოზული და შაბლონური პუბლიკაციები ამაზრზენია. ხელი უნდა შეეწყოს ჟურნალისტების დაახლოებას, კონფრონტაციის თანამშრომლობით შეცვლას. ბზარის

ამოვსება ხალხებს შორის ამით უნდა დავიწყოთ. პირველი სიტყვა კი მათ ეკუთვნით.

ამასობაში საშამუგიოს ხიდზე გავედით. ხიდის მოაჯირზე ჩამოჯდა, ზღვის ნაკადს, მდინარის კალაპოტიდან მონაბერ ნიავს მიუშვირა მკერდი, დინჯად გააგრძელა საუბარი.

– ახალი თაობის პოლიტიკოსებს, ენთუზიაზმი არ აკლიათ, მაგრამ გამოცდილება არა აქვთ. უფრო სამწუხაროა კეთილმოსურნეობის, მოთმინების, სიდინჯის დეფიციტი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მრავალეროვან აფხაზეთში ისედაც მყიფე სტაბილურობას. ვგრძნობ, რომ ერთმანეთთან შეუთავსებლობის მოწოდებას უცილობლად მოჰყვება კატასტროფა აფხაზეთისა და მთელი საქართველოსთვის. თუ საკმარისი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა არ გვექნება, ახლის და უკეთესის ნაცვლად, რაც ჩვენს არაფორმალებს გულწრფელად სურთ, ნგრევას, არეულობას მივიღებთ, რაც არ უნდა იქნას დაშვებული.

– დაუდევრობა, საქმის გადადება, დოყლაპიობა ჩვენი ისტორიული მანკია. მე მეჩვენება, რომ ავყიობა, სხვათა მოიმედეობა, როგორც ადრე მრავალჯერ, მომავალშიც დიდ უბედურებას მოგვიტანს.

დიდ გარდაქმნებს საქმიანი ახალგაზრდები სჭირდება. ეცადეთ იპოვოთ ასეთი ახალგაზრდები, ისინი არიან, ოღონდ კარგად ეძებეთ, ხელი მოუმართეთ. სხვათა მომლოდინეები, ქვეგამხედვარეები მეგობრებშიც გაგიჩენენ მტრებს, თავზე დაგვამხობენ ქვეყანას. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებს განვითარებული აქვთ ქვენა ინსტინქტი, ნათესავების, პროტეჟეების მოძებნისა და გაძრომის უნარი. მეც მიქმნიდნენ ასეთები მრავალ პრობლემას, ქვეყნისთვის არაფერს აკეთებდნენ, თავსაც იტანჯავდნენ და სხვებსაც აწამებდნენ. აფხაზეთში ეს ოდითგან მოდიოდა მრავალ მიზეზთა გამო, და არა მარტო აქ. ეს უბედურებაა ყოველი ქვეყნისთვის, პატარა, ეროვნული სახელმწიფოსთვის კი ტრაგედია. განსაკუთრებით საშიშია, რომ ასეთი ადამიანები ეთნიკურ, ეროვნულ, პოლიტიკური სამოსელით ირთვებიან, პრივილეგიებს მოითხოვენ, ტელეფონს და კაბინეტებს ეტანებიან, ქვეყნის ჯიბისკენ იხედებიან. ბოლო წლებში შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ასეთ ადამიანებს სპეციალურად ეძებენ ხელისუფლებისათვის, რათა ხელისუფლებას სახელი გაუტეხონ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულეები გვაქვს აფხაზეთში. მეშინია, რომ თავისუფლებისა და ნორჩი დემოკრატიის გარემოში, ეთნიკური და პოლიტიკური დაპირისპირება დიდი განხეთქილებისა და ქვეყნის დაქუცმაცების დაწყების საბაბი გახდეს.

მალე ათასწლეული და საუკუნე დასრულდება. რთული დრო მოდის, თუმცა საინტერესო, დიდი განახლება დაიწყება. სიფრთხილეა საჭირო, შეიცვლება ყველაფერი, განსაკუთრებით ადამიანი. თავისუფლება უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ ძალზე საშიში, თუ ის მონის ხელში ჩავარდება, მით უფრო, თუ ეს ლიდერი მონა აზვირთებული ხალხის სათავეში მოექცევა.

ვფიქრობ, რომ ბატონი დამიანე უკვე ხედავდა მოვლენათა ასეთი განვითარების ნიშნებს აფხაზეთში.

– მე კარგად შევისწავლე ევროპაში, დასავლეთში თავისუფლების გენეზისი, დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმიერების საკითხები. თავიდან ყველგან ჭირდა, უფრო მეტიც, თავისუფლება და ქაოსი სიამის ტყუპებივით თანაარსებობდნენ ყველგან და ყველაფერში. იყო ტრაგიკული შეცდომები და შედეგები; ზედმეტი თავისუფლება ანგრევდა, ანადგურებდა ტრადიციულ ურთიერთობებს, რეგიონები იშლებოდნენ რაიონებად, რაიონები ქალაქებად და სოფლებად, სოფლები დაპირისპირებულ ქუჩებად, ოჯახები პარტიებად, იყო დიდძალი მსხვერპლიც. ეს გაკვეთილია, კაცობრიობის შეცდომათა კრებული, რომელიც ახალმა თაობამ უნდა გაითვალისწინოს შეძლებისდაგვარად.

მხოლოდ გიჟმა შეიძლება ვერ ნახოს ჭეშმარიტი თავისუფლების სიდიადე. თავისუფლება არა მარტო ოცნებაა, არამედ ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ნაწილი, მაგრამ მაფრთხობს ამ უპირველესი ადამიანური უფლების ჩვენებური ინტერპრეტაცია, გარეშე და შიდა ძალების შესაძლო ვერაგობა მთელი ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ, რისი ალბათობაც ძალზე დიდია, ამასთან მანუგეშებს ქართველთა და აფხაზთა ნათესაობა, საერთო ადათ-წესები, ტრადიციული სიახლოვე. მე კარგად ვიცნობ აფხაზეთს, მით უფრო ქართველობას, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებს. სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული ჩვენი სუსტი მხარეების იმგვარი საბედისწერო გადანასკვა, რომ ნაცარტუტად იქცეს აფხაზეთი, ეს საოცარი სანახებიც საომარ ასპარეზად გადაიქცეს. გამოუვალი სიტუაცია არ არისო, ამბობენ, მაგრამ ქართველებს, როგორც უმრავლესობას აფხაზეთში, მეტი სიფრთხილე გვმართებს. საიდუმლო არ არის, რომ აფხაზეთში ასეთი ძალები და მათი წამქეზებლები არსებობენ, ჯერ კიდევ 1937 წლიდან მომდინარეობს სამზადისი, რომლის განეიტრალება, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა.

პირისპირ საუბარი დიდხანს გაგრძელდა, საკმაოდ აცივდა, მალე სხვებიც შემოგვიერთდნენ.

ზღვასთან შეჩერდა, ხმას არ იღებდა, მარჯვენა ფეხით ქვიშას ჩიჩქნიდა. ფიქრობდა დიდხანს, იქნებ იმაზე, რამდენად იყო მზად

რი მომავალი ქარტეხილების შესახვედრად, შესძლებდა კი რამე შეეცვალა?

უკან მისი მანქანით ვიმგზავრე, გამოთხოვებისას თითქმის დამარცვლით მითხრა:

– აფხაზეთის ქართველობამ აფხაზებმა საერთო ენა უნდა გამონახოთ. პრობლემების მოწესრიგება შესაძლებელია. შეეცადეთ ერთად ამხილოთ საერთო მტერი, რომელსაც აფხაზი უნდა სათავისოდ, საქართველოც უნდა. ეს მტერი არც ერთის მოყვარეა და არც მეორის. გაერთიანდით ქართველები, წვრილ-წვრილ პარტიებში დაფანტვა მხოლოდ ავის მოსურნეს წისქვილზე ასხამს წყალს. ეძებეთ და გამოიყენეთ რეგიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული განუყოფელი ეკონომიკური, სოციალური, ადამიანური რესურსები. იმუშავეთ გუდაუთის და ოჩამჩირის მოსახლეობასთან, განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებთან, აფხაზები მეტისმეტად მიაგებენ პატივს უფროსებს და ანგარიშს უწევენ მათ. გამომიყენეთ მე და ჩემი თაობის ადამიანები, მე უამრავი ახლობელი მყავს აფხაზეთის თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში. ჩემისთანებიც უამრავია. ადვილი არ არის, ვიცი, თავის დროზე ჩემთვისაც არ იყო ადვილი, ეს პრობლემები მეტ-ნაკლებად არსებობდა ადრეც და იარსებეს კვლავაც, მაგრამ მაშინ, გარეგნული კეთილდღეობის მიღმა, ნაკლებად ჩანდა ის, რაც რეალურად იყო. გალის რაიონი, სამურზაყანო სულ სხვა რამეა აფხაზი კაცისთვის, მათ კარგად უწყით ამ რაიონის ფასი და დამსახურება ენგურს გაღმა და გამოღმა მოსახლეთათვის, თბილისისათვის. 15-16 ივლისის ამბებს გაუფრთხილდით, იმ დღეების ერთობას მტერი არ გვაპატიებს; თქვენ მოგიწევთ, ალბათ, აფხაზეთში ქუჩური ყაიდის (ბოდიში მოიხადა ამ ჟარგონისთვის) თვითინიციატივების დაძლევა. ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში აფხაზებთან ერთად ერთ ნავში ვისხედით და ამ ნავის კაპიტანი შემთხვევითი კაცი არ უნდა იყოს, მას პატივს უნდა სცემდეს მთელი ეკიპაჟი.

გვიანი ღამე იყო. დასამშვიდობებლად მარჯვენა ხელის მტევანს მიქნევდა.

შემდგომმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ ეს ბრძენკაცი, ნიჭიერი პოლიტიკოსი და დიპლომატი, მართალი იყო.

ქვემო ბარღებში, ისევე როგორც მთლიანად გალის რაიონში ყველაფერი განადგურდა. საგოგოხიო და საშამუგიო გადაწვეს.

სეპარატისტებს ეშინოდათ აფხაზეთში ქართული ცნობიერების ფლაგმანის გალის რაიონის და ის გადაწვეს, დაანაწევრეს და სხვა რაიონებს მიუერთეს.

1991 წლის 20 მარტს ბატონი დამიანე გოგოხია გარდაიცვალა. აფხაზთა დიდი დელეგაცია ჩავიდა თბილისში გამოსამშვიდობებლად, ბევრი საპატიო ყარაულში იდგა.

აფხაზეთში სულ უფრო იძაბებოდა ვითარება., შემდეგ იყო ომი...

ბატონი დამიანე გოგოხიას თხოვნა მოწოდება, ანდერძი, ასე ვთქვათ, ვერ შევასრულეთ. იქნებ ეს ბედისწერა იყო, ან სხვა რამ.

მისი ანდერძის შესრულება არც ახლა არის გვიან. ამბობენ, გამოუვალი ვითარება არ არსებობსო, მეც ამ პოზიციაზე ვარ თუ კვლავაც სხვისი მოიმედე არ ვიქნებით!

თბილისი, 26 მაისი, 2001 წ.

პოლკოვნიკი

14 სექტემბერს ექიმთან ვიყავი მიწვეული. ამ საავადმყოფოს და კვლევით დაწესებულებას აფხაზეთის მკვიდრი, საქვეყნოდ ცნობილი დასტაქარი, ნოდარ ემუხვარი მეთაურობს.

იმ წლებში მედიცინას სახელმწიფი აფინანსებდა, არ ვიცი როგორ და რამდენად, მაგრამ აფხაზეთიდან გამოსულებისთვის ნამდვილად უფასო იყო.

საქართველოს პარლამენტის შენობასთან ტაქსი გავაჩერე, მძღოლს ვთხოვე უზნაძის ქუჩაზე მდებარე კლინიკაში მივეყვანე.

ტაქსისტი ედვარდად გამეცნო. იგი, სახენაიარევი, 40 წელს მიტანებული, ერთბაშად მობერებულ ადამიანად მომეჩვენა, რომელსაც ერთი თვალი შუშისა ჰქონდა.

ედვარდმა პარლამენტი აუგად მოიხსენია – ხალხის ერთგულებაზე იკლავენ თავს, არადა ხალხი ფეხებზე ჰკიდიათო!

მეწყინა, თუმცა არ შევიმჩნიე და თავი ვიმართლე – იქ ბევრი კარგი ადამიანია, რომლებიც უბრალო ხალხს წარმოადგენენ- მეთქი!

სასაცილოდ ამიგდო, კატეგორიული გახდა. იქ მუშაობ? თუ არ გინახავს, გაგონილი მაინც გექნება და დამისახელე თუნდაც ერთი წესიერი ადამიანი მაინცო.

შევეცადე ჩამოთვლას. შემაჩერა. გეყოფა, ეგ ზღაპრები სხვებს მოუყევი, მხოლოდ მე არაო. მერე თვითონ გააგრძელა:

– ღმერთო ჩემო, ჩემსავით იცოდე თუ როგორ სძულთ, როგორ არ ენდობიან ადამიანებს, თუმცა რა უნდა გიკვირდეს, ასეა მთელ მსოფლიოშიო. განა ცოტაა საქართველოში ნიჭიერი, უნარიანი,

ქვეყნის ერთგული ადამიანი? – უბრალოდ მათი დრო წავიდა, ამ-ჟამად ფული და გავლენა განსაზღვრავს ყველაფერს. ხალხს ყველ-აფერი წაართვეს, ახლა მისგან მხოლოდ იმას მოითხოვენ, იყუჩოს, დაწყნარდეს, შეურიგდეს, რომ გაძარცვეს, დაამონეს, მათხოვრად აქციეს, ოლიგარქების მსახური გახადეს...

– შენ, მე, ჩვენ, ყველა მსახურები ვართ, არ ცხრებოდა ტაქსი-სტი. ბატონები, დიდბატონები, ფეოდალები თუ სხვა რა ჯანდაბაა, ჩვენებური თუ ჩამოთრეული, ზუსტად ვერ გეტყვი, მბრძანებლე-ბად დაგვინიშნეს. ყველგან და ყველაფერში ისინი არიან, იარაღით, ნარკოტიკით ნაშოვნ შავ ფულს ათეთრებენ, აქაურები კუპონებზე გამდიდრდნენ. კანონის ენით ასე არ ეძახიან, მაგრამ ასეა, ველუ-რი სამყაროა, რა გაეწყობა...

ედვარდმა ბოდიში მომიხადა გაცხარებისთვის.

ვორონცოვის ხიდს გავცდით. ვთხოვე, თერთმეტ საათზე ექიმთან უნდა ვიყო-მეთქი.

გარისკა, მოძრაობის წესები დაარღვია.

მეც გამათამამა იმან, რომ თბილისის ქუჩებში ედვარდის მრა-ვალი შემხვედრი მძღოლი თუ ნაცნობი ესალმებოდა, მხედრული წესით პატივს მიაგებდნენ, მათ შორის მაღალი ჩინის საგზაო სამ-სახურის ოფიცრებიც.

ავტოინსპექტორმა უხეშად გაგვაჩერა. ედუარდმა მთხოვა, თუ შენ პარლამენტარი ხარ, აი, ჩემი საბუთები, გადი, უთხარი, რომ შენ გეჩქარება, ნაკლები პრობლემა გვექნებაო.

ატომანქანიდან გადავედი. ავტოინსპექტორი ახალგაზრდა, კე-თილშობილი ადამიანი ჩანდა, თუ არ ვცდები, სოფლიდან ახალჩა-მოსული. საბუთები ნახა, გაიკვირვა, ქართული არმიის პოლკოვნი-კი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, ვახტანგ გორგასალის ორდენის კავალერი ტაქსისტად რომ მუშაობდა. ჩემი საბუთებიც მომთხოვა. კიდევ რაღაცეებზე ისაუბრა, გზა მშვიდობისა გვისურვა და მო-მაყოლა – ახლა ყველას გვიჭირს, მაგრამ ჩვენც დაგვდეთ პატი-ვიო.

ინსპექტორთან საკმაოდ გაგრძელებული საუბრის დროს უკან მივიხედე, შევნიშნე, რომ ედუარდი მანქანიდან გადმოსვლას ცდი-ლობდა და ვერ ახერხებდა. ელდა მეცა, მაგრამ არ შევიმჩნიე, ვა-ნიშნე, მოვდივარ-მეთქი.

შეშფოთდა ავტოინსპექტორი, თითქოს რაღაც დაყნოსაო, უკან გამომყვა. წესით მიესალმა, მერე კარი გააღო, მოწიწებით გადა-კოცნა ეშერა და კამანი გაიხსენეს, სახელმწიფო საბჭოს მეომარ-თა და მოხალისეთა სასაკლაო, სხვა უხეირო სამხედრო ოპერაციის ადგილები, სადაც მრავალი ახალბედა ჩაიხოცა.

შევწუხდი, საათზე დავიხედე. მომიბოდიშეს, თანაც გვარიანად მიკბინეს – როდისღა დამთავრდება დამარცხებულ გენერალთა და თანამდებობის პირთა ორდენებით დაჯილდოება, უსირცხვილო მატყუარობაო.

ხუთ წუთში საავადმყოფოს ეზოში ვიყავით.

ქვედა კიდურების პროტეზზე ვკითხე. ედვარდის...

– ხისაა, რკინისაა, პლასტმასისაა – მოიგო ღიმილით, თუმცა არ ვწუნობ, გერმანულია, შევეჩვიეო;

– რვა თვეა პენსია არ მიმიღია, ჩვენთვის არა აქვთ, საირმეს გორას სასახლეებისთვის კი რამდენიც გნებავთ!

– ხუთი შვილი გავაჩინეთ, სანამ ქვეყანა დაიქცეოდა. ვარჩენდით, პრობლემები თითქმის არ გვქონდა, თავისუფლების, ბედნიერების იმედით ვცხოვრობდით. მე აფხაზეთში დავიბადე, მაგრამ ფაქტიურად ამ ქალაქში გავიზარდე, აქაური მეუღლე მყავს, შეჩვევა იცის დიდმა ქალაქმა;

– მიტინგებზე დროშებით დავრბოდი, მეგონა ჩემი საყვარელი ქვეყანა დამოუკიდებელი, თავისუფალი და ბედნიერი გახდებოდა, ყველა შეძლებული. ბლეფი, ტყუილი, სიცრუე! რატომ ხელებიც არ დავკარგე იქ, რატომ არ მოვკვდი აფხაზეთში, რომ მაიმუნად არ ვქცეულიყავი აქ!

– კიდევ ერთი, აი, იმ ბიჭზე, ავტოინსპექტორზე თუ გსმენია, უდედმამოა, ობლად გაზრდილი, 16 წლისაც არ იყო სოხუმში რომ ჩამოვიდა, სულ ორ-სამჯერ ვნახე ქალაქში, მასზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ, გადარჩენილა, კაცი გახდება ალბათ...

ხუთლარიანი ჩავუგდე მანქანაში. პიჯაკზე მომკიდა ხელი, მანამ არ გამიშვა, სანამ ორლარიანი არ დამიბრუნა.

კლინიკაში ავედი, ლაბორანტი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. სანამ მას ველოდებოდი, ჩემს ექიმს, ბათუმისა და სოხუმის ზღვის შვილს, სულით და სხეულით უმშვენიერეს ქალბატონს ეთერ ცეცხლაძეს მოვუყევი ტაქსისტ პოლკოვნიკზე. შევატყვე, შეწუხდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ფანჯარა გააღო, ლურჯი თვალები შავ ზღვაზე უფრო მუქი და ნამიანი გაუხდა. დიდხანს ათვალიერა თრიალეთის ქედები, იცრემლებოდა. მერე ჩემსკენ დინჯად მობრუნდა, მთხოვა ჩემს თავს, და რაც მთავარია, გულს გავფრთხილებოდი...

აუცილებელი პროცედურა დასრულდა. ფეხით წამოვედი.

გზაში და შემდგომ დიდხანს ვფიქრობდი მეომარი ქართველი პოლკოვნიკის ბედზე, შემეცოდა ედვარდი.

რატომღაც ვირწმუნე, რომ იგი მზად იყო კვლავ წასულიყო საომრად, კვლავაც ემართა ჯავშნოსანი მანქანა, რომელშიც

ნახევარი სხეული დატოვა, თუმცა უსაშველოდ ეზიზღებოდა „ჟიგული," ტაქსაობა, რითაც ოჯახს არჩენდა.

სხვა რა გზა ჰქონდა!

თბილისი, 13 აგვისტო, 2003 წ.

ნაფეხურები სველ ქვიშაზე

ხალხის მეხსიერება წარუშლელია, ქვეყნისა და ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები თუ მოვლენები საუკუნეთა განმავლობაში არდავიწყების მითებსა თუ ლეგენდებში გადასახლდებიან და ცოცხლობენ სამარადჟამოდ.

ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგიყვებით, ჩემმა ახლობელმა, მეცნიერ-მკვლევარმა და ისტორიის მასწავლებელმა, აფხაზმა ქალბატონმა ელვირა ავიძბამ 1978 წლის ივლისს მიამბო სოხუმში, თავისი 90 წლის იუბილეზე. იმჟამად აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნით გუდაუთელი უხუცესები თავყრილობას მართავდნენ მთავრობის სასახლის წინ, რასაც შეშფოთებით ვადევნებდით თვალყურს მისი აივნიდან.

– 1453 წელს ბიზანტია დაეცა, ერთმანეთთან ქიშპობაში რომი და ბიზანტია ისე დაუძლურდნენ, რომ ოსმალეთის 23 წლის სულთანმა კონსტანტინოპოლი აიღო. არც არავინ ჩანდა მხსნელად. შავი დღე დაადგა საქართველოსაც. დიდი ოსმალეთი, იმპერია და ნახევარი მსოფლიოს მპყრობელი გახდა.

მაჰმადიანური „ნახევარმთვარე" უზარმაზარ რკალად შემოერტყა კავკასიას. 1555 წელს ირანმა და ოსმალეთმა საქართველო გაიყვეს. ისლამი ჩრდილო და დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთშიც გაბატონდა და მთიან კავკასიაშიც აიჭრა.

განადგურდა, სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცდა დავითის და თამარის ოდესღაც დიდი საქართველო. ოსმალომ დიდხანს და მყარად მოიკიდა ფეხი ზღვისპირა საქართველოში.

რთული დრო დაუდგა აფხაზეთის სამთავროს. შარვაშიძეებს (შარაშიებს) მეტად გაუჭირდათ ქრისტიანული აფხაზეთის მართვა. ოსმალობა და მუსულმანობა აქაც ყველაფერს ნიშნავდა უკვე.

საქართველოსთვის ჯერ კიდევ თავდადებულ შარვაშიძეები მხოლოდ სასწაულის იმედით იყვნენ, რადგან ქვემო და ზემო ივერიელები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული ერის ფიზიკური განადგურებისგან გადასარჩენად.

რა გამოეპარებოდათ ოსმალებს და მათაც ჯიუტად დაადგეს

თვალი აფხაზეთს. ქართული ორიენტაცია სასიკვდილო საფრთხე გახდა შარვაშიძეთა უძველესი დინასტიისა და აფხაზეთის **აბორიგენი კოლხური მოსახლეობისთვის. მაშინ ორასი ათასზე მეტი აფხ**აზეთის მკვიდრი შეეწირა მართლმორწმუნე სჯულის გადარჩენას. რწმენა ურყევ მღვდლებს ხალხის თვალწინ ხოცავდნენ და ადგილობრივ მოსახლეთ აიძულებდნენ საჟენი სიღრმის ორმო ამოეთხარათ მათი „ბინძური“ სულის და ხორცის დასაფლავად.

მოლები **დაძრწოდნენ აფხაზეთში. ქრისტეს სამსახური და წარ**მართობა კანონგარეშე გამოცხადდა. მოლა წყვეტდა ადამიანთა ბედს.

ლიხნს არჩევანი არ დაუტოვეს, უნდა ეკეთებინა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ძალა აღმართს ხნავს და ძლეული მთავარი იძულებული გახდა ვითარებას მორგებოდა, რათა აფხაზეთის მოსახლეობას ნაკლებად ეზარალა და შარვაშიძეთა დინასტიაც გადარჩენილიყო; ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს უკეთესი დროების მოლოდინში, არც იყო სხვა გზა.

შემუშავდა დიდი და ვერაგი იმპერიებისათვის საყოველთაოდ მიღებული, ვერაგული სვლა; შერვაშიძეებს, რომელთაც სულთანი არ ენდობოდა, მოსთხოვეს აფხაზეთის დასაცავად მოეწვია ამ დროისთვის უკვე გამუსულმანებული მთიელი კავკასიელები, რომელთაც გამოიყენებდნენ მუდამ მოჯანყე და მოუსვენარი სამეგრელოს, სვანეთის და გურიის დასაშოშმინებლად.

ფეხს ითრევდა **სორეხ შარვაშიძე-შარაშია. ეს მისი და საგვა**რეულოსთვის უმძიმესი გადაწყვეტილება იყო.

ქართველობისა და ქართული ენის საკითხი ისე მწვავედ არ იდგა მაშინ, როგორც სარწმუნოების შეცვლის მოთხოვნა, რადგან აფხაზეთის მოსახლეობას **მთის იქითელებთან მრავალსაუკუნო**ვანი კავშირი ჰქონდა და მთიელ მეზობლებთან საურთიერთობო ენა ქართულიც იყო და **პროტოაფხაზურიც. სხვა საქმე იყო მაჰ**მადის აღიარება. აქ ქრისტიანი მოსახლეობა შეუვალი იყო, რასაც ოსმალეთი არავის პატიობდა.

იძულებულმა სორეხმა მოიწვია ადიღელნი, ჩერქეზნი, ჯიქნი და აფხაზეთის ციხეებში ჩააყენა.

ოსმალეთმა კარგად იმუშავა პირიქითა მთიანი კავკასიის მეომარი ტომების დიდ ნაწილთან, რომელთაც ძველთაგან ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ **პირაქეთა კავკასიის ხალხებთან, და განსა**კუთრებით, მთიანეთის ქართულ მოსახლეობასთან და ოსმალოთა სამსახურში ჩააყენა.

იმჟამად ჩრდილოეთელი ტომების მოსახლეთ საკუთარი გვარები არ ჰქონდათ და მხოლოდ ტომის მეთაურის სახელით იცნობდნენ ერთმანეთს და ამ ნიშნით იყრიდნენ თავს საბრძოლო რაზმებში.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ერთიანი საქართველოს ჩრდილოეთის მხარის ერთ დროს ძლიერი თავდაცვითი სისტემა უკვე მოშლილი იყო და ძველ თანამებრძოლებს არ გასჭირვებიათ აფხაზეთში სხვადასხვა გზით, მათ შორის ზღვიდან შემოღწევა. მებრძოლებს თან მოჰყავდათ ოჯახის წევრები და ურიცხვი მომთაბარე.

ოსმალებმა აფხაზეთის მთავარ სორეხთან დათქმას უმუხთლეს და ცოდვის კალო კვლავ დატრიალდა აფხაზეთში. სამეგრელოში, ფოთში და აჭარაში თურქები ჩადგნენ. მშობლიური ადგილებიდან აყარეს მოსახლეობა, ტყვეებით გაავსეს აღმოსავლეთის ბაზრები.

მაინც არ გატყდა აფხაზეთის მოსახლეობა. სასტიკი ბრძოლები გაიმართა ათონთან, კოდორთან, შემდეგ ღალიძგასთან.

არ მოელოდნენ მთიელები ასეთ წინააღმდეგობას. მათი ბარბაროსული სულისკვეთებაც კი ვერ უძლებდა ყოველი ხევის, ყოველი სახლის, ყოველი ბუჩქისთვის ბრძოლას.

კვლავ უხმეს სხვა ძალებს მთიდან. მებრძოლებით გადავსებული ოსმალოთა გემები ზედვე ადგებოდნენ აფხაზეთის ნაპირებს.

ქალებსა და ბავშვებს შეუქმნეს გასასვლელები და შესაძლო მწყობრით და წესით უკუიქცნენ ქართველები.

ვახუშტის ცნობით 200-400 ათასი ქართველი შეეწირა ბარბაროსებთან უთანასწორო ბრძოლას.

მოგვიანებით აფხაზეთის ქართველებმა იმერეთის მეფის მხარდაჭერით და სამეგრელოს და გურიის მთავრების ძალების დახმარებით ღალიძგაზე შეაჩერეს მთიდან ჩამოწოლილი მტერი და თავდაცვის ზღუდეები გამართეს.

მტრის წინსვლას წვიმებმა და წყალდიდობებმაც შეუშალა ხელი.

ერთი ზამთარი იდო წინ მთიელთა მორიგ შემოტევამდე.

* * *

მთიელებმა, რომლებიც ნაალაფევით კმაყოფილდებოდნენ და ძველთა წესით, აოხრებული ქვეყნიდან გადიოდნენ ხოლმე, ოსმალოთაგან ახალი მოთხოვნა მიიღეს, რაც გულისხმობდა აფხაზეთის ფაქტიური გამგებლობის მოპოვებას და აფხაზეთის მთისწინეთში მყარად დამკვიდრებას.

მთიელთა რაზმების გამორჩეული ახალგაზრდა მეთაური ჩაჩი იყო და სულთანმა მასზე გააკეთა არჩევანი. გადაწყდა, რომ მას და მის შთამომავლობას აფხაზეთის სამთავროს დინასტიაში შეეღწიათ და მიეღოთ საკუთარი ადგილი და წილი.

ჩაჩის მხარეზე იყო უზარმაზარი იმპერია ძალიან შორს მიმავალი განაზრახით და გამარჯვებული, ძლიერი, ერთგული რაზმები,

რომლებიც მან შარვაშიძეთა რეზიდენციებსა და მსხვილ დასახლებებში დააბანაკა. იგი თავს ყოვლისშემძლედ თვლიდა და ასეც იყო, თუმცა ჯერ კიდევ არსებობდა დაუწერელი ადათი, რომლითაც მთიელები აფხაზეთში სტუმრად ითვლებოდნენ და საზოგადოებაში თავშეკავებასაც იჩენდნენ.

სულთნის კარის ოსტატები ამოქმედდნენ და შერვაშიძეთა და ჩაჩთა ძმადფიცობის დღე დაინიშნა.

ჩაჩს **სორეხის მეუღლის, დედოფალ გურანდუხტის ძუძუს** თავისთვის უნდა დაედგა კბილი და დედად ეღიარებინა, **სორეხი** მამად, მათი შვილები კი დებად და ძმებად. ჩაჩმა და **სორეხის შვილებ**მა „ფიც-ვერცხლი“ მიირთვეს სამარადისო ნათესაობისა და ძმობის დასტურად.

სამთავრო და გადარჩენილი მოსახლეობა თითქოსდა ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდებოდა, მაგრამ ფაშა საიდუმლო დავალების შესრულებას მოითხოვდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა **სორეხი მოულოდნელად დაიღუპა, ნა**დირობისას თანამებრძოლის ისარმა ზურგი და გული გაუპო.

ლეონ სორეხის ძეს ამზადებდნენ მთავრად აფხაზები, მაგრამ ჩაჩმა **დედოფლის – გურანდუხტის გამთავრება მოითხოვა და მიაღ**წია კიდეც, თუმცა ეს არ შეესაბამებოდა კარის წესს და მთიელთა ადათს. მთავრის კარზე სხვათა ზურგით მიტმასნილ ჩაჩს ნაკლებად ჰქონდა საამისო უფლება. იმ დროსაც ძალა იყო სამართალი და არა სამართალი ძალა, მით უფრო, რომ მაჰმადის სჯული ყველაფრის უფლებას აძლევდა ალაჰის სახელით მის მსახურებს.

ორ წელიწადში ჩაჩმა დედოფალ გურანდუხტზე, მასზე ათი წლით უფროს ქალბატონზე იქორწინა და აფხაზეთის ფაქტიური გამგებელი გახდა.

ჩაჩი 13 წელიწადი მართავდა აფხაზეთს, მაგრამ ვერაგი და გამჭრიახი მმართველი ხვდებოდა, რომ ფიცხ და მამაც შარვაშიძეთა კანონიერი უკმაყოფილება და დამცირება ტრაგიკულად დასრულდებოდა მისთვის, ამიტომ აფხაზეთის მთავრობა სიცოცხლეშივე დაუთმო სორეხის უმცროს შვილს.

მოგვიანებით მაინც შედგა შერიგება, ამიერიდან შარვაშიძეები, ჩაჩი და მისი მემკვიდრეები დინასტიის თითქმის თანაბარ ძალოვან წევრებად ითვლებოდნენ; გვარებიც გაზიარდა, ჩაჩი-ჩაჩბა გახდა. შემდგომში ჩაჩბების მეომრები და მათი მომყოლები აფხაზეთის მთიანეთში სახლდებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას ერწყმოდნენ. მათმა უმეტესობამ ადგილობრივი კოლხური გვარი მიიღო. ეს იყო მთიელთა პირველი დიდი ტალღა, რასაც შემდგომ სხვაც მოჰყვა.

თურქები მაინც მათთვის ჩვეული ეჭვით უყურებდნენ ოდესღაც სახელოვანი ქართულ-ლაზური გვარწარმომავლობის შარაშიებს.

მთავრის სასახლეში და აფხაზეთის ჩრდილოეთში თანდათან მკვიდრდებოდა უცხო ენა, თუმცა კარი და დიდგვაროვანთა უმეტესობა მთლიანობაში არ კარგავდა ქართულ სულს და წესებს. უცხო ენის აღიარება და ცოდნა აქ სარგებლიანი გახდა.

ამასვე ემატებოდა თავისუფალ მიწებზე მთიელთა საცხოვრებლად გადმოსვლა, უმთავრესად სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით, თუმცა მთიელთა ტრადიციის გამო, ისინი დიდი ხანი ზღვასთან დასახლებას ერიდებოდნენ.

აფხაზეთი, უკვე აღარ იყო ძველი აფხაზეთი. იყო „აწინდელი აფხაზეთის“ დასაწყისი და ამ პროცესს საერთო ხასიათი ჰქონდა.

აფხაზეთში გრძელდებოდა უცხოტომელთა ჩამოსახლება თურქობის შემდეგაც, მორიგი დამპყრობის – რუსების მიერ, სწრაფად იცვლებოდა აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ენა, სოციალური გარემო, რელიგიური წარმოდგენები, ტოპონიმიკა, გრძელდებოდა უცხოტომელთა ეტაპობრივი **ადაპტირება, ზეგავლენის** ზრდა, მმართველი ელიტის ფორმირება.

ამ თვალსაზრისით, აფხაზეთი გამონაკლისი არ ყოფილა, ისტორიას სხვა ქვეყნების და ხალხების უამრავი მაგალითი ახსოვს. თუმცა, ცხადია, რომ ისტორიას ხალხები რომ ქმნიდნენ და არა პოლიტიკური ინტერესები, ამ საფუძველზე სისხლიანი დაპირისპირება იშვიათი გამონაკლისი იქნებოდა.

დინასტიურ ჩანაცვლებასა თუ იძულებით დაზავებაზე ჩვენ ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილ ამ თქმულებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ბევრი მომხრეც. მეცნიერებშიც არ არის ერთიანი აზრი აფხაზეთში აბორიგენობის თაობაზე. იქნებ ამჟამად არც არის საჭირო მეცნიერთა თუ ჟურნალისტთა განსაკუთრებული თავგამოდება და არგუმენტების ძიება, რაც კიდევ უფრო გაამძაფრებს დაპირისპირებას. უეჭველი და სამართლიანია, რომ ყველა, ვინც ომამდე აფხაზეთში ცხოვრობდა, საქართველოს მოქალაქეა, აფხაზეთის შვილია და მას უნდა იცავდეს საქართველოს კონსტიტუცია, აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუცია, ერთიანი თუ საერთო სახელმწიფო.

ბუნებრივია, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხალხთა თანაცხოვრება საკმარისი დროა იმისთვის, რომ შეიქმნას ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ერთობა, ჩამოყალიბდეს იდენტური კულტურა, ადათი, წესები, ტრადიციები, თაობები **ნათესავებად** და ახლობლებად იქცნენ. უეჭველია, რომ ქართველებსა და აფხაზებზე უფრო ახლობელი ხალხები არ არსებობენ.

თუ ასე გაგრძელდა და ერთმანეთში მტრები ვეძებეთ, დამიჯერეთ, უთოდ ვიპოვით მათ, ან გარედან გვაპოვნინებენ! ასე არ არის?... შენ როგორ ფიქრობ, მეკითხება ქალბატონი ელვირა. მართალი ხარ, შენ უკეთ იცი, ამდენი წელიწადი მიგიწვდებოდა ხელი რუსეთის, თბილისის და სოხუმის საარქივო მასალებზე, დავუდასტურე მე.

როგორც ჩანს, ხალხთა გადაადგილებისა და შერწყმის ისტორიულმა კანონზომიერებამ თავის დროზე არც აფხაზეთს აუქცია გვერდი, – განაგრძო ქალბატონმა, რასაც ახლა ჩვენი ავისმოსურნენი შეეცდებიან ჩვენსავე წინააღმდეგ გამოიყენონ. ერთი რამ კი არის ნამდვილად – მთლიანობაში ისტორიის შედეგი გეოგრაფიაა, საკუთარი გეოგრაფიის და ტერიტორიის მოპოვების, აღიარების და დამკვიდრების მცდელობა კი მეტად მიმზიდველი და საშინლად მაცდური ადამიანური სისუსტეა თავისი ტრაგიკული შედეგებით. ღმერთმა დაგვიფაროს!

ჩვენი ხალხის სიბრძნის, სიახლოვის, გონიერების იმედი მაქვს, მინდა ვირწმუნო, რომ აფხაზეთში ტრაგედიამდე არ მივა საქმე, რასაც დიდი ხანია ცდილობდნენ, ამჟამად ცდილობენ და მომავალშიც შეეცდებიან გარეშე ძალები. თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო, ამბობენ ხალხში, – იღიმება ელვირა, ამათშიც იპოვიან ხალხის გმირებს და წინამძღოლებს და ხელი მომიტინგეებისკენ გაიშვირა. საკვირველია, ეს „შარატინის“ ასწლოვანი ბებრები მაინც რამ გადარია, რას არ ნახავს კაცი, მიჰყავთ და მოჰყავთ ეს საწყლები, სანამდე მივედით, ღმერთო ჩემო...

ფხიზლად უნდა ვიყოთ! თანაც დროა რაღაც-რაღაცები შეიცვალოს სათავეში, იქაც და აქაც: ცოდვაა ხალხი, აფხაზიც და ქართველიც, ყველა, ვინც აფხაზეთში ცხოვრობს – დამარცვლით წარმოთქვა ელვირამ; თქვენ რა გიჭირთ მათემატიკოსებს, მატერიალური სამყარო, დრო და სივრცე, რაოდენობა და თვისება ხალხის გუნება-განწყობილებაზე არაა დამოკიდებული. აი, ისტორია კი, გვიან მივხვდი სამწუხაროდ, ძლიერებისთვის იწერება, მოვიდა, ხელახლა დაწერენ, წავიდა, ისევ გადაწერენ. ასე ყოფილა, ასე იქნება, ალბათ!..

რომანტიკოსი არ ვარ, მაგრამ მინდა ვირწმუნო, რომ, საქართველოში, აფხაზეთში უბრალო, რიგითი ადამიანებისადმი ყურის მიგდება, ანუ როგორც ახლა მოდაშია, მეტი დემოკრატია და თავისუფლება წაშლის გაუგებრობის და დაპირისპირების კვალს, როგორც აფხაზეთში შავი ზღვის ტალღები შლიან ხოლმე მტერთა თუ მოყვარეთა ნაფეხურებს სველ ქვიშაზე.

თბილისი, იანვარი, 1994 წ.

სარჩევი

ორაგულები ოდაბადეში დაბრუნდებიან 3

ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი 6
ან, ნან, აბ...ააა! 10
სვირინგიანი ქალი 25
ქურთი თემური 37
მშობლიური ხიბლი 39
რა მოგენატრა აფხაზეთიდან? 40
დამიტოვე ტელეფონის ნომერი 42
ერთი საღამო სანკტ-პეტერბურგში 43
ცხენისწყლის მზე 45
ვიტა 46
ამირანი 51
ლევანი 52
ქარასელები 54
შავწყალა 54
სამურზაყანოს ორაგულები 56
ცხენისწყლის ლოქო 59
უმანკოების ფასი 63
ცერა თითი 77
ხეტუმი 79
მზის სიკვდილი ლაბრაში 86
დაიბრუნე, ისე არ მინდა 90
სოხუმის საძმოს ბიჭები 95
ინგა 100
ასანთი და მიკროსოფტი 108

ხითარის მყინვარი....111
სიკვდილის არქიპელაგი....118
მეზობელი კარინა....124
ნილოსის ნიანგები....129
30 სექტემბერი....136
ქალის სურნელი....138
ზღვის საბანი....144
დიკი....148
ჯეკა....153
ჩემი ყველაზე დიდი თევზი....157
ახახუ, აფანა!....160
მარადიული ძახილი....169
მღვრიე წყალი....174
ხვალ იყო ომი....178
ტყვის ტყვეები....181
რვა გრამი....185
გენიოსა....190
ლალი....194
მთის წაქცევა....199
ვარდანიების დედა....203
ორი სურათი....207
ჩვენებური სიგიჟე....209
აყვა....212
ხელშეუხებელი ავტობუსი....214
სპილოს პალმის ეტრატი....217
ებრაელთა ქუჩა....221
თბილისი-სოხუმის მატარებელი....223
პირველი გამოცდა....228
მირაჟი....233
ანდერძი....235
წყეული წყევლა....238
აფხაზეთში დაბრუნება....241
აფხაზი ნოსტრადამუსი....246
თქვენ, ჩვენ, მე....248

ვარდი და პური ჩემი გოგონასთვის 251
ილია სამურზაყანოში 255
ადესის ნერგები 258
მეწისქვილე 263
რწმენის ფესვები 266
ამორძალის ოქროს ისარი 268
ლენქერი 272
დიდი ჭყონი 276
შავი კოლას ზღაპარი 278
ნათლია 281
ამშააპ 285
ამრა 293
მუშნი 302
მოხალისე 305
ციბა 312
სიმაღლე 318
პოლკოვნიკი 323
ნაფეხურები სველ ქვიშაზე 326

რედაქტორი
ბადრი ცირამუა

საგამომცემლო ჯგუფი
ქეთი ხეტეშვილი
რიტა ცინდელიანი
თამთა ჯანაშია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი
ილია ხელაიასი

გარეკანის ფოტოები გამოყენებულია ალბომიდან „აფხაზეთი“, შ. შაკაიას საერთო რედაქციით. ფოტოგრაფი ნ. რახმანოვა. მოსკოვი, გამომცემლობა „პლანეტა“, 1979 წ. (რუსულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე).

გამომცემლობა ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 8(99) 53-05-22, 8(99) 55-66-54
info@intelekti.ge inteleqti@caucasus.net
www.intelekti.ge